

ზაურ ფულანია

# სისხლის სამართალი კერძო ნაწილი

(საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კოდექსის  
მიხედვით)

მეორე ტომი

II



გამომცემლობა „ინტელექტი“  
თბილისი 2001

წინამდებარე ნაშრომში განხილულია საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მე-8 კარით გათვალისწინებული „ეკონომიკური დანაშაული“. ცალკე თავების სახით ინტერპრეტაციას პოულობს: დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ (თავი XXV); დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ (თავი XXVI); დანაშაული ფულად-საკრედიტო სისტემაში (თავი XXVII); დანაშაული საფინანსო საქმიანობის სფეროში (თავი XXVIII); დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესის წინააღმდეგ (თავი XXIX).

წიგნი განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტების, ასპირანტების, მასწავლებლების, სამართალდაცვის ორგანოების მუშაკებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

**ზაურ წულაია**  
*იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი*

**რედაქტორები:** პროფესორი **მზია ლევკვიშვილი**  
დოცენტი **ბოჩა მამულაშვილი**

**რეცენზენტები:** პროფესორი **გურამ ნაჭყვია**  
დოცენტი **სოსო პაჭკორია**

დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ<sup>1</sup>

§1. საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულის ზოგადი ცნება და სისტემა

დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ ზოგადი ცნების სახით რომ განესაზღვროთ, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა გავარკვიოთ მისი ობიექტი, ობიექტური მხარე, სუბიექტი და სუბიექტური მხარე.

ფილოსოფიური გაგებით დანაშაულის ობიექტად მიჩნეულია ის, რაც გარემოში სუბიექტს უპირისპირდება და რაზეც ადამიანის ცნობიერება და საქმიანობა მიმართული.

სისხლის სამართლის მიხედვით კი დანაშაულის ობიექტია საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც დაცულია სისხლის სამართლის ნორმებით დანაშაულებრივი ხელყოფისაგან.

ისმება კითხვა: როგორია საზოგადოებრივი ურთიერთობის შინაარსი, რომელიც სისხლის სამართლითაა დაცული?

„საზოგადოებრივი ურთიერთობა, — აღნიშნავს პროფ. გ. ტყეშელიაძე, — მეტად რთული მოვლენაა. იგი სხვადასხვა ნაწილის ერთიანობას წარმოადგენს. მისი ერთ-ერთი ნაწილია ურთიერთობის მონაწილენი, ხოლო მეორე ნაწილი — თვით ამ ურთიერთობის მონაწილეთა საქმიანობა. საზოგადოებრივი ურთიერთობა ადამიანთა საერთო ცხოვრებისა და შეთანხმებული მოქმედების აუცილებელი ფორმაა. ამ ფორმაში მიმდინარეობს ადამიანის საქმიანობა, იქნება ეს წარმოება, სახელმწიფო, ოჯახი, სკოლა, სპორტი თუ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფერო. საზოგადოებრივ ურთიერთობათა საშუალებით მისი მონაწილენი თავიანთ ინტერესს ახორციელებენ“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> აღნიშნულ საკითხზე იხილეთ ჩვენივე შრომები: ზ. წულაია. სოციალისტური საკუთრება წმიდათაწმიდა და ხელშეუხებელია. თბ., 1986; ზ. წულაია. საქართველოს სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილი. თბ., 1996, გვ. 142-262.

<sup>2</sup> თ. წერეთელი, გ. ტყეშელიაძე. მოძღვრება დანაშაულზე. თბ., 1969, გვ. 138.

საზოგადოებრივ ურთიერთობათა წრე, რაც დაცულია სისხლის სამართლით. — წერს ნ. კორჟანსკი, — არ არის უცვლელი. იგი იცვლება კონკრეტულ ისტორიულ პირობებთან დამოკიდებულებაში. საზოგადოებრივი ურთიერთობები თავისი სტრუქტურით ერთობ რთულია. ისინი წარმოდგენილია მათი სუბიექტების გარეშე, რომლებმაც შეიძლება იყოს სახელმწიფო, მისი უფლებამოსილი ორგანოები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და შრომითი კოლექტივები, პიროვნება. საზოგადოებრივი ურთიერთობები მოიცავს აგრეთვე საზოგადოებრივი ურთიერთობის მონაწილეთა ურთიერთკავშირს, მათ საქმიანობას და პოზიციებს ერთმანეთთან ურთიერთობაში, გარკვეულ უფლებებსა და მოვალეობებს. მათი კომპონენტია განსაზღვრული სოციალური სიკეთის ან ღირებულების ინტერესების სფეროც<sup>1</sup>.

დანაშაულის ობიექტად ვთვლით რა საზოგადოებრივ ურთიერთობას, სისხლის სამართლის კანონს მხედველობაში აქვს საზოგადოებრივი ურთიერთობის დაცვა არა მისი ვიწრო გაგებით, არამედ აგრეთვე დაცვა ცალკეული რეალური ადამიანებისა, რომელთა მოქმედებითაგან იქმნება ეს ურთიერთობა.

ამრიგად, ნებისმიერი დანაშაულის ობიექტია როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობა, ასევე ამ ურთიერთობის სუბიექტთა (მონაწილეთა) მოქმედებანი, ურთიერთკავშირები, მათი უფლებები, მოვალეობები და სხვ. ამ ღებულებებიდან გამომდინარე, დაუშვებელია იმის ვარაუდი, რომ დანაშაული თითქოს ზიანს აყენებდეს მხოლოდ საზოგადოებრივ ურთიერთობას, საზოგადოების ინტერესებს და უვნებელი რჩებოდნენ ცალკეული ადამიანები.

საზოგადოებრივი ურთიერთობის დაცვა სხვადასხვა საშუალებით, კერძოდ, მორალის ან სამართლის სხვა დარგების (სამოქალაქო, ადმინისტრაციული, შრომის და ა. შ.) ნორმებით ხორციელდება. რაც შეეხება სისხლის სამართალს, იგი ამ ურთიერთობის მხოლოდ ნაწილს იცავს, სახელდობრ, ისეთს, რომლის სოციალური ღირებულება და მნიშვნელობა დიდია და რომლისთვისაც ზიანის მიყენება საზოგადოებისათვის მძიმე შედეგს გამოიწვევს. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ყველა დანაშაულის ობიექტია ისეთი საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც დაცულია სისხლის სამართლის კანონით.

---

<sup>1</sup> Н. И. Коржанский. Объект и предмет уголовно-правовой охраны. М., 1980, С. 43.

სისხლის სამართლის კოდექსის პირველი მუხლის მე-3 ნაწილის ძალით, კოდექსის მიზანია: დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა. ფართო გაგებით მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიზანია: დაიცვას საზოგადოებრივი წესწყობილება, მისი პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემა, საკუთრება, მოქალაქეთა პიროვნება, უფლებანი და თავისუფლებანი და მართლწესრიგი დანაშაულებრივი ხელყოფისაგან. აღნიშნული კოდექსის მიხედვით დანაშაულის ობიექტად მიჩნეულია საზოგადოებრივი წესწყობილება, მისი პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემები, საკუთრება, პიროვნება, მოქალაქეთა პოლიტიკური, შრომითი, ქონებრივი და სხვა უფლებები და თავისუფლებები, აგრეთვე მართლწესრიგი.

დანაშაულის ობიექტი არ უნდა აეურიოს სისხლის სამართლის რეგულირების უშუალო საგანთან. ასეთ საგნად გვევლინება საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც აღმოცენდებიან სახელმწიფოსა და დამნაშავეს შორის დანაშაულის ჩადენის საბაბით, — სისხლისსამართლებრივი ურთიერთობები.

დანაშაულის ობიექტად არ შეიძლება მივიჩნიოთ სამართლებრივი ნორმა, რაც დანაშაულის ჩადენის შედეგად ირღვევა. როცა ვამბობთ, რომ დანაშაული არღვევს კანონსო, მხედველობაში გვაქვს მხოლოდ ის, რომ დანაშაული ეწინააღმდეგება კანონს, მაგრამ თვით სამართლებრივი ნორმა არ ზარალდება იმ მოქმედებისაგან, რომელიც მას არღვევს.

დანაშაულის ობიექტს დიდი მნიშვნელობა აქვს სამართლის ამა თუ იმ სისტემის კლასობრივი არსის ახსნისათვის. სისხლის სამართლის კლასობრივი არსი ნათლადაა გამოხატული სისხლის სამართლის დასაცავ ობიექტებში, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით.

ობიექტის ხასიათი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს დანაშაულის სოციალურ-პოლიტიკურ შინაარსს და მის წინააღმდეგ მიმართული მოქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხს, რაც უფრო მნიშვნელოვანია ობიექტი, მით უფრო საშიშია დანაშაულებრივი ხელყოფა, მით უფრო დიდია სისხლისსამართლებრივი დაცვის მოცულობა და ინტენსიურობა.

დანაშაულის ობიექტს დიდი მნიშვნელობა აქვს დანაშაულებრივი ქმედობის კვალიფიკაციისა და სასჯელის დანიშვნისათვის. ობიექტი გავლენას ახდენს ასევე დანაშაულის შემადგენლობის სტრუქტურაზე.

ზემოაღნიშნული ზოგადი ხასიათის დებულებები დანაშაულის ობიექტის შესახებ სავსებით შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულს საკუთრების წინააღმდეგ.

სისხლის სამართლის თეორიამ სისხლის სამართლის კანონმდებლობის ნორმების ანალიზის საფუძველზე და მასთან სრული შესაბამისობით შეიმუშავა დანაშაულის ობიექტების კლასიფიკაცია და დაადგინა მათი თანაფარდობა.

განასხვავებენ დანაშაულის ზოგად (საერთო), გვარებით და უშუალო ობიექტს.

დანაშაულის ზოგადი (საერთო) ობიექტია სისხლის სამართლის კანონით დაცულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობა, რასაც საბოლოო ჯამში ხელყოფს ყოველგვარი დანაშაული. ზოგადი ობიექტი აერთიანებს ცალკეულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემას, რაც დაცულია სისხლის სამართლის კანონით.

ყოველი დანაშაული, ხელყოფს რა ამა თუ იმ კონკრეტულ სიკეთეს ან ინტერესებს, რაც მიეკუთვნება საზოგადოებრივი ურთიერთობის გარკვეულ სფეროს (დარგს), საბოლოოდ პირდაპირ ან ირიბად მთლიანად ხელყოფს სისხლის სამართლის კანონით დაცულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემას.

ამრიგად, დანაშაულის ზოგადი ობიექტი ყველა დანაშაულისათვის (მათ შორის ჩვენ მიერ განსახილველი დანაშაულისთვისაც) საერთოა, ანუ ერთია.

რაც შეეხება გვარობით ობიექტს – დანაშაულის გვარობითი ობიექტის ცნებაში სისხლის სამართლის თეორია გულისხმობს სისხლის სამართლის კანონით დაცული საზოგადოებრივი ურთიერთობების განსაზღვრულ დარგს, ანუ ნაწილს, რაც გამოირჩევა მისთვის დამახასიათებელი საერთო ნიშნებით, ერთგვაროვნებითა და ურთიერთდაკავშირებით და რომელსაც ხელყოფს დანაშაულის მთელი ჯგუფი.

იურიდიულ ლიტერატურაში საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულის გვარეობით (ჯგუფურ) ობიექტზე ავტორთა სხვადასხვა აზრია გამოთქმული: მათი შეხედულებით, ამ დანაშაულის გვარეობითი ობიექტებია: „თვით საკუთრება – საზოგადოების ეკონომიკური საფუძველი“, „საკუთრების ურთიერთობანი და მატერიალური დოვლათის განაწილების არსებული სისტემა“,

„საკუთრების ეკონომიკური ურთიერთობა“, თვით „საკუთრების უფლების არსი“, „საკუთრების უფლება მისი სუბიექტური გაგებით“, „საკუთრების საზოგადოებრივი ურთიერთობანი, გამოხატული წარმოების საშუალებებზე და პროდუქტებზე სახელმწიფოს საკუთრების უფლებაში“, „ეკონომიკური წარმოებითი ურთიერთობა“, „საკუთრების უფლება, როგორც სუბიექტური უფლება“ და სხვ.

თუ რამ განაპირობა აზრთა სიმრავლე, მასზე ვიტყვით მას შემდეგ, როცა განვიხილავთ საკითხს საკუთრების ცნებასთან დაკავშირებით. საბჭოურ ეკონომიკურ და იურიდიულ ლიტერატურაში დომინირებდა აზრი, რომ საკუთრება არის არა ნივთი (მატერიალური დოვლათი) ან ადამიანის ურთიერთობა ნივთებთან, არამედ თვით ადამიანთა ურთიერთობა, რაც მათ შორის მყარდება მატერიალური დოვლათის წარმოებისა და მითვისების, პირველ რიგში წარმოების საშუალებათა მითვისების საფუძველზე; რომ საკუთრება ყოველგვარი წარმოების საერთო პირობაა. არავითარ წარმოებაზე, მაშასადამე, საზოგადოებაზე, არ შეიძლება ლაპარაკი იქ, სადაც საკუთრების არავითარი ფორმა არ არსებობს. საკუთრება, საკუთრებითი ურთიერთობანი არსებობს ყველა წყობილების დროს, ისტორიის მანძილზე იცვლება მხოლოდ საკუთრების ფორმები; საკუთრებითი ურთიერთობანი, როგორც საზოგადოებრივ-წარმოებითი ურთიერთობანი, იქმნება ცალკეულ პირთა ნებისა და შეგნების დამოუკიდებლად, ეს არის ბაზისური საზოგადოებრივი ურთიერთობანი.

„საკუთრების ცნება, — აღნიშნავდა პროფ. ს. ჯორბენაძე, — ურთიერთობათა მთელ კომპლექსს გამოსახავს. იგი გულისხმობს საკუთრების ნივთობრივ შინაარსს, აგრეთვე ადამიანთა შორის წარმოშობილ ურთიერთობას წარმოების საშუალებათა და წარმოების რეზულტატების მითვისების თაობაზე, რაც საკუთრების ეკონომიკურ შინაარსს ქმნის, დასასრულ — საკუთრების იურიდიულ შინაარსს, რომელშიც წამყვანია ნებითი ურთიერთობანი“<sup>1</sup>.

პოლიტიკურ და იურიდიულ ლიტერატურაში ერთმანეთისაგან განსხვავებული იყო საკუთრება, როგორც ეკონომიკური კატეგორია, და, საკუთრება, როგორც იურიდიული კატეგორია, როგორც საკუთრების უფლება.

<sup>1</sup> სამართლის საფუძვლები. ავტორთა კოლექტივი ს. ჯორბენაძის, ნ. წერეთლისა და სხვათა შემაღგენლობით. თბ., 1977, გვ. 135-136.

„საკუთრება, როგორც ეკონომიკური კატეგორია, ხაზგასმულია პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელოში, – მატერიალური დოვლათის მითვისების ისტორიულად განპირობებული ფორმაა, რომელშიც გამოხატულია საზოგადოებრივი წარმოების პროცესში ადამიანთა შორის ურთიერთობა, მატერიალური დოვლათის გაცვლა და განაწილება. სხვანაირად, საკუთრება, როგორც ეკონომიკური კატეგორია, არის ადამიანთა შორის განსაზღვრული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ურთიერთობანი, მატერიალური დოვლათის, უპირველეს ყოვლისა, წარმოების საშუალებათა მითვისების თაობაზე განსაზღვრულ საზოგადოებრივ ფორმაციაში.

საკუთრება, მოიცავს საკუთრების ურთიერთობათა ერთობლიობას არა მის იურიდიულ გამოხატულებაში, როგორც ნებითი ურთიერთობანი, არამედ მათ რეალურ ფორმაში, ე. ი. წარმოებით ურთიერთობაში.

„წარმოებითი ურთიერთობის“ ცნება მოიცავს შემდეგ ელემენტებს: წარმოების იარაღებსა და საშუალებებზე საკუთრების განსაზღვრულ ფორმას; მატერიალური დოვლათის წარმოების პროცესში ადამიანთა შორის ურთიერთობებს; პროდუქტების განაწილების ფორმებს; მატერიალური დოვლათის გაცვლისა და მოხმარების სფეროში ურთიერთობებს.

მაშასადამე, საკუთრება, როგორც ეკონომიკური კატეგორია, უმთავრესად მოიცავს წარმოებითი ხასიათის ურთიერთობებს, აგრეთვე ამ ურთიერთობათა არსებობის მატერიალურ ფორმებს – წარმოების საშუალებებს, ქონებას, ნივთებს“<sup>1</sup>.

„ერთ-ერთი ამოსავალი დებულება საკუთრების ცნებაში, – აღნიშნავს პროფესორი ბესარიონ ზოიძე, – ისაა, რომ საკუთრება უპირველეს ყოვლისა განამტკიცებს მოვლენათა სტატიკურ მდგომარეობას. ამდენად, საკუთრებაში მთავარია პირის ნივთთან ურთიერთობის ხასიათი, მისი შინაარსი და გარანტიები. მოკლედ რომ ვთქვათ, საკუთრება პირის ნივთთან ურთიერთობაა. მაშინ როდესაც საბჭოთა სამართალი სრულიად საპირისპირო დებულებას განამტკიცებდა: საკუთრება პირთა შორის ურთიერთობაა ნივთის თაობაზედ“<sup>2</sup>.

წარმოებითი ურთიერთობის გარეგან გამოხატულებად, ანუ მის

<sup>1</sup> Политическая экономия. Т. 3, М., 1987, с. 112-159.

<sup>2</sup> იხ. ბესარიონ ზოიძე. სანივთო სამართალი. გამომცემლობა „უფლება“, თბ., 1999, გვ. 59.



სამართლებრივ „გარსად“ გვევლინება საკუთრების უფლება. საკუთრების უფლება ყოველთვის გულისხმობს იმას, რომ მესაკუთრეს აქვს ქონება, რაც საკუთრებითი ურთიერთობის ნივთიერ შინაარსს შეადგენს.

საკუთრების უფლება არის წარმოების საშუალებებსა და პროდუქტებზე წარმოშობილი მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებამოსილება.

საკუთრების უფლება ყველაზე ფართო ქონებრივი უფლებაა. მას მატერიალური ნივთობრივი შინაარსიც აქვს, ვინაიდან გულისხმობს არა პირთა შორის ურთიერთობას ნივთის თაობაზე, არამედ ნივთთან სუბიექტის ურთიერთობას.

საკუთრების უფლება, ისე როგორც ყოველი სხვა უფლება, არ შეიძლება არსებობდეს სამართლის გარეშე. სამართალი განსაზღვრავს მესაკუთრის უფლებამოსილების ფარგლებს. საკუთრების უფლების დახასიათებისათვის მთავარია კანონით ზუსტად დადგენილი მისი ფარგლების ცოდნა. საკუთრების უფლება არის იურიდიულად განმტკიცებული წარმოებითი ურთიერთობის განსაზღვრული ფორმა.

საკუთრების უფლების ცნებაში, სიტყვის ობიექტური მნიშვნელობით, უნდა ვიგულისხმოთ სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა, რომლებიც ქმნიან კერძო, სახელმწიფო, კოლექტიური და სხვა სახის საკუთრების სამართლებრივ ინსტიტუტს, ხოლო სიტყვის სუბიექტური მნიშვნელობით — მოქალაქეებისათვის, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის კანონით უზრუნველყოფილი შესაძლებლობა, ფლობდნენ, სარგებლობდნენ და განკარგავდნენ ქონებას თავიანთი ძალაუფლებითა და ყველაზე უფრო ყოვლისმომცველი წესით. ეს უკანასკნელი იმასაც ნიშნავს, რომ სხვა პირებს უფლება არა აქვთ დაარღვიონ მესაკუთრის მფლობელობა, სარგებლობა და განკარგვა.

„სამოქალაქო სამართალში აღიარებული ცნების შესაბამისად, — აღნიშნავს პროფესორი ლადო ჭანტურია, — საკუთრება არის ნივთზე ბატონობის სამართლებრივად აღიარებული „უფლება“. საკუთრება გულისხმობს არა ფაქტობრივ ბატონობას ნივთზე, არამედ უფლებას. ნივთზე ფაქტობრივი ბატონობა გამოიხატება „მფლობელობის“ ცნებით. „მფლობელობა“ სამართლებრივი გაგებით, ნიშნავს ნივთის ფაქტობრივ პყრობას, მიუხედავად იმისა, შეესაბამება თუ არა ამ პყრობას უფლება; ქურდიც არის მფლობელი“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> იხ. ლადო ჭანტურია. უძრავი ნივთების საკუთრება. შედარებითი სამართლებრივი კვლევა (გერმანული სამართლის მაგალითზე). თბ., 1994, გვ. 43.

ზემოაღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ საკუთრება და საკუთრების უფლება საზოგადოებრივი ცხოვრების სავსებით სხვადასხვა მოვლენაა. საკუთრების ურთიერთობანი არის განმსაზღვრელი, ხოლო საკუთრების უფლება – მისგან ნაწარმოები.

საკუთრების უფლება თავისთავად, საკუთრების მატერიალური ურთიერთობისაგან მოწყვეტით, არ ამოწურავს განსახილველი დანაშაულის გვარეობითი ობიექტის ცნებას. სამართლებრივი ურთიერთობანი ეკონომიკურ ურთიერთობებს ეფუძნება და ამ უკანასკნელით განისაზღვრება. მხედველობაში უნდა გვქონდეს ისიც, რომ საკუთრების მატერიალური ურთიერთობა სრულიადაც არაა განკერძოებული საკუთრების უფლებისაგან სიტყვის როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური აზრით. მატერიალური ურთიერთობანი თავის განმტკიცებას სამართლებრივ ნორმებში, საკუთრების იურიდიულ ურთიერთობებში, ე. ი. საკუთრების სამართალში ღებულობს. აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ, საკუთრების უფლებიდან გამომდინარე, იურიდიული ურთიერთობანი ყოველთვის არის ადამიანთა შორის ნებელობითი ურთიერთობანი. ეს არის სამართლებრივი საზოგადოებრივი ურთიერთობანი, რაც ზედნაშენს მიეკუთვნება.

ამრიგად, საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულის გვარეობითი ობიექტი (საკუთრება) მოიცავს როგორც საკუთრების ეკონომიკურ, ასევე სამართლებრივ ურთიერთობებს. ამ ურთიერთობებიდან ავტორთა ერთი ნაწილი პრიმატს ეკონომიკურ ურთიერთობებს ანიჭებს, ხოლო მეორენი – სამართლებრივს. სწორედ ამან გამოიწვია ავტორთა მხრივ აზრთა სიმრავლე საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულის გვარეობითი ობიექტის განსაზღვრასთან დაკავშირებით.

თავისი გვარეობითი ობიექტით საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული განსხვავდება სახელმწიფო, სამოხელეო და სხვა დანაშაულისაგან, რომლებიც ასევე ზოგჯერ არსებით ზიანს აყენებენ საკუთრებით ურთიერთობებს; მაგალითად, საბოტაჟო (სსკ 318-ე მუხლი), ბანდიტიზმი (სსკ 224-ე მუხლი) მასობრივი არეულობა (სსკ 225-ე მუხლი) და სხვ., მართალია, მატერიალურ ზიანს აყენებს მოქალაქეებს, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ანადგურებს ხალხის მიერ შექმნილ მატერიალურ ფასეულობებს, დაბრკოლებებს უქმნის მოქალაქეებს, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს იმაში, რომ ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს ქონებას თავისი შეხედულებისამებრ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ შემადგენლობებში არის დანაშაულის ძირითადი, უფრო მნიშვნელოვანი

გვარეობითი ობიექტი, სახელდობრ, საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და უშიშროების საფუძვლები, რომელიც საქართველოს ძირითად ინტერესებს გამოხატავს სახელმწიფო მმართველობის, თავდაცვისუნარიანობის, სახალხო მეურნეობისა და ეკონომიკის დარგში და რაც სახელმწიფოს წინააღმდეგ დანაშაულისთვისაა დამახასიათებელი. ისეთ დანაშაულებს, როგორცაა: სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (332-ე მუხლი) და სამსახურებრივი გულგრილობა (342-ე მუხლი), ასევე შეუძლია ზიანი მიაყენოს საკუთრების ურთიერთობებს, მაგრამ მათ ძირითად, მთავარ ობიექტად მაინც გვევლინება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი აპარატის (დაწესებულება-ორგანიზაციების, საწარმოების) სწორი მუშაობა, რის გამოც ზემოაღნიშნული შემადგენლობები კანონმდებელმა სამოხელეო დანაშაულთა თავში შეიტანა.

ზოგიერთი დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ ხელყოფს საზოგადოებრივი ურთიერთობის არა ერთ, არამედ ორ ჯგუფს; მაგალითად, ყაჩაღური თავდასხმის დროს დამნაშავე ერთდროულად ხელყოფს ორ ობიექტს – საკუთრებას და ჰიროვნებას, მაგრამ რამდენადაც ყაჩაღობის დროს საკუთრების ურთიერთობანი არის მთავარი (ძირითადი) ობიექტი, რომლის წინააღმდეგ, უპირველეს ყოვლისა, მიმართულია ხელყოფა, ამდენად ყაჩაღობა, ქონების დაუფლების მიზნით, კანონმდებელმა საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულთა ჯგუფს მიაკუთვნა.

საბოლოოდ, კერძო, კოლექტიური და სახელმწიფო საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულის გვარეობით ობიექტად უნდა მივიჩნიოთ მათი საკუთრება. ამ უკანასკნელში გამოხატულია საკუთრებითი ურთიერთობის ყველაზე არსებითი, განსაზღვრული მხარეები. ფაქტია, იგულისხმება როგორც ეკონომიკური, ასევე საკუთრების უფლებიდან გამომდინარე ურთიერთობები, რომელთა წინააღმდეგ მიმართულია დანაშაულებრივი ხელყოფა. განსახილველი დანაშაულის გვარეობითი ობიექტი, რომ საკუთრებაა, ამ დებულების სისწორეს ასაბუთებს თვით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXV-ე თავის დასათაურებაც: „დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ“.

ჩვენს ქვეყანაში არსებობს საკუთრების შემდეგი ფორმები:

1. კერძო საკუთრება; 2. კოლექტიური საკუთრება; 3. სახელმწიფო საკუთრება. საკუთრების უფლება აღიარებულია და უზრუნველყოფილია (დაცულია) კონსტიტუციითა და სხვა კანონებით. დაუშვებელია საკუთრების, მისი შექენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების

უფლების გაუქმება. მესაკუთრეს აქვს თავისი ქონების (ნივთის) მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლება. მას შეუძლია ეს უფლება სხვას გადასცეს, ასევე მოახდინოს თავისი ქონების მიმართ ნებისმიერი მოქმედება, რომელიც კანონს არ ეწინააღმდეგება. საერთოდ, საკუთრების ჩამორთმევა დაუშვებელია. გამონაკლისია როცა მისი ჩამორთმევა ხდება საზოგადოებრივი საჭიროებისათვის რაც მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით ხდება და რა დროსაც მესაკუთრეს უნაზღაურდება ქონების ღირებულება.

მესაკუთრის მიერ საკუთრების უფლების განხორციელება ზიანს არ უნდა აყენებდეს გარემოს, არ უნდა ლახავდეს მოქალაქეთა, იურიდიულ პირთა და სახელმწიფოს უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს. თუ საკუთრების უფლების დაცვამ სხვას ზარალი მიაყენა, იგი მესაკუთრემ სრულად უნდა აანაზღაუროს.

საკუთრების უფლების ობიექტებია: მიწა და მისი წიაღი, წყლები, კონტინენტური შეღვის რესურსები, ფლორა და ფაუნა, საწარმოები. წარმოების, ტრანსპორტისა და ინფორმაციის საშუალებები, საცხოვრებელი სახლები, აგარაკები, მატერიალური და სულიერი კულტურის საგნები, ფული, ფასიანი ქაღალდები, ძვირფასი ლითონები და ქვები, აგრეთვე სხვა მოძრავი და უძრავი ქონება. მესაკუთრის ქონების სამეურნეო და სხვა გამოყენების შედეგი, წარმოებული პროდუქცია, ნაყოფი და სხვა შემოსავალი.

მოქალაქეთა კერძო საკუთრებაში შეიძლება იყოს ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ობიექტი, გარდა იმ ობიექტებისა, რომლებიც მოქმედი კანონების თანახმად განეკუთვნებიან სახელმწიფო საკუთრების განსაკუთრებული უფლების ობიექტებს. კერძო საკუთრება იქმნება და მრავლდება საზოგადოებრივ წარმოებაში მონაწილეობის, საკუთარი მეურნეობის გაძღოლის შედეგად მიღებული შემოსავლის, საკრედიტო დაწესებულებებში, აქციებსა და სხვა ფასიან ქაღალდებში დაბანდებული სახსრებისაგან შემოსავლის, მემკვიდრეობით ქონების მიღების ზარჯზე და კანონით დაშვებული სხვა საფუძვლებით.

კოლექტიური საკუთრების ობიექტებია საკუთრების უფლების ყველა ობიექტი, გარდა იმ ობიექტებისა, რომლებიც მოქმედი კანონის თანახმად განეკუთვნებიან სახელმწიფო საკუთრების განსაკუთრებული უფლების ობიექტებს. კოლექტიურ საკუთრებას განეკუთვნება საიჯარო საწარმოების, კოლექტიური საწარმოების, კოოპერატივების, სამეურნეო საზოგადოებებისა და ამხანაგობების, სამეურნეო ასოციაციების, სააქციო

საზოგადოებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სხვა იმ გაერთიანებების საკუთრება, რომლებიც იურიდიული პირები არიან.

სახელმწიფო საკუთრებაში შეიძლება იყოს საერთოდ საკუთრების უფლების ყველა სახის ობიექტი. მაგრამ სახელმწიფოს განსაკუთრებული უფლებები აქვს ბუნებრივ რესურსებზე. სახელმწიფოს შეუძლია თავისუფლად განკარგოს საკუთარი რესურსები თავისი პოლიტიკის შესაბამისად. სახელმწიფო საკუთრების განსაკუთრებული უფლების ობიექტებია განსაკუთრებული მნიშვნელობის მიწა და მისი წიაღი, შიდა და ტერიტორიული წყლების, აგრეთვე კონტინენტური შეღვისა და საზღვაო ეკონომიკური ზონის რესურსები, საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის კულტურული და ისტორიული ძეგლები, სახელმწიფო ხაზინის ფასეულობები, სახელმწიფო ბანკები, სახელმწიფო საპენსიო, სადაზღვევო და სხვა ფონდები, შეიარაღებული ძალების, სასაზღვრო და შინაგანი ჯარების, სამართალდამცავი ორგანოებისა და სხვა ქონება.

საკუთრებითი საზოგადოებრივი ურთიერთობები ყოველთვის გარესამყაროს გარკვეულ საგნებთან, ნივთებთანაა დაკავშირებული. წარმოების იარაღები და საშუალებები, ბუნების საგნები, ადამიანთა შრომის პროდუქტები საკუთრების ნივთიერ შინაარსს შეადგენენ. საკუთრება, თავის მხრივ, პირის ნივთთან ურთიერთობაა. ცხადია, კერძო, სახელმწიფო ან კოლექტიურ ქონებაზე ხელყოფისას მის შესაკუთრეს მატერიალური ზარალი ადგება.

აღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულის საგანი არის ქონება, აგრეთვე ფული და ფასიანი ქაღალდები. ქონება, ობიექტურად, განსაზღვრული მატერიალური ღირებულების შემცველი უნდა იყოს. თუ ქონება, რომელიც ხელყოფილია, ამკარად მცირე ღირებულებისაა, ასეთ შემთხვევაში ქმედობა დანაშაულად არ შეიძლება ჩაითვალოს. ამ თეზისის დასტურია ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილი, სადაც ხაზი გაესმის შემდეგს: დანაშაულს არ წარმოადგენს ისეთი ქმედება, რომელიც თუმცა ფორმალურად შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდიდა მისი ჩამდენის სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას, ან არ შეუქმნია ასეთი ზიანის საფრთხე.

კერძო, კოლექტიური ან სახელმწიფო საკუთრების წინააღმდეგ

დანაშაულის საგანი, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, როგორც წესი, შეიძლება იყოს ისეთი ქონება ან ნივთი, რომლებშიც ადამიანის შრომაა ჩაქსოვილი. აქედან გამომდინარე, ხე-ბუჩქნარის გაჩეხვა, რაც დაკავშირებულია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის ზარალის მიყენებასთან, ქმნის არა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული რომელიმე დანაშაულის შემადგენლობას, არამედ დანაშაულის იმ შემადგენლობას, რასაც ითვალისწინებს საქ. სისხლის სამართლის კოდექსის 303-ე მუხლი (ხე-ბუჩქნარის უკანონო გაჩეხვა), ეს უკანასკნელი კი გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ დანაშაულთა თავშია მოთავსებული (იხ. თავი XXXVI).

კანონმდებელი გამონაკლისის სახით უშვებს ისეთ შემთხვევებს, როცა საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულის საგანი თავისთავად ისეთია, რომ მასში ადამიანის შრომა არაა ჩაქსოვილი, მაგრამ მასზე ხელყოფისას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მაინც დგება; მაგალითად, საქ. სს კოდექსის 304-ე მუხლი ითვალისწინებს ტყის ან ნარგავის დაზიანება ან განადგურებას ცეცხლთან ან მომეტებული საფრთხის წყაროსთან გაუფრთხილებელი მოპყრობით.

საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულის საგანი შეიძლება იყოს როგორც მოქალაქის ქონება (ტვირთი, ბარგი, საფოსტო ამანათები, სახმარი ან სხვა ნივთები), ასევე სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების (კოლექტივის) ქონებაც.

თუ მოქალაქის ქონება მიბარებულია სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციაზე შენახვის ხელშეკრულებით, მაშინ აღნიშნული ქონების დაკარგვის (მოპარვის) შემთხვევაში შესაბამისი ორგანიზაციები ვალდებული არიან აუნაზღაურონ ქონების ღირებულება მოქალაქეებს.

თუ მოქალაქის ქონება იმყოფება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის ტერიტორიაზე და ორგანიზაციას შენახვისათვის მატერიალური პასუხისმგებლობა არ ეკისრება, ასეთ შემთხვევაში ორგანიზაციის მხრივ პასუხისმგებლობა გამორიცხულია.

უწყურადლებო დამოკიდებულებამ იმ საკითხის გარკვევაში, თუ ვის ეკუთვნის ქონება, შეიძლება სასამართლო მცდარი გადაწყვეტილების მიღებად მიიყვანოს (იგულისხმება ქონების ანაზღაურების რაკურსი).

ქონების მესაკუთრის ზუსტი გარკვევა შესაძლებლობას იძლევა დადგინდეს დაზარალებული და გადაწყდეს საკითხი, თუ ვის აუნაზღაურდეს დანაშაულებრივი ხელყოფის შედეგად მიყენებული ზარალი.

საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულის ხელყოფის საგნად ასევე გვევლინება უძრავი ქონება<sup>1</sup> – სამეურნეო ნაგებობები, საწარმოო და საცხოვრებელი შენობები, ტყის მასივები და სხვ., რომელთაც მატერიალური ღირებულება აქვთ. რაც შეეხება საკუთრებაზე ხელყოფას დაუფლების ფორმებით, ასეთ შემთხვევაში ხელყოფის საგანი არის მხოლოდ სხვისი მოძრავი ქონება (ნივთი), ფული ან სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები.

ამრიგად, საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულის საგანი არის ამ დანაშაულის შემადგენლობით გათვალისწინებული მატერიალური ნივთი, რომელზეც მიმართულია დამნაშავის მოქმედება. განსახილველი დანაშაულის საგანი და ობიექტი იმით განსხვავდება ირთმანეთისაგან, რომ ამ დანაშაულის საგანი თავისთავად არ წარმოადგენს საზოგადოებრივ ურთიერთობას.

საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულის საგნისათვის ისიცაა დამახასიათებელი, რომ იგი ამ დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი ელემენტია; მაგალითად, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შემადგენლობაში დანაშაულის საგანზე პირდაპირაა მითითებული.

საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულში დანაშაულის საგანი მატერიალურ საგნებზე ზემოქმედებაში გამოიხატება. იგი საკუთრების ურთიერთობაში შესაფერის საზოგადოებრივ ურთიერთობათა მატერიალურ (მაგალითად, ქონება) გამოხატულებას წარმოადგენს<sup>2</sup>.

საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულის ობიექტური მხარე, როგორც წესი, აქტიური მოქმედებით ხასიათდება (მაგალითად, ქურდობა, ძარცვა, თაღლითობა, ყაჩაღობა და სხვ.).

---

<sup>1</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, ქონების ცნებაში იგულისხმება ვისიმე საკუთრებად არსებული ნივთებისა და სხვადასხვა ფასეულობის ერთობლიობა (ავლადიდება, დოვლათი). ლექსიკონი განასხვავებს უძრავსა და მოძრავ ქონებას. უძრავი ქონებაა ვისიმე საკუთრებად არსებული მიწა, სახლ-კარი, რომლის ადგილიდან დაძვრა თვისების დაუკარგავად არ შეიძლება. მოძრავი ქონებაა ვისიმე საკუთრებად არსებული სარჩო-საბადებელი, ნივთიულობა, ფული, რომლის ადგილიდან დაძვრა თვისების დაუკარგავად შეიძლება (იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VII, სვეტ. 345, თბ., 1962).

<sup>2</sup> დაწერილებით დანაშაულის საგანზე იხ. თ. წერეთელი, გ. ტყემულიაძე, მოძღვრება დანაშაულზე, თბ., 1969, 157-164; Н. И. Коржанский. Объект и предмет уголовного-правовой охраны. М., 1980, с. 50-60.

საკუთრებაზე ხელყოფის ფორმები ერთობ სხვადასხვაგვარია და მოქმედებათა განსაზღვრული ხერხებით ხასიათდება. ეს ხერხები აუცილებელი ნიშანია როგორც დანაშაულის ცალკეული ჯგუფის, ასევე თითოეული დანაშაულისათვის საკუთრების წინააღმდეგ; მაგალითად, ქურდობა, ძარცვა, მითვისება-გაფლანგვა და სხვა დანაშაულები, რომელთაც საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულის გვარობითი ცნება მოიცავს, ერთმანეთისაგან მოქმედებათა ხერხებით განსხვავდებიან. მოქმედებათა ხერხებით განსხვავდება ასევე ერთმანეთისაგან საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ცალკეული ჯგუფი. სახელდობრ, ანგარებითი დანაშაულები (საქ. სსკ 177-ე-180-ე, ასევე 182-ე და 183-ე მუხლები) და მისი სახესხვაობები (181-ე და 184-ე მუხლი) განსხვავდება არაანგარებითი დანაშაულებისაგან (187-ე, 188-ე მუხლები).

ჩამდენადაც დანაშაულის ჩადენის ხერხი თავისთავად დანაშაულებრივი მოქმედების (უმოქმედობის) ფორმას წარმოადგენს (რომელიც ამ უკანასკნელთან მჭიდრო კავშირშია), იმდენად არ არის არც ერთი დანაშაული მისთვის დამახასიათებელი დანაშაულის ჩადენის ხერხის გარეშე.

იურიდიულ ლიტერატურაში არ არის აზრთა ერთიანობა იმის შესახებ, თუ რა უნდა მივიჩნიოთ დანაშაულის ჩადენის ხერხის ცნებად და რა კატეგორიის დანაშაულის მიმართ უნდა იქნეს იგი გამოყენებული.

გ. ზუიკოვის აზრით, დანაშაულის ჩადენის ხერხი გამოსაყენებელია მხოლოდ განზრახ დანაშაულზე და წარმოადგენს მოქმედებათა კომპლექსს, ჩადენილს დამნაშავეთა მიერ განსაზღვრული წესით და მიმართულია დანაშაულებრივი მიზნის მიღწევისაკენ<sup>1</sup>.

ლ. კრუგლიკოვს დანაშაულის ჩადენის ხერხად მიაჩნია დანაშაულის ობიექტზე ხელყოფის ფორმა. მისი აზრით, ხერხი, ესაა დანაშაულის ჩადენის დროს პირის ქცევის, მოქმედების განსაზღვრული წესი, საშუალება, მეთოდი, დამოუკიდებლად იმისა, დანაშაული ჩადენილია განზრახ თუ გაუფრთხილებლობით<sup>2</sup>.

<sup>1</sup> იხ. Г. Г. Зуйков. Криминалистическое учение о способе совершения преступления. Автореферат докторской диссертации. М., 1970, с. 8.

<sup>2</sup> იხ. Л. Л. Кругликов. Способ совершения преступления. Автор. канд. диссертации. Свердловск, 1971, с. 7.



აღნიშნულ განმარტებათა საერთო ნაკლია ის, რომ თითოეული ავტორი, თავისებურად წყვეტს რა დაყენებულ საკითხს, თავის განმარტებაში არ მიუთითებს, აქვს თუ არა კავშირი დანაშაულის ჩადენის ხერხს დანაშაულის შედეგთან, დამნაშავის სოციალური საშიშროების ხარისხთან, ასევე აქვს თუ არა რაიმე მნიშვნელობა დანაშაულის ჩადენის ხერხის ცოდნას დანაშაულის გახსნისა და იმ სისხლისსამართლებრივი საკითხების გადასაწყვეტად, რომლებიც აღმოცენდება სისხლის სამართლის მატერიალური ნორმის გამოყენებასთან დაკავშირებით და სხვ.

დანაშაულის ჩადენის ხერხის ცნების შედარებით უფრო სწორ განმარტებებს იძლევიან ე. კურანოვა და გ. გუსტოვი. ე. კურანოვას აზრით, დანაშაულის ჩადენის ხერხი უნდა გავიგოთ, როგორც დანაშაულის მომზადების, ჩადენისა და დაფარვისათვის გამიზნულ მოქმედებათა კომპლექსი, არჩეული დამნაშავის მიერ იმ მიზეზებისა და პირობების შესაბამისად, რომლებშიც განხორციელდება დანაშაულებრივი განზრახვა<sup>1</sup>. გ. გუსტოვის განმარტებით კი დანაშაულის ჩადენის ხერხი არის იმ მოქმედებათა კომპლექსი (განპირობებული ობიექტის თვისებებით, დანაშაულის ჩადენის პირობებით და აგრეთვე დანაშაულის ჩადენის დროს სუბიექტის მოქმედების განზრახვითა და ინდივიდუალური თავისებურებებით), რაც დამახასიათებელ კვალს ტოვებს და საშუალებას იძლევა დანაშაულის გასახსენელად<sup>2</sup>.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:

1. რამდენადაც ერთნაირია დანაშაულის ჩადენის ხერხების არჩევის განმსაზღვრელი ფაქტორები, იმდენად მეორდება დანაშაულის ჩადენის ხერხები;

2. იმის გათვალისწინებით, რომ დანაშაულის ჩადენა ხდება ერთნაირ პირობებში და დამნაშავე ასრულებს ანალოგიური ხასიათის მოქმედებებს, ამდენად დამნაშავეთა მიერ დატოვებული კვალი თითქმის ერთნაირია;

3. კვალთა ერთობლიობა, რაც ასახავს დანაშაულის ვითარებას,

---

1 იხ. Э. Д. Куранова. Об основных положениях методики расследования отдельных видов преступлений. "Вопросы криминалистики". М., 1962, вып. 6-7, с. 165.

2 იხ. Г. А. Густов. Расследование и предупреждение хищений хлебных продуктов при заготовке и переработке, автореферат кандидатской диссертации. М., 1965, с. 9.

გვევლინება დამნაშავეის მიერ გამოყენებული განსაზღვრული ხერხის ობიექტურ ნიშნად და გვეხმარება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ამ ხერხის გამოცნობაში:

4. ერთგვაროვანი დანაშაულის ჩადენისას (დანაშაულის ჩადენის ხერხის დადგენისა და სუბიექტის მიერ დატოვებული კვალის გამოვლენის, ფიქსაციისა და ამოღების მიზნით) შეიძლება გამოძიებლის მუშაობის ერთი და იმავე ხერხებისა და მეთოდების გამოყენება;

5. დანაშაულის ჩადენის ხერხის არჩევის განმსაზღვრელი ფაქტორებისა და თვით დანაშაულის ჩადენის ხერხის ცოდნის არსი მდგომარეობს არა მარტო დანაშაულის გახსნაში, არამედ დანაშაულის თავიდან აცილებაში.

დასასრულს, დანაშაულის ჩადენის ხერხის ცნება შეიძლება ასე განიმარტოს:

დანაშაულის ჩადენის ხერხი, როგორც დანაშაულის ობიექტური მხარის ნიშანი, არის დამნაშავეის მოქმედებათა კომპლექსი, რომლის შინაარსიც განისაზღვრება მთელი რიგი ფაქტორებით, მათ შორის თვით ობიექტის თვისებებით (ე. ი. იმით, თუ რა სახის დანაშაულია ჩადენილი), დანაშაულის ჩადენის ვითარებით (მოიცავს იმ მოვლენებისა და კონკრეტული პირობების ფართო წრეს, რომლებშიც დანაშაული იქნა ჩადენილი და რომელთაც დამნაშავემ შეუხამა თავისი მოქმედება, რაც შეიძლება სწორად შეესაბამებოდეს ან სავსებით არ შეესაბამებოდეს დანაშაულის ჩადენის ვითარებას), სუბიექტის განზრახვითა და ინდივიდუალური თავისებურებებით (რათ სათანადო კვალს ტოვებს და კარგი საშუალებაა მოცემული სახის დანაშაულის გახსნისა და მისი თავიდან აცილებისათვის).

ამ ფაქტორთა ერთობლიობა განსაზღვრავს რა დამნაშავეთა მოქმედებას, ამავე დროს შესაძლებლობას იძლევა შევისწავლოთ დანაშაულის ჩადენის ხერხები მათთვის დამახასიათებელი კვლებითა და ნიშნებით, რომელთაც ახასიათებს სიმტკიცე, განმეორებადობა და შედარებით უცვლელობა. ყოველივე აღნიშნულის ცოდნით კი შეიძლება არა მარტო დანაშაულის გახსნა, არამედ ამ ხერხებით დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობის აღმოფხვრაც მომავალში.

განსახილველი დანაშაულის ობიექტური მხარის ყველაზე უფრო არსებით ნიშნად გვევლინება როგორც ცალკეული მოქალაქეებისათვის, ასევე სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის მატერიალური, ანუ ქონებრივი ზარალის მიყენება.

ქონების დანაშაულებრივი დაუფლებისას (მხედველობაში გვაქვს ანგარებითი დანაშაულები სხვისი ნივთის დაუფლების ნიშნით – ზ. წ.) მოქალაქეებზე, სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე ქონებრივი ზარალის მიყენება შესაბამისი ფონდებიდან ქონების ამოღებითაა განპირობებული; რაც შეეხება ანგარებით დანაშაულს ქონებაზე დაუფლების ნიშნების გარეშე და არაანგარიშებით დანაშაულებს, ესენი ორგანიზაციებს ქონებრივ ზარალს აყენებენ ერთ შემთხვევაში გამოძალვით (საქ. სსკ 181-ე მუხლი), ხოლო მეორე შემთხვევაში – ნივთის (ქონების) განადგურებით ან დაზიანებით (187-ე და 188-ე მუხლები).

დანაშაულის ჩადენის ხერხსა და მიყენებულ მატერიალურ ზარალს შორის უნდა დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი. ეს იმას ნიშნავს, რომ მატერიალური ზარალი უნდა იყოს შედეგი იმ კონკრეტულ მოქმედებებისა, რომლებიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მერვე კარის („ეკონომიკური დანაშაული“) XXV თავის („დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ“) მუხლების დისპოზიციაშია დასახელებელი. თუ სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციაზე, ასევე მოქალაქეებზე, მატერიალური ზარალი მიყენებულია სხვა სახის ქმედების შედეგად, მაგალითად, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობით ან არაჯეროვნად შესრულებით, მაშინ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დადგება საქ. სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლით, როგორც დაუდევრობა. საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულის შემადგენლობის დამთავრებულად ცნობისათვის, როგორც წესი, აუცილებელია დანაშაულებრივი შედეგის დადგომა, ე. ი. მოქალაქეებზე, სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე მატერიალური ზარალის მიყენება. გამონაკლისს ამ წესიდან შეადგენს ისეთი დანაშაულები, როგორიცაა: ყაჩაღობა (სხვისი მოძრავი ნივთის მისაკუთრების მიზნით თავდასხმა, რასაც ითვალისწინებს სსკ 179-ე მუხლი) და გამოძალვა (მუხლი 181-ე). პირველი დამთავრებულად ითვლება თავდასხმის მომენტიდან, ცხადია, სხვისი ქონების (მოძრავი ნივთის) დაუფლების მიზნით, ხოლო მეორე – დაზარალებულზე ქონების ან ქონებაზე უფლების გადაცემის, ან ქონებრივი სარგებლობის მიღების მოთხოვნის მომენტიდან, რასაც თან ახლავს ძალადობის გამოყენების მუქარა.

როგორც ჩანს, საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულთა შემადგენ-

ლობის უმრავლესობა მატერიალურია, სხვანაირად რომ ვთქვათ, დანაშაულთა ისეთი შემადგენლობანია, რომლებშიც დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური მხარის არსებობისათვის კანონი მოითხოვს მოქმედებით ან უმოქმედობით გამოწვეული იყოს გარკვეული დანაშაულებრივი შედეგი<sup>1</sup>.

საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულის ობიექტური მხარის ნიშნებიდან დროს, ადგილს, ვითარებას მნიშვნელობა არა აქვს განსახილველ დანაშაულთა ცალკეული შემადგენლობების დახასიათებისათვის; მათ შეიძლება ყურადღება მიექცეს სასჯელის დანიშვნისას, დამნაშავის პიროვნებისა და ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის შეფასებისას.

საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე, მოქალაქეობის არმქონე პირი, აგრეთვე უცხოელები, თუ ისინი არ სარგებლობენ დიპლომატიური იმუნიტეტის უფლებით.

საერთოდ, პირს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა რომ დაეკისროს, საჭიროა მას ჰქონდეს გარკვეული თვისებები. თუკი საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩამდენი პირი აღჭურვილი არაა იმ თვისებებით, რომლებიც დადგენილია სისხლის სამართლის კანონით იგი არ შეიძლება მიცემულ იქნას სისხლის სამართლის პასუხისმგებაში.

სისხლის სამართლის კანონის მიხედვით, დანაშაულის სუბიექტია ყოველი შერაცხადი ფიზიკური პირი, რომელსაც შეუსრულდა კანონით გათვალისწინებული ასაკი. ამრიგად, შერაცხადობა და გარკვეული ასაკის მიღწევა დანაშაულის სუბიექტის იურიდიული ნიშნებია, რომლებიც წარმოადგენენ აუცილებელ ელემენტებს ყოველი სახის დანაშაულის შემადგენლობისათვის.

ის პირი, რომელსაც გარდა ზემოაღნიშნული იურიდიული ნიშნებისა, აქვს კიდევ ისეთი განსაკუთრებული ნიშანი, რომლის არსებობის დროსაც შესაძლებელია ამა თუ იმ დანაშაულის ჩადენა, ითვლება დანაშაულის სპეციალურ სუბიექტად.

პირის სპეციალურ სუბიექტად ცნობა განპირობებულია არა მისი უფლებრივი მდგომარეობით, არამედ ისეთ დანაშაულთა

---

1 დანაშაულის მატერიალურ და ფორმალურ შემადგენლობათა დახასიათებაზე იხ. მ. უგრეხელიძე, „ბრალი საფრთხის დელიქტებში“. თბ., 1982, გვ. 4-5.

თავისებურებებით, როგორცაა სამხედრო, სამოხელეო და ზოგიერთი სხვა.

სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილი ითვალისწინებს მთელ რიგ დანაშაულებს, რომლებიც შეიძლება ჩაიდინოს მხოლოდ სპეციალურმა სუბიექტმა. დანაშაულის სპეციალური სუბიექტის ცნების მართებულ გაგებას დიდი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის სწორი კვალიფიკაციისათვის. იგი მიუთითებს იმაზე, რომ ყველა შერაცხადი ფიზიკური პირი არ შეიძლება იყოს ამა თუ იმ დანაშაულის სუბიექტი, ამასთან, განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, რომელთაც შეიძლება დაეკისროთ პასუხისმგებლობა ჩადენილი ქმედებისათვის.

სისხლის სამართლის კანონმდებლობა ითვალისწინებს მთელ რიგ ნიშნებს, რომლებიც იძლევიან დამნაშავეის მორალური და სოციალურ-პოლიტიკური მხარის დახასიათებას. ამ ნიშნებს სასამართლო მხედველობაში იღებს სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს.

საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ყველა დანაშაულისათვის დგება 14 წლის ასაკიდან (იხილეთ სსკ 33-ე და მე-80 მუხლები).

სუბიექტური მხრივ განსახილველ დანაშაულთა (დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ) ერთი ნაწილი ხასიათდება განზრახი, ხოლო მეორე ნაწილი – გაუფრთხილებელი ბრალით; მაგალითად, ისეთი დანაშაულები, როგორცაა: ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა. მითვისება ან გაფლანგვა, თაღლითობა – ხასიათდება პირდაპირი განზრახვითა და ანგარების მიზნით, ხოლო სსკ 188-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული (ნივთის დაზიანება ან განადგურება გაუფრთხილებლობით) ხასიათდება მხოლოდ გაუფრთხილებელი ბრალით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე ზოგადი ცნების სახით დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული და ასევე საზოგადოებრივად საშიში (ზ.წ.) ქმედება, რომელიც ხელყოფს კერძო, კოლექტიურ და სახელმწიფო საკუთრებას და მატერიალურ (ქონებრივ) ზარალს (ზიანს) აყენებს მის მესაკუთრეს.

საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულის სისტემის საკითხთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ მერვე კარის XIX თავში გათვალისწინებული მუხლები პირობითად უნდა დავყოთ: 1) ანგარებით და 2) არაანგარებით დანაშაულებად.

ანგარებით დანაშაულებაში. თავის მხრივ, უნდა გამოვყოთ:

ა) ანგარებითი დანაშაულები ქონების, მოძრავი ნივთის დაუფლების (დატაცების) ნიშნებით და ბ) ანგარებითი დანაშაულები ქონების, მოძრავი ნივთის დაუფლების (დატაცების) ნიშნების გარეშე<sup>1</sup>.

პირველ ჯგუფს მიეკუთვნება დანაშაულის შემდეგი შემადგენლობები: ქურდობა (მუხლი 177-ე); ძარცვა (მუხლი 178-ე); ყაჩაღობა (მუხლი 179-ე); თაღლითობა (მუხლი (180-ე); მითვისება-გაფლანგვა (მუხლი 182-ე) და განსაკუთრებული ისტორიული, კულტურული, მეცნიერული ან ეროვნული ღირებულების ნივთის ან დოკუმენტის დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით (მუხლი 183-ე).

მორე ჯგუფს მიეკუთვნება შემდეგი დანაშაულები: გამოძალვა (მუხლი 181-ე); ავტომობილის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მისაკუთრების მიზნის გარეშე (მუხლი 184-ე); ქონებრივი დაზიანება მოტყუებით (მუხლი 185-ე); წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შექენა ან გასაღება (მუხლი 186-ე); ინტელექტუალური საკუთრების უფლების ხელყოფა<sup>2</sup> (მუხლი 189-ე).

არაანგარებით დანაშაულებს კი მიეკუთვნება: ნივთის დაზიანება ან განადგურება (მუხლი 187-ე) და ნივთის დაზიანება ან განადგურება გაუფრთხილებლობით (მუხლი 188-ე).

---

<sup>1</sup> საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულთა ასეთ სისტემას ვხვდებით ბოლო დროს გამოცემულ რუსულ სახელმძღვანელოებში (იხილეთ: Российское уголовное право. Особенная часть. Под редакцией В. Н. Кудрявцева. "Юристъ". М., 1997, с. 140; Уголовное право России. Особенная часть. Под редакцией А. И. Рагога. 3-е издание. М., 1998, с. 114; Уголовное право Российской Федерации. Особенная часть. Под редакцией Б. В. Здравомыслова. Издание второе. М., "Юристъ". 1999, с. 140.

<sup>2</sup> დანაშაულის ეს შემადგენლობა ასახვას უნდა პოულობდეს არა მე-8 კარის (ეკონომიკური დანაშაული) მე-20 თავში (დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ), არამედ მე-7 კარის (დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ) 23-ე თავში (დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ). საქმე იმაშია, რომ ამ დანაშაულის უშუალო ობიექტად გვევლინება საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლით გარანტირებული ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლება და ინტელექტუალური საკუთრების უფლების ხელშეუვალობა.

მუხლების განხილვას მოვახდენთ არა ანგარიშითი და არაანგარიშითი დანაშაულების კლასიფიკაციის შესაბამისად, რაც სათანადო სირთულეს ქმნის მუხლების მოძებნის თვალსაზრისით, არამედ იმ თანმიმდევრობით რასაც ადგილი აქვს საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულთა თავში.

## §2. სხვისი ქონების (ნივთის) დაუფლების (დატაცების) ცნება

მოქალაქეთა ქონების, ისევე როგორც სახელმწიფო ან კოლექტიური ქონების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება<sup>1</sup> (დატაცება), რა ფორმითაც უნდა იყოს იგი ჩადენილი, ყოველთვის დიდი საზოგადოებრივი საშიშროების მატარებელია. მის საზოგადოებრივ საშიშროებას განსაზღვრავს როგორც თვით დაუფლების (დატაცების) შინაარსი, ასევე მისი შეფარდებითი გავრცელებულობა.

კერძო, კოლექტიური და სახელმწიფო ქონების დატაცების გვარობითი ობიექტია დასახელებულ სუბიექტთა საკუთრება. რაც შეეხება უშუალო ობიექტს, შევნიშნავთ, რომ ხელყოფის უშუალო ობიექტიც შეიძლება იყოს სწორედ მათი საკუთრება.

ხელყოფის საგნად დაუფლებისას გვევლინება ის ქონება, რომელიც ეკუთვნის სახელმწიფო დაწესებულებას, საწარმოს, საზოგადოებრივ ორგანიზაციას, ასევე მოქალაქეებსა და სხვ.

მართლსაწინააღმდეგო დაუფლების საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ მატერიალური სამყაროს ისეთი საგნები, რომელთა მოპოვებასა და წარმოებაში ადამიანის შრომაა ჩაქსოვილი.

საერთოდ, ქონების ცნება ფართოა და მოიცავს როგორც ცალკეულ ნივთებს, ასევე ნივთების ერთობლიობას. ცალკეული ნივთები და საგნები, ისე როგორც ნივთებისა და საგნების ერთობლიობა, არის

---

<sup>1</sup> რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კანონმდებლობა ხმარობს ტერმინს „დატაცებას“, რაც უფრო მართებულად მიგვაჩნია. საქმე იმაშია, რომ აღნიშნული ტერმინი უფრო სრულყოფილად ახასიათებს დამტაცებლის საშიშროებასა და იმ ქმედებას რასაც იგი სჩადის. რაც შეეხება საქართველოს კანონმდებლის მიერ ნახმარ ტერმინს „დაუფლებას“ იგი დამტაცებელთა მისამართით შერბილებულ და საბოლოო ჯამში არასრულფასოვან ტერმინად უნდა მივიჩნიოთ. ვინაიდან აღნიშნულ ტერმინთა გამოიყენას ვეხებით ამ პარაგრაფის დასკვნით ნაწილში. ამდენად აქ მათზე არ შეეჩერდებით.

ხელყოფის საგანიც, რომელშიც კერძო, კოლექტიური და სახელმწიფო ქონება პოულობს კონკრეტულ და უშუალო გამოხატულებას. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ დანაშაულის კვალიფიკაციისათვის არა აქვს მნიშვნელობა (მხედველობაში გვაქვს კერძო, კოლექტიური, სახელმწიფო და სხვა სახის ქონება), ცალკეულ ნივთზე გვექნება ხელყოფა თუ ნივთების ერთობლიობაზე, რადგან საბოლოო ანგარიშით ეს მაინც ქონებაზე ხელყოფაა.

საერთო, გვარეობით და უშუალო ობიექტებად დაყოფას ის მნიშვნელობა აქვს, რომ დაზუსტდეს საკითხი იმის შესახებ, თუ, სახელდობრ, რომელ საზოგადოებრივ ურთიერთობაზეა უშუალოდ და უპირველეს ყოვლისა მიმართული მოცემული დანაშაულებრივი ხელყოფა და რომელ საზოგადოებრივ ურთიერთობას აყენებს ან შეუძლია მიაყენოს ზიანი. სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო დაუფლებისას დანაშაულებრივი ხელყოფის საგანს წარმოადგენს ქონება; ეს ქონება შეიძლება იყოს მოქალაქეთა, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის საკუთრება. რამდენადაც ხელყოფის უშუალო ობიექტად ქონების (ნივთის) დაუფლების დროს გვევლინება მოქალაქის, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების საკუთრება, შესაძლოა შემთხვევები, როცა დამნაშავე ეუფლება მოქალაქის ქონებას, მაგრამ ქმედობა აღმოჩნდება მიმართული სახ. ან საზ. საკუთრების წინააღმდეგ. ამას ადგილი აქვს მაშინ, როცა ხელყოფის საგნად გვევლინება მოქალაქის ქონება, რომელიც გადაცემულია შესანახავად ან გასაგზავნად სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე. თუმცა აღნიშნული ხასიათის ფაქტები ყველა შემთხვევაში კვალიფიცირდება საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულის თავის შესაბამისად მუხლით. ამის საფუძველი თავის მხრივ ისაა, რომ კანონმდებელი მოქალაქის პირდარი საკუთრებისა და სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დანაშაულებრივი დაუფლებისათვის დიფერენცირებულ პასუხისმგებლობას არ აწესებს.

ერთი სიტყვით, ხელყოფის უშუალო ობიექტის დადგენისათვის აუცილებელია გამოვარკვიოთ, სინამდვილეში ვის ეკუთვნის მოცემულ ქონებაზე საკუთრების უფლება. იმისათვის, რომ ქმედობა ჩაითვალოს მოქალაქის, სახ. ან საზ. საკუთრებაზე ხელყოფად და იგი კვალიფიცირებულ იქნას როგორც უკანონო დაუფლება, აუცილებელია დაუფლებული ქონება დანაშაულის ჩადენის მომენტში იყოს მოქალაქის, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის საკუთრებაში. ამის



გამო არ გვექნება დაუფლება მაშინ, როცა ქონება თუმცა უნდა გადაეცეს მოქალაქეს, სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას კანონით, ხელშეკრულებით ან სხვა საფუძვლით, მაგრამ ფაქტობრივად ჯერ კიდევ არაა მათთვის გადაცემული.

როგორც ჩანს, უკანონო დაუფლებისას ხელყოფის საგნად შეიძლება იყოს მხოლოდ ქონება (საკუთრების მატერიალური გამოსახვა), რომელიც დანაშაულის ჩადენის მომენტში მოქალაქის საკუთრებაში ან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის ფონდში იმყოფება. სახ. ან სახ. ქონება, როგორც წესი, იმყოფება ამა თუ იმ სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მფლობელობაში, მაგრამ არ არის გამორიცხული, ეს ქონება გარკვეული მიზნით მინდობილი ჰქონდეს ასევე კერძო პირებსაც (მაგალითად, გადასაზიდად, გადასამუშავებლად და სხვ.). ასეთი ქონების მართლსაწინააღმდეგო დაუფლების ყველა შემთხვევა, თუ ბრალდებულმა იცოდა მისი ფაქტობრივი მესაკუთრე, წარმოადგენს დანაშაულებრივ დაუფლებას.

რაც შეეხება ქონებას დატაცების საგნის მნიშვნელობით, ესაა მოქალაქეთა, ასევე სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების საკუთრებაში მყოფი მატერიალური ფასეულობის მქონე ნივთები და საგნები, აგრეთვე ფული, სავალუტო ფასეულობა და ფასიანი ქაღალდები, რომელთაც შესწევთ უნარი დააკმაყოფილონ ადამიანის განსაზღვრული მატერიალური ან კულტურული მოთხოვნე-ლება. მასვე მიეკუთვნება წარმოების იარაღები და საშუალებები, წარმოების პროდუქტები (როგორც მზა სახის, ისე დამზადების პროცესში მყოფი), სურსათი, ტანსაცმელი, სხვადასხვა სახის საქონელი და საგნები, რომელთაც აქვთ ეკონომიკური, სამეცნიერო, კულტურული და სხვა ღირებულება.

ვალდარებთ რა უკანონო დაუფლების საგნად მხოლოდ ისეთ ნივთებს, რომელთაც სასაქონლო ღირებულება აქვთ, ამით ხაზს ვუსვამთ იმ გარემოებას, რომ ეს ისეთი ნივთებია, რომელთა დამზადებაზე, მოყვანასა თუ მოპოვებაზე ადამიანის შრომაა გაწეული. ამიტომ დაუფლების საგანი თავისთავად არ შეიძლება იყოს მიწა, მისი წიაღი, ტყე და ა. შ. მაგრამ, თუ დაუფლების საგანი არის ბუნებრივი სიმდიდრის დაბუშაგებით მოპოვებული (მოჭრილი ხე, დაჭერილი თევზი) ან სხვა გზით მიღებული ფასეულობა, რომელშიც ადამიანის შრომაა ჩაქსოვილი (საშენებელში გაზრდილი მხეცები), ასეთი ფასეულობის დაუფლება იძლევა დანაშაულის შემადგენლობას.

ყოფილ საბჭოთა კანონმდებლობაში სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცების (დაუფლების) განზოგადებული ცნება პირველად მოცემულ იქნა 1932 წლის 7 აგვისტოს კანონში – „სახელმწიფო საწარმოთა, კოლმეურნეობების და კოოპერაციის ქონების დაცვისა და საზოგადოებრივი საკუთრების განმტკიცების შესახებ“.

კანონი აწესებდა პასუხისმგებლობას სახ. ან საზ. საკუთრების შედარებით უფრო საშიში ხელყოფისათვის და წარმოადგენდა დამოუკიდებელ, საერთო-საკავშირო მნიშვნელობის სისხლისსამართლებრივ ნორმას. მასთან ერთად მოქმედებდა ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსის მრავალი მუხლი, რომლებშიც გათვალისწინებული იყო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სახელმწიფო ამ საზოგადოებრივი ქონების დატაცების სხვადასხვა ფორმისათვის. 1932 წლის 7 აგვისტოს კანონით განსაზღვრული დატაცების ცნება მოიცავდა არა ყოველგვარ, არამედ მხოლოდ ისეთ დატაცებას, რაც ჩადენილი იყო სისტემატურად, ჯგუფურად ან დიდი ოდენობით. ამ კანონის თანახმად, რკინიგზისა და წყლის ტრანსპორტის ტვირთები, კოლმეურნეობებისა და კოოპერატივების ქონების (მოსავალი მიწებზე, საზოგადოებრივი მარაგი, პირუტყვი, კოოპერატივის საწყობები და სხვ.) მსგავსად, გაუთანაბრდა სახელმწიფო ქონებას და ყოველმხრივ გაძლიერდა მისი დაცვა დატაცებისაგან. სასჯელის ზომად გათვალისწინებულ იქნა სოციალური დაცვის უმაღლესი ღონისძიება – დახვრეტა მთელი ქონების კონფისკაციით, რაც შემამსუბუქებელი გარემოების დროს შეიძლება შეცვლილიყო არანაკლებ 10 წლით თავისუფლების აღკვეთით ქონების კონფისკაციით.

სწორად შენიშნავს პროფ. ბ. ნიკიფოროვი, რომ 1932 წლის 7 აგვისტოს კანონმა საფუძველი ჩაუყარა იმ ნორმების განსაკუთრებული ჯგუფის გამოყოფის პროცესს, რომლებიც ითვალისწინებდნენ პასუხისმგებლობას სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების ხელყოფისათვის<sup>1</sup>. ამ პროცესმა შემდგომი განვითარება პოვა ყოფილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულებაში – „სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის

<sup>1</sup> იხ. Б. С. Никифоров. Объект преступления по советскому уголовному праву. М., 1961, с. 47.

შესახებ“. ბრძანებულება ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას სახელმწიფო, საკოლმეურნეო, კოოპერაციული ან სხვა საზოგადოებრივი ქონების ქურდობის, მითვისების, გაფლანგვისა ან მისი დატაცებისათვის სხვა სახით.

ამ ბრძანებულებასთან დაკავშირებით მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების იმ მუხლებმა, რომლებიც ითვალისწინებდა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცებას, დაკარგა მნიშვნელობა.

1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულებით დაწესდა ერთნაირი პასუხისმგებლობა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცების სხვადასხვა სახისათვის. არსებითად, ქონების დატაცების ყველა ხერხი, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ბრძანებულებით გათვალისწინებული, გვეკლინებოდა დატაცების ჩადენის საშუალებად, დატაცებისა, რომლის ცნებაც ერთობ განვრცობით განისაზღვრა.

ამრიგად, ბრძანებულების გამოცემით დადგინდა სახ. ან საზ. ქონების დატაცების ერთიანი ცნება, რომელიც გულისხმობდა ქურდობას, გაძარცვას, თაღლითობას, აგრეთვე სახ. ან საზ. ქონების დაუფლებას სხვა ხერხებითა და საშუალებებით.

რამდენადაც ბრძანებულება ითვალისწინებდა სახ. ან საზ. ქონების ერთიან შემადგენლობას, ამდენად სისხლის სამართლის თეორიასა და სასამართლო პრაქტიკაში ცდილობდნენ მოენახათ ისეთი ტერმინი, რომელიც გააერთიანებდა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ფონდებიდან ქონების ამოღების ყველა შესაძლო საშუალებას. მაგრამ ასეთი ყოვლისმომცველი ტერმინის შერჩევა ახალი სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიღებამდე (იგულისხმება მოკავშირე რესპუბლიკების მიერ 1960 წელს მიღებული სისხლის სამართლის კოდექსები – ზ. წ.) ვერ მოხერხდა. საქმე ის არის, რომ დატაცების ცნებას ან თვითნებურად აფართოებდნენ, ან პირიქით, დაუსაბუთებლად ავიწროებდნენ.

დღეისათვის „დაუფლება“, („დატაცება“), როგორც საკუთრების წინააღმდეგ ხელყოფის ამსახველი ტერმინი, გვხვდება საქ. სისხლის სამართლის კოდექსის როგორც ზოგად, ისე კერძო ნაწილის მუხლებში. კანონმდებელი თუმცა ფართოდ იყენებს ამ ტერმინს, მაგრამ მისი განსაზღვრება სისხლის სამართლის კოდექსს ჯერჯერობით არ მოუცია. ეს, ბუნებრივია, აუცილებელს ხდის განიმარტოს ქონების დანაშაულებრივი დაუფლების (დატაცების) ცნება, რაც ხელს შეუწყობს

სისხლის სამართლის წესით დასჯადი დაუფლების ცალკეული ფორმების სწორ იურიდიულ კვალიფიკაციას, სხვა დანაშაულთაგან მათ გამოიჯენასა და სხვ.

დღეისათვის მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა, როგორც აღვნიშნეთ, არ იძლევა სხვისი ქონების მართლსაწინააღმდეგო დაუფლების (დატაცების) ზოგადი ცნების განსაზღვრებას, მაგრამ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მერვე კარის (ეკონომიკური დანაშაული) XXV თავი (დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ), ამომწურავად ჩამოთვლის რა ქონების დანაშაულებრივი დაუფლების ცალკეულ ფორმებს და ზუსტად ახასიათებს თითოეულ მათგანს (რომლებიც კოდექსში დამოუკიდებელი დანაშაულის სახითაა მოცემული), შესაძლებლობას იძლევა აღნიშნული მუხლების სწორი იურიდიული ანალიზისა და მათთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნების შესწავლისა და განზოგადების საფუძველზე ღრმად ჩაწვდეთ სხვისი ქონების დანაშაულებრივი დაუფლების ცნების ბუნებას და განემარტოთ იგი.

დაუფლების (დატაცების) ზოგადი ცნების განსაზღვრების საფუძვლად უნდა მივიჩნიოთ: მათ შესახებ არსებული ნორმების სოციალურ-პოლიტიკური არსის სწორად შეცნობა; საკანონმდებლო ნიშნების განზოგადება, რომლითაც ხასიათდება დანაშაულებრივი დაუფლების ცალკეული ფორმები; დანაშაულებრივი დაუფლების წინააღმდეგ ბრძოლის ადრე მოქმედი კანონმდებლობის შესწავლა; მოქმედი ნორმების პრაქტიკული გამოყენების ეფექტურობის ხარისხი; საკანონმდებლო დებულების სოციალურ-პოლიტიკური შინაარსის გარკვევა სისხლის სამართლის ზოგად პრინციპებთან კავშირში; დანაშაულებრივი დაუფლების (დატაცების) ცნებაზე არსებული განსაზღვრებისადმი კრიტიკული მიდგომა და სხვ.

პროფ. ა. ა. პიონტკოვსკი „დატაცებას“ (ამჟამად მის ტოლფას ტერმინად მიჩნეულია „დაუფლება“ – ზ. წ.) განმარტავდა; როგორც ვინმეს მიერ სახელმწიფო ან სხვა საზოგადოებრივი ქონების განზრახ უკანონო გადაქცევას თავის საკუთრებად<sup>1</sup>. ასეთი განსაზღვრების უზუსტობა ის არის, რომ დამტაცებელი არ ხდება და არც შეიძლება გახდეს დატაცებული ქონების მესაკუთრე; ასევე მასში ხაზგასმული არ არის ანგარების მიზანი, როგორც დატაცების ცნების აუცილებელი

<sup>1</sup> იხ. Курс советского уголовного права, часть Особенная, том. IV. М., 1970, с. 307.

ნიშანი, და, ბოლოს, აღნიშნული სახის განსაზღვრება არ ასახავს იმ გარემოებას, რომ დატაცებული ქონება უნდა იმყოფებოდეს სახ. ან საზ. ორგანიზაციის ფონდში.

ყოფილი სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1972 წლის 11 ივლისის №4 დადგენილებით („სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“), დატაცების ზოგადი ცნება გაგებულა, როგორც „დამნაშავეის მიერ ქონების კანონსაწინააღმდეგო, უსასყიდლო გადაქცევა თავის საკუთრებად ან სხვა პირის საკუთრებად“.<sup>1</sup> „ქონების თავის საკუთრებად ან სხვა პირის საკუთრებად გადაქცევა“ აქაც არასწორად უნდა მივიჩნიოთ.

უფიქრობთ, უფრო მართებულია ის განსაზღვრებები, რომლებსაც დატაცების ზოგად ცნებაზე იძლევიან გ. კრიგერი და სისხლის სამართლის კომენტარების ავტორები. გ. კრიგერის აზრით, „დატაცებაა ანგარების მიზნით ჩადენილი დანაშაულებრივი დაუფლება ან სხვისთვის გადაცემა ქონებისა, რომელიც იმყოფება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფონდებში“. ამ განსაზღვრების ნაკლი ისაა, რომ მასში გამოკვეთილი არაა დატაცების ობიექტური ნიშნები, კერძოდ, ქონების უკანონო, უსასყიდლო ამოღება.

სისხლის სამართლის კომენტარები... დატაცება განსაზღვრულია, როგორც ანგარების მიზნით, მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ, ქონების უკანონო, უსასყიდლო ამოღება სახ. ან საზ. ფონდებიდან და მისი უკანონო გადაქცევა ცალკეულ პირთა პირად სარგებლობაში<sup>2</sup>.

ამ განსაზღვრებაში ხაზგასმა — „მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ“ — ზედმეტად უნდა მივიჩნიოთ. საქმე ისაა, რომ ქონების უკანონო, უსასყიდლო ამოღება<sup>3</sup>, რაც იწვევს ამა თუ იმ ორგანიზაციის ფონდებში არსებული ქონების შემცირებას, ყოველთვის ეწინააღმდეგება

---

<sup>1</sup> „საქართველოს უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი“, თბ., 1972, №4, გვ. 3.

<sup>2</sup> იხ. Г. А. Кригер. Квалификация хищений социалистического имущества. М., 1974, с. 88; Комментарий к уголовному кодексу РСФСР. М., 1971, с. 193.

<sup>3</sup> „უსასყიდლო ამოღება“ ნიშნავს, სახ. ან საზ. ორგანიზაციის ფონდებიდან ამოღებული ქონების ღირებულების გადაუხდელობას, ნატურით მის დაუბრუნებლობას და ა. შ. სასამართლო პრაქტიკაში ეს ცნება გაგებულა, როგორც ქონების გაშვება და მიღება უფასოდ ან შემცირებულ ფასებში.

მესაკუთრის ნებას და, როგორც წესი, ხორციელდება ფარულად, მოტყუებით, თანამდებობის ბოროტად გამოყენებით, ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობით. ამგვარი მოქმედება ყოველთვის მატერიალურ ზიანს აყენებს ქონების მესაკუთრეს. ყოველივე ამას სათანადო ყურადღებას არ აქცევენ კომენტარების ავტორები.

ქონების (ნივთის) დაუფლების (დატაცების) ზოგადი ცნების განსაზღვრისას, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაშია მისაღები ქონების დანაშაულებრივი დაუფლების ყველა ფორმისათვის დამახასიათებელი ობიექტური და სუბიექტური ხასიათის ნიშნები.

ობიექტური ხასიათის აუცილებელი ნიშნებია შემდეგი: 1. დანაშაულის ჩადენის მომენტში ქონება უნდა იმყოფებოდეს ვინმეს მართლზომიერ მფლობელობაში; 2. უნდა ხდებოდეს ამ ქონების უკანონო, უსასყიდლო ამოღება მისი მესაკუთრის ფონდებიდან; 3. ქონება ამოღებული უნდა იქნეს კანონში მითითებული ფორმებით და იგი მატერიალურ ზიანს არ უნდა აყენებდეს ქონების მესაკუთრეს.

აქედან გამომდინარე, ცხადია, დანაშაულებრივი დაუფლება (დატაცება) არ იქნება, თუ პირი უკანონოდ ამოიღებს ქონებას მესაკუთრის ფონდებიდან და გადაიხდის ამ ქონების ღირებულებას. ასეთ შემთხვევაში ქონების მესაკუთრეს მატერიალური ზიანი არ აღგება და ამდენად პირს პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს საქართველოს სსკ 338-ე მუხლით (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება).

ქონებაზე (ნივთზე) დანაშაულებრივი დაუფლება არ გვექნება იმ შემთხვევაშიც, როცა ქონების გამოყენება, მართალია, უკანონოდ ხდება, მაგრამ იგი დაკავშირებული არ არის მესაკუთრის ფონდებიდან ქონების უსასყიდლოდ გამოსვლასთან (მაგალითად, საქონლის ნისიად გაცემის შემთხვევაში).

ქონების (ნივთის) დანაშაულებრივი დაუფლების (დატაცების) სუბიექტური ხასიათის ნიშნები ხასიათდება განზრახვი ბრალით, კონკრეტული მიზნებითა და გარკვეული მოტივებით.

განზრახვის შინაარსი ქონების (ნივთის) დაუფლებისას განისაზღვრება ქმედობის ობიექტური ნიშნების მთელი ერთობლიობით.

განზრახვა უნდა მოიცავდეს მომხდარი შემთხვევის ყველა იმ ფაქტობრივ ნიშნებს, — აღნიშნავს ა. ტრანინი, — რომლებიც ქმნიან სათანადო დანაშაულის შემადგენლობის ელემენტს<sup>1</sup>. ამ სწორი

<sup>1</sup> იხ. А. Н. Трайнин. Общее учение о составе преступления. М., 1957, с. 212.

დებულებიდან შეგვიძლია დაეასკვნათ: დამნაშავეის ფსიქიკაში ინტელექტუალური მომენტი, უწინარეს ყოვლისა, გამოიხატება იმის შეგნებაში, რომ იგი თავისი მოქმედებით დანაშაულებრივად და უნაცვალგებოდ იღებს ქონებას მესაკუთრის ფონდებიდან იმ მიზნით, რათა გადააქციოს თავის ან სხვა პირთა სასარგებლოდ, ცხადია, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების ან მოქალაქეთა ინტერესების საწინააღმდეგოდ. აქედან გამომდინარე, ქმელობა არ შეიძლება კვალიფიცირებულ იქნას დანაშაულებრივ დაუფლებად, თუ ბრალდებული თავისი მოქმედებით ამცირებს არსებულ მატერიალურ ფასეულობებს, რომლებიც შეადგენენ მესაკუთრის ფონდებს, მაგრამ ეს არ არის დაკავშირებული ცალკეული პირების გამდიდრებასთან; მაგალითად, ნიეთის დაზიანება ან განადგურება (საქართველოს სსკ 187-ე და 188-ე მუხლები).

ამრიგად, ქონების (ნიეთის) დანაშაულებრივი დაუფლებისას დამნაშავეის განზრახვის შინაარსი ისაა, რომ მან არა მარტო იცის, რომ დანაშაულებრივი გზით დაუფლებული ქონება არის სხვისი საკუთრება, არამედ ისიც აქვს შეგნებული, რომ მას არა აქვს უფლება ამ ქონებაზე, მაგრამ ხელმძღვანელობს რა ანგარების მოტივით და მისწრაფებით პარაზიტული გამდიდრებისაკენ, აქტიურად მიმართავს თავის სურვილს, რათა დანაშაულებრივი გზით დაეუფლოს სხვის ქონებას.

განზრახვის შინაარსი გამოიხატება იმაშიც, რომ ბრალდებულს სურვილი აქვს განკარგოს აღნიშნული ქონება თავისი შეხედულებებისამებრ, მისი მიზანია მატერიალური გამორჩენის მიღება, პირადი გამდიდრება სხვისი ქონების ხარჯზე. ეს მიზანი ანგარებითია და მისი დაუდგენლობა, როგორც წესი, გამორიცხავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას განსახილველი დანაშაულისათვის.

ანგარების მიზანი, ესაა ცალკეულ პირთა უკანონო, პარაზიტული გამდიდრება სხვისი ქონების ხარჯზე.

ანგარების მიზნით ჩადიან აგრეთვე ისეთ დანაშაულს, როგორიცაა: მექრთამეობა და სხვ. მაგრამ, მისგან განსხვავებით, სხვისი ქონების (ნიეთის) დაუფლებისას (დატაცებისას) ანგარებით მიზანს ყოველთვის ერწყმის ორი სხვა ნიშანი, კერძოდ, ქონების ამოღება და მისი გადაქცევა ცალკეულ პირთა პირად საარგებლობაში.

„სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცებისას (თანაბრად სხვისი პირადი ქონების დატაცებისას), — აღნიშნავს პროფ. ბ. ზა-

რაზიშვილი. — ანგარების მიზნის ცნებაში იგულისხმება სხვისი ქონების თავის საკუთრებად გადაქცევის მიზანი<sup>1</sup>. როგორც ვხედავთ დატაცების შინაარსზე სრულ წარმოდგენას იძლევა ის ფაქტი, რომ ბრალდებულს შეგნებული აქვს, თუ ვის ეკუთვნის დატაცებული ქონება. წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნება ობიექტში შეცდომას. ობიექტში შეცდომებს უმეტესად ადგილი აქვს მაშინ, როცა დამნაშავეს არავითარი ურთიერთობა არა აქვს იმ ქონებასთან რომელსაც იგი დანაშაულებრივ გზით ეუფლება; ასეთ შემთხვევაში იგი ცდება იმის გარკვევაში, თუ ვისია დატაცებული ქონება. ყოველივე ეს ჩვეულებრივ ხდება ქურდობისას, ყაჩაღობისას, გაძარცვისას. თუმცა ასეთი ფაქტი დანაშაულის კვალიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს. ასეთ დროს ქმედება ყველა შემთხვევაში დაკვალიფიცირდება საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულთა თავიდან, როგორც სხვისი ქონების (მოძრავი ნივთის) დანაშაულებრივი დაუფლება.

ისმება კითხვა: დანაშაულის კვალიფიკაციისათვის, სახელდობრ, საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულისათვის, აქვს თუ არა მნიშვნელობა იმას თუ ვის საკუთრებას ეუფლება (იტაცებს) დამნაშავე? პასუხი აქ ცალსახა უნდა იყოს „არა“. ამის საფუძველი, თავის მხრივ, ისაა, რომ კანონმდებელმა ყველა ფორმის საკუთრებაზე ხელყოფისათვის ერთნაირი პასუხისმგებლობა დააწესა. ამის დასტურია ახალი კოდექსის მერვე კარის XXV თავი (დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ). ძველი კოდექსის მე-5 თავით გათვალისწინებული დანაშაულისათვის (დანაშაული მოქალაქეთა პირადი საკუთრების წინააღმდეგ) სისხლის-სმართლებრივი პასუხისმგებლობა დგებოდა ამ თავის შესაბამისი მუხლით, ხოლო მე-2 თავით გათვალისწინებული დანაშაულისათვის (დანაშაული სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრების წინააღმდეგ) ამ თავის შესაბამისი მუხლით. ამჟამად, საკუთრებათა ზემოაღნიშნული სახის დიფერენცირებას კოდექსში ვერ ვხვდებით. ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ გამოძიებამ და სასამართლომ არ გაარკვიოს თუ ვისი საკუთრება ხელყო დამნაშავემ.

იმ შემთხვევაში როცა დამნაშავე ცდება თუ ვის ქონებას იტაცებს, აქაც კვალიფიკაცია მოხდება სსკ XXV თავით გათვალისწინებული დანაშაულის ფარგლებში, ვინაიდან საკუთრების ფორმების მიხედვით

---

1 იხ. Б. В. Харазшвили. Вопросы мотива поведения преступника в советском уголовном праве. Тб., 1963, с. 101.



ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას კანონმდებელი არ ითვალისწინებს.

თეორიული თვალსაზრისით გასააზრებელია შემდეგი მომენტებიც:

1. იმის დასადგენად, იცოდა თუ არა ბრალდებულმა ვის ეკუთვნოდა დატაცებული ქონება, დიდი მნიშვნელობა აქვს თვით ქონების ხასიათს, მის თვისებას, ფასს, ხარისხს და ა. შ.; მაგალითად, თუ დამნაშავე ფიქრობს, რომ იტაცებს სახ. ან საზ. ქონებას, მაგრამ შემდეგ აღმოჩნდება რომ იგი მოქალაქის პირადი საკუთრებაა, ქმედობა კვალიფიცირებული უნდა იქნეს, საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულის თავის შესაბამისი მუხლით. ე. ი. საკუთრების ფორმების მიხედვით განსხვავებული კვალიფიკაცია არ ხდება.

2. უკეთუ დამნაშავე თავის სასარგებლოდ აქცევს სახ. და საზ. ქონებას და შეცდომით ფიქრობს, რომ ეს ქონება მოქალაქის კუთვნილებაა, იგი თეორიულად პასუხს აგებს მოქალაქის პირადი ქონების დატაცების მცდელობისათვის. ცხადია, საკუთრების განსხვავებული ფორმა კვალიფიკაციაზე გავლენას ვერ მოახდენს.

3. განსაკუთრებით საყურადღებოა დანაშაულის კვალიფიკაციის საკითხი მაშინ, როცა აღმოჩნდება, რომ პირმა დაიტაცა ქონება, მაგრამ არ იცის ფაქტობრივად ვის ეკუთვნის იგი. ასეთი დანაშაულის კვალიფიცირებისას უნდა გამოვიდეთ ქონების ფაქტობრივი კუთვნილებიდან, ე. ი. ქმედობა კვალიფიცირებული უნდა იქნეს სახ. ან საზ. საკუთრების ხელყოფად, თუ აღმოჩნდება, რომ ქონება ეკუთვნის სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას (ცხადია ეს ეც თეორიულ ასპექტში). საკითხის ამგვარი გააზრება ვფიქრობთ მართებულია, რადგანაც ასეთ დროს ბრალდებულის მხრივ ადგილი აქვს ალტერნატიულ განზრახვას – მისი მიზანია მხოლოდ უკანონო გამდიდრება სხვისი ქონების ხარჯზე, ე. ი. მისთვის სულერთია, თუ ვის ეკუთვნის დატაცებული ქონება. ასეთ შემთხვევაში ობიექტური აუცილებლობა მოითხოვს, პირმა პასუხი აგოს იმ ქონების ხელყოფისათვის, რომელსაც მისმა დანაშაულებრივმა ქმედობამ მიაყენა ფაქტობრივი ზიანი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბრალდებული ქონების დანაშაულებრივი დაუფლებისას ყოველთვის მოქმედებს პირდაპირი განზრახვით; სახელდობრ, მისი მოქმედება მიმართულია მატერიალური ფასეულობის ამოღებისაკენ შესაკუთრის ფონდებიდან. ამავე დროს ბრალდებულმა იცის, რომ იგი სათანადო უფლების გარეშე უსასყიდლოდ აქცევს ქონებას თავის ან სხვა

პირთა სასარგებლოდ, ხელმძღვანელობს რა ამ შემთხვევაში ანგარებით.

ძველი კოდექსის (1960) მოქმედების პერიოდში თუ დამნაშავე ცდებოდა ქონების ნამდვილი მესაკუთრის გარკვევაში და ქონებას მაინც იტაცებდა. მისი ქმედება სავსებით მართებულად კვალიფიცირდებოდა მისი განზრახვის მიმართულების მიხედვით.

ქონების (მოძრავი ნივთის) დატაცების (დაუფლების) საზოგადოებრივი საშიშროება ისაა, რომ დანაშავე ქონებრივ ზიანს აყენებს ქონების მესაკუთრეს. ასევე ავლენს სწრაფვას პარაზიტული გამდიდრებისაკენ სხვისი შრომის ხარჯზე. სწორედ ეს სწრაფვა გვევლინება დამნაშავის ქცევის მამოძრავებელ მოტივად, განსაზღვრავს დამნაშავის ქცევას, ახასიათებს საბოლოოდ მთელ მის მოქმედებას. დატაცების (დაუფლების) მოტივიც და მიზანიც ანგარებითია. ასეთ ვითარებაში დანაშაულებრივი ქცევის მოტივს (სწრაფვას პარაზიტული გამდიდრებისაკენ) შეესაბამება მსგავსი მიზანი (პარაზიტულად გამდიდრდეს დატაცებული ქონების ხარჯზე), რაც განსაკუთრებით ნათლად ვლინდება დამნაშავის მიერ თავის სასარგებლოდ ქონების დანაშაულებრივი დაუფლებისას (დატაცებისას). პირის მიზანია მოიხმაროს, გამოიყენოს ან განკარგოს სხვისი ქონება როგორც თავისი საკუთარი, იმ განზრახვის სრული გამორიცხვით, რომ იგი როდისმე დაუბრუნებს მას მის მესაკუთრეს, ან აანაზღაურებს დატაცებული ქონების ღირებულებას.

ანგარების მიზნით ქონების სხვა პირისათვის გადაცემისას დამნაშავეს განზრახული აქვს თავისი წილი მატერიალური სარგებლობის მიღება შემდგომისათვის, რაც მას ერგება იმ საერთო ქონებიდან, რომელიც გადასცა სხვა პირს; ან მისი ანგარებითი სწრაფვა დაკმაყოფილდება იმ პირთა უკანონო გამდიდრებით, რომელთა ბედითაც დამნაშავე პირადადა დაინტერესებული (მაგ., ნათესაები, მის კმაყოფაზე მყოფი პირები, მეგობრები და ა. შ.).

ყოფილი სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1972 წლის 11 ივლისის დადგენილება – „სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცებისას საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“, მიუთითებდა ანგარების მიზნის აუცილებლობაზე როგორც სახ. ან საზ. ქონების თავის სასარგებლოდ გადაქცევისას, ასევე მისი სხვა პირისთვის გადაცემისას<sup>1</sup>.

<sup>1</sup> იხ. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი, თბ., 1972, №4, გვ. 4.

დანაშაულებრი დაუფლება (დატაცება) ქონების განადგურების ან დაზიანებისას გვექნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დამნაშავეს დასაწყისშივე აქვს განზრახვა თავის სასარგებლოდ გადააქციოს დაზიანებული ნივთების ცალკეული ნაწილები (მაგ., დაუფლოს ავტომანქანის დეტალებს). ბუნებრივია, დატაცება გვექნება მაშინაც, როცა დამნაშავე ეუფლება ქონებას თავის სასარგებლოდ გადაქცევის მიზნით, მაგრამ ადგილზე დაკავების მომენტში ანადგურებს ამ ქონებას პასუხისმგებლობისაგან თავის დაღწევის მიზნით.

დატაცება (დანაშაულებრივი დაუფლება) არ არის მაშინ, როცა ბრალდებული იღებს ქონებას არა ანგარების, არამედ სხვა მიზნით, მაგალითად, ქონების განადგურება ან დაზიანება იმ პირის მიმართ შურისძიების მიზნით, რომლის გამგებლობაში ან შესანახავად იმყოფება ქონება და სხვ.

არ არის დატაცება იმ შემთხვევაშიც, როცა ქონების ამოღება ხდება უკანონოდ მესაკუთრის ფონდებიდან და უფრო მეტიც, უკანონოდ გადადის ცალკეულ პირთა სარგებლობაში, მაგრამ არა პარაზიტული გამდიდრების, არა უკანონო მოგების მიზნით, არამედ საწარმოო სამუშაოს შესასრულებლად, წახალისებისათვის და ა. შ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ქონების დატაცების (დაუფლების) ობიექტური და სუბიექტური ნიშნების დახასიათების შემდეგ შეიძლება ვთქვათ, რომ ქონების (ნივთის) დანაშაულებრივი დაუფლება (დატაცება) არის ანგარების მოტივითა და მიზნით ქონების უკანონო, უსასყიდლო ამოღება მესაკუთრის ფონდებიდან კანონში მითითებული ფორმებით და მისი გადასვლა ამა თუ იმ პირის ისეთ სარგებლობაში, რაც მატერიალურ ზიანს აყენებს ქონების მესაკუთრეს.

დასასრულს გვინდა შევჩერდეთ ტერმინების „დატაცებისა“ და „დაუფლების“ გამოყენების მიზანშეწონილობაზე. ტერმინი „დატაცება“ სხვისი ქონების დასაკუთრებას, რაც დატაცებით მიითვისეს იმას ნიშნავს. ეს ტერმინი თავის თავში ყოველთვის მოიცავს მართლწინააღმდეგობას, ე. ი. „დატაცება“ დანაშაულის ჩადენის ამსახველი ტერმინია, რაც შეეხება „დაუფლებას“ მას დატაცებისმაგვარი დატვირთვა არ გააჩნია<sup>1</sup>. „დაუფლება“ ანუ ქონების (ნივთის) ჰყრობა

<sup>1</sup> აღნიშნულ ტერმინებზე იხილეთ: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტომი III, პროფ. ვ. თოფურიას რედაქტორობით, თბ., 1953, გვ. 746, 844; ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ერთტომეული, თბ., 1986, გვ. 192, 196 (მთავარი რედაქტორი არნ. ჩიჭობავა, რედაქტორი მ. ჭაბაშვილი).

(მოპოვება) მეტწილად მართლზომიერი (კეთილსინდისიერი) გზით ხორციელდება. თუმცა გამორიცხული არაა ქონების დაუფლება (შეძენა) დანაშაულებრივი გზითაც. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე უმჯობესია ვინაშით ტერმინი „დატაცება“. ანალოგიურ ტერმინს „хищение“-ს ხმარობს რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კანონმდებლობაც, რაც სავსებით სწორი და მომხდარი ფაქტის ზუსტად ამსახველი ტერმინია. აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ტერმინი „დატაცება“ დღესაც გამოყენებულია საქართველოს ადმინისტრაციულ კანონმდებლობაში, მაგალითად, წვრილმანი დატაცება (იხ. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 58-ე მუხლი).

### §3. ქურდობა (სსკ 177-ე მუხლი)

განსახილველი მუხლი მოიცავს სამ ნაწილსა და შენიშვნას. პირველი ნაწილი ითვალისწინებს ქურდობის ძირითად სახეს, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის ფარულ დაუფლებას მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, – რაც ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

მეორე ნაწილის ძალით დამამძიმებელ გარემოებად მიჩნეულია იგივე ქმედობა: ა) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ; ბ) არაერთგზის; გ) რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, – რაც ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ექვს წლამდე.

მესამე ნაწილი განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევს ქურდობას, ჩადენილს: ა) ორგანიზებული ჯგუფის მიერ; ბ) დიდი ოდენობით; გ) ბინაში, სადგომში ან საცავეში უკანონო შეღწევით; დ) იმის მიერ ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლეთი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის, – რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან თორმეტ წლამდე.

რაც შეეხება შენიშვნას, იგი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში ხაზი გაესმის იმას, რომ საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულის თავში დიდ ოდენობად ითვლება ნივთის ღირებულება ათი ათას ლარს ზევით. ხოლო სს კოდექსის 177-ე (ქურდობა), 178-ე (ძარცვა),

179-ე (ყაჩაღობა), 180-ე (თაღლითობა), 181-ე (გამოძალვა), 182-ე (მითვისება ან გაფლანგვა), 183-ე (განსაკუთრებული ისტორიული, კულტურული, მეცნიერული ან ეროვნული ღირებულების ნივთის ან დოკუმენტის დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით), 184-ე (ავტომობილის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მისაკუთრების მიზნის გარეშე), 185-ე (ქონების დაზიანება მოტყუებით), 186-ე (წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შექმნა ან გასაღება) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული არაერთგზისად ითვლება, თუ მას წინ უსწრებდა ამ მუხლებით და 224-ე (ბანდიტიზმი), 231-ე (ბირთვული მასალის, რადიაქტიური ნივთიერების ან მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროს ხელში ჩაგდება), 237-ე (იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მისაკუთრების მიზნით ან გამოძალვა) და 264-ე (ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება ან გამოძალვა) მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის ჩადენა.

ქურდობის მოცემული განმარტება მოიცავს საკუთრების ნებისმიერ ფორმაზე ხელყოფას, იქნება ეს კერძო, კოლექტიური, სახელმწიფო თუ სხვა. ამავე განმარტებიდან აშკარაა ისიც, რომ დამნაშავემ, რომელიც ეუფლება ქონებას (ნივთს), იცის რომ ქონება სხვისია და რომ მას ამ მოძრავ ნივთზე არავითარი უფლება არა აქვს.

„ქურდობის სახეობით (გვარეობით) ობიექტად, ისევე როგორც დატაცების ნებისმიერი ფორმისათვის, გვევლინება საერთოდ საკუთრებითი ურთიერთობები; ხოლო უშუალო ობიექტად საკუთრებითი ურთიერთობის კონკრეტული ფორმები, რომლებსაც განსაზღვრავს დატაცებული ქონების კუთვნილება (მიკუთვნება) ამა თუ იმ პირზე, ორგანიზაციაზე და ა. შ., რაც საბოლოო ჯამში გამოდის როგორც ქურდობის საგანი“<sup>1</sup>.

ქურდობის ობიექტური მხარე ხასიათდება საქმიანობის ფარული ხერხით, რაც მისი ძირითადი პირობა და აუცილებელი ნიშანია.

<sup>1</sup> Уголовное право Российской Федерации. Особенная часть: Учебник. Под ред. проф. Б. В. Здравомыслова. – Изд. 2-е, М., Юристъ, 1999, с. 145.

ფარულ დატაცებას (დაუფლებას) აქვს ორი მხარე: ობიექტური და სუბიექტური. ობიექტური მხარე ისაა, რომ დაზარალებულს, რომლის გამგებლობასა და დაცვაში იმყოფება ქონება, ასევე სხვა პირებს, რომელთა თანდასწრებითაც ხდება დატაცება, შეგნებული არა აქვთ, რომ ქონების დატაცება ხდება დამნაშავის მიერ. სუბიექტური მხარე იმით ხასიათდება, რომ დამნაშავე დარწმუნებულია თავისი მოქმედების ფარულ ხასიათში, ე. ი. იცის, რომ იგი ქონებას იტაცებს (ეუფლება) სხვებისაგან შეუმჩნეველად.

ფარული დატაცების ამ ორი მხარიდან გადამწყვეტია სუბიექტური, დამნაშავე დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ქონების დატაცება ხორციელდება მის მიერ სხვებისაგან შეუმჩნეველად და რომ მას ვერ იგებენ ირგვლივ მყოფნი, თუნდაც სინამდვილეში სხვა პირები მას აკვირდებოდნენ.

აძრივად, ქურდობისათვის დამახასიათებელია დამნაშავის მისწრაფება – დაიტაცოს ქონება ფარულად, ე. ი. შეუმჩნეველად; სწორედ ასეთი ვარაუდით მოქმედებს იგი. ფარულ დატაცებად კვალიფიცირდება, მაგალითად, ქურდობა ხალხმრავალ ადგილებში მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ დამნაშავის მოქმედებას ფაქტობრივად მრავალი ადამიანი უყურებს. თუ დამნაშავე შეგნებულად მოქმედებს ამკარად, არაფრად აგდებს იმას, რომ არიან თვითმხილველები, მისი მოქმედება უნდა განვიხილოთ არა როგორც ფარული, არამედ აშკარა დატაცებად (დაუფლებად), ე. ი. გაძარცვად.

დატაცება, ჩადენილი იმ პირის თვალწინ, რომელიც დამნაშავის წინასწარი შეცნობით უუნაროა გაიგოს მომხდარი ფაქტის მნიშვნელობა (მაგალითად, მცირეწლოვანობის ან გონებრივი არასრულფასოვნობის გამო), საჭიროა კვალიფიცირებულ იქნას, როგორც ქურდობა.

ფარულ დატაცებად (დაუფლებად), ანუ ქურდობად უნდა ჩაითვალოს ასევე ისეთი შემთხვევებიც, როდესაც დამნაშავე მიმართავს მძინარე პირისაგან ქონების (მოძრავი ნივთის) დატაცებას, ან ქურდავს იმ პირს, რომელიც ძლიერ მთვრალ მდგომარეობაშია და შესაძლებლობა არა აქვს შეიგნოს დამნაშავის მოქმედების დანაშაულებრივი ხასიათი.

ქურდობის ობიექტური მხარის ნიშნად გვევლინება ქონების დატაცება, გაგებული, როგორც ფარული ამოღება ქონებისა (მოძრავი ნივთისა) მესაკუთრის ფონდებიდან ან, სხვანაირად რომ ვთქვათ, ფარული დატაცება (დაუფლება) ხდება იმ ქონებისა (მოძრავი ნივთისა), რომელიც იმყოფება გარკვეული იურიდიული თუ ფიზიკური პირის

განკარგულებაში, მფლობელობასა ან დაცვაში. ქონების (მოდრავი ნივთის) ქურდობა დამთავრებულად ითვლება მესაკუთრის ფონდებიდან ქონების ამოღებისა და დამნაშავეის მფლობელობაში მისი გადასვლის მომენტიდან.

საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება ისეთი შემთხვევები, როცა დამნაშავეები ახერხებენ დატაცებული ქონების გამოტანას საწარმოს ტერიტორიიდან, მაგრამ მათ მოქმედებას აკვალიფიცირებენ არა დამთავრებულ დანაშაულად, არამედ დანაშაულის ჩადენის მცდელობად.

ამრიგად, თუ დატაცებული ქონება გამოტანილია საწარმოს ტერიტორიიდან, დანაშაული დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც ქონება მესაკუთრის მფლობელობიდან გამოვიდა.

ქონების დატაცების სხვა ფორმებისაგან, კერძოდ, მითვისება-გაფლანგვისაგან, ქურდობის გასამიჯნავად საჭიროა იმის გათვალისწინება, რომ პირველ შემთხვევაში ქონება დანაშაულის ჩადენის მომენტში იმყოფება დამნაშავეის მართლზომიერ მფლობელობაში, რომელიც მას მინდობილი აქვს სამეურნეო განკარგვისათვის. თუ ქონების დატაცება ჩადენილია იმ პირის მიერ, რომელსაც არ გააჩნია განსაზღვრული უფლებამოსილება იმ ქონების მიმართ, რომელსაც ის იტაცებს, არამედ შეუძლია მხოლოდ ისარგებლოს ამ ქონებით დავალებულ სამუშაოსთან ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით (მაგალითად, მუშის მიერ ნედლეულის ან მზა პროდუქციის დატაცება წარმოებიდან და ა. შ.), აგრეთვე იმ პირის მიერ, რომლისთვისაც მისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო ხელმისაწვდომია უშუალოდ სხვისთვის მინდობილი ქონება (მაგალითად, დატაცება, ჩადენილი კომენდანტის, სახანძრო საგუშაგოს დაცვის უფროსისა და სხვათა მიერ), კვალიფიცირდება არა როგორც მითვისება ან გაფლანგვა, არამედ როგორც ქურდობა.

ამრიგად, ქურდობისას ქონების (მოდრავი ნივთის) ამოღების მეთოდები, დანაშაულის ჩადენის ვითარება (ადგილი, დრო და ა. შ.) და ის ხერხები, რომელთა გამოყენებითაც დამნაშავე ცდილობს თავისი მიზნის მიღწევას, შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. დამნაშავეის მოქმედების ხერხები და მეთოდები მეტწილად განპირობებულია დანაშაულის ჩადენის კონკრეტული ვითარებითა და დატაცებული ქონების ხასიათით; მაგალითად, დამნაშავეს შეუძლია მთლიანად დაეუფლოს ნივთს, ნაყოფს, საქონელს და ა. შ., ან გამოაცალკეოს

ბთელიდან გარკვეული ნაწილი. რომელსაც განსაზღვრული სამეურნეო მნიშვნელობა აქვს (მაგალითად, მანქანიდან ნაწილებისა და სხვადასხვა დეტალის მოხსნა, ძროხების მოწველა, ცხვრების გაკრეჭა, ხეხილის მოკრეფა და სხვა).

ცალკეულ შემთხვევებში, როდესაც ჩადენილია ქურდობა რამდენიმე პირის თანამონაწილეობით, შესაძლოა ზოგიერთ თანამონაწილეს არც ამოქმედებდეს ანგარებითი მიზანი, მაგრამ თუ მათ შეგნებული აქვთ, რომ ხელს უწყობდნენ დანარჩენ თანამონაწილეთა ანგარებითი მიზნის განხორციელებას, უკლებლივ ყველამ პასუხი უნდა აგოს ქურდობისათვის.

ქურდობად არ ჩაითვლება ქონების დაუფლება დროებითი გამოყენების მიზნით, მაგალითად, ავტომანქანის დაუფლება გასეირნებისათვის და ა. შ., ასეთი მოქმედება დაკვალიფიცირდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 184-ე მუხლით, როგორც ავტომობილის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მისაკუთრების მიზნის გარეშე.

ქურდობისას დამნაშავეს შეუძლია ამოიღოს ნივთი (ქონება) უშუალოდ თავისი ძალებით ან გამოიყენოს ამისათვის რაიმე განსაკუთრებული მოწყობილობა (ტექნიკური საშუალება, სხვადასხვაგვარი იარაღი და ა. შ.); ასევე შეუძლია გამოიყენოს შეურაცხადი პირი, თვით ცხოველებიც კი (მაგალითად, ნივთების დატაცება სპეციალურად გაწვრთნილი ძაღლების დახმარებით).

ყველა იმ გარემოებათა შორის, რომლებიც შეიძლება ახლდეს ქურდობას, მის ძირითად დამახასიათებელ თავისებურებად მაინც ის უნდა ჩაითვალოს, რომ ქონება, რომელსაც იტაცებს (ეუფლება) დამნაშავე, დანაშაულის ჩადენის მომენტში იმყოფება ვინმეს (ამა თუ იმ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, თანამდებობის ცალკეულ პირთა ან კერძო პირების) მფლობელობაში, ხოლო ქურდს, რომელიც ფარულად ეუფლება ამ ქონებას, მის მიმართ არა აქვს არავითარი უფლებამოსილება, მიუხედავად ამისა, იგი მაინც მიმართავს მის ამოღებას მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ და ითვისებს საგნებს, ნივთებს და ა. შ.

სუბიექტური მხრივ ქურდობა ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. ამ შემთხვევაში პირს გაცნობიერებული აქვს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვისებისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურს ეს შედეგი, ანდა



ითვალისწინებს ასეთი შედეგის განხორციელების გარდუვალობას. სხვანაირად თუ ვიტყვით, ამ შემთხვევაში ბრალდებულს შეგნებული აქვს, რომ ფარულად, უკანონოდ და უნაცვალგებოდ იღებს სხვის მოძრავ ნივთს (ქონებას), ითვალისწინებს, რომ მისი მოქმედების შედეგად ქონების მესაკუთრეს ან მფლობელს მიადგება მატერიალური ზარალი და სურს მიაყენოს ასეთი ზარალი აღნიშნული ხერხით. ამასთან იგი ხელმძღვანელობს ანგარების მოტივით და მიზნად ისახავს გამორჩენის მიღებას. აქედან გამომდინარე სავსებით სწორად მიგვაჩნია ქურდობის დისპოზიციაში ხაზგასმა „მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანზე“, როგორც ამ დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელ ნიშანზე.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ „მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნის დადგენა“ ყოველთვის გარკვეულ სირთულეს უქმნიდა გამოძიებასა და სასამართლოს. ამის მიზეზი თავის მხრივ ისაა, რომ ქურდი ხშირად ამბობს: „მდიდარს ვპარავდი იმიტომ, რომ ღარიბისათვის მიმეცაო, რომ მე მისაკუთრების მიზანი არ მამოძრავებდაო“, რაც, ცხადია, სათანადო მტკიცებულებათა შეკრებით უნდა იქნას უარყოფილი და რომლის შეკრებაც არცთუ ისე იოლი საქმეა.

პროფ. ოთარ გამყრელიძის აზრით „ისეთი ქონებრივი დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელ ნიშანს, როგორცაა ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა და ზოგიერთი სხვა, წარმოადგენს სხვისი ქონების მითვისების მიზანი. მაგალითად, სხვისი ქონების ფარული წაღება მხოლოდ მაშინ დაკვალიფიცირდება ქურდობად, როცა ის ჩადენილია მითვისების მიზნით“<sup>1</sup>.

ქურდობის სუბიექტია ყოველი შერაცხადი ფიზიკური პირი 14 წლის ასაკიდან (იხ. მე-80 მუხლი – არასრულწლოვანი დაზნაშავის ასაკი).

91-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულია სამი დამამძიმებელი გარემოება. აქედან პირველია წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილი ქურდობა. ამ სახით ჩადენილი ქმედობის მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროება ისაა, რომ დამნაშაევები ასეთ შემთხვევაში წინასწარ აერთიანებენ თავიანთ შესაძლებლობებს, განუმტკიცებენ ერთმანეთს დანაშაულის ჩადენის რწმენას (განზრახვას), მოქმედებენ ურთიერთშეთანხმებულად, იყენებენ დანაშაულის ჩადენის

---

<sup>1</sup> იხ. ოთარ გამყრელიძე. ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის. თბ., 1998. გვ. 235.

შენიღბულ ხერხებსა და საშუალებებს, იადვილებენ როგორც დანაშაულის ჩადენას, ასევე დატაცებული ქონების გასაღებასა და დანაშაულის კვალის დაფარვას, ასევე დანაშაულის ჩასადენად იყოლიებენ მერყევი ხასიათის ადამიანებს და სხვ.

სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად: დანაშაული ჯგუფის მიერ წინასწარ შეთანხმებითაა ჩადენილი, თუ მასში მონაწილენი წინასწარ შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად.

საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში ზოგჯერ ქურდობას არასწორად აკვალიფიცირებენ პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით ჩადენილად, მაშინ როცა სინამდვილეში ერთი პირი უშუალოდ ჩადის ქურდობას, ხოლო მეორე პირი ამ დანაშაულის მხოლოდ წამქეზებელია. მოგვყავს მაგალითი:

ახალქალაქის რაიონის სასამართლომ გ-სა და ბ-ს არასწორად დასდო მსჯავრი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით (წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ). საქმის ფაბულა კი შემდეგში მდგომარეობდა: გ-მ ლეინის მაღაზიაში შემთხვევით შემოსულ ტრაქტორისტს ბ-ს სთხოვა კოლმეურნეობის კუთვნილი კარტოფილი მიეტანა სახლში, რისთვისაც სათანადო თანხას გადაუხდიდა. ამ უკანასკნელმა ტრაქტორის ურიკა დატვირთა 2 ტონა კარტოფილით და საღამოს მიუტანა ბინაზე. გ-მ შეპირებული თანხა გადაუხადა.

თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატამ განაჩენი შეცვალა და გ-ს მოქმედება სწორად დააკვალიფიცირა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის პირველი ნაწილით. კოლეგიამ აღნიშნა, რომ „გ-მ მართალია წააქეზა, ბ., დატაცების ჩადენაზე, მაგრამ თვითონ მას ქურდობაში უშუალო მონაწილეობა არ მიუღია; ობიექტური მხარის ყველა მოქმედება ბ-მ ჩაიდინა; რომ არ არის საფუძველი ქმედობის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ პუნქტით დაკვალიფიცირებისა“.

ამრიგად, თუ ქურდობა უშუალოდ ჩადენილია ერთი პირის (ამსრულებლის) მიერ, ხოლო მეორე პირი არის ამ დანაშაულის მხოლოდ წამქეზებელი, იგი არ შეიძლება დავაკვალიფიციროთ როგორც ქურდობა, ჩადენილი პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით.

მაშასადამე, პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით დანაშაულის ჩადენისას საჭიროა არსებობდეს ორი ან მეტი პირის

ერთობლივი მონაწილეობა, მათი ურთიერთშეთანხმება, განზრახვის ერთიანობა და ძალების გაერთიანება. თუ ორი ან მეტი პირის ერთობლივი მონაწილეობა და მათი ურთიერთშეთანხმება არა გვაქვს და ისინი დანაშაულის ჩადენისას ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მოქმედებენ, ასეთ შემთხვევაში გვექნება არა თანამონაწილეობა, არამედ ორი პირის დანაშაულებრივი საქმიანობის უბრალო დამთხვევა.

ერთობლივი მონაწილეობისათვის დამახასიათებელია ყველა თანამონაწილის მისწრაფება – თავისი საქმიანობა ერთი საერთო დანაშაულებრივი შედეგის მისაღწევად წარმართოს; ამასთან, თითოეული მათგანის მოქმედება ისეთ ობიექტურ კავშირშია ერთიმეორესთან, რაც აუცილებელი პირობაა სხვა თანამონაწილეთა მოქმედების განსახორციელებლად; ასევე მიზეზობრივ კავშირშია თანამონაწილეთა მიერ მიღწეული დანაშაულებრივი შედეგი თითოეული მათგანის მოქმედებასთან. როგორც ჩანს, თანამონაწილეები მოქმედებენ არა ერთიმეორისაგან გათიშულად, არამედ ერთობლივად. ყოველივე ამის გამო მათი მოქმედება ურთიერთგანპირობებულია. ან, სხვანაირად, ყოველი თანამონაწილის მოქმედება, რაშიც უნდა გამოიხატოს ის, დანაშაულის ჩადენის აუცილებელი პირობაა და საბოლოოდ ხელს უწყობს დანაშაულებრივი შედეგის დადგომას. მაშასადამე, დანაშაულის ჩადენაში ერთობლივი მონაწილეობა გულისხმობს მიზეზობრივი კავშირის არსებობას თითოეული თანამონაწილის მოქმედებასა და დამდგარ დანაშაულებრივ შედეგს შორის.

პირთა ჯგუფის მიერ წინასწარ შეთანხმებაში განზრახვის ერთიანობა და აგრეთვე მათ შორის შეთანხმება, – საერთო ძალებით ჩაიდინონ დანაშაული, – შეიძლება ადრევე იყოს მიღწეული ან უშუალოდ დანაშაულის ჩადენის წინ, ან მისი ჩადენის დროს.

საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში ზოგჯერ წინასწარ შეუპირებელი დაფარვა შეცდომით კვალიფიცირდება, როგორც დატაცებაში თანამონაწილეობა. მოგვყავს მაგალითი:

სენაკის რაიონის სასამართლოს განაჩენით კ-ს არასწორად დაედო მსჯავრი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლის (ამსრულებლისა და თანამონაწილის პასუხისმგებლობა) მე-3 ნაწილითა და 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ პუნქტით (ქურდობა ჩადენილი დიდი ოდენობით). საქმის ფაბულა კი შემდეგში მდგომარეობდა: კ-მ თავისი ავტომანქანით საწარმოს ტერიტორიიდან გამოტანილი დატაცებული ნართი დიდი ოდენობით (3000 კილოგრამი) გადაუხიდა

უცნობ პირებს, რომლებთანაც წინასწარ შეთანხმებული არ იყო. ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააკვლაციო პალატამ მისი მოქმედება სწორად გადააკვალიფიცირა 375-ე მუხლის (დანაშაულის დაფარვა) პირველ ნაწილზე – განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაფარვა წინასწარ შეუპირებლად.

ქურდობისას, საერთო წესის მიხედვით, თითოეული თანამონაწილე პასუხს აგებს ერთობლივად ჩადენილი დანაშაულისათვის მხოლოდ იმ ფარგლებში, რაც ურთიერთშეთანხმებული იყო. საგამოძიებო პრაქტიკაში არის შემთხვევა, როცა ამსრულებლის მიერ ჩადენილი მოქმედება სხვა თანამონაწილეებთან არაა შეთანხმებული და ამით დგება ამსრულებლის ექსცესი. ეს უკანასკნელი სს კოდექსის 26-ე მუხლის თანახმად ნიშნავს ამსრულებლის მიერ ისეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენას, რომელსაც არ მოიცავდა სხვა თანამსრულებლის ან თანამონაწილის განზრახვა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილში ხაზი გაესმის იმას, რომ ამსრულებლის ექსცესისათვის სხვა თანამსრულებელს ან თანამონაწილეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება. მაგალითად, თუ წამქეზებელმა დაიყოლია სხვა პირი დანაშაულის, კერძოდ, ქურდობის ჩასადენად, ხოლო ამ უკანასკნელმა ყაჩაღური თავდასხმა განახორციელა, ასეთ შემთხვევაში შეგვიძლია ვიმსჯელოთ ამსრულებლის ექსცესზე; ექსცესისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ ამსრულებელს, დანარჩენი თანამონაწილეების პასუხისმგებლობა კი განისაზღვრება მხოლოდ იმ მოქმედებით, რაც ამსრულებელმა შეასრულა მათთან შეთანხმების ფარგლებში.

ამრიგად, ამსრულებლის ექსცესი ვერ შეერაცხება სხვა თანამონაწილეებს იმის გამო, რომ ექსცესით დამდგარ დანაშაულებრივ შედეგსა და დანარჩენ თანამონაწილეთა მოქმედებას შორის არ არსებობს მიზეზობრივი კავშირი, რამდენადაც ამ შედეგის დადგომისათვის მათ ხელი არ შეუწყვიათ და თანამონაწილეები არ ითვალისწინებდნენ მათთან შეთანხმებული ფარგლების გადაცილებით ამსრულებლის მიერ სხვა მოქმედების განხორციელებას.

იმ შემთხვევაში, როცა დანაშაულებრივი გზით მოპოვებულად შეცნობილი ქონების შეძენა დაკავშირებული იყო დატაცების წაქეზებასთან, დამნაშავის მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც თანამონაწილეობა ამ დანაშაულში. ასევე უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც თანამონაწილეობა დატაცებულად შეცნობილი ქონების წინასწარ შეპირებული შეძენა და ასეთი ქონების წინასწარ შეპი-

რეზული რეალიზაცია, აგრეთვე დატაცებული ქონების სისტემატური შექმნა ერთი და იმავე დამტაცებლისაგან იმ პირის მიერ, რომელსაც შეგნებული აქვს რომ ეს შესაძლებლობას აძლევს დამტაცებელს, მისი დახმარების იმედი ჰქონდეს ამ ქონების გასაღებაში.

თანამდებობის პირის მოქმედება, დაკავშირებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი ფულადი სახსრების უკანონო დაუფლებასთან, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული საქონლის შექმნისა და მისი შემდგომი რეალიზაციისათვის, უნდა დაკვალიფიცირდეს მუხლებით, რომლებიც ითვალისწინებენ პასუხისმგებლობას ქონების დანაშაულებრივი დაუფლებისათვის.

წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილ ქურდობაში „წინასწარ შეთანხმებაში“, — აღნიშნავენ პროფ. მზია ლეკვეიშვილი და დოც. გოჩა მაბულაშვილი, — უნდა ივარაუდებოდეს ორი ან მეტი პირის შეთანხმება სხვისი ქონების მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებისათვის, რომელსაც ადგილი ჰქონდა დანაშაულის უშუალოდ განხორციელებამდე. ვინაიდან განზრახვი დანაშაულის დასაწყისად ითვლება უშუალოდ დანაშაულის ჩადენისაკენ მიმართული მოქმედება, წინასწარი შეთანხმება ჯგუფური დანაშაულის ჩასადენად შეიძლება მოხდეს ქურდობის მოსამზადებელ სტადიაზეც, მაგრამ სხვისი ქონების ფარული დაუფლებისაკენ მიმართული — მოქმედების დაწყებამდე. თუ დანაშაულებრივი შეთანხმება მოხდა ქონების დაუფლების პროცესში, იგი არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს როგორც ქურდობის დამამძიმებელი გარემოება. ამრიგად, „წინასწარი შეთანხმებით“ ჯგუფის მიერ ქონების დაუფლების ცნებაში იგულისხმება ქურდობა, რომელშიც მონაწილეობს ორი ან მეტი პირი, წინასწარშეთანხმებული ქურდობის ჩასადენად. მასში არ იგულისხმება ამსრულებლისათვის ხელის შეწყობა, დანაშაულის ჩადენის საშუალებათა შოვნა, ასევე საცავში მატერიალურ ფასეულობათა ადგილსამყოფელის შესახებ ცნობების მიწოდება და სხვა. წინასწარი შეთანხმებით ჯგუფში შედიან მხოლოდ თანამსრულებლები, ამიტომ რთული თანამონაწილეობა არ ქმნის ზემოაღნიშნულ მაკვალიფიცირებელ გარემოებას. ქურდობისას თითოეული თანამონაწილე პასუხს აგებს თავისი ფუნქციის შესრულების მიხედვით (ამსრულებელი, ორგანიზატორი, წამქეზებელი და დამხმარე). წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის შექმნა შეუძლიათ მხოლოდ იმ პირებს, რომელთაც შეიძლება დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ამიტომ შეურაცხადი და 14 წელს

მიულწეველი პირი არ შეიძლება შევიდეს ამ ჯგუფში. მაგალითად, თუ სრულწლოვანმა დამნაშავემ დაიყოლია არასრულწლოვანი და შემდგომ ისინი ფარულად დაეუფლენ სხვის ქონებას, ეს არ დაამძიმებს ქურდობას. არასრულწლოვნის ქმედება დაკვალიფიცირდება ქურდობის მუხლის პირველი ნაწილით და დამატებით 171-ე მუხლით: „არასრულწლოვნის ჩაბმა ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში“<sup>1</sup>.

შემდეგი დამამძიმებელი გარემოება, რომელსაც ითვალისწინებს 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის ბ) პუნქტი არის ქურდობის ჩადენა არაერთგზის. არაერთგზისი დანაშაულის ცნება უნდა გავიაზროთ იმდაგვარად, როგორც ამის შესახებ ხაზგასმულია სს კოდექსის მე-15 მუხლის სამივე ნაწილში. ამ მუხლის პირველი ნაწილის ძალით არაერთგზისი დანაშაული ნიშნავს სს კოდექსის ერთი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენას. აღნიშნული კოდექსის სხვადასხვა მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაული მხოლოდ მაშინ ჩაითვლება არაერთგზის დანაშაულად, თუ ამის შესახებ მითითებულია სს კოდექსის შესაბამის მუხლში.

მეორე ნაწილის ძალით დანაშაული არაერთგზის ჩადენილად არ ჩაითვლება, თუ კანონით დადგენილი წესით პირი წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის გათავისუფლებული იყო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ანდა თუ მას წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული ჰქონდა.

რაც შეეხება მე-15 მუხლის მე-3 ნაწილს, აქ ხაზი გაესმის შემდეგს: თუ არაერთგზისი დანაშაული ამ კოდექსით გათვალისწინებულია გარემოებად, რომელიც უფრო მკაცრ სასჯელს იწვევს, პირის მიერ ჩადენილი ორი ან მეტი დანაშაული დაკვალიფიცირდება ამ კოდექსის მუხლის შესაბამისი ნაწილით, რომლითაც გათვალისწინებულია სასჯელი არაერთგზისი დანაშაულისათვის.

„თუ საერთო წესით“ — აღნიშნავენ კომენტარის ავტორები, — არაერთგზისობა გულისხმობს კოდექსის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენას, გამონაკლისის სახით ეს მუხლი არაერთგზისად მიიჩნევა არა მარტო იგივე, არამედ სხვა ერთგვაროვან დანაშაულის ჩადენასაც იმ შემთხვევაში, თუ ამის შესახებ მითითებულია კოდექსის შესაბამის მუხლში. სწორედ

<sup>1</sup> იხ. მზია ლეკვეიშვილი, გოჩა მამულაშვილი. პასუხისმგებლობა ეკონომიკური დანაშაულისათვის (კომენტარი). თბ., 1999, გვ. 17-18.

ამ აზრით უნდა მივუდგეთ არაერთგზისობის პრინციპს, რომელიც მოცემულია ქურდობის მუხლის შენიშვნაში... .. არაერთგზისობის ნიშნის დადგენისას მნიშვნელობა არა აქვს დამნაშავე იყო თუ არა ადრე ნასამართლევი წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის, თუ პასუხისმგებლობა პირველად შეერაცხა. მეორე შემთხვევაში თითოეულ დამოუკიდებელ დანაშაულს, რომელიც არაერთგზისობას ქმნის, სისხლისსამართლებრივი შეფასება ცალ-ცალკე უნდა მიეცეს, მით უმეტეს, თუ პირველი დანაშაული უფრო მძიმეა, ვიდრე მეორე. ამასთან, მეორე დანაშაული უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც არაერთგზის ჩადენილად. მაგალითად, თუ დამნაშავემ ჯერ ბანდიტიზმი ჩაიდინა, ხოლო შემდეგ კი – ქურდობა, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს ორივე მუხლით. აქ სახეზეა, როგორც არაერთგზისობა, ისე ორ დამოუკიდებელ დანაშაულთა რეალური ერთობლიობა. ამ საკითხის სხვაგვარი გადაწყვეტა, რაც ეფუძნება არაერთგზისობის ნიშნის მიერ ერთობლიობის ნიშნის შთანთქმას, არსებითად, უფრო მძიმე დანაშაულს სამართლებრივი შეფასების გარეშე დატოვებდა“<sup>1</sup>.

სსკ 177-ე მუხლის შენიშვნაში კონკრეტულადაა მითითებული თუ როდის ითვლება ქურდობა; ძარცვა; ყაჩაღობა; თაღლითობა; გამოძალვა; მითვისება ან გაფლანგვა; განსაკუთრებული ისტორიული, კულტურული, მეცნიერული ან ეროვნული ღირებულების ნივთის ან ღოკუმენტის დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით; ავტომობილის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მისაკუთრების მიზნის გარეშე; ქონებრივი დაზიანება მოტყუებით; წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შექმნა ან გასაღება (ე. ი. 177-ე – 186-ე მუხლები) არაერთგზისად. ასეთად კი ითვლება, თუ მას წინ უსწრებდა აღნიშნული მუხლებით და 224-ე (ბანდიტიზმი), 231-ე (ბირთვული მასალის, რეაქტიური ნივთიერების ან მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროს ხელში ჩაგდება), 237-ე (იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მისაკუთრების მიზნით ან გამოძალვა) და 264-ე (ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო

<sup>1</sup> იხ. შხია ლეკვეიშვილი, გოჩა მამულაშვილი. პასუხისმგებლობა ეკონომიკური დანაშაულისათვის (კომენტარები). თბ., 1999, გვ. 18-19.

მისაკუთრება ან გამოძალვა) მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის ჩადენა. რაც შეეხება ძველ კოდექსს (მხედველობაში გვაქვს 1960 წელს მიღებული სს კოდექსი) იგი 91-ე მუხლის შენიშვნაში ხაზს უსვამდა იმას, თუ რა უნდა ჩათვლილიყო განმეორებით ჩადენილ ქურდობად, გაძარცვად და ა. შ. ამჟამად, როგორც ვხედავთ ტერმინი „განმეორება“ შეცვლილია „არაერთგზისი“ დანაშაულის ცნებით.

არაერთგზისი ქურდობა უნდა განეხილავთ განგრძობადი ქურდობისაგან. განგრძობადად უნდა ჩაითვალოს ქონების მრავალგზისი კანონსაწინააღმდეგო უსასყიდლო ამოღება, შემდგარი რამდენიმე ერთი და იგივე დანაშაულებრივი მოქმედებისაგან, რომელთა საერთო მიზანია ქონების უკონო დაუფლება, რასაც დამნაშავეს ერთიანი განზრახვა მოიცავს და რომლებიც ერთობლიობაში ერთ დანაშაულს შეადგენენ. განგრძობადი დანაშაული, როგორც წესი, კვალიფიცირდება 177-ე მუხლის პირველი ნაწილით იმ შემთხვევაში, თუ მას არ ახლავს სხვა დამამძიმებელი გარემოებანი. ხაზგასასმელია ისიც, რომ განგრძობად ქურდობაში თითოეული (ცალკეული), ერთი და იგივე დანაშაულებრივი ქმედებები (აქტები) ძალიან მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული და ისინი ერთი მთლიანი დანაშაულის შემადგენელი ნაწილებია, რაც განგრძობადი დანაშაულის დამახასიათებელი ობიექტური ფაქტორია, ხოლო ის გარემოება, რომ ცალკეული დანაშაულებრივი აქტები მოცემულია ერთი საერთო მიზნითა და ერთიანი განზრახვით – ესაა განგრძობადი დანაშაულის დამახასიათებელი სუბიექტური ფაქტორი.

„ქურდობა არაერთგზისი ჩადენილად ჩაითვლება, – აღნიშნავენ დასახელებული კომენტარის ავტორები, – თუ მას წინ უსწრებდა დაუმთავრებელი დანაშაული ან როდესაც დამნაშავე პირველად ჩადენილ დანაშაულში ასრულებდა არა ამსრულებლის, არამედ სხვა თანამონაწილის ფუნქციას. მათივე განმარტებით არაერთგზისი ჩადენილად ჩაითვლება დამნაშავეს ისეთი მოქმედება, როდესაც მის მიერ განხორციელებული თითოეული დანაშაული ქმნის დამოუკიდებელი დანაშაულის შემადგენლობას და მათი ჩადენა ერთმანეთისაგან გარკვეული დროით არის დაცილებული. ამასთან, ყველა ახალი დანაშაულის ჩასადენად დამნაშავეს უნდა აღეძრას დამოუკიდებელი განზრახვა“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> იხ. დასახელებული კომენტარი. გვ. 19.



მემდეგი დამაძძიებელი გარემოება. რასაც ითვალისწინებს განსახილველი მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტი, ესაა ქურდობა: „რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია“. ეს უკანასკნელი შეფასებითი ცნებაა და მისი განსაზღვრა სასამართლოს კომპეტენციას შეადგენს. სხვანაირად თუ ვიტყვით, სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს საკითხი – ქურდობამ გამოიწვია თუ არა მნიშვნელოვანი ზიანი.

რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლის (ქურდობა) მეორე ნაწილის „გ“ პუნქტში ხაზი გაესმის „მოქალაქისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებას“. რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლოს პლენუმმა თავის 1995 წლის 25 აპრილს №4 დადგენილებაში რეკომენდაცია მისცა სასამართლოებს, რომ მოქალაქისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების საკითხის გადაწყვეტისას ამოვიდნენ როგორც ქონების ღირებულებიდან, ასევე სხვა არსებითი გარემოებიდან. სასჯელდობრ, მათ შეიძლება მიეკუთვნოს ფიზიკური პირის მატერიალური მდგომარეობა, მესაკუთრისა ან სხვა მფლობელისათვის დაკარგული ქონების მნიშვნელობა და სხვ.<sup>1</sup>

„მესაკუთრისათვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის დასადგენად, – აღნიშნავენ მზია ლეკვიშვილი და გოჩა მამულაშვილი, – საჭიროა როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ფაქტორების ერთობლივი გათვალისწინება. ობიექტურად მნიშვნელოვანი ზიანის განსაზღვრავად ყურადღება უნდა მიექცეს უკანონოდ დაუფლებული ქონების ღირებულებას, მის რაოდენობასა და მნიშვნელობას. ხოლო სუბიექტურ ფაქტორში იგულისხმება დაზარალებულის მატერიალური მდგომარეობა, მისი შემოსავალი, კმაყოფაზე არსებულ პირთა რაოდენობა და ყველა სხვა გარემოება, რაც მოწმობს, რომ მოქალაქისათვის მიყენებული ქონებრივი დანაკლისი მნიშვნელოვნად აუარესებს მის მატერიალურ მდგომარეობას. მაგრამ, ამასთან ერთად, კანონის არსიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი ზიანის ფულადი გამოსატულება არ უნდა იყოს იმაზე მეტი, რაც გათვალისწინებულია ამ მუხლის მე-3 ნაწილში – „დიდი ოდენობის“ ცნების ქვეშ და დაკონკრეტებულია ქურდობის მუხლის შენიშვნის პირველ პუნქტში. ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ კანონში ლაპარაკია მხოლოდ რეალურ მატერიალურ ზიანზე და არა აცდენილ სიკეთეზე, თუმცა ამგვარი ზიანი შესაძლოა უფრო მეტი მნიშვნელობისაც კი იყოს. მიყენებული ქონებრივი ზიანის

<sup>1</sup> იხ. Бюллетень ВС РФ. 1995, N7, с. 21.

ოდენობა განისაზღვრება ნივთის ღირებულებით, რაც ფასშია გამოხატული. ქონების ღირებულების განსაზღვრისას საჭიროა დანაშაულის ჩადენის დროს არსებული სახელმწიფო, საცალო, საბაზრო ან საკომისიო ფასებზე დაყრდნობა. თუ ფასი ვერ დადგინდა, ქონების ღირებულება განისაზღვრება საექსპერტო დასკვნის საფუძველზე<sup>1</sup>.

იმ შემთხვევაში როცა ქონების ღირებულება მეტად მცირეა და დამნაშავეს განზრახვა მიმართული არაა მნიშვნელოვანი ოდენობით ქონების დაუფლებისაკენ, ასევე თუ ადგილი არა აქვს ძალადობას ან თავდასხმას, ასე შემთხვევაში ქმედება მცირე მნიშვნელობის გამო დანაშაულად არ შეიძლება მივიჩნიოთ (იხ. სსკ მე-7 მუხლის მე-2 ნაწილით).

დასასრულს, უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ საბჭოთა პერიოდის კანონმდებელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა დანაშაულის შედეგად მიყენებული მატერიალური ზიანის ოდენობას. ამ საფუძველით იგი გამოყოფდა დატაცების ხუთ სახეს: 1. წვრილმან დატაცებას (50 მანეთამდე თანხით); 2. დატაცებას მცირე ოდენობით (100 მანეთამდე); 3. მნიშვნელოვანს (100-დან 2500 მანეთამდე); 4. დიდს (2500-დან 10.000 მანეთამდე) და 5. განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცებას (10.000 მანეთი და მეტი)<sup>2</sup>.

ვფიქრობთ უპრიანი იქნებოდა კანონმდებელს „მნიშვნელოვანი ზიანის ოდენობა“ ქონების ღირებულებით ფორმაში გამოეხატა, როგორც ამას აკეთებს „დიდი ოდენობით“ ნივთის ღირებულების მიმართ. თუ „დიდი ოდენობად“ კანონმდებელი მიიჩნევს ნივთის ღირებულებას ათი ათას ლარს ზევით, „მნიშვნელოვანი ზიანის ოდენობად“ შეიძლება მიჩნეულიყო ნივთის ღირებულება 1000-დან ათი ათას ლარამდე. „არამნიშვნელოვან ოდენობად“ კი თანხა 100-დან 1000 ლარამდე. რაც შეეხება „წვრილმან დატაცებას“ – რომელიც დომინირებს ადმინისტრაციულ სამართალში, ასეთად უნდა მივიჩნიოთ ნივთის ღირებულება 100 ლარამდე თანხის ფარგლებში. ამის შესაბამისად ცვლილება უნდა შევიდეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის იმ მუხლში, რომელიც ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას წვრილმანი დატაცებისათვის. სახელდობრ, 50-ე მუხლში (წვრილმანი დატაცება) უნდა ჩაიწეროს, რომ: ქონების დატაცება ჩაითვლება წვრილმანად, თუ დატაცებულის

<sup>1</sup> იხ. დასახელებული კომენტარი, გვ. 20-21.

<sup>2</sup> იხ. ზაურ წულაია. ვ. ი. ლენინი სოციალისტური საკუთრებისა და მისი დაცვის შესახებ. თბ., 1984, გვ. 46.

ღირებულება არ აღემატება 100 ლარს. ამჟამად ქონების დატაცება ითვლება წვრილმანად, თუ მისი ღირებულება არ აღემატება 75 ლარს.<sup>1</sup>

არამნიშვნელოვანი ოდენობით სხვისი ქონების (ნივთის) დატაცება (დაუფლება) დაკვალიფიცირდება სსკ 177-ე მუხლის პირველი ნაწილით; მნიშვნელოვანი ოდენობით ქონების დატაცების შემთხვევაში 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტით (იგულისხმება ქურდობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია), ხოლო დიდი ოდენობით ქონების დატაცების შემთხვევაში განსახილველი მუხლის მე-3 ნაწილის ბ) პუნქტით (ეს პუნქტი ითვალისწინებს ქურდობას დიდი ოდენობით).

ქურდობის განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებებს ითვალისწინებს მესამე ნაწილის შესაბამისი ოთხი პუნქტი. პირველი ესაა ქურდობა, ჩადენილი: ორგანიზებული ჯგუფის მიერ. ეს უკანასკნელი ჯგუფური დანაშაულის ყველაზე უფრო მძიმე სახეა. სსკ 27-ე მუხლის (ჯგუფური დანაშაული) მე-3 ნაწილში ხაზგასმულია, რომ: დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ იგი განახორციელა პირთა მყარმა ჯგუფმა, რომლებიც წინასწარ შეკავშირდნენ რამოდენიმე დანაშაულის ჩასადენად. რაც შეეხება ამავე მუხლის მე-4 ნაწილს აქ წერია, რომ: სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ორგანიზებული ჯგუფის შექმნისათვის ან ხელმძღვანელობისათვის დაეკისრება იმას, ვინც შექმნა ასეთი ჯგუფი ან ხელმძღვანელობდა მას. მასვე დაეკისრება პასუხისმგებლობა ამ ჯგუფის მიერ ჩადენილი ყველა დანაშაულისათვის, თუ მას მოიცავდა მისი განზრახვა. ორგანიზებული ჯგუფის სხვა მონაწილე პასუხს აგებს ჯგუფში მონაწილეობისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აგრეთვე იმ დანაშაულისათვის, რომლის მომზადებაში ან ჩადენაშიც იგი მონაწილეობდა.

„ქურდობით ქონების უკანონო დაუფლების შემთხვევაში ამგვარი დანაშაულებრივი დაჯგუფების თავისებურება ვლინდება ჯგუფის შედარებით ხანგრძლივ დანაშაულებრივ საქმიანობაში. მის კრიმინალურ სპეციალიზაციაში, მონაწილეთა ფუნქციების ზუსტ განსაზღვრაში, მკაცრი შინაგანი დისციპლინის არსებობაში, დროის ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე სხვადასხვა დანაშაულებრივი საქმიანობის

---

<sup>1</sup> წვრილმან დატაცებაზე იხ. დოცენტ ირმა ხარშილაძის ნაშრომი წიგნში – „ქართული სამართლის საფუძვლები“. თბ., 2000. გვ. 341-342.

დავეკვიპასა და განხორციელებაში და სხვა. მართალია, სხვადასხვა ორგანიზებულ ჯგუფებში ეს ნიშნები სხვადასხვაგვარად ვლინდება, მაგრამ ისინი ამგვარი დანაშაულებრივი დაჯგუფებისათვის ტიპურია... ქურდული ორგანიზაციის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი პასუხს აგებს როგორც ამსრულებელი ყველა იმ ქურდობისათვის, რაც ჩადენილია პირთა ჯგუფის მიერ, მიუხედავად იმისა, მონაწილეობდა თუ არა იგი უშუალოდ მათ ჩადენაში, მაგრამ თუ ამას მოიცავდა მისი განზრახვა; ხოლო ორგანიზებული ჯგუფის სხვა მონაწილენი პასუხს აგებენ ჯგუფში მონაწილეობისათვის, აგრეთვე იმ დანაშაულისათვის, რომლის მომზადებას ან ჩადენაშიც მონაწილეობდნენ. ორგანიზებული ჯგუფის რიგითი მონაწილის პასუხისმგებლობისათვის საკმარისი არ არის ამ დაჯგუფების სხვა წევრების მიერ ჩადენილი ქურდობის ფაქტის ცოდნა, საჭიროა მასში უშუალო მონაწილეობა“<sup>1</sup>.

ქურდობის მეორე განსაკუთრებით დამამძიმებელი გარემოებაა ქურდობა, ჩადენილი: დიდი ოდენობით. ეს უკანასკნელი განსხვავებით ქურდობისაგან, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, რეგლამენტირებულია თვით კანონში. სსკ 177-ე მუხლის შენიშვნის პირველ ნაწილში ხაზი გაესმის იმას, რომ სისხლის სამართლის კოდექსის ამ თავში (იგულისხმება დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ – ზ. წ.) დიდ ოდენობად ითვლება ნივთის ღირებულება ათი ათას ლარს ზევით. როგორც ვხედავთ ქურდობით ქონების დიდი ოდენობით დაუფლების განსასაზღვრავად, მისი ღირებულება ფულში უნდა იყოს გამოხატული. აქედან გამომდინარე, ცხადია, ქონების მოცულობას, ნივთის წონას, რაოდენობას, ხარისხს, სამეურნეო დანიშნულებასა და მნიშვნელობას და ა. შ., მუხლის ამ ნაწილით (იგულისხმება დიდი ოდენობა – ზ. წ.) კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება.

„დამნაშავე როდესაც ჩადის რამოდენიმე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ქურდობას, – აღნიშნავენ კომენტარის ავტორები, – რაშიც რეალიზებულია მისი რამოდენიმე, ცალ-ცალკე წარმოშობილი განზრახვა, ფულში გამოხატული ზიანის შეჯამება და დიდ ოდენობად დაკვალიფიცილება სწორი არ არის. გამონაკლისს წარმოადგენს ერთიანი განგრძობადი დანაშაული, სადაც ქურდობის ცალკეული ეპიზოდი მოცულია დამნაშავეს ერთიანი განზრახვით და დაუფლებული ქონების ჯამი დიდ ოდენობას ქმნის. წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის ან ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი ქურდობით მიყენებული

<sup>1</sup> იხ. მზია ლეკვიშვილისა და გოჩა მამულაშვილის დასახელებული კომენტარი, გვ. 21-22.

ზიანის ოდენობა შეიძლება შეჯამებული იქნეს. ამ დროს ქურდობით მოპოვებული ქონების თითოეული დამნაშავეის წილი შეიძლება დიდ ოდენობას არ აღწევდეს, მაგრამ მისი ქმედება მაინც დაკვალიფიცირდება როგორც ქურდობა, ჩადენილი დიდი ოდენობით, ვინაიდან სახეზეა ჯგუფური დანაშაული. ეს განპირობებულია იმით, რომ ყველა დამნაშავე ქურდობის თანაამსრულებელია, ცხადია, იმ შემთხვევაში, თუ ყველას განზრახვა მოიცავს იმის შეგნებას, რომ ჯგუფის მიზანს დიდი ოდენობით ქონების დაუფლება წარმოადგენს<sup>1</sup>. ავტორთა ასეთი თვალსაზრისი სწორად უნდა მივიჩნიოთ.

განსახილველი მუხლის მესამე განსაკუთრებით დამამძიმებელი გარემოება ესაა ქურდობა, ჩადენილი: ბინაში, სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით. ეს უკანასკნელი ნიშნავს არა მხოლოდ ფარულ შესვლას ბინაში, სადგომში ან სხვა საცავში ქურდობის მიზნით, არამედ იქედან დასატაცებელი საგნების ამოღებას სხვადასხვა მოწყობილობების გამოყენებით, შესაბამის ბინაში, სადგომში ან საცავში შესვლის გარეშე.

„შელწევა“ — ესაა ფარული ან აშკარა შეჭრა სადგომში, სხვა საცავში ან საცხოვრებელში ქურდობის, ძარცვის ან ყაჩაღობის ჩადენის მიზნით. იგი შეიძლება ჩადენილ იქნას როგორც დაბრკოლებათა ან ხალხის წინააღმდეგობათა გადალახვის, ისე ასეთის გარეშე. „შელწევა“ შეიძლება განხორციელდეს ასევე მოწყობილობების (სამარჯვების) გამოყენებით, როცა ბრალდებულს დასატაცებელი საგნები ამოაქვს შესაბამის ბინაში, სადგომში ან საცავში შესვლის გარეშე. ძველი კოდექსისაგან განსხვავებით სისხლის სამართლის ახალი კოდექსი განსაკუთრებით მაკვალიფიცირებელ გარემოებად მხოლოდ უკანონო შეღწევას აღიარებს, ე. ი. ისეთს, რომელიც ხორციელდება დადგენილი აკრძალვის საწინააღმდეგოდ. ადრე მოქმედი კოდექსი კი ბინაში, სადგომში ან სხვა საცავში შეღწევას განსაკუთრებით მაკვალიფიცირებელ გარემოებად მიიჩნევდა მიუხედავად იმისა იგი („შელწევა“) მართლზომიერად თუ უკანონოდ (არამართლზომიერად) იყო განხორციელებული. „შელწევა“ უნდა მივიჩნიოთ ასევე შენობაში მოტყუებით შესვლა, რომ თითქოსდა ამა თუ იმ პირს სხვა კონკრეტულ ადამიანზე წერილი, წიგნი, ფული და ა. შ. აქვს გადასაცემი. „შელწევის“ ცნება თავის თავში მოიცავს ქონების დაუფლების წინასწარ განზრახვას. თუ ასეთი განზრახვა ქურდს

<sup>1</sup> იხ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 22-23.

მისი ახლობლის ბინაში მართლზომიერად შესვლის შედეგად წარმოეშვა. მაშინ მისი ქმედება 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ვ“ პუნქტით (ქურდობა, ჩადენილი: ბინაში, სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით) ვერ დაკვალიფიცირდება.

„ბინად“ ითვლება ნებისმიერი სადგომი სტაციონარული (ერთ ადგილას მოთავსებული, არამოძრავი) ან „მიგრირებადი“ (იგულისხმება მოძრავი გაგებით), მათ შორის დამხმარეც, განკუთვნილი მასში ადამიანების მუდმივად ან დროებით საცხოვრებლად, მათი ქონების მთლიანად ან ნაწილობრივ შესანახად. ფუნქციონალური დანიშნულებიდან გამომდინარე ბინად შეიძლება ჩაითვალოს კერძო სახლი, აგარაკი, ცალკე ბინა ან ოთახი მასში, ოთახი საერთო საცხოვრებელში, სასტუმროში და ა. შ. სხვანაირად თუ ვიტყვით, ბინის ცნება მოიცავს დროებით ან მუდმივ სამყოფ ადგილს, თავშესაფარს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ლოგიკური იქნება თუ ვიტყვით, რომ ბინად არ შეიძლება ჩაითვალოს ის, რაც განკუთვნილი არაა ადამიანის მუდმივ ან დროებით საცხოვრებლად. ასეთია მაგალითად, გარაჟი, სარდაფი, სხვადასხვა სახის სამეურნეო ნაგებობანი და სხვ.

„სადგომად“ ითვლება შენობა-ნაგებობანი, რომლებიც ადამიანთა და ფასეულობათა განსათავსებლად არის გამიზნული. ასეთია მალაზია, თეატრი, მუზეუმი, ფაბრიკა-ქარხანა, სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულება და სხვ.

„სხვა საცავად“ ითვლება სხვადასხვა სახის ფასეულობათა მუდმივად ან დროებით შესანახად განკუთვნილი სპეციალური საცავი და ასევე ტერიტორიის ნაწილი. ასეთია მაგალითად, რკინის კარადა, სეიფი, კონტეინერი, რკინიგზის საბარგო ვაგონი, პირუტყვისათვის სპეციალურად შემოღობილი (შემორაგეული) ეზო, მარცვლეულის შესანახად განკუთვნილი ბელელი და სხვ.

„აღნიშნული დამამძიმებელი გარემოების განხილვისას, – აღნიშნავენ კომენტარის ავტორები, – უნდა განისაზღვროს, თუ რა შემთხვევაში ჩაითვლება ბინაში, სადგომსა ან სხვა საცავში შეღწევა პირთა ჯგუფის მიერ ჩადენილად. დამნაშავე, რომელმაც არ შეაღწია ბინაში, მაგრამ წინასწარი შეთანხმებით მონაწილეობდა კარის, საკეტის, გისოსის გატეხვაში ან სხვა ისეთ მოქმედებაში, რაც სხვა პირის ბინაში შეღწევასთან იყო დაკავშირებული, თანამსრულებელს წარმოადგენს და მისი მოქმედება არ მოითხოვს დამატებით სისხლის სამართლის 24-ე მუხლზე (თანამონაწილის სახეები) მითითებას.

თუ პირი სხვადასხვა საშუალებებით ესმარება დამნაშავეს ბინაში, სადგომსა ან სხვა საცაქში შეღწევისას საშუალებათა მიცემით, თავიდან აცილებს დაბრკოლებებს, ან წინასწარ ჰპირდება, რომ დამალავს დანაშაულის კვალს, იყიდის ან გაასაღებს უკანონოდ მოპოვებულს, როდესაც ეს არ არის დაკავშირებული უშუალოდ ბინაში შეღწევისთან, ქმედობა დაკვალიფიცირდება როგორც ქურდობაში თანამონაწილეობა დახმარების სახით. ზემოაღნიშნული დებულება ვრცელდება ასევე ძარცვასა და ყაჩაღობაზე. ორივე გარემოება – ქურდობა ბინაში შეღწევითა და წინასწარი შეთანხმებებით პირთა ჯგუფის მიერ, სასამართლო განაჩენში ცალ-ცალკე აისახება, თუმცა, იგი დანაშაულის კვალიფიკაციაზე გავლენას ვერ მოახდენს. იგი მხოლოდ დამნაშავისათვის სასჯელის ზომის განსაზღვრაზე იმოქმედებს<sup>1</sup>.

დაბოლოს, სსკ 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ პუნქტით განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებად მიჩნეულია ქურდობა, ჩადენილი: იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევნი სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის. ეს ნიშანი ასახავს მრავალგზისი სპეციალური რეციდივის მომეტებულ საშიშროებას. ადამიანი, რომელიც არაერთხელ იყო მიცემული სისხლის სამართლის პასუხისგებაში და თუ იგი კვლავაც განაგრძობს ერთგვაროვანი დანაშაულის ჩადენას ამით, ცხადია, იძენს დანაშაულებრივ გამოცდილებას, იმაღლებს თავის „კვალიფიკაციას“. მრავალგზისი სპეციალური რეციდივი – ესაა დანაშაულებრივი პროფესიონალიზმის ნიშანი. განსახილველი „დ“ პუნქტით ფაქტობრივად აღიარებულია ერთგვაროვან დანაშაულთა საშიში რეციდივი და კანონიც სწორედ ამ პრინციპით აძლიერებს ასეთ პირთა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, აღნიშნული ნიშანი დამამძიმებელი და განსაკუთრებით დამამძიმებელი გარემოების სახით გვხვდება ასევე 178-182-ე, 185-ე და 186-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულის შემადგენლობებში.

<sup>1</sup> იხ. დასახელებული კომენტარი. გვ. 24-25.

#### §4. ძარცვა (სსკ 178-ე მუხლი)

საქართველოს სსხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის ძალით, ძარცვა ესაა სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში იგულისხმება დატაცება. ჩადენილი ძალადობის გარეშე. ძარცვის დროს, ისე როგორც ქურდობისას, ადგილი აქვს ქონების ამოღებას მესაკუთრის ფონდებიდან ან იმ პირთა მფლობელობიდან, რომელთაც ეს ქონება ჰქონდათ მინდობილი, მაგრამ ქურდობისაგან განსხვავებით, რაც ქონების ფარულ დატაცებას (დაუფლებას) გულისხმობს, ძარცვის დროს ქონება დამნაშავეის მიერ ამოიღება აშკარად.

აშკარა დაუფლება (დატაცება) იქნება მაშინ, როცა დამნაშავე ეუფლება ქონებას და თანაც წინასწარ იცის, რომ მისი მოქმედება შეცნობილი აქვთ როგორც იმ პირებს, რომელთა მფლობელობაში, გამგებლობასა თუ დაცვაში იმყოფება ქონება, ასევე მესამე პირსაც.

იურიდიულ ლიტერატურაში გვხვდება მტკიცება, რომ მესამე პირის მიერ ქონების დატაცების ფაქტის შეგნება, რომელიც უშუალოდ პასუხს არ აგებს მისი დაცვისათვის, არ შეიძლება იყოს საფუძველი, რომ დატაცება (დაუფლება) მიჩნეულ იქნას აშკარა დატაცებად; მაგალითად, ა. ი. სანთალოვი ფიქრობს, რომ — „იღებს რა ქონებას და ეუფლება მას, დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ მისი მოქმედება შესამჩნევია იმ პირებისათვის, რომლებიც იცავენ და განაგებენ ამ ქონებას ან იმ პირებისათვის, რომელთა მეთვალყურეობაში იმყოფება ქონება“<sup>1</sup>. ცხადია, ასეთი აზრი სწორი არ არის.

სისხლის სამართალში დატაცების (დაუფლების) აშკარა ხერხი ფარულთან შედარებით უფრო საშიშად ითვლება. ამის საფუძველი ის არის, რომ აშკარა დატაცება, როგორც უფრო თავხედური და ცინიკური, მოწმობს დამნაშავეის მომეტებულ საშიშროებას. დამნაშავე ასეთ შემთხვევაში შეგნებულად მიდის დაჭერის რისკზე, ხშირად ფსიქოლოგიურად მზადაა გამოიყენოს ძალა თავისი მიზნის მისაღწევად. ეს თავისებური „დემონსტრაცია“ ქონების დატაცებისა თანაბრად ვლინდება როგორც იმ ადამიანების თვალწინ, რომლებსაც მინდობილი აქვთ ქონების დაცვა-გამგებლობა, ასევე იმ ადამიანების

<sup>1</sup> Советское уголовное право, часть Особенная, М., 1962, с. 92.



წინაშეც, რომლებიც უშუალოდ პასუხს არ აგებენ ქონების დაცვისათვის.

ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილებაში კ-ს საქმესთან დაკავშირებით, რომელიც ამავე სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის მიერ ცნობილ იქნა დამნაშავედ, სწორადაა აღნიშნული, რომ გ-ს მოქმედება (ამ უკანასკნელმა ისარგებლა იმით, რომ მაღაზიის გამყიდველმა დროებით მიატოვა სალარო და მყიდველთა თვალწინ მაღაზიის სალაროდან დაიტაცა ფული) საჭიროა კვალიფიცირებულ იქნას არა როგორც ქურდობა, არამედ ძარცვა, რადგან გ., მართალია, ფულს იტაცებდა მაღაზიის გამყიდველისაგან ფარულად, მაგრამ ამავე დროს იცოდა, რომ ყოველივე ამას სჩადიოდა სხვა მოქალაქეების თვალწინ, რომელთაც შეეძლოთ მისთვის წინააღმდეგობის გაწევა და დაკავება.

დატაცების აშკარა ხასიათი იმდენად ზრდის დამნაშავის საზოგადოებრივ საშიშროებას, რომ კანონმდებელი წვრილმანი დატაცების დროსაც არ თვლის შესაძლებლად, ძარცვა შეიტანოს ქონების წვრილმანი დატაცების ნაკლებად საშიშ სახეში. დამოუკიდებლად იმისა თუ რა ოდენობის თანხაა დატაცებული, დამნაშავის მოქმედება კვალიფიცირებული უნდა იქნეს არა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 50-ე მუხლით, არამედ სსკ 178-ე მუხლის შესაბამისი ნაწილით<sup>1</sup>.

აშკარა დატაცების (დაუფლების) ფაქტს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აშკარა დატაცების ნიშნების განსაზღვრისათვის. სახელდობრ, საჭიროა დადგინდეს, რომ პირს, რომელიც აკვირდება დამნაშავის მოქმედებას, შეგნებული აქვს ამ უკანასკნელის დანაშაულებრივი ხასიათი. პრაქტიკაში ასეთი მოთხოვნის მნიშვნელობა ზოგჯერ სათანადოდ ვერ ფასდება: მაგალითად, ქ. თბილისის ერთ-ერთი სასამართლოს მიერ ძარცვის მუხლის პირველი ნაწილით გასამართლებულ იქნა კ., რომელიც მაღაზიის გამყიდველს დაეხმარა ამ უკანასკნელის თხოვნით პროდუქტების გადმოტვირთვასა და მაღაზიაში შეტანაში. როდესაც გადმოტვირთვას მორჩნენ, მან სხვა მოქალაქეების თვალწინ, მაღაზიის გამყიდველისაგან შეუქმნევლად, აიღო ორი ცალი ძეხვი ყუთიდან და გავიდა სასაქონლო დარბაზში.

<sup>1</sup> დაწვრილებით ამ საკითხზე იხ. ვალერი ლორიას ნაშრომი — საქართველოს ადმინისტრაციული სამართალი, თბ., 1998, გვ. 291-293.

თბილისის საილქო სასამართლო არ დაეთანხმა ასეთ კვალიფიკაციას და მიუთითა, რომ მოქალაქეებს შეგნებული არ ჰქონდათ „კ“-ს მიერ ძეხვის დატაცების ფაქტი. მოწმეებმა თავიანთ ჩვენებებში მიუთითეს, რომ მათ კ. ჩათვალეს მალაზიის მუშად. ყოველივე ამის გამო აღინიშნა, რომ კ-ს მოქმედება კვალიფიცირებული უნდა იქნეს არა როგორც ძარცვა, არამედ ქონების წვრილმანი ქურდობა, რასაც ითვალისწინებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 50-ე მუხლი.

იმისათვის, რომ ქმედობა კვალიფიცირებულ იქნას სს კოდექსის 178-ე მუხლით, როგორც ძარცვა, საჭიროა დადგინდეს, რომ დამნაშავეს შეგნებული ჰქონდა ქონების დატაცების (დაუფლების) აშკარა ხასიათი. თუ დამნაშავე დარწმუნებულია, რომ მოქმედებს ფარულად, მაგრამ ფაქტობრივად აღმოჩნდება, რომ დატაცებას უყურებდნენ სხვები, ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს ქურდობასთან და არა ძარცვასთან.

აშკარა დატაცებად, – გვევლინება ისეთი დატაცება, რომელიც ხდება როგორც დაზარალებულის, ისე იმ პირთა თანდასწრებით, რომელთა გამგებლობაში ან დაცვაში იმყოფება ქონება, ან გარეშე პირთა თანდასწრებით და დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ ამ პირებმა იციან მისი მოქმედების დანაშაულებრივი ხასიათი, მაგრამ უგულებელყოფს მოცემულ ვითარებას.

თუ ქონების დატაცება ქურდობით დაიწყო, მაგრამ ქურდობა შემჩნეულ იქნა დაზარალებულის ან სხვა პირის მიერ, რომელმაც წინააღმდეგობა გაუწია დამნაშავეს ქონების დატაცებაში, ხოლო დამნაშავემ წინააღმდეგობის დასაძლევად ძალადობა გამოიყენა, რაც სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში არ იყო, ქმედობა კვალიფიცირებული უნდა იქნეს როგორც ძარცვა და არა ქურდობა.

ძარცვა არის აშკარა დატაცება. იგი დამთავრებულად ითვლება ქონების დაუფლების მომენტიდან, ე. ი. იმ დროიდან, როცა დამნაშავეს შესაძლებლობა ეძლევა გადააქციოს ქონება თავის სასარგებლოდ.

საქართველო სს კოდექსის 178-ე მუხლში გამოყოფილია ძარცვის სამი სახე: მარტივი ანუ ძირითადი; კვალიფიციური და განსაკუთრებით კვალიფიციური.

მარტივი ანუ ძირითადი სახე მოცემულია 178-ე მუხლის პირველ ნაწილში (ძარცვა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით). – რაც ისჯება ჯარიმით

ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორიდან სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხ წლამდე.

კვალიფიციურ სახეს ითვალისწინებს განსახილველი მუხლის მე-2 ნაწილი. ასეთად ითვლება იგივე ქმედება (იგულისხმება ძარცვა – ზ. წ.) ჩადენილი: ა) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ; ბ) არაერთგზის; გ) რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია; დ) ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის. ანდა ასეთი ძალადობის მუქარით, – რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან შვიდ წლამდე.

განსაკუთრებით კვალიფიციურ სახეს ხაზი გაესმის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილში. ასეთად მიჩნეულია ძარცვა თუ იგი ჩადენილია: ა) ორგანიზებული ჯგუფის მიერ; ბ) დიდი ოდენობით; გ) ბინაში, სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით; დ) იმის მიერ. ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლვეი სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის, – რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან თორმეტ წლამდე.

ძარცვისათვის სპეციფიკურ მაკვალიფიცირებელ ნიშნად, როგორც აღვნიშნეთ, გვევლინება ისეთი ძალადობა, რაც საშიში არ არის დაზარალებულის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის, ანდა ასეთი ძალადობის მუქარა. ხელყოფა ამ შემთხვევაში მიმართულია არა მარტო საკუთრების, არამედ იმ პირთა სხეულის ხელშეუხებლობისა და თავისუფლების წინააღმდეგ, რომელთა გამგებლობასა და დაცვაში იმყოფება ქონება; ასევე ხელყოფა შეიძლება მიმართული იყოს მესამე პირის წინააღმდეგ, რომელსაც შეუძლია წინ აღუდგეს ქონების დატაცებას. ეს გარემოება გარკვეული თვალსაზრისით ამაღლებს როგორც დანაშაულის, ისე დამნაშავის საზოგადოებრივ საშიშროებას.

თავისი ხასიათით, როგორც აღვნიშნეთ, ფიზიკური ძალადობა ძარცვისას არ უნდა იყოს საშიში სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, ე. ი. მან არ უნდა შექმნას საშიშროება სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მისი გამოყენების მომენტში, მით უფრო, არ უნდა მიაყენოს დაზარალებულის ჯანმრთელობას რეალური ზიანი. კონკრეტულად ეს ძალადობა შეიძლება გამოიხატოს სხეულის ისეთი უმნიშვნელო დაზიანებით, რასაც ჯანმრთელობის მოშლა არ მოჰყვება.

ასეთი დაზიანება არსებობს მაშინაც, როდესაც, მართალია, სხეულის ანატომიური მოლიანობა დარღვეულია, მაგრამ იგი იმდენად უმნიშვნელო ხარისხისაა, რომ არ იწვევს არც ავადმყოფობას და არც რომელიმე ორგანოს ფუნქციის მოშლას, ე. ი. ასეთ შემთხვევაში სხეულის დაზიანება ატარებს უმნიშვნელო ხასიათს და შეიძლება გამოიხატოს სხეულის ზედაპირული დაზიანებით (სისხლნაყლენტები, პატარა იარები, დაბეუილობა და ა. შ.). სხვანაირად თუ ვიტყვით, ძარცვის დროს გამოყენებული ძალადობა არ იწვევს ჯანმრთელობის არც ხანმოკლე მოშლას, არც საერთო შრომისუნარიანობის უმნიშვნელო და არც არამყარ დაკარგვას.

საგამოძიებო პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც მძარცველები მალაზიიდან ქონების დატაცების მიზნით მიმართავენ გუშაგის შებოჭვას და პირში ჩერის ჩაჩრას. ასეთი მოქმედება, როგორც წესი, სწორად კვალიფიცირდება 178-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ პაუნქტით (ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის, ანდა ასეთი ძალადობის მუქარით).

ძარცვის ჩადენის მომენტში სხეულის დაზიანება, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის თუნდაც ხანმოკლე მოშლა ან რეალური საფრთხე შეუქმნა ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, არ შეიძლება განვიხილოთ ისეთ ძალადობად, რაც დამახასიათებელია ძარცვისათვის. ასეთ შემთხვევაში დამნაშავეის მოქმედება კვალიფიცირებული უნდა იქნეს, როგორც ყაჩაღობა.

ამრიგად, ძარცვის დროს ძალადობად უნდა მივიჩნიოთ ისეთი ფიზიკური ზემოქმედება დაზარალებულზე ან სხვა პირებზე რაც არ ხასიათდება იმ ნიშნებით, რაც მითითებულია სსკ 120-ე მუხლის (ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება) დისპოზიციაში.

ძალადობის უფრო საშიში სახეები, რაც გამოყენებულია მესაკუთრის ფონდებიდან ქონების ამოღების საშუალებად, ყაჩაღობის ნიშნად გვევლინება.

უნდა აღინიშნოს, რომ ძალადობა ძარცვის დროს გვევლინება ქონების დაუფლების საშუალებად და ამ საშუალებას დამნაშავეები განზრახ იყენებენ, რათა დაზარალებულებს მოუსპონ წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობა. ძალადობით ძარცვასთან არ გვექნება საქმე, თუ ადგილი აქვს დაზარალებულის ხელიდან ქონების უეცარ „გამოტაცებას“, „გამოგლეჯას“, „წართმევას“. საქმე ის არის, რომ ამ

შემთხვევაში დამნაშავეს არ სურს გამოიყენოს ძალადობა. მისი მიზანია მხოლოდ დაზარალებულს მოულოდნელად გამოსტაცოს ქონება და მიიმალოს. ამ სიტუაციაში დაზარალებულისათვის თუნდაც გაუფრთხილებლობით მიყენებული უმნიშვნელო დაზიანებები (მაგალითად, დაკაწვრა და ა. შ.) არ უნდა მივიჩნიოთ ძარცვად ძალადობის გამოყენებით, რადგან დამნაშავეს არ ჰქონია ძალადობის გამოყენების განზრახვა და ძალადობა არ იყო ქონების დაუფლების საშუალება.

როგორც წესი, ძარცვის დროს ძალადობა წინ უსწრებს ქონების ამოღებას, მაგრამ იგი შეიძლება გამოყენებულ იქნას დატაცების პროცესშიც უკვე ამოღებული ქონების შენარჩუნების მიზნით.

ძალადობით ძარცვად არ შეიძლება განვიხილოთ ისეთი შემთხვევა, როცა დამნაშავე წინააღმდეგობის წაწყდომის ან უბრალოდ გამოაშკარავების შემთხვევაში უმაღლეს ყრის დატაცებულ ქონებას და ცდილობს მიმალვას, თანაც ამ დროს მიმართავს ძალადობას ერთადერთი მიზნით, სახელდობრ, თავი დააღწიოს დაჭერას.

ძარცვა ძალადობის გამოყენებით დამთავრებულ დანაშაულად ითვლება არა ძალადობის გამოყენების მომენტში, არამედ მხოლოდ დამნაშავის მიერ ქონების დაუფლების მომენტში.

ძარცვა ძალადობის გამოყენების მუქარით გულისხმობს დაზარალებულის ან სხვა პირთა მიმართ ისეთი ძალადობის გამოყენების მუქარას, რაც საშიში არ არის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის; ასეთია მაგალითად, ცემის, შებოჭვის, სარდაფში ჩაკეტვის მუქარა და სხვ.

ძალადობის გამოყენების მუქარა, როგორც წესი, დაუყოვნებლივ ვლინდება მაშინ, როცა დაზარალებული წინააღმდეგობას უწევს დამნაშავეს ქონების აშკარა დატაცებასთან დაკავშირებით.

ზოგჯერ მძარცველი დაზარალებულის მიმართ მუქარისას არ აკონკრეტებს, თუ რა ხასიათის ძალადობა იქნება მის მიერ გამოყენებული, ე. ი. მიმართავს ე. წ. განუსაზღვრელი მუქარის გამოყენებას. ამ დროს ადგილი აქვს დამუქრებას ზოგადი ფორმით, რომ დაზარალებულისათვის „ცუდი იქნება“, „უარესი იქნება“ და ა. შ. როცა ქონების დაუფლება დაკავშირებულია ძალადობის გამოყენების მუქარასთან, რომელიც ატარებს განუსაზღვრელ ხასიათს, საკითხი – დამნაშავის მოქმედებაში ძარცვას აქვს ადგილი თუ ყაჩაღობას, –

აუცილებელია გადაწყდეს საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით (დანაშაულის ჩადენის ადგილი და დრო; დამნაშავეთა რაოდენობა; სახეების ხასიათი, რომლებითაც ემუქრებოდნენ დაზარალებულს; მუქარის ხასიათი; დაზარალებულის სუბიექტური აღქმა და ა. შ.).

ძარცვის სხვა დამამძიმებელ გარემოებებს აქ არ განვიხილავთ, რადგან მათზე მთლიანად ვრცელდება ყოველივე ის, რაც ზემოთ იყო ნათქვამი ქურდობის ანალიზისას.

## §5. ყაჩაღობა (სსკ 179-ე მუხლი)

საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს შორის ყველაზე საშიშია ყაჩაღობა.

საქართველოს სს კოდექსის 179-ე მუხლის პირველი ნაწილი ყაჩაღობას განმარტავს, როგორც თავდასხმას სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი ადამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის მუქარით, – რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე.

განსახილველი მუხლის მე-2 ნაწილში ხაზი გაესმის ყაჩაღობის ისეთ დამამძიმებელ გარემოებებს როგორცაა ყაჩაღობის ჩადენა: ა) ჯგუფურად; ბ) არაერთგზის; გ) ბინაში, სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით; დ) დიდი ოდენობის ნივთის დაუფლების მიზნით; ე) იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლვეი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის, – რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან თხუთმეტ წლამდე.

სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა ისეთი ძალადობაა, რომლის დროს დაზარალებულს ადგება სხეულის მძიმე დაზიანება, სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება, ასევე სხეულის მსუბუქი დაზიანება ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლით, ან შრომის უნარის აშკარად უმნიშვნელო ან არამყარი დაკარგვა; თუ სხეულის მსუბუქი დაზიანება ძალადობის გამოყენების მომენტში საშიში იყო სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის, და რამაც შექმნა რეალური საშიშროება დაზარალებულის სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის, უნდა მიეცეს ყაჩაღობის კვალიფიკაცია.

ყაჩაღობა არის რთული, შენადგენი დანაშაული. რაც ერთდროულად ზიანს აყენებს ორ ობიექტს – საკუთრებასა და პიროვნებას, იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული იყო სხვადასხვა აზრი იმაზე, თუ რომელი ობიექტია აქედან მთავარი, ძირითადი; მაგალითად, ავტორთა ერთი ჯგუფი, რომელიც ფიქრობს, რომ ყაჩაღობა დამთავრებულ დანაშაულად ითვლება თავდასხმის მომენტიდან და არა ქონების დაუფლების მომენტიდან, ყაჩაღობას მიიჩნევს პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად<sup>1</sup>.

ამ თვალსაზრისს არ შეიძლება დავეთანხმოთ. ყაჩაღობა არის საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ქმედება. ყაჩაღური თავდასხმების მიზანია ქონების დაუფლება, ხოლო ძალადობა, რაც საშიშია პირის სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის, ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარა წარმოადგენს ამ ქონების დაუფლების ხერხს, საშუალებას. კანონმდებლობის ასეთი აგება ყაჩაღობისათვის პასუხისმგებლობისა, – როგორც შენიშნავს გ. კრიგერი, – ყველაზე სწორად გვეკლინება. იგი ასახავს ყაჩაღობის არსს, როგორც ქმედებას, ძირითადად მიმართულს საკუთრების წინააღმდეგ, და გამოხატავს დამნაშავეს მისწრაფებას – პარაზიტულად იცხოვროს სხვისი ქონების ხარჯზე<sup>2</sup>.

დასასრულს, სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ყაჩაღობა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია. იგი ერთდროულად ხელყოფს ორ მნიშვნელოვან ობიექტს – საკუთრებას და პიროვნების სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას. რაც შეეხება ყაჩაღობის დროს განხორციელებულ თავდასხმას, იგი ქონების დაუფლების საშუალებად უნდა მივიჩნიოთ. ყაჩაღურ თავდასხმას, როგორც წესი, თან უნდა ახლდეს სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა, ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარა, რაც, თავის მხრივ, ყაჩაღური თავდასხმის შემადგენელ კომპონენტად უნდა მივიჩნიოთ. ყაჩაღური თავდასხმა შეიძლება განხორციელდეს როგორც იმ პირების მიმართ, ვის გამგებლობაში, მფლობელობასა ან დაცვაში იმყოფება ქონება, ასევე გარეშე პირების მიმართაც, რომლებსაც შეუძლიათ ხელი შეუშალონ

<sup>1</sup> იხ. М. Б. Гугучия. Ответственность за разбой по советскому уголовному праву. Сухуми, 1958, с. 20-21, 25; Б. С. Манковский. Уголовный и Уголовно-процессуальный кодексы... М., 1957, с. 15.

<sup>2</sup> იხ. Г. А. Кригер. Квалификация хищений социалистического имущества. М., 1974, с. 127-128.

დამნაშავეებს ქონების დაუფლებაში.

დავუბრუნდეთ ყაჩაღური თავდასხმის საკითხს. თავდასხმად უნდა გავიგოთ დაზარალებულისათვის ისეთი უეცარი, მოულოდნელი ძალადობა ან ძალადობის გამოყენების მუქარა, რომელსაც თავისი ობიექტური ხასიათით შეუძლია გამოიწვიოს სიკვდილი ან სხეულის დაზიანება.

რამდანადაც თავდასხმა არის ქონებაზე დაუფლების ხერხი (საშუალება), იგი, საერთოდ, წინ უნდა უსწრებდეს ქონების დაუფლებას; მაგრამ როცა დამნაშავე დატაცებას იწყებს ფარულად და შემდეგ დატაცების პროცესში გამოიყენებს ძალადობას, რაც საშიშია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, ქმედობა კვალიფიცირებული უნდა იქნეს როგორც ყაჩაღობა. მაგალითად, ცხაკაიას სასამართლომ სწორად ცნო ს-ს და დ-ს მოქმედება, როგორც ყაჩაღობა. საქმის არსი ასეთია: ს. და დ. საათების მოპარვის მიზნით შევიდნენ ცხაკაიას საიუველირო მაღაზიაში. ს-მ თავისთან მოიხმო გამყიდველი ბ. და დაუწყო საუბარი იმაზე, თუ სად შეიძლებოდა ეშოვა ბრილიანტის ბეჭდები და საყურეები. ამ საუბრის დროს დ. შეუდგა ვიტრინიდან 300 ლარად ღირებული ოქროს საათის ამოღებას. ამოღების მომენტში მას საათი ხელიდან გაუვარდა და იქვე სკამზე დავარდა. დ. დაიხარა საათის ასაღებად, ყოველივე ეს გამყიდველმა შეამჩნია, მივარდა დ-ს და დაუწყო საათის წართმევა, წართმევის მომენტში ს-მ ყელში წაუჭირა ხელი, ხოლო დ-მ სახეში ჩაარტყა კასტეტი ბ-ს, რომელიც იქვე დაეცა. ს. და დ. შეეცადნენ გაქცევას, მაგრამ ისინი დააკავეს. კასტეტის დარტყმამ გამყიდველ ბ-ს მიაყენა სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება. გამოძიებისა და სასამართლოს მიერ სწორად იქნა კვალიფიცირებული ს-ს და დ-ს მოქმედება, როგორც ყაჩაღობა, რაც დაიწყო ქურდობით და შემდეგ გადაიზარდა ყაჩაღობაში.

როცა ყაჩაღობისათვის დამახასიათებელი ძალადობა გამოიყენება ქონების ამოღების შემდეგ იმ მიზნით, რომ დამნაშავემ თავი დააღწიოს დაკავებას, ასეთი მოქმედება არ შეიძლება განვიხილოთ როგორც ყაჩაღური თავდასხმა, რადგან ძალადობის გამოყენება ასეთ გარემოებაში არ გვევლინება ქონების დაუფლების ან მისი შენარჩუნების საშუალებად (ხერხად). ნათქვამის საილუსტრაციოდ მოგვყავს მაგალითი საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკიდან: მოქალაქე შ. შევიდა ქ. ზუგდიდის ცენტრალურ უნივერსიტეტში და გამყიდველს სთხოვა ეჩვენებინა მისთვის პიჯაკი. მისი თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა. შ-მ ისარგებლა იმით,



რომ გამყიდველი სხვა მყიდველით იყო დაკავებული, ჩაიცვა პიჯაკი და შეუმჩნეველად გავიდა მაღაზიიდან. გამყიდველმა რამდენიმე წუთის შემდეგ მოიკითხა პიჯაკი... იგი მიხვდა საქმის ვითარებას, თავის სამუშაო ადგილზე სხვა გამყიდველი დატოვა და თვითონ გაეკიდა მოქალაქე შ-ს. ქუჩაში მიმავალმა შ-მ შეამჩნია, რომ მას დასაკავებლად მისდევდა გამყიდველი კ. მან გაიძრო პიჯაკი, დააგდო ასფალტზე და სირბილით შეეცადა მიმალვას, მაგრამ მას დაეწია გამყიდველი. შ-მ იგრძნო მისთვის მოახლოებული საფრთხე, ხელი დაავლო იქვე ასფალტზე შემთხვევით დაგდებულ ქვას და სამჯერ დაარტყა თავის არეში გამყიდველ კ-ს. აღნიშნული მოქმედების შედეგად კ-მ მიიღო სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება. წინასწარი გამოძიების დროს შ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული კვალიფიცირებულ იქნა, როგორც ყაჩაღური თავდასხმა. სასამართლომ. დაემყარა რა იმას, რომ დატაცება ჩადენილი იყო ფარულად, ხოლო ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა დამნაშავემ გამოიყენა დაკავებისაგან თავდასაღწევად და არა ქონების დაუფლებისათვის, მიიჩნია, რომ შ-ს მოქმედებაში არის ორი დანაშაულის ერთობლიობა, სახელდობრ, ქურდობა და სხეულის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება. შ-ს დანაშაულებრივი მოქმედების ასეთი კვალიფიკაცია სწორად უნდა მივიჩნიოთ, რადგან დატაცება ჩადენილ იქნა ფარულად, ხოლო ქურდობის შემდეგ ჩადენილი ძალადობა მიზნად ისახავდა დაკავებისაგან თავის დაღწევას.

ყაჩაღობისას ძალადობა შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე ფსიქიკური. ეს უკანასკნელი ფიზიკური ძალადობის დაუყოვნებლივი გამოყენების მუქარის ფორმით ვლინდება, რაც საფრთხეს უქმნის დაზარალებულის სიცოცხლესა ან ჯანმრთელობას. სხვანაირად თუ ვიტყვით, ყაჩაღობის დროს ფსიქიკური ძალადობა გამოიხატება დაზარალებულის სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის საშიში ფიზიკური ძალადობის დაუყოვნებლივ გამოყენების მუქარაში (მოკვლის, სხეულის მძიმე, ნაკლებად მძიმე ან მსუბუქი დაზიანების – ჯანმრთელობის მოშლით – მიყენების მუქარა). მუქარის გამოხატვის ფორმა შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი – სიტყვები, ჟესტები, იარაღებისა და სხვა საგნების ჩვენება, რომელთა გამოყენებაც შეიძლება საშიში იყოს დაზარალებულის სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის.

როდესაც მუქარა ატარებს განუსაზღვრელ ხასიათს („მომეცი ფული, თორემ უფრო ცუდი იქნება“ ან „გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ადგილიდან არ გაინძრეთ“ და ა. შ.), ამ შემთხვევაში

იმ საკითხის გასარკვევად. დამნაშავის მოქმედება მიეკუთვნება ძარცვას თუ ყაჩაღობას, უნდა გადაწყდეს დანაშაულის ჩადენის ადგილისა და დროის, თავდასხმაში მონაწილეთა რაოდენობის, იარაღისა და საგნების ხასიათის (რომლებითაც თავდამსხმელები დაზარალებულს ემუქრებოდნენ), დაზარალებულის მიერ მუქარის ხასიათის სუბიექტური აღქმის (ე. ი. საქმის ყველა გარემოების) გათვალისწინებით.

საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში ხშირად დამნაშავეთა ქმედება არასწორადაა კვალიფიცირებული იმ შემთხვევაში, როცა ხულიგნობის, გაუპატიურების ან სხვა დანაშაულის ჩადენისას დამნაშავე მიმართავს ქონების ამოღებას. ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ იმ შემთხვევაში, როცა დამნაშავე ხულიგნობის, გაუპატიურების ან სხვა დანაშაულის ჩადენისას ითვალისწინებდა ანგარებით მიზანს და მიმართავდა ქონების ამოღებას, მისი მოქმედება ამ ქონების ამოღების ხერხის მიხედვით საჭიროა კვალიფიცირებულ იქნას. როგორც შესაბამისი დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ და ხულიგნობა, გაუპატიურება ან სხვა დანაშაული.

საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში ზოგჯერ გეხვდება შემთხვევები ყაჩაღური თავდასხმების სიმულაციისა, რაც იმით გამოიხატება, რომ პირი, რომლის მართლზომიერ მფლობელობაში ან ღაცვაში იმყოფება ქონება, შეუთანხმდება სხვა პირებს ფიქციური თავდასხმის ჩადენაზე. ასეთ შემთხვევაში დამნაშავეთა მოქმედება კვალიფიცირებული უნდა იქნეს, როგორც ქურდობა, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რადგან თავდასხმა მოგონილ, ფიქციურ ხასიათს ატარებს. მოგვყავს მაგალითი საგამოძიებო პრაქტიკიდან: ვანის რაიონის სოფელ ყუმურის მოსახლეობის მსხვილფეხა საქონლის მწყემსი ფ. წინასწარ შეუთანხმდა მოქალაქეებს ა-ს და ტ-ს, რათა დაეტაცებინათ მოსახლეობის კუთვნილი 5 სული მსხვილფეხა რქოსანი საქონელი. შეთანხმების პირობებისამებრ, შუადღისას, როცა ფ. საქონელს ამოვებდა, მასთან მივიდნენ ა. და ტ., მათ ბაწრით ხელფეხი შეუკრეს ფ-ს, გვერდით დაუდეს თავისივე თოფი და 5 სული ძროხა ტყეში გარეკეს. სამძებრო-ოპერატიული მოქმედების შედეგად ეს დანაშაული დროულად იქნა გახსნილი. იმის გათვალისწინებით, რომ ძალადობა მოცემულ შემთხვევაში ფიქციურ ხასიათს ატარებდა, ე. ი. გამოყენებული იყო მხოლოდ მოსაჩვენებლად, საგამოძიებო ორგანოების მიერ აღნიშნულ პირთა ქმედობა კვალიფიცირებულ

იქნა, როგორც ქურდობა ჯგუფის მიერ წინასწარ შეთანხმებით. რაც სავსებით სწორია.

საქართველოს სს კოდექსის 179-ე მუხლის დისპოზიციის შესაბამისად, ყაჩაღობა დამთავრებულ დანაშაულად ითვლება თავდასხმის მომენტიდან მიუხედავად იმისა, თავდამსხმელმა შეძლო თუ არა ქონების დაუფლება. საგამოძიებო პრაქტიკაში მაინც ვხვდებით შეცდომებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. მაგალითად, მოქალაქე ს-ს დანაშაულებრივი ქმედება წინასწარი გამოძიებისას კვალიფიციირებულ იქნა საქართველოს სს კოდექსის მე-19 (დანაშაულის მცდელობა) და 179-ე მუხლებით იმის გამო, რომ იგი შევიდა აბაშის რკინიგზის სასაუზმეში და დანის მუქარით მებუფეტე გ-ს უბრძანა გადაეცა დღიური ნავაჭრი თანხა, მაგრამ თანხის დაუფლებაში მას ხელი შეუშალეს გ-ს მეზობლებმა კ-მ და მ-მ, რომლებიც იქვე არაყს სვამდნენ. გამოძიებამ ს-ს მოქმედებას, როგორც ყაჩაღობის მცდელობას, საფუძვლად ის დაუდო, რომ დამნაშავემ ვერ განახორციელა ქონების დაუფლება. აბაშის სასამართლომ აღნიშნული კვალიფიკაცია (ყაჩაღობის მცდელობა), სავსებით მართებულად, არასწორად მიიჩნია და განჩინებაში აღნიშნა, რომ 179-ე მუხლის (ყაჩაღობა) დისპოზიციიდან გამომდინარე, ყაჩაღობის დამთავრებულად ცნობისათვის აუცილებელი არ არის სასურველი შედეგის დადგომა, რომ ყაჩაღობა, მიუხედავად იმისა, დადგა თუ არა სასურველი შედეგი, დამთავრებულ დანაშაულად ითვლება.

სუბიექტური მხრივ ყაჩაღობა ხასიათდება პირდაპირი განზრახვითა და ანგარების მოტივით, დამნაშავის მიზანია, როგორც ეს დისპოზიციამა აღნიშნული. სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი, რასაც თან ერთვის სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარა. ყაჩაღობისას დამნაშავეს (ისწრაფვის რა დაუფლოს ქონებას) შეგნებული აქვს, რომ იყენებს ისეთ ძალადობას ან ავლენს ისეთ მუქარას, რომლის ძალითაც დაზარალებულმა მას უნდა გადასცეს მატერიალური ფასეულობა ან ხელი არ შეუშალოს მის დაუფლებაში. ამრიგად, ყაჩაღური თავდასხმის დროს დამნაშავის განზრახვა ქონების დაუფლებასთან დაკავშირებით პირდაპირია, ე. ი. პირდაპირ განზრახვაში ვლინდება; რაც შეეხება ძალადობის გამოყენებას, რაც საშიშია დაზარალებულის სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის, ამ შემთხვევაში დამნაშავის განზრახვა

ძალადობის შედეგთან დამოკიდებულებაში ალტერნატიულ ხასიათს ატარებს. ბ. ნიკიფოროვი სწორად მიუთითებს იმაზე, რომ ყაჩაღური თავდასხმის დროს „დამნაშავე, ესწრაფვის რა სხვისი ქონების დაუფლებას, ჩვეულებრივ დანტერესებული არაა მის მიერ გამოყენებული ძალადობის ხასიათით და სიმძიმით. ის იყენებს ძალადობითი ზემოქმედების იმ ღონისძიებებს, რომლებსაც საქმის გარემოებათა მიხედვით აუცილებლად თვლის... დამნაშავეს მოქმედება, რომელიც დაზარალებულს იარაღს ესვრის ან დანით თუ ნაჯახით აყენებს დარტყმებს, თავისი ობიექტური თვისებით ისეთია, რომ დაზარალებულს შეუძლია მიაყენოს სხეულის მსუბუქი (ჯანმრთელობის მოშლით), ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება, ან გამოიწვიოს დაზარალებულის სიკვდილი“<sup>1</sup>.

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ყაჩაღობისათვის დგება 14 წლის ასაკიდან (საქ. სსკ მე-80 მუხლი).

ყაჩაღობის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ დამამძიმებელ გარემოებებს აქ არ განვიხილავთ, რადგან დატაცების სხვა ფორმების განხილვის დროს (ქურდობა, გაძარცვა) შევეხეთ მათ.

— საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში ხშირად ისმება საკითხი, ერთი მხრივ, ქონების მითვისების მიზნით ყაჩაღური თავდასხმით მკვლელობისა და, მეორე მხრივ, ანგარებით ჩადენილი მკვლელობის გამოიჯინისა და ამ ორი სახის დანაშაულის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ.

ყაჩაღობა, პირველ ყოვლისა, აშკარა თავდასხმაში გამოიხატება, მაშინ როცა ანგარებით მკვლელობა შეიძლება ჩადენილ იქნას როგორც აშკარად, ასევე ფარულად (მაგალითად, მკვლელობა შხამის მიცემით). მაგრამ რადგანაც ანგარებით მკვლელობა, როგორც აღვნიშნეთ, შესაძლოა აშკარადაც მოხდეს, ხოლო თავდასხმა ყაჩაღობის დროსაც არ გამოირიცხავს ფარულ სახეს (მაგალითად, არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი კაცის მოკვლა მისი ქონების უმაღლვე დაუფლების მიზნით), ამიტომ საჭიროა ამ ორი დანაშაულის განასახსრავებლად სხვა ნიშნების ძიება<sup>2</sup>. ერთი ასეთი ნიშანთაგანია, სახელდობრ, ის,

<sup>1</sup> Б. С. Никифоров. Объект преступления, М., 1960, с. 103-104.

<sup>2</sup> მართებულია მ. გუგუჩიას მოსაზრება: „... მცირე გამოხაკლისის გარდა, ყაჩაღობა შეიძლება ჩადენილ იქნას ყველა იმ საშუალებით, რომლითაც ჩადინება ანგარებითი მკვლელობა და, მასასადამე, ამ შემადგენლობათა განსხვავება მათი ჩადენის საშუალების მიხედვით უსაფუძვლოა“ (იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 110).

თუ როდის გადადის ქონება დანაშაულის სუბიექტის მფლობელობაში. ყაჩაღობის დროს ქონება (ქონებაზე უფლება), როგორც წესი, სუბიექტის ხელში გადადის თავდასხმისა და დაზარალებულის მკვლელობის მომენტშივე. ანგარებითი მკვლელობისას კი არა დანაშაულის ჩადენისთანავე, არამედ განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ. ამრიგად, ყაჩაღობის დროს ბრალეული პირი მიზნად ისახავს ამა თუ იმ მატერიალური ფასეულობის მიღებას უშუალოდ მკვლელობის ჩადენისთანავე (მაგალითად, დაზარალებულისაგან ფულის ან სხვა ფასეულობის ამოღება მკვლელობისთანავე), ანგარებითი მკვლელობის დროს კი ბრალეულს განზრახული აქვს ესა თუ ის მატერიალური გამორჩენა მიიღოს მკვლელობიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ (მაგალითად, დაზარალებულის ქონების მომავალში მიღება, მოკლულის საცხოვრებელი ფართობის მომავალში დაუფლება და ა. შ.). მეორე მხრივ, არ არის გამორიცხული ანგარებითი მკვლელობის შემთხვევაშიც ადგილი ჰქონდეს მატერიალურ ფასეულობათა უშუალო (ერთდროულად) დატაცებას.

ამრიგად, ამ ორ დანაშაულს შორის ბევრი საერთოა და განსხვავების დადგენა რთულია, მაგრამ გადამწყვეტი მაინც ის არის, რომ რა სახითაც არ უნდა იყოს ჩადენილი ანგარებითი მკვლელობა, დაზარალებულის სიკვდილი მუდამ წინ უნდა უსწრებდეს ქონების დაუფლებას, ქონებრივი უფლების მოპოვებას, რაც ყაჩაღობის დროს აუცილებელი არ არის.

ამ საკითხის შესახებ საინტერესო აზრი აქვს გამოთქმული პროფ. ნ. ტაგანცევს: „ერთადერთ ნიშნად, რომელიც ყაჩაღობას ასხვავებს გაძარცვის მიზნით მკვლელობისაგან, ითვლება განზრახვის ხასიათი. პირველ შემთხვევაში ბრალდებული მოქმედებს გაძარცვის განზრახვით, მაგრამ ამ გვეგმის შესრულებისათვის ჩადის მკვლელობას არაპირდაპირი განზრახვით; მეორე შემთხვევაში ბრალეულს მხედველობაში აქვს პიროვნების სიცოცხლის მოსპობა, რასაც ჩადის ანგარების მიზნით“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ყაჩაღობით მკვლელობასა და ანგარებით მკვლელობას შორის განსხვავება შეიძლება ასე ჩამოვყალიბოთ: ა. ყაჩაღობის დროს დაზარალებულის ქონება ბრალეულ პირთან ყოველთვის გადადის მკვლელობის ჩადენისთანავე, ხოლო ანგარებით მკვლელობისას ბრალეული პირი მიზნად ისახავს ამა

თუ იმ მატერიალური გამორჩენის ძილებას მხოლოდ მკვლევლობის მომენტიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ; ბ. ყაჩაღობის დროს დაზარალებულის სიკვდილი აუცილებელი არ არის ბრალეული პირის მიერ მისი ქონების დაუფლებისთვის, მაშინ როდესაც ანგარებით მკვლევლობისას დაზარალებულის სიკვდილი, როგორც ქმედების აუცილებელი შედეგი. მუდამ უსწრებს წინ მის დაუფლებას; გ. თუ ანგარებით მკვლევლობისას დამნაშავეს სურს სწორედ ამ გზით მიიღოს დაზარალებულისაგან ესა თუ ის მატერიალური გამორჩენა. ყაჩაღობის დროს ამ მიზნის მისაღწევად დამნაშავეს ყოველთვის როდის სურს დაზარალებულის სიკვდილი, მკვლევლობას იგი მაშინ მიმართავს, როცა სხვა საშუალებით მიზნის მიღწევა (სხვისი ქონების დაუფლება) ურთულდება.

## წმ. თაღლითობა (სსკ 180-ე მუხლი)

ეს მუხლი სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის ძალით დანაშაულადაა მიჩნეული თაღლითობა, ესე იგი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება ან ქონებრივი უფლების მიღება მოტყუებით, — რაც ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას სამოცდაათიდან ორას საათამდე ან გამასწორებელი სამუშაო ვადით ორ წლამდე ან ტუსალობით ვადით სამ თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

მეორე ნაწილი დამამძიმებელ გარემოებად ითვალისწინებს იგივე ქმედობას (იგულისხმება თაღლითობა — ზ. წ.) თუ იგი ჩადენილია: ა) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ; ბ) არაერთგზის; გ) რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია; დ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, — რაც ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ექვს წლამდე.

განსახილველი მუხლის მესამე ნაწილი განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევს თაღლითობას თუ იგი ჩადენილია: ა) ორგანიზებული ჯგუფის მიერ; ბ) დიდი ოდენობით; გ) იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის, — რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე.

როგორც ვხედავთ თაღლითობა. რაც ქონების დატაცების ერთ-ერთი ფორმაა, გულისხმობს როგორც სხვისი მოძრავი ნივთის (ქონების) დაუფლებას მოტყუებით, ასევე ქონებრივი უფლების მიღებას მოტყუებით<sup>1</sup>. თაღლითობისას ქონების დაუფლების ხერხი, სახელდობრ, მოტყუება (რომელიც მოიცავს ნდობის ბოროტად გამოყენებას) იმით ხასიათდება, რომ დამნაშავე მიმართავს იმ პირის მოტყუებას, რომლის მფლობელობასა ან გამგებლობაში იმყოფება ქონება. მოტყუებული პირი თვითონ, ნებაყოფლობით გადასცემს ქონებას დამნაშავეს. ვინაიდან ჰკონია, რომ ამ უკანასკნელს აქვს მისი მიღების უფლება. ნდობის ბოროტად გამოყენების დროს ქონება შეიძლება იყო თვით დამნაშავის გამგებლობაში, რომელსაც იგი გადაცემული აქვს ნდობის საფუძველზე გარკვეული მიზნით (მაგალითად, ქირაობა, სესხი და ა. შ.), დამნაშავე კი, სარგებლობს რა ამით, ქონებას თავის სარგებლობაში აქცევს და არ აპირებს დაუბრუნოს იგი მის მესაკუთრეს. ან აანაზღაუროს მისი ღირებულება.

1928 წლის რედაქციით გამოცემულ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში თაღლითობის ცნება (მუხლი 183-ე) ასეთნაირად იყო ფორმულირებული: „თაღლითობა, ე. ი. ანგარებით ქონების ან ქონებაზე უფლების მოპოვება ნდობის ბოროტად გამოყენებით ან მოტყუებით“, აღნიშნული განმარტებიდან აშკარაა, რომ თაღლითობით დატაცებისას მოტყუება ან ნდობის ბოროტად გამოყენება უნდა იყოს სწორედ ქონების დაუფლების საშუალება.

თაღლითური მოტყუება არის სინამდვილის განზრახ დამახინჯება ან დაფარვა იმ პირის შეცდომაში შეყვანის მიზნით, ვის მფლობელობაში ან გამგებლობაშიც იმყოფებოდა ქონება; ამგვარი გზით დამნაშავე ცდილობს მიაღწიოს ქონების ნებაყოფლობით თავისთვის გადაცემას და დაუფლებას. აქედან გამომდინარე, ცხადია, დაზარალებულს შეგნებული არა აქვს, რომ მას ატყუებენ; იგი დამნაშავის მოქმედებას კეთილსინდისიერად მიიჩნევს. წინააღმდეგ შემთხვევაში გვექნებოდა დატაცება მითვისების ან გაფლანგვის გზით. მოტყუების დამაჯერებ-

---

<sup>1</sup> ადრე მოქმედი კანონმდებლობა (იგულისხმება 1960 წელს მიღებული სს კოდექსი) თაღლითობას 93-ე განმარტავდა როგორც სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დაუფლებას მოტყუებით, ან ნდობის ბოროტად გამოყენებით, ხოლო 153-ე მუხლში მოქალაქეთა პირადი ქონების ან ქონებაზე უფლების ან ქონებრივი გამორჩენის მიღებას მოტყუებით ან ნდობის ბოროტად გამოყენებით.

ლობისა და მოხერხებულობის ხარისხს. ისე როგორც იმ პირის წინდახედულობის ხარისხს. რომლის გამგებლობაში ან მფლობელობაშიც იმყოფება ქონება. განსახილველი დანაშაულის შემადგენლობისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მოტყუებისკენ მიმართულ მოქმედებათა პრიმიტიულობა ზოგჯერ შეიძლება გახდეს თანამდებობის პირის (ვინც განაგებს ქონებას) დაუღვერობისათვის პასუხისგებაში მიცემის საფუძველი.

თაღლითობისას დამნაშავე იძლევა ცნობებს ისეთი ფაქტების ან გარემოებების შესახებ, რომელთაც თითქოსდა სინამდვილეში ჰქონდა ადგილი. ფაქტობრივად კი ისინი არ არსებობდნენ ან შეტყობინებულ ფაქტებს თუმცა ჰქონდა ადგილი, მაგრამ გადმოცემულია დამახინჯებით; მაგალითად, პირი ამტკიცებს, რომ აქვს პენსიის მისაღებად აუცილებელი სტაჟი. სინამდვილეში კი ასეთი არ გააჩნია, ან წარადგენს ორგანიზაციაში ვითომ შესრულებული სამუშაოსათვის ასანაზღაურებელ ფიქტიურ<sup>1</sup> დოკუმენტს. როცა სინამდვილეში არავითარი სამუშაო არ შესრულებულა და ა. შ.

ისმება კითხვა; იმისათვის, რომ ქმედობა კვალიფიცირებულ იქნას როგორც თაღლითობა, აქვს თუ არა მნიშვნელობა იმას, თუ რომელ დროს (წარსულს, აწმყოს) განეკუთვნება ის ფაქტები, მოვლენები და გარემოებები, რომლებსაც იმოწმებს დამნაშავე? ეფიქრობთ, ამას თაღლითობის კვალიფიკაციისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, იმოწმებს რა მათ, დამნაშავემ შეძლოს შეცდომაში შეიყვანოს პირი, რომლის მფლობელობასა ან გამგებლობაში იმყოფება ქონება, და ამგვარად მიიღოს იგი. მეტიც, იმოწმებს რა წარსულისა და აწმყოს ფაქტებს. თაღლითისათვის, ჩვეულებრივ, უფრო ადვილი ხდება შეცდომაში შეიყვანოს შესაბამისი პირები და მიიღოს ქონება. არის შემთხვევებიც, როცა დამნაშავეს შეცდომაში შეჰყავს პირები იმ ფაქტებსა და გარემოებებთან დაკავშირებით, რომლებიც მომავალს განეკუთვნება; მაგალითად, პირი, რომელსაც მიზნად აქვს დასახული მოტყუების გზით დაეუფლოს ქონებას და მიითვისოს იგი, თანამდებობის მუშაკს სთავაზობს თავის სამსახურს ამა თუ იმ მასალის შესაძენად, გარკვეული სამუშაოს შესასრულებლად და ა. შ. შესაბამისი თანხების

<sup>1</sup> სიტყვა ფიქტიური (იგივე ფიქციური) ლათინური წარმოშობისაა და ნიშნავს მოგონილს, შეთხზულს, სინამდვილეს შეუფერებელ, გამოგონილ მდგომარეობას, რომელსაც რაიმე მიზნით იყენებენ როგორც ნამდვილს. ფიქტიურს წარმოადგენს ის, რაც ფიქციაა: ყალბი, არანამდვილი, მოჩვენებითი.



მიღების შემდგომ აქცევს მას თავის სასარგებლოდ და იძალბა. რადგანაც აქ მოტყუება არის არა ქონების შენარჩუნების ან დანაშაულის კვალის დაფარვის საშუალება, არამედ განაპირობებს თვით ქონების დამნაშავეზე გადაცემის ფაქტს. საქმე გვაქვს თაღლითობით ჩადენილ დატაცებასთან.

ფაქტები და გარემოებანი, რომელთა არსებობას ან დადგომას ცრულ ამტკიცებს დამნაშავე, ისახავს რა მიზნად ასეთი გზით უკანონოდ მიიღოს და აქციოს თავის სასარგებლოდ ქონება. შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი და შეეხებოდეს როგორც დამნაშავეს პიროვნებას, ისე სხვადასხვა საგანსა და გარემო სამყაროს მოვლენებს. დამნაშავეს შეუძლია თავი გაასაღოს პირად, რომელსაც აქვს ქონების მიღების რწმუნება (მოლარე. ინკასატორი და სხვ.), შეუძლია განაცხადოს, თითქოს აქვს უფლება პენსიის მიღებაზე ან შეღავათები მუდმივ ან ღროებით გადასასდელელებზე, შეუძლია ამტკიცოს სხვა რაიმე უფლებების არსებობა ქონების მისაღებად, როდესაც ასეთი მას ფაქტობრივად არ გააჩნია და ა. შ.

თაღლითობით ჩადენილი დატაცებისას განსაზღვრული ფაქტებისა და გარემოებების შესახებ ცრუ ცნობები, რომლებიც იძლევიან ქონების მიღების უფლებას, არა მარტო გამოითქმება, არამედ დასტურდება მოტყუებითი ხასიათის მოქმედებებით, რომლებიც გამიზნულია შეცდომაში შეიყვანოს პირი, ვის მფლობელობაში ან გამგებლობაშიც იმყოფება ქონება და, ამრიგად, დაარწმუნოს იგი დამნაშავესათვის ამ ქონების გადაცემის აუცილებლობაში. ასეთი სახის მოტყუებითი მოქმედებანი მიზეზობრივ კავშირში უნდა იმყოფებოდეს დამნაშავეს მიერ ქონების მიღების ფაქტებთან, ე. ი. ისინი უნდა უსწრებდნენ ამ ქონების გადაცემას და განაპირობებდნენ მას. თაღლითობით ჩადენილი დატაცება ამით განსხვავდება დატაცების ზოგიერთი შემთხვევისაგან, რომლებიც ჩადენილია სხვა ფორმებში, მაგრამ მოტყუების თანხლებით. მაგალითად, ქურდობის დროს მოტყუება შეიძლება გამოყენებულ იქნას დამნაშავეს მიერ ფასეულობათა საცავში შესაღწევად, მითვისებისა და გაფლანგვის შემთხვევებში – დანაკლისის დასაფარავად და ა. შ. ყველა ჩამოთვლილ შემთხვევაში ტყუილი არ განაპირობებს თვით დაზარალებულის მიერ დამნაშავესათვის ქონების ნებაყოფლობით გადაცემას, რასაც ადგილი აქვს თაღლითობის დროს.

მოტყუებითი მოქმედებანი შეიძლება გამოიხატოს სიტყვიერად (ზეპირი) და წერილობითი ფორმებით.

ჩვენი საზოგადოების პირობებში ქონების აღრიცხვა, კონტროლი, შენახვისა და გადაცემის წესები მკაცრად რეგლამენტირებული. ცალკეულ პირებს შეუძლიათ მიიღონ ქონება ან პირად საკუთრებაში, ან სხვადასხვა სპეციალური მიზნისათვის მხოლოდ გარკვეულ საფუძვლებზე და გარკვეული წესით; ამასთან, მათ საერთო წესით, შესაბამისი დოკუმენტებით უნდა დაამტკიცონ თავიანთი უფლება ქონების მიღებაზე. ამიტომაც ქონების თაღლითობით დატაცებისას შედარებით გავრცელებულია არა ზეპირი მოტყუება, არამედ მოტყუება ყალბი დოკუმენტების წარდგენის საშუალებით (დოკუმენტებად იგულისხმება წერილობითი აქტები, რომელთა დანიშნულებაა დაამოწმოს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტები). ფიქტიური დოკუმენტების წარდგენით თაღლითი ამტკიცებს იმ არარსებული ფაქტებისა და გარემოებების არსებობას, რომლებიც თითქოსდა აძლევენ მას ქონების მიღების უფლებას და ამგვარად შეცდომაში შეჰყავს პირი, რომლის განმგებლობაშიც იმყოფება ქონება. ყალბი დოკუმენტების წარდგენა განუყოფელი ნიშან-თვისებაა თაღლითური დატაცებისა და ამასთან იდეალურ ერთობლიობასაც ქმნის, ამიტომ დამნაშავეის მოქმედება კვალიფიცირებული უნდა იქნეს მხოლოდ საქართველოს სსკ 180-ე მუხლით (თაღლითობა) და დამატებითი კვალიფიკაცია სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლით (ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება ან გამოყენება) საჭირო არ არის. რეალური ერთობლიობისას, ანუ როცა ქონების მისაღებად ფიქტიური დოკუმენტების გამოყენების გარდა კიდევ არსებობს ყალბი დოკუმენტების დამზადებისა და გამოყენების ფაქტები, ჩადენილი სხვა მიზნით, დამნაშავეის მოქმედება კვალიფიცირებული უნდა იქნეს არა მარტო 180-ე მუხლით, არამედ საქართველოს სსკ სხვა შესაბამისი 361-ე (ოფიციალური დოკუმენტების ან სახელმწიფო ჯილდოს შექმნა ან გასაღება), 362-ე (ყალბი დოკუმენტების, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება ან გამოყენება), 363-ე (დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება) მუხლებითაც.

მოტყუებითი მოქმედებანი შეიძლება გამოიხატოს აგრეთვე კონკლუდენტურ ან ადამიანის სხვაგვარ მოქმედებაში, რასაც დაზარალებული შეცდომაში შეჰყავს და საბოლოოდ განაპირობებს ქონების დამნაშავეისათვის გადაცემას. კონკლუდენტურია ადამიანის ისეთი მოქმედება, რომლის საფუძველზეც, უდავოდ, შეიძლება გაკეთდეს

დასკვნა ამა თუ იმ ფაქტის მტკიცების ან უარყოფის შესახებ. ისინი ან ცვლიან სიტყვებს, ან აძლიერებენ მათ. კონკლუდენტურ მოქმედებათა საშუალებით ჩადენილი თაღლითური მოტყუების მაგალითი შეიძლება იყოს ამა თუ იმ ფორმის ტანსაცმლის, წარჩინების ნიშნების, ორდენების და ა. შ. ტარება და ამის საფუძველზე ამა თუ იმ სახის სახსრების მიღება; ქონების მიღება დატაცებული ან ნაპოვნი ქვითრებით, ან ნომრით (ეეტონით); გამყიდველის მიერ მყიდველისთვის საქონლის გადაცემა მის თვალწინ აწონის ან გაზომვის შემდეგ, მაგრამ ფაქტობრივად ნაკლები რაოდენობით, ვიდრე მას ეკუთვნის და ა. შ.

მოქმედებითი მოტყუება შეიძლება გამოიხატოს აგრეთვე სხვადასხვა საგნის გარეგნული შესახედაობის, ფორმის, თვისების შეცვლით და სხვა სახის საგნებად გადაცემით (მაგალითად, მუზეუმისათვის თითქოსდა ძვირფასი სურათის მიყიდვა).

მოტყუება, როგორც დატაცების ჩადენის საშუალება, შეიძლება მდგომარეობდეს არა მარტო ცრუ ცნობების შეტყობინებაში, არამედ იმ ვითარების შეგნებულად დაფარვაში, რომლის შეტყობინებაც აუცილებელი იყო; მაგალითად, თაღლითური დატაცება გვექნება. თუ მოქალაქე, რომელიც იღებს დახმარებას ბავშვისათვის, ფარავს ამ ბავშვის სიკვდილის ფაქტს და აგრძელებს სახელმწიფო სახსრების უკანონოდ მიღებას.

საქართველოს სს კოდექსის 180-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე შეიძლება ვიმსჯელოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მოქმედება არ ატარებს შემთხვევით ხასიათს და დამნაშავე განზრახ სარგებლობს ქონების გადასცემა პირის შეცდომით. მაგალითად, კ-მ და ბ-მ ისარგებლეს იმით, რომ ზ., არიგებდა რა გაზქურებს კოოპერატივის წევრებზე, ორჯერ მიიღეს გაზქურები (ნაცვლად ერთჯერ მიღებისა, რომლის უფლებაც მათ ჰქონდათ). შემდეგ ზედმეტი გაზქურები გაყიდეს სხვა პირებზე. სასამართლოს მიერ მათი მოქმედება კვალიფიცირებულ იქნა, როგორც თაღლითობა. რაც სავსებით სწორია.

თაღლითურ დატაცებად უნდა იქნეს განხილული ზოგიერთი თანამდებობის პირის შეცდომის შედეგად სახელმწიფო და საზოგადოებრივი სახსრების სისტემატურად მიღების შემთხვევებიც (მაგალითად, საპენსიო გადანარიცხების არაერთხელ მიღება, რაც სოცუზრუნველყოფის განყოფილების მიერ შეცდომით იგზავნება ამა თუ იმ პირის სახელზე და ა. შ.).

როგორც უკვე შევნიშნეთ, მოტყუების ერთ-ერთი სახეა ნდობის

ბოროტად გამოყენება<sup>1</sup>, რაც ასევე შეიძლება იყოს ქონების დანაშაულებრივი დაუფლების საშუალება.

ნდობის ბოროტად გამოყენება თავისი შინაარსით მოტყუების ერთ-ერთი სახეა იმ თავისებურებით, რომ ამ დროს დამნაშავე არ ასრულებს ისეთ მოქმედებას, რასაც შეუძლია შეცდომაში შეიყვანოს ქონების გამგებელი პირი და აიძულოს იგი გადასცეს ეს ქონება. ნდობის ბოროტად გამოყენება – ეს ნდობის მოტყუებაა. ამ შემთხვევაში დამნაშავე განსაზღვრული სამსახურებრივი ან მხარეთა ურთიერთნდობაზე დაფუძნებული ხელშეკრულების გამოყენებით იღებს ქონებას და აქცევს მას თავის სასარგებლოდ (მაგალითად, საყოფაცხოვრებო ქირავნობის ხელშეკრულება) ან სარგებლობს იმით, რომ ქონება მას გადაეცემა იმ პირებისაგან, რომელთა მფლობელობაშიც ის იყო, სათანადო გაფორმებისა და გაფრთხილების გარეშე. დამნაშავე სარგებლობს ყოველივე ამით და ითვისებს გადაცემულ ქონებას. ნდობის ბოროტად გამოყენებით ჩადენილი თაღლითური დატაცების მაგალითები შეიძლება იყოს რესტორანში სადილის შეკვეთის მიცემა იმ განზრახვით, რომ არ გადაიხადოს მისი ღირებულება; მაღაზიის გამყიდველისაგან უკანონოდ, შესაბამისი გაფორმების გარეშე, საქონლის განვადებით მიღება და შემდგომ მისი ღირებულების გადახდაზე უარის თქმა; თანამდებობის პირის მიერ ნაცნობისათვის, მეგობრის ან ნათესავისთვის სახელმწიფო ან საზოგადოებრივი თანხებისა და სახსრების გადაცემა დროებით შესანახად და მათ მიერ აღნიშნული თანხებისა და სახსრების მითვისება და ა. შ.

ამგვარად, ნდობის საფუძველი შეიძლება იყოს როგორც განსაკუთრებული იურიდიული ურთიერთობანი (სამსახურებრივი, ხელშეკრულებითი და ა. შ.) პირებს შორის, ისე წმინდა ფაქტობრივი ურთიერთობანი (მეგობრობა, ნათესაობა და ა. შ.).

თაღლითობის ფორმით ჩადენილი დატაცებების განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს დანაშაულის სუბიექტური მხარის ანალიზს და იმ შედეგების გამოკვლევას, რაც გამოიწვია დამნაშავეს მოტყუებითა მოქმედებებმა. ქონების თაღლი-

---

<sup>1</sup> ამ გარემოებას ძველი კოდექსი (იგულისხმება 1960 წელს მიღებული სისხლის სამართლის კოდექსი) ხაზს უსვამდა 93-ე და 153-ე მუხლების დისპოზიციაში. ამჟამად სისხლის სამართლის ახალი კოდექსი 180-ე მუხლში (თაღლითობა) „ნდობის ბოროტად გამოყენებას“ არ მოიხსენიებს, რადგან მას მოტყუების ცნების შემადგენელ ნიშნად (სახესხვაობად) მიიჩნევს.

თობით დატაცებისას დამნაშავეს განზრახვა მიმართული უნდა იყოს უშუალოდ მოტყუებით ქონების დანაშაულებრივი დაუფლებისა და მისი თავის სასარგებლოდ გადაქცევისაკენ, მისი დანაშაულებრივი ქმედების შედეგი კი მოქალაქეებისათვის, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის გარკვეული ქონებრივი ზიანის მიყენებაში ელინდება.

ეს ორი მომენტი, რომლებიც ყოველგვარი დატაცების განუყოფელი ნიშან-თვისებაა, თანაბრად ახასიათებს თაღლითობის ფორმით ჩადენილ დატაცებასაც. კერძო პირის მიერ მოტყუებით განზრახ უკანონო მიღება ამა თუ იმ სახის სახსრების, პენსიის, დახმარების და ა. შ., უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც ქონების დატაცება ჩადენილი თაღლითობით; ამასთან თანამდებობის პირმა, რომელმაც კერძო პირს ყალბი დოკუმენტი მისცა შეგნებულად ამ მიზნისათვის. პასუხი უნდა აგოს დანაშაულთა ერთობლიობით თაღლითობაში დახმარებისა (დამხმარებლობისა) და სამსახურებრივი სიყალბისათვის. დაუბრუნებლობა სხვისი ქონებისა, რომელიც მიღებულია საყოფაცხოვრებო ქირაენობის ხელშეკრულებით, იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმ შემთხვევაში, როცა დამნაშავეს განზრახვა ჰქონდა მოტყუებით უსასყიდლოდ გადაექცია ეს ქონება თავის საკუთრებად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, თუ მოტყუებით მოქმედებები მიმართული არ არის ქონების უნაცვალგებო, უსასყიდლო და უკანონო დაუფლებისაკენ და ამასთან არ აყენებს შესაბამის მესაკუთრეს მატერიალურ ზარალს, არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც თაღლითური დატაცება.

თაღლითური დატაცების შემადგენლობა არ იქნება იმ შემთხვევაშიც, როცა პირმა, რომელსაც ფაქტობრივი უფლება აქვს ამა თუ იმ მოქალაქისაგან, ანდა სახელმწიფოსაგან ან საზოგადოებრივი ორგანიზაციისაგან მიიღოს ქონება, არ იცის ამის შესახებ ან უგულბებლყოფს თავის უფლებათა კანონიერი გზით განხორციელებას და ქონებას მოტყუების საშუალებით ღებულობს; მაგალითად, ყოფილი სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა არ ცნო დატაცების შემადგენლობა ვ-ს მოქმედებაში, რომელმაც შესყიდვის აქტებში გაზარდა სახელმწიფო ორგანიზაციისათვის მის მიერ შესყიდული ხორცის ფასი, რათა დაებრუნებინა თავისი კუთვნილი ფული, რომელიც მან ადრე დახარჯა ამავე ორგანიზაციისათვის ხორცის შესაძენად. სასამართლო პრაქტიკა ასევე სწორად წყვეტს იმ ქმედებათა

კვალიფიკაციის საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია ყალბი დოკუმენტების საშუალებით მაღალხელფასიან სამსახურში პირის მოწყობასთან. „შესრულებული სამუშაოსათვის ხელფასის მიღება, იმ თანამდებობრივი მოვალეობიდან გამომდინარე, რომელზეც პირი მოეწყო ყალბი დიპლომის საშუალებით, — მითითებულია ყოფილი რსფსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინებაში ზ-ს საქმეზე, — არ შეიძლება განხილულ იქნას. როგორც დატაცება“. ამგვარ შემთხვევებში დატაცების შემადგენლობის არარსებობა განპირობებულია იმით, რომ დამნაშავეებს არა აქვთ პირდაპირი განზრახვა უკანონოდ მიიღონ სახელმწიფო სახსრები. მათ იმის სურვილი კი არ ამოქმედებთ, მუქთად, უნაცვალგებოდ მიიღონ ქონება და ამით მატერიალური ზარალი მიაყენონ სახელმწიფოს, არამედ მხოლოდ იმის სურვილი აქვთ, რომ მოეწყონ სამსახურში, სადაც, როგორც წესი, გარკვეული დოკუმენტების წარდგენაა საჭირო მუშაობის დაწყებისათვის.

სულ სხვაგვარად წყდება საკითხი იმ შემთხვევაში, თუ პირი, რომელსაც გარკვეული თანამდებობა უჭირავს, მიმართავს თაღლითურ მოქმედებებს სხვადასხვა სახის წანამატისა და პრემიების მიღების მიზნით, რაც მას არ ეკუთვნის. ასეთი მოქმედებები, თუ დამნაშავემ აღნიშნული მიზნების მისაღწევად გამოიყენა, კვალიფიციერებული უნდა იქნეს როგორც დატაცება თაღლითობით. ასე იქნა გადაწყვეტილი საკითხი სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინებაში მ-ს საქმეზე, რომელმაც ინსტიტუტში მუშაობისას მოიპარა დოცენტის დიპლომი, გადააკეთა იგი თავის სახელზე და ამრიგად მიაღწია ხელფასზე წანამატის მიღებას<sup>1</sup>.

დასასრულს, შეიძლება დავასკვნათ, რომ სუბიექტური მხრივ თაღლითობა განზრახი ბრალით ხასიათდება. ამ დანაშაულის მოტივი და მიზანი ანგარებითია (კერძო, კოლექტიური და სახელმწიფო ქონების დაუფლება და მისი განკარგვა, როგორც საკუთარისა). თაღლითობისას დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ მოტყუებით ეუფლება კერძო, კოლექტიურ და სახელმწიფო ქონებას, რომლის მიღების

---

<sup>1</sup> დაწერილებით თაღლითობისა და საერთოდ საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულის ფორმებზე შეგიძლიათ იხილოთ ჩვენნივე მონოგრაფია: სოციალისტური საკუთრება წმიდათაწმიდა და ხელშეუხებელია. თბ., 1986. გვ. 17-243.

უფლებაც მას არა აქვს, ამასთან, ისახავს უკანონოდ, პარაზიტულად გამდიდრების მიზანს.

თაღლითობის სუბიექტი შეიძლება იყოს ყოველი შერაცხადი ფიზიკური პირი 14 წლის ასაკიდან. ერთ-ერთი მაკვალიფიცირებელი გარემოება, რომელიც არ მიეკუთვნება დატაცებათა საერთო მაკვალიფიცირებელ ნიშანს, არის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ პუნქტით გათვალისწინებული თაღლითობა ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ესე იგი ამ შემთხვევაში კანონმდებელი მიუთითებს სპეციალურ სუბიექტზე. „ასეთად შეიძლება მოგვევლინოს როგორც თანამდებობის პირები, ასევე ის პირები, რომლებიც ასრულებენ მმართველობის ფუნქციებს კომერციულ და სხვა ორგანიზაციებში, აგრეთვე ისეთი პირები, რომლებიც არ არიან უფლებამოსილი თანამდებობის პირის სტატუსით (მაგალითად, სახელმწიფო და მუნიციპალური სამსახურის მოსამსახურეები, სხვა საწარმოთა მუშაკები და სხვ.). ამ შემთხვევაში მთავარი ისაა, რომ მათ თაღლითობის ჩადენისას გამოიყენეს თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობა, ასევე უფლებამოსილება ამოღებულ ქონებასთან დამოკიდებულებაში. თანაც ამ შემთხვევაში საუბარია არა იმ უფლებამოსილებაზე, რომლებიც გააჩნია მატერიალურად პასუხისმგებელ პირებს. სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით თაღლითობის მაგალითად შეიძლება გამოდგეს კომპიუტერული დატაცება, რომლებიც ჩადენილია საბანკო და სხვა დაწესებულებათა მუშაკების მიერ, ასევე სადაზღვევო, საფინანსო, ზარჯვითი თაღლითობა, ფასიანი ქაღალდებით თაღლითობა ბაზარზე და ა. შ.“<sup>1</sup>.

„ამრიგად, თაღლითობის სუბიექტი, – აღნიშნავენ კომენტარის ავტორები, – შეიძლება იყოს არა მარტო სახელმწიფო მოხელე, არამედ კომერციული სტრუქტურის წარმომადგენელიც, რომელიც სხვის ნივთს მოტყუებით დაეუფლება. თაღლითობის მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ პუნქტით კვალიფიკაციისათვის დადგენილი უნდა იქნეს, რომ დამნაშავე ატყუებდა რა ქონების მესაკუთრეს, იყენებდა თავის სამსახურებრივ მდგომარეობას, როგორც ამა თუ იმ საწარმო-ორგანიზაციის მუშაკი (მაგალითად, ავტოსარემონტო მომსახურების, კომუნალური მომსახურების სფეროში და სხვა). ამასთან,

---

<sup>1</sup> Уголовное право. Особенная часть. Учебник для вузов. Ответственные редакторы: И. Я. Козаченко, З. А. Незнамова, Г. П. Новоселов. М., Изд. группа НОРМА-ИНФРА. М., 1998. с. 217.

მხედველობაში უნდა იყოს მიღებული, რომ მომხმარებლის ზომაში, წონაში. ანგარიშში მოტყუება ან მისი შეცდომაში შეყვანა საქონლის სამომხმარებლო თვისებების ან ხარისხის შესახებ უნდა დაკვალი-ფიცირდეს არა როგორც თაღლითობა, არამედ როგორც სისხლის სამართლის კოდექსის 219-ე მუხლით გათვალისწინებული მომ-ხმარებლის მოტყუება“<sup>1</sup>.

თაღლითობა საჭიროა გავმიჯნოთ დანაშაულთა მთელი რიგი შემადგენლობებისაგან და უპირველეს ყოვლისა დატაცებათა სხვა ფორმებისაგან. პირველი ნიშანი, რომელიც თაღლითობას განასხვავებს დატაცების სხვა ფორმებისაგან, ისაა, რომ თაღლითობისას დამნაშავეს დაზარალებული ნებაყოფლობით გადაცემს ქონებას. მეორე პრინციპული განსხვავება მდგომარეობს დანაშაულებრივი ხელყოფის საგანში. სახელდობრ, კანონი დატაცების ყველა ფორმაში მიუთითებს მხოლოდ ქონების (სხვის მოძრავ ნივთის) დაუფლებაზე, მაშინ როცა თაღლითობის შემადგენლობაში ხაზი გაესმის როგორც ქონების (სხვისი ნივთის) დაუფლებას, ასევე ქონებრივი უფლების მიღებას.

თაღლითობა, სს კოდექსის 180-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, დამთავრებულად ითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების ფაქტობრივად დაუფლების მომენტიდან, ხოლო მოტყუებითი მოქმედებანი, გამიზნული ქონების დასაუფლებლად, რასაც შედეგი არ მოჰყოლია (ე. ი. დამნაშავე მას ჯერ კიდევ არ დაუფლებია), განიხილება როგორც ამ დანაშაულის (თაღლითობის) მცდელობა.

## §7. გამოძალვა (სსკ 181-ე მუხლი)

ამ მუხლის პირველი ნაწილის ძალით დანაშაულადაა მიჩნეული გამოძალვა, ესე იგი სხვისი ნივთის ან ქონებრივი უფლების გადაცემის ან ქონებრივი სარგებლობის მოთხოვნა, რასაც თან ერთვის დაზარალებულის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ ძალადობის გამოყენების ან მათი ნივთის განადგურების ან დაზიანების ანდა სახელგამტეხი ცნობის განხმაურების ან სხვა ისეთი ცნობის გავრცელების მუქარა, რამაც შეიძლება არსებითად დააზიანოს მათი

<sup>1</sup> იხ. მზია ლეკვიშვილისა და გონა მამულაშვილის დასახელებული კომენტარი, გვ. 41-42.



უფლებები, — რაც ისჯება ჯარიმით ან ტუსალობით ვადით ექვს თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხ წლამდე.

მორე ნაწილი დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევა იგივე ქმედებას. თუ იგი ჩადენილია: ა) ჯგუფურად; ბ) არაერთგზის; გ) დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზნით; დ) იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლვეი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის, — რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვს წლამდე.

მოქალაქის, ასევე სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის ქონებაზე ხელყოფის განსახილველი სახე, მართალია, ზიანს აყენებს მის მესაკუთრეს, მაგრამ მისი თავისებურება ისაა, რომ დამნაშავე ქონების ამოღებას მესაკუთრის ფონდებიდან ახდენს არა უშუალოდ, არამედ იმ პირის მეშვეობით, რომლის გამგებლობაში ან დაცვის ქვეშეა ეს ქონება იმყოფება.

გამოძალვა წარმოადგენს მესაკუთრის ქონებიდან მატერიალური გამორჩენის მიღების ხერხს და არა დატაცებას.

გამოძალვის უშუალო ობიექტია საკუთრების კონკრეტული ფორმა, ასევე დაზარალებულის (რომლის გამგებლობაში ან დაცვის ქვეშეა ქონება იმყოფება) და მისი ახლო ნათესავის ინტერესები, სახელდობრ, მათი სხეულის ხელშეუხებლობა, პატივი, ღირსება, საკუთრება და სხვ. გამოძალვისას ხელყოფის უშუალო ობიექტი, განსხვავებით დატაცებათა ფორმების დიდი ნაწილისაგან, შეიძლება იყოს ქონება არა მარტო მატერიალური სამყაროს საგნების განსაზღვრული ფორმით, არამედ ქონებაზე უფლებაც, ქონებრივი სარგებლობის მიღებაც. როგორც ჩანს, გამოძალვისას ხელყოფის საგანი უფრო ფართოა, ვიდრე დატაცების დროს. სხვანაირად თუ ვიტყვით, გამოძალვის საგანი შეიძლება იყოს: ა) ქონება (სხვისი ნივთი); ბ) უფლება ქონებაზე (ხელწერილი, ხელშეკრულება ან სხვაგვარი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს გამომძალველზე ვალს. ან დოკუმენტი, რომლის თანახმადაც გარკვეული ქონებრივი უფლებები გადაეცემა გამომძალველს); გ) ქონებრივი ხასიათის მოქმედებები (სამუშაოს შესრულება, სამსახურის გაწევა და სხვ.).

ობიექტური მხარის მიხედვით, გამოძალვა განსხვავდება ქონების დატაცების ფორმებისაგან. დანაშაულის ეს შემადგენლობა დამთავრებულად ითვლება სხვისი ნივთის ან ქონებრივი უფლების გადაცემის ან ქონებრივი სარგებლობის მოთხოვნის მომენტიდან, რასაც, ცხადია,

თან უნდა ერთვოდეს დაზარალებულის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ ძალადობის გამოყენების ან მათი ნივთის განადგურების ან დაზიანების ანდა სახელგამტეხი ცნობის გახმაურების ან სხვა ცნობის გავრცელების მუქარა, რამაც შეიძლება არსებითად დააზიანოს მათი უფლებები. თუ რა შედეგი მოყვება ამ მოთხოვნის წარდგენას — მიიღო თუ არა ქონება (ნივთი), ქონებაზე უფლება ან ქონებრივი სარგებლობა — დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის მნიშვნელობა არა აქვს, კანონი აქ დანაშაულის „შეკვეცილი“ შემადგენლობის კონსტრუქციას მიმართავს.

ა. ჟიჟილენკო გამოძალვის დამთავრების მომენტად მიიჩნევს საგნის ან ქონებაზე უფლების გადაცემის მომენტს დაზარალებულიდან დამნაშავეზე<sup>1</sup>.

გამოძალვისას მუქარა რეალური უნდა იყოს, ე. ი. დაზარალებულს, რომლის გამგებლობასა ან დაცვაში ქონება იმყოფება, მუქარის განხორციელების შიშის ყველა საფუძველი უნდა ჰქონდეს დამნაშავეზე ქონების, ქონებაზე უფლების გადაცემის ან ქონებრივი სარგებლობის მიღების მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში. მუქარის რეალურად ცნობისათვის აუცილებელია: ა. მუქარა, დამოუკიდებლად მისი ფორმისა (სიტყვიერი, წერილობითი ან ჟესტის სახით), შეიცავდეს დაქადნებას, რომ დაზარალებულს ან მის ახლობელს მიაყენებს გარკვეულ ზიანს — მოკლავს, სხეულს დაუზიანებს, ქონებას საყოველთაო საშიში საშუალებით გაუნადგურებს, მათ შესახებ გამაწიბილებელ ცნობებს გაახმაურებს; ბ. ასევე შეიცავდეს დაქადნებას, რომ უახლოეს მომავალში მიაყენებს გარკვეულ ზიანს, თუ დაზარალებული დამნაშავეს არ გადასცემს ქონებას, ქონებაზე უფლებას და ა. შ. მუქარის განხორციელების საშუალებით გამოძალვა განსხვავდება გაძარცვისა და ყაჩაღობისაგან. გამოძალვისას, ისევე როგორც ძარცვისა და ყაჩაღობისას, მუქარა მოქმედების საშუალებაა, მაგრამ ყაჩაღობისა და ძარცვისას ძალადობის გამოყენების მუქარა დაუყოვნებლივ ხორციელდება, თვით ძალადობა კი მიმართულია ქონების დანაშაულებრივი დაუფლების გაადვილების ან უზრუნველყოფისაკენ. ყაჩაღობისა და ძარცვის დროს ძალადობის გამოყენების მუქარა მიმართულია მხოლოდ იმ პირის წინააღმდეგ, რომელსაც თავს ესხმიან და მიზნად ისახავს დაზარალებულის ნებისყოფის

---

<sup>1</sup> იხ. А. А. Жижиленко. Преступления против имущества и исключительных прав. Ленинград, 1928, с. 160.

დათრგუნვას, მის იძულებას, დაუყოვნებლივ გადასცეს ქონება დამნაშავეს. გამოძალვისას მუქარის თავისებურება ისაა, რომ დამნაშავე ძალადობის გამოყენებით ემუქრება როგორც დაზარალებულს, ასევე მის ახლობლებს (იგულისხმება ახლო ნათესავი — ზ. წ.), თანაც არა ქონების, ქონებაზე უფლების ან ქონებრივი სარგებლობის მიღების მოთხოვნის მომენტში, არამედ მომავალში, თუ დამნაშავეს მოთხოვნა არ იქნება შესრულებული. სხვანაირად რომ ვთქვათ, გამოძალვის დროს ძალადობის მუქარა მიმართულია მომავლისკენ და გამოყენებული იქნება შემდეგში, უკეთუ დამნაშავეს მოთხოვნა არ შესრულდება.

მაშასადამე, მუქარა, რაც გამოძალვის დროს მოქმედების საშუალებაა, ყოველთვის რეალური და დაზარალებულის ნამდვილად მაიძულებელი პირობა უნდა იყოს<sup>1</sup>.

უკეთუ მუქარა სისრულეში იქნა მოყვანილი, ქმედობა კვალიფიცირებული უნდა იქნეს დანაშაულთა ერთობლიობით, ე. ი. გამოძალვით და აგრეთვე იმ სახის დანაშაულით, რაც განხორციელებულია დამნაშავეს მიერ (მკვლელობა, სხეულის დაზიანება, ცილისწამება, ქონების განადგურება და სხვ.).

როგორც ჩანს, ძალადობის გამოყენების მუქარა თავისი ბუნებით უფრო საშიშია გაძარცვისა და ყაჩაღობის დროს, ვიდრე გამოძალვისას. ამის თქმის საფუძველს ისიც იძლევა, რომ გამოძალვის მიზნით ძალადობის გამოყენების მუქარისას დაზარალებულს შეუძლია თავისი ქონების ან სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ინტერესებისათვის რაიმე ზიანის მიუყენებლად მიიღოს შესაბამისი ზომები დამნაშავეს წინააღმდეგ, კერძოდ, დროულად აცნობოს ხელისუფლების სათანადო ორგანოებს მომხდარი ფაქტის შესახებ, რასაც დაზარალებული მოკლებულია, მაგალითად, ყაჩაღობის დროს. ყაჩაღობა და გამოძალვა ერთმანეთისაგან იმითაც განსხვავდება, რომ თუ ყაჩაღობის დროს ხელყოფის საგანი მხოლოდ ქონებაა (ნივთებისა და მატერიალურ ფასეულობათა მნიშვნელობით), გამოძალვისას ხელყოფის საგანი შეიძლება იყოს როგორც ნივთი (ქონება), ისე ქონებაზე უფლება და ქონებრივი სარგებლობა.

გამოძალვისას მოქმედება მიმართულია იქითკენ, რომ დაზარალებული

---

<sup>1</sup> მუქარის ცნების დაწვრილებითი დახასიათება მოცემულია ვ. მაყაშვილის მიერ სამეცნიერო-პრაქტიკულ კომენტარებში (იხ. ვ. მაყაშვილი, მ. მაჭავარიანი, თ. წერეთელი, თ. შავგულიძე. დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ. თბ., 1980, გვ. 163-167).

იძულებული გახდეს, გადასცეს გამოძალავებს ქონება (ნივთი) ან უფლება ამ ქონებაზე; მაგალითად, უკანონოდ მიეცეს ჯილდო, დაენიშნოს პენსია და სხვ. მოთხოვნა ქონების ან ქონებაზე უფლების გადაცემის, ან ქონებრივი სარგებლობის მიღებისა შეიძლება მიმართული იყოს როგორც იმ პირის მიმართ, რომლის გამგებლობაში ეს ქონება იმყოფება (მაგალითად, მალაზიის გამყიდველი, საწყობის გამგე), ასევე იმ პირის მიმართ, რომელიც ამ ქონებას იცავს (მაგალითად, ბაზის, უნივერსიტეტის, ბაზრის, მალაზიის დარაჯი). აღნიშნული სახის მოთხოვნა გამოძალავისას ყოველთვის დაკავშირებულია ძალადობის გამოყენების მუქარასთან იმ პირის მიმართ, რომლის გამგებლობასა ან დაცვაში ქონება იმყოფება ან მის ახლობელთა მიმართ. ახლობლად, უპირველეს ყოვლისა, უნდა მივიჩნიოთ ახლო ნათესაები. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის შენიშვნის თანახმად, „ახლობელი ნათესავად“ ითვლება მშობელი, შვილად ამყვანი, შვილი, შვილობილი, პაპა, ბები, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე. ზემოაღნიშნულ პირთა მიმართ ძალადობის მუქარამ შეიძლება აიძულოს პირი, რომლის გამგებლობასა ან დაცვაშია ქონება, გადასცეს დამნაშავეს ქონება, ქონებაზე უფლება ან ქონებრივი სარგებლობა.

გამოძალავს გამაწილებელი ცნობების გახმაურების მუქარით, ჩვეულებრივ, ეწოდება შანტაჟი, მაგრამ სისხლის სამართლის კანონმდებლობა ამ ტერმინით არ სარგებლობს. შანტაჟი განსაკუთრებული სახის დევნადი დანაშაული გახდა საფრანგეთში 1863 წლის კანონის საფუძველზე. შემდგომში განსაზღვრებები მის შესახებ ჩნდება სხვა ქვეყნების კანონმდებლობაშიც.

გამაწილებელი ცნობების გახმაურების დაქაღნება იმ პირის მიმართ, რომლის გამგებლობასა ან დაცვაში ეს ქონება იმყოფება, არის მუქარა, რომ სხვას შეატყობინებენ გამაწილებელ ცნობებს. არაა სავალდებულო მუქარა ითვალისწინებდეს აღნიშნული ხასიათის ცნობების შეტყობინებას პირთა განუსაზღვრელი რაოდენობისათვის. დამთავრებული დანაშაულის შემადგენლობისათვის საკმარისია დამუქრება თუნდაც ერთი რომელიმე პირის მისამართით, რომ მისთვის ცნობილი გახდება გამაწილებელი ცნობები, რაც, ფაქტია, დაზარალებულის ინტერესს ეწინააღმდეგება (მაგალითად, მუქარა,

რომ იმ პირის ცოლს, რომლის გამგებლობასა ან დაცვაში ქონება იმყოფება, შეატყობინებენ ამ უკანასკნელის სქესობრივ კავშირზე თავის თანამშრომელთან).

ცნობები, რომლებითაც გამომძაღველი ემუქრება იმ პირს, რომლის გამგებლობასა ან დაცვაში ქონება იმყოფება, უნდა იყოს გამაწილებელი როგორც ამ უკანასკნელის, ისე მისი ახლობელთათვის. რამდენადაც ასეთი ცნობების გახმაურების მუქარამ უნდა აიძულოს პირი, უკანონოდ გადასცეს ქონება გამომძაღველს, ამდენად საკითხი იმაზე, როგორი ცნობები ითვლება გამაწილებლად, უნდა გადაწყდეს იმ პირის შესედულებით, რომელიც განაგებს და იცავს სხვის ნივთს (ქონებას). თუ პირი რომლის გამგებლობასა ან დაცვაში ქონება იმყოფება, ამა თუ იმ ფაქტის გახმაურებას აძლევს გამაწილებელ მნიშვნელობას მისთვის ან მისი ახლობელთათვის, მაშინ ეს ფაქტი შეიძლება გამოადგეს თვით გამომძაღველს თავისი დანაშაულებრივი ზრახვების განსახორციელებლად. საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა გამომძაღველი სწორედ იმ პირისაგან, რომლის გამგებლობასა ან დაცვაში ქონება იმყოფება, იგებს გამაწილებელი ხასიათის ცნობებს და შემდეგ მისი გახმაურების მუქარით აღნიშნული პირისაგან ახდენს ქონების (სხვისი მოძრავი ნივთის) გამოძალვას.

გამოძალვის შემადგენლობისათვის სულ ერთია, გასახმაურებელი მონაცემები ნამდვილია თუ ყალბი, ის შეიძლება შეეხებოდეს როგორც იმ პირის მოქმედებას, რომლის გამგებლობასა ან დაცვაში ქონება იმყოფება, ასევე მის ახლო ნათესავთა მოქმედებას (მაგალითად, მუქარა ცნობების გახმაურებაზე, რომ ეს პირები ნარკოტიკულ ნივთიერებებს ხმარობენ, აზარტულ თამაშში მონაწილეობენ, ლოთობენ, შეპყრობილი არიან ვენერიული სენით და სხვ.). გამომძაღველი ასევე შეიძლება დაემუქროს ქონების გამგებელს ან დამცველს ჩადენილი დანაშაულის მონაცემების გახმაურებაზე.

ნივთის (ქონების) განადგურების ან დაზიანების მუქარა იმ პირის მიმართ, რომლის გამგებლობასა ან დაცვაში ის იმყოფება, ან მის ახლობელთა მიმართ, შეიძლება გამოიხატოს ცეცხლის წაკიდების, აფეთქების, წყლის მიშვებით მისი განადგურების და ა. შ., მუქარაში, ესე იგი გამოძალვისას მეტწილად დომინირებს საყოველთაოდ საშიში

საშუალებით ქონების განადგურების ან დაზიანების მუქარა. ეს უკანასკნელი ნიშნავს იმას, – აღნიშნავს პროფ. გ. ტყეშელიძე, – რომ დამნაშავის მოქმედება მიმართულია არა მარტო შესაბამისი დანაშაულის ობიექტის წინააღმდეგ, არამედ ამასთან ერთად საშიშროებას უქმნის სხვა ობიექტებსაც. დამამძიმებელ გარემოებად ითვლება თავისთავად საყოველთაოდ საშიში საშუალებით დანაშაულის ჩადენა. ამიტომ მნიშვნელობა არა აქვს, მიაყენა თუ არა მოქმედების ასეთმა საშუალებამ ფაქტობრივი ზიანი მრავალ ობიექტს (რასაკვირველია, ზიანის ფაქტი უფრო დაამძიმებს პასუხისმგებლობას). თუ დანაშაულის ჩადენის შედეგად ზიანი განიცადა რამდენიმე ობიექტმა, მაშინ, გარდა იმისა, რომ დამამძიმებელი დამნაშავის პასუხისმგებლობა, მან პასუხი უნდა აგოს დანაშაულთა ერთობლიობისათვის“<sup>1</sup>.

ქონების განადგურების ცნებაში იგულისხმება მისი როგორც მთლიანად მოსპობა, ასევე არსებითი დაზიანება, რაც შეუძლებელს ხდის სამეურნეო ღირებულებისამებრ ქონების გამოყენებას.

ქონების განადგურების საშუალება, რომლითაც გამომძალველი იმუქრება, შეიძლება იყოს საყოველთაოდ საშიში (მაგალითად, სახლის აფეთქება ან დაწვა), ასევე საშიში მხოლოდ დაზარალებულის ქონებისათვის (მაგალითად, მუქარა, რომ გამომძალველი დაზარალებულს დაუმტკრევს საკუთარ მსუბუქ ავტომანქანას).

„სხვისი ნივთის განადგურების ან დაზიანების მუქარა, – აღნიშნავენ კომენტარის ავტორები, – შეიძლება იმწუთიერი ზიანის მიყენებასაც გულისხმობდეს... ვინაიდან გამოძალვა ფორმალურ დანაშაულთა შემადგენლობას მიეკუთვნება და იგი დამთავრებულ დანაშაულად გვევლინება დაზარალებულისათვის მოთხოვნის წაყენების მომენტიდან, ამდენად მუქარის რეალური განხორციელების შედეგი ყოველთვის დანაშაულთა ერთობლიობით დაკვალიფიცირდება... თუ გამომძალველის მიერ მუქარა რეალურად განხორციელდა, ადგილი ექნება დანაშაულთა ერთობლიობას: დაზარალებულის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ სახელგამტეხი ცნობის განმარტებისას – გამოძალვა და ცილისწამება, ქონების განადგურებისას – გამოძალვა და ნივთის განზრახ

---

<sup>1</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები. თბ., 1976, გვ. 232-233.

განადგურება... თუ დამნაშავემ მუქარის მიუხედავად, ვერ მიაღწია საწადელს და დაზარალებულს ქონება ვერ გამოსძალა, ხოლო შემდგომ ძალადობის გამოყენებით მაინც დაეუფლა ქონებას, მაშინ, ასეთ შემთხვევაში, საქმე გვექნება დანაშაულთა რეალურ ერთობლიობასთან: გამოძალკა და ძარცვა, ან ყაჩაღობა<sup>1</sup>.

ქონება გამომძალველზე რომ გადავიდეს, დაზარალებული იძულებული უნდა იყოს განსაზღვრული აქტიური მოქმედების (მაგალითად, გადასცეს ფული, საქონელი ან სხვა ფასეულობა) ან უმოქმედობისათვის (არ მოითხოვოს ქონება უკანონო მთლობელობიდან, წინააღმდეგობა არ გაუწიოს პირს მიწის ან საცხოვრებელი ბინის უკანონო სარგებლობისას და ა. შ.).

სუბიექტური მხრივ გამოძალკა განზრახ ბრალში, სახელდობრ, პირდაპირ განზრახვაში გამოიხატება. ამ შემთხვევაში დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ უკანონოდ მოითხოვს სხვისი ნივთის (ქონების) ან ქონებრივი უფლების გადაცემას ან ქონებრივი სარგებლობის მიღებას იმ პირისაგან, რომლის გამგებლობასა ან დაცვაში ქონება იმყოფება. მუქარის მეშვეობით გამომძალველი აიძულებს პირს გადასცეს მას ქონება. ასეთ მოქმედებებს მიეკუთვნება: ბინაზე უკანონო ორდერის მიღება, ხელფასზე, პენსიაზე დანაშაულის მიცემის უფლება, ამა თუ იმ ქონებით სარგებლობის უფლება და ა. შ. გამოძალკისას დამნაშავეს აქვს სპეციალური მიზანი — ქონების, ქონებაზე უფლების გადაცემის ან ქონებრივი სარგებლობის მიღება. გამოძალკის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტით გათვალისწინებულ „დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზანთან“ დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ ეს მიზანი გამოძალკის სუბიექტური მხარის ნიშანში ვლინდება. აქედან გამომდინარე გამოძალკის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას მიაღწია თუ არა გამომძალველმა დიდი ოდენობით ქონების დაუფლებას. გამოძალკის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტით კვალიფიკაციისათვის განსაზღვრულ მომენტად გვეკლინება ის, რომ დამნაშავეს ასეთი მიზანი გააჩნია. აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ გამოძალკისას დამნაშავე მოქმედებს ანგარების მოტივით.

თუ პირი ძალადობით ან ძალადობის მუქარით ახორციელებს თავის კანონიერ მოთხოვნებს სხვისი ნივთის (ქონების), ან ქონებრივი

---

<sup>1</sup> იხ. მზია ლეკვეიშვილი, გოჩა მამულაშვილი. პასუხისმგებლობა ეკონომიკური დანაშაულისათვის (კომენტარი). თბ., 1999, გვ. 44-45.

უფლების გადაცემის ან ქონებრივი სარგებლობის მიღებაზე. ასეთ შემთხვევაში გამოძალვის შემადგენლობა გამორიცხულია და ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სს კოდექსის 360-ე მუხლის მე-2 ნაწილით (თვითნებობა ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით). საქმე იმაშია, რომ მოცემულ შემთხვევაში პირი თავის უფლებას უკანონო გზით ახორციელებს.

გამოძალვის სუბიექტი შეიძლება იყოს 14 წლის ასაკს მიღწეული ყოველი შერაცხადი ფიზიკური პირი.

## §8. მითვისება ან გაფლანგვა (სსკ 182-ე მუხლი)

ეს მუხლი სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი ფორმულირებულია ასეთნაირად: სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მითვისება ან გაფლანგვა, თუ ეს ნივთი იმყოფებოდა მიმთვისებლის ან გამფლანგველის მართლზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაში, – რაც ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხ წლამდე.

მეორე ნაწილი დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევს იგივე ქმედებას, თუ იგი ჩადენილია: ა) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ; ბ) არაერთგზის; გ) რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია; დ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, – რაც ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან შვიდ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

მესამე ნაწილი განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევს განსახილველი მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებას, ჩადენილს: ა) ორგანიზებული ჯგუფის მიერ; ბ) დიდი ოდენობით; გ) იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლვეი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის, – რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან თორმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.



კანონმდებელი სხვისი მოძრავი ნივთის (ქონების) დატაცების ამ ფორმებს საზოგადოებრივი საშიშროების მხრივ ერთმანეთთან ათანაბრებს და ერთნაირ პასუხისმგებლობასაც აწესებს. დატაცების თითოეულ ამ ფორმას აქვს თავისი სპეციფიკა, რაც, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება დამნაშავეის მიერ ქონებისადმი მოპყრობის წესში. სახელდობრ, მესაკუთრის ფონდებიდან ქონების ამოღების ხერხებში.

კანონმდებელი არ განსაზღვრავს მითვისებისა და გაფლანგვის გზით ქონების დატაცების ცნებას. ჩვენი მიზანია დატაცების ზოგადი ცნების საფუძველზე განვსაზღვროთ და იურიდიულად გავანალიზოთ დატაცების ეს ფორმები.

ა. მითვისება. სიტყვა „მითვისება“, „მისაკუთრება“ ნიშნავს ამა თუ იმ პირის მიერ არაკეთილსინდისიერი გზით სხვისი საკუთრების თავისად გახდომას<sup>1</sup>.

იურიდიულ ლიტერატურაში მითვისება სხვადასხვაგვარადაა განმარტებული; მაგალითად, ზოგი მითვისებას განმარტავს, როგორც დამნაშავეის მართლზომიერ მფლობელობაში მყოფი ქონების თავის სასარგებლოდ გადაქცევას; ზოგი ქონების დაკავებას პირად საკუთრებად გადაქცევის მიზნით იმ პირის მიერ, რომელსაც ეს ქონება ჰქონდა მინდობილი; ზოგსაც მითვისებად მიაჩნია დამნაშავეის მართლზომიერ მფლობელობაში მყოფი ქონების განზრახ უკანონო გადაქცევა თავის სასარგებლოდ მისი დაკავებით ან დაუბრუნებლობით. არის სხვა შეხედულებებიც, რომელთა თანახმადაც მითვისება არის იმ ქონების თავის სასარგებლოდ გადაქცევა, რომელიც დამტაცებლის მართლზომიერ მფლობელობაში იმყოფება და მიზნად ისახავს განკარგოს ეს ქონება, როგორც თავისი საკუთრება; რომ მითვისება ნიშნავს დამნაშავეის მართლზომიერ მფლობელობაში მყოფი ქონების თავის სასარგებლოდ განზრახ კანონსაწინააღმდეგო გადაქცევას, ან დამნაშავეის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ქონების დაკავებას და ა. შ.<sup>2</sup>

1980 წელს გამოცემულ სისხლის სამართლის კომენტარების

<sup>1</sup> იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. თბ., 1958, ტ. 5, გვ. 347.

<sup>2</sup> იხ. Г. А. Кригер. Квалификация хищений социалистического имущества. М., 1974, с. 170.

მიხედვით. მითვისება არის დამნაშავეს მართლზომიერ მფლობელობაში მყოფი ქონების უკანონო ამოღება ანგარების მიზნით მესაკუთრის ფონდებიდან და მისი გადაქცევა ცალკეულ პირთა პირადი სარგებლობისათვის<sup>1</sup>.

1998 წელს გამოცემულ რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კომენტარებში ხაზი გაესმის იმას, რომ მითვისება და გაფლანგვა დამნაშავეზე მინდობილი ქონების დატაცების დამოუკიდებელი ფორმებია, თუმცა შინაარსის მიხედვით ერთობ ახლოს დგანან ერთმანეთთან. მითვისება მდგომარეობს სხვისი ქონების, რაც მინდობილი პქონდა ბრალდებულს განსაზღვრული მიზნით, არამართლზომიერ დაკავებაში (დაუბრუნებლობაში)<sup>2</sup>.

ვფიქრობთ, არც ერთი განსაზღვრა არ არის სრულყოფილი. მითვისების ცნების განსაზღვრისას საჭიროა ვხელმძღვანელობდეთ დატაცების ზოგადი ცნებით. ეს გარემოება ავტორთა უმრავლესობას, რატომღაც, მხედველობიდან რჩება მითვისების ცნების განსაზღვრისას.

აღნიშნული განმარტებებისა და იურიდიულ ლიტერატურაში მიღებული დატაცების ზოგადი ცნების საფუძველზე, სხვისი მოძრავი ნივთის (ქონების) მითვისების ცნება შემდეგნაირად გვესახება: მითვისება არის სხვისი მოძრავი ნივთის (ქონების) დატაცების ერთ-ერთი ფორმა, რაც გულისხმობს დამნაშავეს მიერ მის მართლზომიერ მფლობელობაში ან განმგებლობაში მყოფი ქონების უკანონო, უსასყიდლო ამოღებას მესაკუთრის ფონდებიდან ანგარების მიზნით და იმის სურვილით, რომ იგი თავის სარგებლობაში მოაქციოს.

მითვისების განსაკუთრებული ხასიათი ისაა, რომ ქონება, რომლის დატაცებაც ხდება, იმყოფება დამნაშავეს მართლზომიერ მფლობელობაში. ამრიგად, აღნიშნული ფორმით ქონების დატაცებისას საკმე გვაქვს დამნაშავეს მართლზომიერ მფლობელობაში მყოფი ქონების გადასვლასთან მის არამართლზომიერ მფლობელობაში (მაგალითად, სახელმწიფო დაწესებულების მოლარე თავისთვის იტოვებს ბანკიდან მიღებულ ფულს, რომელიც განკუთვნილია ხელფასის სახით დაწესებულების მუშებზე გასაცემად).

---

<sup>1</sup> იხ. Комментарий к уголовному кодексу РСФСР. М., 1980, с. 225.

<sup>2</sup> Комментарий к Уголовному кодексу Российской Федерации. Под редакцией Н. Ф. Кузнецовой. М., 1998, с. 377.

მითვისება განსხვავდება გაფლანგვისაგან. მიუხედავად მათ შორის დიდი მსგავსებისა.

მითვისებასა და გაფლანგვას შორის განსხვავება ობიექტურ მხარეშია. მითვისების დროს დამნაშავე იტოვებს მინდობილ ქონებას თავის პირად განკარგულებაში იმ მიზნით, რომ ისარგებლოს შეძღვრებულ რაგორც თავისი საკუთარი ქონებით (მაგალითად, გამყიდველმა მალაზიიდან წაიღო და თავის ბინაში გადაძალა ტელევიზორი, მოლარემ სალაროდან ამოიღო გარკვეული თანხა და შეიტანა შემნახველ სალაროში თავის პირად ანგარიშზე და ა. შ.); გაფლანგვის დროს კი დამნაშავე უკვე განკარგავს მინდობილ ქონებას, როგორც თავის საკუთარს: გაყიდის, მოიხმარს, დახარჯავს, გააჩუქებს და ა. შ.

ზოგიერთი ავტორი მითვისებას ბრალეული პირის უმოქმედობად მიიჩნევს. მათი აზრით, თუ დატაცებისას ბრალდებულმა უნდა გადალახოს გარკვეული წინააღმდეგობანი, გამოიჩინოს გაქნილობა და ეშმაკობა სხვისი ნივთის დასაუფლებლად, მითვისებისას ეს საჭირო არ არის, ქონების დაკავება არის უმოქმედობა და გარკვეულ დროში მესაკუთრისათვის ქონების დაუბრუნებლობით გამოიხატება; მითვისებისას მიმთვისებელი არ იღებს ქონებას სხვა პირის მფლობელობიდან, მისი მოქმედება მდგომარეობს არა ქონების უკანონო, მართლსაწინააღმდეგო ამოღებაში, არამედ მის დაკავებაში და ა. შ.

იმ ავტორებს რომლებიც მითვისებას ბრალეული პირის უმოქმედობად მიიჩნევენ, უმძიმთ პრაქტიკული მაგალითებით დაადასტურონ თავიანთი თეორიული დებულება და ამის გამო ხშირად წინააღმდეგობასა და უხერხულობაში ვარდებიან; მაგალითად, ე. ფროლოვს მითვისების საილუსტრაციოდ მოჰყავს მძლოლის ქმედება, რომელმაც ზედნადებით მიიღო ღვინო საწყობიდან საამქროში გადასატანად, გზაში ერთ-ერთი კასრიდან გადმოასხა 41 ლიტრი ღვინო და გადაძალა<sup>1</sup>. ეს მაგალითი არა თუ ადასტურებს ავტორის მოსაზრებას, არამედ უარყოფს კიდევ მას. მოცემულ შემთხვევაში მძლოლის ქმედება უმოქმედობაში კი არ მდგომარეობს, არამედ აქტიურ მოქმედებაში, რაც, კერძოდ, მესაკუთრის ფონდიდან ქონების ამოღებაში ვლინდება.

ამრიგად, მითვისება უმოქმედობით არასწორად უნდა მივიჩნიოთ. სისხლის სამართლის კანონმდებლობა გამორიცხავს ქონების

---

<sup>1</sup> იხ. А. Фролов. Научный комментарий УК РСФСР. Свердловск, 1964, с. 219.

დატაცების შესაძლებლობას უმოქმედობით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობისა და ფულად საშუალებათა მითვისება თანამდებობის პირთა მიერ აუცილებლად დაკავშირებულია რაიმე აქტიური მოქმედების განხორციელებასთან, რის შედეგადაც მართლზომიერ გამგებლობაში არსებული ქონება გადადის უკანონო მფლობელობაში. ამ თვალსაზრისით, მითვისებისას დამტაცებლის აქტიური ქმედების უარყოფა მისი ძირითადი შინაარსის უგულებელყოფასაც ნიშნავს.

მითვისება და გაფლანგვა, თავის მხრივ, ქურდობისაგან იმით განსხვავდება, რომ მითვისებისა და გაფლანგვისას ქონება დანაშაულის ჩადენის მომენტში იმყოფება დამნაშავის მართლზომიერ მფლობელობაში, რაც მინდობილია მისთვის სამეურნეო განკარგვისათვის.

ქონების დატაცება იმ პირის მიერ, რომელსაც არ გააჩნია განსაზღვრული უფლებამოსილება იმ ქონების მიმართ, რომელსაც ის იტაცებს, არამედ შეუძლია მხოლოდ ისარგებლოს ამ ქონებით დავალებული სამუშაოს შესრულებისას (მაგალითად, მუშის მიერ ნედლეულის ან მზა პროდუქციის დატაცება წარმოებიდან, ასევე მეურნეობის მუშის მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქტების დატაცება და ა. შ.), აგრეთვე იმ პირის მიერ რომლისთვისაც მისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო ხელმისაწვდომია უშუალოდ სხვისთვის მინდობილი ქონება (მაგალითად, დატაცება, ჩადენილი კომენდანტის, სახანძრო საგუშაგო დაცვის უფროსისა და სხვათა მიერ), კვალიფიცირებული უნდა იქნეს არა როგორც მითვისება ან გაფლანგვა, არამედ როგორც ქურდობა.

მითვისებისა და გაფლანგვისას დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს 14 წელს მიღწეული ყოველი შერაცხადი ფიზიკური პირი. აქ იგულისხმება როგორც თანამდებობის, ისე არათანამდებობის პირები. მეტწილ შემთხვევაში ისინი, რომლებზეც ქონებაა გადაცემული და რომლებიც ანგარიშვალდებულნი არიან გამოიყენონ იგი განსაზღვრული მიზნით, თანამდებობის პირებია. სასამართლო პრაქტიკაში მითვისების სუბიექტებად ხშირად არათანამდებობის პირებიც გვევლინებიან. ასეთ შემთხვევაში მათზე ქონება გადაცემულია ხელშეკრულებით ან სხვა სპეციალური დავალებით (მაგალითად, გარკვეული პასუხისმგებლობის დაკისრება პირისათვის, რათა შეინახოს, გადაიტანოს ან გადაამუშაოს ქონება).

სასამართლო და საგამოძიებო ორგანოები ვალდებულნი არიან გულდასმით გაარკვიონ საკითხი იმის შესახებ, თუ რა უფლებით

სარგებლობდა პირი დატაცებული ქონების მიმართ. ასეთი მოთხოვნა გამოძინარეობს საქართველოს სსკ 182-ე მუხლის სწორი გაგებიდან.

იმისათვის, რომ ქმედობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლით იქნეს კვალიფიცირებული, საჭიროა დადგინდეს, რომ ქონება იმყოფება დამნაშავეის მართლზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაში, ამასთან, დამნაშავეს აქვს მისი განკარგვის, მართვის, შენახვის და ა. შ., გარკვეული უფლებამოსილება.

რაც შეეხება მძღოლებისა და მზიდავების მოქმედებას, რომლებმაც თავიანთი უშუალო მოვალეობის განხორციელებასთან ერთად შეასრულეს ექსპედიტორთა ფუნქციებიც და მიითვისეს მათ გამგებლობაში მყოფი, გადასაზიდად მინდობილი ქონება, კვალიფიცირებული უნდა იქნეს საქართველოს სს კოდექსის 182-ე მუხლით.

დარაჯისა და მცველის მიერ ქონების დატაცება, რომელიც მათ გადაცემული აქვთ შესანახად რაოდენობითა და წონით და ამავე დროს აკისრიათ ამ ქონების მიმართ ანგარიშის ჩაბარების მოვალეობა, კვალიფიცირებული უნდა იქნეს საქართველოს სს კოდექსის 182-ე მუხლით.

ვფიქრობთ, სამტრედიის სასამართლოს მიერ სწორადაა კვალიფიცირებული კ. ნ-ს მოქმედება, როგორც მითვისება, და, აი, რატომ: კ. ნ. მუშაობდა ბაშის შესაქონლეობის ფერმაში დარაჯად. ამასთან, საქონლის ჯოგის მწყემსვაც ევალებოდა. მან აღნიშნული ჯოგიდან გამოარჩია მეწველი ძროხა და მითვისების მიზნით იგი თავის სოფელში წაიყვანა. აღნიშნული ფაქტი გამომჟღავნდა ორი თვის შემდეგ.

საქართველოს სს კოდექსის 182-ე მუხლის გამოყენებას კ. ნ-ს მიმართ სასამართლომ ის გარემოება დაუდო საფუძვლად, რომ მას თავისი სამუშაოს ხასიათის ძალით კონტროლი უნდა გაეწია საქონლის მდგომარეობაზე.

მითვისების დროს ქონების დაკავება, ერთი მხრივ, გულისხმობს იმას, რომ იგი არ უბრუნდება მის მესაკუთრეს დადგენილ დროში; ასევე აღნიშნული ქონება არ წარედგინება შესაბამის საწარმოს, დაწესებულებას ან ორგანიზაციას მისი შემოწმების მომენტში, კერძოდ, საწარმოში რევიზიის, ინვენტარიზაციის ჩატარებისას და ა. შ. მეორე მხრივ, ქონების დაკავებისას დამნაშავე თავის არამართლზომიერ მფლობელობაში აქცევს მას და სურს ისარგებლოს ამ ქონებით, როგორც თავისი საკუთარით. ამავე დროს დამნაშავეს სურვილს არ შეადგენს აუნაზღაუროს მესაკუთრეს დაკავებული ქონების ღირებულება.

სწორედ ამ მეორე ნიშნის არსებობაა აუცილებელი ქონების დაკავებისას, რათა სახეზე გვექნეს მითვისების შემადგენლობა. თავისთავად ის ფაქტი, რომ პირმა გარკვეულ დროში ვერ წარმოადგინა მასზე გადაცემული ქონება, ეს შეიძლება გამოწვეული იყოს იმ მიზეზით, რომ აღნიშნული ქონება დაიკარგა, გაფუჭდა, განადგურდა ან სხვა პირის მიერ იქნა დატაცებული და ა. შ.

სხვისი მოძრავი ნივთის (ქონების) დატაცება არ შეიძლება ცნობილ იქნას სარწმუნოდ, თუ იგი დაფუძნებულია მხოლოდ გამოვლენილი დანაკლისის ფაქტზე – მისი წარმომშობი მიზეზის გამოვლენის გარეშე.

ამრიგად, ზემოაღნიშნულის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ: მითვისებისას გამოვლენილი დანაკლისის მიზეზი უნდა გამომდინარეობდეს დამნაშავეს მიერ სხვისი მოძრავი ნივთის (ქონების) თავის სასარგებლოდ გადაქცევის ფაქტიდან.

მითვისებას არ განეკუთვნება ისეთი შემთხვევა, როცა პირი მართალია, სარგებლობს მის მართლზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაში მყოფი ქონებით, მაგრამ განზრახული არა აქვს აღნიშნული ქონების მუდმივად და უსასყიდლოდ გამოყენება (ე. წ. დროებით სესხი), ე. ი. დამნაშავეს დასაწყისშივე განზრახული აქვს ქონება ან დაუბრუნოს მესაკუთრეს, ან აანაზღაუროს მისი ღირებულება. თანამდებობის პირთა ამგვარი მოქმედება შეიძლება კვალიფიცირებულ იქნას, როგორც ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება (საქართველოს სსკ 332-ე მუხ.), ხოლო კერძო პირის მიერ აღნიშნული ხასიათის მოქმედების ჩადენა – როგორც თვითნებობა (საქართველოს სსკ 360-ე მუხ.).

აღნიშნული საქმეების განხილვისას ძნელი დასადგენია პირის ნამდვილი განზრახვა, ე. ი. სურდა თუ არა მას დაებრუნებინა ქონება და ა. შ. მაგრამ, მიუხედავად ასეთი სირთულისა, განზრახვის არსებობაზე შეიძლება მეტყველებდეს დატაცებული ფასეულობის რაოდენობა, თვით დამნაშავეს პიროვნება და მისი ცხოვრების წესი, არსებობდა თუ არა ცდა, დაემალა ჩადენილი დანაშაული და სხვ.

თუ დამნაშავეს მიერ მითვისებულია მის მართლზომიერ მფლობელობაში მყოფი ქონება, რომლის ღირებულება არ აღემატება მის თვიურ ხელფასს და, ამასთან, იგი დაბეჯითებით აღნიშნავს მითვისებული ქონების დროებით ხასიათს, ასეთ შემთხვევაში საეჭვოა ვილაპარაკოთ მითვისებაზე.

დამნაშავის მხრივ ქონების მითვისების განზრახვაზე შეიძლება მეტყველებდეს ისეთი ფაქტი, როცა დამნაშავე მისი მართლზომიერ მფლობელობაში მყოფ დიდი ოდენობით ქონებას მოაქცევს თავის სარგებლობაში, მაგრამ შემდგომში მას არა აქვს რეალური შესაძლებლობა უკან დააბრუნოს აღნიშნული ქონება.

მითვისების ან გაფლანგვის საგანი შეიძლება იყოს არა მხოლოდ ისეთი კერძო, კოლექტიური ან სახელმწიფო ქონება, რომელიც მინდობილია დამნაშავეზე სამეურნეო განკარგვისათვის და სხვ., არამედ ის ქონებაც, რაც მას გადაეცა მფლობელობაში პირადი სარგებლობისათვის.

მითვისების ცნების იურიდიული ანალიზი არ იქნება სრულყოფილი, თუ არ განვიხილავთ საკითხს მითვისებით დატაცების დამთავრების მომენტზე. ამ საკითხის სწორ გადაწყვეტას აქვს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა. იურისტთა უმრავლესობის აზრით, ქონების დატაცების დამთავრების მომენტი განხილული უნდა იქნეს დატაცების ფორმაზე დამოკიდებულებით; კერძოდ, დატაცების დამთავრების საკითხი უნდა გადაწყდეს იმის მიხედვით, თუ როგორი ფორმითაა იგი ჩადენილი, მაგალითად, ქურდობის ფორმით დატაცების ჩადენისას დანაშაული დამთავრებულად ითვლება დამნაშავის მფლობელობაში ქონების გადასვლის მომენტიდან.

კრიმინალისტიკების უმრავლესობა მითვისებით ქონების დატაცების დამთავრების მომენტს უკავშირებს მესაკუთრისათვის ქონების თავის ღრობზე დაუბრუნებლობას; პირის მიერ მასზე მინდობილი ქონების უკანონოდ დაკავებას; ქონების თავის ან სხვა პირთა სასარგებლოდ გადაქცევას; მესაკუთრის ფონდებიდან ქონების ამოღებას; დამნაშავის მიერ ქონებაზე თავისი არამართლზომიერი მფლობელობის დადგენას; ქონებაზე დაუფლებას და ა. შ.

მითვისებით ქონების დატაცების დამთავრების მომენტის ასეთი განსხვავებული გაგება კანონზომიერად გამომდინარეობს თვით დატაცების ზოგადი ცნებისა და მითვისების ცნების სხვადასხვაგვარი განსაზღვრებიდან. ბუნებრივია, ყველა ავტორი, რომელიც მითვისების დამთავრების მომენტს განსაზღვრავს, ცდილობს გამოდიოდეს იმ საყოველთაოდ ცნობილი დებულებიდან, რომ დანაშაული დამთავრებულად ითვლება მაშინ, როცა დამნაშავის მიერ ჩადენილი ქმედობა მოიცავს ყველა იმ ნიშანს, რაც მოცემული სახის დანაშაულისათვისაა დამახასიათებელი. არსებითი ნიშნების არასწორი დადგენა იწვევს

იმას, რომ ავტორთა ერთი ნაწილი მითვისების დამთავრების მომენტად მიიჩნევს ქონების გარკვეულ დროში დაუბრუნებლობას ან მითვისების დამთავრების მომენტს განსაზღვრავს, როგორც ქონების დაუფლებას, ან მისი გადაქცევას თავის სასარგებლოდ და ა. შ.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მითვისების დამთავრებულად ცნობისათვის ქონების ამოღების მომენტს. ზოგიერთი ავტორის აზრით, მითვისება დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს მაშინ, როდესაც ბრალდებულის ქმედებაში გამოვლინდება მისი განზრახვა, დაიკავოს მიბარებული ქონება და დაადგინოს მასზე თავისი უკანონო მფლობელობა ანგარებითი მიზნით ქონების გამოყენებისათვის; პრაქტიკულად ასეთ მომენტად ისინი მიიჩნევენ ქონების დაუბრუნებლობას განსაზღვრულ დროში, მის გამოყენებლობას დანიშნულებისამებრ, ქონების წარმოუდგენლობას რევიზიის ან შემოწმების დროს ა. შ.<sup>1</sup>

ასეთი შეხედულება არ არის სწორი, ვინაიდან იგი ეწინააღმდეგება საქართველოს სსკ მე-18 მუხლს (დანაშაულის მომზადება), რომლის თანახმადაც აღნიშნული ხასიათის ქმედობანი განიხილება, როგორც დანაშაულისათვის მზადება. ზემოაღნიშნულ ავტორებს მხედველობიდან რჩებათ ის გარემოება, რომ დაკავებული ან გადამალული ქონება, მართალია, დროებით გამოდის მესაკუთრის პრაქტიკული გამოყენების სფეროდან, მაგრამ ყოველივე ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ იგი ამოღებულია ამა თუ იმ საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის ფონდიდან. ადვილი შესაძლებელია, დაკავებული და გადამალული ქონება, მისი პირველსავე მოთხოვნის ან აღმოჩენისას, ან პირის მიერ დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე ხელის აღებისას და სხვ., დაუბრუნდეს სათანადო ორგანიზაციას. ასეთ შემთხვევაში ან სრულიად არ გვაქვს დანაშაულის შემადგენლობა, ანდა ბრალდებულის ქმედება კვალიფიცირებული უნდა იქნეს, როგორც დანაშაულის ჩადენის მცდელობა (მუხლი მე-19). ასეთი დასკვნა სრულიად კანონზომიერად მიგვაჩნია, რადგან ქონების ამოღების მომენტის არარსებობა ვერ უზრუნველყოფს დატაცებისათვის ისეთი დამახასიათებელი შედეგების დადგომას, როგორიცაა: ქონების კანონსაწინააღმდეგო უსასყიდლო გადაქცევა თავისი ან სხვა პირის საკუთრებად, ბრალეულის ან სხვა

---

<sup>1</sup> დაწვრილებით იურისტთა შეხედულებები დატაცებისა და მითვისება-გაფლანგვის ცნების შესახებ, ასევე მათი დამთავრების მომენტზე გაშუქებულია პროფესორ გ. კრიკერის ნაშრომში: „Квалификация хищения социалистического имущества“. М., 1974.



– მესამე პირის უკანონო გამდიდრება, მესაკუთრისათვის ქონებრივი ზიანის მიყენება, საწარმოს, დაწესებულების ან ამა თუ იმ ორგანიზაციის ქონებრივი ფონდის შემცირება და ა. შ.

ამრიგად, ვინაიდან დატაცების შედეგად ქონება უკანონოდ ამოიღება ამა თუ იმ საწარმოს, დაწესებულების ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის ფონდებიდან და ზიანი ადგება შესაბამის მესაკუთრეს, ამდენად მითვისების დამთავრების მომენტის განსაზღვრისას სწორედ ამ გარემოებებს უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. ამ შეხედულებიდან გამომდინარე, მითვისების დამთავრების მომენტად უნდა მივიჩნიოთ ქონების უკანონო ამოღება მესაკუთრის ფონდებიდან და დამტაცებლის მხრიდან მისი განკარგვის რეალური შესაძლებლობის არსებობა.

ბ. გაფლანგვა. სიტყვა „გაფლანგვა“ ნიშნავს სხვის მიერ მიბარებული ფულის ან ქონების უთავბოლო, უსარგებლოდ დახარჯვას, განიავებას<sup>1</sup>.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში გაფლანგვის ცნებაზე აზრთა ერთიანობა არ არსებობს.

ავტორთა ერთი ჯგუფი ლაპარაკობს მითვისებისა და გაფლანგვის მსგავსებასა და სიახლოვეზე, სხვები კი სავსებით აიგვევენ აღნიშნულ ცნებებს, რადგან გაფლანგვას თვლიან მითვისების ერთ-ერთ საშუალებად ან სახედ.

ყოფილი რსფსრ 1926 წლის სისხლის სამართლის კოდექსმა მითვისებასა და გაფლანგვას შორის განსხვავების ყოველგვარი ზღვარი წაშალა, ეს ცნებები ერთმანეთთან გააიგივა და ერთ მუხლში გააერთიანა (116-ე მუხლი). იურისტი მეცნიერები ამის გამო იმ პერიოდში მითვისებასა და გაფლანგვას შორის არსებით მიჯნას არ ავლელდნენ და ყურადღებას უთმობდნენ მხოლოდ იმას, თუ რით განსხვავდებოდნენ ისინი სხვა მომიჯნავე დანაშაულთაგან. ეს საკითხი წინა პლანზე წამოიწია მხოლოდ მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა ყოფილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულება „სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“. აღნიშნული ბრძანებულებით, ეს ქმედებანი მიჩნეულ იქნა დატაცების ორ დამოუკიდებელ ფორმად. სწორედ ამ პერიოდიდან მოყოლებული სისხლის სამართლის ლიტერატურა შეივსო მთელი

<sup>1</sup> იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1951, ტ. II, გვ. 1267.

რიგი შრომებითა და გამოკვლევებით, რომლებიც მიედევნა სხვისი ქონების დატაცებათა იურიდიული კვალიფიკაციის საკითხების შესწავლასა და თეორიულ დამუშავებას. სათანადო ყურადღება დაეთმო, სახელდობრ, დატაცების ზოგადი ცნების განსაზღვრებას, მითვისებისა და გაფლანგვის ცნებების ურთიერთგამიჯვნას და სხვ. აღნიშნულ საკითხებზე აზრთა სხვადასხვაობა ამჟამადაც არსებობს. ყოველივე ეს კი ხელს უშლის კანონის სწორ და ერთგვაროვან გაგებას.

ს. ტარარუხინის აზრით, გაფლანგვა გულისხმობს ქონების მითვისებას და გვევლინება დამტაცებლის უფრო აქტიურ მოქმედებად. სხვანაირად რომ ვთქვათ, მითვისება ყოველთვის წინ უძღვის გაფლანგვას<sup>1</sup>.

გ. კრიგერის გაგებით, გაფლანგვა ნიშნავს დამნაშავეისათვის მინდობილი ან მის გამგებლობაში მყოფი ქონების გაყიდვას, მოხმარებას, ჩუქებას ან სხვაგვარად გასხვისებას, ანდა ანგარების მიზნით მესამე პირებზე გადაცემას<sup>2</sup>.

ა. სანთალოვს მიაჩნია, რომ გაფლანგვა არის დამნაშავეის მართლზომიერ მფლობელობაში მყოფი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების მოხმარება ან გასხვისება (გაყიდვა, ჩუქება და ა. შ.)<sup>3</sup>.

ზოგიერთის აზრით, გაფლანგვა არის მითვისების ლოგიკური გაგრძელება ან მითვისების ნაირსახეობა<sup>4</sup>.

ბ. ფ. კუზნეცოვას რედაქციით გამოცემულ კომენტარებში ხაზი გაესმის იმას, რომ გაფლანგვა წარმოადგენს დამნაშავეზე გარკვეული მიზნით მინდობილი სხვისი ქონების გასხვისებას ან მოხმარებას<sup>5</sup>.

---

<sup>1</sup> იხ. С. А. Тарарухин. Социалистическая собственность неприкосновенна. Киев, 1963, с. 68.

<sup>2</sup> იხ. Г. А. Кригер. Квалификация хищений социалистического имущества. М., 1974, с. 174.

<sup>3</sup> იხ. А. И. Санталов. "Советское уголовное право", часть Особенная, Л.-М., 1959, с. 116.

<sup>4</sup> იხ. Калинин Ю. Н. Ответственность за хищения государственного или общественного имущества, совершенные путем присвоения, растраты либо злоупотребления служебным положением по советскому уголовному праву. Автореф. канд. дис., М., 1964, с. 25.

<sup>5</sup> იხ. Комментарий к Уголовному кодексу Российской Федерации. М., 1998, с. 337.

გაფლანგვა და მითვისება. როგორც სხვისი ქონების დატაცების ფორმები, ახლოს დგას ერთმანეთთან. მათთვის საერთო ისაა, რომ, როგორც გაფლანგვის, ისე მითვისების დროს დამნაშავე ქონებას, რომელიც მის მართლზომიერ მფლობელობასა და გამგებლობაში იმყოფება, კანონსაწინააღმდეგო, უსასყიდლოდ იღებს მესაკუთრის ფონდებიდან ანგარების მიზნით.

გაფლანგვა განსაკუთრებით ახლოს დგას მითვისებასთან, მაშინ როცა ქონების გასხვისება ხდება ანგარების მიზნით. ქონების გასხვისებას ასეთ შემთხვევაში აუცილებლად წინ უსწრებს ქონების დაკავება და დამნაშავეს მხრიდან აღნიშნულ ქონებაზე არამართლზომიერი მფლობელობის დადგენა.

გაფლანგვისა და მითვისების ცნებების სიახლოვემ არ უნდა გააიგივოს ისინი.

ყოფილი სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1972 წლის 11 იელისის დადგენილებაში – „სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცების საქმეზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ – გაფლანგვისა და მითვისების შესახებ აღნიშნულია: „მინდობილი ან გამგებლობაში მყოფი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების მითვისებად თუ გაფლანგვად კვალიფიცირებული უნდა იქნეს მართლზომიერ მფლობელობაში მყოფი ქონების კანონსაწინააღმდეგო უსასყიდლო გადაქცევა თავის საკუთრებად ან სხვა პირის საკუთრებად დამნაშავეს მიერ, რომელიც თანამდებობრივი მოვალეობის, ხელშეკრულებითი ურთიერთობის ან სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციის სპეციალური დავალების ძალით ამ ქონების მიმართ ახორციელებდა განკარგვის, მართვის, მიწოდების ან შენახვის უფლებამოსილებას (მეკუჭნავე, ექსპედიტორი, მომარაგების აგენტი, გამყიდველი, მოლარე და სხვა პირები)“<sup>1</sup>.

როგორც ჩანს, ზემოაღნიშნულ დადგენილებაში გაფლანგვისა და მითვისების ცნება ერთმანეთისაგან გამიჯნული არაა, რაც არასწორად უნდა მივიჩნიოთ. სისხლის სამართლის საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის პრინციპიდან გამომდინარე, აუცილებელია გაფლანგვის გამიჯვნა მითვისებისაგან.

სისხლის სამართლის საქმეების შესწავლითა და განზოგადებით ვლინდება, რომ საგამომიებო და სასამართლო ორგანოები ერთმანეთში

<sup>1</sup> საქართველოს უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი. თბ., 1972, №4, გვ. 3.

ურევენ საქართველოს სსკ 182-ე მუხლით გათვალისწინებულ დატაცების ფორმებს; სახელდობრ, ყველა შემთხვევაში აღნიშნავენ, რომ ამა თუ იმ პირის მოქმედებაში ადგილი აქვს მითვისება-გაფლანგვას, მაშინ როდესაც სისხლის სამართლის საქმეებიდან აშკარად ჩანს, რომ პირს ჩადენილი აქვს მხოლოდ გაფლანგვა ან მხოლოდ მითვისება. გაფლანგვისას საჭიროა აღინიშნოს, რომ პირის მოქმედება მოიცავს გაფლანგვას; თუ სახეზე ორივე ფორმაა, მაშინ უნდა აღინიშნოს მითვისება-გაფლანგვა, თანაც გარკვევით უნდა იქნეს მითითებული, თუ რა ოდენობის ქონება აღმოჩნდა მითვისებული და რამდენი გაფლანგული. სამწუხაროდ, საგამოძიებო და სასამართლო ორგანოები თავს არიდებენ საკითხის ასეთნაირად გადაწყვეტას.

გაფლანგვა მითვისებისაგან განსხვავდება დამნაშავე პირის უფრო აქტიური მოქმედებით, თუ ქონების დაკავება და დაუბრუნებლობა დროში თან ემთხვევა ქონების მოხმარებას და გასხვისებას, სახეზეა გაფლანგვა. გაფლანგვისას დამნაშავე არა მარტო თავისთვის იკავებს ქონებას, რომელიც დატაცების მომენტში მის მართლზომიერ მფლობელობაში იმყოფება, არამედ, ეუფლება რა მას, არამართლზომიერად ხარჯავს, ყიდის, აჩუქებს და ა. შ.

გაფლანგვა საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხითაც განსხვავდება მითვისებისაგან. საქმე ისაა, რომ გაფლანგვისას ქონება მატერიალური სახით სახეზე არა გვაქვს, იგი განიკავებულია; ყოველივე ეს გამორიცხულია მითვისების დროს. გაფლანგვის შემთხვევაში გამფლანგველს არა აქვს იმის შესაძლებლობა, უკანვე დააბრუნოს მესაკუთრის ფონდებიდან უკანონოდ ამოღებული ქონება, მითვისებისას კი მიმთვისებელს ამის შესაძლებლობა ყოველთვის აქვს. როგორც წესი, გამფლანგველის მიზანია არაწესიერი გზით მიღებული ქონების (სიმდიდრის) უთაებლოდ ხარჯვა, მაშინ როცა მიმთვისებელს ასეთი მიზანი არ გააჩნია; პირიქით, იგი ცდილობს ქონების დაგროვებას. ეს უკანასკნელი ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოსდა მიმთვისებელი საერთოდ არ ფლანგავს ქონებას ან მის ნაწილს: ასეთი ფაქტები მრავლად გვხვდება საგამოძიებო პრაქტიკაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ვასკვნით, რომ გაფლანგვა მეტი საზოგადოებრივი საშიშროების მატარებელია, ვიდრე მითვისება.

ამრიგად, თუ მითვისებისას გვაქვს ქონების მხოლოდ დაკავება და დაუბრუნებლობა მისი გასხვისებისა და მოხმარების გარეშე, გაფლანგვისას ქონების დაკავებასა და დაუბრუნებლობასთან ერთად

გვაქვს მისი გასხვისებაც (დახარჯვა, მისი მოხმარება, გაყიდვა, ჩუქება და სხვ.).

გაფლანგვის ფორმით ჩადენილი დატაცების საილუსტრაციოდ სასამართლო პრაქტიკიდან მოგვყავს მაგალითი: მოქალაქე შ. მ-ს ბრალი დაედო იმაში, რომ სამტრედიის „ცეკავშირის“ სისტემაში შემავალ №1 პავილიონის გამგე-გამყიდველად მუშაობისას, იგი ერთი თვის განმავლობაში სისტემატურად ხარჯავდა მატერიალურ ფასეულობათა რეალიზაციის შედეგად მიღებულ ნავაჭრ თანხას ნაცნობ-მეგობრებში, რის შედეგადაც აღმოაჩნდა 2.500 ლარის დანაკლისი, სამტრედიის სასამართლომ სწორად ცნო შ. მ-ს მიმართ წაყენებული ბრალდება როგორც გაფლანგვა.

გაფლანგვის სუბიექტი შეიძლება იყოს როგორც თანამდებობის, ისე არათანამდებობის პირი.

არათანამდებობის პირთა მიერ ჩადენილი გაფლანგვის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ სააქციო საზოგადოების მიერ რიგით თანამშრომელზე ქონების (ნივთის) გასაყიდად გადაცემა და ამ უკანასკნელის მიერ რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხების გასხვისება (გახარჯვა).

აღსანიშნავია, რომ პირები, რომლებსაც ქონება არ ჰქონდათ მინდობილი ან გადაცემული გამგებლობაში და რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ საქართველოს სსკ 182-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში (მითვისება ან გაფლანგვა) პასუხს აგებენ ამ მუხლით როგორც თანამშრომლებს. ამასთან, თუ აღნიშნულმა პირებმა დატაცება ჩაიდინეს სსკ 182-ე მუხლში მითითებულ პირებთან წინასწარი შეთანხმებით, მათი მოქმედება კვალიფიცირებული უნდა იქნეს მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით (წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ), ხოლო დატაცებულის დიდი ოდენობისას – ამ მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ პუნქტით (დიდი ოდენობით).

გაფლანგვა შეიძლება იყოს იმ შემთხვევაშიც, როცა ქონება დამნაშავეზე უშუალოდ მინდობილი არაა, მაგრამ მის განმგებლობაში იმყოფება და განკარგავს მას სხვა პირის მეშვეობით, სახელდობრ იმ პირის მეშვეობით, რომელზედაც იგი სამსახურებრივად დაქვემდებარებული.

დატაცება გაფლანგვის ფორმით იქნება ჩადენილი, თუ თანამდებობის პირი თავის უფლებამოსილებას იყენებს ქონების განკარგვაზე და ანგარების მიზნით იძლევა ისეთ მითითებებს, რის შედეგადაც ქონება უკანონოდ და უსასყიდლოდ გადაეცემა მესამე პირს (მაგალითად,

მითითების მიცემა ქონების გადაცემაზე ერთ შემთხვევაში პირადი დავალიანების დაფარვის მიზნით კრედიტორის სასარგებლოდ, ხოლო მეორე შემთხვევაში ნათესავეების, ახლობლებისა და სხვათა მიმართ). ამ შემთხვევაში თანამდებობის პირი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს მისდამი დაქვემდებარებული (მატერიალურად პასუხისმგებელი) პირის მეშვეობით, რომელიც ახორციელებს თანამდებობის პირის მითითებას.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში გაფლანგვის ფორმით ქონების დამთავრების მომენტი ავტორთა უმრავლესობის მიერ პრინციპში ერთნაირადაა გაგებული. კერძოდ, ისინი გაფლანგვას დამთავრებულად თვლიან იმ მომენტიდან, როცა ქონება დამნაშავის მიერ დაიხარჯა როგორც თავისი, ისე მესამე პირის ინტერესებისათვის, ან ქონების გასხვისების მომენტიდან (მონხარება, გაყიდვა, ჩუქება ან სხვაგვარი გადაცემა მესამე პირზე ანგარების მიზნით).

თუ ქონების დატაცებაში, რომელიც ჩადენილია პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, მონაწილეობს პირი, რომელსაც ეს ქონება მინდობილი ჰქონდა, მაშინ დატაცების ყველა მონაწილე პასუხს აგებს საქართველოს სს კოდექსის 182-ე მუხლით.

ბოლოს, გვინდა ჩვენი მოსაზრება გამოვთქვათ 182-ე მუხლით გათვალისწინებულ დატაცებათა ფორმების შესახებ (მითვისება ან გაფლანგვა). კანონმდებლის მიერ საზოგადოებრივი საშიშროების მხრივ ამ ორი ფორმის ერთმანეთთან გათანაბრება და ერთნაირი პასუხისმგებლობის დაწესება არასწორად მიგვაჩნია, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, მათ აქვთ თავიანთი სპეციფიკა, საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და სხვ. დანაშაულის სწორი კვალიფიკაციისა და სისხლის სამართლის საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის ინტერესებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად ვთვლით სისხლის სამართლის კოდექსში მითვისებისა და გაფლანგვის ცალ-ცალკე მუხლებად, ე. ი. სხვადასხვა დანაშაულის სახით, გამოყოფას, რომლის განმსაზღვრელიც იქნება შესაბამისი დანაშაულის შემადგენლობა; მაგალითად, გაფლანგვის დამოუკიდებელი შემადგენლობა გვექნება მაშინ, როცა განხორციელდება მისი დამოუკიდებელი შემადგენლობა, ასევე უნდა ითქვას მითვისებაზეც.

**§9. განსაკუთრებით ისტორიული, კულტურული, მეცნიერული ან ეროვნული ღირებულების ნივთის ან დოკუმენტის დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით (სსკ 183-ე მუხლი)**

ეს მუხლი ორ ნაწილს მოიცავს. პირველი ნაწილი დანაშაულად მიიჩნევს განსაკუთრებით ისტორიული, კულტურული, მეცნიერული ან ეროვნული ღირებულების ნივთის ან დოკუმენტის დაუფლებას მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, — რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან ათ წლამდე.

მეორე ნაწილი მაკვალიფიცირებულ ნიშნად მიიჩნევს იგივე ქმედებას, ჩადენილს: ა) ჯგუფურად; ბ) არაერთგზის, — რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რეიდან თხუთმეტ წლამდე.

განსახილველი დანაშაულის უშუალო ობიექტად გვევლინება საკუთრების კონკრეტული ფორმები: სახელმწიფო, მუნიციპალური, კერძო, კოლექტიური, რელიგიური და სხვა ორგანიზაციების საკუთრება. ფაკულტატური ობიექტი შეიძლება იყოს პიროვნების ჯანმრთელობაც (იგულისხმება როცა ქონების ამოღებისას ადგილი აქვს ძალადობის ხერხის გამოყენებას). როგორც ვხედავთ, მოქმედი კანონმდებლობა 183-ე მუხლით ითვალისწინებს დატაცების (დაუფლების) განსაკუთრებულ სახეს, რომელიც გამოყოფილია ცალკე შემადგენლობად დანაშაულის საგნის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო.

ობიექტური მხარე ამ დანაშაულს მოიცავს განსაკუთრებული ფასეულობის მქონე საგნების (ნივთების ან დოკუმენტების) დაუფლებას მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. სხვისი ქონების დანაშაულებრივი დაუფლების (დატაცების) მუხლთა სანქციების შედარებითი შეპირისპირება ცხადად გვიჩვენებს, რომ სსკ 183-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული საზოგადოებრივი სამიშროების ხარისხის მიხედვით ყაჩაღობის არა მარტო ტოლფასოვანი, არამედ ცოტათი მეტიცაა. სწორედ ამიტომაც, რომ ამ დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების ფორმულირების დროს კანონმდებელი საგანგებოდ არ მიუთითებს დატაცების ხერხებს, რითაც ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ იმ საგნების დატაცება, რომლებიც განსაკუთრებული ფასეულობის მქონეა, უნდა დაკვალიფიცირდეს ერთნაირად დამოუკი-

დებლად დატაცების ხერხისა. ყაჩაღობასთან მიმართებაში გამოკვეთილად უნდა ითქვას, რომ 183-ე მუხლის შემადგენლობით შთაინთქმება ყაჩაღობა და დამატებითი კვალიფიკაცია დატაცების ხერხის გათვალისწინებით საჭირო არ არის.

უფრო რთულ და არაცალსახად გადასაჭრელს წარმოადგენს საკითხი იმის შესახებ, თუ როდის უნდა მივიჩნიოთ 183-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული დამთავრებულად (მხედველობაში გვაქვს თუ იგი განხორციელდა ყაჩაღური თავდასხმის გზით). განსაკუთრებული ფასეულობის მქონე საგანთა დატაცების მიზნით თავდასხმის ეტაპზე თუ მათი დაუფლების მომენტში? ამ საკითხზე სწორ პასუხს ვპოულობთ 1996 წელს გამოცემულ სისხლის სამართლის კომენტარებში, სადაც ხაზი გაესმის შემდეგს: „თუ ხელყოფა განსაკუთრებული ფასეულობის მქონე საგნებზე განხორციელებულია ყაჩაღობის ფორმით, მაშინ ის შეიძლება კვალიფიცირებული იყოს როგორც დამთავრებული დატაცება მხოლოდ იმ აუცილებელი პირობით, რომ სუბიექტმა ფაქტობრივად ამოიღო და თავის ან სხვა პირთა სასარგებლოდ მოაქცია აღნიშნული საგნები. ხოლო ყაჩაღობა განსაკუთრებული ფასეულობის მქონე საგნების დატაცების მიზნით, თუ არ დამთავრდა მათი დაუფლებით, მაშინ ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც დანაშაულის მცდელობა“<sup>1</sup>.

დატაცებათა ჩვეულებრივი ფორმებისაგან განსხვავებით განსახილველი დანაშაული ხასიათდება ხელყოფის საგანთა განსაკუთრებული თვისებებით, რომლებსაც კანონი უწოდებს „განსაკუთრებული ისტორიული, კულტურული, მეცნიერული ან ეროვნული ღირებულების ნივთს ან დოკუმენტს“. ეს უკანასკნელი კი განისაზღვრება საექსპერტო დასკვნის საფუძველზე არა მხოლოდ მათი ღირებულების ფულად გამოხატვაში, არამედ მათი ისტორიული, კულტურული, მეცნიერული ან ეროვნული მნიშვნელობის გათვალისწინებით. მართლაც ასეთი საგნები შეიძლება შეადგენდეს საქართველოს ხალხთა კულტურულ მემკვიდრეობას, მათ ეროვნულ საკუთრებას, რაც ამ მხრივ ფასდაუდებელია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ დანაშაულის საგანი შეიძლება იყოს არა მხოლოდ ცალკეული ნაწარმოები ან ნივთი, არამედ კულტურულ ფასეულობათა კოლექციებიც, ე. ი. ერთგვაროვანი ან გარკვეული ნიშნის მიხედვით შერჩეული სხვადასხვაგვარი საგნების ერთობლიობა. ყოველივე ესენი, ერთად შეგროვილი,

<sup>1</sup> იხ. Комментарий к Уголовному кодексу Российской Федерации. Особенная часть. Под общей редакцией проф. Ю. И. Скуратова. М., 1996, с. 149.



იქნეს ისტორიულ, კულტურულ, მეცნიერულ ან ეროვნულ მნიშვნელობას (მაგალითად, საფოსტო მარკები, ძველებური მონეტების კოლექციები და ა. შ.). ცხადია, ერთად შეგროვილიდან თითოეული მათგანი გარკვეული ღირებულების მქონეა, მაგრამ ერთობლიობაში ისინი განსაკუთრებულ მნიშვნელობის ღირებულებას (ფასეულობას) ქმნიან.

საქართველოს კანონში „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“, რომელიც მიღებულია 1999 წლის 25 ივნისს, ჩამოთვლილია თუ რა შეიძლება იყოს ისტორიული, კულტურული, მეცნიერული ან ეროვნული ღირებულების ნივთი ან დოკუმენტი, ანუ სხვანაირად თუ ვიტყვით, 183-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საგანი. ასეთს მიეკუთვნება როგორც უძრავი ძეგლები, ასევე მოძრავი ძეგლის შემდეგი სახეობები: ა) ნებისმიერი მასალითა და ტექნიკით შესრულებული სახვითი ხელოვნების ნიმუში; ბ) ნებისმიერი მასალითა და ტექნიკით შესრულებული დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუში; გ) ისტორიულ მოვლენებთან ან ისტორიულ პირთა მოღვაწეობასთან დაკავშირებული ნივთები; დ) არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ან კულტურულ ფენებში შემთხვევით აღმოჩენილი ნივთები ანდა მათი ფრაგმენტები; ე) ნებისმიერი მასალითა და ტექნიკით შესრულებული საკულტო დანიშნულების ნივთი; ვ) ხელნაწერები, ინკუნაბულები<sup>1</sup>, სიგელები<sup>2</sup>, გუჯრები<sup>3</sup> და ბეჭდვითი გამონაცემები, რომელთაც აქვთ ისტორიული მხატვრული და სამეცნიერო ღირებულება; ზ) ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტები, მათ შორის ფოტო. ფონო, კინო ვიდეომასალები; თ) ეთნოგრაფიული<sup>4</sup> ნივთები; ი) უნიკალური ავეჯი და მუსიკალური

<sup>1</sup> ინკუნაბულები – ლათინური სიტყვაა და ნიშნავს აკვანს, დასაწყისს. ესაა პირველი ნაბეჭდი წიგნები (1501 წლამდე). გარკვეულად ხელნაწერების მსგავსი (შემონახულია 40.000-მდე ასეთი წიგნი).

<sup>2</sup> სიგელი – ლათინური სიტყვაა და ნიშნავს ძეგის ან კერძო პირის მიერ ბოძებულ საბუთს, ასევე რაიმე დამსახურების აღსანიშნავად გაცემულ საბუთს.

<sup>3</sup> გუჯარი – ეკლესიისათვის მეფის ან მემამულის მიერ გაცემული საბუთია, რომელშიც განსაზღვრული იყო ეკლესიის მეურნეობისათვის სავალდებულო წესები.

<sup>4</sup> ეთნოგრაფია – ბერძნული სიტყვაა და ხალხის აღწერას ნიშნავს. ესაა ისტორიული მეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს ხალხთა ყოფა-ცხოვრებას, ნივთიერ და სულიერ კულტურას, სხვანაირად თუ ვიტყვით ესაა მეცნიერება ხალხთმცოდნეობის შესახებ. იკვლევს ეთნიკურ კულტურათა საერთო და განსხვავებულ ფორმებს. სწავლობს თუ რა განაპირობებს და ასაზრდოებს სხვადასხვა ხალხში დამკვიდრებულ ზნე-ჩვეულებებს, ტრადიციებს, ყოფაქცევს ნორმებს.

ისტრუმენტები: კ) მეცნერებისა და ტექნიკის განვითარებასთან დაკავშირებული ძეგლები; დ) სხვა გადაადგილებადი ნივთები, რომლებსაც აქვთ ისტორიული, მხატვრული, სამეცნიერო ან სხვა ღირებულება. მათ შორის, ისტორიული მნიშვნელობის მქონე არქიტექტურული ნახაზები, სახვითი ხელოვნების ნიმუშების ასლები, აგრეთვე თანამედროვე წარმოების ტირაჟირებადი ნივთები.

საექსპერტო დასკვნის საფუძველზე ჩამოთვლილი ფასეულობანი (ნივთები, დოკუმენტები) შეიძლება იყოს სსკ 183-ე მუხლით გათვალისწინებული დატაცების (დანაშაულებრივი დაუფლების) საგანი.

ქმედების 183-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რა ხერხით იქნა ჩადენილი დატაცება (იგულისხმება განსახილველი მუხლის დისპოზიციაში დასახელებელი ნივთის ან დოკუმენტის დაუფლება). ეს შეიძლება იყოს ქურდობა, თაღლითობა, ძარცვა, მითვისება ან გაფლანგვა, ყაჩაღობა, გამოძალვა. მოცემულ შემთხვევაში დატაცების ჩადენის ხერხები კვალიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს, მაგრამ ისინი აუცილებლად გათვალისწინებულ უნდა იქნას სასჯელის დანიშვნის დროს. საქმე იმაშია, რომ დატაცების ხერხები მათი საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხით მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მაგალითად, განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ნივთის ან დოკუმენტის დაუფლება ყაჩაღობით უფრო საშიშია, ვიდრე ქურდობის გზით ჩადენილი.

მოცემული დანაშაულის დამთავრების მომენტი განისაზღვრება მისი ჩადენის ხერხთან დამოკიდებულებით.

სუბიექტური მხრივ 183-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. სახელდობრ, ბრალდებულს შეგნებული აქვს, რომ იტაცებს ისეთ ნივთს ან დოკუმენტს, რომელსაც აქვს განსაკუთრებული ისტორიული, კულტურული, მეცნიერული ან ეროვნული ღირებულება. ამასთან ერთად დამტაცებელი მოქმედებს ანგარების მიზნით. როგორც ვხედავთ მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი ამ დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი ელემენტია.

განსახილველი დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს ყოველი შერაცხადი პირი, რომელმაც მიაღწია 14 წლის ასაკს.

სსკ 183-ე მუხლის დამამძიმებელ გარემოებათა (ჯგუფურად, არაერთგზის) განხილვაზე არ ვჩერდებით, რადგან მათზე დაწვრილებითი საუბარი გვეკონდა 177-ე მუხლის (ქურდობა) ანალიზისას.

**§10. ავტომობილის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მისაკუთრების მიზნის გარეშე (სსკ 184-ე მუხლი)**

ამ მუხლის პირველი ნაწილის ძალით დანაშაულადაა მიჩნეული ავტომობილის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება დროებითი გამოყენების მიზნით, — რაც ისჯება ჯარიმით ან ტუსალობით ვადით ოთხ თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

მეორე ნაწილი დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევს იგივე ქმედებას, თუ იგი ჩადენილია: ა) ჯგუფურად; ბ) არაერთგზის; გ) ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის, ანდა ასეთი ძალადობის მუქარით, — რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან შვიდ წლამდე.

მესამე ნაწილი განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევს ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებას, ჩადენილს სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის მუქარით, — რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე.

განსახილველ 184-ე მუხლს გააჩნია შენიშვნა, სადაც ხაზი გაესმის იმას, რომ თუ 24 საათის განმავლობაში დამნაშავე ნებაყოფლობით, დაუზიანებლად დააბრუნებს ავტომობილს ან სხვა მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებას, მას გაუნახვერდება სასჯელი.

განსახილველი დანაშაულის შემადგენლობა მრავალობიექტიანია. უშუალო ობიექტად ძირითადად მიიჩნევა საკუთრების კონკრეტული ფორმა. ფაქულტატურ ობიექტად კი დაზარალებულის სიცოცხლე ან ჯანმრთელობა. ისეთი ობიექტი როგორცაა საზოგადოებრივი უშიშროება ტრანსპორტზე, მოცემული ნორმით არაა დაცული, ამის გამო თუ სატრანსპორტო საშუალებათა გატაცებისას დამნაშავე დაეჯახება ქვეითად მოსიარულეს, რასაც მოჰყვება მისი ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება, მაშინ მისი ქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით, კერძოდ, 184-ე და 276-ე მუხლებით (ეს უკანასკნელი ითვალისწინებს ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას).

სსკ 184-ე მუხლის კონსტრუქციულ ნიშნად გვევლინება დანაშაულის

საგანი, სახელდობრ, ავტომობილი ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალება. ავტომობილი – ესაა თვითმავალი სატრანსპორტო საშუალება ძრავით, რომლის დანიშნულებაც ტვირთებისა და მგზავრების გადაყვანა ურელსო გზით. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ „სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების“ ცნება ფართოა და იგი მოიცავს როგორც ავტომობილს, ასევე ტრამვაის, ტროლეიბუსს, ტრაქტორს, თვითმავალ მანქანებს (გრეიდერები<sup>1</sup>, ბულდოზერები<sup>2</sup>, სკრეპერები<sup>3</sup>, ასფალტდამგები და სხვა საგზაო მანქანები), მოტოციკლს, მოპედს და სხვაგვარ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებებს, რომლებიც აღჭურვილია შიდაწვის ძრავით ან ელექტროძრავით და რომელთა მოძრაობაც დარეგულირებულია საგზაო მოძრაობის წესებით. რაც შეეხება ველოსიპედს, როგორც არამექანიკურ სატრანსპორტო საშუალებას, იგი არ არის ამ დანაშაულის საგანი. საპაერო ან წყლის ხომალდის ანდა რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება ან გატაცება ქმნის საზოგადოებრივი უშიშროების საწინააღმდეგო დანაშაულის დამოუკიდებელ შემადგენლობას და ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ 227-ე მუხლით (საპაერო ან წყლის ხომალდის ანდა რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება). ესე იგი საპაერო ან წყლის ხომალდი, ასევე რკინიგზის მოძრავი შემადგენლობა არ შეიძლება იყოს 184-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საგანი. საერთოდ ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ მექანიკური სატრანსპორტო საშუალებანი და უბრალოდ სატრანსპორტო საშუალებანი. ეს უკანასკნელი უფრო ფართო ცნებაა და მოიცავს

<sup>1</sup> გრეიდერი – ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს გასწორებას, გათანაბრებას. ესაა მისაბმელი მიწის სათხრელი და საშანდაკებელი მანქანა, რომელიც მუშაობს ორგანოს (ფრთის) დახმარებით ჭრის, გადაადგილებს, ასწორებს გრუნტს, თოვლსა და ფხვიერ საშენ მასალას. იხმარება საგზაო, საქალაქო, საირიგაციო, სამრეწველო და სხვ., მშენებლობაში.

<sup>2</sup> ბულდოზერი – ინგლისური სიტყვაა და აღნიშნავს მოწყობილობას, რომელიც წინ უკეთდება მუხლუხა ტრაქტორს მიწის სამუშაოების შესასრულებლად (მიწის მოსწორება, თხრილის ამოვსება, მიწაყრილის გაკეთება, და სხვ.); ესაა თვით ტრაქტორი ასეთი მოწყობილობით.

<sup>3</sup> სკრეპერი – ინგლისური სიტყვაა და ფხეკას ნიშნავს. ესაა ციკლური მოქმედების მიწისსათხრელი სატრანსპორტო მანქანა, რომლის ჩამწა გრუნტს შრეებად აკლის დასამუშავებელ ზედაპირს, გადააქვს მოჭრილი გრუნტი ნაყარში ან აშანდაკებს მას. იყენებენ მშენებლობაში, საჩთო მრეწველობაში და სხვ.

პირველს. მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებებს უნდა გააჩნდეს შემდეგი ნიშნები: 1. ისინი უნდა იყოს თვითმავალი სატრანსპორტო საშუალებანი, რომლებიც ძირძობაში მოდიან ძრავის მეშვეობით; 2. ისინი ექვემდებარებიან აუცილებელ სახელმწიფო რეგისტრაციას სპეციალიზირებულ ორგანოებში (სახელმწიფო ავტო-ინსპექციაში, სამხედრო ავტო-ინსპექციაში, საუსწებო სატრანსპორტო ინსპექციაში); 3. მის მართვაზე დაიშვებიან მხოლოდ ის პირები, რომელთაც გააჩნიათ სპეციალური ცოდნა და რაც დასტურდება სათანადო დოკუმენტებით (მძღოლის მართვის უფლება, სხვა მექანიკური საშუალების მართვაზე დაშვების უფლება და ა. შ.).

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება ისეთ მოქმედებაში, რომელიც არღვევს მესაკუთრის ან სხვა კანონიერი მფლობელის კუთვნილ სატრანსპორტო საშუალებაზე მფლობელობისა და სარგებლობის უფლებას. სხვანაირად თუ ვიტყვით, 184-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული გამოიხატება ავტომობილის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლებაში მისაკუთრების მიზნის გარეშე. დაუფლება – ესაა სატრანსპორტო საშუალების ამოღება მესაკუთრის ან მისი კანონიერი მფლობელის ფონდიდან და მისი დროებითი გადასვლა დამნაშაულის სარგებლობასა და მფლობელობაში. დაუფლება შესაძლებელია ნებისმიერი ხერხით: თვითსვლით, ტრაილერის გამოყენებით სხვა ადგილზე წადებით, ბუქსირით, მიწოლით (ფაქტობრივი მხარე), ფარულად, აშკარად, ძალადობითა და ძალადობის გარეშე, მოტყუებითა და ა. შ. (იურიდიული მხარე). სატრანსპორტო საშუალების ადგილსამყოფელს მნიშვნელობა არა აქვს. გატაცება შეიძლება მოხდეს ფარეხიდან, ღია სადგომიდან, საწარმოს ტერიტორიიდან, დროებითი სადგომიდან და სხვ. დაუფლება დამთავრებულად ითვლება, თუ სატრანსპორტო საშუალება ნებისმიერი ხერხით იქნა დაძრული ადგილიდან.

რამდენადაც მოცემული დანაშაული არ გვევლინება დატაცებად, ამდენად გატაცებულ სატრანსპორტო საშუალებაზე სრულად დაუფლება და მისი რეალურად განკარგვის შესაძლებლობა ამ შემადგენლობისათვის საჭირო არაა. ასეთ პოზიციას მხარს უჭერს სასამართლო პრაქტიკაც. თუ პირი ცდილობდა დაუფლებოდა სატრანსპორტო საშუალებას, მაგრამ მან იგი ადგილიდან ვერ დაძრა

მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, ბრალდებულის მოქმედება ასეთ შემთხვევაში უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც სხვისი სატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლებაზე (გატაცებაზე) მცდელობა. ასეთი კვალიფიკაცია შეიძლება იმ შემთხვევაშიც, როცა ბრალდებულმა ვერ შეძლო ავტომობილის სალონში შეღწევა და მოტორის (ძრავის) ჩართვა ანდა შევიდა სალონში და ჩართო ძრავა, მაგრამ მანქანა ვერ დაძრა ადგილიდან. დაუფლება უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო (არამართლზომიერი). ეს ნიშანი იმას აღნიშნავს, რომ პირს არა აქვს გასატაცებელ მანქანაზე არც ნამდვილი და არც სავარაუდო უფლება. სასამართლო პრაქტიკა არამართლზომიერად არ მიიჩნევს ოჯახის წევრთა მოქმედებას მიმართულს მანქანის დროებით გამოყენებასთან დაკავშირებით, მით უფრო თუ ადრე მანქანის ნამდვილი მესაკუთრე ნებას აძლევდა ოჯახის წევრებს მის გამოყენებაზე. უკანონო დაუფლებად (გატაცებად) არ ითვლება სატრანსპორტო საშუალებით სარგებლობა იმ პირის მიერ, რომელიც თავისი თანამდებობის ძალით მუდმივ ექსპლოატაციას უწყევდა მას (მაგალითად, მძღოლის მიერ თვითნებური გამგზავრება მასზე მიმაგრებული მანქანით). ამრიგად, ავტომობილის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მისაკუთრების მიზნის გარეშე დამთავრებულ დანაშაულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც სატრანსპორტო საშუალება წაყვანილია მისი ადგილსამყოფელიდან ნებისმიერი ხერხით.

184-ე მუხლის სუბიექტური მხარე ხასიათდება პირდაპირი განზრახვით: ბრალდებულს შეგნებული აქვს, რომ მართლსაწინააღმდეგოდ (მისაკუთრების მიზნის გარეშე) ეუფლება ავტომობილს ან სხვა მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებას და სურს ასეთი მოქმედების ჩადენა. განსახილველი დანაშაულის სუბიექტური მხარის აუცილებელი ნიშანია – დაუფლება (დატაცება) მისაკუთრების მიზნის გარეშე. სწორედ ამ ნიშნით განსხვავდება იგი დატაცების სხვა ფორმებისაგან.

184-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის მოტივი და მიზანი შეიძლება იყოს სხვადასხვა. მეტწილ შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალებათა გატაცება ხდება მგზავრობისა და სხვა დანაშაულის ჩადენის მიზნით, მოტივი შეიძლება ატარებდეს ანგარებით

ხასიათს, მაგალითად, გატაცებული სატრანსპორტო საშუალების გამოყენება ხალტურისათვის.

თუ ავტომობილისა ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლებას (გატაცებას) თან ერთვის სხვადასხვა საგნების (სათადარიგო საბურავის, მაგნიტოფონის, ისტრუმენტების კომპლექსისა და ა. შ.) დატაცება (დაუფლება), ასეთ შემთხვევაში ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით. საერთოდ, განსახილველ შემთხვევაში, დანაშაულის მიზანზე უნდა ვიმსჯელოთ მისი ქცევის ობიექტური ნიშნების მიხედვით. მაგალითად, დანაშაულებრივი დაუფლების (დატაცების) მიზანზე შეიძლება შეტყვევებდეს ისეთი ფაქტები როგორცაა: სატრანსპორტო საშუალების გარეგანი სახის შეცვლა, სხვადასხვა დეტალებზე არსებული სახელმწიფო ნორმების გადაკეთება, სატრანსპორტო საშუალებათა თაობაზე ყალბი დოკუმენტების დამზადება და სხვ.<sup>1</sup>

განსახილველი დანაშაულის სუბიექტია ყოველი შერაცხადი ფიზიკური პირი 14 წლის ასაკიდან.

სსკ 184-ე მუხლით გათვალისწინებულ დამამძიმებელ გარემოებათა ინტერპრეტაციას არ ვახდენთ, რადგან მათ შესახებ საუბარი გვექონდა 177-ე (ქურლობა), 178-ე (ძარცვა) და 179-ე (ყაჩაღობა) მუხლების ანალიზისას.

---

<sup>1</sup> ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გატაცებაზე იხილეთ: ჯამლეთ ბაბილაშვილი. პასუხისმგებლობა ავტოსატრანსპორტო დანაშაულისათვის. თბ., 1977, გვ. 135-152; გ. ცუცქერიძე, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლოატაციის წესების დარღვევისათვის. თბ., 1971, გვ. 207-210; Б. А. Куршов. Автотранспортные преступления. М., 1970, с. 146-166.

## §11. ქონებრივი დაზიანება მოტყუებით

(სსკ 185-ე მუხლი)

ეს მუხლი სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის ძალით დანაშაულადაა მიჩნეული ქონების მესაკუთრის ან მფლობელის ქონებრივი დაზიანება მოტყუებით, თუ არ არის სს კოდექსის 180-ე მუხლით (იგულისხმება თაღლითობა – ზ. წ.) გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები, – რაცისიჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ას ოთხმოც საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ან ტუსალობით ვადით ოთხ თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

მეორე ნაწილი დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევს იგივე ქმედებას, თუ იგი ჩადენილია: ა) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ; ბ) არაერთგზის; გ) რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, – რაც ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

მესამე ნაწილი განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევს ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენას; ა) ორგანიზებული ჯგუფის მიერ; ბ) დიდი ოდენობით; გ) იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლელი სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის, – რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.

უპირველეს ყოვლისა უნდა შევნიშნოთ, რომ განსახილველი მუხლის დისპოზიცია უნდა შესწორდეს და პირველ ნაწილში ზაზი უნდა გაესვას ქონების მესაკუთრის ან მფლობელისათვის ქონებრივი ზიანის მიყენებას, თუ არ არის სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლით (თაღლითობით) გათვალისწინებული ნიშნები. ასეთი მოთხოვნის საფუძველი ისაა, რომ „ქონებრივი დაზიანება მოტყუებით“ ქართული აზროვნების სტილს არ შეესაბამება.

ამ დანაშაულის უშუალო ობიექტად გვევლინება საკუთრებითი ურთიერთობანი; ხოლო გვარეობით ობიექტად საკუთრების ნებისმიერი ფორმა, მათ შორის კერძოც. საგანი შეიძლება იყოს ფული, ასევე ქონება (როგორც მოძრავი, ასევე უძრავი). როგორც ვხედავთ 185-ე მუხლი ითვალისწინებს სისხლისამართლებრივ პასუხისმგებლობას ქონებრივი ზიანის მიყენებისათვის არა მხოლოდ მესაკუთრისათვის,



არამედ ქონების სხვაგვარი კანონიერი მფლობელისთვისაც. სხვაგვარ კანონიერ მფლობელთა სახით შეიძლება გამოვიდნენ (მოგვევლინონ) პირები, რომლებიც თუმცა არ არიან მესაკუთრენი, მაგრამ ფლობენ ქონებას სამუდამო სამემკვიდრეო მფლობელობის, სამეურნეო გამგებლობის, ოპერატიული მართვის უფლებით ან სხვაგვარ საფუძველზე, რაც კანონით ან ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული.

ობიექტური მხრივ მოცემული დანაშაული ხასიათდება მოტყუებით ქმედებათა განხორციელებაში, რის შედეგადაც ქონების მესაკუთრეს ან ქონების სხვაგვარ კანონიერ მფლობელს ადგება ქონებრივი ზიანი, მაგრამ როგორც კანონმდებელი აღნიშნავს არ არის თაღლითობით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები. ჩადენის ხერხით განსახილველი დანაშაული დიდად ემსგავსება თაღლითობას, სახელდობრ, ორივე შემთხვევაში ბრალდებული მიმართავს მოტყუებას, მაგრამ თაღლითობისაგან განსხვავებით ამ დროს ხდება არა ქონების (მოდრავი ნივთის) უკანონო, უსასყიდლო ამოღება მესაკუთრის ფონდიდან და მასზე დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, არამედ დამნაშავეზე მინდობილი ქონების უკანონო გამოყენება.

ამრიგად, თუ თაღლითობისას, ისევე როგორც დატაცებათა სხვა ფორმების დროს, ადგილი აქვს მესაკუთრის ქონების ამოღებას და მის გადასვლას ბრალდებულის ან სხვა პირთა სარგებლობაში, მოტყუებით ქონებრივი დაზიანებისას (ზიანის მიყენებისას) ასეთი ამოღება არ ხდება. ამ დანაშაულს არ გააჩნია ქონების (სხვისი მოძრავი ნივთის) დანაშაულებრივი დაუფლებისათვის დამახასიათებელი ისეთი ნიშანი, როგორიცაა ქონების ამოღება მესაკუთრის ფონდიდან; ქონების ნაღდი მასის შემცირება, რომელიც ეკუთვნის მესაკუთრეს ან მის სხვაგვარ კანონიერ მფლობელს და ა. შ. ესე იგი გასაანალიზებელი დანაშაული დატაცებებისაგან განსხვავებით ხასიათდება უკანონო სარგებლობის (გამორჩენის) მიღებით. ამ დროს ბრალდებული თავის სარგებლობაში აქცევს იმ ფულად სახსრებს ან სხვა სახის ქონებას, რომელიც კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის საფუძველზე უნდა შესულიყო მესაკუთრის ან სხვაგვარი კანონიერი მფლობელის ფონდში. ამრიგად, ქონებრივი ზიანი, რაც მიყენებულია ამ დანაშაულის ჩადენით, მდგომარეობს არა პირდაპირ ზარალში, როგორც ამას ადგილი აქვს დატაცებების დროს, არამედ მისაღებლის მიუღებლობაში, მოგების ხელიდან გაშვებაში

და ა. შ. ფაქტობრივი მხრივ ქონებრივი ზიანის მიყენება მოტყუებით შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა ფორმით; სახელდობრ, ბაუისა და სხვა სავალდებულო გადასახადების გადაუხდელობასა ან არასრულ გადახდაში ცენტრალური ან ადგილობრივი ბიუჯეტის სასარგებლოდ; უძრავი ქონების შეძენაზე გარიგებისას ფაქტობრივი ღირებულების შემცირებაში; ყალბი დოკუმენტების წარდგენით დასაბეგრი ქონების შემცირებაში; ელექტრო, გაზისა და წყლის მრიცხველის მაჩვენებლების განზრახ დამახინჯებაში; ვაგონის გამცილებლის მიერ უბილეთო მგზავრისაგან ან საერთოდ ტვირთის გადაზიდვისათვის ფულის აღებასა და ა. შ.

სისხლის სამართლის კომენტარებში ხაზი გაესმის იმ გარემოებას, რომ „თუ აღურიცხავი „მარცხენა“ პროდუქციის შეკვეთის შესრულებისათვის გამოყენებული იყო მესაკუთრის (საწარმოს) მასალა, მაშინ ასეთი ქმედება არ მოიცვება განსახილველი დანაშაულის შემადგენლობით და საჭიროა დამატებით დაკვალიფიცირდეს როგორც სხვისი ქონების დატაცება შესაბამისი ფორმით (მითვისება ან გაფლანგვა). ბოლო წლებში ფართო გავრცელება პოვა, – აღნიშნულია იქვე კომენტარებში, – მოტყუების გზით ქონებრივი ზიანის მიყენების ისეთმა ფორმამაც, როგორიცაა ყალბი სამგზავრო ბილეთებით, აბონიშენტებით და ა. შ., სარგებლობა. განსახილველი მუხლით (მხედველობაში გვაქვს ქონებრივი დაზიანება მოტყუებით – ზ. წ.) ეს მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს იმ შემთხვევაში, თუ ეს საბუთები შეძენილია და არაა გაკეთებული მოსარგებლის მიერ“<sup>1</sup>.

განსახილველ საკითხს გვინდა შევხვით ისტორიულ ასპექტშიც; სახელდობრ, დანაშაულის ამ შემადგენლობას ითვალისწინებდა საქართველოს ძველი სისხლის სამართლის კოდექსის (იგულისხმება 1960 წელს მიღებული სს კოდექსი) 98-ე მუხლი<sup>2</sup>. ამ მუხლის (ქონებრივი სარგებლობის მიღება მოტყუებით ან ნდობის ბოროტად გამოყენებით) პირველი ნაწილის ძალით დანაშაულად იყო მიჩნეული: „დატაცების ნიშნების გარეშე სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების საზიანოდ ქონებრივი სარგებლობის მიღება მოტყუებით ან ნდობის ბოროტად გამოყენებით“, – რაც ისჯებოდა თავისუფლების

<sup>1</sup> Комментарий к Уголовному кодексу Российской Федерации. Особенная часть. М., 1996, с. 152.

<sup>2</sup> უზბეკეთისა და ყირგიზეთის სისხლის სამართლის კოდექსები დანაშაულის ასეთ შემადგენლობას საერთოდ არ შეიცავდა.

აღკვეთით ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე, ან ჯარიმით ოთხას მანეთამდე.

მეორე ნაწილი დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევდა იმავე ქმედობას, ჩადენილს პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით ან განმეორებით, ან თუ მან დიდი ზიანი გამოიწვია. მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების უმეტესობა ამ დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებებს არ ითვალისწინებდა. გამონაკლისი იყო მხოლოდ სომხეთისა და აზერბაიჯანის სს კოდექსები. მაგ., აზერბაიჯანის სს კოდექსის 90-ე მუხლის მე-2 ნაწილში დამამძიმებელი გარემოების სახით ხაზგასმული იყო ანალოგიურ ქმედებაზე, რაც ჩადენილი იყო განმეორებით ან რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, სომხეთის სს კოდექსის 93-ე მუხლის მეორე ნაწილში – იმავე ქმედებაზე, უკეთუ ამ ქმედობამ დიდი ზიანი მიაყენა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას. საქართველოს სსკ 98-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება ისჯებოდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

სასამართლო პრაქტიკაში ჯერ კიდევ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების („სახელმწიფო და საზოგადო ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“) მოქმედების პერიოდში წამოიჭრა საკითხი, თუ როგორ უნდა ყოფილიყო კვალიფიცირებული მოტყუება ან ნდობის ბოროტად გამოყენება, რაც უშუალოდ დაკავშირებული არ იყო სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების ამოღებასთან და თავის საკუთრებად გადაქცევასთან, მაგრამ ზიანს აყენებდა სახელმწიფოს ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას. სასამართლო პრაქტიკა ასეთ მოქმედებაში ხედავდა არა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცების შემადგენლობას, რასაც ითვალისწინებდა ზემოაღნიშნული ბრძანებულება, არამედ თაღლითობას.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა 1952 წლის 6 მაისის დადგენილებაში „სახელმწიფო ან საზოგადო ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების შეფარდების სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ სასამართლოებს მიუთითა, რომ, როცა თაღლითობა დაკავშირებული არ არის სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების მითვისებასთან, მაგრამ ზიანს აყენებს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ დაწესებულებას

ან საწარმოს, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა უნდა განისაზღვროს რსფსრ 1926 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 169-ე მუხლის მე-2 ნაწილით<sup>1</sup>. ამ დადგენილების მიღების შემდეგ სწორედ ასე კვალიფიცირდებოდა ავტომანქანის მძღოლის მიერ ანგარების მიზნით მისდამი მინდობილი ავტომანქანის გამოყენება; მოქალაქის მიერ სახელმწიფო გადასახადის გადახდისაგან თავის არიდება ყალბი დოკუმენტის წარდგენის საფუძველზე და სხვ.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1954 წლის 28 მაისის დადგენილება №5-ის – „სახელმწიფო ან საზოგადო ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების შეფარდების სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ – მეცხრე პუნქტი შეიცავდა ზოგად მითითებას იმაზე, რომ თაღლითური მოქმედება, რამაც სახელმწიფო ან საზოგადოებრივ დაწესებულებებს, საწარმოებს ან ორგანიზაციებს მიაყენა ზიანი, უნდა დაკვალიფიცირდეს რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 169-ე მუხლის მე-2 ნაწილით და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით, უკეთუ იგი დაკავშირებული არ არის სახელმწიფო ან საზოგადო ქონების დატაცებასთან. ამ დადგენილებით ასევე ცვლილება იქნა შეტანილი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ადრე მოქმედ ნორმაში; სახელდობრ, მე-6 პუნქტის შესაბამისად, სასამართლოებს წინადადება მიეცათ გადასახადის, სველდებულო ჩაბარებისა და სხვა გადასახდელებისაგან განთავისუფლების მიზნით ყალბი ქვითრების ან სხვა ფიქტიური საბუთების წარდგენა დაკვალიფიცირებულიყო რსფსრ 1926 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე მუხლით (საქართველოს სსრ

---

<sup>1</sup> რსფსრ 1926 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 169-ე მუხლი ითვალისწინებდა თაღლითობას, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგებოდა. პირველ ნაწილში ეწერა, რომ „თაღლითობა, ესე იგი ანგარებით ქონების ან ქონებაზე უფლების მოპოვება ნდობის ბოროტად გამოყენებით ან მოტყუებით, – გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე“. მეორე ნაწილი კი დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევდა „თაღლითობას, რასაც შედეგად მოჰყვა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი დაწესებულების და საწარმოს ზარალი, – რაც ისჯებოდა თავისუფლების აღკვეთით ხუთ წლამდე, ქონების კონფისკაციით ან უამისოდ“. ანალოგიურ ნორმას ითვალისწინებდა საქართველოს სსრ 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 183-ე მუხლი.

სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლი<sup>1</sup>) და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლებით, რაც ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას წინასწარი განზრახვით ყალბი დოკუმენტის გამოყენებაზე. ამრიგად, წინა წლების სასამართლო პრაქტიკის გამოცდილების საფუძველზე სისხლის სამართლის განსაკუთრებულ ნაწილში შეიქმნა დატაცების ფორმით ჩადენილი თაღლითობისაგან განსხვავებული დანაშაულის სპეციალური შემადგენლობა, რასაც ითვალისწინებდა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 98-ე მუხლი.

ამ მუხლის იურიდიული ანალიზისას ჩვენ, ჩვენსავე მონოგრაფიაში, აღნიშნავდით შემდეგს: „98-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტია როგორც სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესები, ასევე სოციალისტური საკუთრება (ეს უკანასკნელი მოიცავდა საკოლმეურნეო-კოოპერაციულ და სახელმწიფო საკუთრებას – ზ. წ.).“

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება დატაცების ნიშნების გარეშე სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების საზიანოდ ქონებრივი სარგებლობის მიღებაში მოტყუებით ან ნდობის ბოროტად გამოყენებით. განსახილველი დანაშაული ძლიერ ჰგავს დატაცებას, ჩადენილს როგორც თაღლითობით (სსკ 93-ე მუხლი), ისე მითვისებით, გაფლანგვით ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით (მუხლი 94-ე). ამ მუხლებს, ცხადია, ითვალისწინებდა 1960 წელს მიღებული სისხლის სამართლის კოდექსი. 93-ე და 94-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებს შორის მსგავსება ისაა, რომ ამ დანაშაულთა

---

<sup>1</sup> 71-ე მუხლი სამი ნაწილისაგან შედგებოდა. პირველ ნაწილში ეწერა შემდეგი: „გაკეთება ყალბი მოწმობისა და სხვა დოკუმენტებისა, რასაც იძლევიან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი დაწესებულებანი და რაც ანიჭებს ამა თუ იმ უფლებას ან ანთავისუფლებს ამა თუ იმ ბეგარის მოზღისაგან, აგრეთვე ყალბი დოკუმენტების გასაღება გამოიწვევს – თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე“. მეორე ნაწილის ძალით დამამძიმებელ გარემოებად მიჩნეული იყო იგივე ქმედება, უკეთუ იგი ხელობად იყო გადაქცეული ან ჩადენილი იყო ჯგუფის მიერ – რაც ისჯებოდა თავისუფლების აღკვეთით ხუთ წლამდე. დაბოლოს, მესამე ნაწილი ითვალისწინებდა წინასწარი შეცნობით ყალბი დოკუმენტების გამოყენებას ამ მუხლის პირველ ნაწილში გათვალისწინებული სარგებლობის მიღების მიზნით, რაც ისჯებოდა თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე (იხილეთ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი 1928 წლის რედაქციით. თბ., 1954, გვ. 76).

ჩადენისას დამნაშავე მოქმედებს ანგარებითი ქვენა გრძნობით და თავისი მოქმედებით სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას აყენებს მატერიალურ ზიანს. დატაცებისას დამნაშავე ქონებას იღებს სოციალისტური ფონდებიდან იმ მიზნით, რომ გადააქციოს იგი თავის ან სხვა პირთა სასარგებლოდ; 98-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემთხვევაში კი დამნაშავე არ გადასცემს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას იმ ქონებას ან ფულს, რომლის გადაცემაც მას კანონის ძალით ევალებოდა, ან იყენებს ქონებას იმავე მოტივით არადანიშნულებისამებრ, რითაც მატერიალურ ზიანს აყენებს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას. ამ შემთხვევაში დამნაშავე უკანონოდ მდიდრდება იმ ქონების ხარჯზე, რომელიც სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის საკუთრება არ არის, მაგრამ რომელიც, კანონის შესაბამისად, მისი უნდა გამხდარიყო. თუ სოციალისტური ქონების დატაცებისას მატერიალური ზარალის ოდენობა განისაზღვრება დატაცებული ქონების ღირებულებით, განსახილველი დანაშაულისას ზარალის მიყენება ხელიდან გაშვებული მოგების ფორმაში ვლინდება; მაგალითად რსფსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1963 წლის 3 დეკემბრის განჩინებაში სწორად მიიჩნია დავიდოვისათვის მსჯავრის დადება რსფსრ სს კოდექსის 94-ე მუხლით (საქართველოს სსრ სს კოდექსის 98-ე მუხლი – ავტ.). დავიდოვი მუშაობდა სახალხის საოლქო აღმასკომის ავტობაზის მძღოლად; 1963 წლის 21 და 22 სექტემბერს მასზე მიმაგრებული სატვირთო ავტომანქანა გამოიყენა ანგარების მიზნით, სახელდობრ, ორ მოქალაქეს გადაუზიდა პირადი ქონება, რის საფასურადაც მიიღო 17 მანეთი. რსფსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ არ დააკმაყოფილა ადვოკატის თხოვნა, მსჯავრდებულის მიმართ წარმოებით შეეწყვიტათ სისხლის სამართლის საქმე ჩადენილი ქმედობის აშკარად მცირე მნიშვნელობის გამო, რაც თითქოსდა არ წარმოადგენდა საზოგადოებრივ საშიშროებას, და მიუთითა, რომ მიყენებული ზიანი მოცემულ შემთხვევაში გამოიხატება არა მხოლოდ გახარჯული ბენზინის ღირებულებაში, არამედ სატვირთო ავტომანქანის არადანიშნულებისამებრ გამოყენებაში, რამაც გამოიწვია ტვირთის გადაზიდვის გრაფიკის ჩაშლა, გეგმის შეუსრულებლობა და ავტომანქანის გაცვეთა<sup>1</sup>.

<sup>1</sup> იხ. Бюллетень Верховного Суда РСФСР, 1964, N4, с. 8-10.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1972 წლის 11 ივლისის №4 დადგენილებაში („სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“) ხაზგასმულია: „სახელმწიფოსათვის ქონებრივი ზიანის მიყენება, რაც ყალბად შეცნობილი დოკუმენტების გამოყენებით გადასახადების ან სხვა სავალდებულო გადასახდელების გადახდისათვის თავის არიდების შედეგია, კვალიფიცირებული უნდა იქნეს რსფსრ სსკ 94-ე (საქართველოს სსრ სსკ 98-ე მუხლი – ზ. წ.) და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სსკ შესაბამისი მუხლებით, ხოლო იმ მოკავშირე რესპუბლიკაში, რომლის კოდექსი მსგავს მუხლს არ შეიცავს, – როგორც ყალბად შეცნობილი დოკუმენტის გამოყენება“<sup>1</sup>.

ფიქრობთ, სამტრედიის რაიონის სახალხო სასამართლომ სწორად დააკვალიფიცირა მოქ. ღ-ს მოქმედება საქართველოს სსრ სს კოდექსის 98-ე მუხლით, როგორც ქონებრივი სარგებლობის მიღება მოტყუებით ან ნდობის ბოროტად გამოყენებით. ღ-მ, მუშაობდა რა ძაფსაღებ ფაბრიკაში მუშად, ბულალტერიაში წარადგინა ყალბი ცნობა იმის შესახებ, თითქოსდა მის კმაყოფაზე იმყოფებოდა ოთხი მცირეწლოვანი შვილი. ამ ცნობის საფუძველზე იგი სამი წლის განმავლობაში არ იხდიდა საშემოსავლო გადასახადს. ღ-ს მოქმედებაში აშკარად ჩანს სახელმწიფო ქონების საზიანოდ ქონებრივი სარგებლობის მიღება მოტყუებითა და ნდობის ბოროტად გამოყენებით.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის ზემოაღნიშნულმა დადგენილებამ განასხვავა რა დატაცება და 98-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, მიუთითა: „მოსახლეობის მომსახურების სფეროს მუშაკის მიერ თავის საკუთრებად გადაქცევა ფულადი სახსრისა, რომელიც მან შემკვეთისაგან პრეისკურანტით მიიღო მის მიერ შესრულებული სამუშაოსათვის საწარმოს ნედლეულის ან მასალის გამოყენებით, განხილული უნდა იქნეს როგორც სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცება.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1977 წლის 23 სექტემბრის დადგენილების („მექრთაძეობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“) თანახმად, „როდესაც არათანამდებობის პირი

<sup>1</sup> საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი. თბ., 1972, №4, გვ. 6.

მოტყუებით ან ნდობის ბოროტად გამოყენებით მიიღებს ამა თუ იმ სახის საზღაურს და სახელმწიფოს ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას მიაყენებს ზიანს, მისი ქმედობა კვალიფიცირებული უნდა იქნეს რსფსრ სს კოდექსის 94-ე მუხლით (საქართველოს სსრ სს კოდექსის 98-ე მუხლი — ზ. წ.), მაგალითად, ვაგონის გამცილებლის მიერ უბილეთო მგზავრებისაგან ფულის აღება<sup>1</sup>.

საგამობიებო-სასამართლო პრაქტიკის ანალიზისა და განზოგადების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ: დატაცების ნიშნების გარეშე სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების საზიანოდ ქონებრივი სარგებლობის მიღება მოტყუებით ან ნდობის ბოროტად გამოყენებით გამოიხატება: ა. სოციალისტური ქონების (რომელიც მინდობილია დამნაშავეზე) უკანონო გამოყენებასა და ამის საფუძველზე ცალკეული მოქალაქეებისაგან ან ორგანიზაციებიდან მიღებული გასამრჯელოს თავის საკუთრებად გადაქცევაში (მაგალითად, ტრანსპორტის, მექანიზმების, მანქანების ექსპლოატაცია იმ პირთა მიერ, რომელთაც ისინი მინდობილი აქვთ სამუშაოზე; ვაგონის გამცილებელთა და სხვა პირთა მიერ გასამრჯელოს მიღება ბარგის გადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანისათვის, მაშინ როცა მათ არა აქვთ გასამრჯელოს მიღების უფლება); ბ. სხვადასხვა გადასახადისაგან თავის არიდებაში, რაც ცალკეულ მოქალაქეებს ხელშეკრულების ძალით უნდა შეესრულებინათ სოციალისტური ორგანიზაციებისათვის (გაზით, ელექტროენერგიით უზრუნველყოფისა და სხვა საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის); გ. სხვადასხვაგვარი ფულადი გადასახადების გადაუხდელობაში, რაც სახელმწიფოს უნდა მიეღო მოქალაქეებისაგან კანონის ან კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე (გადასახადები, ადგილობრივი მოსაკრებები, სახელმწიფო ბაჟი და ა. შ.); დ. კერძო პირების მიერ მოქალაქეებზე ყალბი ან დატაცებული დოკუმენტების მიყიდვაში, რაც მათ უფლებას აძლევს ისარგებლონ სოციალისტურ ორგანიზაციათა ქონებრივი მომსახურებით (სამგზავრო ბილეთები, აბონემენტები, თეატრის ბილეთები და ა. შ.).

თუ დამნაშავე, — აღნიშნულია რსფსრ სისხლის სამართლის კომენტარებში, — ისარგებლებს მის მიერვე დამზადებული ყალბი დოკუმენტებით, მაშინ ქმედობა კვალიფიცირებული უნდა იქნეს

---

<sup>1</sup> Сборник постановлений Пленума Верховного Суда СССР, 1924-1977, часть 2, М., 1978, с. 237-238.



დამატებით სიყალბის მუხლზე მითითებით<sup>1</sup>.

სუბიექტური მხრივ განსახილველი დანაშაული გულისხმობს პირდაპირი განზრახვისა და ანგარების არსებობას. დამნაშავემ იცის, რომ იგი მოტყუებით ან ნდობის ბოროტად გამოყენებით აღწევს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების საზიანოდ ქონებრივი სარგებლობის მიღებას და სურს იგი.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება მოტყუებით ან ნდობის ბოროტად გამოყენებით სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის ქონებრივი ზიანის მიყენების მომენტიდან; ამასთან, აუცილებელი არაა დამნაშავემ ისარგებლოს ქონებით; მაგალითად, მძლოლი, რომელსაც უკანონოდ გადააქვს ტვირთი და ვერ ასწრებს თანხის მიღებას მოქალაქისაგან, პასუხს აგებს დამთავრებული დანაშაულისათვის, რადგან მის მიერ ქონებრივი ზიანი ორგანიზაციაზე უკვე მიყენებულია (მხედველობაში გვაქვს გაზარჯული ბენზინი, ავტომანქანის ამორტიზაცია და სხვ.). დანაშაულის მცდელობაა, როცა პირი მხილებული იქნება ყალბი ცნობის წარდგენისას და ვერ მოახერხებს გადასახადის გადახდისაგან თავის არიდებას.

საქართველოს სსრ სს კოდექსის 98-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ კერძო პირი 16 წლის ასაკიდან. უკეთუ მოტყუება ან ნდობის ბოროტად გამოყენება დაკავშირებულია პირის მიერ თავისი თანამდებობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასთან, მაშინ მან პასუხი უნდა აგოს სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე მუხლით (ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება)<sup>2</sup>.

ასეთი იყო ჩვენს მიერ გაკეთებული იურიდიული ანალიზი 98-ე მუხლთან დაკავშირებით<sup>3</sup>. სამწუხაროდ, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, ეს მუხლი საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტით ამოღებული იქნა 1960 წელს მიღებული კოდექსიდან. ახალმა კოდექსმა კი კვლავ აღიარა ამ დანაშაულის დამოუკიდებელი შემადგენლობა (ქონებრივი დაზიანება მოტყუებით – მუხლი 185-ე).

<sup>1</sup> იხ. Коментарііі к уголовному кодексу РСФСР, М., 1980, с. 211.

<sup>2</sup> იხ. ზაურ წულაია. სოციალისტური საკუთრება წმიდათწმიდა და ხელშეუხებელია. თბ., 1986. გვ. 203-210.

სსკ 185-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული დამთავრებული უნდა ჩაითვალოს არა მოქმედების ჩადენის მომენტიდან, რომელიც ატარებს მოტყუების ხასიათს, არამედ ქონების მესაკუთრის ან მფლობელისათვის ქონებრივი ზიანის ფაქტობრივი მიყენების მომენტიდან. ბრალდებულის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის უნდა დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი, როგორც ეხედავთ ეს დანაშაული მატერიალური შემადგენლობისაა.

ამ დანაშაულის სუბიექტური მხარე ხასიათდება პირდაპირი განზრახვითა და ანგარების მიზნით. ბრალდებულს შეგნებული აქვს, რომ ატყუებს ქონების მესაკუთრეს ან ქონების კანონიერ მფლობელს ცრუ ფაქტების შეტყობინებით ან ნამდვილად არსებული ფაქტების გაუმხილებლობის გზით; ითვალისწინებს, რომ ამ ხერხით დაზარალებულს მიაყენებს ქონებრივ ზიანს და სურს ასეთი ზიანის მიყენება. ამავე დროს იგი ხელმძღვანელობს ანგარებითი მოტივით და მიზნად ისახავს უკანონოდ მიიღოს ქონებრივი გამორჩენა.

განსახილველი დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ კერძო პირი, რომელსაც დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის შეუსრულდა 14 წელი. თუ ამ დანაშაულს ჩადის თანამდებობის პირი მაშინ მისი ქმედება, კონკრეტულ გარემოებათა გათვალისწინებით, შეიძლება დაკვალიფიცირდეს როგორც სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (მუხლი 332-ე) ან ქრთამის აღება (მუხლი 338-ე).

185-ე მუხლით გათვალისწინებულ დამამძიმებელ და განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებათა განხილვაზე არ ვჩერდებით, რადგან მათზე დაწვრილებით საუბარი გვქონდა სსკ 177-ე და 178-ე მუხლების განხილვისას.

**§12. წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით  
მოპოვებული ნივთის შექენა ან გასაღება  
(სსკ 186-ე მუხლი)**

ამ მუხლის პირველი ნაწილის ძალით დანაშაულადაა მიჩნეული წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შექენა ან გასაღება, – რაც ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოთხმოციდან ორას საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

მეორე ნაწილით დამამძიმებელ გარემოებად გათვალისწინებულია იგივე ქმედობა, ჩადენილი: ა) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ; ბ) არაერთგზის; გ) ავტომობილის მიმართ; დ) დიდი ოდენობით; ე) იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლვეი სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის, – რაც ისჯება ჯარიმით ან ტუსალობით ვადით ოთხიდან ექვს თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

მესამე ნაწილი განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევს ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებას, ჩადენილს: ა) ორგანიზებული ჯგუფის მიერ; ბ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, – რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან შვიდ წლამდე.

უპირველეს ყოვლისა უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენს მიერ განსახილველი 186-ე მუხლის შესატყვისი ნორმა რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსში ასახვას პოულობს არა საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულთა თავში, არამედ ეკონომიკური საქმიანობის სფეროში ჩადენილ დანაშაულთა რიცხვში (მუხლი 175-ე). რუსულ სახელმძღვანელოებში განსახილველი დანაშაულის ობიექტად მიჩნეულია საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც მიმართულია კანონიერი მეწარმეობითი საქმიანობის უზრუნველსაყოფად<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> იხ. Уголовное право. Особенная часть. Под ред. проф. И. Я. Козаченко. М., 1998, с. 283; Уголовное право. Особенная часть. Под ред. проф. В. Н. Петрашева, М., 1999, с. 236; Уголовное право. Особенная часть. Под редакцией проф. А. И. Рапова. М., 1998, с. 161.

რადგან საქართველოს სს კოდექსი წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შექმნას ან გასაღებას საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულთა თავში ათავსებს, ამდენად სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ ამ დანაშაულის ობიექტია საკუთრებითი ურთიერთობა. დანაშაულის საგანია ნივთი (ქონება), რომელიც წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზითაა მოპოვებული; მაგალითად, ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის, თაღლითობის, ბანდიტიზმის, ქრთამის აღების, უკანონო ნადირობისა და სხვათა გზით. ესე იგი მნიშვნელობა არა აქვს თუ რა სახის დანაშაულის ჩადენითაა მოპოვებული ქონება. ქონებად უნდა ჩაითვალოს ნებისმიერი ნივთი, რომელსაც გააჩნია გარკვეული ღირებულება და რომელსაც შეუძლია დააკმაყოფილოს ადამიანის რაიმე მოთხოვნილება. აქ, ცხადია, იგულისხმება ისეთი ნივთები, რომელთა შექმნა ან გასაღება არ ქმნის დანაშაულის დამოუკიდებელ შემადგენლობას. თუ ქმნის დანაშაულის დამოუკიდებელ შემადგენლობას, მაშინ პასუხისმგებლობა დადგება შესაბამისი მუხლების საფუძველზე. ვთქვათ 236-ე (ცეც-ხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შექმნა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება), 261-ე (ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება) ან სხვა მუხლების შესაბამისად.

სხვანაირად თუ ვიტყვით, განსახილველი მუხლით პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა ასეთი ქონების შექმნისათვის არაა დადგენილი სპეციალური ნორმით.

186-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის (ქონების) შექმნასა ან გასაღებაში. შექმნა მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენს სასყიდლიან და უსასყიდლო მოქმედებათა ჩადენას, რომელიც უზრუნველყოფს ქონების როგორც თავისი საკუთარის განკარგვის შესაძლებლობას, ესე იგი, რომ პირი ფლობდეს და ასხვისებდეს (განკარგავდეს) მას, ასევე იმასაც, რომ პირადად სარგებლობდეს ქონებით. სხვანაირად თუ ვიტყვით, შექმნა ნიშნავს ნივთის (ქონების) მიღებას სხვადასხვა გზითა და საშუალებით,

სახელდობრ, შესყიდვით, ჩუქებით, სხვათა ქონებაზე გადაცვლით. სესხის გადახდით, ზარალის ანაზღაურებით და ა. შ. როგორც ვხედავთ ქონების (ნივთის) შექმნა მოიცავს მის ფაქტობრივ დაუფლებას ან მასზე უფლების მოპოვებას. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ იურიდიულად დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შექმნისას მასზე საკუთრების უფლება არ გადადის. აღსანიშნავია ისიც, რომ ნივთის (ქონების) გადაცემა დროებითი შენახვისათვის, განსახილველი მუხლის თანახმად, შექმნად არ ითვლება.

წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის (ქონების) გასაღება წარმოადგენს ერთგზის ან მრავალგზის მოქმედებას, რომელიც მიმართულია ქონების (ნივთის) მესამე პირებზე გადასაცემად, რაც ამ უკანასკნელთ აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ განკარგონ ქონება როგორც თავისი საკუთარი, თანაც თავისი სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე ეს მოქმედებები ბათილ გარიგებებს წარმოადგენენ.

„სადავოა გასაღების ცნების გაგება, – აღნიშნავენ რუსული კომენტარების ავტორები, – როგორც წინასწარი შეცნობით დატაცებული ქონების გადაცემა გირაოდ ან მისი სხვაგვარი გამოყენება ქონებრივი გამორჩენის მიღების მიზნით“<sup>1</sup>.

წინასწარი შეცნობა მოცემულ შემთხვევაში ნიშნავს იმას, რომ პირმა იცოდა და არ შეეძლო არ სცოდნოდა, რომ ქონება შექმნილი იყო დანაშაულებრივი გზით, ე. ი. პირს გარკვეული ცნობები ჰქონდა (გააჩნდა) ქონების (ნივთის) წარმოშობის შესახებ; კერძოდ იმაზე, თუ როგორ აღმოჩნდა ქონება იმ პირთან ვისგანაც ის შეიძინა. წინასწარი შეცნობა არ გვექნება იმ შემთხვევაში, თუ დანაშაულებრივი გზით ამოღებული ქონება შექმნილია ბაზარზე, ქუჩაში ან თუ შემძენმა არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ პირს ვისგანაც იძენდა ამ ქონებას არ ჰქონდა მისი გასხვისების უფლება (კეთილსინდისიერი შემძენი).

დანაშაული დამთავრებულია ქონების (ნივთის) მიღების ან სხვა პირისთვის მისი მიყიდვის (გასაღების) მომენტში. ამ დანაშაულის შემადგენლობა ფორმალურია.

---

<sup>1</sup> იხ. Комментарий к Уголовному кодексу Российской Федерации. Особенная часть. Под ред. Ю. И. Скуратова и В. М. Лебедева. М., 1996, с. 179.

186-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტური მხარე ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. პირს შეცნობილი აქვს, რომ იქნეს ან ასაღებს ნივთებს, რომლებიც მიღებულია დანაშაულებრივი გზით და სურს შეასრულოს ეს მოქმედებები. ამასთან განზრახვა მოიცავს მხოლოდ ფაქტს, რომ ქონება (ნივთი) ამოღებული იყო დანაშაულებრივი გზით და საკუთრივ შეძენისა და გასაღების მოქმედებებს. თუ განზრახვა მოიცავს წინასწარ დაპირებულ მოქმედებათა ჩადენას ნივთების (ქონების) შეძენის ან გასაღების მიმართ, რომლებიც ამოღებულია დანაშაულებრივი გზით, მაშინ პირი პასუხს აგებს როგორც დამხმარე.

განსახილველი დანაშაულის სუბიექტია ყოველი შერაცხადი ფიზიკური პირი 14 წლის ასაკიდან როგორც საერთო, ასევე სპეციალური<sup>1</sup>.

186-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებულ დამამძიმებელ გარემოებათა განხილვას არ ვახდენთ, რადგან მათ შესახებ საუბარი გვქონდა 177-ე, 178 და 180-ე მუხლების ანალიზისას. დამატებით შევნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ განსახილველი მუხლის მე-2 ნაწილში დამამძიმებელ გარემოებად დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ავტომობილის შეძენის ან გასაღების შეტანა განაპირობა ამ დანაშაულის ფართო გავრცელებულობამ.

---

<sup>1</sup> სპეციალურ სუბიექტს ხაზი გაესმის 186-ე მუხლის მესამე ნაწილის ბ) პუნქტში (სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით). „ასეთად უნდა გაეიგოთ ისეთი შემთხვევა, როცა დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შეძენას ან გასაღებას სჩადის სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს თანამდებობის პირი, რომელიც, ცხადია, იყენებს მისთვის მინიჭებულ სამსახურებრივ უფლებამოსილებას. ასეთ რანგში, ასევე შეიძლება წარმოვიდგეს პირი, რომელიც ასრულებს მმართველობით ფუნქციებს კომერციულ ან სხვა ორგანიზაციაში“ (იხ. Уголовное право Российской Федерации. Особенная часть. Под редакцией Б. В. Здравомыслова. М., 1999, с. 200-201).

### §13. ნივთის დაზიანება ან განადგურება (სსკ 187-ე მუხლი)

ეს მუხლი სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი ითვალისწინებს სხვისი ნივთის დაზიანებას ან განადგურებას, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, – რაც ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ასიდან ას ოთხმოც საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ან ტუსალობით ვადით ორ თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

მეორე ნაწილი დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევს იგივე ქმედებას, ჩადენილს ცეცხლის წაკიდებით, აფეთქებით ან სხვა საყოველთაო საშიში საშუალებით, – რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან რვა წლამდე.

მესამე ნაწილი განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევს ამ მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნულ ქმედებას, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი, – რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან თხუთმეტ წლამდე.

ამ დანაშაულის უშუალო ობიექტია საკუთრების კონკრეტული ფორმა, ხოლო ფაქულტატური ობიექტი – ადამიანის სიცოცხლე ან ჯანმრთელობა.

ეს დანაშაული მიეკუთვნება საკუთრებითი ურთიერთობის წინააღმდეგ მიმართულ არაანგარებით ხელყოფას და მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ქონების მესაკუთრეს. ამ დანაშაულის შედეგად მოქალაქეები და იურიდიული პირები კარგავს მნიშვნელოვან მატერიალურ ფასეულობას, ასევე იმის შესაძლებლობასაც, რომ ისარგებლონ და მიზნობრივად გამოიყენონ თავიანთი კუთვნილი ქონება (ნივთი).

გასაანალიზებელი დანაშაულის საგანი შეიძლება იყოს ნებისმიერი ქონება (ნივთი), რომელიც წარმოადგენს მატერიალურ ფასეულობას. დატაცებისაგან განსხვავებით დანაშაულებრივი ხელყოფის საგანი აქ შეიძლება იყოს ისეთი ფასეულობანიც, რომელთა დატაცებაც შეუძლებელია (შენობები, ნაგებობები და სხვა სახის უძრავი ქონება). მოკლედ თუ ვიტყვით 187-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საგანია როგორც მოძრავი, ისე უძრავი ქონება. როგორც ვხედავთ, განადგურების ან დაზიანების საგანია ყოველგვარი მატერიალური

ნივთი, აგრეთვე საქონელი, ფრინკელი და სხვა შინაური ცხოველები, აგრეთვე უძრავი ქონებაც, საცხოვრებელი და საწარმოო შენობები, სამეურნეო ნაგებობანი, ტყის მასივები და ა. შ.

გასაანალიზებელი მუხლის საგანი არ შეიძლება იყოს დოკუმენტები. იმ შემთხვევაში თუ ადგილი აქვს დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებას, გადამალვას, განადგურებას ან დაზიანებას, რაც ჩადენილია ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით. მაშინ ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ 363-ე მუხლით (დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება).

იარაღის, საბრძოლო მასალის, სატრანსპორტო საშუალების, სამხედრო ტექნიკის ან სხვა სამხედრო ქონების განზრახ დაზიანების ან განადგურების შემთხვევაში თუ არ არის სახელმწიფო დანაშაულის ნიშნები, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დადგება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 397-ე მუხლით (სამხედრო ქონების განზრახ დაზიანება ან განადგურება).

განადგურებისა და დაზიანების ცნებათა განხილვამდე შევნიშნავთ, რომ ისინი მონათესავე ცნებებია და ახასიათებენ ქონების დანგრევისა და გაფუჭების სხვადასხვა ხარისხს.

განსახილველი დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება სხვისი ნივთის დაზიანებასა ან განადგურებაში, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი უნდა გამოიწვიოს (ამის შესახებ პირდაპირაა ხაზგასმული 187-ე მუხლის დისპოზიციაში).

განადგურების ცნება გულისხმობს ნივთის სრულ გაუვარგისებას, როცა იგი სამუდამოდ კარგავს სამეურნეო-ეკონომიკურ ღირებულებას და არ შეიძლება გამოყენებულ იქნას დანიშნულებისამებრ. სხვანაირად რომ ვთქვათ, განადგურება ნიშნავს მატერიალურ საგნებზე ისეთ ფიზიკურ ზემოქმედებას, რომლის შედეგადაც მატერიალური სამყაროს ობიექტი ან წყვეტს ფიზიკურ არსებობას, არ სავსებით გამოუსადეგარი ხდება მიზნობრივი გამოყენების თვალსაზრისით. ამრიგად, განადგურება აღნიშნავს ქონების სრულ მოსპობას: დაწვას, დაქცევას, მჟავებში გახსნას, დამსხვრევას და ა. შ. ქონებამ თავისი ფიზიკური არსებობა შეიძლება შეწყვიტოს წალეკვის, მიუწვდომელ ადგილზე გადაადგილების შედეგად და სხვ. ქონების განადგურების ერთ-ერთ სახელ ითვლება ცხოველთა და ფრინველთა დაკვლა. განადგურების თავისებურებაა ისიც, რომ შეუძლებელია ნივთის რესტავრირება შეკეთებით; ამ



შემთხვევაში იგი გამოდის მესაკუთრის ქონების შემადგენელობიდან.

ქონების დაუფლებად და არა განადგურებად უნდა მივიჩნიოთ საგნის გამოყენება თავისი დანიშნულებისამებრ, მაგალითად, საწვავის დაწვა სათბობის სახით, საკვები პროდუქტების მოხმარება და ა. შ. ასეთი მოქმედებანი შესაბამისი დანაშაულის შემადგენელობათა ნიშნების არსებობისას ქმნიან დატაცების, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, მოტყუებით ქონებრივი დაზიანების ან სხვა დანაშაულის შემადგენლობას, რაც საბოლოო ჯამში, ზიანს აყენებს ქონების (ნივთის) მესაკუთრეს.

ქონების დაზიანება ნიშნავს საგნის თვისების ისეთ ცვლილებას, რომელიც არსებითად აუარესებს, ადაბლებს მის სამომხმარებლო ღირებულებას, ნივთს ხდის ნაწილობრივ ან დროებით უვარვისად სამეურნეო გამოყენების თვალსაზრისით. ამ შემთხვევაში ქონება მთლიანად ან ნაწილობრივ ვერ გამოიყენება დანიშნულებისამებრ, მაგრამ მისი აღდგენა შესაძლებელია გარკვეული შრომის გაწევისა და სახსრების ხარჯვის შედეგად. სხვაგვარად, დაზიანება ესაა ნივთის გაფუჭება, რაც არსებითად ამცირებს მის ეკონომიკურ და სამეურნეო ღირებულებას. განსხვავებით განადგურებისაგან, როდესაც საგანს, ნივთს სავსებით ეკარგება თავისი ქონებრივი თვისება და სამეურნეო ღირებულება, დაზიანებისას საგანი მხოლოდ თვისებრივად უარესდება, რაც არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ იგი აღდგეს პირველსაწყის მდგომარეობაში შეკეთებით, გასწორებითა და ა. შ.

ქონება (ნივთი) შეიძლება განადგურებული ან დაზიანებული იქნეს მექანიკურად (ამა თუ იმ აგრეგატებიდან და მექანიზმებიდან დეტალების გამოყოფა; გაწყვეტა ელექტროსადენისა, რომელიც დენს აწვდის მოტორს), ფიზიკურად (ნაგებობათა დაწვა, ბოსტნეულის გაყინვა, ცხოველების დაკვლა), ქიმიური ზემოქმედებითა და სხვა ხერხებით. ქონების განადგურება და დაზიანება, როგორც წესი, ხდება აქტიური მოქმედებით, მაგრამ საგამომიებო პრაქტიკაში მას ჩადიან უმოქმედობითაც; მაგალითად, დაშნაშვე განზრახ არ ღებულობს ზომებს ტენის, მკვებლებისა და სხვა ამგვარი ფაქტორებისაგან ქონების დასაცავად, რის შედეგად, ფაქტია, ქონება ნადგურდება ან ზიანდება. უმოქმედობით დანაშაულის ჩადენის მაგალითია ასევე საზოგადოებრივი პირუტყვისათვის წყლის, საკვების მიუცემლობა და სხვ.

ქონების (ნივთის) განადგურება ან დაზიანება სისხლის სამართლის წესით ისჯება მხოლოდ მაშინ, როცა იგი მართლსაწინააღმდეგო ხასიათს ატარებს. ამის გამო ქონების გაფუჭება ან მოსპობა, მაგალითად, უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში, უფრო ძვირფასი ღირებულების შენარჩუნებისათვის, გამორიცხავს დანაშაულის შემადგენლობას.

ქონება შეიძლება განადგურდეს ან დაზიანდეს არა მარტო მის მუდმივ ადგილსამყოფელზე, არამედ სხვა ადგილზეც. იმ შემთხვევაში, როცა ქონების დატაცება დაკავშირებულია ქონების განზრახ განადგურებასთან ან დაზიანებასთან, და თუ ეს უკანასკნელი შეიცავს სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედების ნიშნებს, მაშინ ქმედება უნდა დაკვალიფიციროდეს დანაშაულთა ერთობლიობით, როგორც სხვისი მოძრავი ნივთის (ქონების) დატაცება და სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება. ასე მაგალითად, თუ დამნაშავე ფულის დატაცების მიზნით ტელეფონის ავტომატს ტეხავს (რითაც აზიანებს ან სრულიად უვარგისს ხდის მას) და იქიდან იტაცებს ფულს, სახეზე გვაქვს ორი დანაშაულის იდეალური ერთობლიობა, სახელდობრ, ქონების დატაცება ჩადენილი ქურდობით (საქ. სსკ 177-ე მუხლი) და სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება (მუხლი 187-ე).

ქონების განზრახ განადგურების ან დაზიანებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა (დანაშაულის კვალიფიკაციის თვალსაზრისით) აქვს მოტივისა და მიზნის სწორ დადგენას; მაგალითად, თუ პირი მოქმედებს სახელმწიფოს დასუსტების მიზნით, მაშინ საქმის კონკრეტულ გარემოებათა გათვალისწინებით, ქმედობა დაკვალიფიცირდება როგორც საბოტაჟი (მუხლი 318-ე).

ქონების განადგურება ან დაზიანება, ხშირად, დაკავშირებულია სხვადასხვა მოტივებთან, სახელდობრ, ეჭვიანობასთან, ხულიგნურ ქვენაგრძნობასთან, დანაშაულის დაფარვასთან, ანგარებასთან, შურისძიებასთან და ა. შ. შურისძიების მოტივით ჩადენილი დანაშაულის ნიმუშად მოგვყავს მაგალითი საგამომიებო და სასამართლო პრაქტიკიდან: სამტრედიის რაიონის სოფ. საჯავახოს ვეტუბნის ფერშალმა ს-მ, რომელიც განაწყენებული იყო ამავე ვეტუბნის გამგე ე-ზე, შურისძიების ნიადაგზე, წამღის დიდი ღოზის მიცემით დახოცა ვეტპუნქტში სამკურნალოდ მოყვანილი სამი სული მსხვილფეხა რქოსანი საქონელი. მისი დანაშაულებრივი მოქმედება წინასწარი გამოძიებისას და სასამართლოში კვალიფიცირებულ იქნა საქართველოს

სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით და მიესაჯა გამასწორებელი სამუშაო ერთი წლის ვადით.

როგორც ვხედავთ, ამ მუხლის ობიექტური მხარის სავალდებულო ნიშანს წარმოადგენს ქონების (ნივთის) მესაკუთრისათვის ან სხვაგვარი კანონიერი მფლობელისათვის მნიშვნელოვანი ზიანის გამოწვევის ფაქტი. იმის გამო, რომ ეს ცნება კანონმდებლის მიერ განმარტებული არაა, ამდენად ამ ნიშნის გამოყენება უნდა მოხდეს ფაქტობრივ გარემოებათა გათვალისწინებით. მოქალაქის ქონებასთან დამოკიდებულებაში მნიშვნელოვანი ზიანის ნიშანი, ისევე როგორც დატაცების დროს, უნდა დადგინდეს არა მხოლოდ განადგურებული ან დაზიანებული ქონების ღირებულებიდან გამომდინარე, არამედ დაზარალებულის მატერიალური მდგომარეობიდან და მისი ოჯახისათვის ამ ქონების მნიშვნელობიდან გამომდინარე. რაც შეეხება იურიდიული პირისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების ფაქტს, იგი უნდა დადგინდეს როგორც ქონების (ნივთის) ღირებულების საფუძველზე, ასევე საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის სამეურნეო ან სხვა საქმიანობისათვის მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე. ცხადია, ბრალდებულის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი. დანაშაული დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს შედეგის დადგომის, ე. ი. მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების მომენტიდან.

მოცემული დანაშაულის სუბიექტური მხარე ხასიათდება განზრახვით, რომელიც შეიძლება იყოს როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი. ბრალდებულს შეგნებული აქვს, რომ მართლსაწინააღმდეგოდ აზიანებს ან ანადგურებს სხვის ნივთს (ქონებას), ითვალისწინებს მესაკუთრისათვის ან სხვა მფლობელისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების გარდუვალობას ან რეალურ შესაძლებლობას და ამასთან სურს ან შეგნებულად უშვებს ამ შედეგის დადგომას ან გულგრილად ეკიდება მის დადგომას.

187-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტია ყოველი შერაცხადი ფიზიკური პირი 14 წლის ასაკიდან.

მოცემული დანაშაულის კვალიფიციურ და განსაკუთრებით კვალიფიციურ გარემოებად, როგორც უკვე შევნიშნეთ, ითვლება თუ ნივთის (ქონების) დაზიანება ან განადგურება მოხდა ცეცხლის წაკიდებით, აფეთქებით ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებით (187-ე მუხლის მე-2 ნაწილი), ასევე თუ მე-2 ნაწილით

გათვალისწინებულმა ქმედებამ გაუფრთხილებლობით გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი (187-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

„ცეცხლის“ ცნება მოიცავს ალიან მხურვალეებს, რაც წვის პროცესში. ცეცხლის დანთების, მოკიდების შედეგად ჩნდება. ცეცხლის წაკიდება სხვის ნივთზე (ქონებაზე) ცეცხლის (ხანძრის) განზრახ გაჩენას. მოღებას გულისხმობს, რაც, ცხადია, აზიანებს ან ანადგურებს ნივთს (ქონებას).

„აფეთქება“ – ესაა რისამე აალება ნივთიერების ერთობაში ქიმიური დაშლისა და მეტისმეტად გახურებული აირების წარმოქმნის შედეგად, რომელსაც თან სდევს ქუხილისებური ხმა და ნივთის (ქონების) დაზიანება ან განადგურება.

საყოველთაოდ საშიში საშუალებებიდან კანონმდებლის მიერ ცეცხლის წაკიდებისა და აფეთქების გამოყოფა იმაზე მიუთითებს, რომ ესენი ყველაზე საშიში საშუალებებია როგორც მოქმედების, ისე შესაძლო შედეგების დადგომის თვალსაზრისით. ასევე მათი გამოყოფა განაპირობა ცეცხლის წაკიდებისა და აფეთქების ყველაზე მეტად გავრცელებულობამ და გამოყენების შედარებითმა სიადვილემ (ცეცხლის წაკიდებისა და ასაფეთქებელ საშუალებათა ხელმისაწვდომობიდან გამომდინარე – ზ. წ.)<sup>1</sup>.

„სხვა საყოველთაო საშიში საშუალებით“ სხვისი ნივთის (ქონების) დაზიანებად ან განადგურებად უნდა მივიჩნიოთ ისეთი შემთხვევები, როცა ქონების (ნივთის) დაზიანება ან განადგურება ხდება რადიოაქტიური ნივთიერებების გამოყენებით, წალეკით (მაგალითად, წყალსადენის მაგისტრალის განცალკევებით), ზეავის მოწყობით, სახურავის დანგრევით და სხვ., რაც, ცხადია, ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობასაც საფრთხეს უქმნის. ამგვარი ზერხების გამოყენების შემთხვევაში დანაშაული ორობიექტიანი ხდება, ე. ი. დამატებით ობიექტად გამოდის ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

თუ ცეცხლის წაკიდებით, აფეთქებით ან სხვა საყოველთაო საშიში საშუალებით სხვისი ნივთის დაზიანებას ან განადგურებას გაუფრ-

---

<sup>1</sup> ვფიქრობთ არაფერი დაშავდებოდა იმითაც, თუ კანონმდებელი 187-ე მუხლში ხაზს გაუსვამდა მხოლოდ „საყოველთაო საშიში საშუალებით“ დანაშაულის ჩადენას და ცალკე არ გამოყოფდა „ცეცხლის წაკიდებას“ და „აფეთქებას“. საქმე იმაშია, რომ „საყოველთაო საშიში საშუალების ცნება“ მოიცავს როგორც „ცეცხლის წაკიდებას“, ასევე „აფეთქებასაც“.

თხილებლობით მოჰყვა ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ქმედება დაკვალიფიცირდება 187-ე მუხლის მესამე ნაწილით. ხოლო არაპირდაპირი განზრახვის შემთხვევაში ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დამატებით 109-ე მუხლის „ზ“ პუნქტით (ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას).

187-ე მუხლის მე-3 ნაწილში მოხსენიებული „სხვა მძიმე შედეგი“ უნდა გავიგოთ როგორც ადამიანთა ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენება, მათი მოწამვლა, დაავადება და აგრეთვე ეკონომიკური ხასიათის მძიმე შედეგების დადგომა (მაგალითად, განსაკუთრებით ძვირფასი ქონების განადგურება; დაწესებულების, საწარმოს ან ორგანიზაციის მუშაობის შეჩერება; ხელშეკრულებითი ვალდებულებების შეუსრულებლობა, რამაც გამოიწვია დიდი ქონებრივი სანქციები და ა. შ.).

#### §14. ნივთის დაზიანება ან განადგურება გაუფრთხილებლობით (სსკ 188-ე მუხლი)

ამ მუხლის პირველი ნაწილის ძალით დანაშაულადაა მიჩნეული სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება გაუფრთხილებლობით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, — რაც ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების შეზღუდვით ორ წლამდე.

მეორე ნაწილი დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევს იგივე ქმედებას, თუ იგი ჩადენილია ცეცხლთან ან მომეტებული საფრთხის წყაროსთან გაუფრთხილებელი მოპყრობით, — რაც ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

მესამე ნაწილი განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევს ამ მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნულ ქმედებას, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი, — რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვს წლამდე.

განსახილველი დანაშაულის უშუალო ობიექტია საკუთრების კონკრეტული ფორმა. დანაშაულის საგნად კი გვევლინება მხოლოდ

სხვისი ნივთი (ქონება). საკუთარი ქონების (ნივთის) განადგურება ან დაზიანება სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას არ იწვევს. ხელყოფის საგანი შეიძლება იყოს როგორც მოძრავი, ასევე უძრავი ქონება.

დანაშაული ფორმულირებულაა მატერიალური შემადგენლობის სახით, რომლის აუცილებელ ნიშნად გვევლინება მოქმედება (უმოქმედობა), რაც მიმართულია სხვისი ნივთის დაზიანებასა ან განადგურებაზე. ცხადია, უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.

ობიექტური მხარე ნათლადაა გამოხატული 188-ე მუხლში. სახელდობრ, აქ ხაზი გაესმის გაუფრთხილებლობით სხვისი ნივთის დაზიანებას ან განადგურებას. ვინაიდან ნივთის (ქონების) დაზიანებისა და განადგურების ცნებაზე უკვე საუბარი გვქონდა 187-ე მუხლის შემადგენლობის ანალიზისას (იგულისხმება ნივთის დაზიანება ან განადგურება – ზ. წ.), ამდენად ტაქტალოგიის თავიდან აცილების მიზნით მათზე არ ვაწერდებით.

მოცემული დანაშაულის სპეციფიკა გამოიხატება მის სუბიექტურ მხარეში; კერძოდ, ესაა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ერთადერთი დანაშაული, რომლის ჩადენაც ხდება გაუფრთხილებლობით. ეს უკანასკნელი შეიძლება გამოვლინდეს როგორც თვითიმედოვნების, ასევე დაუდევრობის სახით. განსახილველი დანაშაული თვითიმედოვნების ფორმით იქნება ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ უსაფუძვლოდ იმედოვნებდა, რომ ამ შედეგს თავიდან აიცილებდა. ხოლო 188-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება დაუდევრობით იქნება ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული არ ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, არ ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა ამის გათვალისწინება მას ევალებოდა და შეეძლო კიდევც.

„ცეცხლთან“ ან „მომეტებული საფრთხის წყაროსთან“ გაუფრთხილებელი მოპყრობა შეიძლება გამოიხატოს ხანძარსაწინააღმდეგო წესების დაუცველობაში (მაგალითად, ანთებული ელექტროლუმის ან გაზის უმეთვალყურეოდ მიტოვება; ანთებული სიგარეტის იატაკზე დაგდება), სხვადასხვა სახის აგრეგატებთან, მანქანებთან, ძრავებთან, მექანიზმებთან, ასაფეთქებელ ნივთიერებებთან, ელექტროხელ-

საწყობთან მოპყრობის დადგენილი წესების დარღვევაში და სხვ.

188-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტია ყოველი შერაცხადი ფიზიკური პირი 14 წლის ასაკიდან. პიროვნების გაუფრთხილებელი მოქმედება დაკავშირებული არ უნდა იყოს თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან. თუ მძიმე შედეგი თანამდებობის პირის სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობის ან არაკეთილსინდისიერი შესრულების შედეგია, მაშინ ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც დაუდევრობა.

## §15. ინტელექტუალური საკუთრების ხელყოფა (სსკ 189-ე მუხლი)

ეს მუხლი სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის ძალით დანაშაულადაა მიჩნეული საავტორო ან მომიჯნავე უფლების ობიექტის, გამოგონებისა, სასარგებლო მოდელის, სამრეწველო ნიმუშის, სასელექციო მიღწევის, ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიის ავტორობის მითვისება, — რაც ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე.

მეორე ნაწილით გათვალისწინებულია სხვისი საავტორო ან მომიჯნავე უფლების ობიექტის, გამოგონების, სასარგებლო მოდელის, სამრეწველო ნიმუშის, სასელექციო მიღწევის, ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიის მართლსაწინააღმდეგოდ, კომერციული მიზნით გამოყენება ან მის თანავტორობაზე იბულება, — რაც ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორ წლამდე.

მესამე ნაწილით დანაშაულადაა მიჩნეული ამ მუხლის პირველი ან მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი: ა) არაერთგზის; ბ) რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, — რაც ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებით საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლში ხაზი გაესმის შემდეგს: „ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლება უზრუნველყოფილია. ინტელექტუალური საკუთრების უფლება ხელშეუვალია. შემოქმედებით პროცესში ჩარევა, შემოქმედებითი საქმიანობის სფეროში ცენზურა დაუშვებელია. შემოქმედებით ნაწარმოების დაყადაღება და გავრცელე-

ბის აკრძალვა დაუშვებელია, თუ მისი გავრცელება არ ლახავს სხვა ადამიანის კანონიერ უფლებებს“. აქედან გამომდინარე სს კოდექსის 189-ე მუხლის უშუალო ობიექტად გვევლინება ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლება და ინტელექტუალური საკუთრების უფლების ხელშეუვალობა. სხვანაირად თუ ვიტყვით, ამ დანაშაულის ობიექტია ის საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც უზრუნველყოფენ ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვას.

ობიექტური მხრივ ეს დანაშაული გამოიხატება ინტელექტუალური საკუთრების ხელყოფაში. სახელდობრ, საავტორო ან მომიჯნავე უფლების ობიექტის, გამოგონების, სასარგებლო მოდელის, სამრეწველო ნიმუშის, სასელექციო მიღწევის, ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიის ავტორობის მითვისებაში (189-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე), აგრეთვე მათ მართლსაწინააღმდეგოდ, კომერციული მიზნით გამოყენებასა ან თანაავტორობაზე იძულებაში (189-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე).

ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ესაა შემოქმედებით საქმიანობასთან დაკავშირებული ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებების ერთობლიობა. საკუთრება, რომლის ობიექტებსაც ადამიანის გონება და ინტელექტის ქმნილებები წარმოადგენენ, შეიძლება წარმოდგენილ იქნას მატერიალური სახით და გავრცელდეს მთელ მსოფლიოში განუსაზღვრელი ოდენობის ასლების საშუალებით. ამასთანავე, საკუთრებას წარმოადგენენ არა ასლები, არამედ მათში ასახული ინფორმაცია. ინტელექტუალური საკუთრება იყოფა ორ სახეობად: 1) საავტორო სამართალი და 2) სამრეწველო საკუთრება. ინტელექტუალური საკუთრების ცნება პირველად შემოღებულ იქნა 1967 წელს „ისმოს“ (ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია) დაარსების სტოკჰოლმის კონვენციით. ინტელექტუალური საკუთრების ობიექტია: ა) ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებები, აგრეთვე სამეცნიერო შრომები; ბ) მსახიობთა საშემსრულებლო მოღვაწეობა, ფონოგრამები, ვიდეოგრამები და რადიო (ტელე) გადაცემები; გ) გამოგონებები; დ) სასარგებლო მოდელები და სამრეწველო ნიმუშები; ე) სასაქონლო ნიშნები, მომსახურების ნიშნები, საფირმო სახელწოდებები და აღნიშვნები; ვ) არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთა; ზ) კომპიუტერული პროგრამები; თ) ინტეგრალური



მიკროსქემების ტოპოლოგია; ი) ნოუ-ჰაუ<sup>1</sup> და მონაცემთა ბაზები, აგრეთვე სასელექციო მიღწევა. ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაცვა ხორციელდება საავტორო სამართლით, პატენტითა და სპეციალური მოწმობით.

საავტორო უფლების ობიექტთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ საავტორო უფლება ვრცელდება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, რომლებიც წარმოადგენენ ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს, განურჩევლად ნაწარმოების დანიშნულების, ავკარგიანობის, ჟანრის, მოცულობის, აგრეთვე მისი გამოხატვის ფორმისა და საშუალებისა. საავტორო უფლების ობიექტებია: ლიტერატურული ნაწარმოები; დრამატული და მუსიკალური – დრამატული ნაწარმოები; ქორეოგრაფიის და პანტომიმის ნაწარმოებები და სხვა სასცენო ნაწარმოებები; მუსიკალური ნაწარმოებები ტექსტით ან უტექსტოდ; აუდიოვიზუალური ნაწარმოები; ქანდაკების, ფერწერის, გრაფიკის, ლითოგრაფიის ნაწარმოები და სახვითი ხელოვნების სხვა ნაწარმოები; დეკორატიულ-გამოყენებითი და მონუმენტური ხელოვნების ნაწარმოები; თეატრალურ-დეკორატიული ხელოვნების ნაწარმოები; არქიტექტურის, ქალაქმშენებლობისა და საბალე-საპარკე ხელოვნების ნაწარმოები; ფოტოგრაფიული ნაწარმოები ან ისეთი ნაწარმოები, რომლებიც შექმნილია ფოტოგრაფიის ანალოგიური საშუალებებით (ფოტოგრაფიულ ნაწარმოებად არ ჩაითვლება აუდიოვიზუალური ნაწარმოების ცალკე აღებული კადრი); რუკა, გეგმა, ესკიზი, ილუსტრაცია და მსგავსი სახის სხვა ნაწარმოებები, რომლებიც მიეკუთვნება გეოგრაფიას, ფოტოგრაფიას ან სხვა დარგებს; გადამუშავებული ნაწარმოები, თარგმანი, მხატვრული ნაწარმოების პწკარედი, ადაპტაცია, მიმოხილვა, ინსცენირება, კომპილაცია, მუსიკალური არანჟირება და მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა სხვაგვარი გადამუშა-

---

<sup>1</sup> ნოუ-ჰაუ საწარმოო – კომერციულ საიდუმლოებას აღნიშნავს. ნოუ-ჰაუს წარმოადგენს ტექნიკური, ორგანიზაციული, კომერციული და სხვა სახის საიდუმლო ინფორმაცია, რომელსაც შეუძლია წარმოების ეფექტურობის ამაღლება, იგი ცნობილი არაა მესამე პირებისათვის და ამის გამო წარმოადგენს კომერციულ ფასეულობას. ნოუ-ჰაუ შეიძლება იყოს განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ინფორმაცია, რომელიც საიდუმლოდ ინახება. მაგალითად, განაცხადი გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელზე ან სამრეწველო ნიმუშზე მათ გამოქვეყნებამდე.

ვება; ურბული (ენციკლოპედია, ანთოლოგია, მონაგრობა ბაზა) და სხვა: შედგენილი ნაწარმოებები, რომლებიც მასაღას შერჩევისა და განლაგების მიხედვით ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს წარმოადგენენ. აგრეთვე კომპიუტერული პროგრამები, მათ შორის ოპერატიული სისტემები. საავტორო უფლების ობიექტებს არ წარმოადგენენ: ოფიციალური დოკუმენტები; სახელმწიფოსა და ორგანიზაციის სიმბოლოები და ნიშნები; საკანონმდებლო აქტების პროექტები; ინფორმაციული ხასიათის ცნობები: მოვლენებისა და ფაქტების შესახებ, საღბური შემოქმედების ნაწარმოებები და სხვ. თვით „საავტორო უფლება“ კი ესაა საავტორო ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები (რომლებიც წარმოიქმნება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნასა და გამოყენებასთან დაკავშირებით), აგრეთვე მომიჯნავე უფლებები. საავტორო უფლებები გულისხმობს ისეთ ქმედებას, რომელიც სრულდება ლიტერატურისა და ხელოვნების ავტორის მიერ. ანდა მისი ნებართვით. ეს ქმედებები ითვალისწინებს ნაწარმოებების (ქმნილებების) – წიგნების, სურათების, სკულპტურების, ფოტოგრაფიების, კინოფილმებისა და ა. შ., ასლების დამზადებას. საავტორო უფლებით დაცულია ლიტერატურისა და ხელოვნების ისეთი სახეობები როგორცაა: ლექსები, პროზა, მუსიკალური ნაწარმოებები, ფერწერისა და კინომატოგრაფიის ქმნილებები და სხვ. საავტორო უფლებები არ ვრცელდება: ოფიციალურ დოკუმენტებზე, აგრეთვე მისი ოფიციალურ თარგმანებზე; სახელმწიფოს ოფიციალურ სიმბოლოებზე; მოვლენებისა და ფაქტების შესახებ ინფორმაციული ხასიათის ცნობებზე. რაც შეეხება „მომიჯნავე უფლებებს“ – ესაა საავტორო უფლებასთან (ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნასა და გამოყენებასთან) დაკავშირებული (პირად არაქონებრივ და ქონებრივ საავტორო უფლებებთან) მომიჯნავე (მოსაზღვრე) უფლებები, რომლებიც დაკავშირებულია შემსრულებლებთან, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის დამამზადებლებთან და მაუწყებლობის ორგანიზაციებთან. მომიჯნავე უფლებები არ აბრკოლებს საავტორო უფლებათა დაცვას. ეს უფლებები ხორციელდება საავტორო უფლებების პატივისცემისა და დაცვის გზით. მომიჯნავე უფლებათა სუბიექტებია – შემსრულებლები, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის დამამზადებლები და მაუწყებლობის ორგანიზაციები. ნაწარმოების შემსრულებლად ჩაითვლება: მსახიობი (კინოს, თეატრის და ა. შ.), მომღერალი, მუსიკოსი, მოცეკვავე ან

სხვა პირი, რომელიც თამაშობს როლს, მღერის, კითხულობს, ახდენს დეკლამირებას (ესაა ლიტერატურული ნაწარმოების გამოშვების ეტაპები). მხატვრული კითხვა – ზ. წ.), უკრავს მუსიკალურ ინსტრუმენტზე ან სხვაგვარად ასრულებს ლიტერატურის ან ხელოვნების ნაწარმოებს, მათ შორის საესტრადო, საცირკო, თოჯინურ ნომერს, ხალხურ ნაწარმოებს. შემსრულებლად ჩაითვლება აგრეთვე სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი და ღირსიერი. ფონოგრამა – ესაა შესრულების ან ნებისმიერი სხვა ხმების მხოლოდ და მხოლოდ ხმოვანი ჩანაწერი. ფირფიტები (დისკები) ან მაგნიტოფონის კასეტები ჩანაწერებით წარმოადგენენ ფონოგრამის დუბლიკატს. საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებულია ფონოგრამის აღნიშვნა „PH“ – აბრევიატურით (აბრევიატურა – ნიშნავს სიტყვების პირობით შემოკლებას. სიტყვა შედგენილი მხოლოდ პირველი ასოებისაგან, წარმოადგენს ინიციალურ აბრევიატურას). ვიდეოგრამა – ესაა აუდიოვიზუალური ჩანაწერის ყოველგვარი ნაირსახეობა განხორციელებული კასეტაში, დისკებში ან სხვა მატერიალურ ობიექტში. თვით „ვიდეო“ – ესაა რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილი, რომელიც მიუთითებს ელექტრონულ – სხივური მილაკის ეკრანზე სხვადასხვა სიგნალების გამოხატულებასთან კავშირზე. რაც შეეხება თვით „აუდიოვიზუალურ ნაწარმოებს“ – ესაა ნაწარმოები, რომელიც შედგება ერთმანეთთან დაკავშირებულ გამოსახულებათა სერიებისაგან (ხმის თანხლებით ან უამისოდ), ქმნის მოძრაობის შთაბეჭდილებას და შეიძლება აღქმულ იქნას მხედველობით ან სმენით. მას მიეკუთვნება კინემატოგრაფიული ან სხვა ნაწარმოებები, რომლებიც გამოხატულია კინემატოგრაფიის ანალოგიური საშუალებებით (ტელე, ვიდეო ფილმები, სლაიდფილმები, დიაფილმები და სხვ.) მათი პირველადი და შემდგომი ფიქსაციის საშუალებათა მიუხედავად. საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებულია აუდიოვიზუალური ნაწარმოების აღნიშვნა „AW“ – სიმბოლოთი. აუდიოვიზუალური ნაწარმოების ავტორებს (თანაავტორებს) წარმოადგენენ: დამდგმელი რეჟისორი, სცენარისტი (სცენარის ავტორი), ტექსტიანი თუ უტექსტო მუსიკალური ნაწარმოების ავტორი. „ფონოგრამის დამამზადებელი“ – ესაა ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელმაც თავის თავზე აიღო ინიციატივა და პასუხისმგებლობა შესრულების ან სხვა ხმების პირველი ხმოვანი ჩანაწერის განხორციელებისათვის; თუ არ არსებობს საწინააღმდეგო დასაბუთება, ფონოგრამის დამამზადებლად მიიჩნევა ფიზიკური ან იურიდიული

პირი, რომელიც აღნიშნულია ამ ფონოგრამაზე ან მის ფუტლარზე სათანადო წესით. ფონოგრამის დამამზადებელი წარმოადგენს მომიჯნავე უფლებათა სუბიექტს. რაც შეეხება „ვიდეოგრამის დამამზადებელს“ – ასეთად ჩათვლება ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელმაც თავის თავზე აიღო ინიციატივა და პასუხისმგებლობა გამოსახულებათა თანმიმდევრობის პირველი ჩანაწერის განხორციელებისათვის ხმის თანხლებით ან უამისოდ. თუ არ არსებობს საწინააღმდეგო დასაბუთება, ვიდეოგრამის დამამზადებლად მიიჩნევა ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც აღნიშნულია ვიდეოგრამაზე ან მის ფუტლარზე სათანადო წესით. დაბოლოს, ტელე (რადიო) მაუწყებლობის ორგანიზაციები საავტორო უფლების მომიჯნავე უფლებებით გათვალისწინებულ უფლებებს ახორციელებენ ეთერში ან კაბელით გადასაცემ ნაწარმოების შესრულებასთან და ავტორთან დადებული ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებების ფარგლებში<sup>1</sup>.

გამოგონება – ესაა ბუნებაში არსებული მოვლენების, კანონზომიერების, კანონების, თვისებების გამოყენების საფუძველზე მიგნებული ახალი განხორციელებადი არაცხადი საგამომგონებლო იდეა, რომელსაც რაიმე ობიექტში მრავალჯერადად გამოსახვის უნარი გააჩნია. გამოგონებაზე გაიცემა პატენტი. ეს უკანასკნელი არის ლოკუმენტი, სიგელი, რომელიც გაიცემა საპატენტო უწყების მიერ გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელზე და სამრეწველო ნიმუშზე და ადასტურებს დასაპატენტებლად წარდგენილი ობიექტის გამოგონებად, სასარგებლო მოდელად ან სამრეწველო ნიმუშად აღიარებას; ამ ობიექტებზე ავტორობას, პრიორიტეტს და პატენტმფლობელს ანიჭებს განსაკუთრებულ უფლებებს. პატენტი არის ტექნიკური პრობლემის გადაწყვეტის დაფიქსირება წერილობითი ფორმით და უზრუნველყოფს პატენტმფლობელის დაცვას. ეს დაცვა შეზღუდულია დროით და სამრეწველო საკუთრების ამა თუ იმ ობიექტისათვის განისაზღვრება სხვადასხვა პერიოდით. პატენტის მოქმედების შეწყვეტის შემდეგ მისი საგანი საყოველთაო კუთვნილება ხდება.

---

<sup>1</sup> დაწვრილებით ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ საკითხებსა და ცნებებზე იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. თბ., 1997, გვ. 282-320; სანდრო ჯორბენაძე. ინტელექტუალური საკუთრების განმარტებითი ლექსიკონი. თბ., 1998; დავით ძამუკაშვილი. ინტელექტუალური საკუთრების სამართალი. თბ., 2000.

სასარგებლო მოდელი – სამრეწველო საკუთრების სახეობაა, რომლის ობიექტებსაც წარმოადგენს მოწყობილობის, ხერხის, ნივთიერების გაუმჯობესება, რომელთაც ახასიათებს სიახლე და გამოყენების დროს სარგებლიანობა. იგი წარმოადგენს მცირე გამოგონებას, რომელიც არ არის მიმართული ტექნიკის დონის ასამაღლებლად. ჩვეულებრივი გამოგონებისაგან განსხვავებით სასარგებლო მოდელს მოეთხოვება ერთგვარად „დაბალი საგამომგონებლო დონე“. სასარგებლო მოდელის სიახლის განსაზღვრისათვის გამოიყენება შესაბამის დარგში არსებული ტექნიკის დონე. სასარგებლო მოდელი ჩაითვლება სარგებლიანად, თუ მისი გამოყენება შეიძლება მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მედიცინაში, სახალხო მეურნეობაში ან საზოგადოებრივი საქმიანობის სხვა დარგში. სასარგებლო მოდელის დაცვას რიგი ქვეყნების კანონმდებლობა არ ითვალისწინებს (მაგალითად, აშშ, დიდი ბრიტანეთი). ზოგიერთი ქვეყანა მასზე გაცემს მხოლოდ მოწმობას. სასარგებლო მოდელის დაცვის საშუალებას წარმოადგენს მასზე გაცემული პატენტი, რომლის მოქმედების ვადა შეადგენს 8 წელს.

სამრეწველო ნიმუში – ასეთად მიიჩნევა ნაკეთობის ახალი მხატვრულ-კონსტრუქციული გარეგანი სახე. ნაკეთობა დამზადებული უნდა იყოს სამრეწველო წესით. სწორედ ამის გამო იწოდება იგი სამრეწველო ნიმუშად. თუ ნიმუშს ეს უკანასკნელი ელემენტი არ ახლავს, მაშინ ნაკეთობა შეიძლება მიეკუთვნოს ხელოვნების ქმნილებათა კატეგორიას, რომლის დაცვა ხორციელდება არა სამრეწველო საკუთრების, არამედ საავტორო სამართლის საშუალებით. სამრეწველო ნიმუში განეკუთვნება დიზაინის სფეროს, ამასთან სამრეწველო თუ კუსტარულ წარმოებაში მოდელის ფუნქციასაც ასრულებს. საქართველო იცავს უფლებებს სამრეწველო ნიმუშზე და ადასტურებს მას პატენტით. სამრეწველო ნიმუში უნდა ხასიათდებოდეს მხატვრული ღირსებით, რომელიც მიიღწევა სხვადასხვა კაზმულობით, ფორმების ორიგინალობით, წირების შეხამებით, ფერებში გადაწყვეტის თავისებურებებით. ყოველივე ეს არსებითად უნდა განასხვავებდეს სამრეწველო ნიმუშს უკვე ცნობილი ნიმუშისაგან და მისი მხატვრული ღირსებები არ უნდა განიხილებოდეს, როგორც მხოლოდ ხელოვნების ნაწარმოებები.

სასელექციო მიღწევა – ესაა მცენარეთა და ცხოველთა ახალი სასელექციო ჯიშები. სასელექციო მიღწევად მემცენარეობაში

მიიჩნევა მცენარის ახალი ჯიში, რომელიც მიღებულია ხელოვნური ან შერჩევის გზით, რომელსაც აქვს ერთი ან რამოდენიმე სამეურნეო ნიშანთვისება, რომლებიც განასხვავებს მას არსებული მცენარეების ჯიშებისაგან. სასელექციო მიღწევად მეცხოველეობაში მიიჩნევა ადამიანის მიერ შექმნილი ცხოველთა ახალი ჯიში (ცხოველთა საერთო წარმოშობის ერთიანი მრავალრიცხოვანი ჯგუფი, რომელთაც აქვთ საერთო გენეალოგიური სტრუქტურა და თვისებები), რომლებიც განასხვავებს მას ამავე სახეობის ცხოველების სხვა ჯიშებისაგან და რაოდენობრივად საკმარისია ერთი ჯიშის გამრავლებისათვის.

ინტეგრალური მიკროსქემების ტოპოლოგია – ესაა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ობიექტი, როგორსაც წარმოადგენს მატერიალურ მატარებელზე დაფიქსირებული ინტეგრალური მიკროსქემების ელემენტების ერთობლიობის გეომეტრიულ-სივრცული განლაგება და მათ შორის კავშირები. ინტეგრალური მიკროსქემების ტოპოლოგიის დაცვა ხორციელდება მხოლოდ ორიგინალური ტოპოლოგიისათვის სპეციალური კანონმდებლობის საშუალებით. ინტეგრალური მიკროსქემების ტოპოლოგია მოკლედ აღინიშნება სიტყვით – „ტოპოლოგია“. საქართველოში ჯერჯერობით მისი დაცვა არ ხორციელდება.

189-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საავტორო ან მომიჯნავე უფლების ობიექტის, გამოგონების, სასარგებლო მოდელის, სამრეწველო ნიმუშის, სასელექციო მიღწევის, ინტეგრალური მიკროსქემების ტოპოლოგიის ავტორობის მითვისება გულისხმობს სხვისი ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების მისაკუთრებას, რაც პლაგიატობის<sup>1</sup> ფორმაში ვლინდება. მითვისება შეიძლება იყოს სრული, ე. ი. ეს ისეთი შემთხვევაა, როცა პირი ითვისებს სხვისი ინტელექტუალური საკუთრების ობიექტს მთლიანად.

189-ე მუხლის მე-2 ნაწილის დისპოზიციასაში აღნიშნულ სხვისი ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების მართლსაწინააღმდეგოდ, კომერციული მიზნით უკანონო გამოყენებასა ან მის თანაავტორობაზე იძულებასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ „უკანონოდ გამოყენება“ მოიცავს ისეთ ქმედებას, როცა ადგილი აქვს სხვისი გონებრივი შრომის შედეგად შექმნილი ინტელექტუალური საკუთრების

---

<sup>1</sup> პლაგიატი ლათინური სიტყვაა და ნიშნავს სხვისი ლიტერატურული ან სხვა ნაწარმოების მითვისებას; თავის ნაშრომში სხვისი ნაწარმოების გამოყენებას ავტორის ან ავტორთა დაუსახელებლად.

ობიექტის კანონსაწინააღმდეგოდ (სამართლის ნორმის მოთხოვნათა დარღვევით) ექსპლოატაციას, მოხმარებას, გამოყენებას, სარგებლობას და ა. შ. რაც შეეხება ამავე ნაწილში მითითებულ „თანაავტორობაზე“ იძულებას“, იგი საჭიროა გავიგოთ ისეთნაირად, როცა ადგილი აქვს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის შემქმნელ პირზე ისეთი ქმედების განხორციელებას, რომელიც იძულებულს ზდის მას ესა თუ ის პირი გაიხადოს ინტელექტუალური საკუთრების თანაავტორად, მიუხედავად იმისა, რომ ამ პირს („თანაავტორს“) არაერთი წვლილი არ მიუძღვის ინტელექტუალური ობიექტის შექმნაში. თანაავტორობაში იძულება, როგორც წესი, ვლინდება ავტორის მიმართ ფიზიკურ და ფსიქიკურ ზემოქმედებაში, რათა მან შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება, კერძოდ, თანაავტორად გაიხადოს ვინმე. იძულება მეტწილად მუქარის მეშვეობით ხორციელდება. მუქარის ცნება ამ შემთხვევაში უნდა გავიგოთ როგორც სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარა, ანდა ქონების განადგურების მუქარა, როდესაც იმას ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში.

189-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებებიდან, ინტელექტუალური საკუთრების უფლების ხელყოფა ჩადენილი არაერთგზის გულისხმობს ამ მუხლის ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენას. ცხადია, დანაშაული არაერთგზის ჩადენილად არ ჩაითვლება, თუ პირი, კანონით დადგენილი წესით, წინათ ჩადენილი დანაშაული-სათვის გათავისუფლებული იყო სისხლისსმართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, ანდა მას ნასამართლობა წინათ ჩადენილი დანაშაული-სათვის მოხსნილი ან გაქარწყლებული ჰქონდა. რაც შეეხება მნიშვნელოვანი ზიანის გამოწვევას – უნდა შევნიშნოთ, რომ მნიშვნელოვანი ზიანის ცნება შეფასებითია. იგი განისაზღვრება სასამართლოს მიერ საქმეზე შეგროვებულ მტკიცებულებათა გამოკვლევისა და შეფასების გზით. მნიშვნელოვანი ზიანის ფორმაა ასევე ნაცდური გამორჩენა. ზიანი შეიძლება იყოს მორალურიც. დამდგარ შედეგთა მნიშვნელოვანი დაზიანებისათვის მიკუთვნების შესაძლებლობა ფაქტის საკითხია და მას სასამართლომ განსაკუთ-

---

<sup>1</sup> თანაავტორობის ცნება მოიცავს ორი ან მეტი პირის ერთობლივ შემოქმედებით შრომას, რომლის შედეგადაც იქმნება ინტელექტუალური საკუთრების ობიექტი.

რებული ყურადღება უნდა დაუთმოს. ამასთან გასათვალისწინებელია საავტორო კონორარისა<sup>1</sup> და როიალტის<sup>2</sup> ოდენობაც, რაც უნდა მიეღო დაზარალებულს თავისი ნაწარმოებისათვის. მორალური ზიანის შეფასების დროს საჭიროა გათვალისწინებულ იქნას ინტელექტუალური საკუთრების ავტორის ღირსება, რომელიც დაირღვა ამა თუ იმ სუბიექტის მიერ და გამოიხატა ავტორთა ჩანაფიქრის დამახინჯებაში, თარგმანის ან ნაწარმოების შერულების დაბალ დონეში და რამაც, საბოლოო ჯამში, სახელი გაუტეხა როგორც ავტორს, ასევე ნაწარმოებს. ამრიგად, დაზარალებულზე მიყენებული მნიშვნელოვანი დაზიანების განსაზღვრა უნდა ხდებოდეს მატერიალური და მორალური ზიანის ობიექტური და სუბიექტური მაჩვენებლების გაანალიზების საფუძველზე. საგამომიებო და სასამართლო პრაქტიკა ინტელექტუალური საკუთრების ავტორის ინტერესის მნიშვნელოვან დაზიანებად მიიჩნევს ისეთ შემთხვევებს, რომელსაც მოჰყვა საავტორო კონორარის, როიალტის, პატენტის, საავტორო მოწმობის<sup>3</sup> მიუღებლობა და სხვ.

189-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა

---

<sup>1</sup> საავტორო კონორარი — ესაა ფულადი გასამრჯელო, რომელსაც ნაწარმოების ავტორი ან მისი მემკვიდრე იღებს ამ ნაწარმოების გამოყენებისათვის ხელშეკრულების საფუძველზე, გონებრივი შემოქმედებითი შრომის საზღაურად. საავტორო კონორარის ოდენობა, მისი გამოანგარიშების წესი ეგზემპლარის ყოველი სახით გამოყენებისათვის დადგენილ უნდა იქნას საავტორო ხელშეკრულებით, აგრეთვე მოსარგებლებთან იმ ორგანიზაციების მიერ დადებული ხელშეკრულებით, რომლებიც მართავენ ავტორთა ქონებრივ უფლებებს კოლექტიურ საფუძველზე.

<sup>2</sup> როიალტი — ესაა საავტორო კონორარის ერთ-ერთი ნაირსახეობა. რომელიც წარმოადგენს ავტორის წილს. კომპენსაციას მისი ნაწარმოების ან პატენტის გამოყენებით მიღებული შემოსავლიდან. ავტორზე, პატენტმფლობელზე როიალტის გადახდა ხდება პერიოდულად, გაყიდული ეგზემპლარების ან შესრულების შესაბამისად.

<sup>3</sup> საავტორო მოწმობა — ესაა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს გამოგონების დაკავს. გამოგონებაზე საავტორო მოწმობის გაცემისათვის საჭირო მოთხოვნები თითქმის იგივეა, რაც გამოგონებაზე პატენტის გაცემის დროს. განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ პატენტით დაცული გამოგონების გამოყენების უფლება მხოლოდ პატენტმფლობელს გააჩნია, მაშინ როცა საავტორო მოწმობით დაცული გამოგონებით სარგებლობის განსაკუთრებული უფლება აქვს იმ სახელმწიფოს, სადაც გაიცა მოწმობა, ხოლო გამოგონებელს რჩება უფლება გარკვეული ანაზღაურების მიღებაზე.



მატერიალურია. ქმედებასა და შედეგს შორის უნდა დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი. რაც შეეხება დანაშაულის ჩადენის ხერხებს, რასაც ითვალისწინებს ეს მუხლი, იგი ფაქულტატურია და ვლინდება სხვისი ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის მითვისებაში, გამოყენებაში, ან თანავეტორობაზე იძულებაში. დანაშაული დამთავრებულიად ითვლება დასახელებულ ქმედობათაგან ერთ-ერთის ჩადენის მომენტიდან.

განსახილველი დანაშაულის სუბიექტური მხარე ვლინდება როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი (არაპირდაპირი, ევენტუალური) განზრახვის ფორმაში. ერთ შემთხვევაში ბრალდებულს შეგნებული აქვს, რომ ჩადის 189-ე მუხლით გათვალისწინებულ ნებისმიერ ქმედებას, ითვალისწინებს, რომ ასეთი ქმედებით მნიშვნელოვნად აზიანებს დაზარალებულის ინტერესს და სურს ასეთი ზიანის მიყენება (პირდაპირი განზრახვა), მეორე შემთხვევაში მართალია არ სურს აღნიშნული სახის დაზიანების მიყენება, მაგრამ უშვებს ასეთის მიყენების შესაძლებლობას (არაპირდაპირი განზრახვა). რაც შეეხება მოტივებს, მათი სპექტრი ამ დანაშაულის ჩადენისას სხვადასხვაა: ანგარება, კარიერიზმი, პატივმოყვარეობა, საზოგადოებაში ჭკვიანი (ნიჭიერი) კაცის იმიჯის (რეპუტაციის) შექმნა და ა. შ. ეს მოტივები დანაშაულის კვალიფიკაციაზე გავლენას ვერ ახდენენ, მაგრამ მათ სასამართლომ ყურადღება უნდა მიაქციოს სასჯელის ინდივიდუალიზაციის დროს.

განსახილველი დანაშაულის სუბიექტად გვევლინება ყოველი შერაცხადი ფიზიკური პირი 14 წლის ასაკიდან (ე. წ. საერთო სუბიექტი). ფიქრობთ უმჯობესი იქნებოდა, რომ კანონმდებელს 189-ე მუხლის მესამე ნაწილში განსაკუთრებით დამამძიმებელი გარემოების სახით გაეთვალისწინებინა განსახილველი დანაშაულის (ინტელექტუალური საკუთრების ხელყოფა) ჩადენა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. საქმე იმაშია, რომ სპეციალურ სუბიექტებს (თავიანთი სამსახურებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე) გაცილებით მეტი ზიანის მიყენება შეუძლიათ ინტელექტუალური საკუთრების ავტორებისათვის, ვიდრე ჩვეულებრივ საერთო სუბიექტებს.

დანაშაული საქმეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ

§1. სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის სფეროში ჩადენილ დანაშაულთა ზოგადი დახასიათება

განსახილველი XXVI თავი შედის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 კარში (ეკონომიკური დანაშაული) და მოიცავს დანაშაულის 18 შემადგენლობის აღწერას, რომელთაგანაც დიდი უმრავლესობა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობისათვის ახალია. მათ რიცხვს მიეკუთვნება სამეწარმეო და ეკონომიკურ დანაშაულთა ისეთი სახეები, როგორცაა: კანონიერი სამეწარმეო საქმიანობისათვის ხელის შეშლა (მუხლი 190-ე); მიწასთან დაკავშირებული გარიგების უკანონო რეგისტრაცია (მუხლი 191-ე); მონოპოლიური საქმიანობა და კონკურენციის შეზღუდვა (მუხლი 195-ე); ადამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქციის დამზადება, შემოტანა ან რეალიზაცია (მუხლი 198-ე); ეკომარკით უკანონო სარგებლობა (მუხლი 199-ე); მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვება, შენახვა, რეალიზაცია ან გადაზიდვა (მუხლი მე-200); ყალბი რეკლამა (მუხლი 201-ე); კომერციული ან საბანკო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის უკანონოდ შეგროვება ან გავრცელება (მუხლი 202-ე); პროფესიული სპორტული შეჯიბრების ანდა კომერციულ-სანახაობითი კონკურსის მონაწილის ან ორგანიზატორის მოსყიდვა (მუხლი 203-ე); საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევა (მუხლი 204-ე); უკანონო ქმედება გაკოტრებისას (მუხლი 205-ე); საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევა გაკოტრებისას (მუხლი 206-ე); განცხადების შეუტანლობა გაკოტრებისას (მუხლი 207-ე).

დანაშაულის ახალი შემადგენლობების ასეთი რაოდენობით მიღება განაპირობა ჩვენი ქვეყნის ცენტრალიზებული გეგმიური ეკონომიკიდან თავისუფალ საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლამ. სისხლის სამართალმა, ცხადია, ხელი უნდა შეუწყოს აღნიშნულ პროცესს, ამის გამო მისი ინტერესების სფეროში მოხვდა ისეთი საზოგადოებრივი ურთიერთობები, რაც რეგულირებული არ იყო სისხლის სამართლის კანონით.

სისხლის სამართლის ახალმა კანონმდებლობამ უარყო განსახილველი თავის ტრადიციული დასახელება (1960 წელს მიღებულ კოდექსში მას ეწოდებოდა „სამეურნეო დანაშაული“ და მე-ნ თავი ჰქონდა დათმობილი). აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ პრინციპული განსხვავება „სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ცნებასა და „სამეურნეო დანაშაულის“ ცნებას შორის არაა. ეკონომიკა (ბერძნულიდან თარგმანის მიხედვით) – სიტყვასიტყვით აღნიშნავს საოჯახო მეურნეობის წარმართვის ხელოვნებას. განმარტებით ლექსიკონში ეკონომიკა და მეურნეობა ერთნაირადაა გაგებული, სახელდობრ, როგორც წარმოების ხერხი (სამუშალება), განსაზღვრული წყობის წარმოებითი ურთიერთობის ერთობლიობა<sup>1</sup>.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და მისი ჩამოყალიბების პერიოდში თვისობრივად იცვლება სამეურნეო დანაშაულის გვარობითი ობიექტის ცნება, ამის გამო განსახილველი თავის ახალი სახელწოდება მოწოდებულია ხაზი გაუსვას იმ ცვლილებებს, რასაც ადგილი აქვს წარმოების სამუშალებებში. ირჩევს რა ახალ ტერმინს „ეკონომიკური საქმიანობა“ კანონმდებელი განზრახ ანგრევს საბჭოთა პერიოდის სისხლის სამართლის მეცნიერებაში დამკვიდრებულ სოციალისტური ეკონომიკის ადმინისტრაციულ-გეგმიურ ცნებით აპარატს.

სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის სფეროში ჩადენილ დანაშაულთა სახეობითი (გვარობითი) ობიექტია საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთგვაროვანი ურთიერთდაკავშირებული ჯგუფი, რომელიც ყალიბდება (იქმნება) სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის (ურთიერთობის) სფეროში. ეკონომიკური საქმიანობა თავის მხრივ უნდა გავიგოთ როგორც საქმიანობა საზოგადოებრივი პროდუქტის შექმნისა და განაწილების მიზნით, რაც მიმართულია სახელმწიფოსა და საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად, ცხადია, წარმოების სამუშაებათა ისტორიულად არჩეულ ფარგლებში.

განსახილველ თავში მოცემულ დანაშაულთა უშუალო ობიექტია კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც ყალიბდება სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის პროცესში და რომელიც არეგულირებს ასეთი საქმიანობის კონკრეტულ სახეებს (მაგალითად, კერძომეწარმეობითი საქმიანობის სფერო), ასევე ეკონომიკური საქმიანობის სუბიექტთა კანონით დაცული უფლებები

<sup>1</sup> იხ. Ожегов С. И. Словарь русского языка. М., 1973, с. 795.

და ინტერესები (მაგალითად, გაკოტრებისას), ანდა მომხმარებლის ინტერესები (მაგალითად, ფალსიფიკაცია – მუხლი 197-ე და ადამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქციის დამზადება, შემოტანა ან რეალიზაცია – მუხლი 198-ე). ზოგიერთი დანაშაულის შემადგენლობა შეიცავს დამატებით უშუალო ობიექტს, რომელზედაც ზიანის მიყენება ანდა ზიანის მიყენების მუქარა გვევლინება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობად.

მთელი რიგი დანაშაულებისათვის აუცილებელ ნიშნად გვევლინება დანაშაულის საგანი. მაგალითად, სასაქონლო ნიშანი (მუხლი 196-ე), ეკომარკა (მუხლი 199-ე), აქცეზური მარკა (მუხლი მე-200). ხშირად ესაა (იგულისხმება საგანი) ოფიციალური დოკუმენტებიც, მაგალითად, სახელმწიფო მიწის კადასტრი (მუხლი 191-ე) და სხვ.

განსახილველი თავის მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური მხარე ხასიათდება როგორც მოქმედების ჩადენით (მაგალითად, უკანონო სამეწარმეო საქმიანობა – მუხლი 192-ე), ასევე უმოქმედობით (მაგალითად, განცხადების შეუტანლობა გაკოტრებისას – მუხლი 207-ე). ზოგიერთი შემადგენლობის აუცილებელ ნიშნად გვევლინება დანაშაულის ჩადენის ხერხი – მაგალითად, გაკოტრებისას უკანონო ქმედების ხერხი (მუხლი 205-ე). მთელ რიგ შემადგენლობებში აუცილებელ ნიშნად გვევლინება საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომა ზიანის მიყენების სახით – მაგალითად, საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევა (მუხლი 204-ე), ყალბი რეკლამა (მუხლი 201-ე) და სხვ. ზოგიერთ მუხლს გააჩნია შენიშვნა – მაგალითად, მუხლი მე-200 (მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვება, შენახვა, რეალიზაცია ან გადაზიდვა) და 203-ე (პროფესიული სპორტული შეჯიბრების ანდა კომერციულ-სანახაობითი კონკურსის მონაწილის ან ორგანიზატორის მოსყიდვა). მე-200 მუხლი შენიშვნაში, სახელდობრ, ხაზი გაესმის იმას, თუ საქონლის რა ღირებულება ითვლება ღიდ და განსაკუთრებით ღიდ ოდენობად.

სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის სფეროში ჩადენილი ყველა დანაშაულის სუბიექტური მხარე ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. ასე, რომ არა გვაქვს არც ერთი გაუფრთხილებელი დანაშაული. ზოგიერთი შემადგენლობის სუბიექტური მხარისათვის აუცილებელ ნიშნად გვევლინება მოტივი და მიზანი. ასე მაგალითად,

191-ე მუხლში (მიწასთან დაკავშირებული გარიგების უკანონო რეგისტრაცია) ხაზი გაესმის ანგარებასა და სხვა პირად მოტივს. ხოლო 193-ე მუხლში (ცრუ მეწარმეობა) მიზანს.

სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის სფეროში ჩადენილი დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს ყოველი შერაცხადი ფიზიკური პირი. რომელსაც დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის შეუსრულდა 14 წელი. ზოგიერთი დანაშაულის ჩადენისათვის კი მხოლოდ თანამედრობის პირი. სხვანაირად თუ ვიტყვით, განსახილველ თავში გათვალისწინებულ დანაშაულთა სუბიექტები შეიძლება იყოს როგორც საერთო, ისე სპეციალური სუბიექტი. ამ უკანასკნელის როლში მეტწილად გვევლინება სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა თანამედრობის პირები (მაგალითად, სსკ 190-ე მუხლი – კანონიერი სამეწარმეო საქმიანობისათვის ხელის შეშლა და 191-ე მუხლი – მიწასთან დაკავშირებული გარიგების უკანონო რეგისტრაცია), ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, ინდივიდუალური მეწარმეები, კომერციულ ორგანიზაციათა მესაკუთრეები და სხვ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება ვთქვათ, რომ სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის სფეროში ჩადენილი დანაშაული ესაა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, რომელიც ხელყოფს იმ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, რომლებიც იქმნება მატერიალური დოვლათის წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების საფუძველზე.

## §2. კანონიერი სამეწარმეო საქმიანობისათვის ხელის შეშლა (სსკ 190-ე მუხლი)

ამ მუხლის ძალით დანაშაულადაა მიჩნეული დაუსაბუთებლად უარის თქმა საწარმოს რეგისტრაციაზე ან სპეციალური ნებართვის (ლიცენზიის) გაცემაზე, ანდა მისი ეკონომიკური საქმიანობის უფლების ან თავისუფლების შეზღუდვა, აგრეთვე მის საქმიანობაში ჩარევა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, – რაც ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ას ოთხმოც საათამდე ანდა ტუსაღობით ვადით სამ თვემდე, თანამედრობის

დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე. განსახილველი მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგენა მიზნად ისახავს დამატებითი გარანტიები შეუქმნას ეკონომიკის სამართლებრივი რეგულირების სფეროს და დაიცვას სამეწარმეო საქმიანობით დაკავებულ პირთა კონსტიტუციური უფლებები, ასევე ხელი შეუწყოს ეროვნული ეკონომიკის სტაბილურობას. 190-ე მუხლის გამოყენებას საფუძვლად ედება თანამდებობის პირთა ნებართვით, საკონტროლო-სახედამხედველო, ფისკალური და სამეწარმეო საქმიანობის რეგულირების სხვაგვარი ფუნქციების განხორციელებასთან დაკავშირებული ურთიერთობები. კერძოდ, თანამდებობის პირთა საქმიანობა ვლინდება გადაწყვეტილების მიღებაში, შემოწმებათა ჩატარებაში, შეთანხმებათა დადებაში, დავალების დაკისრებაში, ლიცენზირებაში, ვაჭრობის წესების დაცვის კონტროლში, მომსახურების გაწევაში, დაბეგვრაში, სხვადასხვა მოსაკრებლის შეკრებაში, დაკრედიტებასა და ა. შ. როგორც ვხედავთ, განსახილველი დანაშაული თავისი იურიდიული ბუნებით სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების სპეციალური სახეა. თანამდებობის პირები შეიძლება წარმოადგენდნენ სანებართვო, მაკონტროლებელი, ფისკალური და სხვა ფუნქციების განმახორციელებელ სახელმწიფო ორგანოებს.

მოცემული დანაშაულის ობიექტია საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც უზრუნველყოფენ კანონმდებლობით გარანტირებული უფლების დაცვას კერძომეწარმეობითი საქმიანობის წარმოებისას (განხორციელებისას). სხვანაირად თუ ვიტყვით, 190-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტია თავისუფალი სამეწარმეო საქმიანობის უფლება, ასევე სახელმწიფო ორგანოთა ავტორიტეტი. „ორ შემთხვევაში, — აღნიშნავენ კომენტარების ავტორები, — როცა საუბარია მეწარმის რეგისტრაციაზე ან ლიცენზიის გაცემაზე, სახეზე გვაქვს დანაშაულის საგანიც — სამეწარმეო რეესტრი და სპეციალური ნებართვა (ლიცენზია)“<sup>1</sup>.

სამეწარმეო საქმიანობად, მეწარმეთა შესახებ კანონის თანახმად, მიიჩნევა მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად.

<sup>1</sup> იხ. მზია ლეკვეიშვილი, გოჩა მამულაშვილი. პასუხისმგებლობა ეკონომიკური დანაშაულისათვის (კომენტარი). თბ., 1999. გვ. 76.

საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებია: ინდივიდუალური საწარმო, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს), კომანდიტური საზოგადოება (კს), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სააქციო საზოგადოება (სს) ან კოოპერატივი.

ინდივიდუალური მეწარმე, როგორც ინდივიდუალური საწარმოს მფლობელი, არის ფიზიკური პირი, რომლის სამეწარმეო საქმიანობისათვის აუცილებელია სამეწარმეო წესით მოწყობილი ორგანიზაცია, მოწესრიგებული საკასო და საბუღალტრო საქმე. სამართლებრივ ურთიერთობებში იგი გამოდის თავისი სახელით.

საწარმო, გარდა კოოპერატივისა, რომელშიც 50-ზე მეტი პარტნიორია ან 500-ზე მეტი თანამშრომელი, უნდა ჩამოყალიბდეს მხოლოდ სააქციო საზოგადოების ფორმით<sup>1</sup>.

ამ დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება კანონიერი სამეწარმეო საქმიანობისათვის ხელის შეშლაში. კანონიერი სამეწარმეო საქმიანობისათვის ხელის შეშლა მდგომარეობს თანამდებობის პირთა მიერ ისეთი პირობების განზრახ შექმნაში, რომლის დროსაც მეწარმეს (ფიზიკურ ან იურიდიულ პირს) არ შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ განახორციელოს თავისი საქმიანობა კანონით მისთვის დადგენილი წესით, ე. ი. მეწარმე კარგავს იმ შესაძლებლობებს, რასაც მას ანიჭებს კანონი ან კანონქვემდებარე აქტი. თანამდებობის პირთა საქმიანობის კანონიერება კი, სამეწარმეო და სხვა ეკონომიკური საქმიანობის სფეროში, განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციით, სამოქალაქო კოდექსით, მრავალრიცხოვანი კანონებითა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, რომლებშიც რეგლამენტირებულია: მეწარმის სტატუსის მიღებისა და სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების მართლზომიერების უზრუნველყოფის საფუძვლები და წესი; მეწარმის მოვალეობა სახელმწიფოსა და სამართლებრივი ურთიერთობის სხვა მონაწილეთა მიმართ; მეწარმის პასუხისმგებლობა; თანამდებობის პირთა კომპეტენცია (უფლებები და მოვალეობები) და მათ მიერ გადაწყვეტილებათა გამოტანის წესი; თანამდებობის პირთა მოქმედებების სასამართლო ან სხვაგვარი წესით გასაჩივრების შესაძლებლობა და სხვ. თანამდებობის პირთა ქმედების არამართლზო-

<sup>1</sup> დაწერილებით სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით იხ. საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ (მიღებულია 1994 წლის 28 ოქტომბერს, ხოლო ძალაში შევიდა 1995 წლის 1 მარტიდან).

მიერება დავის შემთხვევაში უნდა დადგინდეს სასამართლოების მიერ სამოქალაქო, სამეწარმეო, ადმინისტრაციული და საგადასახადო საქმეების განხილვის პროცესში.

190-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური მხარე კონკრეტულად გამოიხატება შემდეგი სახის ალტერნატიულ მოქმედებათა ჩაღენამი: ა) საწარმოს რეგისტრაციაზე დაუსაბუთებლად უარის თქმაში; ბ) სპეციალური ნებართვის (ლიცენზიის) გაცემაზე დაუსაბუთებლად უარის თქმაში; გ) ეკონომიკური საქმიანობის უფლების ან თავისუფლების შეზღუდვაში და ბოლოს, 4) მის საქმიანობაში ჩარევა, მიჩნეულია ამ დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური მხარის აუცილებელ ნიშნად.

დაუსაბუთებლად უარის თქმას საწარმოს რეგისტრაციაზე ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, თუ სათანადოდ გაფორმებული მასალა შევიდა სასამართლოში, რასაც უნდა მოჰყვეს მოსამართლის შემდგომი სავალდებულო მოქმედება – განახორციელოს რეგისტრაცია, მაგრამ იგი ამას არ აკეთებს და იღებს არამართლზომიერ გადაწყვეტილებას. სახელდობრ, დაუსაბუთებლად ამბობს უარს საწარმოს რეგისტრაციაზე და ამას ატყობინებს რეგისტრირებულ პირს. არამართლზომიერ გადაწყვეტილებას, ცხადია, მოსდევს უარყოფითი იურიდიული და ფაქტობრივი შედეგები.

დაუსაბუთებლად უარის თქმად (არამართლზომიერად) უნდა იქნას მიჩნეული ნებისმიერი უარი საწარმოს რეგისტრაციაზე (უარის გადაწვეტილების მიღების არგუმენტებისა და მოტივების მიუხედავად), თუ პირის მიერ, რომელიც პრეტენზიას აცხადებს რეგისტრაციაზე, დაცულია: კომერციული ორგანიზაციის როგორც იურიდიული პირის შექმნის წესები; დამფუძნებელი საბუთები შეესაბამება კანონს; მეწარმის სტატუსის მიღების პირობები დაცულია და შესრულებულია ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების სხვა მოთხოვნები, რომლებიც რეგლამენტირებას უწევენ საწარმოს საქმიანობას.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის თანახმად: საწარმოს რეგისტრაციას ახორციელებს სასამართლო სამეწარმეო რეესტრში სათანადო ჩანაწერებით; სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ფაქტები ჩაიწერება რეესტრის ფორმულარებში; სამეწარმეო რეესტრის მონაცემებს სასამართლო აქვეყნებს ოფიციალურ რესპუბლიკურ გაზეთში და წერილობით ატყობინებს სტატისტიკის სამსახურის ადგილობრივ ორგანოს; ჩანაწერი ქვეყნდება მთლიანად თუ კანონი



სხვა რამეს არ ითვალისწინებს; ნებისმიერ პირს შეუძლია გაეცნოს სამეწარმეო რეესტრს და მიიღოს რეესტრის ამონაწერები.

დაუსაბუთებლად უარის თქმას სპეციალური ნებართვის (ლიცენზიის<sup>1</sup>) გაცემაზე ადგილი აქვს მაშინ, როცა დარღვეულია კანონის მოთხოვნა ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის წესთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში პირს ლიცენზიის მიღების საფუძველი გააჩნია, ხოლო ლიცენზიის გამცემი ორგანო მას უკანონოდ უარს ეუბნება. „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“ კანონის<sup>2</sup> მე-7 მუხლის თანახმად ლიცენზიის მიღების საფუძველია ლიცენზიის მაძიებლის წერილობითი განცხადება. განცხადება უნდა შეიცავდეს: ა) ფიზიკური პირისათვის – სახელს, გვარს, დაბადების ადგილსა და თარიღს, სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მონაცემებს, ნომერს, პროფესიას, სამუშაო და საცხოვრებელ ადგილს; ბ) იურიდიული პირისათვის – საფირმო სახელწოდებას, ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, ადგილსამყოფელს (იურიდიულ მისამართს), წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელსა და გვარს; გ) მითითებას, თუ რომელი სახის ლიცენზიის მიღებას მოითხოვს პირი.

კომერციული ბანკებისათვის ლიცენზიის მისაღებად საჭირო საბუთების ნუსხა განისაზღვრება „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლით.

ლიცენზიის მაძიებლის წერილობით განცხადებას უნდა დაერთოს სალიცენზიო მოსაკრებელის გადახდის დამადასტურებელი საბუთი.

საქმიანობის თავისებურებიდან გამომდინარე, ლიცენზიის მისაღებად დასახელებული მე-7 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტების და პირობების დამატებითი ნუსხა შესაძლებელია განისაზღვროს მხოლოდ კანონით ან საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.

ლიცენზიის მფლობელი მისი საფირმო სახელწოდების (გვარის, სახელის) ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის, ადგილსამყოფელის შეცვლის ან რეორგანიზაციის შემთხვევაში ვალდებულია კანონით დადგენილი წესით ლიცენზიის გამცემ ორგანოს წერილობით აცნობოს

---

<sup>1</sup> ლიცენზია – ესაა კომპეტენტური ორგანოს ნებართვა განსაზღვრულ საქმიანობაზე ან ამ საქმიანობის ფარგლებში რაიმე სპეციფიკური ოპერაციების შესრულებაზე.

<sup>2</sup> საქართველოს კანონი „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“ მიღებულ იქნა 1999 წლის 14 მაისს და ძალაში შევიდა ამავე წლის 1 ივლისიდან.

ამის შესახებ და წარუდგინოს სათანადო დოკუმენტები სახელმწიფო რეგისტრაციიდან 7 დღის განმავლობაში.

ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის საფუძველთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ ლიცენზიის გამცემ ორგანოს შეუძლია ლიცენზიის გაცემაზე უარი თქვას, თუ: ა) წარდგენილი საბუთები არ აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს; ბ) ლიცენზიის მაძიებელი ითხოვს ლიცენზიას იმ საქმიანობაზე, რომელზედაც მას უკვე გაუუქმდა ლიცენზია და გაუქმებიდან არ გასულა 1 წელი; გ) ლიცენზიის მაძიებელს შეჩერებული აქვს ლიცენზია და არ არის აღმოფხვრილი ლიცენზიის შეჩერების საფუძველი. დაუშვებელია ლიცენზიაზე უარის თქმა ლიცენზირების გაცემის რაოდენობის შეზღუდვის მოტივით.

საბოლოოდ, დასკვნის სახით, შეგვიძლია ვთქვათ შემდეგი: საეციალური ნებართვის (ლიცენზიის) გაცემაზე დაუსაბუთებლად (არამართლზომიერად) უარის თქმას ადგილი აქვს მაშინ, როცა ლიცენზიის მაძიებელი, ლიცენზიის გამცემ სახელმწიფო ორგანოში, კანონით დადგენილი წესით, გაივლის რეგისტრაციას (ცხადია, იგულისხმება საჭირო დოკუმენტების წარდგენა), მაგრამ ეს უკანასკნელი დებულობს უარყოფით გადაწყვეტილებას და ამ გადაწყვეტილებას უგზავნის განმცხადებელს.

მეწარმის ეკონომიკური საქმიანობის უფლების ან თავისუფლების შეზღუდვა. ინდივიდუალური მეწარმის ან კომერციული ორგანიზაციის უფლებათა და კანონიერ ინტერესთა შეზღუდვა საორგანიზაციო-სამართლებრივი ფორმის ან საკუთრების ფორმის მიხედვით გამოიხატება თანამდებობის პირის მიერ იურიდიულ ან ფაქტობრივ მოქმედებათა შესრულებაში, რომლებიც ზღუდავენ ინდივიდუალური მეწარმის ქმედუნარიანობას ან კომერციული ორგანიზაციის უფლებუნარიანობას. უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შეზღუდვით მოქმედებები შეიძლება გამოიხატოს განსაზღვრულ ინდივიდუალურ მეწარმეებთან ან კომერციულ ორგანიზაციებთან საქონლის რეალიზაციაზე ან სამუშაოთა შესრულებაზე, სასყიდლიან მომსახურებაზე ხელშეკრულების დადების აკრძალვაში ან მასზე უკანონო ზემოქმედებაში; ხელშეკრულების დადების დროს დამატებითი პირობების თავს მოხვევაში, რაც მეწარმეს აყენებს შეგნებულად არათანაბარ მდგომარეობაში. უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შეზღუდვა, ასევე შეიძლება გამოიხატოს საწარმოო ან საორგანიზაციო-მმართველობითი საქმიანობისათვის

ხელის შეშლაში, სახელდობრ, სხვადასხვა თანამდებობაზე გარკვეულ პირთა დანიშვნის იძულებაში; ეკონომიკური სანქციებით დაბუქებაში; მოქმედებათა უკანონოდ შესრულების დაწესებაში, რაც არ არის სავალდებულო ინდივიდუალური მეწარმისათვის და კომერციული ორგანიზაციისათვის და სხვ.

მეწარმის საქმიანობაში ჩარევა. ინდივიდუალური მეწარმის ან კომერციული ორგანიზაციის საქმიანობაში სხვაგვარი უკანონო ჩარევა წარმოადგენს გადაწყვეტილებათა მიღების პროცესზე არამართლზომიერ ზემოქმედებას, რაც ზღუდავს ინდივიდუალური მეწარმის ან კომერციული ორგანიზაციის კუთვნილი უფლების განხორციელების შესაძლებლობას. ის, კერძოდ, შეიძლება განხორციელდეს აუქციონთა კრების უკანონოდ ჩატარების, დოკუმენტებისა და მატერიალურ საშუალებათა უკანონოდ ამოღების, სადგომებისა და მიწის ნაკვეთების ექსპლოატაციის დაუშვებლობისა და სხვათა გზით.

კანონიერი სამეწარმეო საქმიანობისათვის ხელის შეშლა რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. მნიშვნელოვანი ზიანი შეფასებითი კატეგორიაა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მას (ე. ი. ადგილი აქვს მნიშვნელოვანი ზიანის გამოწვევას თუ არა) წყვეტს სასამართლო.

განსახილველი დანაშაულის შემაღენლობა თავისი საკანონმდებლო კონსტრუქციის მიხედვით მატერიალურია. იგი დამთავრებულად ითვლება 190-ე მუხლის დისპოზიციაში აღნიშნული მნიშვნელოვანი ზიანის გამოწვევის მომენტიდან.

190-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტია თანამდებობის პირი, რომელსაც გააჩნია სპეციალური კომპეტენცია. ამ უკანასკნელში უნდა შედიოდეს ნორმატიულად განსაზღვრული უფლებამოსილება ინდივიდუალური მეწარმის ან კომერციული ორგანიზაციის რეგისტრაციის შესახებ, სპეციალური ნებართვის (ლიცენზიის) გაცემის შესახებ, საკონტროლო-საზედამხედველო მოქმედებების შესახებ, გადაწყვეტილებათა მიღების შესახებ, რომლებიც არეგულირებენ სამეწარმეო საქმიანობას და სხვ.

თანამდებობის პირის ანუ სპეციალური სუბიექტის სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება, კერძოდ, იმაში გამოიხატება, რომ თანამდებობის პირი ასრულებს არამართლზომიერ მოქმედებებს, რომლებიც ეხება მის კომპეტენციას, ასახულებს მათ სამსახურის

ინტერესებით. ან სახელმწიფო ორგანოს ავტორიტეტით, ანდა სახელმწიფო იძულების დახმარებით, ან სახელმწიფო ორგანოში არსებული ინფორმაციის საფუძველზე.

გასაანალიზებელი დანაშაულის სუბიექტური მხარე ხასიათდება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. ბრალდებულს (თანამდებობის პირს) გაცნობიერებული აქვს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურს ეს შედეგი, ანდა ითვალისწინებს ასეთი შედეგის განხორციელების გარდუვალობას. სხვანაირად თუ ვიტყვით, ბრალდებულს შეგნებული აქვს, რომ მისი მოქმედება ან უმოქმედობა აბრკოლებს კანონიერ სამეწარმეო საქმიანობას და სურს ეს. მიზანი და მოტივი არ წარმოადგენს სუბიექტური მხარის სავალდებულო ნიშანს და არ ექვემდებარებიან მტკიცებას, მაგრამ მათ შეუძლიათ დაახასიათონ მოცემული დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება. ამ დანაშაულის მიზნად მტკიცებულად გვევლინება ინდივიდუალური მეწარმის ან კომერციული ორგანიზაციის მიერ სამეწარმეო საქმიანობის განუხორციელებლობა ანდა მისი განხორციელება ბრალდებულის მიერ განსაზღვრულ ფარგლებსა და პირობებში. 190-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის მოტივი შეიძლება იყოს შური, შურისძიება, ანგარება, გარკვეული სამსახურის გაწევის მოთხოვნა, არასწორად გაგებული სამსახურის ინტერესები და სხვ. იმ შემთხვევაში, როცა კანონიერი სამეწარმეო საქმიანობისათვის ხელის შეშლას თან ახლავს ქრთამის გამოძალვა, მაშინ ქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით.

### §3. მიწასთან დაკავშირებული გარიგების უკანონო რეგისტრაცია (სსკ 191-ე მუხლი)

ამ მუხლის თანახმად დანაშაულადაა მიჩნეული მიწასთან დაკავშირებული გარიგების უკანონო რეგისტრაცია, სახელმწიფო მიწის კადასტრის<sup>1</sup> სააღრიცხვო მონაცემის დამახინჯება ანდა მიწის

---

<sup>1</sup> კადასტრი ფრანგული წარმოშობის სიტყვაა და აღნიშნავს ოფიციალური ორგანოს ან დაწესებულების მიერ შედგენილ სიას. სხვანაირად, ესაა რისამე შესახებ არსებულ მონაცემთა კრებული.

გადასახადის შემცირება ანგარებით ანდა სხვა პირადი მოტივით. — რაც ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ას ოთხმოც საათამდე ანდა ტუსალობით ვადით სამ თვემდე ანდა თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

მიწა, როგორც ჩვენი საზოგადოების უმნიშვნელოვანესი სიმდიდრე, არის წარმოების მთავარი საშუალება სოფლის მეურნეობაში და სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განლაგებისა და განვითარების სივრცობრივი ბაზისი. მიწის მეცნიერულად დასაბუთებული, რაციონალური გამოყენება, მისი დაცვა და ნიადაგის ნაყოფიერების ყოველი ღონისძიებით გაზრდა საყოველთაო სახალხო ამოცანაა.

მიწასთან დაკავშირებული გარიგების სამართლებრივი რეგლამენტაცია მოცემულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსში (მიღებულია 1997 წლის 2 ივნისს); საქართველოს კანონში — „სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლების შესახებ“ (მიღებულია 1996 წლის 22 მარტს); საქართველოს კანონში — „მიწის რეგისტრაციის შესახებ“ (მიღებულია 1996 წლის 14 ნოემბერს) და სხვა ნორმატიულ აქტებში.

მიწასთან დაკავშირებული გარიგების უკანონო რეგისტრაციამ შეიძლება მიგვიყვანოს მიწის შესაძლო გამოსვლამდე სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან, ერთეულთა ხელში მის კონცენტრაციამდე, არამართლზომიერი სპეკულაციის ობიექტად გადაქცევამდე, მიწის ნაკვეთების შესაკუთრეთა და სხვაგვარ მფლობელთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების შესაძლო დარღვევამდე.

განსახილველი 191-ე მუხლი ახალია. იგი ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას სპეციალური თანამდებობრივი დანაშაულის ჩადენისათვის და სრულყოფს სისხლისსამართლებრივ დაცვას მიწის (მიწის ნაკვეთების) რაციონალურად გამოყენებისა და ბრუნვის მიმართ, რაც ადრე ზორციელდებოდა საქართველოს ძველი სისხლის სამართლის კოდექსის ზოგიერთი მუხლის საფუძველზე. ამ მუხლის მიზანია სახელმწიფო აპარატის საქმიანობის კანონიერების უზრუნველყოფა მიწის (როგორც საკუთრების ობიექტისა და იმავდროულად უძვირფასესი ეროვნული საკუთრების) ბრუნვის სფეროში. მოცემული მუხლის გამოყენების სფერო განისაზღვრება მიწის ნაკვეთების სამართლებრივი ბრუნვის შინაარსითა და თანამდებობის პირთა კომპეტენციით, რომელთაც

მინიჭებული აქვთ მიწის რეგისტრაციაზე ნებართვის მიცემის, მიწის აღრიცხვის წარმოების, მიწის ნაკვეთების შეფასების, რეგისტრაციის გზით მათი სამართლებრივი რეჟიმის შეცვლა და სხვ.

ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედების საზოგადოებრივი საშიშროება გამოიხატება მიწასთან დაკავშირებული გარიგების სფეროში ეკონომიკური ინტერესების დარღვევაში. ამ შემთხვევაში ზიანი ადგება როგორც სახელმწიფოს მთლიანად, ასევე მეწარმეებსა და მოქალაქეებს, რომლებიც გვევლინებიან მიწის ნაკვეთების კანონიერი ბრუნვის მონაწილეებად.

191-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის უშუალო ობიექტია საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც არეგულირებს მიწასთან დაკავშირებული გარიგების კანონიერ რეგისტრაციას. სხვანაირად თუ ვიტყვით, მოცემული დანაშაულის ობიექტად გვევლინება ჯგუფი საზოგადოებრივი ურთიერთობებისა, რაც დაკავშირებულია სამოქალაქო სამართლის განსაკუთრებული ობიექტის – მიწის რაციონალურად გამოყენებასა და ბრუნვასთან, ასევე სახელმწიფოს მიერ მიწასთან დაკავშირებული გარიგების რეგისტრაციის წესი.

განსახილველი დანაშაულის ობიექტური მხარე ვლინდება სამი სახის დამოუკიდებელ მოქმედებაში: 1) მიწასთან დაკავშირებული გარიგების უკანონო რეგისტრაციაში; 2) სახელმწიფო მიწის კადასტრის სააღრიცხვო მონაცემის დამახინჯებაში; 3) მიწის გადასახადის შემცირებაში.

მიწასთან დაკავშირებული გარიგების<sup>1</sup> რეგისტრაციის წესი განსაზღვრულია სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმებითა და საქართველოს კანონით – „მიწის რეგისტრაციის შესახებ“. მიწის რეგისტრაციის მიზანია მიწის ნაკვეთისა და მასთან უძრავად

---

1 გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მომართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს. დაწვრილებით გარიგების ცნებასა და ბათილ გარიგებებზე იხილეთ საქართველოს სამართლის საფუძვლების მე-4 კარის (სამოქალაქო სამართალი) მე-6 თავი (სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ვალდებულებანი). ეს მონაკვეთი დაწერილია პროფესორ რომან შენგელიას მიერ. წიგნი დაიბეჭდა 2000 წელს (იხ. 128-დან 160 გვერდი).

დაკაშირებული ქონების ძიძართ უფლებათა წარმოშობის, გადაცემის, შეზღუდვის ან შეწყვეტის აღიარება და დადასტურება სახელმწიფოს მიერ. მიწის რეგისტრაციას საჯარო რეესტრში ახორციელებს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი და მისი ტერიტორიული ორგანოები ადგილებზე. გარიგების ნამდვილობის პირობებს განსაზღვრავს შესაბამისი ნორმატიული აქტები და იგი შეიძლება ეხებოდეს იჯარას, ნასყიდობას, კომერციულ საქმიანობასა და ა. შ. მიწასთან დაკავშირებული გარიგება უკანონოდ მიიჩნევა თვითონ გარიგების ფაქტის არამართლზომიერებისა და მოხელის მიერ ასეთის შეგნების შემთხვევაში. უკანონოა ასევე მცირეწლოვნის ან სასამართლოს მიერ ქმედუწუნაროდ აღიარებული პირის ნების გამოვლენა; ნების გამოვლენა ცნობიერების დაკარგვის ან დროებითი ფსიქიკური მოშლილობის დროს; ნების გამოვლენა სულით ავადმყოფის მიერ, როცა ეს არ შეესაბამება რეალური ვითარების სწორად აღქმას, თუნდაც ის არ იყოს სასამართლოს მიერ ქმედუწუნაროდ აღიარებული; ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყვეს (მოჩვენებითი გარიგება); ბათილია კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება, ასევე ნებართვის გარეშე დადებული გარიგება, თუ ამ გარიგებისათვის საჭიროა ნებართვა; გარიგება შეიძლება ბათილად ჩაითვალოს, თუ გარიგებით განსაზღვრულ შესრულებასა და ამ შესრულებისათვის გათვალისწინებულ ანაზღაურებას შორის ამკარა შეუსაბამობაა და გარიგება დაიდო მხოლოდ იმის წყალობით, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთმა მხარემ ბოროტად გამოიყენა თავისი საბაზრო ძალაუფლება ან ისარგებლა ხელშეკრულების მეორე მხარის მძიმე მდგომარეობით ან გამოუცდევლობით (გულუბრყვილობით); ბათილია გარიგება, რომელიც დაფუძნებულია ერთი მხარის მიერ მეორეზე გავლენის ბოროტად გამოყენებით, როცა მათი ურთიერთობა დაფუძნებულია განსაკუთრებულ ნდობაზე; ბათილია ნების გამოვლენა, რომელიც გაკეთებულია არასერიოზულად (ხუმრობით) იმ ვარაუდით, რომ არასერიოზულობა გამოცნობილი იქნებოდა (ნების მიმღებს უნდა აუნაზღაურდეს ის ზიანი, რომელიც წარმოიშვა იმის გამო, რომ იგი ენდობოდა ნების გამოვლენის სერიოზულობას, თუკი მან

არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა არასერიოზულობის შესახებ) და სხვ.

სახელმწიფო მიწის კადასტრის სააღრიცხვო მონაცემის დამახინჯება გამოხატულებას პოულობს სააღრიცხვო დოკუმენტებში არასწორი ფაქტობრივი და შეფასებითი მონაცემების მომზადებასა და შეტანაში. მონაცემების დამახინჯება შეიძლება ეხებოდეს მიწის ნაკვეთის ოდენობას, მის ხარისხს, სამართლებრივ რეჟიმს. დამახინჯების მიზანია არამართლზომიერი გადაწყვეტილების მიღება მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით. სახელმწიფო მიწის კადასტრს აწარმოებს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი. დანაშაული დამთავრებულად ითვლება სახელმწიფო მიწის კადასტრში ყალბი მონაცემის შეტანის მომენტიდან.

მიწის გადასახადის შემცირება მდგომარეობს სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოების მიერ დასაბეგრი ობიექტების შემცირებული ოდენობის თანხებით დაბეგვრაში. სახელდობრ, უწესდებათ სასურველი ოდენობის შემცირებული გადასახადი და სხვაგვარი გადასახდელი. მიწის ნაკვეთის გადასახადის გამოანგარიშება ხდება მიწის შეფასების საფუძველზე, რაც, თავის მხრივ, ემყარება სათანადო ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებს. საქართველოში მიწათსარგებლობა რამდენადაც ფასიანი, იმდენად მიწის მესაკუთრეები და მოსარგებლეები იხდიან მიწის გადასახადს. გადასახადის ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს საგადასახადო კოდექსი. გადასახადის განსაზღვრის საფუძველია მიწის ფართობის საკუთრების ან სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი. მიწის გადასახადი დიფერენცირებულია მისი ხარისხისა და ადგილმდებარეობის მიხედვით. გადასახადის გადამხდელთა რეგისტრაციისა და გადასახადის თანხის განსაზღვრის მიზნით, მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის ადგილობრივი ორგანოები, ყოველ საანგარიშო წელს, საგადასახადო ორგანოებს წარუდგენენ გადამხდელთა სიებს მიწის ფართობისა და გადასახადის განაკვეთის ჩვენებით. მიწის გადასახადის შემცირების კონკრეტული გამოხატულება შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთზე საიჯარო გადასახადის არსებითი შემცირება, მიწის ნაკვეთის ღირებულების შემცირება მისი ყიდვა-გაყიდვისას და სხვა კანონიერი გადასახადის შემცირება. დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის საჭიროა გადასახადის შემცირება დოკუმენტურად იყოს გაფორმებული.



191-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტური მხარე ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. თანამდებობის პირს (მოხელეს) შეგნებული აქვს, რომ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ახდენს მიწასთან დაკავშირებული გარიგების უკანონო რეგისტრაციას, სახელმწიფო მიწის კადასტრის სააღრიცხვო მონაცემის დამახინჯებას ან მიწის გადასახადის შემცირებას და სურს ასეთი მოქმედების ჩადენა. მოცემული დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელ ნიშნად გვევლინება მოტივი, რომელიც ვლინდება ანგარებით ან სხვა პირად დაინტერესებაში. ანგარებითი დაინტერესება გამოიხატება სუბიექტის მისწრაფებაში მიიღოს ქონებრივი სარგებლობა თავისთვის ან სხვა პირთა სასარგებლოდ. სხვა პირადი დაინტერესება დაკავშირებულია მისწრაფებასთან რათა მიიღოს არა-ქონებრივი ხასიათის სარგებლობა. იგი შეიძლება გამოიხატოს სურვილში, რომ მიიღოს შემხვედრი მომსახურება, ამოს (გული მოუგოს) მეგობარს, ნათესავს, „საჭირო ადამიანს“, აწყენინოს მტრებს, დაწინაურდეს სამსახურში და ა. შ.

განსახილველი დანაშაულის სუბიექტად გვევლინება სპეციალური სუბიექტი. კერძოდ, ესაა თანამდებობის პირი, რომლის მოვალეობაში შედის მიწის რეგისტრაცია, აღრიცხვა, გაზომვა, კლასიფიკაცია, მიწათმოსარგებლეებისათვის მიწის სავარგულების გამოყოფა, მიწაზე გადასახადის ოდენობის საკითხის გადაწყვეტა და სხვ.

#### §4. უკანონო სამეწარმეო საქმიანობა (სსკ 192-ე მუხლი)

ეს მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის ძალით დანაშაულადაა მიჩნეული სამეწარმეო საქმიანობა რეგისტრაციის ან სპეციალური ნებართვის (ლიცენზიის) გარეშე ანდა ლიცენზირების პირობის დარღვევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია ან რასაც თან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება, — რაც ისჯება ჯარიმით ან ტუსალობით ვადით ოთხ თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

მეორე ნაწილი დამამძიმებელ გარემოებად ითვალისწინებს იგივე ქმედებას, თუ იგი ჩადენილია: ა) ჯგუფურად; ბ) არაერთგზის;

გ) ასეთი დანაშაულისათვის მსჯავრდებულის მიერ. — რაც ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

ამ მუხლის მიზანი ისაა, რომ თავიდან იქნეს აცილებული სამეწარმეო საქმიანობის ფაქტობრივი გადასვლა უკანონო ანუ „ჩრდილოვანი“ ეკონომიკის სფეროში და შესაბამისად სახელმწიფო კონტროლის სფეროდან მისი გამოსვლის შესაძლებლობა. სახელმწიფოს მხრიდან სამეწარმეო საქმიანობაზე კონტროლის განუხორციელებლობას კი, როგორც წესი, მოსდევს მეწარმეთა მიერ კანონიერ მოვალეობათა შეუსრულებლობა, რაც, ცხადია, ზიანს აყენებს სახელმწიფოს, საზოგადოებისა და მოქალაქეთა ინტერესებს.

განსახილველი მუხლი მიმართულია ისეთი უკანონო სამეწარმეო საქმიანობის წინააღმდეგ, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია ან რასაც თან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება.

„მოცემული მუხლის გამოყენების სფეროა სამეწარმეო საქმიანობა წარმოების, ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში, თანაც თუ იგი ხორციელდება კანონით დადგენილი სარეგისტრაციო და ნებართვითი წესის გარეშე. ასეთ საქმიანობას შეიძლება ჰქონდეს მასობრივი ხასიათი, მაგრამ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა იგი (საქმიანობა) ხდება საზოგადოებრივად საშიში და იგი აკრძალულია სისხლის სამართლის კანონით“<sup>1</sup>.

უკანონო სამეწარმეო საქმიანობის ობიექტია საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოს მიერ დადგენილი სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების ნორმალურ წესს. სხვანაირად თუ ვიტყვით, განსახილველი დანაშაულის უშუალო ობიექტია სამეწარმეო საქმიანობის რეგისტრაციისა და ლიცენზირების დადგენილი წესი.

უკანონო სამეწარმეო საქმიანობის ობიექტური მხარე ითვალისწინებს ამ ქმედების ჩადენის სამ ფორმას, კერძოდ, სამეწარმეო საქმიანობას: 1) რეგისტრაციის გარეშე; 2) სპეციალური ნებართვის (ლიცენზიის) გარეშე; 3) ლიცენზირების პირობის დარღვევით. აღნიშნულმა ქმედებებმა, ცხადია, მნიშვნელოვანი ზიანი უნდა გამოიწვიოს ან მას თან უნდა ახლდეს დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება.

---

1 Комментарий к Уголовному кодексу Российской Федерации. Особенная часть. Под ред. Ю. И. Скуратова и В. М. Лебедева. М., 1996, с. 168.

სამეწარმეო საქმიანობა რეგისტრაციის გარეშე. სამეწარმეო საქმიანობად, როგორც უკვე შევნიშნეთ. მიიჩნევა მართლზომიერი და არაერთგვრადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად. სამეწარმეო საქმიანობის სახეები განსაზღვრულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, „მეწარმის შესახებ“ კანონით, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ კანონით, „ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონითა და სხვა ნორმატიული აქტებით. სამეწარმეო საქმიანობა – ესაა საკუთარი რისკით განხორციელებული საქმიანობა, რომელიც მიმართულია იქეთქენ, რომ მიღებულ იქნას სისტემატური მოგება ქონების სარგებლობიდან, საქონლის გაყიდვიდან, სამუშაოს შესრულებიდან ან მომსახურების გაწევიდან. სამეწარმეო საქმიანობა შეუძლიათ შეასრულონ პირებმა, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან როგორც მეწარმენი კანონის მიერ დადგენილი წესით. სამეწარმეო საქმიანობას ფაქტობრივად და იურიდიულად ადგილი აქვს ქონების არენდით<sup>1</sup> მიცემისა და ქონების შესანახად მიღებისას; სამედიცინო, სატრანსპორტო, ვეტერინარული, აუდიტორული<sup>2</sup>, საკონსულტაციო მომსახურების, კავშირგაბმულობის

---

<sup>1</sup> არენდა (ლათ. არენდარე – ქირით გაცემა) ეკონომიკური კატეგორიაა, რომელიც აღნიშნავს ქონებრივ ქირას დადებული ხელშეკრულების თანახმად, რომლის მიხედვით ერთი მხარე – ქონების მესაკუთრე (არენდის გამცემი) გადასცემს მეორე მხარეს – ფუნქციონერს (მოარენდეს, არენდატორს) რომელიც ქონების მფლობელობისა და გამოყენების უფლებას განსაზღვრული ვადით და გარკვეულ საზღაურად. არენდა თავის მხრივ არ იწვევს საკუთრების უფლების შეცვლას – ქონების მესაკუთრედ კვლავ რჩება არენდის გამცემი. ქონების გამოყენების შედეგები და მისგან მიღებული შემოსავალი არენდატორის საკუთრებაა. არენდაში შეიძლება გადაეცეს მიწა, შენობები, ნაგებობები, საწარმოები, წარმოების საშუალებები და სხვა. მოარენდე ვალდებულია იხადოს საარენდო გადასახადი შრომითი საქმიანობის შედეგების მოუხედავად.

<sup>2</sup> აუდიტორი – ესაა დამოუკიდებელი შემოწმებელი (რევიზორი) აუდიტორთა ფირმიდან. ბანკების ან კომპანიების შეკვეთის საფუძველზე ასეთი ფირმები ატარებენ მათ რეგულარულ შემოწმებებს რათა დაადგინონ მათი გამძნდელოუნარიანობა, ფინანსური მდგომარეობა, რენტაბელობა; ანალიზებენ საწარმოთა კომერციულ საქმიანობას, გასცემენ ინფორმაციას ბაზრის მდგომარეობაზე, აკეთებენ მათი ცვლილებების პროგნოზირებას. რაც შეეხება აუდიტს – ესაა კვალიფიციური სპეციალისტების (აუდიტორების) მიერ კომპანიის ბუღალტრული ანგარიშების შემოწმება (რევიზია), მიზნად ისახავს აღრიცხვის შესაბამისობის დადგენას დაწესებული ანგარიშების წესებთან და სტანდარტებთან.

სამსახურის. ტურისტული მომსახურების გაწევისა და შესრულებისას; აგრეთვე სხვა ანალოგიური ხასიათის მოქმედებათა განხორციელებისას, რომლებიც არ ეწინააღმდეგება კანონს.

სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება თავისი შინაარსის მიხედვით არის პირის მიერ მოქმედებათა სისტემატური შესრულება, რომელსაც გააჩნია გარკვეული ერთიანობა და მიზნად ისახავს მოგების მიღებას (ცხადია, მოგების მიღება ემყარება შესაძენ პირთა მიერ შეთავაზებული სასყიდლიანი მომსახურების განხორციელებას). სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებულად ჩათვლის საკითხი უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ სასყიდლიან მოქმედებათა ხანგრძლივობისა და ინტენსიურობის, მიღებული მოგების ოდენობისა და სხვა ფაქტორთა მხედველობაში მიღებით. სამეწარმეო საქმიანობა არ ითვლება განხორციელებულად იმ შემთხვევაში, როცა ადგილი აქვს ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი მოქმედების შესრულებას და რაც, თავის მხრივ, დაკავშირებულია სასყიდლიან მომსახურებასთან (მაგალითად, ნაცნობ – მეგობრებისათვის მანქანის რემონტი).

საქმიანობა, რომელიც თავისი შინაარსით უკანონოა იგი არ ექვემდებარება რეგისტრაციას (მაგალითად, პროსტიტუცია). როგორც უკვე აღვნიშნეთ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების სტატუსს მეწარმე იძენს სამეწარმეო საქმიანობის რეგისტრაციის შემდეგ. სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით სამეწარმეო საქმიანობის რეგისტრაცია იმპერატიული მოთხოვნაა და იგი ყველა მეწარმემ უნდა დაიცვას.

სამეწარმეო საქმიანობა სპეციალური ნებართვის (ლიცენზიის<sup>1</sup>) გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ მეწარმეს შეუძლია განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რაც კანონით აკრძალული არაა, სამეწარმეო საქმიანობის ზოგიერთი სახე მაინც მოითხოვს სპეციალურ ნებართვას (ლიცენზიას). ლიცენზიის მიღების შემდეგ მეწარმე ახორციელებს თავის კანონიერ სამეწარმეო საქმიანობას. ლიცენზიით ნებადართული საქმიანობის სახეებსა და ლიცენზიის გაცემაზე უფლებამოსილ ორგანოთა შესახებ საზგასმულია საქართველოს კანონში „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“ (რომელიც მიღებულ იქნა 1999 წლის 14 მაისს, ხოლო ძალაში

---

<sup>1</sup> ლიცენზია (ლათ. ლიცენზია – ნებართვა) – ესაა ნებართვა, გაცემული კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ ცალკეულ პირებზე ან ორგანიზაციებზე.

შევიდა 1999 წლის 1 ივლისიდან). სახელდობრ, ამ კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად ლიცენზირებას საჭიროებს: ა) სადაზღვევო საქმიანობა და დაზღვევის სფეროში საშუაშელო საქმიანობა, რაზედაც ლიცენზიას გასცემს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური; ბ) საბანკო საქმიანობა, ვალუტის გადამცვლელი პუნქტების საქმიანობა – ლიცენზიას გასცემს საქართველოს ეროვნული ბანკი; გ) იარაღისა და საბრძოლო მასალების დამზადება, შეკეთება, ვაჭრობა – ლიცენზიას გასცემს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო (საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მიერ განსაზღვრული კვოტირების ფარგლებში); დ) საჰაერო გადაზიდვა-გადაყვანა, საზღვაო გადაყვანა და ბუქსირზიდვა – ლიცენზიას გასცემს საქართველოს ტრანსპორტის სამინისტრო; ე) ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილეების საქმიანობა (საბროკერო კომპანიების, ბროკერების, საფონდო ბირჟების, ფასიანი ქაღალდების დეპოზიტორებისა<sup>1</sup> და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორების საქმიანობა) – ლიცენზიას იძლევა საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; 3) ლატარიებისა და სხვა მომგებიანი თამაშების მოწყობა – ლიცენზიას გასცემს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; ზ) სამკურნალო საშუალებებისა და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების, ვეტერინარიაში გამოსაყენებელი სამკურნალო საშუალებების დამზადება, სამედიცინო დაწესებულებების საქმიანობა – ლიცენზიას გასცემს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო; თ) ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური დათვალიერებისათვის აუცილებელი დიაგნოსტიკური ცენტრების საქმიანობა – ლიცენზიას გასცემს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; ი) საპროექტო-სამშენებლო საქმიანობა – ლიცენზიას გასცემს საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრო (კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში); კ) სააუდიტორო ფირმების საქმიანობა – ლიცენზიას იძლევა საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორიული საქმიანობის საბჭო; ლ) კერძო აღმზრდელობით-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობა – ლიცენზიას გასცემს საქართველოს

<sup>1</sup> დეპოზიტორი – ესაა დეპოზიტის მენაბრე. თვით დეპოზიტი კი არის თანხა ან ფასიანი ქაღალდი, შეტანილი საკრედიტო დაწესებულებაში (ბანკში, შემნახველ საღაროში და მისო) კრედიტორისათვის გადასაცემად.

განათლების სამინისტრო; მ) მეტროლოგიური<sup>1</sup> და გაზომვათა საშუალებების წარმოება და შეკეთება – ლიცენზიას გასცემს საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის დეპარტამენტი.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამეწარმეო საქმიანობის რეგისტრაციის ან სპეციალური ნებართვის (ლიცენზიის) აღების შეუსრულებლობას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც მოქმედი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების მოთხოვნის შესაბამისად პირი (მეწარმე) ვალდებულია მიმართოს უფლებამოსილ ორგანოს რათა მათ მოახდინონ მისი საქმიანობის რეგისტრაცია ან გასცენ მასზე ლიცენზია (ან განუხლონ იგი), მაგრამ მეწარმე ამას არ აკეთებს, ე. ი. ავლენს უმოქმედებას. როგორც ვხედავთ რეგისტრაციისა და სპეციალური ნებართვის (ლიცენზიის) მიღების წესის დაცვის საჭიროება განსაზღვრულია ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებით.

სამეწარმეო საქმიანობა ლიცენზირების პირობის დარღვევით. ასეთ დარღვევებს მიეკუთვნება ისეთი საქმიანობა, რომელიც მითითებული არაა ლიცენზიაში (მაგალითად, ვეტექიში, რომელსაც აქვს ლიცენზია ვეტერინარული პრაქტიკის განსახორციელებლად, მკურნალობს ადამიანებს), ან სამეწარმეო საქმიანობის გაგრძელება ვადაგასული ლიცენზიის გამოყენებით, ანდა იმ წესების დარღვევით რაც დათქმული იყო ლიცენზიის გაცემისას, ასევე სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება არა იმ ადგილას რაც მითითებულია ლიცენზიაში და სხვ.

განსახილველი დანაშაული მატერიალური შემადგენლობისაა. თანაც დანაშაულის დამთავრების მომენტი არაა დამოკიდებული ამ დანაშაულის კონკრეტულ ფორმაზე. იგი დამთავრებული იქნება მას შემდეგ, თუ უკანონო სამეწარმეო საქმიანობამ მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ან თუ მას ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება. თუ რა უნდა იქნას მიჩნეული „მნიშვნელოვანი ზიანის გამოწვევად“ ან „დიდი ოდენობით შემოსავლის მიღებად“ ამას წყვეტს სასამართლო.

192-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტია პირი, რომელსაც შესწევს უნარი თავისი მოქმედებით შეიძინოს სამოქალაქო უფლებები და იკისროს სამოქალაქო ვალდებულებანი (სამოქალაქო ქმედუნარიანობა), მათ შორის განახორციელოს

---

<sup>1</sup> მეტროლოგია – არის მეცნიერება ზომათა და წონათა შესახებ; მეორენაირად – ესაა საზომ-საწონთა-მცოდნეობა.

სამეწარმეო საქმიანობა. სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება საერთო წესის თანახმად შეუძლია ფიზიკურ პირს 18 წლის ასაკიდან. 16 წელს მიღწეულ არასრულწლოვანსაც აქვს უფლება ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას (ამ შემთხვევაში საჭიროა მათი მშობლების, მშვილებლისა და მზრუნველის თანხმობა). აქედან გამომდინარე სწორი იქნება თუ ვიტყვი, რომ განსახილველი დანაშაულის სუბიექტია ყოველი შერაცხადი ფიზიკური პირი 16 წლის ასაკიდან. რაც შეეხება სამეწარმეო საქმიანობას ლიცენზირების პირობის დარღვევით, ამ შემთხვევაში დანაშაულის სუბიექტია მხოლოდ მეწარმე, რომელსაც გააჩნია შესაბამისი ლიცენზია.

გასაანალიზებელი დანაშაულის სუბიექტური მხარე გამოხატულია განზრახი ბრალის ფორმით. ეს უკანასკნელი შეიძლება გამოიხატოს როგორც პირდაპირ, ასევე არაპირდაპირ (ირიბ, ევენტუალურ) განზრახვაში. მაგალითად, თუ უკანონო სამეწარმეო საქმიანობამ მნიშვნელოვანი ზიანი მიყენა მოქალაქეებს, ორგანიზაციებს ან სახელმწიფოს, მაშინ პირის დამოკიდებულება ქმედებისადმი შეიძლება გამოიხატოს განზრახვის ნებისმიერ ფორმაში. ხოლო თუ უკანონო სამეწარმეო საქმიანობა დაკავშირებულია დიდი ოდენობით შემოსავლის მიღებასთან, მაშინ პირის დამოკიდებულება ქმედებისადმი ვლინდება მხოლოდ პირდაპირ განზრახვაში. მოტივებიდან მეტწილად დომინირებს ანგარება.

რუსულ სახელმძღვანელოში ხაზი გაესმის იმას, რომ უკანონო სამეწარმეო საქმიანობამ შეიძლება გამოიწვიოს შედეგი გაუფრთხილებლობის ფორმითაც. მაგალითად, ადამიანის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება, რაც დაკავშირებულია სამედიცინო პრაქტიკის განხორციელებისას ლიცენზირების პირობის დარღვევასთან<sup>1</sup>.

192-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ დამამძიმებელ გარემოებებიდან უკანონო სამეწარმეო საქმიანობა ჩაღვნილი ჯგუფურად უნდა გავიგოთ ისეთნაირად, როცა აღნიშნული დანაშაულის განხორციელებაში წინასწარ შეუთანხმებლად ერთობლივად მონაწილეობდა ორი ან მეტი ამსრულებელი (იხ. 27-ე მუხლის პირველი ნაწილი).

---

<sup>1</sup> იხ. Уголовное право Российской Федерации. Особенная часть: Учебник. Под редакцией Б. В. Здравомыслова – Изд. 2-е, М., 1999. с. 192.

უკანონო სამეწარმეო საქმიანობა ჩადენილი არაერთგზის ნიშნავს დამნაშავეს მიერ ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენას. სსკანაირად თუ ვიტყვი, 192-ე მუხლით (უკანონო სამეწარმეო საქმიანობა) ან ამ მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენას. დანაშაული არაერთგზის ჩადენილად არ ჩაითვლება, თუ კანონით დადგენილი წესით პირი წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის გათავისუფლებული იყო სისსლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ანდა თუ მას წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული ჰქონდა.

„ასეთი დანაშაულისათვის მსჯავრდებულის მიერ“ უნდა გავიგოთ ისეთნაირად, როცა უკანონო სამეწარმეო საქმიანობისათვის ადრე მსჯავრდებული პირი კვლავ ჩადის ასეთივე დანაშაულს. როგორც ვხედავთ აქ სპეციალურ რეციდივთან გვაქვს საქმე და მას კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა ექნება მაშინ, თუ წინა ნასამართლობა გაქარწყლებული ან მოხსნილი არ იქნება კანონით დადგენილი წესით.

## §5. ცრუ მეწარმეობა (სსკ 193-ე მუხლი)

ამ მუხლის მიხედვით დანაშაულადაა მიჩნეული ცრუ მეწარმეობა, ესე იგი საწარმოს შექმნა სამეწარმეო საქმიანობის განზრახვის გარეშე, კრედიტის ან სხვაგვარი ქონებრივი სარგებლობის მიღების ანდა აკრძალული საქმიანობის დაფარვის მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, — რაც ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

ბაზარი, როგორც სავსებით სამართლიანადაა აღნიშნული ცივილურ ლიტერატურაში, ეკონომიკის აუცილებელი და ორგანული ელემენტია. ბაზრის ყველა მნიშვნელოვანი ფუნქცია ზორციელდება მისი მონაწილეების კავშირის შედეგად, რომელშიაც თითოეული მოქმედებს თავისი ინტერესებისა და მოგების შესაბამისად. ამასთან აუცილებელია, რომ ეს საქმიანობა იყოს საზოგადოებრივად სასარგებლო და კანონიერი.



რაც შეეხება საწარმოს შექმნას სამეწარმეო საქმიანობის განზრახვის გარეშე, ეგრეთ წოდებულ ცრუ მეწარმეობას, მას კანონმდებელი დასჯად მიიჩნევს.

განსახილველი 193-ე მუხლის მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ უზრუნველყოს სამეურნეო ბრუნვის საიმედოობა; ბაზარზე საქმიანობის წესის დაცვა; საზოგადოების, სახელმწიფოსა და მოქალაქეების ეკონომიკური ინტერესების დაცვა ქონებრივი ზიანისაგან, კერძოდ, გადასახადებისა და კრედიტების დარგში. აღნიშნული მუხლის გამოყენების სფეროა ფორმალურად შექმნილი ლეგიტიმური საწარმოს საქმიანობა, რომლის დანიშნულებაა კრედიტორების მოტყუება, სხვა სახის საქმიანობის განხორციელება და ა. შ. ასეთი საწარმოები, როგორც წესი, მცირე დროის მანძილზე არსებობს და ისინი ხშირად ქრებიან ცალკეულ გარიგებათა დადების შემდეგ.

გასაანალიზებელი დანაშაულის უშუალო ობიექტია სამეწარმეო საქმიანობის წარმართვის დადგენილი წესი. ფაქულტატურ უშუალო ობიექტად გვევლინება მოქალაქეთა, ორგანიზაციათა ან სახელმწიფოს უფლებები და ინტერესები.

ცრუ მეწარმეობის ობიექტური მხარე მოიცავს: ა) საწარმოს<sup>1</sup> შექმნას სამეწარმეო საქმიანობის განზრახვის გარეშე; ბ) მნიშვნელოვან ზიანს; გ) მიზეზობრივ კავშირს ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. სხვანაირად თუ ვიტყვი, ცრუ მეწარმეობის ობიექტური მხარე ხასიათდება საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩადენით, საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომითა და აუცილებელი მიზეზობრივი კავშირის არსებობით ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.

საწარმოს (იურიდიული პირის) შექმნის წესი განსაზღვრულია კანონით „მეწარმეთა შესახებ“. საწარმოს შექმნა მოიცავს სადამფუძნებლო დოკუმენტების მომზადებას საწარმოს რეგისტრაციისა და ლიცენზიის მიღებისათვის. საწარმოს რეგისტრაციისა და ლიცენზიის მიღებით სრულდება საწარმოს შექმნის პროცესი. შემდგომში ცრუ მეწარმეები ჩადიან ისეთ მოქმედებას, რაც ზიანს აყენებს სახელმწიფოს, საზოგადოებისა და მოქალაქეთა კანონიერ ინტერესებს. კერძოდ, იღებენ სესხებს, კრეფენ ფულად სახსრებს ან იწყებენ აკრძალულ საქმიანობას.

<sup>1</sup> საწარმო – ესაა წარმოებითი ერთეული, რომელიც უშვებს პროდუქციას.

საწარმოს შექმნა სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების განზრახვის გარეშე სახეზეა იმ შემთხვევაში, როცა სუბიექტი არ ასრულებს იმ მოქმედებებს, რაც გამომდინარეობს იურიდიული პირის სადამფუძნებლო დოკუმენტებიდან. ესე იგი საქმიანობის განუხორციელებლობა გამოიხატება უმოქმედებაში, მოვალეობის შეუსრულებლობაში. კრედიტის ან სხვა ქონებრივი სარგებლობის მიღებასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ ყოველივე ამის მიღებას ცრუ მეწარმე უკანონო მოქმედებების ჩადენით აღწევს. აკრძალული საქმიანობის დაფარვა მდგომარეობს სისტემატურად მოჩვენებითი გარიგებების დადებაში, რასაც სულ სხვა შედეგები მოსდევს, ვიდრე ამას სადამფუძნებლო დოკუმენტები ითვალისწინებს. საკანონმდებლო კონსტრუქციის მიხედვით 193-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობა მატერიალურია. იგი დამთავრებულად ითვლება მნიშვნელოვანი ზიანის გამოწვევის მომენტიდან. ეს უკანასკნელი შეფასებითი კატეგორიაა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში (საქმის ვითარებიდან გამომდინარე) მას წყვეტს სასამართლო.

დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელსაც შეუსრულდა 16 წელი და რომელიც ქმნის საწარმოს სამეწარმეო საქმიანობის განზრახვის გარეშე.

სუბიექტური მხრივ ცრუ მეწარმეობა ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. ბრალდებულს გაცნობიერებული აქვს, რომ ქმნის საწარმოს სამეწარმეო საქმიანობის განზრახვის გარეშე, ითვალისწინებს მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების შესაძლებლობას ან გარდუვალობას მოქალაქეებზე, ორგანიზაციებსა და სახელმწიფოზე და სურს ასეთი ქონებრივი ზიანის მიყენება მათთვის. სუბიექტური მხარის აუცილებელ ნიშნად გვევლინება სპეციალური მიზანი — კრედიტის ან სხვაგვარი ქონებრივი სარგებლობის მიღება ანდა აკრძალული საქმიანობის დაფარვა.

## §6. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (სსკ 194-ე მუხლი)

ეს მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის ძალით დანაშაულადაა მიჩნეული უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ესე იგი ფულისათვის ან სხვა ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემა,

აგრეთვე უკანონო შემოსავლის წყაროს, ადგილმდებარეობის, განთავსების, მოძრაობის, ქონების ნამდვილი მესაკუთრის ან მფლობელის ანდა ქონებრივი უფლების დამალვა, — რაც ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

მეორე ნაწილი დამამძიმებელ გარემოებად ითვალისწინებს იგივე ქმედებას, ჩადენილს: ა) ჯგუფურად; ბ) არაერთგზის; გ) საშსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით; დ) რასაც თან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება, — რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ათ წლამდე და ჯარიმით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 1988 წელს გადაწყვიტა შეეშუშავენინა ფულის გათეთრებასთან (გარეცხვასთან) ბრძოლის სტრატეგია. 1989 წელს დიდი შეიღეულის ქვეყნების ხელმძღვანელები შეთანხმდნენ მოცემული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შესახებ. 1990 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ აღნიშნულ საკითხზე მიღებულ იქნა 40-მდე რეკომენდაცია, რომელსაც მხარი დაუჭირა მსოფლიოს 26 ქვეყანამ. ფულის გათეთრება (გარეცხვა) ისჯება საქართველოშიც. კონვენციების მიხედვით ფულის ლეგალიზაცია გაგებულა, როგორც დანაშაულის ჩადენის შედეგად მოპოვებული ფულის კონვერტირება, გადაადგილება.

194-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების კრიმინალიზაცია მიზნად ისახავს ქვეყნის ეკონომიკური სისტემისა და, უპირველეს ყოვლისა, ფულად-საკრედიტო სისტემის დაცვას დიდი მოცულობის არაკონტროლირებადი ფულადი სახსრების შემოსვლისაგან. აკრძალვის მიზანი, ასევე მდგომარეობს დანაშაულებრივი საქმიანობის თავიდან აცილებაში. დანაშაულებრივი საქმიანობა კი ამ შემთხვევაში მიმართულია მოგების მისაღებად, რაც ხორციელდება ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფებისა და იმ პირების მიერ, რომლებიც ჯგუფის წევრები არ არიან. ამ მუხლის გამოყენების სფეროა სხვადასხვა სახის ლეგალური და არალეგალური სამეწარმეო საქმიანობა, რომელთა მეშვეობითაც სამართალდამრღვევები უკანონოდ ღებულობენ ფულად სახსრებს, ქონებასა და ა. შ. ეს მუხლი ვრცელდება ისეთ მოქმედებებზე, რაც დაკავშირებულია საბანკო საქმიანობიდან, საბითუმო და საცალო ვაჭრობიდან, სათამაშო ბიზნესიდან, მომსახურებიდან, წარმოების სხვადასხვა დარგებიდან და ა. შ., უკანონოდ მიღებული სახსრების გამოყენებასთან. მოცემული სისხლისსმართლებრივი აკრძალვის სფეროს განსაზღვრისას გათვალისწინებულია ფულადი რესურსების მოძრაობის

სოციალურ-ეკონომიკური კანონზომიერებანი. მათი გამოყენებისა და მათ წარმომოხაზე კონტროლის გაწვევის შესაძლებლობა. „მოცემული მუხლით პასუხისმგებლობის დადგომა გულისხმობს სხვა პირის მიერ წინა ქმედების ჩადენას, ე. ი. ქონების შეძენას წინასწარი შეცნობით უკანონო გზით და აგრეთვე ძირითადი ქმედების ჩადენას, რომელშიც შედის ან ამ დანაშაულის სუბიექტის მიერ ფინანსური ოპერაციების ჩატარება და სხვადასხვა სახის ქონებრივი გარიგებების დადება (რომელიც წარმოადგენს წინა ქმედების საგანს), ან ამ ქონების გამოყენება სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად“<sup>1</sup>. წინასწარი შენობით უკანონო გზით შეძენილი ქონების ცნება მოიცავს ქონების დაუფლებას ან მასზე ფაქტობრივი უფლებების მიღებას საჭირო სამართლებრივი საფუძვლების გარეშე; სახელდობრ, ბათილი გარიგების, დანაშაულის ჩადენის, უსაფუძვლო გამდიდრების, ნელლეულის უკანონო გადაქმუშავების, თვითნებური მშენებლობის გზით და სხვ.

განსახილველი დანაშაულის ობიექტია კანონიერი სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის ინტერესები. შემაღვენელობის აუცილებელ ელემენტად გვევლინება დანაშაულის საგანი, სახელდობრ, ფული ან სხვა ქონება. ფული შეიძლება იყოს როგორც ეროვნული ასევე უცხოური, ხოლო ქონება როგორც მოძრავი ასევე უძრავი.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება ორი სახის ქმედების ჩადენაში: 1) უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში (ესე იგი ფულისათვის<sup>2</sup> ან სხვა ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემა) და 2) უკანონო შემოსავლის წყაროს, ადგილმდებარეობის, განთავსების, მოძრაობის, ქონების ნამდვილი მესაკუთრის ან მფლობელის ანდა ქონებრივი უფლების დამალვაში. სისხლის სამართლის კოდექსის განსახილველი მუხლი არ აკონკრეტებს უკანონოდ მიღებული შემოსავლის ლეგალიზაციის ხერხებს. საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის განზოგადებით კი დადგენილია უკანონო შემოსავლების

---

<sup>1</sup> იხ. Комментарий к Уголовному кодексу Российской Федерации. Особенная часть. Под редакцией Ю. И. Скуратова и В. М. Лебедева. М., 1996, с. 174.

<sup>2</sup> ფული არის ლითონის ან ქაღალდის ნიშანი, რომელიც წარმოადგენს ღირებულების საზომს ყიდვა-გაყიდვისას. იგი ღირებულების საყოველთაო კვივალენტია.

გათეთრების (გარეცხვის) ხერხების მრავალგვარობა. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მექანიზმი ასეთნაირად გამოიყურება: ნაღდი ფული გარდაიქმნება სხვა ღირებულებად. კერძოდ, საბანკო ანაბრად ან უძრავ ქონებად. ეს უკანასკნელი შემდგომ იყიდება და მიღებული შემოსავალი კანონიერ ელფერს იძენს; ან კიდევ, „ჭუჭყიანი“ ფულის ინტეგრირება ხორციელდება ქვეყნის შიდა საფინანსო სისტემაში ან მისი ექსპორტირება ხდება ლიბერალური საფინანსო სისტემის მქონე ქვეყნებში და იქედან ფული ბრუნდება კანონიერი გადარიცხვების ფორმით.

უკანონო შემოსავლების გათეთრების საკითხზე ყურადღებას ამახვილებს ვ. ლარიჩევი თავის საჟურნალო სტატიაში. მისი აზრით უკანონო შემოსავლების გათეთრების სხვადასხვა ხერხი არსებობს. ამასთანავე ნაღდი ფული გარდაიქმნება სხვა ფასეულობად (მაგალითად, ანაბრებად ბანკში, უძრავ ქონებად და ა. შ.), ეს უკანასკნელი ერთვება რა ლეგალურ ბრუნვაში, ამდენად იგი გამოიყურება როგორც კანონიერი. „ჭუჭყიანი“ ფული შედის რუსეთის საფინანსო სისტემაში (ბანკებში და სხვა საფინანსო დაწესებულებებში) ან ექსპორტირდება მკაცრი საფინანსო კონტროლის ქვეყნებიდან ნაკლებად მკაცრი საფინანსო კონტროლის ქვეყნებში. ინტეგრირდება საზღვარგარეთის საფინანსო სისტემაში და ბრუნდება ჩვენს ქვეყანაში კანონიერი გზავნილების ფორმით. ხშირად ამ მიზნით იქმნება ცრუ კომპანიები და აქციონერული საზოგადოებები!

„მსოფლიო პრაქტიკაში აღიარებულია „ჭუჭყიანი“ ფულის ლეგალიზაციის სამი საფეხური: პირველი – ფულის განთავსება (საბანკო გადარიცხვა სხვა რომელიმე ქვეყანაში); მეორე – მრავალჯერადი საბანკო ოპერაციები ერთი ქვეყნიდან მეორეში (ეს ხელს უწყობს ფულის წარმომავლობის გზის აბნევას) და მესამე – ინტეგრირება (მოპოვებული ფულის ეკონომიკაში განთავსება ან უძრავ ქონებაში დაბანდება, როგორც კანონიერის). 194-ე მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე, უნდა ვიგულისხმოთ რომ კანონი კრძალავს უკანონოდ მიღებული ფულადი სახსრების ლეგალურ ბრუნვაში გაშვებას, ნებისმიერ ფინანსურ ოპერაციასა და გარიგებას უკანონო გზით

---

<sup>1</sup> იხ. Ларичев В. Д. Совершенствование законодательства о борьбе с "отмыванием" денег, полученных преступным путем. Журнал "Государство и право", №2, 1992, с. 11.

მიღებული შემოსავლებიდან ან კიდევ მათ გამოყენებას სამეწარმეო ან სხვაგვარ ეკონომიკურ საქმიანობაში<sup>1</sup>.

განსახილველი დანაშაულის ობიექტური მხარის მეორე ნიშანი (უკანონო შემოსავლის წყაროს, ადგილმდებარეობის, განთავსების, მოძრაობის, ქონების ნამდვილი მესაკუთრის ან მფლობელის ანდა ქონებრივი უფლების დამალვა) უმოქმედობაში ვლინდება. ამ შემთხვევაში, კანონის მოთხოვნის ძალით, პირი ვალდებულია მიუთითოს უკანონო შემოსავლის წყაროს, ადგილმდებარეობას, განთავსებას, მოძრაობასა და ა. შ., მაგრამ ამას არ აკეთებს, ესე იგი იჩენს უმოქმედობას.

საკანონმდებლო კონსტრუქციის მიხედვით მოცემული დანაშაულის შემადგენლობა ფორმალურია.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის, ესე იგი ფულისათვის ან სხვა ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემის მომენტიდან, აგრეთვე უკანონო შემოსავლის წყაროს, ადგილმდებარეობის, განთავსების, მოძრაობის, ქონების ნამდვილი მესაკუთრის ან მფლობელის ანდა ქონებრივი უფლების დამალვის მომენტიდან.

სუბიექტური მხრივ 194-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. პირს გაცნობიერებული აქვს, რომ ჩადის მოქმედებას, რომელიც მიმართულია უკანონო გზით მიღებული შემოსავლის ლეგალიზაციაზე და სურს იგი. რაც შეეხება მოტივსა და მიზანს იგი ანგარებაში გამოიხატება.

ამ დანაშაულის სუბიექტია ყოველი შერაცხადი ფიზიკური პირი 14 წლის ასაკიდან.

პასუხისმგებლობის ოთხ დამამძიმებელ გარემოებიდან შეეჩერდებით მხოლოდ ორ მათგანზე, სახელდობრ, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით და რასაც თან ახლდა დიდი შემოსავლის მიღება. სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას ადგილი აქვს მაშინ, როცა დანაშაულის სუბიექტია სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს თანამდებობის ან კიდევ სამეწარმეო თუ სხვა ორგანიზაციაში

---

<sup>1</sup> იხ. შხია ლეკვეიშვილი, გოჩა მამულაშვილი. პასუხისმგებლობა ეკონომიკური დანაშაულისათვის (კომენტარი). თბ., 1999, გვ. 90.

ხელმძღვანელობითი ფუნქციის შემსრულებელი პირი. რაც შეეხება დიდი ოდენობით შემოსავლის მიღების საკითხს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისას, ამას წყვეტს სასამართლო საქმის კონკრეტულ გარემოებათა გათვალისწინების საფუძველზე.

## §7. მონოპოლიური საქმიანობა და კონკურენციის შეზღუდვა (სსკ 195-ე მუხლი)

ეს მუხლი სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის ძალით დანაშაულადაა მიჩნეული მონოპოლიური საქმიანობა მონოპოლიურად მაღალი ან დაბალი ფასების დაწესებით, აგრეთვე კონკურენციის შეზღუდვა ბაზრის გაყოფის, ბაზარზე გავლენის შენარჩუნების, ეკონომიკური საქმიანობის სხვა სუბიექტის ბაზრიდან გაძევების ანდა ერთიანი საბაზრო ფასის დადგენის ან შენარჩუნების გზით, — რაც ისჯება ჯარიმით ან ტუსალობით ვადით სამ თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

მეორე ნაწილი დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევს იგივე ქმედებას თუ იგი ჩადენილია: ა) ჯგუფურად; ბ) არაერთგზის, — რაც ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხ წლამდე.

მესამე ნაწილი განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევს ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებას, ჩადენილს ძალადობით ან ძალადობის მუქარით, აგრეთვე სხვისი ნიუთის დაზიანებით ან განადგურებით ანდა მისი დაზიანების ან განადგურების მუქარით, თუ არ არსებობს გამომძიებლის ნიშნები, — რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან შვიდ წლამდე და ჯარიმით.

ეს მუხლი ახალია, მაგრამ მასში გარკვეული ცვლილებებით მაინცაა ასახული ძველი სისხლის სამართლის კოდექსის (იგულისხმება 1960 წელს მიღებული კოდექსი) 169<sup>ა</sup>-ე მუხლის (ფასების ხელოვნურად გაზრდა და მაღალი ფასების შენარჩუნება) ზოგიერთი დებულება. განსახილველ მუხლში ფასების დადგენასთან დაკავშირებული უკანონო მოქმედებანი განხილულია მხოლოდ როგორც მონოპოლიურ მოქმედებათა ჩადენის ხერხი და არა დანაშაულის ობიექტური მხარის მთლიანი დახასიათება, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს მისი ჩადენის სხვადასხვა ხერხს; შეცვლილია საკუთრივ

დანაშაულის ჩადენის ხერხთა ნუსხა და მაკვალიფიცირებული გარემოებები.

მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შეზღუდვისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემოღება მიზნად ისახავს სასაქონლო ბაზრის ეფექტურად ფუნქციონირების წესების დაცვას. მონოპოლიური საქმიანობისა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის თავიდან აცილებას, რაც აბრკოლებს ზოგიერთი სამეურნეო სუბიექტის. ცალკეულ მოქალაქეთა და აგრეთვე სახელმწიფოს უფლებებისა და ინტერესების განხორციელებას.

195-ე მუხლის მოქმედების სფეროა ბაზრის კონკურენციასთან დაკავშირებული ურთიერთობები, რომლებშიც მონაწილეობს საჯარო სამართლის სუბიექტები, საქართველოსა და უცხოეთის სამეურნეო კომერციული და არაკომერციული ორგანიზაციები, ფიზიკური პირები.

საქართველოს კანონში „მონოპოლიური საქმიანობისა<sup>1</sup> და კონკურენციის<sup>2</sup> შესახებ“, რომელიც 1999 წლის 25 ივნისს იქნა მიღებული, ხაზგასმულია ამ კანონის მიზანზე – საქართველოში სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობისა და კონკურენტული გარემოს შექმნისათვის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ბაზის შექმნა და მომხმარებელთა უფლებების დაცვა; ხაზი გაესმის იმასაც, რომ ეს კანონი განსაზღვრავს ეკონომიკური აგენტის (მეწარმე სუბიექტის)

---

<sup>1</sup> მონოპოლიური საქმიანობა – ესაა საქმიანობა, რომელიც ეკონომიკურ აგენტს საშუალებას აძლევს არსებითი გავლენა მოახდინოს სასაქონლო ბაზარზე ურთიერთშეჩაცვლებადი (კონკურენტული) საქონლის საბაზრო ფასზე და შეზღუდოს კონკურენცია. რაც შეეხება ეკონომიკურ აგენტს (მეწარმე სუბიექტს) – ესაა იურიდიული და ფიზიკური პირი, რომელიც ეწევა სამეწარმეო საქმიანობას, განურჩევლად საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი და საკუთრების ფორმისა და საქმიანობის ხასიათისა.

<sup>2</sup> კონკურენცია – ესაა ბაზარზე დამოუკიდებლად მოქმედი ეკონომიკური აგენტების მეტოქეობა, რის პროცესშიც თითოეული მათგანის ქმედება ზღუდავს მეტოქის შესაძლებლობას უპირატესობა მოიპოვოს ბაზარზე და ხელს უწყობს მომხმარებლისათვის საჭირო საქონლის წარმოებას. კონკურენცია წარმოიშობა მაშინ, როდესაც ბაზარზე ერთდროულად გამოდის რამოდენიმე ეკონომიკური აგენტი. ხდება ურთიერთშეჩაცვლებადი საქონლის მიწოდება და მომხმარებლის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ფასის, ხარისხის, შეფუთვის, სერვისის და სხვა ეკონომიკური პარამეტრების გათვალისწინებით.



პასუხისმგებლობას მის მიერ მონოპოლიური მდგომარეობის<sup>1</sup> ბოროტად გამოყენების, არაკეთილსინდისიერი კონკურენციისა და სხვა ქმედებისათვის, რაც იწვევს ან შეუძლია გამოიწვიოს კონკურენციის შეზღუდვა ან აღკვეთა ბაზარზე (მუხლი პირველი). მე-11 მუხლის თანახმად „ეკონომიკური აგენტი ჩაითვლება მონოპოლიური მდგომარეობის მქონედ, თუ მისი წილი კონკრეტულ სასაქონლო ბაზარზე პირდაპირ ან არაპირდაპირ (ფილიალის, შვილობილი საწარმოს მეშვეობით ან სხვაგვარად) აღემატება ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ დადგენილ ზღვრულ ოდენობას. ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ დადგენილი ზღვრული ოდენობის მაჩვენებლები ძალაში შედის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოქვეყნების შემდეგ“. მე-13 მუხლის ძალით „მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტს ეკრძალება თავისი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება ბაზრის სხვა მონაწილეთა დისკრიმინაციის მიზნით. მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად ჩაითვლება ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ან შეუძლია გამოიწვიოს სხვა ეკონომიკური აგენტის თუ მომხმარებლის ინტერესების შელახვა, სახელდობრ, როგორცაა: ა) წარმოების შემცირება ან შეწყვეტა, საქონლის ამოღება სამეურნეო ბრუნვიდან და მისი დაგროვება დეფიციტის შექმნის ან შენარჩუნების, აგრეთვე ფასებზე ზემოქმედების მიზნით; ბ) სხვა ეკონომიკური აგენტისათვის ბაზარზე შეღწევის ან ბაზრიდან გამოსვლის, აგრეთვე ბაზარზე უკვე მოქმედი ეკონომიკური აგენტის საქმიანობისათვის ხელშემშლელი პირობების შექმნა; გ) ბაზრის მონაწილისათვის დისკრიმინაციული პირობების შექმნა, რომლებიც მას თავს ახვევენ შესყიდვის ან გაყიდვის შეუსაბამოდ დაბალ ან მაღალ ფასებს, აგრეთვე როდესაც ხელშეკრულების დადებას უკავშირებენ ისეთი დამატებითი პირობების შესრულებას, რომლებიც არც საგნობრივად და არც ვაჭრობის წესებით არ არის დაკავშირებული ხელშეკრულებასთან; დ) ხელშეკრულების დადების მიზნით ნებისმიერი სახის იბულება; ე) მონოპოლიურად მაღალი ან დაბალი ფასის დაწესება, რომელიც გარკვეული დროის განმავლობაში მნიშვნელოვნად განსხვავდება პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაზე გაწეული დანახარჯებისაგან; ვ) საქონლის

<sup>1</sup> მონოპოლიური მდგომარეობა – ესაა ეკონომიკური აგენტის, სახელმწიფო ორგანოს განსაკუთრებული მდგომარეობა, რომელიც მას საშუალებას აძლევს არსებითი გავლენა მოახდინოს ბაზარზე და შეზღუდოს კონკურენცია.

წარმოების შემცირება ან შეწყვეტა, რომელზეც არის მოთხოვნილება ან მომხმარებელთა დაკვეთა, თუკი არსებობს მისი ზარალის გარეშე წარმოების შესაძლებლობა; ზ) დემპინგური<sup>1</sup> ფასების გამოყენება; თ) სხვა ქმედება, რომელიც იწვევს კონკურენციის შეზღუდვას ან ეკონომიკური აგენტისა თუ მომხმარებლის კანონიერი ინტერესების შელახვას“. აღნიშნული კანონის მე-16 მუხლში ზაზი გაესმის იმას, რომ საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური არის საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული საჯარო სამართლის სუბიექტი. სამსახურს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც, საქართველოს ეკონომიკის მინისტრის წარდგინებით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი. მე-17 მუხლში კი ჩაწერილია, რომ „ანტიმონოპოლიური პოლიტიკის განხორციელების მიზნით ანტიმონოპოლიურ სამსახურთან 5 წლის ვადით იქმნება ანტიმონოპოლიური საბჭო თავმჯდომარისა და 10 წევრის შემადგენლობით. საბჭოს წევრებს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, რომელთაგან 3 მომხმარებელთა, მეწარმეთა და სამეცნიერო ორგანიზაციადან წესდებულია წარმომადგენელია. ანტიმონოპოლიური საბჭოს თავმჯდომარე იმავდროულად არის ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსი. ანტიმონოპოლიური საბჭოს დებულებას ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი“.

ანტიმონოპოლიური სამსახური უფლებამოსილია: ა) დასვას საკითხი შესაბამისი ორგანოს წინაშე იმ ორგანიზაციის საქმიანობის შეჩერების ან აკრძალვის შესახებ, რომელიც დაარღვევს ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობას; ბ) მოსთხოვოს ამ კანონის დამრღვევ ორგანოს, მის მიერ მიღებული კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების გაუქმება, წინააღმდეგ შემთხვევაში, დასვას საკითხი შესაბამისი ზემდგომი ორგანოს ან თანამდებობის პირის წინაშე; გ) მოსთხოვოს ეკონომიკურ აგენტს ამ კანონის დარღვევით დადებული ხელშეკრულებისა და მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა; მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში კი სარჩელით მიმართოს სასამართლოს და

---

<sup>1</sup> დემპინგი – ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს საქონლის გაყიდვას უცხოეთის ბაზარზე შინაგანი ბაზრის ფასებთან შედარებით ბევრად იაფად, ზოგჯერ თვითღირებულებაზე ნაკლებადაც (კონკურენტების განდევნის მიზნით). დემპინგს გადასაყარ ექსპორტსაც უწოდებენ.

მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში; დ) ეკონომიკური აგენტისაგან მოითხოვოს ცნობები მისი სამართლებრივი, ორგანიზაციული და სამეურნეო ურთიერთობების შესახებ; ე) გაეცნოს ეკონომიკური აგენტის საქმიანობასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას; ვ) სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე შეამოწმოს და ამოიღოს ეკონომიკური აგენტის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია; ამოღებული დოკუმენტები არ შეიძლება გამოქვეყნდეს და გამოიყენება მხოლოდ საქმის განხილვისას. თუ დოკუმენტებისა და საქმესთან დაკავშირებული ფაქტების შემოწმების შედეგად არ დადასტურდა ანტიმონოპოლიური სამსახურის ეჭვი, იგი ვალდებულია ეკონომიკურ აგენტს მთლიანად აუნაზღაუროს მიყენებული ზარალი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით; ზ) დააყენოს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დამრღვევი თანამდებობის პირის ადმინისტრაციული ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი; თ) სამინისტროებს, სხვა სახელმწიფო უწყებებსა და დაწესებულებებს, ტერიტორიული ერთეულების აღმასრულებელ ორგანოებს მოსთხოვოს ნებისმიერი, მისთვის საჭირო ინფორმაცია. მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში დააყენოს ამ ორგანოების თანამდებობის პირთა დისციპლინარული ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საკითხი; ი) გადაწყვეტილების მიღების მიზნით, შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს თუ ეკონომიკური აგენტის თანამდებობის პირს, მოსთხოვოს ინფორმაცია აღძრულ საქმესთან დაკავშირებით და ამისათვის წინასწარ გაუგზავნოს წერილობითი შეტყობინება დაშვებული დარღვევისა და საკითხის მოსმენის თარიღის შესახებ; ეკონომიკურ აგენტს ოფიციალური მოსმენის საჭიროების წარმოქმნისას უნდა მიეცეს საშუალება გაეცნოს ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ მისი საქმის შესახებ შექმნილ დოკუმენტაციას; თუ ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ მოთხოვნის წარდგენიდან 30 დღეში შესაბამისი სახელმწიფო ორგანო ან ეკონომიკური აგენტი არ მიაწოდებს საჭირო ინფორმაციას აღნიშნულ სამსახურს, ეს უკანასკნელი აღძრულ საკითხთან, საქმესთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს მის ხელთ არსებული ფაქტებისა და მონაცემების საფუძველზე; კ) განსაზღვროს სამეურნეო საქმიანობის კონკრეტულ სფეროში ეკონომიკური ანალიზის საფუძველზე სასაქონლო-საფინანსო ბაზარზე ეკონომიკური აგენტების წილის ზღვრული ოდენობა, რომელიც ძალაში შედის მასობრივი

ინფორმაციის საშუალებებში გამოქვეყნების შემდეგ.

ზემოაღნიშნულის გააზრების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ 195-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის უშუალო ობიექტია საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც არეგულირებენ კეთილსინდისიერ კონკურენციასა და სამეურნეო ობიექტების საქმიანობას და რომელთაც დომინირებული (უპირატესი) მდგომარეობა უჭირავთ სასაქონლო ბაზარზე.

ფაკულტატურ ობიექტად შეიძლება გამოვიდეს ადამიანის ჯანმრთელობა, მისი პატივი და ღირსება, ასევე საკუთრება (195-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

ობიექტური მხარე გამოიხატება ამ დანაშაულის ჩადენის ორ ფორმაში: 1) მონოპოლიურ საქმიანობაში, რაც ვლინდება მონოპოლიურად მაღალი ან დაბალი ფასების დაწესებაში; 2) კონკურენციის შეზღუდვაში.

მონოპოლიურად მაღალი ფასების დაწესება უნდა გავიგოთ ისეთნაირად, როცა საქონლის ფასებს ადგენს სასაქონლო ბაზარში დომინირებულ (გაბატონებულ) მდგომარეობაში მყოფი სამეურნეო სუბიექტი, ანუ სხვანაირად ეკონომიკური აგენტი (მეწარმე სუბიექტი). ეს უკანასკნელი ფასების გაზრდას ასაბუთებს დიდი დანახარჯების არსებობით, მუშა-მოსამსახურეებზე მაღალი ხელფასის გაცემით, კონკურენტუნარიანი პროდუქციის მცირე ოდენობით გამოშვების საბაბითა (რომელზედაც დიდი მოთხოვნაა) და სხვ. ყოველივე ამის გამო უპირატეს მდგომარეობაში მყოფი სამეურნეო სუბიექტი მიზნად ისახავს მიიღოს ე. წ. გაუთვალისწინებელი დანახარჯებით გამოწვეული „ზარალის“ კომპენსაცია, რაც შემდგომ ასახვას პოულობს მაღალი ფასების დაწესებაში.

მონოპოლიურად დაბალი ფასების დაწესება – ესაა შესაძენი საქონლის ფასი, რომელსაც ადგენს სასაქონლო ბაზარში დომინირებული მდგომარეობის მქონე სამეურნეო სუბიექტი. დაბალი ფასის დაწესება მეტწილად ისახავს სასაქონლო ბაზრიდან კონკურენტების გაძევებას.

„მონოპოლიურად მაღალი ან დაბალი ფასების დაწესება გულისხმობს საბითუმო ან საცალო ფასების აწევას ანდა შენარჩუნებას ისეთ დონეზე, რომელიც ობიექტური ფაქტორების, კერძოდ, საწარმოო ხარჯებით, საქონლის ხარისხითა და ბაზრის კონიუნქტურით კი არაა განპირობებული, არამედ სამეწარმეო სუბიექტის მონოპოლიური

საქმიანობის შედეგს წარმოადგენს, რომელსაც ბაზარზე პრიორიტეტული მდგომარეობა უკავია. მასასადამე, ობიექტური მხრივ განსახილველი დანაშაულის ეს ფორმა მოიცავს გადაწყვეტილების მიღებას ფასის ოდენობის შესახებ, ფასის გამოცხადებასა და მის შეთავაზებას მყიდველისათვის, დადგენილი ფასის გავრცელებას შესაბამისი სასაქონლო ბაზრის ფარგლებში, მოცემული ფასის რეალურად გამოყენებას, აგრეთვე დომინირებული (პრიორიტეტული) მდგომარეობის არსებობას სასაქონლო ბაზარზე<sup>1</sup>.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება მონოპოლიურად მაღალი ან მონოპოლიურად დაბალი ფასის დადგენის მომენტში. საერთოდ განსახილველი დანაშაული დამთავრებულად ითვლება იმ მოქმედებათა ჩადენის მომენტში, რომლებიც ქმნიან დანაშაულის შემადგენლობის ობიექტურ მხარეს.

კონკურენციის შეზღუდვასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ იგი მიჩნეულია მონოპოლიური საქმიანობის სახედ. კანონი „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ სამეურნეო სუბიექტს უკრძალავს ისეთი ხელშეკრულების დადებას ან ისეთი გადაწყვეტილების მიღებას, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ იწვევს კონკურენციის შეზღუდვას. სახელდობრ, ზღუდავს ერთ მხარეს ბაზრის, მომარაგების წყაროების, მიმწოდებლების ან მომხმარებლების შერჩევაში და ა. შ. ამ კანონის მე-9 მუხლის თანახმად იკრძალება არაკეთილსინდისიერი კონკურენცია. არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გამოვლინებად კი ითვლება: ა) კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალების გამოყენებით საქონლის შესახებ ისეთი ინფორმაციის გადაცემა, რომელიც ადრესატს უქმნის არასწორ წარმოდგენას და ამით უბიძგებს გარკვეული სამეურნეო ქმედებისაკენ; ბ) ეკონომიკური აგენტის მიერ კონტრაგენტის შეცდომაში შეყვანის მიზნით გარიგების ნამდვილი მიზნის დამალვა და ამით კონკურენციაში უპირატესობის მოპოვება; გ) კონკურენციაში უპირატესობის მიღწევა დემინგური ფასების გამოყენებითა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის გზით; დ) ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენტის რეპუტაციის შელახვა (საწარმოზე, პროდუქციაზე, სამეწარმეო და სავაჭრო საქმიანობაზე

<sup>1</sup> იხ. მზია ლეკვეიშვილისა და გონა მამულაშვილის დასახ. ნაშრომი, გვ. 93; ასევე Комментарий к Уголовному кодексу Российской Федерации. Особенная часть. М., 1996, с. 178.

არასწორი შეხედულების შექმნა). მისი უსაფუძვლო კრიტიკა ან დისკრედიტირება: ე) კონკურენტის ან მესამე პირის სასაქონლო ნიშნისა და საფირმო დასახელების თვითნებური გამოყენება; ვ) კონკურენტის ან მესამე პირის საქონლის ფორმის, შეფუთვის ან გარეგნული გაფორმების მითვისება; ზ) სამეცნიერო-ტექნიკური, საწარმოო, სავაჭრო ინფორმაციისა და კომერციული საიდუმლოების მიღება, მოპოვება, გამოყენება ან გავრცელება მისი მფლობელის თანხმობის გარეშე. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ „სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის“ მე-10 მუხლის მიხედვით. „არაკეთილსინდისიერი კონკურენციაა ნებისმიერი ისეთი ქმედების ჩადენა, რომელიც წინააღმდეგობაშია (ან უპირისპირდება) კომერციულ ან სამეწარმეო საქმიანობით დამკვიდრებულ პატიოსან ჩვევებს“<sup>1</sup>. ჩვენს მიერ განსახილველი 195-ე მუხლი დანაშაულად მიიჩნევს კონკურენტის შეზღუდვას ისეთი გზებით, როგორცაა: ბაზრის გაყოფა, ბაზარზე გავლენის შენარჩუნება ან ეკონომიკური საქმიანობის სხვა სუბიექტების ბაზრიდან გაძევება, ერთიანი საბაზრო ფასის დადგენა ან შენარჩუნება.

კონკურენტის შეზღუდვა ბაზრის გაყოფის გზით. ამ შემთხვევაში მონოპოლისტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტები ახორციელებენ ურთიერთშეთანხმებულ მოქმედებას (გამომდინარე განსაკუთრებული ან ასეთის გარეშე შეთანხმებიდან), რაც მიმართულია ბაზარზე ფიქსირებული წილის დასადგენად ტერიტორიული პრინციპის (კრიტერიუმის), სარეალიზაციო საქონლის ასორტიმენტის ან გამყიდველთა და მყიდველთა (შემკვეთთა) წრის მიხედვით. ასეთმა მოქმედებებმა შეიძლება არსებითად გააძნელოს და შეზღუდოს სხვა ეკონომიკური საქმიანობის სუბიექტების ბაზარზე დაშვება. კონკურენტის შეზღუდვა ასევე შეიძლება გამოიხატოს დამოუკიდებელ მოქმედებებში, რაც მიმართულია ბაზარზე კონკურენტთა დაშვების შეზღუდვისაკენ, სახელდობრ: ბაზარზე კონკურენტების საქმიანობის მისამართით ფიზიკური ძალის გამოყენება, დაუსაბუთებელი აკრძალვების შემოღება, საქმიანობისათვის არახელსაყრელი რეჟიმის (პირობების) შექმნა, დაუსაბუთებელი შეფოქმებების ჩატარება, საქონლის გადაადგილებისა და მომსახურების თავისუფლების შეზღუდვა, საქონლის იძულებითი წესით შესყიდვა და მისი დანიშნულებისამებრ არგამოყენება

<sup>1</sup> არაკეთილსინდისიერი კონკურენტის ცნებასა და აღკვეთაზე იხ. დავით ძამუკაშვილის წიგნი – „პარიზის კონვენცია. ბერნის კონვენცია“. გამომცემლობა „გლობალ პრინტი“. თბ. 2000, გვ. 22-23.

(მაგალითად, მეწარმე, რომელსაც გააჩნია თავისუფალი ფულადი სახსრები, ბაზრის ტერიტორიაზე იჯარით იღებს საწყობებისათვის განკუთვნილ შენობებს, შემდგომ კეტავს და სხვებს არ აძლევს შესაძლებლობას ისარგებლონ აღნიშნული შენობებით) და სხვ.

ბაზარზე გავლენის შენარჩუნება ნიშნავს მონოპოლიური მდგომარეობის მქონე მეწარმე სუბიექტების მიერ დადგენილი და დამკვიდრებული წესის უცვლელად დატოვებას, მათი გავლენის ხელშეუხებლობასა და სხვებზე ზემოქმედებას, სხვა პირებისათვის მონოპოლიური მდგომარეობის დაუსვებლობასა და მათ მოქცევას თავიანთი გავლენის ქვეშ.

ეკონომიკური საქმიანობის სხვა სუბიექტების ბაზრიდან გაძევება ნიშნავს ბაზარში შესვლისა და იქ საქმიანობის აკრძალვას. იგი შეიძლება გამოვლინდეს ისეთ შედეგში, რასაც ბაზარში სხვა სუბიექტების საქმიანობის შეწყვეტა ან შეჩერება ჰქვია. ბაზრიდან კონკურენტების გაძევების მიზნით, მონოპოლიური მდგომარეობის მქონე მეწარმემ შეუძლია მათ შეთავაზოს კონკრეტული შენობა (მაღაზია, საწყობი) ან ტერიტორია უფრო მაღალი საიჯარო ფასით, რასაც მეწარმის აზრით ისინი არ დაეთანხმებიან. ბაზრიდან სხვა სუბიექტების გაძევების მიზნით გასახორციელებლად მოქმედებები შეიძლება დაკავშირებული იყოს ცრუ ცნობების გავრცელებასთან საქონლის თაობაზე, გამყიდველებზე, მყიდველებზე და ა. შ.

ერთიანი საბაზრო ფასის დადგენა მოიცავს შეთანხმებას ან ურთიერთშეთანხმებულ მოქმედებებს მონოპოლიური მდგომარეობის მქონე სამეურნეო სუბიექტებსა და სხვა ორგანოებს შორის საქონლისა და მომსახურების კონკრეტულ სფეროებზე ერთიანი ფასების დაწესებისათვის.

ერთიანი საბაზრო ფასის შენარჩუნება წარმოადგენს მონოპოლიური მდგომარეობის მქონე სუბიექტთა მოქმედებებს, მიმართულს ერთიანი საბაზრო ფასების დაცვისათვის. ერთიანი საბაზრო ფასების შენარჩუნებას დამნაშავეები ახერხებენ: ბაზარში საქონლის შეზღუდული რაოდენობის შეტანით, ცრუ ან სხვა უკანონო რეკლამის გამოყენებით, საქონლის გამსაღებლებთან მოლაპარაკების გზითა და სხვ.

სუბიექტური მხრივ 195-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. პირს გაცნობიერებული აქვს არა მარტო ის, რომ ადგენს (აწესებს) მონოპოლიურად მაღალ ან დაბალ ფასებს, არამედ ისიც, რომ მიმართავს კონკურენტის შეზღუდვას ბაზრის გაყოფის. ბაზარზე გავლენის შენარჩუნების,

ეკონომიკური საქმიანობის სხვა სუბიექტის ბაზრიდან გაძევების ანდა ერთიანი საბაზრო ფასის დადგენის ან შენარჩუნების გზით და სურს ასეთი მოქმედებების ჩადენა. მოტივი და მიზანი ამ დანაშაულის ობიექტური მხარის აუცილებელ ნიშნებს არ განეკუთვნება, თუმცა მუხლის შინაარსიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ მოტივი მეტწილად არის ანგარებითი (არ შეიძლება გამოირიცხოს კონკურენტების მისამართით შურის მოტივიც). დანაშაულის მიზანი, როგორც წესი, მდგომარეობს უკანონო გამდიდრების მიღებაში.

განსახილველი დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ ეკონომიკური საქმიანობის სუბიექტები – მეწარმეები ან კომერციული ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

196-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დამამძიმებელ გარემოებათა ინტერპრეტაციას არ მოვახდენთ, რადგან ისინი 194-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის (უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია) დამამძიმებელი გარემოებების ანალოგიურია და მათზე უკვე გვექონდა მსჯელობა. რაც შეეხება 196-ე მუხლის (მონოპოლიური საქმიანობა და კონკურენციის შეზღუდვა) მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ ისეთ განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებას, როგორიცაა მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შეზღუდვა ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით, ეს უნდა გავიგოთ ისეთნაირად, როცა ადგილი აქვს ფიზიკური ძალის გამოყენებას, მათ შორის: ცემას, გათოკვას, ძალდატანებით დაკავებას, დახმარებისათვის სხვა პირთა მოხმობის შესაძლებლობების წართმევას (მაგალითად, პირში ჩვრის ჩაჩრა), ჯანმრთელობისათვის სხვადასხვა ხარისხის დაზიანების მიყენებასა და სხვ. ძალადობის მუქარა (ე. ი. ფსიქიკური ზემოქმედება) კი მდგომარეობს მოკვლის, სხეულის დაზიანების, ცემის, ქონების განადგურების ან გამაწილებელი ცნობების გახმაურების მუქარაში. ასეთი სახის მოქმედება აიძულებს კონკურენტებს შეწყვიტონ სამეწარმეო საქმიანობა.

მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შეზღუდვა, სხვისი ნივთის დაზიანებით ან განადგურებით ანდა მისი დაზიანების ან განადგურების მუქარით, უნდა გავიგოთ ისეთნაირად, როცა ადგილი აქვს სხვისი ნივთის დაზიანებას, განადგურებას, ასევე სხვისი ნივთის დაზიანებისა და განადგურების მუქარას. დაზიანება ნიშნავს საგნის თვისების ისეთ ცვლილებას, რომელიც არსებითად აუარესებს, ადაბლებს



მის სამომხმარებლო ღირებულებას, ნივთს ზღის ნაწილობრივ ან ღროებით უვარგისად სამეურნეო გამოყენების თვალსაზრისით. ამ შემთხვევაში ნივთი მთლიანად ან ნაწილობრივ ვერ გამოიყენება დანიშნულებისამებრ, მაგრამ მისი აღდგენა შესაძლებელია გარკვეული შრომის გაწევისა და სახსრების ხარჯვის შედეგად. სხვანაირად, დაზიანება ესაა ნივთის გაფუჭება, რაც არსებითად ამცირებს მის სამეურნეო და ეკონომიკურ ღირებულებას. განსხვავებით განადგურებისაგან, როდესაც საგანს, ნივთს საესებით ეკარგება თავისი ქონებრივი თვისება და სამეურნეო ღირებულება, დაზიანებისას ნივთი მხოლოდ თვისებრივად უარესდება, რაც არ გამოორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ იგი აღდგეს პირველსაწყის მდგომარეობაში შეკეთებით, გასწორებითა და ა. შ.

განადგურება გულისხმობს ნივთის სრულ გაუვარგისებას, როცა იგი სამუდამოდ კარგავს სამეურნეო-ეკონომიკურ ღირებულებას და არ შეიძლება გამოყენებულ იქნას დანიშნულებისამებრ. სხვანაირად რომ ვთქვათ, განადგურება ნიშნავს მატერიალურ საგნებზე ისეთ ფიზიკურ ზემოქმედებას, რომლის შედეგადაც მატერიალური სამყაროს ობიექტი ან წყვეტს ფიზიკურ არსებობას, ან საესებით გამოუსადეგარი ხდება მიზნობრივი გამოყენების თვალსაზრისით. ამრიგად, განადგურების ცნება მოიცავს ნივთის სრულ მოსპობას: დაწვას, დაქცევას, მკვებებში გახსნას, დამსხვრევასა და ა. შ.

„სხვისი ნივთის დაზიანების ან განადგურების მუქარა“ (ე. ი. ფსიქიკური ზემოქმედება) კი მდგომარეობს ისეთ ქმედებათა განხორციელების დამუქრებაში, რასაც სხვისი ნივთის დაზიანებისა ან განადგურების ცნება მოიცავს.

## §8. სასაქონლო ნიშნის ან სხვა კომერციული აღნიშვნის მართლსაწინააღმდეგო გამოყენება (სსკ 196-ე მუხლი)

ეს მუხლი სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის ძალით დანაშაულადაა მიჩნეული სხვისი სასაქონლო (მომსახურები) ნიშნის, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის იდენტური ან საფირმო სახელწოდების უკანონოდ

გამოყენება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, – რაც ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე.

მეორე ნაწილით დანაშაულადაა მიჩნეული არარეგისტრირებული სასაქონლო (მომსახურების) ნიშანთან, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებასთან ან გეოგრაფიულ აღნიშვნასთან ერთად გამაფრთხილებელი აღნიშვნის ყალბი მითითება, – რაც ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ას ოთხმოც საათამდე ანდა გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე.

მესამე ნაწილში ხაზი გაესმის ამ მუხლის პირველ ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებას, ჩადენილს არაერთგზის, – რაც ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ან ტუსალობით ვადით ოთხ თვემდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ანდა ჯარიმით.

ამ მუხლის მიზანია ბაზარზე კეთილსინდისიერი კონკურენციის, მომხმარებელთა ინტერესებისა და სახელმწიფოს სხვადასხვა სახის ფინანსური ინტერესების დაცვა. მუხლის გამოყენების სფერო კი მოიცავს ყველა კანონიერ და არაკანონიერ სამეწარმეო საქმიანობას, რაც დაკავშირებულია პროდუქციაზე სხვისი სასაქონლო ნიშნის უკანონო გამოყენებასთან.

განსახილველი დანაშაულის უშუალო ობიექტია საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც არეგულირებენ კეთილსინდისიერ კონკურენციასა და სასაქონლო ნიშნით სარგებლობის უფლებას. ფაქულტატურ უშუალო ობიექტად გვევლინება საქონლის მომხმარებელთა უფლებები და ინტერესები. დანაშაულის საგანია – სასაქონლო (მომსახურების) ნიშანი, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელება, გეოგრაფიული აღნიშვნა, გამაფრთხილებელი აღნიშვნა. რუსულ სახელმძღვანელოში განსახილველი დანაშაულის საგნად მიჩნეულია: სასაქონლო ნიშანი, მომსახურების ნიშანი, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელება და სხვა მისი მსგავსი აღნიშვნები ერთგვაროვანი საქონლისათვის<sup>1</sup>.

„სასაქონლო ნიშანი“ – ესაა საქონელზე მიმაგრებული ან

<sup>1</sup> იხ. Уголовное право. Особенная часть. Под редакцией проф. В. Н. Петрашева. М., 1999, с. 242.

ამოკვეთილი ნიშანი, სიმბოლო, რომელიც გამოყოფს მას სხვა ერთგვაროვანი საქონლისაგან და განკუთვნილია საქონლისა და მისი მწარმოებელის ინდივიდუალიზაციისათვის. სასაქონლო ნიშანზე კანონით დადგენილი წესით გაიცემა მოწმობა, რომელიც ადასტურებს განაცხადში აღნიშნული სიმბოლოს რეგისტრაციას სასაქონლო ნიშანად. სასაქონლო ნიშანზე მოწმობის მიღების უფლება ეკუთვნის მეწარმეს. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციასა და დაცვასთან, აგრეთვე, მის გამოყენებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს აწესრიგებს საქართველოს 1999 წლის 5 თებერვლის კანონი „სასაქონლო ნიშნის შესახებ“. ამ კანონის მე-3 მუხლში წერია, რომ „სასაქონლო ნიშანი არის სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც გამოისახება გრაფიკულად და განასხვავებს ერთი საწარმოს საქონელს ან/და მომსახურებას მეორე საწარმოს საქონლისა ან/და მომსახურებისაგან“. სიმბოლო შეიძლება იყოს: სიტყვა ან სიტყვები, აგრეთვე ადამიანის სახელი, ასოები, ციფრები, ბგერები, გამოსახულება, სამგანზომილებიანი ფიგურა და სხვ.

სასაქონლო ნიშანი დაცულია „საქპატენტში“ მისი რეგისტრაციის ან საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე. საქართველოში საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნები დაცულია რეგისტრაციის გარეშე, პარიზის კონვენციის შესაბამისად.

„სასაქონლო ნიშანი, – აღნიშნავს დავით ძამუკაშვილი, – ლიტერატურაში განიმარტება, როგორც სპეციალური აღნიშვნა, რომელიც განკუთვნილია, ერთი საწარმოს პროდუქციის განსასხვავებლად სხვა საწარმოს პროდუქციისაგან. მის მფლობელს ენიჭება განსაკუთრებული უფლება ნიშნის ან მისი ვარიანტების გამოყენებაზე ერთგვაროვანი ან მსგავსი პროდუქციისათვის. პარიზის კონვენცია ამ ობიექტის (იგულისხმება „სასაქონლო ნიშანი“ – ზ. წ.) განმარტებას არ იძლევა. მისგან განსხვავებით TRIPS-ის ხელშეკრულება<sup>1</sup> მოითხოვს, რომ სასაქონლო ნიშნად დაცულ იქნას როგორც მინიმუმ ხილვადი აღნიშვნა. აქედან გამომდინარე არ იკრძალება სხვა სახის აღნიშვნის დაცვაც, მაგალითად შეიძლება დასახელდეს სურნელოვანი ან ბგერითი

<sup>1</sup> TRIPS-ის ხელშეკრულება – ესაა ხელშეკრულება ინტელექტუალურ საკუთრებაზე ვაჭრობის თანხვედრი უფლების შესახებ, კონტრაფაქციული (გაყალბებული) საქონლით ვაჭრობის ჩათვლით.

ნიშანი. საქართველოს კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ ამ მოთხოვნას აკმაყოფილებს. მომსახურების ნიშანთან დაკავშირებით დავით ძამუკაშვილი აღნიშნავს, რომ ეს ისეთი ნიშანია, რომელიც ორი სხვადასხვა საწარმოს მომსახურების განსასხვავებლად და განკუთვნილი, რომ ამ ობიექტს საქართველო იცავს სასაქონლო ნიშნის მსგავსად<sup>1</sup>.

როგორც ვხედავთ, მომსახურების ნიშნის დაცვა ხორციელდება სასაქონლო ნიშნის დაცვის ანალოგიურად. ამჟამად სულ უფრო ნაკლებია იმ ქვეყნების რიცხვი, რომლებსაც არა აქვთ მოქმედი სპეციალური კანონი მომსახურების ნიშნების დაცვის შესახებ. TRIPS-ის ხელშეკრულება ტერმინით „ნიშანი“ მოიცავს მომსახურების ნიშნებსაც. რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანზე გაიცემა მოწმობა, რაც ადასტურებს მისი მფლობელის განსაკუთრებულ უფლებას სასაქონლო ნიშანზე.

„საქონლის ადგილწარმოშობის დასახელება“ არის გეოგრაფიული ადგილის, რაიონის, რეგიონის, გამონაკლის შემთხვევაში, ქვეყნის თანამედროვე ან ისტორიული სახელი გამოყენებული იმ საქონლის მოსანიშნად: ა) რომელიც წარმოშობილია ამ გეოგრაფიული ადგილიდან; ბ) რომლის განსაკუთრებული ხარისხი და თვისებები მთლიანად ან ძირითადად განპირობებულია მხოლოდ ამ გეოგრაფიული ადგილის ბუნებრივი გარემოთი და ადამიანის ფაქტორით; გ) რომლის წარმოშობა, ნედლეულის დამზადება და დამუშავება ხდება ამ გეოგრაფიული ადგილის საზღვრებში.

„საქონლის გეოგრაფიული აღნიშვნა“ არის სახელი ან სხვა რაიმე სიმბოლო, რომელიც მიუთითებს გეოგრაფიულ ადგილზე და გამოყენებულია იმ საქონლის მოსანიშნად: ა) რომელიც წარმოშობილია ამ გეოგრაფიული ადგილიდან; ბ) რომლის სპეციფიკური ხარისხი, რეკუტაცია ან სხვა მახასიათებლები დაკავშირებულია ამ გეოგრაფიულ ადგილთან; გ) რომლის წარმოშობა ან ნედლეულის დამზადება ან დამუშავება ხდება ამ გეოგრაფიული ადგილის საზღვრებში.

თუ ტრადიციული გეოგრაფიული ან არაგეოგრაფიული დასახელება მომხმარებელს უქმნის წარმოდგენას მოცემული გეოგრაფიული

---

<sup>1</sup> დავით ძამუკაშვილი. პარიზის კონვენცია. ბერნის კონვენცია. თბ., 2000. გვ. 18.

ადგილიდან საქონლის წარმოშობაზე, მაშინ აღნიშნული დასახელება შეიძლება მიჩნეულ იქნას საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებად.

ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის დაცვა ხდება „საქპატენტში“ მათი რეგისტრაციის ან საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე. სხვა ქვეყნის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის დაცვა ხდება სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულების საფუძველზე. სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულების საფუძველზე საქართველოში დაცული ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაცია ხდება „საქპატენტში“. ადგილწარმოშობის დასახელებლად ან გეოგრაფიულ აღნიშვნად არ რეგისტრირდება სახელი ან სხვა რაიმე სიმბოლო, რომელიც: ა) შესაძლებელს ხდის მცდარი წარმოდგენა შეუქმნას მომხმარებელს საქონლის წარმოშობის შესახებ; ბ) შეურაცხყოფს ან ეწინააღმდეგება ეროვნულ ღირსებას, რელიგიას, ტრადიციას, ზნეობრივ ნორმებს; გ) ემთხვევა მცენარეთა ან ცხოველთა ჯიშის სახელს, რამაც შეიძლება მცდარი წარმოდგენა შეუქმნას მომხმარებელს საქონლის წარმოშობის შესახებ.

საქართველოს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს უფლება აქვთ ადგილწარმოშობის დასახელება ან გეოგრაფიული აღნიშვნა რეგისტრაციაზე წარადგინონ სხვა სახელმწიფოში მხოლოდ მათი საქართველოში რეგისტრაციის შემდეგ.

ადგილწარმოშობის დასახელებით ან გეოგრაფიული აღნიშვნით სარგებლობის უფლების მქონე პირს შეუძლია სასამართლოში შეიტანოს სარჩელი უფლებების დამრღვევის წინააღმდეგ და მოითხოვოს: ა) უფლებების დამრღვევი მოქმედების შეწყვეტა; ბ) მიყენებული ზიანის ანაზღაურება; გ) უფლებების დარღვევით გამოწვეული საქონლისა და უშუალოდ ამ საქონლის წარმოებისათვის გამოყენებული მოწყობილობის ჩამორთმევა და განადგურება; დ) რეგისტრირებული სახელის შემცველი ყველა ეტიკეტის, ნახატის, ანბეჭდის, შეფუთვის, შესაფუთი მასალისა და სარეკლამო განცხადების განადგურება.

დაბოლოს გვინდა შევნიშნოთ, რომ ზემოაღნიშნული საკითხები დარეგულირებულია საქართველოს კანონით „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“, რომელიც მიღებულია 1999 წლის 22 ივნისს (ძალაში შევიდა 1999 წლის 1 ნოემბერს). ეს კანონი, საერთოდ, აწესრიგებს საქონლის

(მოქსახურების) ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციასთან, დაცვასთან და გამოყენებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

საფირმო<sup>1</sup> სახელწოდება. პარიზის კონვენციის მე-8 მუხლი მისი კავშირის ქვეყნებისაგან ითხოვს საფირმო სახელწოდების დაცვას სპეციალური რეგისტრაციის გარეშე. ეს მოთხოვნა ვრცელდება იმ შემთხვევაზეც, როდესაც საფირმო სახელწოდება სასაქონლო ნიშნის ნაწილს წარმოადგენს.

პარიზის კონვენციის თანახმად, საფირმო სახელწოდება დაცულია მესამე პირის არაკეთილსინდისიერი ქმედებისაგან, რაც შეიძლება იგივე სახელწოდების ან მისი მიმსგავსების (რამაც შეიძლება აღრევა ან შეცდომაში შეყვანა გამოიწვიოს) გამოყენებით მოგვევლინოს. საფირმო სახელწოდების დაცვაზე, როგორც სხვა ობიექტზე, ვრცელდება კონვენციით დადგენილი ეროვნული რეჟიმის პირობები. თუ ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს სხვა ქვეყანაში რეგისტრირებული საფირმო სახელწოდებისათვის განსხვავებულ დაცვას იმავე ქვეყნის ისეთი საფირმო სახელწოდებასთან შედარებით, რომელიც რეგისტრირებული არ არის, მაშინ აღნიშნული ქვეყანა არ არის ვალდებული განსხვავებული დაცვა მიანიჭოს არარეგისტრირებულ უცხოურ ან ადგილობრივ საფირმო სახელწოდებებს. ამასთან, კონვენციის არსის თანახმად, თუ არსებობს შეცდომაში შეყვანის საშიშროება (სხვა სახელწოდებასთან ან სასაქონლო ნიშანთან ურთიერთმსგავსების გამო), მაშინ უცხოური საფირმო სახელწოდების დაცვა შეიძლება იქნეს დამოკიდებული ფაქტობრივ გამოყენებაზე მოცემული ქვეყნის ფარგლებში. TRIPS-ის ხელშეკრულება საფირმო სახელწოდებას არ მოიხსენიებს.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის თანახმად საფირმო სახელწოდება, ანუ ფირმა, არის სახელი, რომლითაც საქმიანობს საწარმო. ინდივიდუალური მეწარმე საფირმო სახელწოდებად იყენებს თავის სახელსა და გვარს. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების საფირმო სახელწოდება უნდა შეიცავდეს სულ ცოტა ერთ-ერთი პარტნიორის გვარსა და სახელს, „სპს“-ის დამატებით ან ყველა პარტნიორის გვარსა და სახელს (ან გვარს). კომანდიტური საზოგადოების საფირმო

---

<sup>1</sup> ფირმა – იტალიური სიტყვაა და აღნიშნავს იურიდიული პირის უფლების მქონე სავაჭრო ან სამრეწველო საწარმოს, რომლის მარკითაც იყიდება საქონელი ან გამოდის ნაწარმი.

სახელწოდება უნდა შეიცავდეს არანაკლებ ერთი პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორის (კომპლემენტარის) გვარსა და სახელს (ან გვარს), „კს“-ის დამატებით. პარტნიორთა სახელის გამოყენების შესაძლებლობის გარდა, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, სააქციო საზოგადოებას, კოოპერატივსა და სხვა საწარმოებს შეუძლიათ საფირმო სახელწოდება შეარჩიონ მათი საქმიანობის საგნის მიხედვით, ან ეს სახელწოდება შეიძლება იყოს ფანტაზიის ნაყოფი. მაგრამ ყველა შემთხვევაში იგი უნდა შეიცავდეს აღნიშვნას „სააქციო საზოგადოება“ ან „სს“-ს; „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება“ ან „შპს“-ს; „რეგისტრირებული კოოპერატივი“ ან „რკ“-ს და ა. შ. საფირმო სახელწოდებას არ უნდა ერთვოდეს რაიმე ისეთი დამატება, რომელმაც შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს მესამე პირი ანდა გამოიწვიოს შეცდომა ან გაუგებრობა საწარმოს ფორმისა თუ საქმიანობის მოცულობის ანდა პარტნიორთა ურთიერთობის გამო. საფირმო სახელწოდებას დაერთვება დამატებები, თუ ეს საჭიროა სხვა ფირმებისაგან განსასხვავებლად. საწარმოს შემძენს შეუძლია გამოიყენოს ადრინდელი საფირმო სახელწოდება სამემკვიდრეო ურთიერთობის აღმნიშვნელი დამატების დართვით ან უამისოდ, თუკი ადრინდელი მფლობელი, მისი მემკვიდრეები ან საზოგადოების კანონიერი წარმომადგენლები თანახმანი არიან. სამეურნეო ერთეულის საფირმო სახელწოდება განისაზღვრება მისი წესდების დამტკიცების დროს. ფირმის რეგისტრაციას კი ახდენს სასამართლო.

გამაფრთხილებელი აღნიშვნა, რასაც ხაზი გაესმის 196-ე მუხლის მეორე ნაწილში, შესაძლებლობას იძლევა სამამულო საქონელი განვასხვაოთ იმპორტულისაგან. „სასაქონლო ნიშნის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, გამაფრთხილებელი აღნიშვნა სასაქონლო ნიშნის მფლობელის მიერ შეიძლება დაისვას სასაქონლო ნიშნის გვერდით, რაც იმაზე მიუთითებს, რომ გამოყენებული აღნიშვნა არის სასაქონლო ნიშანი, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში.

196-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანამაჟლის ობიექტური მხარე გამოიხატება სხვისი სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელების, ან გეოგრაფიული აღნიშვნის იდენტური<sup>1</sup> ან საფირმო სახელწოდების უკანონოდ

<sup>1</sup> იდენტური – ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს სავსებით მსგავსს, სავსებით ერთნაირს.

გამოყენებაში (რამაც, ცხადია, მნიშვნელოვანი ზიანი უნდა გამოიწვიოს – ზ. წ.). ამავე მუხლის მე-2 ნაწილში ობიექტური მხარის ნიშნად მიჩნეულია არარეგისტრირებულ სასაქონლო (მომსახურების) ნიშანთან, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებასთან ან გეოგრაფიულ აღნიშვნასთან ერთად გამაფრთხილებელი აღნიშვნის ყალბი მითითება. მე-3 ნაწილში ხაზი გაესმის განსახილველი მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებას, ჩაღენილს არაერთგზის.

სასაქონლო ნიშნის გამოყენებად ითვლება მისი აღბეჭდვა იმ საქონელზე, რომლის მიმართაც ის რეგისტრირებულია, ასევე ამ საქონლის შეფუთვაზე, გამოფენასა და ბაზრობაზე წარმოდგენილ ექსპონატებზე, აბრაზე, ოფიციალურ ბლანკზე, ეტიკეტზე, რეკლამაში, ბეჭდვით გამოცემაში, აგრეთვე სასაქონლო ნიშნის სხვაგვარი გამოყენება, მფლობელის ლიცენზიატის ან მესამე პირის მიერ მფლობელისაგან მინიჭებული უფლების საფუძველზე. სასაქონლო ნიშნის გამოყენებად ითვლება რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის ნაცვლად მისგან უმნიშვნელოდ განსხვავებული ნიშნის გამოყენებაც. რაც შეეხება სხვისი სასაქონლო ნიშნის ან სხვა კომერციული აღნიშვნის მართლსაწინააღმდეგო (უკანონო) გამოყენებას, იგი ვლინდება კანონმდებლობით დადგენილი წესების შეუსრულებლობაში. მაგალითად, სასაქონლო ნიშნის ან კომერციული აღნიშვნის გამოყენება მისი მფლობელის თანხმობის გარეშე. სხვისი სასაქონლო ნიშანი უნდა გავიგოთ ისეთნაირად, როცა იგი სახელმწიფოს მიერ რეგისტრირებულია ნამდვილ მფლობელ პირზე, მაგრამ მას იყენებს არა ნამდვილი მფლობელი, არამედ სხვა პირი. საქონლის ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის იდენტური ან საფირმო სახელწოდების უკანონოდ გამოყენება ნიშნავს პროდუქციაზე (ნაწარმზე) სხვა საფირმო სახელწოდების, გეოგრაფიული აღნიშვნისა და ადგილწარმოშობის დასახელების მითითებას, რომელიც უფრო პრესტიჟულად ითვლება და რაც საქონლის სწრაფ რეალიზაციას უწყობს ხელს. საფირმო სახელწოდების უკანონოდ გამოყენებისას საჭიროა სასამართლომ აღიაროს სხვისი საფირმო სახელწოდების იგივეობის ან დამთხვევის ფაქტი, რასაც შეეძლო გამოეწვია ან გამოიწვია სამეწარმეო საქმიანობის მონაწილეთა აღრევა, მომხმარებელთა შეცდომაში შეყვანა და სხვ.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება დისპოზიციაში აღნიშნულ მოქმედებათა არაერთგზისი (ორჯერ და მეტჯერ) ჩაღენის მომენტიდან



(ფორმალური შემადგენლობა), ან მნიშვნელოვანი ზიანის გამოწვევის მომენტიდან (მატერიალური შემადგენლობა). მნიშვნელოვანი ზიანი შეიძლება მიადგეს სასაქონლო ნიშნის კანონიერ მფლობელს, ასევე მომხმარებლებს. გამოწვეული ზიანი მნიშვნელოვანია თუ არა ამის შეფასება სასამართლოს კომპეტენციაა. სასაქონლო ნიშნის ან სხვა კომერციული აღნიშვნის მართლსაწინააღმდეგო გამოყენება ბლალავს (არყვეს) საქონელმწარმოებლის საქმიან რეპუტაციას, ქონებრივ ზიანს აყენებს მომხმარებლებს და ა. შ. დანაშაულებრივ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის უნდა დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი.

სხვისი სასაქონლო ნიშნის ან სხვა კომერციული აღნიშვნის მართლსაწინააღმდეგო გამოყენების ფაქტებს მეტწილად ადგილი აქვს ღვინისა და ლუდ-წყლების ქარხნებში, ასევე იმ სამრეწველო კომბინატებსა და ფილიალებში, რომლებიც ფართო მოხმარების სამშენებლო მასალებსა და სამრეწველო საქონელს ამზადებენ.

სუბიექტური მხარე ხასიათდება განზრახვი ბრალით. ბრალდებულს გაცნობიერებული აქვს, რომ უკანონოდ იყენებს სხვის სასაქონლო (მომსახურების) ნიშანს, ადგილწარმოშობის დასახელებას, გეოგრაფიულ აღნიშვნას, საფირმო სახელწოდებას; მას გაცნობიერებული აქვს ისიც, რომ ახდენს (აკეთებს) გამაფრთხილებელი აღნიშვნის ყალბ მითითებას და სურს ასეთი ქმედების ჩადენა (პირდაპირი განზრახვა ფორმალურ შემადგენლობაში). რაც შეეხება შედეგს — მნიშვნელოვან ზიანს (მატერიალურ შემადგენლობაში), იგი შეიძლება მიყენებულ იქნას როგორც განზრახვით, ასევე გაუფრთხილებლობით (ბრალის ორმაგი ფორმა). განსახილველი დანაშაულის მოტივი და მიზანი სხვადასხვაა და შეიძლება გამოიხატოს კონკურენტების საქმიანი რეპუტაციის შელახვაში, მათი ბაზრიდან გაძევების სურვილში, ანგარებასა და სხვ.

196-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტი სპეციალურია. სახელდობრ, ესაა პირი, რომელიც სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკურ საქმიანობას ეწევა როგორც კანონიერ საფუძველზე, ისე უკანონოდ, აგრეთვე ორგანიზაციის ხელმძღვანელი ან სხვა პირი, რომელიც ახორციელებს მმართველობის ფუნქციებს.

სასაქონლო ნიშნის ან სხვა კომერციული აღნიშვნის მართლსაწინააღმდეგო გამოყენებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მან მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ან თუ იგი ჩადენილია არაერთგზის.

პროფესორ ნ. კუზნეცოვას რედაქციით გამოცემულ კომენტარებში ხაზი გაესმის იმ გარემოებას, რომ „თუ პირს ერთდროულად გასაყიდად გამოაქვს ორი ფირმის საქონელი ყალბი სასაქონლო ნიშნებით, მაშინ მისი მოქმედება უნდა შეფასდეს როგორც არაერთგზის ჩადენილად“<sup>1</sup>.

## §9. ფალსიფიკაცია (სსკ 197-ე მუხლი)

განსახილველი მუხლი სამ ნაწილს მოიცავს. პირველი ნაწილით გათვალისწინებულია მისი ძირითადი ანუ მარტივი სახე, ესე იგი მოტყუებით ნივთის თვისობრიობის შეცვლა მწარმოებლის ან გამსალბელის მიერ, ჩადენილი ანგარებით, – რაც ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

მეორე ნაწილი დამამძიმებელი გარემოების სახით ითვალისწინებს იგივე ქმედებას, ჩადენილს არაერთგზის, – რაც ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

მესამე ნაწილი განსაკუთრებით დამამძიმებელი გარემოების სახით ითვალისწინებს ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებას, რამაც საფრთხე შეუქმნა ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, – რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

ფალსიფიკაცია წარმომდგარია ლათინური სიტყვისაგან (falsificatio=Falsifico – ვაყალბებ) და ნიშნავს: 1. რისამე ნამდვილის ჭეშმარიტის წინასწარგანზრახვით შეცვლას მცდარით, ყალბით; 2. რისამე საგნის სახის ან თვისების შეცვლას ანგარების მიზნით. ფალსიფიკატორი (გამყალბებელი) კი ჰქვია ფალსიფიკაციის, სიყალბის ჩამდენს.

ძველი სისხლის სამართლის კოდექსის (1960 წლის) 162-ე

<sup>1</sup> Комментарий к Уголовному кодексу Российской Федерации. М., 1998, с. 428.

მუხლით ფალსიფიკაცია გაგებული იყო როგორც „საქონლის, საგნის, ნივთის წარმოების სტანდარტების ან სერტიფიკაციის წესის დარღვევა, რასაც მოჰყვა მისი თვისობრივი ან გარეგნული იერსახის შეცვლა, აგრეთვე მათი წარმოებისათვის საჭირო მოწყობილობის დამზადება, შენახვა, შექმნა, ჩადენილი გასაღების მიზნით ან გასაღება“<sup>1</sup>. მეორე ნაწილი დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევდა „იგივე ქმედებას, ჩადენილს არაერთგზის ან დიდი ოდენობით“. მესამე ნაწილი კი განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევდა „იგივე ქმედებას, რამაც საფრთხე შეუქმნა ადამიანის ჯანმრთელობას ან სიცოცხლეს, ან გამოიწვია ადამიანის სიკვდილი“.

თუ ახალი სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ ფალსიფიკაციას შეუდარებთ ძველი კოდექსით გათვალისწინებულ ფალსიფიკაციის დისპოზიციას აშკარად დავინახავთ იმას, რომ კანონმდებელმა ახალ კოდექსში მნიშვნელოვნად შეაეწიროვა ფალსიფიკაციისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ფარგლები.

„ფალსიფიკაციისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება, – აღნიშნავენ მზია ლეკვეიშვილი და გოჩა მამულაშვილი, – მიზნად ისახავს დამატებითი გარანტიების შექმნას საქართველოს ერთიან სასაქონლო ბაზარზე მეწარმე სუბიექტების საქმიანობისათვის, საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობისა და საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილეობისათვის, აგრეთვე, სახელმწიფოს საფინანსო ინტერესების დაცვას (როცა ფალსიფიკაცია ბიუჯეტში შესატანი თანხების შესამცირებლად ხდება), მომხმარებელთა დაცვას პროდუქციის დამამზადებლის (გამყიდველის) არაკეთილსინდისიერებისაგან, პროდუქციის წარმოების სტანდარტიზაციისა და სერტიფიკაციის წესების დაცვას“<sup>1</sup>.

განსახილველი დანაშაულის უშუალო ობიექტია როგორც სამეწარმეო ურთიერთობები, ასევე სახელმწიფოს საფინანსო ინტერესები და მომხმარებელთა ინტერესები. დანაშაულის საგანი კი შეიძლება იყოს სამრეწველო და სასურსათო ნივთები (საქონელი).

ფალსიფიკაციის ობიექტური მხარე გამოიხატება ნივთის თვისობრიობის შეცვლაში (ალბათ უპრიანი იქნებოდა კანონმდებელს ეხმარა

<sup>1</sup> იხ. პასუხისმგებლობა ეკონომიკური დანაშაულისათვის (კომენტარი). თბ., 1999, გვ. 100.

სიტყვა „თვისებრიობა“ და არა „თვისობრიობა“, რაც მოძველებული სიტყვაა. უფრო მეტიც აღნიშნული სიტყვების ფუძეა „თვისება“ და არა „თვისობა“. თვისება არის ვისიმე, რისამე დამახასიათებელი ნიშანი, — ბუნება, თავისებურება. თვისებრივი — თვისებრიობით განსაზღვრულს ნიშნავს. თვისებრიობა ისეთი არსებითი ნიშანთვისება და თავისებურებაა, რაც ერთ საგანს ან მოვლენას განასხვავებს მეორისაგან.<sup>1</sup>) ნივთის თვისებრიობის შეცვლა უნდა გავიგოთ ისეთნაირად, როცა დამნაშავეები მათ მიერ დამზადებულ პროდუქტს<sup>2</sup> აკლებენ ძირითად მახასიათებელ ნამდვილ კომპონენტებს (შემადგენელ ნაწილებს) და მის ნაცვლად პროდუქტში შეაქვთ სხვა მასალა (ნივთიერება), რომლებსაც სრულებითაც არ გააჩნიათ ნამდვილის რაციონალური თვისება. ყოველივე ასეთი მოქმედების შედეგად ნივთი არ ჰქარგავს გარეგნულ იერსახეს, თუმცა სინამდვილეში იგი გაყალბებულია ანუ ფალსიფიცირებულია. როგორც ვხედავთ, ფალსიფიკაციისას დამნაშავე მიზნად ისახავს ნივთის ნამდვილი კომპონენტების შეცვლას სრულიად სხვა იაფი საშუალებებით (ნივთიერებებით) და ასეთი წესით დამზადებული მზა ნივთის (პროდუქტის) გაყიდვას. ცხადია, ამ შემთხვევაში ნივთი გარეგნულად (ვიზუალურად) და სხვა თვისებითაც (ფერი, სუნი, შეფუთვა და ა. შ.) ემსგავსება ფალსიფიცირებულ პროდუქტს (ნივთს).

საქართველოს საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში მეტწილად დომინირებს არაყის, კონიაკის, ღვინის, ძმრის, თაფლის, მარგარინის, კარაქის, მცენარეული ზეთებისა და სხვათა ფალსიფიკაციის ფაქტები. ფალსიფიკაციისას იყენებენ სხვადასხვა გარეული მცენარეების ნაყენს, ხის ქერქს, აგურის ფხვნილს შეფერილობისათვის, ქიმიურ სასუქებს, სხვადასხვა შეუმოწმებელ აბებს, საშიშ მინარევებსა და სხვ. ასეთი მოქმედება მიზნად ისახავს პროდუქციის მოცულობის გაზრდას,

<sup>1</sup> ტერმინ „თვისებასა“ და „თვისებრიობაზე“ იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ერთტომეული. თბ., 1986, გვ. 241; ასევე ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი. ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 1998, გვ. 291.

<sup>2</sup> პროდუქტი (ლათ. productus — წარმოებული) ესაა: 1) მწარმოებლური საქმიანობის ნივთიერი შედეგი; 2) ხილული და უხილავი თვისებების ერთობლიობა (რომლებიც უზრუნველყოფენ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას და მომხმარებლისათვის გარკვეული უპირატესობის შექმნას). ასეთ თვისებებს შეიძლება განეკუთვნოს ფერი, ფასი, შეფუთვა, რეპუტაცია, სერვისი და ა. შ.

ალკოჰოლურ სასმელებზე სიმაგრის (გრადუსის) მომატებასა და სხვ., რაც ხშირად ზიანს აყენებს და საფრთხეში აგდებს ადამიანთა ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს. ფალსიფიკაციით გამოწვეულ მასობრივ მოწამელებს, განსაკუთრებით მძიმე შედეგით, ადგილი ჰქონდა 1977 წლის აგვისტო-სექტემბერში ბელგოროდის, პეზის ოლქებსა და ალტაის მხარეში. აქ მოწამელის შედეგად 7 ადამიანი გარდაიცვალა, ხოლო ბევრმა ჯანმრთელობის მძიმე და ნაკლებად მძიმე კატეგორიის დაზიანება მიიღო. მოწამელის მიზეზი გახდა მჟაუვნმჟავას<sup>1</sup> ფხვნილით ფალსიფიცირებული ღვინო, რომელიც საქართველოში – ხაიმის, საჩხერისა და ზვარის ხილის წვენების ქარხანაში მზადდებოდა და რომელსაც რუსეთში აგზავნიდა გ. და ქ.

ფალსიფიკაციის მაგალითად გამოდგება შემდეგი ფაქტიც. თბილისის საკოლმეურნეო ბაზრის სახაშეში 1976 წლის 1 ივნისს მებუფეტე ა-ს მაშინ წაასწრეს, როცა იგი ბოთლებში ასხავდა წყალში გაზავებულ ხის სპირტს. მილიციის ოპერატიულმა მუშაკებმა მისი ბინის ჩხრეკისას სარდაფში აღმოაჩინეს 200 ლიტრიანი ალუმინის კასრი ხის სპირტით სავსე, 100 ლიტრი ეთილოვანი სპირტი, 10 ათასი ცალი ყალბი ეტიკეტი, ათასობით საცობი, ბოთლების სახუფავები, სხვადასხვა მოწყობილობა და ქიმიური ნივთიერებანი, რაც, ცხადია, გამიზნული იყო იმისათვის, რომ დაემზადებინათ ფალსიფიცირებული არაყი და კონიაკი.

ფალსიფიცირებული საქონლის (პროდუქტის) შესყიდვისას დაზარალებულმა, როგორც წესი, არ იცის, რომ იძენს გაყალბებულ ნივთს (პროდუქტს), წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ასეთს არც შეიძენდა. სწორედ მოტყუებით ნივთის თვისობრიობის შეცვლას მიყავს იგი იმ გადაწყვეტილებამდე, რომ შეიძინოს სინამდვილეში ფალსიფიცირებული ნივთი.

197-ე მუხლის გააზრებიდან აშკარაა, რომ კანონმდებელი ფალსიციკაციად მხოლოდ მოტყუებით ნივთის თვისებრიობის შეცვლას მიიჩნევს. ეს შეცვლა კანონის თანახმად უნდა განახორციელოს

---

<sup>1</sup> მჟაუვნმჟავა – უმარტივესი ორფუძიანი კარბომჟავა, ესაა უფერული კრისტალები, იხსნება წყალში. მჟაუვნმჟავა მიიღო ფ. ველერმა 1842 წელს. მჟაუვნმჟავასა და მის მარილებს (ოქსალატებს) იყენებენ ფერმჭერად დაჩითვისას, საღებავების წარმოებაში, ანალიზურ ქიმიამი და სხვა. მისი ფორმულა  $\text{HOOC-COOH}$ .

მწარმოებელმა ან გამსაღებელმა, თანაც ჩადენილ უნდა იყოს ანგარების მოტივით. როგორც ვხედავთ, ფალსიფიკაციის დისპოზიციაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლად აღიარებულია ნივთის თვისებრიობის შეცვლა და არაფერია ნათქვამი ნივთის ხარისხის განზრახ დაქვეითებასა და შეცვლაზე. ვფიქრობთ ამ უკანასკნელმა ასახვა უნდა პპოვოს 197-ე მუხლის შინაარსში. ეს საკითხი დადებით გადაწყვეტას პოულობს საქართველოს 1999 წლის 25 ივნისის კანონში „სურსათისა და თამბაქოს შესახებ“. ამ კანონის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილში წერია, რომ „სურსათი და თამბაქო ფალსიფიცირებულად ითვლება, თუ თანდართულ შესაბამის დოკუმენტებში მითითებული ხარისხი არ შეესაბამება სურსათისა და თამბაქოს რეალურ ხარისხს, შეცდომაში შეჰყავს მომხმარებელი და სახიფათოა მისი ჯანმრთელობისათვის“. ამავე კანონის მე-2 მუხლის „თ“ პუნქტით „ფალსიფიკაცია – ესაა პროდუქციის წარმოებისას ან/და რეალიზაციისას მისი გაყალბება, ჭეშმარიტი (ნამდვილი) პროდუქციის შეცვლა ყალბით“. როგორც ვხედავთ, ფალსიფიკაციის განმარტება საჭიროებს სრულყოფას, სახელდობრ, მასში ხაზი უნდა გაესვას როგორც სტანდარტისა და სერტიფიკაციის წესის დარღვევას, ხარისხის შეცვლასა და დაქვეითებას, ასევე იმას თუ რისთვისაა განკუთვნილი ნივთები (იგულისხმება მათი გასაღება ან მოხმარება – ზ. წ.).

ფალსიფიკაციასთან დაკავშირებით მართებულ აზრს გამოთქვამდა პროფ. ბ. ფურცვანიძე, იგი წერდა: „ფალსიფიკაცია გამოიხატება გასაღებისათვის ან საზოგადოებრივი ხმარებისათვის განკუთვნილი საგნების სახის ან თვისებების შეცვლაში იმგვარად, რომ მათ დატოვონ ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს უკეთესი ხარისხისა და ღირებულების არიან. საგნის სახის შეცვლას აღწევენ მისთვის სხვადასხვა ფერის თუ ფორმის მიცემით, ხოლო თვისების შეცვლას – საგნის დამზადების დროს უხარისხო, სხვა სახის მასალის გამოყენებით (მაგალითად, კარაქის დამზადებისას მას დაუმატებენ ქონს ან სხვა ნივთიერებას). შესაძლებელია ისეთი შემთხვევაც, როდესაც იცვლება უკვე დამზადებული საგნის თვისება, ასე, მაგალითად, რძეში წყლის დამატებით შეიცვლება მისი შემადგენლობა. საგნის თვისების ასეთი შეცვლა იწვევს მისი ხარისხის გაურესებას, თუმცა საგნის შეხედულება უცვლელი რჩება. ფალსიფიცირება შეიძლება არა მარტო პროდუქტებისა და სასმელის, რაც ადამიანის საკვებად თუ სასმელად

არის დანიშნული, არამედ გასაღებისათვის ან საზოგადოებრივი ხმარებისათვის განკუთვნილი ყოველგვარი საგნებისა“<sup>1</sup>.

იმ საკითხის გასარკვევად აქვს თუ არა ადგილი მწარმოებლის ან გამსაღებლის მიერ ნივთის თვისებრიობის შეცვლას მოტყუებით საჭიროა ჩატარდეს სასაქონლო ექსპერტიზა, რომელიც დაადგენს თუ რამდენადაა გაყალბებული ნამდვილი პროდუქცია ხარისხის შეცვლის, სტანდარტის<sup>2</sup> მოთხოვნათა დაუცველობის შედეგად და სხვ.

ფალსიფიკაცია ფორმალურ შემადგენლობათა ჯგუფს მიეკუთვნება. იგი დამთავრებულად ითვლება ნივთის თვისებრიობის შეცვლის მომენტიდან. ფალსიფიკაცია შეიძლება განხორციელდეს როგორც საკვები პროდუქტების, ასევე სამრეწველო საქონლის დამზადებისას (წარმოებისას).

სუბიექტური მხრივ ფალსიფიკაცია ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. ფალსიფიკატორს გაცნობიერებული აქვს, რომ მიმართავს მოტყუებით ნივთის თვისებრიობის შეცვლას (გაყალბებას) და სურს ასეთი მოქმედების ჩადენა. მოტივი, როგორც 197-ე მუხლის

---

<sup>1</sup> ბ. ფურცვანაძე. საბჭოთა სისხლის სამართალი (განსაკუთრებული ნაწილი). თბ., 1966, გვ. 262-263.

<sup>2</sup> სტანდარტი – „სტანდარტიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად (ეს კანონი მიღებულია 1999 წლის 25 ივნისს), – ესაა უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებული დოკუმენტი, რომელიც საყოველთაო და მრავალჯერადი გამოყენებისათვის ადგენს წესებს, ზოგად პრინციპებს და მახასიათებლებს საქონლის, მასთან დაკავშირებული პროცესების და წარმოების მეთოდებისათვის. იგი ასევე შეიძლება მოიცავდეს ან ექსკლუზიურად ეხებოდეს ტერმინოლოგიის, სიმბოლოების, შეფუთვის, ნიშანდების ან ეტიკეტირების მოთხოვნებს საქონლის, პროცესის ან წარმოების მეთოდის მიმართ. საერთოდ კი სტანდარტი ინგლისური სიტყვიდანაა წამომდგარი (standard) და აღნიშნავს ტიპობრივ ნიმუშს. ეტალონს, მოდელს. რასაც ზომის, ფორმის, ხარისხის და მისთ. მიხედვით უნდა შესაბამებოდეს ნაწარმი. საქართველოს კანონში „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“, რომელიც 1996 წლის 20 მარტსაა მიღებული – სტანდარტი განმარტებულია, როგორც სანიტარული ნორმები და წესები, სამშენებლო ნორმები და წესები და სხვა დოკუმენტები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრავს (ადგენს) პროდუქციის ხარისხისადმი სავალდებულო მოთხოვნებს. (სტანდარტის, ისევე როგორც ფალსიფიკაციის სხვადასხვაგვარი განმარტება ბუნებრივია აყენებს მათი სრული სახით ჩამოყალიბების აუცილებლობას – ზ. წ.).

დისპოზიციაშია აღნიშნული, არის ანგარება, ე. ი. ეს უკანასკნელი ამ დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტური მხარის აუცილებელი ელემენტია (ნიშანია).

ფალსიფიკაციის სუბიექტია ნიეთის მწარმოებელი ან გამსაღებელი პირი. სხვანაირად თუ ვიტყვით, ესენი ამსრულებლის როლში გამოდიან.

197-ე მუხლის (ფალსიფიკაცია) დამამძიმებელ და განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებათა დახასიათებაზე არ შევჩერდებით, რადგან მათ შესახებ არაერთხელ აღვნიშნეთ სხვა მუხლების განხილვისას<sup>1</sup>.

### §10. ადამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქციის დამზადება, შემოტანა ან რეალიზაცია (სსკ 198-ე მუხლი)

განსახილველი დანაშაული ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის ძალით დანაშაულადაა მიჩნეული ადამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქციის დამზადება, შემოტანა ან რეალიზაცია ანდა ასეთ პროდუქციაზე ეტიკეტის უკანონო გამოყენება, — რაც ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

მეორე ნაწილით დამამძიმებელ გარემოებად მიჩნეულია იგივე ქმედება, რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია, — რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან თორმეტ წლამდე.

ამ დანაშაულის შემადგენლობას ითვალისწინებდა ძველი სისხლის სამართლის კოდექსის (იგულისხმება 1960 წელს მიღებული კოდექსი) 161-ე მუხლი — უხარისხო პროდუქციის გამოშვება. აქ დისპოზიცია ფორმულირებული იყო ასეთნაირად: უხარისხო პროდუქციის სასაქონლო ბაზარზე გამოშვება ან მომხმარებლისათვის ასეთი პროდუქციის სხვაგვარი რეალიზაცია, თუ მას მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, სხეულის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, ან სხვა მძიმე შედეგი. აღნიშნული მუხლების შინაარსს თუ შეუუდარებთ ერთმანეთს, აშკარად დავინახავთ იმას, რასაც განსხვავება ჰქვია. სახელდობრ,

<sup>1</sup> ფალსიფიკაციაზე შეგიძლიათ იხილოთ ალექსანდრე ჟენტიის ნაშრომი — „დანაშაულის სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები საბჭოთა ვაჭრობაში“. თბ., 1979, გვ. 31-41.



ჩვენს მიერ განსაზღვრული მუხლი ითვალისწინებს ადამიანის სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქციის დამზადებას, შემოტანას ან რეალიზაციას. ანდა ასეთ პროდუქტიაზე ეტიკეტის უკანონო გამოყენებას. ხოლო მე-2 ნაწილი დამამძიმებელი გარემოების სახით ითვალისწინებს იგივე ქმედებას, რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია. ძველი კოდექსი კი ერთი ნაწილისაგან შედგებოდა და მასში ხაზგასმული არ იყო დამზადება, ეტიკეტის უკანონო გამოყენება და სხვ. ძველ კოდექსში დომინირებდა უხარისხო პროდუქციის გამოშვება, რაც ამჟამად ტოლფასოვანია იმისა, რასაც სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქტია ჰქვია. აღსანიშნავია ისიც, რომ ძველი კოდექსით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგომა დაკავშირებული იყო მძიმე შედეგის დადგომასთან, ახალი ნორმით კი პასუხისმგებლობა დადგენილია ადამიანის სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქციის დამზადების, შემოტანის ან რეალიზაციისათვის ანდა ასეთ პროდუქტიაზე ეტიკეტის უკანონოდ გამოყენებებისათვის ყოველგვარი შედეგების გარეშე. თუ ადგილი ექნება მძიმე შედეგის დადგომას, მაშინ ქმედება დაკვალიფიცირდება 198-ე მუხლის მეორე ნაწილით. როგორც ვხედავთ, განსაზღვრული მუხლის შემოტანამ, ძველი კოდექსის 161-ე მუხლთან შედარებით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სფერო გააფართოვა, რაც, თავის მხრივ, განაპირობა საქართველოში ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქციის დამზადების, შემოტანისა და რეალიზაციის ხშირმა ფაქტებმა (გავრცელებულობამ).

198-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის უშუალო ობიექტია, როგორც პროდუქციის<sup>1</sup> წარმოების სტანდარტიზაციისა

---

<sup>1</sup> საქართველოს კანონში „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“, რომელიც მიღებულია 1996 წლის 20 მარტს. „პროდუქტია“ გაგებულია როგორც საქონელი, მომსახურება, სამუშაო. რაც შეეხება „მზა პროდუქციას“ („სურსათისა და თამბაქოს შესახებ კანონის შესაბამისად“) – ესაა რესურსებისა და საქმიანობის ერთობლიობის (სამრეწველო გადაშუქების) შედეგად მიღებული პროდუქტი. ეს უკანასკნელი კი ლათინური სიტყვაა (productus) და ნიშნავს შექმნილს, წარმოებულს. სხვანაირად, ესაა ადამიანური შრომის ნიუთობრივი ან არამატერიალური შედეგი (მაგალითად, რაიმე საგანი, მეცნიერული აღმოჩენა და ა. შ.). ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით „პროდუქტია“ არის წარმოების პროდუქტების ერთობლიობა ან წარმოების ცალკეული პროდუქტი, ადამიანის შემოქმედების პროდუქტი (იხ. ჩვენს მიერ ადრე დასახელებული ერთტომეული, გვ. 372). პროფ. ბ. ფურცხვანიძე „პროდუქტიად“ მიიჩნევდა სამრეწველო საწარმოს მიერ ნედლეულის თუ ნახევარფაბრიკატებისაგან დამზადებულ ყოველგვარ მზა მატერიალურ საგანს, აგრეთვე ბუნების წიაღიდან მოპოვებულ მთამადნეულს (ნახშირი, ნავთი და ა. შ.). გამიზნულს გამოსაყენებლად მათი დანიშნულებისამებრ.

და სერთიფიკაციის წესები, ასევე მომხმარებელთა ინტერესები. დამატებით ობიექტად გვევლინება ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა. რაც შეეხება დანაშაულის საგანს, ასეთად გვევლინება დადგენილ სტანდარტებთან და მოთხოვნებთან შეუსაბამო სამრეწველო ან სასურსათო პროდუქცია (როგორც სამამულო, ისე იმპორტული წარმოების), რომელზედაც დადგენილია მომხმარებელთა უსაფრთხოების მოთხოვნები. დანაშაულის საგანი, ასევე შეიძლება იყოს როგორც ცუდი ხარისხის<sup>1</sup> (უხარისხოდ წარმოებული), ასევე სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად დამზადებული პროდუქცია, რომელიც შემდგომში გაფუჭდა სხვადასხვა მიზეზების გამო (ტრანსპორტირება, შენახვა და ა. შ.).

ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიშ პროდუქციად უნდა მივიჩნიოთ ისეთი, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს: ადამიანის სიკვდილი; მხედველობის, მეტყველების, სმენის დაკარგვა; ფსიქიკური ავადმყოფობა; ორსულობის შეწყვეტა და სხვა. ფაქტობრივად აქ იგულისხმება ცუდი ხარისხის, არასტანდარტული პროდუქცია, რომელიც ვერ პოულობს თავის დანიშნულებას. პირიქით, იგი საფრთხეს უქმნის მომხმარებლის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. ცუდი ხარისხის პროდუქცია არ ნიშნავს არასათანადო ხარისხის პროდუქციას — ამ უკანასკნელის არსებობისას იგი შეიძლება გაიყიდოს ამავე სახით, თანაც შესაბამისი ხარისხის მხედველობაში მიღებით. პროდუქციის ხარისხის განმსაზღვრელად გვევლინება სტანდარტით გათვალისწინებული პირობების დაცვა. სტანდარტი — ესაა სანიტარული ნორმები და წესები, სამშენებლო ნორმები და წესები და სხვა დოკუმენტები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრავს (ადგენს) პროდუქციის ხარისხისადმი სავალდებულო მოთხოვნებს.

საქართველოში მოქმედი სტანდარტიზაციის ნორმატიული დოკუმენტებია: 1) საქართველოს ეროვნული სტანდარტი (საქართველოს სტანდარტი); 2) საქართველოს სტანდარტად მიღებული საერთაშორისო სტანდარტი; 3) საქართველოს სტანდარტად მიღებული რეგიონალური სტანდარტი; 4) ტექნიკურ-ეკონომიკური ინფორმაციის საქართველოს კლასიფიკატორი

<sup>1</sup> „ხარისხი“ — ესაა სტანდარტებითა და ნორმებით განსაზღვრული მაჩვენებლების ერთობლიობა, ესე იგი ის მახასიათებლები, რომლებიც აკმაყოფილებს პროდუქციის დადგენილ და სავარაუდო მოთხოვნებს.

(ესაა დოკუმენტი, რომელიც ადგენს საკლასიფიკაციო ობიექტებისათვის ან საკლასიფიკაციო ჯგუფებისათვის დასახელებებისა და კოდების სისტემატიზებულ ნუსხას); 5) მეწარმე სუბიექტის სტანდარტი (ამას მეწარმე სუბიექტი შეიმუშავებს, თუ არ არსებობს პროდუქციის ან მომსახურების საქართველოს სტანდარტები ან საქართველოს სტანდარტებით დადგენილი მოთხოვნები საჭიროებს დამატებებს. მეწარმე სუბიექტი პასუხისმგებელია თავისი სტანდარტის სავალდებულო სტანდარტებთან შესაბამისობაზე. მეწარმე სუბიექტის სტანდარტი ამოქმედდება მისი სახელმწიფო რეგისტრაციის შემდეგ).

საქართველოს სტანდარტიზაციის სისტემასთან დაკავშირებით უნდა შეენიშნოს, რომ ესაა ნორმატიული დოკუმენტების კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს სტანდარტიზაციის სფეროში ერთიანი სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის გატარებას, ადგენს სტანდარტიზაციის ძირითად დებულებებსა და წესებს, სისტემის პრინციპებსა და სტრუქტურას, მოთხოვნებს საქართველოში მოქმედი სტანდარტიზაციის ნორმატიული დოკუმენტებისადმი, ამ დოკუმენტების შემუშავების, შეთანხმების, მიღებისა და რეგისტრაციის წესებს.

საქართველოს სტანდარტიზაციის სისტემის მონაწილეები არიან: ა) „საქსტანდარტი“ (საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტი); ბ) სტანდარტიზაციის სფეროს ტექნიკური კომიტეტები; გ) ფიზიკური და იურიდიული პირები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც სამუშაოს ახორციელებენ სტანდარტიზაციის სფეროში. „საქსტანდარტი“ პასუხისმგებელია მის მიერ შემუშავებული სტანდარტიზაციის სისტემის სტანდარტიზაციის პრინციპებთან<sup>1</sup> შესაბამისობაზე. სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტი არის დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ნებაყოფლობით

---

1 სტანდარტიზაციის პრინციპებია: ა) გამჭვირვალობა, ფართო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობა და კონკრეტულობა; ბ) საზოგადოებრივი სარგებლიანობა, თანამედროვეობა და ეკონომიკური ეფექტიანობა; გ) სტანდარტიზაციის სფეროში განხორციელებულ საქმიანობაში მონაწილეობისა და სტანდარტების გამოყენების ნებაყოფლობითი ხასიათი; დ) სტანდარტიზაციის საერთაშორისო და რეგიონულ პრინციპებთან შესაბამისობა; ე) სტანდარტიზაციის სფეროში განხორციელებულ საქმიანობაში ყველა დაინტერესებული მხარის თანაბარ საწყისებზე მონაწილეობა და გადაწყვეტილებების კონსენსუსის საფუძველზე მიღება. „საქსტანდარტს“, როგორც საქართველოს სტანდარტიზაციის ეროვნულ ორგანოს, უფლება აქვს საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციებში იყოს საქართველოს წარმომადგენელი.

გაერთიანება. რომლის მიზანია საქართველოს სტანდარტების შემუშავება და საერთაშორისო და რეგიონული სტანდარტიზაციის სფეროში სამუშაოთა განხორციელება. ამ კომიტეტს არა აქვს იურიდიული პირის სტატუსი. ეს კომიტეტი, როგორც წესი, იქმნება გარკვეული სახის პროდუქციის, ტექნოლოგიებისა და სტანდარტიზაციის სხვა ობიექტების მიხედვით სპეციალიზებული, მაღალი სამეცნიერო პოტენციალის მქონე ორგანიზაციების ბაზაზე. სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტი პასუხისმგებელია საქართველოს ეროვნული სტანდარტების პროექტების შემუშავებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს ეროვნული სტანდარტის ანუ საქართველოს სტანდარტთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ საქართველოს სტანდარტის პროექტი უნდა შემუშავდეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (მსო) „სტანდარტების შემუშავების, მიღებისა და გამოყენების შესახებ კუთვნილი სერიის ქილების კოდექსით“ დადგენილი წესების შესაბამისად. საქართველოს სტანდარტის შემუშავების საფუძველია საერთაშორისო და რეგიონული სტანდარტები ან დამთავრების სტადიაზე მყოფი მათი პროექტები, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა აღნიშნული სტანდარტები ან მათი ცალკეული ნორმები არააფექტიანია კანონიერი მიზნების მისაღწევად (ძირითადი კლიმატური და გეოგრაფიული ფაქტორების ან ტექნოლოგიური პრობლემების გამო). სტანდარტის მიღებამდე დაინტერესებულ მხარეებს სტანდარტის პროექტზე შენიშვნების წარდგენისათვის ეძლევათ 60 დღის ვადა. ეს ვადა შეიძლება შემცირდეს, თუ იქმნება ან შესაძლოა შეიქმნას ეროვნული უსაფრთხოების, ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული მწვავე პრობლემები. საქართველოს სტანდარტის დაცვა სავალდებულოა, თუ: ა) ეს დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით ან მითითებულია ტექნიკურ რეგლამენტში<sup>1</sup>; ბ) მწარმოებელმა ან

---

<sup>1</sup> ტექნიკური რეგლამენტი – არის სამართლებრივი აქტი, რომელიც განსაზღვრავს პროდუქციასა ან მომსახურებაზე ტექნიკურ მოთხოვნებს. ტექნიკური რეგლამენტი ტექნიკურ მოთხოვნებს პროდუქციაზე ან მომსახურებაზე განსაზღვრავს პირდაპირ ან საქართველოს სტანდარტებზე მითითებითა და მათი სავალდებულო გამოყენების დადგენით. სხვაანაირად თუ ვიტყვი. ტექნიკური რეგლამენტი – ესაა დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრულია საქონლის (პროდუქციის) მახასიათებლები ან მასთან დაკავშირებული გადაამუშავებისა და წარმოების მეთოდები, შესაბამისი ადმინისტრაციული დებულებების ჩათვლით, რომელთა დაცვა სავალდებულოა. იგი ასევე შეიძლება მოიცავდეს ან ექსკლუზიურად ეხებოდეს ტერმინოლოგიის, სიმბოლოების, შეფუთვის, ნიშანდების ან ეტიკეტირების მოთხოვნებს საქონლის, პროცესის ან წარმოების მეთოდის მიმართ.

მომსახურების მიწოდებელმა იკისრა ეს ვალდებულება შესაბამისობის შემოწმებით.

საქართველოს სტანდარტთან პროდუქციის ან მომსახურების შესაბამისობა შეიძლება დადასტურდეს პროდუქციის და მომსახურების შესაბამისობის ნიშნით ნიშანდების გზით. მეწარმე სუბიექტები, აგრეთვე პროდუქცია და მომსახურება, რომელიც ნიშანდებულია შესაბამისობის ნიშნით, შეიტანება საქართველოს სტანდარტებთან შესაბამისობის ნიშნით ნიშანდებული პროდუქციისა და მომსახურების სახელმწიფო რეესტრში. საქართველოს სტანდარტებთან პროდუქციისა და მომსახურების შესაბამისობის ნიშნის ფორმისა და ნიშანდების, აგრეთვე სახელმწიფო რეესტრის წარმოებისა და გამოყენების წესი დგინდება საქართველოს კანონმდებლობით. საქართველოს სტანდარტებს იღებს „საქსტანდარტი“ სტანდარტიზაციის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად (ეს კანონი მიღებულია 1999 წლის 25 ივნისს). საქართველოს სტანდარტი სამოქმედოდ შემოიღება „საქსტანდარტში“ მისი სახელმწიფო რეგისტრაციის შემდეგ. ტექნიკურ-ეკონომიკური ინფორმაციის კლასიფიკატორების შემუშავების, დამტკიცების, ამოქმედებისა და გამოყენების წესებს ადგენს „საქსტანდარტი“. „საქსტანდარტს“ აქვს საქართველოს სტანდარტებისა და ტექნიკურ-ეკონომიკური ინფორმაციის კლასიფიკატორების დადგენილი წესით ოფიციალური გამოქვეყნების განსაკუთრებული უფლება. სტანდარტიზაციის ნორმატიული დოკუმენტების ოფიციალურ გამოცემად ითვლება მათი გამოქვეყნება ბეჭდვით ორგანოებში – კერძოდ, „საქართველოს საკანონმდებლო მაცნესა“ და „საქსტანდარტის“ მიერ გამოცემულ სტანდარტების საინფორმაციო კრებულში – „საქართველოს სტანდარტები. მაჩვენებელი“.

„საქსტანდარტთან“ ფუნქციონირებს სტანდარტების მთავარი საინფორმაციო ცენტრი, რომელიც: ა) ორგანიზაციას უწევს საქართველოს სტანდარტების, ტექნიკურ-ეკონომიკური ინფორმაციის კლასიფიკატორების, ტექნიკური რეგლამენტის, საერთაშორისო და რეგიონული სტანდარტების, სტანდარტიზაციის წესებისა და რეკომენდაციების, აგრეთვე სტანდარტიზაციის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესახებ ოფიციალური ინფორმაციის გამოქვეყნებას; ბ) პასუხობს დაინტერესებული მხარეებისა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი ქვეყნების შეკითხვებს და აწვდის მათ შესაბამის დოკუმენტაციას, სახელდობრ:

მიღებულ და მისაღებ ტექნიკურ რეგლამენტზე, სტანდარტზე; გ) მომხმარებელს წარუდგენს ინფორმაციას ტექნიკური რეგლამენტის, სტანდარტების, სხვა ნორმატიული აქტებისა და სტანდარტებთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ; დ) მომხმარებელს წარუდგენს ინფორმაციას უცხო ქვეყნებიდან მიღებული სტანდარტების თარგმნის შესახებ; ე) თანამშრომლობს საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციებთან სტანდარტიზაციისა და მასთან დაკავშირებული საქმიანობის სფეროში; ვ) თანამშრომლობს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სამდივნოსთან და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრ ქვეყნებთან სტანდარტიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე. დაბოლოს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები ქმნიან საინფორმაციო ცენტრებს, რომლებიც „საქსტანდარტის“ მთავარ საინფორმაციო ცენტრს უზრუნველყოფენ შესამუშავებელი და მიღებული ნორმატიული აქტებისა და დოკუმენტების შესახებ ინფორმაციით<sup>1</sup>.

პროდუქციის შესაბამისობა სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან, ასევე განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილი პროდუქციის სავალდებულო სერტიფიკაციის წესით<sup>2</sup>. ესე იგი პროდუქციის სერტიფიკაცია დადგენილ მოთხოვნებთან პროდუქციის შესაბამისობის დადასტურებაა. სერტიფიკაციის მიზანია: ა) შეუქმნას ფიზიკურ და იურიდიულ პირებს საქართველოს ერთიან სასაქონლო ბაზარზე საქმიანობის, აგრეთვე საერთაშორისო ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობისა და საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილეობის პირობები; ბ) დაეხმაროს მომხმარებელს პროდუქციის არჩევაში; გ) დაიცვას მომხმარებელი პროდუქციის დამამზადებლის (გამყიდველის, შემსრულებლის) არაკეთილსინდისიერებისაგან; დ) გააკონტროლოს პროდუქციის უსაფრთხოება ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონებისა და გარემოს

<sup>1</sup> დაწერილებით სტანდარტიზაციის საკითხებზე იხილეთ: საქართველოს კანონი „სტანდარტიზაციის შესახებ“ (მიღებულია 1999 წლის 25 ივნისს).

<sup>2</sup> სერტიფიკაციის საკითხები დარეგულირებულია საქართველოს კანონით, „პროდუქციის და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ“, რომელიც მიღებულია 1999 წლის 6 სექტემბერს. ეს კანონი ადგენს საქართველოში პროდუქციის, მომსახურების, სხვა ობიექტების სავალდებულო და ნებაყოფლობითი სერტიფიკაციის სამართლებრივ საფუძვლებს, აგრეთვე სერტიფიკაციის მონაწილეთა უფლებებს, ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას.

დასაცავად; ე) დაადასტუროს დამამზადებლის მიერ განცხადებული პროდუქციის ხარისხის მაჩვენებელი. სერტიფიკაცია შეიძლება იყოს სავალდებულო ან ნებაყოფლობითი.

საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტის უფლებამოსილებანი სერტიფიკაციასთან მიმართებაში გამოიხატება შემდეგში: ა) მონაწილეობს სერტიფიკაციის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაში და ახდენს მისი რეალიზების ორგანიზაციას, ადგენს საქართველოს ტერიტორიაზე სერტიფიკაციის ჩატარების საერთო წესებს, აქვეყნებს ოფიციალურ ინფორმაციას სერტიფიკაციის შესახებ; ბ) სახელმწიფო რეგისტრაციაში ატარებს საქართველოში მოქმედ სერტიფიკაციის სისტემებს და შესაბამისობის ნიშნებს; გ) აქვეყნებს ოფიციალურ ინფორმაციას საქართველოს მოქმედი სერტიფიკაციის სისტემების და შესაბამისობის ნიშნების შესახებ და წარადგენს მათ სერტიფიკაციის საერთაშორისო (რეგიონალურ) ორგანიზაციებში დადგენილი წესით; დ) შეიმუშავებს სერტიფიკაციის საერთაშორისო (რეგიონალურ) სისტემებთან შეერთების წინადადებებს; ე) ღებს საერთაშორისო (რეგიონალურ) ორგანიზაციებთან სერტიფიკაციის შედეგების ურთიერთალიარებისა და სერტიფიკაციის დადგენილი წესების ურთიერთშეთანწყობის ხელშეკრულებებს; ვ) სერტიფიკაციის ეროვნული ორგანო<sup>1</sup> ატარებს სერტიფიკაციის სამუშაოებს.

სერტიფიკაციის სისტემას<sup>2</sup> აქვს პროცედურებისა და მართვის თავისი სპეციალური წესები სერტიფიკაციის ჩასატარებლად. სერტიფიკაციის სისტემას ქმნიან აღმასრულებელი ხელისუფლების ან სხვა სახელმწიფო ორგანოები და იურიდიული პირები. ეს არის ერთობლიობა სერტიფიკაციის მონაწილეებისა, რომლებიც თავის სისტემაში დადგენილი წესებით ახორციელებენ სერტიფიკაციას. სერტიფიკაციის სისტემაში შეიძლება შედიოდეს ერთგვაროვანი პროდუქციის სერტიფიკაციის რამდენიმე სისტემა. სერტიფიკაციის

---

<sup>1</sup> სერტიფიკაციის ორგანო – ესაა საწარმო, ორგანიზაცია ან დაწესებულება, საზოგადოებრივი გაერთიანება, რომელსაც აქვს უფლება ჩაატაროს სერტიფიკაცია და გასცეს სერტიფიკატი (იხ. საქართველოს კანონის „პროდუქციის და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ“ პირველი თავის „ი“ პუნქტი).

<sup>2</sup> სერტიფიკაციის სისტემა – ესაა სისტემა, რომელსაც აქვს სერტიფიკაციის ჩასატარებლად საჭირო პროცედურისა და მართვის საკუთარი წესები.

სისტემაში შეიძლება იყოს ერთგვაროვანი პროდუქციის რამდენიმე ორგანო და საგამოცდო ლაბორატორია, თუ ისინი აკმაყოფილებენ სისტემით დადგენილ აკრედიტაციის წესებს. სერტიფიკაციის სისტემა უნდა გატარდეს სახელმწიფო რეგისტრაციაში „საქსტანდარტის“ დადგენილი წესით.

სერტიფიცირებული პროდუქციისა და მისი შესაბამისობის ნიშანთან დაკავშირებით უნდა შეენიშნოთ, რომ დადგენილ მოთხოვნებთან სერტიფიცირებული პროდუქციის შესაბამისობას ადასტურებს შესაბამისობის სერტიფიკატი – დოკუმენტი, რომელიც გაიცემა სერტიფიკაციის სისტემის წესებით. დადგენილ მოთხოვნებთან ნიშანდებული პროდუქციის შესაბამისობას კი ადასტურებს შესაბამისობის ნიშანი. ამ ნიშნის გამოყენებისა და სახელმწიფო რეგისტრაციის წესებს ადგენს „საქსტანდარტი“.

სავალდებულო სერტიფიკაციასთან დაკავშირებით უნდა შეენიშნოთ, რომ სავალდებულო სერტიფიკაციის ორგანიზება და სამუშაოთა ჩატარება ეკისრება „საქსტანდარტს“, ხოლო პროდუქციის ცალკეულ სახეობათა მიმართ სავალდებულო სერტიფიკაცია შეიძლება დაეკისროთ აღმასრულებელი ხელისუფლების ან სხვა სახელმწიფო ორგანოებსა და იურიდიულ პირებს მათი საკუთრების ფორმის განურჩევლად. პროდუქციის სავალდებულო სერტიფიკაციის სქემას ადგენს „საქსტანდარტი“, აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანო ან სხვა სახელმწიფო ორგანო საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საზღვარგარეთის პრაქტიკის გათვალისწინებით. სავალდებულო სერტიფიკაციას დაქვემდებარებული პროდუქციის ნუსხას თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში განსაზღვრავენ საქსტანდარტი და საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების სახელმწიფო ორგანოები<sup>1</sup>, რომელთაც საქართველოს კანონმდებლობით ეკისრებათ სავალდებულო სერტიფიკაციის სამუშაოთა ორგანიზება და ჩატარება. განმცხადებელს უფლება აქვს სერტიფიკაციის ჩამტარებელ ორგანოსაგან მოითხოვოს და მიიღოს აუცილებელი ინფორმაცია პროდუქციის სერტიფიკაციის წესების შესახებ. შესაბამისობის სერტიფიკატის<sup>2</sup> გარეშე აკრძალულია სავალდებულო

<sup>1</sup> დასახელებული კანონის მე-8 მუხლის მეოთხე ნაწილში მითითებულია ასევე საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია.

<sup>2</sup> შესაბამისობის სერტიფიკატი – ესაა სერტიფიკაციის სისტემის წესების შესაბამისად გაცემული დოკუმენტი.



სერტიფიკაციას დაქვემდებარებული პროდუქციის რეკლამირება.

„საქსტანდარტი“ და საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები, რომელთაც საქართველოს კანონმდებლობით ეკისრებათ სავალდებულო სერტიფიკაციის სამუშაოთა ორგანიზება, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში: ა) ქმნიან ერთგვაროვანი პროდუქციის სერტიფიკაციის სისტემებს<sup>1</sup>, ადგენენ ამ სისტემებში სერტიფიკაციის ჩატარების პროცედურისა და მართვის წესებს; ბ) შეარჩევენ ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებთან პროდუქციის შესაბამისობის დადასტურების ხერხებს (სერტიფიკაციის სქემებს); გ) ადგენენ სავალდებულო სერტიფიკაციის ჩასატარებლად აკრედიტაციისა<sup>2</sup> და ნებართვის (ლიცენზიის) გაცემის წესებს; დ) ახდენენ სერტიფიკაციის ორგანოების, საგამოცდო ლაბორატორიების (ცენტრების) აკრედიტაციას; ე) აწარმოებენ სერტიფიკაციის მონაწილეთა და ობიექტების სახელმწიფო რეესტრს; ვ) ადგენენ სერტიფიკატების, შესაბამისობის ნიშნების და გამოცდების შედეგების აღიარების წესს; ზ) ახორციელებენ სახელმწიფო კონტროლს და ზედამხედველობას, ადგენენ სერტიფიკაციის წესების დაცვისა და სერტიფიცირებული პროდუქციის საინსპექციო კონტროლის წესს; თ) განიხილავენ აპელაციებს სერტიფიკაციის თაობაზე; ი) გასცემენ სერტიფიკატებს შესაბამისობის ნიშნის გამოსაყენებლად; კ) განსაზღვრავენ სერტიფიკაციის სისტემების ცენტრალურ ორგანოებს და მათ უფლებამოვალეობებს.

სერტიფიკაციის შესაბამის სისტემაში დადგენილი წესით აკრედიტებული ლაბორატორია (ცენტრი) ცდის კონკრეტულ პროდუქციას და გასცემს გამოცდის ოქმს სერტიფიცირებისათვის.

საქართველოს ტერიტორიაზე პროდუქციის რეალიზაციისას სავალდებულო სერტიფიკაციას დაქვემდებარებული პროდუქციის დამამზადებელი (გამყიდველი, შემსრულებელი) ვალდებულია: ა) ამ პროდუქციის რეალიზაცია მოახდინოს მხოლოდ უფლებმოსილი

---

<sup>1</sup> ერთგვაროვანი პროდუქციის სერტიფიკაციის სისტემა – ესაა სერტიფიკაციის სისტემა, რომელიც მოიცავს განსაზღვრულ პროდუქციას და რომლისთვისაც გამოიყენება ერთი და იგივე კონკრეტული სტანდარტები და პროცედურები.

<sup>2</sup> აკრედიტაცია – ესაა სერტიფიკაციის ორგანოებისა და საგამოცდო ლაბორატორიების (ცენტრების) უფლების ოფიციალური აღიარება მოახდინონ სერტიფიცირება.

ორგანოს მიერ გაცემული ან აღიარებული შესაბამისობის სერტიფიკატი; ბ) უზრუნველყოს სარეალიზაციო პროდუქციის შესაბამისობა ნორმატიული დოკუმენტების იმ მოთხოვნებთან, რომელთა შესაბამისობის დასადასტურებლად იყო ეს პროდუქცია სერტიფიცირებული და დადგენილი წესით ნიშნდებული შესაბამისობის ნიშნით; გ) პროდუქციის თანმხლებ ტექნიკურ დოკუმენტაციაში შეიტანოს სერტიფიკაციის ან იმ ნორმატიული დოკუმენტაციის ცნობები, რომელთაც უნდა შეესაბამებოდეს პროდუქცია, უზრუნველყოს მომხმარებლისათვის (გამყიდველის, შემსრულებლისათვის) ამ ინფორმაციის მიწოდება; დ) შეაჩეროს ან შეწყვიტოს სერტიფიცირებული პროდუქციის რეალიზაცია, თუ პროდუქცია არ პასუხობს ნორმატიული დოკუმენტების იმ მოთხოვნებს, რომელთაც შესაბამისობის დამადასტურებელი სერტიფიკატი აქვთ, სერტიფიკატის მოქმედების ვადა გასულია, შეჩერებულია (ან გაუქმებულია) სერტიფიკაციის ორგანოს გადაწყვეტილებით; ე) დაეხმაროს თავიანთი მოვალეობის შეუფერხებელ შესრულებაში იმ ორგანოს თანამდებობის პირებს, რომლებიც ახორციელებენ სავალდებულო სერტიფიკაციასა და სერტიფიცირებული პროდუქციის კონტროლს. დამამზადებელმა (შემსრულებელმა) დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს სერტიფიკაციის ორგანოს სერტიფიცირებული პროდუქციის ტექნიკურ დოკუმენტაციაში ან წარმოების ტექნოლოგიურ პროცესში შეტანილი ცვლილებები.

ნებაყოფლობით სერტიფიკაციასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ პროდუქციას, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით არ ექვემდებარება სავალდებულო სერტიფიკაციას, აგრეთვე მოთხოვნებს, რომელთა შესაბამისობაზე საქართველოს კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული სავალდებულო სერტიფიკაცია, იურიდიული პირების და მოქალაქეების ინიციატივით შეიძლება ჩაუტარდეს ნებაყოფლობითი სერტიფიკაცია განმცხადებლისა და სერტიფიკაციის ორგანოს შორის დადებული ხელშეკრულებით. ნებაყოფლობითი სერტიფიკაცია შეიძლება განახორციელოს ნებისმიერმა იურიდიულმა პირმა, რომელიც „საქსტანდარტის“ დადგენილი წესით კისრულობს სერტიფიკაციის ორგანოს ფუნქციებს, დაარეგისტრირებს სერტიფიკაციის სისტემას, შესაბამისობის ნიშანსა და მიიღებს შესაბამის უფლებებს. ნებაყოფლობითი სერტიფიკაციის ჩატარება აღნიშნული პირობების დაცვით შეუძლიათ აგრეთვე სავალდებულო სერტიფიკაციის ორგანოებს. სერტიფიკაციის სისტემაში

სამუშაოთა ჩატარებისა და მათი ანაზღაურების წესს ადგენს ნებაყოფლობითი სერტიფიკაციის ორგანო. ნებაყოფლობითი სერტიფიკაციის ორგანოსთან სერტიფიკაციის ჩატარების თაობაზე ხელშეკრულების დადებისას განმცხადებელს უუღლება აქვს მოითხოვოს და მიიღოს აუცილებელი ინფორმაცია პროდუქციის სერტიფიკაციის წესების შესახებ, აგრეთვე განსაზღვროს სერტიფიკაციის სქემა.

სერტიფიკაციის კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

198-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური მხარე, როგორც დისპოზიციაშია ხაზგასმული, გამოიხატება ადამიანის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქციის დამზადებაში. შემოტანასა ან რეალიზაციაში ანდა აღნიშნული სახის პროდუქციაზე ეტიკეტის უკანონოდ გამოყენებაში.

პროდუქციის დამზადება გულისხმობს პროდუქციის მომზადებას სარეალიზაციოდ, მომხმარებლისათვის მისაწოდებლად. პროდუქციას, როგორც წესი, ამზადებს ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო. ფართო გაგებით დამზადება, ასევე მოიცავს რესურსებისა და საქმიანობის ერთობლიობას, პროდუქციის წარმოებას, სამრეწველო გადამუშავებასა და სხვ. ამრიგად, დამზადება მოქმედების ამსახველი ტერმინია და მოცემულ შემთხვევაში პროდუქციის შექმნის პროცესს გულისხმობს.

პროდუქციის შემოტანა ჩვენს მიერ განსახილველ შემთხვევაში გულისხმობს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქციის ადგილმდებარეობის შეცვლასა და დანიშნულ ადგილზე მიტანას.

პროდუქციის რეალიზაცია<sup>1</sup> – 198-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში ნიშნავს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქციის გაყიდვას, გასაღებას. „სურსათისა და თამბაქოს შესახებ“ საქართველოს კანონში „რეალიზაცია“ გაგებულა. როგორც გაყიდვის ან სხვა სახით გასაღების მიზნით სურსათისა და თამბაქოს მზა პროდუქციის საღად შენახვა და ნებისმიერი ფორმით სხვა პირისათვის გადაცემა (იხ. ამ კანონის მე-2 მუხლის „ვ“ პუნქტი).

---

<sup>1</sup> რეალიზაცია ლათინური სიტყვაა და ნიშნავს როგორც გაყიდვას, ქონების ან ფასიანი ქაღალდების ფულად ქცევას, ასევე რისაზე განხორციელებას ცხოვრებაში გატარებას.

სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიშ პროდუქციაზე ეტიკეტის<sup>1</sup> უკანონოდ გამოყენებასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ ეტიკეტი ესაა შესაბამისობის აღმნიშვნელი ნიშანი (ანუ დადგენილი წესით დაცული ნიშანი), რომელსაც პროდუქციას ადებენ იმის დასტურად, რომ მან გაიარა სერტიფიკაცია. ეტიკეტის გამოყენების უფლება აქვს მხოლოდ იმ მეწარმე სუბიექტს, რომლის პროდუქციაც სერტიფიცირებულია კანონით დადგენილი წესით. ამ წესების დაუცველად პროდუქციის ნიშანდება უკანონოდ უნდა მივიჩნიოთ.

198-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა ფორმალურია. იგი დამთავრებულად ითვლება პირველ ნაწილში მითითებული ერთ-ერთი მოქმედების ჩადენის მომენტიდან (ყოველგვარი შედეგის მიუხედავად). რაც შეეხება მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებას, ე. ი. იგივე ქმედებას, რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია – ეს მატერიალური შემადგენლობის დამადასტურებელია. ამ შემთხვევაში აუცილებელია დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. სასამართლომ, შედეგის სიმძიმის შეფასებისას, მხედველობაში უნდა მიიღოს დამზადებული, შემოტანილი და რეალიზებული პროდუქციის რაოდენობა, მათ შემადგენლობაში ადამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიშ (მომწამელელ) ნივთიერებათა შემცველობა და სხვა გარემოებანი. საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში მძიმე შედეგი, მეტწილად, ადამიანის დაღუპვასა და ჯანმრთელობისათვის მძიმე დაზიანებაში ვლინდება.

198-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტური მხარე ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. კერძოდ, ბრალდებულს გაცნობიერებული აქვს, რომ მიმართავს ადამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქციის დამზადებას, შემოტანას, რეალიზაციას ანდა ასეთ პროდუქციაზე ახდენს ეტიკეტის უკანონო გამოყენებას და სურს ასეთი ქმედების ჩადენა. მოტივები შეიძლება სხვადასხვა იყოს, რასაც კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს. იგი შეიძლება მოსამართლემ

---

<sup>1</sup> „ეტიკეტი“ ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს საქონელზე, პროდუქციაზე დაკრულ საფაბრიკო (საქარხნო) ან სავაჭრო ნიშანს, რომელზედაც ნაჩვენებია სახელწოდება, რაოდენობა ფასი და სხვ., ამავე მნიშვნელობით იხმარება „იარლიფი“, რომელიც თურქული წარმოშობის სიტყვაა.

მხედველობაში მიიღოს სასჯელის დანიშვნის დროს.

განსახილველი დანაშაულის სუბიექტია ყოველი შერაცხადი ფიზიკური პირი 14 წლის ასაკიდან (როგორც საქართველოს მოქალაქე, ასევე უცხოელი მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე პირი).

## §11. ეკომარკით უკანონოდ სარგებლობა (სსკ 199-ე მუხლი)

ამ მუხლის დისპოზიციის თანახმად დანაშაულადაა მიჩნეული ეკომარკით უკანონოდ სარგებლობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, — რაც ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორ წლამდე.

ეკომარკა წარმოადგენს ნიშანს — გრაფიკულ გამოსახულებას, რომელიც მიენიჭება საქართველოში წარმოებულ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციას და რომელიც ედება საბოლოო პროდუქციას (შუფუთვის ჩათვლით) გარე, თვალსაჩინო ადგილას. ეკომარკირება ხორციელდება ნებაყოფლობით საწყისებზე. მისი მიზანია მომხმარებელთა უკეთე ორიენტირება და აღნიშნული პროდუქციის წარმოების სტიმულირება. ეკომარკა ენიჭება მხოლოდ იმ პროდუქციას, რომელიც საბოლოო მოხმარებისათვის არის განსაზღვრული და არა იმას, რომელიც გამოიყენება ნახევარფაბრიკატად წარმოების პროცესში. ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციას ეკომარკას ანიჭებს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან არსებული ეკომარკირების საუწყებათაშორისო კომისია<sup>1</sup>. ეს კომისია წარმოადგენს საეკომარკო პროდუქციის დამდგენ, ნებართვის პირობების მიმღებ, შემცვლელ, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციაზე ეკომარკის მიმნიჭებელ, შემწყვეტ, შემაჩერებელ და ჩამოშორებულ ორგანოს. კომისიის პერსონალურ შემადგენლობასა (განისაზღვრება 15 წევრის ოდენობით) და თავმჯდომარეს ამტკიცებს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი. განსახილველი საკითხების სპეციფიკიდან გამომდინარე, საუწყებათაშორისო კომისიასთან იქმნება

<sup>1</sup> საუწყებათაშორისო კომისია შედგება გარემოს დაცვის, ჯანმრთელობის დაცვის და სხვა შესაბამისი სამთავრობო დაწესებულებების, დაინტერესებული უწყებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან.

ექსპერტთა ჯგუფი, რომლის წევრებად სათათბირო ხმის უფლებით შეიძლება მოწვეული იქნებ შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტები. მათ კონკრეტულ რაოდენობასა და პერსონალურ შემადგენლობას დღის წესრიგთან ერთად ამტკიცებს კომისია. ექსპერტთა ჯგუფის ფუნქციაა ეკომარკით სარგებლობის უფლების მისანიჭებლად, შეწყვეტა-შენარჩუნების ან ჩამორთმევის შესახებ წარმოდგენილი განცხადებების, კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტებისა და მასალების შემოწმება, განხილვა და შეფასება. ექსპერტთა ჯგუფი იქმნება ყოველი ახალი პროდუქციისათვის, რომელზეც განცხადებულია ეკომარკის მინიჭების მოთხოვნა (ამ ჯგუფს ასევე ევალება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, დაინტერესებულ უწყებათა და ორგანიზაციათა, მომხმარებელთა სფეროსა და მეწარმეთა კავშირის მიერ ერთობლივად შემუშავებული წინადადებებისა და საეკომარკო პროდუქციის ნუსხის – სათანადო მაჩვენებლებითა და პარამეტრებით – პროექტის შედგენა). საუწყებათა-შორისო კომისია განიხილავს ექსპერტთა ჯგუფისაგან მიღებულ დოკუმენტაციას და იღებს შესაბამის დასკვნას ეკომარკის მინიჭების შესახებ. ეს კომისია, ასევე პერიოდულად ამოწმებს ეკომარკირებულ პროდუქციას ეკომარკით სარგებლობის ვადის გასვლამდე წელიწადში ორჯერ. იმ პროდუქციისათვის, რომლებზეც განცხადებულია ეკომარკის მინიჭების მოთხოვნა, აუცილებელია საერთო შეფასება. შეფასება მოიცავს ნედლეულის მოპოვების და გადამუშავების, პროდუქციის წარმოების, მოხმარების, უტილიზაციის (გამოსადეგობის), მოხმარების შემდგომ განთავსების ანუ მისი წარმოებისა და მოხმარების სრული ციკლის შედეგის გავლენას გარემოზე. პროდუქციის შეფასებისათვის ძირითად კრიტერიუმად გამოიყენება: ა) ნედლი მასალისა და ენერჯის გამოყენება (ტექნოლოგია, ტექნიკა, ეკონომიკა); ბ) შემცველი მასალის ტოქსიკურობა; გ) ემისია (აქროლადი აირი, წყალი, ხმაური და ა. შ.); დ) ხელახალი გამოყენება, რეციკლირება; ე) შეფუთვა, შეფუთვის მასალები; ვ) გასაღებისა და ტრანსპორტირების (მოთხოვნის მიხედვით) პირობები; ზ) ხარისხი. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ პროდუქციის შეფასების საფუძველზე ხდება ეკომარკის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა. ეკომარკა პროდუქციას ენიჭება სამ წლამდე ვადით. პროდუქციისათვის მინიჭებული ეკომარკის შეცვლა ან ამოღება შესაძლებელია გამოწვეული იქნეს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში მომხდარი არსებითი ცვლილებებით ან რაიმე

კანონსაწინააღმდეგო ქმედებებით. ეკომარკა მიენიჭება პროდუქციას, რომელიც მზადდება საქართველოში. ეკომარკის მინიჭების შესახებ განცხადების გაკეთება შეუძლია ნებისმიერ მეწარმე ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც პროდუქციას საქართველოში ამზადებს. წინადადებები ეკომარკის მოთხოვნის შესახებ შეიძლება დაისვას მხოლოდ პროდუქციის სარეალიზაციოდ გამზადების შემდეგ. განცხადებას ეკომარკის მინიჭების მოთხოვნის შესახებ თან უნდა ერთვოდეს შემდეგი დოკუმენტაცია: ა) პროდუქციის მწარმოებლის (ეკომარკის მინიჭების მსურველის) იურიდიული სახელწოდება და მისამართი; ბ) საქმიანობის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლი; გ) იმ პროდუქციის დასახელება, რომელზედაც მოთხოვნილია ეკომარკის მინიჭება; დ) მონაცემები (დოკუმენტები), რომლებიც სარწმუნოს ხდიან და ამტკიცებენ, რომ პროდუქცია დადგენილ სტანდარტებსა და ტექნიკურ ნორმებს შეესაბამება. აღნიშნულ დოკუმენტს გასცემს „საქსტანდარტი“ და ის ორგანიზაციები, რომლებსაც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასეთი დოკუმენტის გაცემის უფლება აქვთ; ე) მონაცემები გამოყენებული მასალის (ნედლეულის) წარმოშობისა და ტექნოლოგიური ციკლის, ასევე დამადასტურებელი მასალა ენერგოეფექტურობის შესახებ.

ეკომარკირების საუწყებათაშორისო კომისიის მიერ განისაზღვრება შემოწმების ჩატარების მეთოდები და მოთხოვნები, აგრეთვე შემოწმების ჩამტარებელი (დასკვნის გამცემი) სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა. ყველა განცხადება, დოკუმენტი და მასალა ეგზავნება ექსპერტთა ჯგუფს განსახილველად, რომელიც განხილვის შედეგებს უგზავნის საუწყებათაშორისო კომისიას. განცხადება ეკომარკის მინიჭების შესახებ განიხილება (ყველა საჭირო დოკუმენტის წარდგენიდან) არაუგვიანეს ორი თვისა. საბოლოო გადაწყვეტილებას ეკომარკირების მინიჭების შესახებ მინისტრი იღებს ერთ კვირაში. ეკომარკირების საუწყებათაშორისო კომისიის უარყოფითი დასკვნა შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

ეკომარკით სარგებლობასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ შემდეგი: 1. ეკომარკირებით სარგებლობის შესახებ ეკომარკირების საუწყებათაშორისო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და განმცხადებელს შორის იდება კონტრაქტი; 2. კონტრაქტი შეიცავს

მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს (პირობებს) ეკომარკით სარგებლობასთან დაკავშირებით; 3. ეკომარკით სარგებლობის კონტრაქტის დარღვევის შემთხვევაში ხდება საუწყებათაშორისო კომისიის მიერ ეკომარკით სარგებლობის უფლებამოსილების შეწყვეტა ან შეჩერება იმ გარემოებისა და პირობების აღდგენამდე, რაც კონტრაქტითაა გათვალისწინებული; 4. ეკომარკით სარგებლობის უფლების ვადამდე ჩამორთმევა ხდება მაშინ, როცა: ა) პროდუქცია აღარ შეესაბამება საეკომარკო პროდუქციის მოთხოვნებს, არ ექვემდებარება მეორად დამუშავებას, დარღვეულია ტექნოლოგიური პროცესი, შეფუთვის სტანდარტები და სხვ; ბ) კომისია ყალბი ინფორმაციით შეცდომაში იქნა შეყვანილი; გ) პროდუქციის შემადგენლობა არასწორადაა დასახელებული (გაყალბებულია); დ) ეკომარკა გამოყენებული იქნა სხვა პროდუქციისათვის უნებართვოდ (სარგებლობის უფლების უკანონო დელეგირება); ე) გაჭიანურებული ან შეფერხებული იქნა კონტროლის განხორციელება ეკომარკით სარგებლობის პირობებზე, რაც დადასტურებულაა საოქმო ჩანაწერებით; 5. კომისია უფლებამოსილია ნებისმიერი მოტივირებული განცხადების საფუძველზე მეწარმეს ჩამოართვას ეკომარკით სარგებლობის უფლება; 6) ეკომარკით სარგებლობის დროს გასვლამდე ერთი თვით ადრე დასმულ უნდა იქნას წინადადება მისი ვადის გაგრძელების შესახებ<sup>1</sup>.

ზემოაღნიშნულის გააზრებიდან გამომდინარე სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ განსახილველი დანაშაულის უშუალო ობიექტია მომხმარებელთა ინტერესები; რაც შეეხება გარემოს დაცვის ინტერესებს იგი დამატებით ობიექტად უნდა მივიჩნიოთ. 199-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საგანია ეკომარკა. სხვანაირად თუ ვიტყვით, უკანონოდ ეკონიშნით მარკირებული პროდუქცია.

გასაანალიზებელი დანაშაულის ობიექტური მხარე მოიცავს ისეთ ნიშნებს, როგორიცაა: ა) მოქმედება (ეკომარკით უკანონოდ მოქმედება); ბ) შედეგი (მნიშვნელოვანი ზიანი) და გ) მიზეზობრივი კავშირი მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.

ეკომარკით უკანონოდ სარგებლობა ნიშნავს დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ ეკომარკის გამოყენებას, ხმრებას. სახელდობრ, ასეთ

---

<sup>1</sup> დაწერილებით ეკომარკირების საკითხებთან დაკავშირებით იხილეთ: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 1999 წლის 15 იანვრის № 03 ბრძანება „ეკომარკირების შესახებ“.



შემთხვევაში ბრალდებული გრაფიკული გამოსახულების ნიშანს ანუ ეკომარკას უკანონოდ აკრავს მზა პროდუქციას და ჰყიდის მას. თუ რა უნდა ჩაითვალოს ეკომარკით უკანონოდ სარგებლობის შედეგად გამოწვეულ მნიშვნელოვან ზიანად, ამის განსაზღვრა სასამართლოს კომპეტენციაა, რაც უნდა მოხდეს საქმის კონკრეტულ გარემოებათა შესწავლის საფუძველზე. დანაშაული დამთავრებულად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ ეკომარკით უკანონო სარგებლობამ მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. ეს უკანასკნელი მოიცავს ისეთ ფაქტებს, როგორცაა: ეკოლოგიურად მავნე პროდუქციით ადამიანთა მოწამლევა, სხვადასხვა დაავადება, დასნებოვნება და სხვ. როგორც ვხედავთ, 199-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა მატერიალურია (შედეგიანია).

სუბიექტური მხრივ განსახილველი დანაშაული ხასიათდება განზრახი ბრალით. ბრალდებულს გაცნობიერებული აქვს თავისი მოქმედების მართლწინააღმდეგობა, სახელდობრ ის, რომ უკანონოდ სარგებლობს ეკომარკით და სურს ასეთი მოქმედების ჩადენა. ამ დანაშაულის მოტივები შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. მათ დანაშაულის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვთ, მაგრამ მათი გათვალისწინება ხდება სასჯელის დანიშვნის დროს.

199-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს ყოველი შერაცხადი ფიზიკური პირი 14 წლის ასაკიდან. მეტწილად ეს ის პირებია, რომლებიც სამეწარმეო საქმიანობას ახორციელებენ.

## §12. მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვება, შენახვა, რეალიზაცია ან გადაზიდვა (სსკ მე-200 მუხლი)

ამ მუხლის პირველი ნაწილის ძალით დანაშაულადაა მიჩნეული აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვება, შენახვა, რეალიზაცია ან გადაზიდვა, – რაც ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ან ტუსალობით ვადით სამ თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

მეორე ნაწილი დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევს იგივე ქმედებას, ჩადენილს: ა) არაერთგზის; ბ) დიდი ოდენობით, – რაც ისჯება ჯარიმით ან ტუსალობით ვადით ხუთ თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე.

მესამე ნაწილი განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევს ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებას, ჩედენილს განსაკუთრებით დიდი ოდენობით, – რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე.

განსახილველ მე-200 მუხლს გააჩნია შენიშვნა, რომლის პირველ ნაწილში ხაზი გაესმის იმას, რომ ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება, როდესაც აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის ღირებულება აღემატება ორას ლარს. შენიშვნის მე-2 ნაწილში კი წერია, რომ ამ მუხლში დიდ ოდენობად ითვლება საქონლის ღირებულება ორი ათასიდან ათი ათას ლარამდე, ხოლო განსაკუთრებით დიდ ოდენობად – საქონლის ღირებულება ათი ათას ლარს ზევით.

აქციზი (ფრანგ. accise) – ესაა არაპირდაპირი გადასახადის სახე. უპირატესად ფართო მოხმარების საქონელზე (მაგ., შაქარზე, არაყზე, ჩაიზე, თამბაქოს ნაწარმზე და სხვ.), აგრეთვე მომსახურებაზე. ეს გადასახადი შედის საქონლის ფასებში ან მომსახურების ტარიფებში, რაც გამოიხატება მათი ფასების გაზრდით. აქციზი წარმოადგენს ქვეყნების სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს.

„საქართველოში ალკოჰოლიანი სასმელების, ლუდისა და თამბაქოს ნაწარმის წარმოებაზე, იმპორტსა და რეალიზაციაზე აქციზური მარკების შემოღების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 28 მაისის ან № 554 ბრძანებულებით, 1999 წლის 1 თებერვლიდან საქართველოს ტერიტორიაზე აიკრძალა აქციზური ნიშნებით მარკირებას დაქვემდებარებული ალკოჰოლიანი სასმელების, ლუდისა და თამბაქოს ნაწარმის იმპორტირება და წარმოება შიდა მოხმარებისათვის, ხოლო 1999 წლის 1 მარტიდან მათი რეალიზაცია აქციზური მარკების გარეშე. 1999 წლის 28 იანვარს გამოცემული დებულება, რომელიც საქართველოში აქციზური მარკების აღრიცხვის, რეალიზაციისა და კონტროლის წესებს ეხება, აწესრიგებს და განსაზღვრავს საქართველოში შემოტანილ და საქართველოში წარმოებულ ალკოჰოლიანი სასმელების, ლუდისა და თამბაქოს

ნაწარმის აქციზური მარკების გარეშე რეალიზაციის აკრძალვისა და კონტროლის წესს.

აქციზური მარკების რეალიზაციას ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, მასვე შემუშავებული აქვს აქციზური მარკების აღრიცხვის, რეალიზაციისა და კონტროლის, აგრეთვე ალკოჰოლიანი სასმელებისა და თამბაქოს ნაწარმის აქციზური მარკებით ნიშანდების წესები. ფინანსთა სამინისტრო ახორციელებს ასევე აქციზური მარკების მომხმარებელთა რეგისტრაციას და გასცემს შესაბამის მოწმობას. 1999 წლის 28 იანვრის დებულებით მეწარმეს ეკრძალება შიდა ბაზრისათვის მარკირებას დაქვემდებარებული ალკოჰოლიანი სასმელების და თამბაქოს ნაწარმის წარმოება, ასევე მისი თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება და რეალიზაცია აქციზური მარკებით ნიშანდების გარეშე, გარდა კერძო პირებისათვის დაწესებული ზღვრული ოდენობისა. აქციზურ მარკას აქციზური საქონლის ტარაზე (ბოთლზე, ქილაზე, კოლოფსა და ა. შ.) აკრავენ და იგი აქციზური საქონლის რეალიზაციის სავალდებულო პირობად ითვლება. თავად აქციზი კი რეალიზაციის უფლებას ნიშნავს. აქციზურ საქონელს მიეკუთვნება: ლიქიორი, არაყი, ვისკი, ჯინი, სხვადასხვა მარკის შამპანური, ღვინოები და სხვა. დასახელებულ საქონელზე აქციზური მარკები ანუ სარეალიზაციო ნებართვა გაიცემა მას შემდეგ, როცა აქციზური საქონლის მესაკუთრე ფინანსთა სამინისტროში შეიტანს საქონლის რეალიზაციის შესახებ მისი ნების გამომხატველ განაცხადს, გადაიხდის ნიხრით დადგენილ თანხას, მიიღებს აქციზს და დააკრავს სააქციზო საქონელს. ამის შემდეგ მას უფლება აქვს შეუდგეს აქციზირებული საქონლის რეალიზაციას.

განსახილველი დანაშაულის უშუალო ობიექტია ქვეყნის საფინანსო ინტერესები. რაც შეეხება დანაშაულის საგანს, ასეთად გვევლინება მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონელი, სახელდობრ, ალკოჰოლური სასმელები, ლუდი და თამბაქოს ნაწარმი.

მე-200 მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება აქციზური მარკის სავალდებულო ღირებულებას დაქვემდებარებული საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვებაში, შენახვაში, რეალიზაციასა და გადაზიდვაში.

„გამოშვება“ – ნიშნავს რისამე სახის პროდუქციის, ამ შემთხვევაში მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე დამზადებასა და სასაქონლო ბაზარზე გამოტანას მომხმარებლისათვის.

„შენახვა“ – ნიშნავს მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე ფლობას მისი ადგილსამყოფელის მიუხედავად. იგი შეიძლება შენახული იყოს სახლში, სარდაფში, სამალავში და ა. შ.

„რეალიზაცია“ – უნდა გავიგოთ როგორც გაყიდვა, გასაღება. საქართველოს 1999 წლის 25 ივნისის კანონში „სურსათისა და თამბაქოს შესახებ“, „რეალიზაცია“ გაგებულია, როგორც გაყიდვის ან სხვა სახით გასაღების მიზნით სურსათისა და თამბაქოს მზა პროდუქციის საღად შენახვა და ნებისმიერი ფორმით სხვა პირისათვის გადაცემა (იხ. დასახელებული კანონის მე-2 მუხლის „ვ“ პუნქტი).

„გადაზიდვა“ – გულისხმობს მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე ყოველგვარ გადაადგილებას ტრანსპორტირების საშუალებისა და მისი შემდგომი უკანონო შენახვის ადგილის მიუხედავად.

„მე-200 მუხლის მიზანია, – აღნიშნავს ზაურ მჟავანაძე, – საქართველოში აიკრძალოს აქციზური მარკების სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვება, შენახვა, რეალიზაცია ან გადაზიდვა. მუხლის ეს შინაარსი ისე გაიგება, რომ ზემოთ ჩამოთვლილი საქონლის სარეალიზაციოდ გამოშვება, შენახვა, რეალიზაცია ან გადაზიდვა შეუძლებელია აქციზური მარკის გარეშე“<sup>1</sup>.

განსახილველი დანაშაული დამთავრებულად ითვლება მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვების, შენახვის, რეალიზაციის ან გადაზიდვის მომენტიდან. მე-200 მუხლის შენიშვნის გააზრებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ მოცემული დანაშაული მატერიალურ შემადგენლობათა ჯგუფს მიეკუთვნება.

მე-200 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტური მხარე ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. მოტივი და მიზანი ანგარებაში ვლინდება, მათ დანაშაულის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვთ, თუმცა სასამართლოს მიერ მხედველობაში იქნება მიღებული სასჯელის ინდივიდუალიზაციის დროს.

გასაანალიზებელი დანაშაულის სუბიექტთან დაკავშირებით შევნიშნავთ, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ალკოჰო-

---

<sup>1</sup> იხ. სისხლის სამართალი. კრძო ნაწილი. კომენტარები. ქსუ (ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) გამომცემლობა, 2000, გვ. 223.

ლიანი სასმელების, ლუდისა და თამბაქოს ნაწარმის აქციზური მარკებით მარკირებისათვის ეკისრებათ საქართველოში წარმოებული დასახელებული აქციზური საქონლის მწარმოებლებს. ხოლო საქართველოში იმპორტირებული აქციზური მარკებით მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლისათვის მხოლოდ იმპორტიორებს (ე. ი. უცხოური საქონლის შემომტან პირებს). აღნიშნულიდან გამომდინარე აშკარაა, რომ აქციზური მარკის საეაღდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება სპეციალურ სუბიექტს, ესე იგი მხოლოდ მწარმოებელს, ხოლო ასეთი საქონლის შენახვის, რეალიზაციის ან გადაზიდვისათვის როგორც სპეციალურ სუბიექტს – მწარმოებელსა ან იმპორტიორს, ისე ნებისმიერ სხვა პირს.

მე-200 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებულ დამამძიმებელ გარემოებასა (დიდი ოდენობა) და განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოების დახასიათებაზე არ შეეჩერდებით, რადგან ამ მუხლის შენიშვნაში მათ შესახებ ცხადადაა აღნიშნული (მხედველობაში გვაქვს თუ რა თანხა ითვლება დიდ და განსაკუთრებით დიდ ოდენობად).

### §13. ყალბი რეკლამა (სსკ 201-ე მუხლი)

ამ მუხლით დანაშაულადაა მიჩნეული რეკლამის დამკვეთის<sup>1</sup>, მწარმოებლის<sup>2</sup> ან გამავრცელებელის<sup>3</sup> მიერ მომხმარებლის<sup>4</sup> განზრახ

---

<sup>1</sup> რეკლამის დამკვეთი – ესაა ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც წარმოადგენს სარეკლამო ინფორმაციის წყაროს მისი შემდგომი წარმოების, განთავსებისა და გავრცელებისათვის.

<sup>2</sup> რეკლამის მწარმოებელი – ესაა ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც სარეკლამო ინფორმაციას მზა სახეს აძლევს განთავსებისა და გავრცელებისათვის.

<sup>3</sup> რეკლამის გამავრცელებელი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც განათავსებს და/ან ავრცელებს რეკლამას ქონების (მათ შორის რადიო და ტელემაუწყებლობის ტექნიკური საშუალებების, კავშირგაბმულობის არხების, საეთერო დროის და სხვა საშუალებების) გამოყენებით.

<sup>4</sup> რეკლამის მომხმარებელი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის საყურადღებოდ და/ან რომელზე შესაბამისი ზეგავლენის მოსახდენად ვრცელდება სარეკლამო ინფორმაცია.

შეცდომაში შეყვანა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, – რაც ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელ სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ან ტუსალობით ვადით სამ თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.

ეს მუხლი ახალია, მაგრამ აგრძელებს მომხმარებელთა ინტერესების დაცვის სისხლისსამართლებრივ ტრადიციებს<sup>1</sup>. ამჟამად 201-ე მუხლი იცავს 1998 წლის 18 თებერვალს მიღებულ „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს. ეს კანონი არეგულირებს საქართველოს სასაქონლო (სამუშაოთა, მომსახურების) და საფინანსო ბაზრებზე (ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩათვლით) რეკლამის წარმოების, განთავსებისა და გავრცელების დროს წარმოქმნილ სამართლებრივ ურთიერთობებს. ამ კანონის მიზანია რეკლამის სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება, საზოგადოებრივი ინტერესების, რეკლამის სუბიექტებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვა, არასათანადო რეკლამის თავიდან აცილება და აღკვეთა. კანონი ვრცელდება საქართველოსა და უცხო ქვეყნების ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, რომლებიც დადგენილი წესით რეგისტრაციის საფუძველზე აწარმოებენ, განათავსებენ და ავრცელებენ რეკლამას საქართველოში. კანონი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როდესაც საქართველოს ფარგლებს გარეთ საქართველოს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ქმედება რეკლამის სფეროში იწვევს ან შეიძლება გამოიწვიოს შესაბამისი უარყოფითი შედეგები (კონკურენციის შეზღუდვა, სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირთა შეცდომაში შეყვანა) საქართველოს ტერიტორიაზე. ეს კანონი არ ვრცელდება პოლიტიკურ რეკლამაზე, ასევე ფიზიკურ პირთა იმ განცხადებებზე, რომლებიც უშუალოდ არ არის დაკავშირებული სამეწარმეო საქმიანობასთან.

რეკლამისადმი მოთხოვნები შემდეგში მდგომარეობს: 1. რეკლამა მისი წარდგენის მომენტშივე გასაგები უნდა იყოს სპეციალური ცოდნისა და ტექნიკური საშუალებების გამოუყენებლად, როგორც უშუალოდ რეკლამა; 2. რეკლამა<sup>2</sup> საქართველოს მთელ ტერიტორიაზე

<sup>1</sup> ძველი სისხლის სამართლის კანონმდებლობაც (იგულისხმება 1960 წელს მიღებული სისხლის სამართლის კოდექსი) იცავდა მომხმარებელთა ინტერესებს სამომხმარებლო სფეროში ამათ თუ იმ რაკურსით, მაგრამ არასათანადო დონეზე (არასრულყოფილად).

<sup>2</sup> რეკლამა – ესაა საქონელზე, მომსახურებასა და სამუშაოზე, ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, იდეასა და წამოწყებაზე ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც გამიზნულია პირთა განსაზღვრული წრისათვის ან ემსახურება ფიზიკური და იურიდიული პირების, საქონლის, იდეისა და წამოწყებისადმი ინტერესის ფორმირებასა და შენარჩუნებას, აგრეთვე საქონლის, იდეისა და წამოწყების რეალიზაციის ხელშეწყობას.

უნდა გავრცელდეს სახელმწიფო ენაზე. ეს მოთხოვნა არ ეხება იმ გადაცემებსა და გამოცემებს, რომლებიც ვრცელდება სხვა ენაზე, აგრეთვე არ ეხება წარწერას საქონლის გამოსახულებაზე, გარდა სასაქონლო ნიშნისა. ხოლო საქართველოში განთავსებული, სხვა ენაზე რეგისტრირებული სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის ლოგოტიპის (სრული ან შემოკლებული საფირმო სახელწოდების სპეციალურად შექმნილებული, ორიგინალური მონახაზი – ზ. წ.) მფლობელს ევალება მისი ტრანსლიტერაციის (ერთი დამწერლობის ასოების გადაცემა სხვა დამწერლობის ასოებით – ზ. წ.) წესით გადმოცემა ქართულ ენაზე; 3. უცხო ენაზე შესრულებული წარწერა ზომით (ყველა შემთხვევაში) და რაოდენობით (გარდა ტელეპროდუქციისა) არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ (ტრანსლიტერირებულ) ფორმას; 4. ორენოვანი მანათობელი წარწერის გამოყენების შემთხვევაში აუცილებელია ობიექტზე გაკეთებული ყველა წარწერა (ქართულიც და უცხოურიც) იყოს ერთნაირად განათებული და კითხვადი; 5. რეკლამაში ენობრივი ნორმების დაცვის საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით; 6. დაუშვებელია იმ საქონლის რეკლამირება, რომლის წარმოება და რეალიზაციაც აკრძალულია საქართველოს კანონმდებლობით ან საჭიროებს სპეციალურ ნებართვას (ლიცენზიას), აგრეთვე იმ ეკონომიკური აგენტის<sup>1</sup> რეკლამირება, რომლის საქმიანობაც საჭიროებს ლიცენზიას; 7. იმ საქონლის რეკლამას, რომლის სერტიფიცირებაც აუცილებელია უნდა ახლდეს აღნიშვნა „სერტიფიცირებულია“; 8. აკრძალულია არასათანადო რეკლამის<sup>2</sup> განთავსება და გავრცელება (იგი ჩადენილი ქმედების, საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათისა და ხარისხის შესაბამისად იწვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას); 9. აკრძალულია რეკლამაში ფიზიკური პირის გამოსახულების ან სახელის გამოყენება

<sup>1</sup> ეკონომიკური აგენტი (მეწარმე) – ესაა იურიდიული და ფიზიკური პირი, რომელიც ეწევა სამეწარმეო საქმიანობას, განურჩევლად საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი და საკუთრების ფორმისა და საქმიანობის ხასიათისა.

<sup>2</sup> არასათანადო რეკლამა – ესაა არაკეთილსინდისიერი, არასარწმუნო, არაეთიკური, აშკარად ყალბი ან სხვა რეკლამა, რომელშიც დარღვეულია მისი შინაარსის, დროის, ადგილის ან გავრცელების წესის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

მისი ნებართვის გარეშე; 10. რეკლამაში განსაკუთრებული უფლებების ობიექტების (ინტელექტუალური საკუთრების) გამოყენება შეიძლება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით; 11. რეკლამა არ უნდა უზიარებდეს მოქალაქეებს ძალადობის, აგრესიისა და ქაოსისაკენ, არ უნდა მოუწოდებდეს მათ საშიში ქმედებისაკენ, რომელსაც შეუძლია ზიანი მიაყენოს ადამიანის ჯანმრთელობას ან დაემუქროს მის უსაფრთხოებას; 12. აკრძალულია რეკლამის გადასახდელის დიფერენცირება რეკლამირებადი საქონლის სახეების მიხედვით; 13. უცხო ქვეყნიდან საქართველოში გავრცელებული (ტრანსლირებული) რეკლამა, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას რეკლამის შესახებ, უნდა აღიკვეთოს საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისად.

ზემოაღნიშნულის გააზრებიდან გამომდინარე აშკარაა, რომ განსახილველი მე-200 მუხლის (ყალბი რეკლამა) უშუალო ობიექტია ის ურთიერთობები, რომლებიც არეგულირებენ სამეწარმეო სუბიექტების ჯანსაღ კონკურენციას; დამატებით ობიექტად კი გვევლინება მომხმარებელთა კანონიერი უფლებები და ინტერესები. ყალბ რეკლამას შეუძლია შეცდომაში შეიყვანოს მომხმარებელი ან ვნება მიაყენოს მოქალაქეთა ჯანმრთელობას, მოქალაქეთა ან იურიდიულ პირთა ქონებას, გარემოს ან აღნიშნულ პირთა პატივს, ღირსებას, საქმიან რეპუტაციას, ასევე საზოგადოებრივ ინტერესებს, ქუმანურობისა და მორალის პრინციპებს. დანაშაულის საგნად გვევლინება რეკლამა (თუ რა არის რეკლამა ამაზე უკვე გვქონდა ხაზგასმა). საერთოდ რეკლამა – ესაა თანამედროვე მარკეტინგის სტრატეგიის<sup>1</sup> ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ძვირადღირებული ელემენტი – სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ამყარებს კომუნიკაციურ კავშირს წარმოებასა და მომხმარებელს შორის. მისი ძირითადი დანიშნებულებაა ინფორმაციის გავრცელება გასაყიდი

---

<sup>1</sup> მარკეტინგის სტრატეგია – ესაა წესების, ნორმების, პრინციპების ერთობლიობა, რომლებიც მიმართულია საშინაო და საგარეო ბაზარზე მარკეტინგის პრობლემების ეფექტური გადაწყვეტისაკენ. თვით მარკეტინგი – ესაა ორგანიზაციული, სარეკლამო და სხვ., ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს პროდუქციის მყარ გასაღებას (მოთხოვნის და საქონლის მორალური მოძველების შესაძლებლობის პროგნოზი, ფასის, სარეკლამო სტრატეგიისა და ა. შ., სწორი შერჩევა).



საქონლის, შემოთავაზებული მომსახურების, სამუშაოს, იდეის სამომხმარებლო თვისებების შესახებ. რეკლამა წარმოდგარია ლათინური სიტყვისაგან (რეკლამარე), რაც „კლავ დაძახებას, ყვირილს, ძახილს, მოწოდებას“ ნიშნავს.

განსახილველი დანაშაულის ობიექტური მხარე მოიცავს: ა) მოქმედებას (რეკლამის დამკვეთის, მწარმოებლის ან გამავრცელებლისას, რათა შეცდომაში შეიყვანოს მომხმარებელი); ბ) შედეგს (იგულისხმება მნიშვნელოვანი ზიანის გამოწვევა) და 3) მიზეზობრივ კავშირს მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. მოცემული მუხლის დისპოზიციაში მოცემული არაა ყალბი რეკლამის ხერხები, სამაგიეროდ „რეკლამის შესახებ“ კანონში მოცემულია ისეთი ცნებები, როგორცაა: 1) არასათანადო რეკლამა (რომელზედაც უკვე აღვნიშნეთ); 2) არაკეთილსინდისიერი რეკლამა; 3) არასარწმუნო რეკლამა; 4) არაეთიკური რეკლამა; 5) აშკარად ყალბი რეკლამა. არაკეთილსინდისიერი რეკლამა – ესაა რეკლამა, რომელიც შეიცავს რეკლამირებადი საქონლის არაკორექტულ შედარებებს სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საქონელთან, კონკურენტის ან მესამე პირის სახელის, ღირსებისა და რეპუტაციის შემლახავ გამოთქმებს, ახდენს იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა დისკრედიტირებას, რომლებიც არ სარგებლობენ რეკლამირებადი საქონლით, აგრეთვე რომელსაც ფიზიკურ პირთა ნდობის ანდა მათი ცოდნისა და გამოცდილების უკმარისობის შედეგად შეცდომაში შეჰყავს მომხმარებელი რეკლამირებადი საქონლის თვისებების შესახებ. არასარწმუნო რეკლამა – ესაა რეკლამა, რომელიც შეიცავს სინამდვილესთან შეუსაბამო მონაცემებს რეკლამის დამკვეთის, საქონლის თვისებების, შემაღვენლობის, დამზადების ადგილის, წესის, თარიღის, დანიშნულების, სამომხმარებლო თვისებების, გამოყენების პირობების, სერტიფიკატის ნიშნების, სახელმწიფო სტანდარტებთან შესაბამისობის, რაოდენობის, ბაზარზე საქონლის არსებობის, მისი აღნიშნული რაოდენობით მითითებულ ადგილზე ან ვადაში შექმნის შესაძლებლობის, რეკლამის გავრცელებისას საქონლის ღირებულების (ფასის), ანაზღაურების დამატებითი პირობების, საქონლის მიტანის, დაბრუნების, შეკეთების, საგარანტიო ვალდებულებების, ვარგისიანობის ვადის, სახელმწიფო სიმბოლიკის (დროშა, გერბი, ჰიმნი) გამოყენების უფლების, ოფიციალური აღიარების (მადლობის, პრიზების, დიპლომებისა და სხვა ჯილდოების მიღება), გამოკვლევისა და გამოცდის შედეგების, საქონელზე მოთხოვნის

ფაქტობრივი მოცულობის შესახებ. არაეთიკური რეკლამა – ესაა რეკლამა, რომელიც ფიზიკურ პირთა ეროვნების, რასის, პროფესიის, სოციალური კუთვნილების, ასაკის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და ფილოსოფიური მრწამსის მიმართ შეურაცხმყოფელი სიტყვებისა და შედარებების გამოყენებით არღვევს საყოველთაოდ აღიარებულ ჰუმანურ და ზნეობრივ ნორმებს, ხელყოფს ეროვნულ და მსოფლიო კულტურულ საგანძურში შემავალ ხელოვნების ობიექტებს, ისტორიულ და არქიტექტურულ ძეგლებს, ბლალავს სახელმწიფო სიმბოლიკას (დროშა, გერბი, ჰიმნი), საქართველოს ან სხვა სახელმწიფოს ეროვნულ ვალუტას, რელიგიურ სიმბოლოებს, ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, მათ საქმიანობას, პროფესიას ან საქონელს. აშკარად ყალბი რეკლამა – ესაა ისეთი რეკლამა, რომლის მეშვეობითაც რეკლამის დამკვეთს (რეკლამის მწარმოებელს, რეკლამის გამავრცელებელს) განზრახ შეჰყავს შეცდომაში რეკლამის მომხმარებელი.

როგორც ვხედავთ, 201-ე მუხლის ობიექტური მხარე მდგომარეობს რეკლამის სიყალბეში. „ყალბად ჩაითვლება რეკლამა, – აღნიშნავს ზაურ მჟავანაძე, – რომელშიც არ მოიპოვება ჭეშმარიტება საქონლის, სამუშაოს, მომსახურების რაობის ირგვლივ, როდესაც არ შეეფერება სინამდვილეს საქონლის ისეთი თვისებები, როგორიც არის მისი კომპონენტური შემადგენლობა დამზადების დროს, ტექნოლოგია, შენახვის ხანგრძლივობა, დანიშნულება, გამოყენებითი თვისებები, შესაბამისობა სერტიფიკატთან, შეფარდება სახელმწიფო სტანდარტებთან, ოდენობა, წარმოების ადგილი, მისი შექმნის შესაძლებლობა და ა. შ., ცრუ რეკლამირება გამოიხატება იმაში, რომ რეკლამატორი თავის ინფორმაციაში განზრახ იძლევა ცრუ, შეუსაბამო ინფორმაციებს საქონლის, სამუშაოს, მომსახურების, საგნის, მისი დამზადების შესახებ, რითაც შეცდომაში შეჰყავს მომხმარებელი და აზარალებს მას. ყალბი რეკლამა, ე. ი. რეკლამით ცრუ ინფორმაციის გავრცელებაში იგულისხმება არასწორი ცნობების მიწოდება მომხმარებელზე საგნებისა და მოვლენების ირგვლივ. რეკლამაში ყალბი ინფორმაცია შეიძლება შეიტანოს რეკლამის დამკვეთმა, მწარმოებელმა ან რეკლამის გამავრცელებელმა“<sup>1</sup>.

„განსახილველი დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება, – აღნიშნავენ მზია ლეკვიშვილი და გოჩა მამულაშვილი, – რეკლამაში

<sup>1</sup> იხ. ზაურ მჟავანაძე. სისხლის სამართალი. კერძო ნაწილი. ქსუ გამომცემლობა, 2000, გვ. 225.

შეგნებულად ყალბი ინფორმაციის გამოყენებაში, საქონლის, სამუშაოს, მომსახურების, იდეის, წამოწყების შესახებ ანდა მათი მწარმოებლების, შემსრულებლების, გამყიდველთა შესახებ. ეს ინფორმაცია შეიძლება შეეხებოდეს საქონლის, სამუშაოს, მომსახურების ხარისხს, მათ უსაფრთხოებას, ადგილწარმოებას და ა. შ. ცრუ რეკლამაში შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვისი სასაქონლო ნიშანიც, ასეთ შემთხვევაში ადგილი ექნება დანაშაულთა ერთობლიობას<sup>1</sup>.

განსახილველი დანაშაულის შემადგენლობა თავისი საკანონმდებლო კონსტრუქციის მიხედვით მატერიალურია. იგი დამთვარებულად ითვლება რეკლამის დამკვეთის, მწარმოებლის ან გამავრცელებლის მიერ მომხმარებლის განზრახ შეცდომაში შეყვანის მომენტიდან, რამაც, ცხადია, მნიშვნელოვანი ზიანი უნდა გამოიწვიოს. ეს უკანასკნელი (მნიშვნელოვანი ზიანის გამოწვევა) ყალბი რეკლამის ობიექტური მხარის აუცილებელი ნიშანია (ელემენტი). აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ გასაანალიზებელი მუხლი არ ვრცელდება სოციალურ და პოლიტიკურ რეკლამაზე.

201 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის (ყალბი რეკლამის) სუბიექტური მხარე ხასიათდება ბრალის განზრახი ფორმით. განზრახვა შეიძლება იყოს როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი (ირიბი, ევენტუალური). იმ შემთხვევაში, როცა ბრალდებულს გაცნობიერებული აქვს ყალბი რეკლამის მართლსაწინააღმდეგო ხასიათი, ითვალისწინებს მნიშვნელოვანი ზიანის გამოწვევის შესაძლებლობას და სურს ეს შედეგი, ანდა ითვალისწინებს ასეთი შედეგის განხორციელების გარდუვალობას – ამ შემთხვევაში სახეზეა პირდაპირი განზრახვა. ხოლო თუ ყალბი რეკლამის სუბიექტს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არ სურდა ეს შედეგი, მაგრამ თუ შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას – ასეთ შემთხვევაში სახეზე გვექნება არაპირდაპირი განზრახვა. ამ დანაშაულის ჩადენის მოტივები შეიძლება სხვადასხვა იყოს. ისინი დანაშაულის კვალიფიკაციაზე გავლენას არ ახდენენ, მაგრამ მათ მოსამართლე ითვალისწინებს სასჯელის დანიშვნის დროს.

201-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტი, დისპოზიციიდან გამომდინარე, შეიძლება იყოს რეკლამის დამკვეთი,

<sup>1</sup> იხ. მზია ლეკვეიშვილი, გოჩა მამულაშვილი. პასუხისმგებლობა ეკონომიკური დანაშაულისათვის (კომენტარი). თბ., 1999, გვ. 113.

შწარმოებელი ან გამავრცელებელი; რაც შეეხება მომხმარებელს იგი დაზარალებულის რილში გამოდის.

#### §14. კომერციული ან საბანკო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის უკანონოდ შეგროვება ან გავრცელება (სსკ 202-ე მუხლი)

ეს მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის ძალით დანაშაულადაა მიჩნეული კომერციული ან საბანკო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის უკანონოდ შეგროვება მისი უკანონოდ გახმაურების ან უკანონოდ გამოყენების მიზნით, – რაც ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ან ტუსალობით ვადით ორ თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

მეორე ნაწილით დამამძიმებელ გარემოებადაა მიჩნეული კომერციული ან საბანკო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის უკანონოდ გახმაურება ან გამოყენება ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, – რაც ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით ხუთ წლამდე ან უამისოდ.

გასაანალიზებელი დანაშაულის უშუალო ობიექტია ის საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომელიც უზრუნველყოფს კომერციული ან საბანკო საიდუმლოების<sup>1</sup> დაცვას. რაც შეეხება დანაშაულის საგანს ასეთად უნდა მივიჩნიოთ კომერციული ან საბანკო საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია<sup>2</sup>. კომერციულ საიდუმლოს წარ-

<sup>1</sup> საიდუმლოება – ესაა შეზღუდვები, რომელსაც ანიჭებს მფლობელი თავის საკუთრებას, რათა იგი არ გახდეს სხვა პირისათვის ხელმისაწვდომი.

<sup>2</sup> ინფორმაცია – ესაა ამა თუ იმ პირებზე, საგნებზე, მოვლენებსა და პროცესებზე ცნობები, მიუხედავად მათი წარმოდგენის ფორმისა. საიდუმლო ინფორმაციასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ ინფორმაცია საიდუმლოა, თუ იგი როგორც ერთი მთლიანი, ან შემადგენელი ნაწილებით არ არის საყოველთაოდ ცნობილი, ან ადვილად მისაწვდომი იმ წრის პირებისათვის, რომელთაც ურთიერთობა (საქმიანი კავშირი) აქვთ ასეთი სახის ინფორმაციასთან.

მოადგენს ისეთი ინფორმაცია, რომელსაც რეალური და პოტენციური ღირებულება აქვს იმის გამო, რომ მესამე პირებისათვის უცნობია, სხვისთვის კანონიერ საფუძველზე ხელმოწვედომელია (თანაც მისი მფლობელი ღებულობს სათანადო ზომებს აღნიშნული სახის ინფორმაციის კონფიდენციალობის დასაცავად): კომერციული საიდუმლოს შემცველი ინფორმაციის შინაარსი, მოცულობა და დაცვის წესი განისაზღვრება მეწარმის მიერ. კომერციულ საიდუმლოს შეიძლება წარმოადგენდეს მონაცემები საწარმოს განვითარების გეგმებზე, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების (კერძოდ, ახალი ტექნოლოგიის) დანერგვაზე, ბაზრის ფინანსების მდგომარეობაზე, პარტნიორობაზე და ა. შ.

საბანკო საიდუმლოებასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ საბანკო საიდუმლოება ესაა საკრედიტო დაწესებულების ვალდებულება დაიცვას ანგარიშთან დაკავშირებული და სხვა ისეთი ფაქტების საიდუმლოება, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ანგარიშის მფლობელთან საქმიანი ურთიერთობისას, გარდა იმ შემთხვევებისა, რაც კანონითაა გათვალისწინებული, ან საქმე ეხება ჩვეულებრივ საბანკო ინფორმაციას, რომლითაც არ ილახება ანგარიშის მფლობელის ინტერესები. საკრედიტო დაწესებულების ეს მოვალეობა ძალაშია ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგაც (იხ. სამოქალაქო კოდექსის 863-ე მუხლი). საბანკო საიდუმლოებაზე ხაზგასმულია ასევე საქართველოს კანონში „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“<sup>1</sup>,

<sup>1</sup> ეს კანონი გამოიყენება ყველა პირის მიმართ, ვინც საქართველოში დასაქმებულია ფულადი ანაბრების ან გადასახადის სხვა საშუალებათა მოზიდვით, აგრეთვე თავის ხარჯზე კრედიტების გაცემით დაბრუნების, ფასიანობის, უზრუნველყოფისა და ვალიანობის პირობით. გარდა სასოფლო-საკრედიტო კავშირებისა, რომელთა საქმიანობა რეგულირდება საეკივალური ნორმატიული აქტებით. კომერციული ბანკი შეიძლება შეიქმნას სააქციო საზოგადოების ან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით. კომერციული ბანკების საქმიანობა რეგლამენტირდება ამ კანონით, ასევე კანონებით „ეროვნული ბანკის შესახებ“, „მეწარმეობის შესახებ“, „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ და სხვა საკანონმდებლო და ნორმატიული აქტებით. არავის არ აქვს უფლება მოიზიდოს ფულადი ანაბრები ან გადახდის სხვა საშუალებები და თავის ხარჯზე გასცეს კრედიტები ეროვნული ბანკის მიერ გაცემული ლიცენზიების გარეშე. საქართველოს ეროვნული ბანკი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად კომერციულ ბანკებს პერიოდულად განუსაზღვრავს განცხადებული და განადგობული კაპიტალის მინიმალურად აუცილებელ ოდენობას, აგრეთვე ხელუხლებელი კაპიტალისა და რეზერვების შექმნის წესებს.

რომელიც 1996 წლის 23 თებერვალსაა მიღებული. ამ კანონის მე-17 მუხლში (საბანკო საიდუმლოება) წერია შემდეგი: 1. არავის აქვს უფლება დაუშვას ვინმე კონფიდენციალურ ინფორმაციასთან, გათქვას ან გაავრცელოს ასეთი ინფორმაცია ან გამოიყენოს პირადი სარგებლობისათვის. ასეთი ინფორმაცია შეიძლება მიეცეს მხოლოდ საქართველოს ეროვნულ ბანკს, მისი კომპეტენციის ფარგლებში; 2. ცნობები იურიდიული და ფიზიკური პირების ოპერაციებისა და ანგარიშების შესახებ შეიძლება მიეცეთ თვით ანგარიშის მფლობელებს, მათ ზემდგომებს და წარმომადგენლებს, საგამოძიებო ორგანოებს მათ წარმოებაში არსებულ საქმეებზე და საგადასახადო სამსახურებს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით; 3. სასამართლო და საგამოძიებო ორგანოებს, აგრეთვე საგადასახადო სამსახურებს ეკრძალებთ სასამართლოს განაჩენის გამოტანამდე ინფორმაციის გადაცემა სხვა ორგანოებისათვის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ჩათვლით, აგრეთვე ამ ინფორმაციის გამოყენება საჯარო გამოსვლებში.

რაც შეეხება „საქართველოს ეროვნული ბანკის ორგანულ კანონს“ (მიღებულია 1995 წლის 23 ივნისს, ხოლო ძალაში შევიდა ამავე წლის 1 ივლისს) – ამ კანონის 21-ე მუხლში (საიდუმლოება) ხაზი გაესმის შემდეგს: 1. ბანკის არც ერთ მუშაკს, თანამშრომელს, აუდიტორს<sup>1</sup>, აგენტს<sup>2</sup> ან კორესპონდენტს<sup>3</sup> ან ყოფილ ეროვნული ბანკის საბჭოს წევრს არა აქვს უფლება დაუშვას ვინმე კონფიდენციალურ ინფორმაციასთან, გათქვას ან გაავრცელოს ასეთი ინფორმაცია ან გამოიყენოს პირადი სარგებლობისათვის; 2. ზემოთ ჩამოთვლილ პირებს კონფიდენციალური ფაქტობრივი მონაცემები შეუძლიათ გააცნონ მხოლოდ საქართველოს კონტროლის პალატას. ბიუჯეტთან ანგარიშსწორების საკითხებზე ასეთი ინფორმაცია შეიძლება გავიდეს ეროვნული ბანკის გარეთ ეროვნული ბანკის საბჭოს ან პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, თუმცა მხოლოდ მაშინ, როცა ის წარმოადგენს

---

<sup>1</sup> აუდიტორი – ესაა დამოუკიდებელი შემოწმებელი (რევიზორი) აუდიტორთა ფირმიდან.

<sup>2</sup> აგენტი – ესაა ნდობით აღჭურვილი ფიზიკური თუ იურიდიული პირი, რომელიც მიღებული უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებს მარწმუნებლის დავალებით და იცავს მის ინტერესებს.

<sup>3</sup> კორესპონდენტი – ესაა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თანამშრომელი.

მტკიცებულებას პირისათვის, რომელმაც წერილობით მიმართა ეროვნულ ბანკს ასეთი ინფორმაციის მისაღებად; 3. ცნობები იურიდიული და ფიზიკური პირების ოპერაციებისა და ანგარიშების შესახებ შეიძლება მიეცეთ აგრეთვე სასამართლოს და საგამოძიებო ორგანოებს მხოლოდ პროკურატურის ნებართვით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით, როცა ამ იურიდიული და ფიზიკური პირების მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

202-ე მუხლის პირველი ნაწილი გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება კომერციული ან საბანკო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის უკანონოდ შეგროვებაში. ცხადია, მისი უკანონოდ გახმაურების ან უკანონოდ გამოყენების მიზნით. „ინფორმაციის შეგროვება დანაშაულებრივად მიიჩნევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი განხორციელდა უკანონო გზით. სახელდობრ, დოკუმენტებისა და ინფორმაციის შემცველი სხვა წყაროების გატაცებით; იმ პირთა მიმართ დამუქრების განხორციელებით, რომლებისთვისაც ცნობილია კომერციული და საბანკო საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია; ისეთ პირთა მოსყიდვით, რომელთაც შეუძლიათ დახმარება აღმოუჩინონ დამნაშავეებს საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის შეგროვებაში და სხვ.“<sup>1</sup>. როგორც ვხედავთ, კომერციული ან საბანკო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის „უკანონოდ შეგროვება“ მოიცავს დოკუმენტების გატაცებას, კომერციული საიდუმლოს მფლობელის მოსყიდვას, მის მიმართ შანტაჟის მოწყობას, დამუქრებას, სხვადასხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით კომპიუტერულ ქსელში შეღწევასა და იქედან საიდუმლო ინფორმაციის მიღებასა და ა. შ. კომერციული ან საბანკო საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია მეტწილად მატერიალიზებულია დოკუმენტებში, ნახაზებში, მოდელებში, დისკეტებსა და სამრეწველო ნიმუშებში.

ამრიგად, ინფორმაციის უკანონოდ შეგროვება, რომლებიც წარმოადგენენ კომერციულ ან საბანკო საიდუმლოებას, ესაა ნებისმიერი უკანონო ხერხით ისეთი მონაცემების დადგენა და დაუფლება, რომლებიც არ არიან თავისუფლად ხელმისაწვდომი და რომელთა მიმართაც დაწესებულია კონფიდენციალობის სპეციალური რეჟიმი.

„უკანონოდ გახმაურება“ – ნიშნავს საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის სააშკარაოზე გამოტანას, რის შედეგაც ისინი ცნობილი

<sup>1</sup> იხ. Комментарий к Уголовному кодексу Российской Федерации. Под редакцией Н. Ф. Кузнецовой. М., 1998, с. 435.

ხდება უცხო პირთათვის. ასევე აღნიშნული სახის ინფორმაციის მიწოდებას ისეთი პირებისათვის, რომელთაც არა აქვთ უფლება გაეცნონ ასეთ ინფორმაციას.

„უკანონოდ გამოყენება“ – ნიშნავს კომერციული ან საბანკო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის მოხმარებას, სარგებლობას. იგი (უკანონოდ გამოყენება) შეიძლება განხორციელდეს საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის სასყიდლიანი ფორმით ან სხვა სახით გარეშე. მესამე პირებზე გადაცემით, თვით დამნაშავეის მიერ შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე სხვადასხვა გადაწყვეტილებების მიღებითა და ა. შ.

202-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული დამთავრებულად ითვლება კომერციული ან საბანკო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის უკანონოდ შეგროვების მომენტიდან. ამ შემთხვევაში დანაშაულებრივი შედეგის დადგომა საჭირო არაა, რაც იმის მანიშნებელია, რომ განსახილველი მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა ფორმალურია. რაც შეეხება პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტურ მხარეს იგი ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. ბრალდებულს გაცნობიერებული აქვს, რომ უკანონოდ აგროვებს კომერციულ (ან საბანკო) საიდუმლოების შემცველ ინფორმაციას და სურს ასეთი მოქმედების ჩადენა. მიზანი ამ დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი ელემენტია (ნიშანია), ამაზე მიუთითებს თვით დისპოზიციაც, სადაც ხაზი გაესმის კომერციული ან საბანკო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის უკანონოდ შეგროვებას, მისი უკანონოდ გახმაურების ან უკანონოდ გამოყენების მიზნით.

202-ე მუხლის მე-2 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ ბრალდებული კანონიერად, თავისი უფლებამოსილების საფუძველზე ფლობს ინფორმაციას, რომლებიც შეადგენს კომერციულ ან საბანკო საიდუმლოებას, მაგრამ ინფორმაციის მფლობელისაგან მიღებული არა აქვს თანხმობა მათ გახმაურებასა და გამოყენებაზე. ინფორმაციის მფლობელის გვერდის ავლით მათი გახმაურება და გამოყენება, ცხადია, უკანონო მოქმედებად ჩაითვლება.

„მფლობელის თანხმობას არ შეუძლია მოხსნას კომერციული ან საბანკო საიდუმლოების გახმაურების ან გამოყენების უკანონობა, თუ ასეთი გახმაურება ან გამოყენება აკრძალულია მოქმედი



ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებით ან ეხება სხვა პირთა კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს.

მფლობელის თანხმობა მოცემული უნდა იყოს გარკვეული ფორმით, რასაც საფუძვლად უნდა დაედოს, ესე იგი რაც უნდა განისაზღვროს ცნობების ხასიათითა და მისი მფლობელის უფლების შინაარსით. არასაკმარისია, მაგალითად, სიტყვიერი ნებართვის მიცემა საბანკო ინფორმაციის გამოყენებისათვის კლიენტის ანაბრებზე და ა. შ.<sup>1</sup>.

როგორც ვხედავთ განსახილველი მუხლის მე-2 ნაწილის ობიექტური მხარე მოიცავს მოქმედებას (კერძოდ, კომერციული ან საბანკო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის უკანონოდ გახმაურებას ან გამოყენებას), შედეგს (მნიშვნელოვანი ზიანის გამოწვევას) და მიზეზობრივ კავშირს ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ესე იგი ამ ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა მატერიალური ანუ შედეგიანია. მეორე ნაწილის ტექსტიდან აშკარად ირკვევა, რომ ბრალდებული კანონიერად, ესე იგი თავისი უფლებამოსილების ძალით ან სხვა საფუძვლით ფლობს კომერციულ ან საბანკო საიდუმლოებას, მაგრამ არა აქვს ამ ინფორმაციის გახმაურების ან გამოყენების ნებართვა. კომერციული ან საბანკო საიდუმლოების გახმაურების ხერხები მართალია სხვადასხვაგვარია, მაგრამ ყველა შემთხვევაში ამ მოქმედების ჩამდენმა (ბრალდებულმა) იცის, რომ გახმაურებული ან გამოყენებული ინფორმაცია საიდუმლოა.

კომერციული ან საბანკო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის უკანონოდ გახმაურების ან უკანონოდ გამოყენების შედეგად ზიანი შეიძლება მიადგეს როგორც ინფორმაციის მფლობელს, ასევე სხვა პირებსაც, რაც მათი კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დარღვევაში პოულობს გამოხატულებას. 202-ე მუხლით გათვალისწინებული მნიშვნელოვანი ზიანის დადგენა სასამართლოს კომპეტენციაა. მნიშვნელოვანი ზიანი, რომელიც შეფასებითი ცნებაა, შეიძლება გამოიხატოს დიდ მატერიალურ დანაკარგებში, წარმოებისა და მომხმარებლის შემცირებაში და სხვ.

სუბიექტური მხრივ განსახილველი დანაშაული ხასიათდება

---

1 იხ. Коментарий к Уголовному кодексу Российской Федерации. Особенная часть. Под редакцией Ю. И. Скуратова и В. М. Лебедева. М., 1996, с. 196.

პირდაპირი განზრახვით. კერძოდ, ბრალდებულს გაცნობიერებული აქვს, რომ უკანონოდ ახმაურებს ან იყენებს კომერციული ან საბანკო საიდუმლოების შემცველ ინფორმაციას და სურს ასეთი ქმედების ჩაღწევა. რაც შეეხება ანგარებას ან სხვა პირად მოტივს იგი შეიძლება გამოვლინდეს გასამრჯელოს მიღებაში, შურისძიებაში, კონკურენტის მდგომარეობის გაუარესებაში, საკუთარი რეპუტაციის გაუმჯობესებასა და სხვ.

202-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი შერაცხადი ფიზიკური პირი 14 წლის ასაკიდან. თანაც ეს ისეთი პირია, რომელიც არ არის კომერციული ან საბანკო საიდუმლოების მფლობელი და რომელსაც არც ხელი მიუწვდება აღნიშნულ საიდუმლოებაზე მისი პროფესიული და სამსახურებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე. 202-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირით, მათ შორის თანამდებობის პირიც, რომელსაც ხელი მიუწვდება იმ ინფორმაციაზე, რასაც კომერციული ან საბანკო საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია ჰქვია.

**§15. პროფესიული სპორტული შეჯიბრის ანდა  
კომერციულ-სანახაობითი კონკურსის მონაწილის ან  
ორგანიზატორის მოსყიდვა  
(სსკ 203-ე მუხლი)**

ეს მუხლი ოთხი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი დანაშაულად მიიჩნევს პროფესიული სპორტული შეჯიბრის მონაწილის, მსაჯის, მწვრთნელის, გუნდის ხელმძღვანელის ან ორგანიზატორის, აგრეთვე კომერციული-სანახაობითი კონკურსის ორგანიზატორის ან ჟიურის წევრის მოსყიდვას შეჯიბრის ან კონკურსის შედეგზე ზეგავლენის მიზნით, – რაც ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ას ოთხმოც საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ექვსი თვიდან ერთ წლამდე ანდა ტუსალობით ვადით ორ თვემდე.

მეორე ნაწილი დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევს იგივე ქმედებას. ჩადენილს: ა) ორგანიზებული ჯგუფის მიერ; ბ) არაერთგზის, – რაც ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

მესამე ნაწილით გათვალისწინებულია პროფესიული სპორტული შეჯიბრის მონაწილის მიერ უკანონოდ ფულის, ფასიანი ქაღალდების ან სხვა ქონების მიღება ანდა ქონებრივი მომსახურების სარგებლობა შეჯიბრის ან კონკურსის შედეგებზე ზეგავლენის მიზნით, – რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

მეოთხე ნაწილის ძალით დანაშაულადაა მიჩნეული პროფესიული სპორტული შეჯიბრის მსაჯის, მწვრთნელის, გუნდის ხელმძღვანელის ან ორგანიზატორის, აგრეთვე კომერციულ-სანახაობითი კონკურსის ორგანიზატორის ან ჟიურის წევრის მიერ უკანონოდ ფულის, ფასიანი ქაღალდის ან სხვა ქონების მიღება ანდა ქონებრივი მომსახურებით სარგებლობა შეჯიბრის ან კონკურსის შედეგზე ზეგავლენის მიზნით, – რაც ისჯება ჯარიმით ან ტუსალობით ვადით სამ თვემდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

ამ მუხლს თან ერთვის შენიშვნა, რომლის ძალითაც სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება ის, ვინც ნებაყოფლობით განუცხადებს ხელისუფლების ორგანოს, რომ ამ მუხლის პირველ ნაწილში მითითებულ რომელიმე პირს გადასცა ფული, ფასიანი ქაღალდი ან სხვა ქონება ანდა გაუწია მას ქონებრივი მომსახურება.

განსახილველი მუხლი ახალია დასაცავ საზოგადოებრივ ურთიერთობათა შინაარსით. ტექნიკურ-იურიდიული თვალსაზრისით, იგი აგებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქრთამის აღებისა (მუხლი 338-ე) და ქრთამის მიცემის (მუხლი 339-ე) მუხლების მიხედვით (ე. ი. მათი პრინციპების შესაბამისად) და აღგენს პასუხისმგებლობას ქრთამის მიცემისა და აღების სპეციალურ შემთხვევაზე. ამ მუხლით დადგენილია პასუხისმგებლობა ორი დამოუკიდებელი დანაშაულისათვის. პირველი ეხება პროფესიული სპორტული შეჯიბრების, ხოლო მეორე კომერციულ-სანახაობით კონკურსის სფეროს. გასაანალიზებელ მუხლში მოხსენიებული „მოსყიდვის“ ცნება გამოყენებულია „ქრთამის აღების“

მაგიერად. დანაშაულის სუბიექტთა წრე გაფართოებულია ტერმინით „მონაწილე“<sup>1</sup>. ამ მუხლის მიზანია პროფესიული სპორტული შეჯიბრისა და კომერციულ-სანახაობითი კონკურსის პატიოსნად, მიუკერძოებულად, ობიექტურად ჩატარება და მათი შედეგების გაუყალბებლობა.

203-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის უშუალო ობიექტია ის საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც არეგულირებს პროფესიული სპორტული შეჯიბრისა და კომერციულ-სანახაობითი კონკურსის ორგანიზაციისა და ჩატარების სფეროს. რაც შეეხება დანაშაულის საგანს, ასეთად გვევლინება უკანონო გასამრჯელო ფულის, ფასიანი ქაღალდების, ან სხვა ქონების, ანდა ქონებრივი ხასიათის მომსახურების სახით.

203-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება მოსყიდვაში, ე. ი. პირველ ნაწილში ჩამოთვლილ სუბიექტთათვის უკანონო გასამრჯელოს მიცემაში ან გადაცემაში (თუ მოქმედება ხორციელდება შუამავლის მეშვეობით). აქ იგულისხმება პროფესიული სპორტული შეჯიბრის მონაწილე, მსაჯი, მწვრთნელი, გუნდის ხელმძღვანელი ან ორგანიზატორი, აგრეთვე კომერციულ-სანახაობითი კონკურსის ორგანიზატორი ან ჟიურის წევრი. მოსყიდვა მიზნად ისახავს შეჯიბრის ან კონკურსის შედეგზე ზეგაყენის მოხდენას.

სპორტული შეჯიბრი პროფესიულად ითვლება მაშინ, როცა იგი ტარდება სახელმწიფოს მიერ დადგენილი წესით აღიარებული სპორტული ორგანიზაციის მიერ და როცა იგი ცხადდება პროფესიული სპორტული შეჯიბრის სახით.

კომერციულ-სანახაობითი კონკურსი წარმოადგენს ისეთ ღონისძიებას, რომლის ჩატარებაც ნებადართულია სათანადო წესით იმ ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების საფუძველზე რომლებიც განსაზღვრავს მის სამართლებრივ ბუნებას და რეგლამენტირებას უკეთებს მისი ჩატარების პროცედურას.

პროფესიულ სპორტული შეჯიბრის მონაწილეებად (სპორტსმენებად), მსაჯებად, მწვრთნელებად, გუნდის ხელ-

---

<sup>1</sup> ვინაიდან სპორტული შეჯიბრის „მონაწილე“ ეს იგივე „სპორტსმენია“, ამდენად ჯობდა კანონმდებელს ეს უკანასკნელი ტერმინი ეხმარა – როგორც ამას აკეთებს რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კანონმდებლობა (იხ. რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 184-ე მუხლი).

მძღვანელებად ან ორგანიზატორებად გვევლინებიან ის პირები, რომლებიც ოფიციალურად არიან აღჭურვილნი სათანადო სტატუსით, რაც გამომდინარეობს შრომითი შეთანხმების. სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულების ან შეჯიბრების ჩატარების შესახებ დებულების საფუძველზე და რომლებიც ასრულებენ საორგანიზაციო-განმკარგულებელ ფუნქციებს ან უშუალოდ იღებენ მონაწილეობას სპორტულ შეჯიბრებებში.

კომერციულ-სანაზაობითი კონკურსის ორგანიზატორები და ჟიურის წევრები – ეს ის პირებია, რომელთაც აქვთ ოფიციალური სტატუსი ამ ხარისხით (იგულისხმება ორგანიზატორისა და ჟიურის წევრის სამართლებრივი მდგომარეობა).

„მოსყიდვა შეჯიბრის ან კონკურსის შედეგზე ზეგავლენის მიზნით“ – ნიშნავს სპორტმენის ან კონკურსის მონაწილის შეგუ-ლიანებას ისეთი მოქმედების ჩასადენად, რომელსაც შეუძლია შეცვალოს შედეგები მომსყიდველის სასარგებლოდ. აქედან გამომ-დინარე განსახილველი დანაშაულის შემადგენლობას ვერ მოგვეცემს ისეთი შემთხვევა, როცა შეჯიბრების მონაწილეებს შეპირდებიან ჯილდოს მოგების შემთხვევაში.

203-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა ფორმალურია; დანაშაული დამთავრებულად ითვლება ბრალდებულის მიერ გასამრჯელოს თუნდაც ნაწილის მიღების მომენტიდან.

სუბიექტური მხრივ მოსყიდვა პირდაპირ განზრახვას გულისხმობს, ესე იგი ბრალდებულს გაცნობიერებული აქვს, რომ უკანონო გასამრჯელოს გადასცემს პირველი ნაწილის დისპოზიციაში დასახელებულ რომელიმე პირს და სურს მისი მოსყიდვა. მიზანი, რომელიც ამ დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი ელემენტია, იმაში მდგომარეობს, რომ ზეგავლენა მოახდინოს შეჯიბრის ან კონკურსის შედეგზე. იმისათვის რომ განისაზღვროს ასეთი მიზანი, უნდა დადგინდეს, თუ სახელდობრ, რა მოქმედება (უმოქმედება) უნდა ჩაედინა მოსყიდულ პირს.

მოსყიდვის სუბიექტი საერთოა – ყოველი შერაცხადი ფიზიკური პირი 14 წლის ასაკიდან.

203-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მოსყიდვის კვალიფიციურ სახეებად გვევლინება მისი ჩადენა: ა) ორგანიზებული ჯგუფის მიერ; ბ) არაერთგზის. ამ დამამძიმებელ გარემოებათა

ინტერპრეტაციას არ ვახდენთ, რადგან მათ შესახებ არაერთხელ გვქონდა მსჯელობა სხვა მუხლების იურიდიული ანალიზისას.

203-ე მუხლის მე-3 ნაწილში ყურადღება გამახვილებულია მხოლოდ პროფესიული სპორტული შეჯიბრის მონაწილეზე და სახელდობრ, მის მიერ უკანონოდ ფულის, ფასიანი ქაღალდების ან სხვა ქონების მიღებაზე ანდა ქონებრივი მომსახურების სარგებლობაზე შეჯიბრის ან კონკურსის შედეგზე ზეგავლენის მიზნით.

გასაანალიზებელი მუხლის მე-4 ნაწილში ხაზი გაესმის პროფესიული სპორტული შეჯიბრის მსაჯის, მწვრთნელის, გუნდის ხელმძღვანელის ან ორგანიზატორის, აგრეთვე კომერციულ-სანახაობითი კონკურსის ორგანიზატორის ან ჟიურის წევრის მიერ უკანონოდ ფულის, ფასიანი ქაღალდის ან სხვა ქონების მიღებას ანდა ქონებრივი მომსახურებით სარგებლობას შეჯიბრის ან კონკურსის შედეგზე ზეგავლენის მიზნით. ამ ნაწილის შემადგენლობას თუ შევეუდარებთ მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას, აშკარად გამოჩნდება მე-3 ნაწილის ზედმეტობა. საქმე იმაშია, რომ პროფესიული სპორტული შეჯიბრის მონაწილისათვის ცალკე პასუხისმგებლობის დაწესება განსხვავებით ვთქვათ მსაჯის, მწვრთნელისა და ა. შ., არაფრითაა გამართლებული. თუ 203-ე მუხლის პირველ ნაწილში დასახელებული სუბიექტების მოსყიდვის შემთხვევაში ერთნაირი პასუხისმგებლობაა დაწესებული, რატომ არ უნდა იყოს ასეთივე პასუხისმგებლობა დაწესებული მე-4 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემთხვევაში? აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, უპრიანი იქნება მე-4 ნაწილის შემადგენლობაში ფიგურირებდეს პროფესიული სპორტული შეჯიბრის მენაწილეც, რომელმაც სხვა აქ დასახელებული სუბიექტების თანაბრად პასუხი უნდა აგოს ფულის, ფასიანი ქაღალდის ან სხვა ქონების მიღების ანდა ქონებრივი მომსახურებით სარგებლობის შემთხვევაში. სამომავლოდ 203-ე მუხლი სამ ნაწილად უნდა ჩამოყალიბდეს.

203-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული სუბიექტების მიერ ფულის, ფასიანი ქაღალდების ან სხვა ქონების უკანონო მიღება დამთავრებულად ჩაითვლება აღნიშნული ქონების მიღების მომენტიდან; ხოლო ქონებრივი მომსახურებით უკანონო სარგებლობა კი დამთავრებულად ჩაითვლება როგორც მომსახურების უკანონოდ აღმოჩენის (გაწევის), ასევე მისი უკანონოდ მიღების

მომენტიდან (მაგალითად, მოგზაურობა საექსკურსიო ლაინერით, შენობის მიცემა დასასვენებლად და ა. შ.). აღნიშნული მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობაც ფორმალურია, რაც იმას ნიშნავს, რომ დამთავრებულად ითვლება დისპოზიციაში მითითებული გასამრჯელოს თუნდაც ნაწილის მიღების ან მომსახურებით სარგებლობის დაწყების მომენტიდან. დანაშაულის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რა შედეგი მოჰყვა 203-ე მუხლით გათვალისწინებული სუბიექტების მოსყიდვას, მათ მიერ გასამრჯელოს მიღებას ანდა ქონებრივი მომსახურებით სარგებლობას. სხვანაირად თუ ვიტყვით, იქონია თუ არა ყოველივე ზემოაღნიშნულმა ზეგავლენა შეჯიბრის ან კონკურსის შედეგებზე.

203-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტური მხარე ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. ბრალდებულს გაცნობიერებული აქვს, რომ იგი უკანონოდ იღებს გასამრჯელოს, ასევე უკანონოდ სარგებლობს ქონებრივი ხასიათის მომსახურებით და სურს ყოველივე ეს. მიზანი აქაც დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი ელემენტია, მისი არარსებობა გამორიცხავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

203-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტი სპეციალურია, ესე იგი უკანონო გასამრჯელო შეუძლია მიიღოს მხოლოდ სპეციალურმა სუბიექტმა. ასეთად გვევლინება: პროფესიული სპორტული შეჯიბრის მონაწილე, მსაჯვი, მწვრთნელი, გუნდის ხელმძღვანელი, შეჯიბრის ორგანიზატორი, კომერციულ-სანახაობითი კონკურსის ორგანიზატორი ან უიურის წევრი.

## §16. საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევა (სსკ 204-ე მუხლი)

ამ მუხლის თანახმად დანაშაულადაა მიჩნეული ეკონომიკური საქმიანობის ამსახველი საბუღალტრო წიგნის ან აღრიცხვის სხვა დოკუმენტის წარმოების წესის დარღვევა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, – რაც ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

ნებისმიერი სამეწარმეო და ეკონომიკური საქმიანობის კანონიერად წარმართვისა და მასზე საჯარო კონტროლის განხორციელების ერთ-ერთ წინაპირობად გვევლინება სწორად დაყენებული ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება. ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების წესები თანაბრად ვრცელდება ყველა საწარმოზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მცირე საწარმოთა მიმართ სხვა წესებია დადგენილი. ბუღალტრული ანგარიშგების გამარტივებული წესები გამოიყენება იმ მცირე საწარმოთა მიმართ (გარდა სააქციო საზოგადოებისა), რომელთაც ჰყავთ სრულ შტატში არა უმეტეს ათი თანამშრომლისა და სამეურნეო წლის ამონაგები არ აღემატება ორმოც ათას ლარს. საწარმოთა ხელმძღვანელები პასუხისმგებელნი არიან იმაზე, რომ საწარმოს ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება შეესაბამებოდეს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს<sup>1</sup>. ბუღალტრული აღრიცხვა უნდა იყოს სრულყოფილი, სწორი, გასაგები, ორმაგი აღრიცხვის სისტემაზე აგებული, უწყვეტად დაკავშირებული ანგარიშგების ნომენკლატურასა და წინა წლის შესაბამის მაჩვენებლებთან. ხელმძღვანელები ასევე ვალდებულნი არიან ათი წლის განმავლობაში შეინახონ შემდეგი დოკუმენტები: ა) საბუღალტრო წიგნები, საინვენტარიზაციო აღწერილობა, ბალანსი, ასევე მათი გაგებისათვის აუცილებელი ინსტრუქციები და სხვა ორგანიზაციული შინაარსის მქონე დოკუმენტები; ბ) მიღებული და გაგზავნილი საქმიანი კორესპონდენცია; გ) საბუღალტრო წიგნში ჩანაწერების დამადასტურებელი ბუღალტრული დოკუმენტები.

204-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის უშუალო ობიექტია ის სამეწარმეო ურთიერთობები, რომელიც არეგულირებს ეკონომიკური საქმიანობის სწორად წარმართვისა და მისი ბუღალტრული აღრიცხვის წესებს. სხვანაირად თუ ვიტყვით, ამ დანაშაულის უშუალო ობიექტია სამეწარმეო და სხვა ეკონომიკური საქმიანობის ამსახველი აღრიცხვის დოკუმენტების წარმოების დადგენილი წესი. რაც შეეხება დანაშაულის საგანს, ასეთად გვევლინება საბუღალტრო წიგნი (სპეციილური დანიშნულების დავთარი), სალაროს წიგნები, ნებისმიერი სააღრიცხვო ფორმები და ცხრილები, სხვა საბუღალტრო დოკუმენტები.

---

<sup>1</sup> ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები – ესაა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის მიერ დამტკიცებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები.



ეკონომიკური საქმიანობის ამსახველი „საბუღალტრო წიგნი“ – ესაა აღრიცხვის ყველა დოკუმენტის მომცველი დაფთარი. ამის დასტურად გამოდგება „შეწარმეთა შესახებ“ კანონის 51-ე მუხლის მე-2 ნაწილი, სადაც წერია შემდეგი: „სააქციო საზოგადოებამ უნდა აწარმოოს საზოგადოების ყველა დოკუმენტის აღრიცხვა (საზოგადოების წიგნი), რომელშიც აისახება საზოგადოების წესდება, აღრიცხება რეგისტრაციისათვის აუცილებელი ყველა ინფორმაცია და ყოველი აქცია. საზოგადოების წიგნში განხორციელებულ ყველა რეგისტრაციას ხელს უნდა აწერდეს ყველა დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე“.

ეკონომიკური საქმიანობის ამსახველი „აღრიცხვის სხვა დოკუმენტი“ გულისხმობს კონკრეტული ხასიათის ცალკეულ წერილობით აქტებს (საბუთებს), რომელთაც აქვთ იურიდიული ძალა ან სამსახურებრივი ხასიათი. ასეთად მიჩნეულია: ანგარიშ-ფაქტურები მიღებულ ან გაცემულ საქონელზე, სასაქონლო-სატრანსპორტო ზედნადებები, ხელფასის უწყისები, სხვადასხვა სახის რეესტრები<sup>1</sup>, მემორიალური ორდერები, საბუღალტრო ცნობები, გაანგარიშებები, დღიურები, ბანკის ავიზოები, შემოსავლის ფაქტურა, გასავლის ფაქტურა, ანგარიშის შემოსავლის ორდერი, გასავლის ორდერი, განრიგები, სამარშრუტო ფურცლები, აქტები, მინდობილობები და ა. შ. საერთოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ყოველი სახის სამეურნეო ოპერაციის მიმდინარეობა, შესაბამისი აღრიცხვის დოკუმენტის საშუალებით ფორმდება. არ შეიძლება რომელიმე საწარმოო ოპერაციის აღრიცხვა, რეგისტრაცია, თუ მისი რეალობა არ არის დადასტურებული და გაფორმებული შესაბამისი დოკუმენტებით. საბუღალტრო აღრიცხვის თეორიაში განასხვავებენ: 1. განკარგულებით დოკუმენტებს (რომელთა მიხედვით სავალდებულოა გარკვეული სამეურნეო ოპერაციის შესრულება); 2. აღსრულებით დოკუმენტებს (აფიქსირებენ ამა თუ იმ სამეურნეო ოპერაციის შესრულებას); 3. საბუღალტრო გაფორმების დოკუმენტებს (გამოიყენება მხოლოდ სამეურნეო ოპერაციების ბუღალტრულად ჩასაწერად ან გაანგარიშებათა საწარმოებლად). გარდა ამისა, გამოყოფენ აგრეთვე, ე. წ. კომბინირებულ დოკუმენტებს, რომლებიც შეიცავენ როგორც განკარგულებას,

<sup>1</sup> რეესტრი – ესაა ნუსხა, სა. ჩამონათვალი; სპეციალური წიგნი (ჟურნალი) სადაც შეტანილია ჩანაწერები, დოკუმენტები და ა. შ.

ასევე აღსრულებასაც. წარმოშობის ადგილის მიხედვით დოკუმენტები შეიძლება იყოს: შინაგანი და გარეგანი. შინაგანი დოკუმენტი დგება და გამოიყენება საწარმოში. ასეთ დოკუმენტებს მიეკუთვნება: აქტები, ზედნადებები, დღიურები და ა. შ. გარეგან დოკუმენტებს საწარმო გარედან იღებს (მაგალითად ბანკის ავიზოები, შემოსული ანგარიშ-ფაქტურები, სასაქონლო-სატრანსპორტო ზედნადებები და სხვ. ამასთან ერთად, დოკუმენტები შეიძლება იყოს პირველადი და მეორადი. პირველადი დოკუმენტი ოპერაციის მოხდენისთანავე ფორმდება (მაგალითად, სალაროს შემოსავლის ორდერი, აქტი, ზედნადები და ა. შ.). მეორადი დოკუმენტი კი პირველადი დოკუმენტის საფუძველზე დგება. სამეურნეო ოპერაციების დოკუმენტური გაფორმებისათვის პრაქტიკაში იყენებენ შესაბამისი ორგანოების მიერ დამტკიცებულ და სტამბურად დაბეჭდილ ბლანკებს, რომლებიც ასახავენ ამა თუ იმ შესრულებული სამეურნეო ოპერაციის შინაარსს. ასეთი ბლანკები სამეურნეო ოპერაციების შესრულებისთანავე ივსება დადგენილი წესით და პასუხისმგებელი მუშაკების ხელმოწერით დადასტურების შემდეგ ტარდება რეგისტრაციაში (შესაბამის წიგნში, ჟურნალში). საბუღალტრო დოკუმენტი ვარგისიანად რომ იქნეს მიჩნეული, იგი დროულად და ხარისხიანად უნდა იქნას გაფორმებული, ემყარებოდეს უტყუარ მონაცემებს და ჰქონდეს შემდეგი რეკვიზიტები: 1. ზუსტი დასახელება (სათაური ისე უნდა იყოს შერჩეული, რომ იგი გამოხატავდეს დოკუმენტის ძირითად შინაარსს. მაგალითად ასე: შემოსავლის ფაქტურა, გასავლის ფაქტურა, ანგარიშის შემოსავლის ორდერი, გასავლის ორდერი, ზედნადები, განრიგი, სამარშრუტო ფურცელი, აქტი, მინდობილობა და ა. შ., 2. სარეგისტრაციო ნომერი. ციფრები გასაგებად უნდა იყოს ჩაწერილი, არ იყოს გადასწორებული ან წაშლილი; 3. დოკუმენტის შედგენის თარიღი (რიცხვი, თვე, წელი), რაც არ შეიძლება გადასწორებული იყოს; 4. დოკუმენტის შემდგენი ორგანიზაციის ზუსტი და სრული დასახელება; 5. სამეურნეო ოპერაციის მოკლე შინაარსი და საფუძველი (მაგალითად ასე: თანახმად საწარმოს (დასახელება) ხელმძღვანელის (გვარი, სახელი, მამის სახელი) განკარგულებისა, საწყობიდან გაიკა 300 კილოგრამი კარაქი თბილისის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მაღაზია „ბაგებისათვის“ მისაწოდებლად. ამ შემთხვევაში კარაქის გაცემა წარმოადგენს სამეურნეო ოპერაციის შინაარსს, საწარმოს ხელმძღვანელის განკარგულება კი

საფუძველს. თუ დოკუმენტი სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ან ფულად საშუალებათა მიღება-გაცემასთან დაკავშირებით დგება, მაშინ: ა) უნდა აღინიშნოს აგრეთვე მიმღები ორგანიზაციის ზუსტი დასახელება, ასევე იმ მუშაკის გვარი, სახელი, მამის სახელი და დაკავებული თანამდებობა, ვინც მიიღო ეს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობანი და ფულადი საშუალებანი; ბ) დოკუმენტი უნდა გაფორმდეს ცხრილის სახით, რომელსაც ექნება ჰორიზონტალური სტრიქონები და ვერტიკალური სვეტები. ვერტიკალური სვეტები უნდა შეიცავდეს ისეთ გრაფებს, როგორცაა: ა) საქონლის რიგითი ნომერი; ბ) დასახელება; გ) არტიკულის ნომერი; დ) ზომის ერთეული; ე) ხარისხი; ვ) რაოდენობა; ზ) ერთეულის ფასი; თ) ჯამი; ნ. დოკუმენტი ხელმოწერილი უნდა იყოს, კერძოდ ხელს უნდა აწერდეს როგორც საქონლის (პროდუქციის) გამცემი ორგანიზაციის პასუხისმგებელი პირი, ასევე საქონლის მიმღები; 7. დოკუმენტს დასმული უნდა ჰქონდეს მისი გამცემი ორგანიზაციის ბეჭედი.

გარდა ამისა, არის დოკუმენტები, რომელთაც ზემოაღნიშნულთან ერთად, ესაჭიროებათ ისეთი დამატებითი რეკვიზიტები, როგორცაა: ა) ანგარიშსწორების ანგარიშის ნომერი ბანკში და ბ) სამეურნეო ოპერაციაში მონაწილე ორგანიზაციების ზუსტი მისამართები, ტელეფონებისა და ფაქსების ნომერი და ა. შ.<sup>1</sup>

204-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება ეკონომიკური საქმიანობის ამსახველი საბუღალტრო წიგნის ან აღრიცხვის სხვა დოკუმენტის წარმოების წესის დარღვევაში, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი უნდა გამოიწვიოს.

საბუღალტრო წიგნისა ან აღრიცხვის სხვა დოკუმენტის წარმოების წესის დარღვევა გამოიხატება დადგენილი წესის საწინააღმდეგო მოქმედებაში, სახელდობრ, ბრალდებული არასწორად აწარმოებს საბუღალტრო წიგნის შევსებას, მასში არ ატარებს აღრიცხვის ყველა დოკუმენტს; აღრიცხვის სხვა დოკუმენტის წესის დარღვევად

---

<sup>1</sup> აღრიცხვის დოკუმენტებზე იხ. ლწიბე მ, ჭუმბურიძე ლ., ბუღალტერია. თბ., 1998; ძაძაძია რ., ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სამეწარმეო-სამართლებრივი საფუძვლები. გამომცემლობა „თერგი“, თბ., 1997; ძაძაძია რ., ჭუმბურიძე ლ., ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება. გამომცემლობა „თერგი“, თბ., 1997; ვლადიმერ ცინცაძე. სასამართლო ბუღალტერია. თბ., 1998.

უნდა მივიჩნიოთ ისეთი შემთხვევები, როცა ბრალდებულს არ გააჩნია ის დოკუმენტაცია, რომლითაც აისახება წარმოებაში ნედლეულისა და მატერიალურ ფასეულობათა მოძრაობა, პროდუქციის რეალიზაციის შედეგად მიღებული ფულადი სახსრები, მოგება და სხვ., ან თუ გააჩნია, ისინი ობიექტურად ვერ ასახავს ნედლეულის მიღების, გადამუშავების, მზა პროდუქციის დამზადებისა და რეალიზაციის პროცესს. ბრალდებულის მიზანი ამ შემთხვევაში ისაა, რომ დაუმალოს შემოსავლები სასჯელმწიფო აღრიცხვას, ან შემცირებული ოდენობით უჩვენოს იგი საგადასახადო ორგანოებს (ცხადია, ასეთ შემთხვევებში დამნაშავეს მოტივი და მიზანი ანგარებაა).

საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება რეგულირდება ისეთი კანონებით, როგორიცაა: საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ (მიღებულია 1994 წლის 28 ოქტომბერს, ძალაშია 1995 წლის 1 მარტიდან); საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ (მიღებულია 1999 წლის 5 თებერვალს, ამოქმედდა გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს).

„ბუღალტრული აღრიცხვისა<sup>1</sup> და ანგარიშგების<sup>2</sup> რეგულირების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანია: ა) საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის რეფორმის განხორციელების ხელშეწყობა; ბ) ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სახელმწიფო

---

<sup>1</sup> ბუღალტრული აღრიცხვა — სამეურნეო აღრიცხვის ერთ-ერთი სახეობაა. მისი საგანია ის სამეურნეო ობიექტები, რომლებიც იწვევენ (საწარმოს, ორგანიზაციის ან დაწესებულების) მატერიალური და ფულადი სახსრების მოძრაობას. მისი საეკონომიკური მეთოდია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშებში ე. წ. ორმაგი ჩაწერა და აღრიცხვის ჩანაწერების განზოგადება ბუღალტრულ ბალანსსა და ანგარიშგების სხვა ფორმებში.

<sup>2</sup> ბუღალტრული ანგარიშგება — ესაა მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც შეიცავს ინფორმაციას საწარმოს, ორგანიზაციის ან დაწესებულების სამეურნეო საქმიანობის შედეგების, მის განკარგულებაში არსებული სამეურნეო საშუალებების შედგენილობისა და გამოყენების შესახებ. იგი ღვება მიმდინარე ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემების (ჩანაწერების) განზოგადების საფუძველზე გარკვეული ცხრილების (ფორმების) სახით. წლიური ანგარიშგება პერიოდულთან შედარებით უფრო სრულად ასახავს და ახსნათებს საწარმოს, ორგანიზაციის ან დაწესებულების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობას.

რეგულირებისა<sup>1</sup> და თვითრეგულირების<sup>2</sup> სფეროების განსაზღვრა; გ) ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრება. ამ კანონის მე-5 მუხლის თანახმად, ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სფეროში სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოა საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, რომლის კომპეტენციაა საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის ბუღალტრული აღრიცხვის ნორმებისა და წესების დამტკიცება, შესაბამისი ინსტრუქციების, მითითებების გამოცემა და მათი პრაქტიკაში დამკვიდრება. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების საკითხებთან დაკავშირებით თანამშრომლობს საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიასთან და ბუღალტერთა დამოუკიდებელ პროფესიულ ორგანიზაციებთან. ბუღალტერთა დამოუკიდებელი პროფესიული ორგანიზაციების კომპეტენციას განეკუთვნება: ა) ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების ინტერპრეტაციების<sup>3</sup> შემუშავება; ბ) ბუღალტრული აღრიცხვის დროებითი სტანდარტების<sup>4</sup> შემუშავება; გ) ბუღალტერთა კვალიფიკაციის ამაღლება და პროფესიული სერტიფიცირება.

---

<sup>1</sup> ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სახელმწიფო რეგულირება – ესაა სახელმწიფო ორგანოების მიერ საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღებით ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების წესებისა და ნორმების დადგენა.

<sup>2</sup> ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების თვითრეგულირება – ესაა ბუღალტერთა დამოუკიდებელი პროფესიული ორგანიზაციების მიერ კერძო სამართლის სუბიექტების ბუღალტრული აღრიცხვის სრულყოფა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის მიერ დამტკიცებული სტანდარტების ინტერპრეტაციების, დროებითი სტანდარტებისა და მეთოდური მითითებების პრაქტიკაში დამკვიდრების გზით.

<sup>3</sup> სტანდარტების ინტერპრეტაცია – ესაა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დებულებებისა და ტერმინების გაგების მიზნით შემუშავებული ახსნა-განმარტებები.

<sup>4</sup> ბუღალტრული აღრიცხვის დროებითი სტანდარტები – ესაა საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის მიერ დამტკიცებული ბუღალტრული აღრიცხვის დროებითი წესები, დადგენილი იმ სააღრიცხვო ობიექტებისათვის, რომელთა ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება არ რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობითა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით.

საქართველოს პარლამენტთან არსებულ ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს კომისია (რომელიც იქმნება პარლამენტთან) აერთიანებს ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსების, ბიზნესის, ეკონომიკისა და სამართლის სფეროს წარმომადგენლებს. კომისიის შემადგენლობა, რომელშიც შედის საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს ფასიანი ქაღალდების კომისიის თითო წარმომადგენელი, განისაზღვრება 9 წევრით. ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის წევრებს, საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის წარდგინებით, 3 წლის ვადით ამტკიცებს საქართველოს პარლამენტის ბიურო. კომისიის დებულებას ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი. ამ კომისიის ფუნქციებია: ა) ქართულ ენაზე თარგმნილი ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების სამოქმედოდ შემოღება; ბ) ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების ინტერპრეტაციების სამოქმედოდ შემოღება; გ) ბუღალტრული აღრიცხვის დროებითი სტანდარტების დამტკიცება; დ) ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებიდან გამომდინარე ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის სტრუქტურის დამტკიცება. საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისია თავისი ფუნქციების განხორციელებისას თანამშრომლობს საქართველოს სახელმწიფო ორგანოებთან და ბუღალტერთა დამოუკიდებელ პროფესიულ ორგანიზაციებთან.

„ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად, კერძო სამართლის იურიდიული პირი (მცირე საწარმოსა და არაკომერციული იურიდიული პირის გარდა) ვალდებულია ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება აწარმოოს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ბუღალტრული აღრიცხვის დროებითი სტანდარტების შესაბამისად; ხოლო ინდივიდუალურ მეწარმეს, მცირე საწარმოსა და არაკომერციულ იურიდიულ პირს უფლება აქვთ ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება აწარმოონ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ბუღალტრული აღრიცხვის დროებითი სტანდარტების შესაბამისად.

204-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული (საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევა) დამთავრებულად უნდა მივიჩნი-

ნიოთ მნიშვნელოვანი ზიანის გამოწვევის მომენტიდან. როგორც ეხედავთ ეს დანაშაული მატერიალურ შემადგენლობათა ჯგუფს მიეკუთვნება. თუ რა უნდა ჩაითვალოს საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევის შედეგად გამოწვეულ მნიშვნელოვან ზიანად ეს სასამართლომ უნდა დაადგინოს საქმის კონკრეტულ გარემოებებზე დამოკიდებულებით.

სუბიექტური მხრივ საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევა ხასიათდება განზრახი ბრალის ფორმით. ბრალდებულს გაცნობიერებული აქვს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომას და სურს ეს შედეგი. მოტივებს, რომლებიც შეიძლება სხვადასხვა იყოს, დანაშაულის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება, მაგრამ იგი სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს სასჯელის შეფარდებისას.

204-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტი – სპეციალურია. იგულისხმება როგორც საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ასევე მთავარი ბუღალტერი, უფროსი ბუღალტერი, მონაგარიშე და სხვ., რომელთაც ევალებათ საბუღალტრო წიგნის ან აღრიცხვის სხვა დოკუმენტის წარმოების წესის სწორად წარმართვა.

## §17. უკანონო ქმედება გაკოტრებისას (სსკ 205-ე მუხლი)

ამ მუხლის თანახმად დანაშაულადაა მიჩნეული გადახდის-უნარობის ან ზედავალიანების დროს ქონების იმ ნაწილის განკარგვა ან დამალვა კრედიტორისათვის ხელმოუწვდომლობის მიზნით, რომელიც გაკოტრების წარმოების განხრის შემთხვევაში მოექცეოდა გაკოტრების მასაში, აგრეთვე მეურნეობის სწორად გაძლოლის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ მისი დაზიანება, გაუვარგისება ან განადგურება, – რაც ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

გაკოტრებას, როგორც სამართლის ინსტიტუტს, სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული შინაარსობრივი დატვირთვა აქვს. თუ ერთგან, იგი მოვალის ეკონომიკურ მოსპობაზეა ორიენტირებული.

მეორეკან. კანონმდებელი გაკოტრების ცნების შინაარსში გამოხატავს მოვალის ეკონომიკური გადარჩენის სურვილს. სხვაგან გაკოტრების ცნების შინაარსში შეიძლება ასახული იყოს კანონმდებლის ორივე მითითებული სურვილი. გაკოტრების ცნების შინაარსი, თავის მხრივ, გაცხადებულია გაკოტრების სამართლის მიზანში. ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, გაკოტრების სამართალი მოწოდებულია მიაღწიოს მოვალის კრედიტორების მოთხოვნების მაქსიმალურ დაცვას, მოვალის მთელი ქონების ლიკვიდაციის საფუძველზე. სხვაგან, პირიქით, პრიორიტეტი მინიჭებული აქვს ვალაუვალ<sup>1</sup> მოვალეს, რომლის ეკონომიკური (ასევე სამართლებრივი) გადარჩენაც უნდა განხორციელდეს სანაცის (მორიგების) ღონისძიებების განხორციელების საფუძველზე. თავის მხრივ, საინტერესოა, აგრეთვე იმ ქვეყნების გაკოტრების სამართალი, სადაც მოვალისა და კრედიტორის ინტერესების დაცვას თანაბარი პრიორიტეტი აქვს მინიჭებული.

---

<sup>1</sup> ვალაუვალობა — ნიშნავს საწარმოს უუნარობას დააკმაყოფილოს კრედიტორების მოთხოვნები საქონლის ან მომსახურების საფასურის გადახდის თაობაზე. აგრეთვე უუნარობა უზრუნველყოს აუცილებელი გადასახადები ბიუჯეტში და არასაბიუჯეტო ფონდებში, იმის გამო, რომ საწარმოს ვალდებულებები აღემატება მის ქონებას, ან მისი ბალანსის სტრუქტურა არადააკმაყოფილებელია. საწარმო ფორმალურად გაკოტრებულად ითვლება სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, რომელიც გამოიტანება ან საწარმოს თხოვნით (ნებაყოფლობითი ლიკვიდაცია) ან მისი კრედიტორების მოთხოვნით (იძულებითი ლიკვიდაცია). საწარმოს ვალაუვალად ცნობისათვის გამოიყენება შემდეგი კრიტერიუმები: მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი; საკუთარი სპერუნავი საშუალებებით უზრუნველყოფილობის კოეფიციენტი; გადახდისუნარიანობის აღდგენის (დაკარგვის) კოეფიციენტი. ბალანსის სტრუქტურის არამადამაკმაყოფილებლად, ხოლო საწარმოს გადახდისუნაროდ ცნობის საფუძველს წარმოადგენენ ჩამოთვლილი კოეფიციენტების ზღვრულ მინიმალურ მნიშვნელობაზე ჩაკლები მაჩვენებლები. ამასთან განიხილება საწარმოს ფინანსური მდგომარეობის აღდგენის შესაძლებლობა, ანუ გადახდისუნარობა, რაც ჯერ კიდევ არ ნიშნავს საწარმოს ცალსახად გაკოტრების ფაქტს. გაკოტრების ფაქტს ადგენს მხოლოდ სასამართლო, თანაც საწარმოს ეკონომიკის სარეორგანიზაციო საშუალებების (სანაცია, გარეშე მართვა და სხვ.) გათვალისწინების საფუძველზე. თუკი საწარმოს გადახდისუნარობის აღდგენის ღონისძიებებმა არ მიაღწიეს სასურველ შედეგს, იწყება ე. წ. საკონკურსო წარმოება, ინიშნება მმართველი (ლიკვიდატორი), რომელიც მართავს სალიკვიდაციო პროცესს.



ზოგიერთი ქვეყნის სამართალი გაკოტრების დასადგენად გადაუხდელობის ფაქტისა და სანგრძლივობის გარდა აწესებს მინიმალური დავალიანების ოდენობას. მაგალითად, ინგლისის კანონმდებლობა აწესებს ასეთ ზღვარს 750 გირვანქა სტერლინგის ოდენობით. საფრანგეთის კანონმდებლობისათვის კი, საკმარისია გაკოტრების ფორმალური ნიშანი – გადასახადების შეწყვეტის ფაქტი. დიდ ბრიტანეთში ნებაყოფლობითი გაკოტრება წარმოადგენს იურიდიულ პროცედურას, რომელიც მოსდევს ვალაუვალი მოვალის მიერ სპეციალურ სასამართლოში შესაბამისი განცხადების შეტანას. გაკოტრებულის ქონება გადაეცემა სასამართლოს მიერ დანიშნულ პირს, რომელიც აკმაყოფილებს კრედიტორების მოთხოვნებს. რაც შეეხება ბანკებს, სადაზღვევო კომპანიებს, სამშენებლო ასოციაციებს, რკინიგზებსა და ზოგიერთ სხვა ორგანიზაციებს, მათ ნებაყოფლობითი გაკოტრების უფლება არა აქვთ.

ისტორია იცნობს პერიოდებს, როდესაც კანონით დაიშვებოდა გადახდისუუნარო მოვალის სიკვდილით დასჯა. გაკოტრებული უთანაბრდებოდა ქურდს, მას ჯაჭვით აბამდნენ სამარცხვინო ბოძთან. აღსანიშნავია, რომ ნაპოლეონი გადახდისუუნარო მოვალეს ადარებდა კაპიტანს, რომელმაც მიატოვა გემი, გადახდისუუნარობის ფაქტი მიაჩნდა დანაშაულად. XII ტაბულის კანონი კრედიტორს აძლევდა გადახდისუუნარო მოვალის ნაკუწებად აჩეხვის უფლებას. გარკვეული საუკუნეების გასვლის შემდეგ კანონმდებელმა ყურადღება გადახდისუუნარო მოვალის სხეულიდან მის ქონებაზე გადაიტანა.

„რაც შეეხება გაკოტრების ქართულ სამართალს, – აღნიშნავს როინ მიგრიაული. იგი ცდილობს, ერთდროულად უზრუნველყოს როგორც ეკონომიკურად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი მოვალის ეკონომიკური და ფინანსური პრობლემების გადაწყვეტა (სანაცია), ისე მისი კრედიტორების მოთხოვნების მაქსიმალური დაკმაყოფილება. თუმცა მოვალის გადარჩენის პრიორიტეტი აქაც წინა პლანზეა წამოწეული. მოვალის გადარჩენაში იგულისხმება არა იმდენად მისი, როგორც სამართლის სუბიექტის. არსებობის გადარჩენა, არამედ, უპირატესად, – მისი ეკონომიკური ერთეულების (წარმოებების) ეკონომიკური არსებობის გადარჩენა. პრაქტიკულად, გაკოტრების ქართული სამართალი არ არის მხოლოდ მოვალის ქონების ლიკვიდაციისა და ამის საფუძველზე კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების სამართალი, არამედ ეს არის, უპირველესად, მოვალის

გადარჩენის. ანუ მისი სანაცის სამართალი. სანაციის სამართალს, სხვაგვარად, მორიგების სამართალიც ეწოდება. უცხოეთის ქვეყნებში გაკოტრებისა და მორიგების სამართალს აწესრიგებენ ან სხვადასხვა სამართლებრივი აქტებით, ანდა ისინი ინტეგრირებული არიან ერთიან სამართლებრივ აქტში, რომელსაც ინზოლვენციის სამართალს უწოდებენ. ინზოლვენცია ლათინური სიტყვაა და ვიწრო გაგებით, ნიშნავს გადახდისუუნარობას და გულისხმობს გადახდის საშუალებების ხანგრძლივად (მყარად) არარსებობას, რაც იწვევს ფულადი ვალდებულებების შეუსრულებლობას. ინზოლვენტს შეესატყვისება ქართული ტერმინი „ვალაუვალობა“, რომელიც, თავისი ვიწრო მნიშვნელობით, ასევე მყარ გადახდისუუნარობას, ანუ „ვალის აუვალობას“ უკავშირდება. ფართო გაგებით, „ინზოლვენტი“ წარმოადგენს ზეცნებას იმ სამართლის დასახსიათებლად, რომელიც, ეკონომიკურად მძიმე მდგომარეობაში ჩაყარდნილი მოვალის ქონების ლიკვიდაციასთან ერთად, აწესრიგებს მისი წარმოებების ეკონომიკური არსებობის გადარჩენის საკითხებსაც. ქართულ ლიტერატურაში მას ვალაუვალობის სამართალიც შეიძლება ეწოდოს<sup>1</sup>.

105-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის უშუალო ობიექტია კრედიტორთა კანონიერი ინტერესები, ხოლო დანაშაულის საგნად გვევლინება ქონება (როგორც მოძრავი, ისე უძრავი) ან მისი ნაწილი. ამ მუხლის გამოყენების სფეროა იურიდიულ და ფიზიკურ პირთა სამეწარმეო საქმიანობა – მიუხედავად საკუთრების ფორმისა.

გასაანალიზებელი დანაშაულის ობიექტური მხარე, დისპოზიციის გააზრებიდან გამომდინარე, გამოიხატება გადახდისუუნარობის ან ზედავლიანების დროს (იგულისხმება გაკოტრების წინა პერიოდი) ქონების ნაწილის განკარგვაში ან დამალვაში (თანაც ეს ხდება კრედიტორისათვის ხელმიუწვდომლობის მიზნით). გასათვალისწინებელია ისიც, რომ კანონმდებელი დისპოზიციაში ხაზს უსვამს ქონების იმ ნაწილის განკარგვას ან დამალვას, რომელიც გაკოტრების წარმოების გახსნის შემთხვევაში მოექცეოდა გაკოტრების მასაში. ობიექტური მხარე ასევე გამოხატულებას პოულობს ქონების დაზიანებაში, გაუვარგისებაში ან განადგურებაში.

<sup>1</sup> იხ. როინ მიგრიაულის მონოგრაფია „შესავალი გაკოტრების სამართალში“. პირველი გამოცემა. თბ., 1999, გვ. 4-5.

საქართველოში გაკოტრებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონით „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“, რომელიც 1996 წლის 26 ივნისს იქნა მიღებული. ამ კანონის მიზანია კერძო ვალაუვალი მოვალის ეკონომიკური და ფინანსური სირთულეების საფუძვლიანი გადაწყვეტა სასამართლოში სანაციის ან სასამართლოსმიერი ლიკვიდაციის საშუალებით.

აღსანიშნავია, რომ ლიკვიდაცია გაკოტრების საფუძველზე დაუშვებელია სანაციის გამოყენების შესაძლებლობათა წინასწარ შეუმოწმებლად. ამასთან აუცილებელი ლიკვიდაცია არ უნდა დააბრკოლოს გაუმართლებელმა და არარეალურმა სანაციამ. გაკოტრების საქმის წარმოების წესი გამოიყენება კერძო სამართლის ფიზიკური ან იურიდიული პირის გადახდისუნარობისას. იურიდიული პირის მიმართ გაკოტრების საქმის წარმოება გამოიყენება აგრეთვე მისი დავალიანების შემთხვევაში.

„გადახდისუნარობად“ ჩაითვლება მოვალის მიერ დადგენილ ვადაში გადახდის ვალდებულებათა შესრულების უნარობა. გადახდისუნარობა ივარაუდება, თუ მოვალე შეწყვეტს ვალების გადახდას.

„დავალიანებად“ ჩაითვლება, როდესაც მოვალის ქონება (აქტივები) ვეღარ ფარავს მის ვალდებულებებს (პასივებს).

კრედიტორისათვის ხელმიუწვდომლობის მიზნით ქონების „განკარგვა“ – ნიშნავს ქონების ბედის განსაზღვრას, სახელდობრ, მის გასხვისებას – გაყიდვას, გაჩუქებას, აგრეთვე მისი გამოყენებით მოსპობას და სხვ.

კრედიტორისათვის ხელმიუწვდომლობის მიზნით ქონების „დამალვა“ – ნიშნავს ქონების სადმე ფარულ, მიუგნებელ ადგილას შენახვას, მოთავსებას. იგი ასევე მოიცავს ქონების არგამხელას, არგამჟღავნებას. დამალვაა მაშინაც, როცა საწარმოს მფლობელი თავის საკუთრივადან მოხსნის ამა თუ იმ ქონებას და შესანახად გადასცემს სხვა პირს, ან დაამახინჯებს ცნობებს საკუთარი ქონების შესახებ, რომლებიც ფიქსირებულია აღრიცხვის დოკუმენტებში.

ქონების „დაზიანება“ – გულისხმობს ქონების თვისობრიობის ისეთ შეცვლას, რომლის დროსაც არსებითად უარესდება მისი მდგომარეობა, ხდება ქონების სამეურნეო ღირებულების შემცირება, იკარგება სასარგებლო თვისებათა მნიშვნელოვანი ნაწილი და მთლიანად ან ნაწილობრივ გამოუსადეგარია სამეურნეო ან სხვა მიზნობრივი გამოყენებისათვის.

ქონების „გაუვარგისება“ – გულისხმობს ქონებისადმი ისეთ მოპყრობას, რაც გამოუსადეგარს ხდის მას თავის დანიშნულებისამებრ გამოყენების თვალსაზრისით, ე. ი. გაუვარგისების ცნება მოიცავს ქონების ისეთ თვისობრივ მდგომარეობას, როცა იგი ვარგისი არ არის. ვერ პასუხობს თავის დანიშნულებას და, ცხადია, მისი გამოყენებაც არ შეიძლება, რადგან გაუვარგისებული ქონება გამოუსადეგარია.

ქონების „განადგურება“ – ნიშნავს ქონებაზე ისეთ გარეგან ზემოქმედებას, რის შედეგადაც წყდება მისი ფიზიკური არსებობა ან იგი გამოუსადეგარი ხდება მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებისათვის, ე. ი. ქონების განადგურების შემთხვევაში იგი კარგავს თვისობრივ განსაზღვრულობასა და სასარგებლო თვისებებს.

გაკოტრების საქმის წარმოება შეიძლება გაიხსნას მხოლოდ განცხადების საფუძველზე. განცხადების შეტანის მოვალეობა უნდა დაეკისროს მოვალეს, აგრეთვე ნებისმიერ კრედიტორს (გაკოტრების კრედიტორი), რომელსაც გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის მომენტიანათვის მოვალის მიმართ აქვს დასაბუთებული ქონებრივი პრეტენზიები. გაკოტრების კრედიტორმა თავის განცხადებაში უნდა დაასაბუთოს მოვალის გადახდისუნარიობა ან დავალიანება. გაკოტრების შესახებ განცხადება მოვალეს უნდა ჩაბარდეს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით სარჩელის წარდგენისათვის დადგენილი წესით. სასამართლომ განცხადების მიღებიდან ერთ თვეში უნდა შეამოწმოს გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის საკითხი; გამოარკვიოს გაკოტრების საქმის წარმოებისათვის მნიშვნელოვანი ყველა გარემოება; კერძოდ, დაკითხოს მოწმეები და ექსპერტები და მოუსმინოს მოვალეს. სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვეტილება გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ მიიღოს საქმის ზეპირი გარჩევის გარეშეც. სასამართლოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება გაკოტრების მასის<sup>1</sup> დაცვის წინასწარი უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ, კერძოდ, დანიშნოს გაკოტრების დროებითი მმართველი. ამ პერიოდში მოვალის წინააღმდეგ დაწყებული იძულებითი აღსრულების სხვა ღონისძიებები ჩაითვლება დროებით

---

<sup>1</sup> გაკოტრების მასა – მოიცავს ვალაუვალი მოვალის ქონებას, რომელიც მას ეკუთვნის საქმის წარმოების გახსნის მომენტიანათვის საქართველოში და საზღვარგარეთ (იმ ნივთებისა და მოთხოვნების გამოკლებით, რომლებიც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობისა და სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად დამოუკიდებელ იძულებით აღსრულებას არ ექვემდებარება).

შენერებულად. მოვალის ქონების შეფასებისას სასამართლოს შეუძლია გაითვალისწინოს ვალაუვალი მოვალის საწარმოს საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობა (სანაცია), თუ ეს უფრო გამართლებულია, ვიდრე ლიკვიდაცია, ან გაითვალისწინოს მესამე პირისათვის საწარმოს გადაცემის შესაძლებლობა მისი საქმიანობის შემდგომი გაგრძელების მიზნით. გაკოტრების საქმის განმხილველმა სასამართლომ სანაციის ან ლიკვიდაციის საფუძვლიანობაზე უნდა იმსჯელოს იურიდიული პირის უკანასკნელი ბალანსისა და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტების მიხედვით.

მოვალის ვალდებულებებთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ მოვალემ გაკოტრების საქმის განმხილველ სასამართლოში უნდა წარუდგინოს თავისი: ა) ქონების სრული ნუსხა ცალკეული ობიექტების შეფასებითი ღირებულების მითითებით; ბ) კრედიტორების ნუსხა, არსებული ვალდებულებების, აგრეთვე კრედიტორების სახელებისა და მისამართების მითითებით; გ) მოვალეების ნუსხა, არსებული მოთხოვნების, აგრეთვე მოვალეების სახელებისა და მისამართების მითითებით. მოვალემ უნდა დაადასტუროს მის მიერ სასამართლოსათვის წარდგენილი ნუსხების სისწორე და სისრულე; მოვალე ფიზიკურ პირებს და მოვალე იურიდიულ პირთა ხელმძღვანელებს უნდა განემარტოთ, რომ შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემისათვის დაეკისრებათ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

სასამართლომ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის ან გახსნაზე უარის, ან გახსნის გადავადების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წინ უნდა მოუსმინოს ვალაუვალ მოვალეს. სასამართლოს შეუძლია საქმის წარმოების გახსნისათვის მოუსმინოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს იმ პალატის წარმომადგენლებს, რომლის წევრიც არის მოვალე, აგრეთვე ბანკის წარმომადგენელს, რომელთანაც ვალაუვალ მოვალეს აქვს მუდმივი საქმიანი ურთიერთობა.

გაკოტრების საქმის წარმოება გახსნილად მიიჩნევა, თუ სასამართლოს მიერ მიღებულია შესაბამისი გადაწყვეტილება (საქმის წარმოების გახსნის გადაწყვეტილება). ამ გადაწყვეტილებით: ა) ვალაუვალ მოვალე გამოცხადდება გაკოტრებულად; ბ) ვალაუვალ მოვალეს აეკრძალება თავისი ქონების განკარგვა; გ) მოწესრიგდება ვალაუვალ მოვალის ქონების მართვის საკითხი და დაინიშნება გაკოტრების მმართველი; დ) განისაზღვრება საქმის წარმოების გახსნის ღლე და საათი. საქმის წარმოების გახსნის გადაწყვეტილება ქვეყნდება

სასამართლოს დაფაზე განცხადებით ან სასამართლოს ოფიციალურ ბიულეტენში გამოქვეყნებით. საჭიროების შემთხვევაში სასამართლო მოვალეა მიიღოს ზომები საქმის წარმოების გასწვრივ გადაწყვეტილების გამოსაქვეყნებლად საზღვარგარეთის იმ ქვეყნებშიც, სადაც იმყოფებიან გაკოტრების საქმესთან დაკავშირებული იურიდიული და ფიზიკური პირები ან არის გაკოტრების მასის კუთვნილი ქონება ან ქონების ნაწილი. სასამართლოს შეუძლია ვალაუვალი მოვალის მიმართ განხორციელოს უზრუნველყოფის შემდეგი განსაკუთრებული ღონისძიებები: ა) იძულებით მოყვანა და დაპატიმრება საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით (თუ მოვალე ფიზიკური პირია); ბ) საფოსტო და სატელეგრაფო გზავნილების დაკავება. კრედიტორთა მოთხოვნების შემოწმების შემდეგ სასამართლოს შეუძლია გადასცეს ისინი გაკოტრების მმართველს. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ იგი უნდა იყოს გამოცდილი და ვალაუვალი მოვალისა და კრედიტორებისაგან დამოუკიდებელი ფიზიკური პირი. გაკოტრების მმართველს გადაეცემა დანიშნვის დოკუმენტი, რომელიც მისი თანამდებობრივი უფლებამოსილების განხორციელების შემდეგ უბრუნდება სასამართლოს. ამ დოკუმენტში მითითებულია გაკოტრების მმართველის უფლებამოსილებანი. იგი პასუხისმგებელია მასზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებისათვის. მან დანიშნვისთანავე უნდა აღწეროს ქონება და შეადგინოს ბალანსი და ორივე დოკუმენტი წარუდგინოს გაკოტრების საქმის განმხილველ სასამართლოს. გაკოტრების მმართველის საქმიანობას ზედამხედველობას უწევს გაკოტრების საქმის განმხილველი სასამართლო. სასამართლოს შეუძლია მნიშვნელოვანი საფუძვლების არსებობისას გამოიწვიოს გაკოტრების მმართველი და დანიშნოს სხვ.

დასასრულს უნდა შევნიშნოთ, რომ გაკოტრებას არ ექვემდებარება სახელმწიფო, მისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები, აგრეთვე საჯარო-სამართლებრივად მოწყობილი ორგანიზაციები<sup>1</sup>.

205-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული დამთავრებულად ითვლება გაკოტრებისას უკანონო ქმედების განხორციელების მომენტიდან, მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ კანონმდებელი

---

<sup>1</sup> დაწვრილებით გაკოტრების საკითხებთან დაკავშირებით იხილეთ ჩვენს მიერ დასახელებული როინ მიგრაილის მონოგრაფია და კანონი „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“.

დანაშაულის დამთავრების მომენტად ითვალისწინებს როგორც ქონების განკარგვას ან დამალვას (რაც ფორმალური შემადგენლობაა), ასევე ქონების დაზიანებას, გაუვარგისებას ან განადგურებას (რაც მატერიალური შემადგენლობაა). ვფიქრობთ სწორი იქნებოდა თუ კანონმდებელი 205-ე მუხლში გამოყოფდა მე-2 ნაწილს, სადაც ხაზი გაესმებოდა „მეურნეობის სწორად გაძღოლის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ ქონების დაზიანებას, გაუვარგისებას ან განადგურებას“.

განსახილველი 205-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტური მხარე ხასიათდება განზრახი ბრალით. პირს გაცნობიერებული აქვს, რომ არის გადახდისუუნარო და ზედავლიანების მქონე და ამ დროს ახდენს ქონების იმ ნაწილის განკარგვასა და დამალვას კრედიტორის ხელმიუწვდომლობის მიზნით, რომელიც გაკოტრების წარმოების გახსნის შემთხვევაში მოექცეოდა გაკოტრების მასაში, ესე იგი მას სურს არ დაკმაყოფილდეს კრედიტორთა მოთხოვნები. ამ შემთხვევაში დამნაშავის მოტივი და მიზანი ანგარებაში ვლინდება. შეიძლება იყოს სხვა პირადი ინტერესებიც. გასაანალიზებელი მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე „მიზანი“ (იგულისხმება ქონების კრედიტორისათვის ხელმიუწვდომლობის მიზანი) ამ დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი ელემენტია.

205-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის (უკანონო ქმედება გაკოტრებისას) სუბიექტი სპეციალურია. „იგი შეიძლება იყოს კერძო სამართლის ყოველი შერაცხადი ფიზიკური პირი ან იურიდიული საზოგადოების ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირი. ასეთი შეიძლება იყოს როგორც სამეწარმეო, ისე არასამეწარმეო, როგორც საქართველოს, ისე სხვა ქვეყნის ფიზიკური პირი ან იურიდიული საზოგადოების ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირი“<sup>1</sup> (რაც შეეხება დანაშაულის ამსრულებელს, იგი შეიძლება იყოს საწარმოს ხელმძღვანელი ან კერძო მფლობელი – მეწარმე).

---

<sup>1</sup> იხ. მზია ლეკვეიშვილისა და გოჩა მამულაშვილის დასახელებული კომენტარი, გვ. 123.

## §18. საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევა გაკოტრებისას (სსკ 206-ე მუხლი)

ამ მუხლის თანახმად დანაშაულადაა მიჩნეული გადახდისუუნარობის ან ზედავალიანების დროს საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევა, რამაც რეალური ქონებრივი მდგომარეობის შეფასება გაართულა, – რაც ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

საბუღალტრო წიგნის სწორად წარმოების წესი სამეურნეო და სხვა ეკონომიკური საქმიანობის კანონიერად წარმართვისა და მასზე საჯარო კონტროლის განხორციელების ერთ-ერთი წინაპირობაა. გაკოტრებისას (გადახდისუუნარობის ან ზედავალიანების შემთხვევაში) საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევას, რაც რეალური ქონებრივი მდგომარეობის შეფასებას ართულებს, კანონმდებელი დანაშაულად მიიჩნევს და პასუხისმგებლობას აკისრებს იმ პირებს, რომელთაც ევალეზობათ საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დაცვა. ვფიქრობთ, უმჯობესი იყო კანონმდებელს დისპოზიციაში ხაზი გაესვა არა მარტო საბუღალტრო წიგნზე, არამედ აღრიცხვის სხვა დოკუმენტების წარმოების წესის დარღვევაზეც, როგორც ამას აკეთებს 204-ე მუხლთან მიმართებაში (იგულისხმება საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევა).

განსახილველი დანაშაულის ობიექტია ის ურთიერთობები, რომლებიც არეგულირებს გაკოტრებისას საბუღალტრო წიგნის წარმოების დადგენილ წესს, აგრეთვე კრედიტორთა ინტერესები და ნაწილობრივ გაკოტრების სასამართლოს ინტერესებიც, რომელმაც გაკოტრების წარმოების გახსნის შესახებ სწორი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს. რაც შეეხება დანაშაულის საგანს ასეთად (დისპოზიციიდან გამომდინარე) გვევლინება საბუღალტრო წიგნი.

„საბუღალტრო წიგნი“ – ესაა აღრიცხვის ყველა დოკუმენტის მომცველი დავთარი. ამის თქმის საშუალებას გვაძლევს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე მუხლის მე-2 ნაწილი, სადაც წერია შემდეგი: სააქციო საზოგადოებამ უნდა აწარმოოს საზოგადოების ყველა დოკუმენტის აღრიცხვა (საზოგადოების წიგნი), რომელშიც აისახება საზოგადოების წესდება, აღირიცხება რეგისტრაციისათვის აუცილებელი ყველა ინფორმაცია და ყოველი აქცია. საზოგადოების წიგნში განხორციელებულ ყველა რეგისტრაციას ხელს



უნდა აწერდეს ყველა დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე<sup>1</sup>.

განსახილველი 206-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება გადახდისუნარობის ან ზედავალიანების დროს საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევაში (რამაც რეალური ქონებრივი მდგომარეობის შეფასება გაართულა).

„გადახდისუნარობა“ – ნიშნავს მოვალის მიერ დადგენილ ვადაში გადახდის ვალდებულებათა შესრულების უნარობას. გადახდისუნარობა ივარაუდება, თუ მოვალე შეწყვეტს ვალების გადახდას.

„ზედავალიანება“ – ნიშნავს დავალიანებას ჩვეულებრივზე მეტი ოდენობით. თვით დავალიანება კი გულისხმობს ისეთ ფაქტს, როდესაც მოვალის ქონება (აქტივები) ვეღარ ფარავს მის ვალდებულებებს (პასივებს).

„საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევა“ – ნიშნავს საბუღალტრო წიგნის წარმოების შესახებ დადგენილი წესის მოთხოვნის არაჯეროვნად ან საერთოდ შეუსრულებლობას.

„რეალური ქონებრივი მდგომარეობის შეფასების გართულება“ – ნიშნავს ვალაუვალი ან ზედავალიანების მქონე მოვალის გაკოტრების მასის (მოვალის ქონების) დადგენის ან განსაზღვრის პროცედურის გაძნელებას (მაგალითად, დროში გაჭიანურება).

საბოლოოდ, საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევა გაკოტრებისას შეიძლება დახასიათდეს ასეთნაირად: ა) მეწარმე ამჩნევს, რომ სავალალო მდგომარეობაშია ჩავარდნილი – კერძოდ, უნარი არ შესწევს იმისა, რომ კვლავწარმოება განახორციელოს, გაყიდოს პროდუქცია სასურველ ფასებში, გაისტუმროს კრედიტორები; ბ) მან კარგად იცის, რომ ასეთ გამოუვალ მდგომარეობაში მყოფმა უნდა განაცხადოს თავისი ვალაუვალობის შესახებ, რათა მისმა კრედიტორებმა აინაზღაურონ ვალი იმ ქონებიდან, რომელიც ჯერ კიდევ სახეზეა; გ) მაგრამ მოვალეს განცხადება, გაკოტრების საქმის წარმოების გახსნასთან დაკავშირებით, არ შეაქვს სასამართლოში, პირიქით, იგი არღვევს საბუღალტრო წიგნის წარმოების წესს, რაც

---

<sup>1</sup> ეკონომიკური საქმიანობის ამსახველი „საბუღალტრო წიგნის“ დახასიათებაზე არ ვჩერდებით, რადგან მასზე დაწვრილებითი საუბარი უკვე გვქონდა 204-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის (საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევა) იურიდიული ანალიზისას.

იმაში პოულობს გამოხატულებას, რომ მასში არ შეაქვს წარმოების ძირითადი ფონდები და საშუალებები, ნედლეული, მზა პროდუქცია და ა. შ., რითაც სასამართლოს ესპობა იმის შესაძლებლობა, რომ დააკაყოფილოს ნებისმიერი კრედიტორი ვალაუვალი მოვალის ქონებით (გაკოტრების მასით); დ) მეწარმე (გაკოტრებისას), საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევის საფუძველზე, აღწევს მის ძირითად მიზანს – ქონების დამალვას, რასაც, ბუნებრივია, ლოგიკურად მოსდევს რეალურად არსებული ქონების მდგომარეობის შეფასების გართულება, ვალების გასტუმრების გადავადება, ქონების შენარჩუნება და ა. შ., რითაც, საბოლოო ჯამში, ზიანი ადგება კრედიტორს.

206-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება მატერიალურ შემადგენლობათა ჯგუფს განეკუთვნება. კანონში მითითებულ ქმედებას შედეგად უნდა მოჰყვეს რეალური ქონებრივი მდგომარეობის შეფასების გართულება, რასაც არსებითი და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გაკოტრების საქმის წარმოების გახსნისა და საგაკოტრებო მასის დადგენისათვის.

განსახილველი დანაშაულის სუბიექტური მხარე განზრახი ბრალის ფორმაში ვლინდება, ბრალდებულს გაცნობიერებული აქვს თავისი მოქმედების მართლწინააღმდეგობა (იცის, რომ იმყოფება გადახდისუუნარობის ან ზედავლიანების მდგომარეობაში), ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას (იცის, რომ რეალური ქონებრივი მდგომარეობის შეფასება გართულდება) და სურს ან შეგნებულად უშვებს ასეთის დადგომას. რაც შეეხება მოტივებს, იგი შეიძლება სხვადასხვა იყოს, რასაც დანაშაულის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს (ე. ი. კანონმდებელი მას მნიშვნელობას არ ანიჭებს), თუმცა სასამართლო მას გაითვალისწინებს სასჯელის შეფარდების დროს.

206-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტი სპეციალურია. იგი შეიძლება იყოს კერძო სამართლის ფიზიკური ან იურიდიული პირი გადახდისუუნარობისას. იურიდიული პირის მიმართ გაკოტრების საქმის წარმოება გამოიყენება აგრეთვე მისი დავალიანების შემთხვევაში (იხ. საქართველოს კანონი „გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ“ – მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილი). სხვანაირად თუ ვიტყვით, ამ დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს როგორც სამეწარმეო, ისე არასამეწარმეო, როგორც საქართველოს, ისე სხვა ქვეყნის ფიზიკური პირი ან იურიდიული საზოგადოების

ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირი. დანაშაულის ამსრულებელი არის საწარმოს ხელმძღვანელი ან მთავარი ბუღალტერი (უფროსი ბუღალტერი, ბუღალტერი), რომელთაც ევალებათ ეკონომიკური საქმიანობის ამსახველი საბუღალტრო წიგნის წარმოება.

## §19. განცხადების შეუტანლობა გაკოტრებისას (სსკ 207-ე მუხლი)

ამ მუხლით დანაშაულადაა მიჩნეული ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირის ან ლიკვიდატორის მიერ გადახდისუუნარობის ან ზედავალიანების დროს განცხადების შეუტანლობა გაკოტრების წარმოების გახსნის შესახებ, – რაც ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

როგორც უკვე შევნიშნეთ, გაკოტრების საქმის წარმოების წესი გამოიყენება კერძო სამართლის ფიზიკური ან იურიდიული პირის გადახდისუუნარობისას. იურიდიული პირის მიმართ გაკოტრების საქმის წარმოება გამოიყენება აგრეთვე მისი დავალიანების შემთხვევაში.

განსახილველ მუხლში, უპირველეს ყოვლისა, ხაზი გაესმის ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირის პასუხისმგებლობას გადახდისუუნარობის ან ზედავალიანების დროს განცხადების შეუტანლობასთან დაკავშირებით. კანონმდებელი ასეთი უმოქმედების (შეუტანლობის) დასჯადობას უკავშირებს გაკოტრების საქმის წარმოების გახსნას. ბუნებრივია, აქვე უნდა ავხსნათ, თუ ვინ არის ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირი, რომელსაც ევალება განცხადების შეტანა (გაკოტრების წარმოების გახსნის შესახებ) სასამართლოში. კანონი „მეწარმეთა შესახებ“ ხელმძღვანელობით უფლებამოსილ სუბიექტებს ამომწურავად ჩამოთვლის, რამეთუ ისინი კერძო სამართლებრივ ურთიერთობათა მართვაში მთავარ როლს ასრულებენ. მათ ნიჭსა და კეთილსინდისიერ მოქმედებაზე დამოკიდებული საწარმოს ბედი. ისინი პასუხისმგებელნი არიან საწარმოს წინაშე და, ამდენად, მათი მხრიდან დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის შემთხვევაში, მათ ეკისრებათ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. კანონი ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირთა

ორ ვაგუფს იცნობს. პირველში შედის სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა<sup>1</sup> და კომანდიტური საზოგადოების ხელმძღვანელები<sup>2</sup>; მეორეში კი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება<sup>3</sup>, სააქციო საზოგადოება<sup>4</sup>, კოოპერატივი<sup>5</sup>. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 9.1-ე მუხლი განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, რომლებიც უფლებამოსილნი არიან უხელმძღვანელონ საზოგადოებას (და შესაბამისად იყენენ დანაშაულის სუბიექტები — ზ.წ.). სახელდობრ, ასეთებად მიხნეულია: სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში — ყველა პარტნიორი, კომანდიტურ საზოგადოებაში — პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორები (კომპლემენტარები), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, სააქციო საზოგადოებასა და კოოპერატივში — დირექტორები.

<sup>1</sup> სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება — არის საზოგადოება, რომელშიც რამოდენიმე ფიზიკური პირი ერთობლივად ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა არაერთჯერად და დამოუკიდებელ მეწარმეობას და პარტნიორები, რომლებიც საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ როგორც სოლიდარული მოვალეები — უშუალოდ, პირდაპირ. მთელ ვალდებულებებზე, შეუზღუდავად მთელი თავისი ქონებით. პარტნიორები შეიძლება იყენენ მხოლოდ ფიზიკური პირები.

<sup>2</sup> კომანდიტური საზოგადოება — არის საზოგადოება, რომელშიც რამოდენიმე პირი ერთობლივად ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა არაერთჯერად და დამოუკიდებელ მეწარმეობას, თანაც თუ ერთი ან რამოდენიმე პარტნიორის პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორების წინაშე განსაზღვრული საგარანტიო თანხის გადახდით შემოიფარგლება (კომანდიტები), ხოლო სხვა პარტნიორების პასუხისმგებლობა შეზღუდული არ არის (პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორები — კომპლემენტარები). კომპლემენტარები შეიძლება იყენენ მხოლოდ ფიზიკური პირები.

<sup>3</sup> შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — არის საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი თავისი ქონებით. ასეთი საზოგადოების დაფუძნება შეუძლია ერთ პირსაც. ასეთი საზოგადოების საწესდებო კაპიტალი უნდა შეადგენდეს სულ ცოტა 2000 ლარს. შესატანის ოდენობა თითოეული პარტნიორისათვის შეიძლება განსხვავებულად განისაზღვროს, მაგრამ იგი ათზე უნაშთოდ უნდა იყოფოდეს.

<sup>4</sup> სააქციო საზოგადოება — ესაა საზოგადოება, რომელსაც აქვს აქციებად დაყოფილი საწესდებო კაპიტალი. საწესდებო კაპიტალის მინიმალური ღირებულება უნდა შეადგენდეს 15.000 ლარს, ხოლო ერთი აქციის ნომინალური ღირებულება — 1 ლარს ან მის მრავალჯერადს.

<sup>5</sup> კოოპერატივი — არის წევრთა შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული ან წევრთა მეურნეობის განვითარებისა და შემოსავლის გადიდების მიზნით შექმნილი საზოგადოება, რომლის ამოცანაა წევრთა ინტერესების დაკმაყოფილება და იგი მიმართული არ არის უპირატესედ მოგების მიღებაზე.

207-ე მუხლის დისპოზიციაში აღნიშნული ლიკვიდატორის მიერ გადახდისუუნარობის ან ზედავალიანების დროს განცხადების შეუტანლობა გაკოტრების წარმოების გახსნის შესახებ, მოითხოვს სათანადო ინტერპრეტაციას. უპირველეს ყოვლისა უნდა შევნიშნოთ, რომ ლიკვიდატორი<sup>1</sup> არის პირი, რომელიც ასორციელებს იურიდიული პირის ლიკვიდაციას, ინიშნება გამგეობის მიერ. განსაკუთრებულ გარემოებათა არსებობისას სასამართლოს (იუსტიციის სამინისტროს) შეუძლია სხვა ლიკვიდატორების დანიშვნაც. ლიკვიდატორები პასუხს აგებენ როგორც გამგეობის წევრები. საწარმოს ლიკვიდაციისას ლიკვიდატორებმა დანიშნისთანავე უნდა შეადგინონ ბალანსი. საწარმოს საბუღალტრო წიგნებიდან ან სხვა წყაროებიდან ცნობილ კრედიტორებს საზოგადოების ლიკვიდაციის შესახებ უნდა ეცნობოს სპეციალური შეტყობინებით, ხოლო უცნობ კრედიტორებსა და იმ კრედიტორს, რომელთა საცხოვრებელი ადგილი უცნობია, — საჯარო განცხადებით, და მოიწვიონ ისინი მათი პრეტენზიების განცხადებისათვის. ლიკვიდატორები მოვალენი არიან დაამთავრონ მიმდინარე საქმეები, განახორციელონ აქტივები და შეასრულონ საზოგადოების ვალდებულებები, თუ ბალანსიდან არ გამომდინარეობს დავალიანება. დავალიანების დადგენისთანავე ისინი მოვალენი არიან აცნობონ სასამართლოს ამის თაობაზე, რომელმაც უნდა აღძრას საბანკროტო<sup>2</sup> საქმე. ლიკვიდატორები წარმოადგენენ საზოგადოებას ლიკვიდაციასთან დაკავშირებულ გარიგებებში. შეუძლიათ წარმართონ ამასთან დაკავშირებული პროცესები, დაამთავრონ საარბიტრაჟო საქმეები ან მორიგეობით დაასრულონ დავები, ხოლო თუ საჭიროა ჩაერთონ ახალ გარიგებებშიც, მათ შეუძლიათ თავისუფლად გაყიდონ აქტივები. გრძელვადიანი ლიკვიდაციის დროს მათ ყოველწლიურად უნდა შეადგინონ შუალედური ბალანსები. საზოგადოება პასუხს აგებს ლიკვიდატორის მიერ თავის საქმიან მოვალეობათა შესრულებისას უნებართვო მოქმედებებით მიყენებული ზიანისათვის.

ზემოაღნიშნულის გააზრებიდან გამომდინარე შეიძლება ვთქვათ,

---

1 სიტყვა „ლიკვიდატორი“ (პირი, რომელიც რისამე ლიკვიდაციას ახდენს) ორგანულად დაკავშირებულია ფრანგულ სიტყვასთან „ლიკვიდაციასთან“, რაც რისამე (წარმოების, დაწესებულებისა და მისთ.) საქმიანობის შეწყვეტას, დახურვას, გაუქმებას ნიშნავს.

2 „საბანკროტო“ საქმე — „გაკოტრების“ საქმის ტოლფასოვანი ცნებაა. თვით სიტყვა „ბანკროტი“, ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს ვალის გადახდის უნარმოკლებულობას, ვალაუვალობას, გაკოტრებას. ეს შეეხება როგორც ცალკეულ პირებს, ასევე საწარმოებს, დაწესებულებებს, სააქციონერო საზოგადოებებსა და სხვ.

რომ განსახილველი დანაშაულის (განცხადების შეუტანლობა გაკოტრებისას) უშუალო ობიექტია კრედიტორთა კანონიერი ინტერესები.

207-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირის ან ლიკვიდატორის მიერ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნასთან დაკავშირებით განცხადების შეუტანლობაში, ესე იგი დასახელებული პირები იჩენენ უმოქმედობას, მაშინ როცა საქმის ვითარებიდან გამომდინარე (საწარმო იმყოფება გადახდისუუნარობისა და ზედავალიანების მდგომარეობაში) მათი საქციელი აქტიურ მოქმედებაში უნდა გამოვლინებულიყო (სასამართლოში განცხადება უნდა შეეტანათ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის თაობაზე). განსახილველი დანაშაული ფორმალური შემადგენლობისაა და დამთავრებულად ჩაითვლება განცხადების შეუტანლობის მომენტიდან.

სუბიექტური მხრივ 207-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირს ან ლიკვიდატორს გაცნობიერებული აქვს, რომ საწარმოო გადახდისუუნარო და ზედავალიანების მქონეა, იციან თავიანთი მოვალეობის შესახებაც, რომ ასეთ დროს განცხადება უნდა შეიტანონ სასამართლოში გაკოტრების წარმოების გახსნის შესახებ<sup>1</sup>, მაგრამ ამას არ აკეთებენ. ასეთი უმოქმედობის მოტივი შეიძლება სხვადასხვა იყოს, რასაც დანაშაულის კვალიფიკაციაზე გავლენის მოხდენა არ შეუძლია, მაგრამ ისინი სასამართლოს მიერ გათვალისწინებული იქნება სასჯელის ინდივიდუალიზაციის დროს.

დაბოლოს უნდა აღვნიშნოთ, რომ 207-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტი – სპეციალურია. ამის თქმის საშუალებას იძლევა აღნიშნული მუხლის დისპოზიცია, სადაც ხაზი გაესმის ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირსა და ლიკვიდატორს. სხვანაირად თუ ვიტყვით, ამ დანაშაულის სუბიექტებად გვევლინებიან როგორც სხვადასხვა საზოგადოებათა ხელმძღვანელები, კერძოდ, დირექტორები, პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორები (კომპლემენტარები და ყველა პარტნიორი), ასევე ლიკვიდატორები.

---

<sup>1</sup> ვფიქრობთ სწორი იქნება, თუ „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის (განცხადება გაკოტრების შესახებ) 1-ლ ნაწილში, სადაც წერია: „განცხადების შეტანის უფლება აქვს მოვალეს“, შეიცვლება ასეთნაირად: „განცხადების შეტანის მოვალეობა (ვალდებულება) ეკისრება მოვალეს“, რაც ვალაუვალი, გადახდისუუნარო და ზედავალიანების მქონე პირის გააქტიურებას გამოიწვევს გაკოტრების წარმოების გახსნის საქმეში.

დანაშაული ფულად-საკრედიტო სისტემაში

§1. ფულად-საკრედიტო სისტემაში ჩადენილი დანაშაულის მოკლე მიმოხილვა

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში ფულად-საკრედიტო საქმიანობის სწორად წარმართვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. იგი განაპირობებს თანხების როგორც მიზნობრივ განაწილებასა და მომგებიანად ხარჯვას, ასევე საბრუნავი სახსრებისა და ძირითადი კაპიტალის საფუძვლიანად გადიდებას, ეკონომიკური ზარალის თავიდან აცილებასა და სხვ.

ფულად-საკრედიტო სისტემისა და პოლიტიკის სრულყოფის გარანტიად უნდა მივიჩნიოთ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 25 სექტემბრის № 647 განკარგულება „საქართველოს საფინანსო სისტემისა და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განმტკიცების, ქვეყნის ეკონომიკის გარეშე ფაქტორების უარყოფითი გავლენისაგან დაცვის საგანგებო ღონისძიებათა შესახებ“. ამ განკარგულების შესავალ ნაწილში ვკითხულობთ შემდეგს: საქართველოს ეკონომიკაში შექმნილი კრიზისული სიტუაცია აუცილებელს ხდის გარეშე ფაქტორების უარყოფითი გავლენის თავიდან აცილების მიზნით საქართველოს ხელისუფლების მხრიდან აქტიური ღონისძიებების განხორციელებას, რაც უნდა გამოიხატოს რაციონალური საბიუჯეტო-საგადასახადო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებით, რათა შენარჩუნდეს მიღწეული ეკონომიკური ზრდის ტემპი, სამომხმარებლო ფასების სტაბილურობა და ეროვნული ბანკის რეზერვები; რაც შეეხება განკარგულების მე-9 ნაწილს (სულ 17 ნაწილისაგან შედგება) მასში ხაზგასმულია, რომ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა: ა) დაუწესოს მკაცრი კონტროლი კომერციული ბანკების მიერ სალაროს გაძღოლის წესების დაცვას; ბ) მოამზადოს წინადადებები საბანკო დაწესებულებებიდან ნაღდი უცხოური ვალუტის გატანის დადგენილი წესების სრულყოფის თაობაზე; გ) განიხილოს კომერციული ბანკებისათვის დაწესებული მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ოპტიმიზაციის საკითხი; დ) მოამზადოს წინადადებები ვალუტის გადამცვლელი პუნქტებისათვის ნაღდი ვალუტის კონვერტირების ზღვრული ოდენობის დაწესების შესახებ; ე) იურიდიულ პირებს

შორის ნაღდი ანგარიშსწორების მოწესრიგების, მათი სალაროს ნაშთის ლიმიტის დადგენისა და ბანკის გვერდის ავლით ამონაგებიდან თანხების ხარჯვის მოქმედი წესების გამკაცრების მიზნით განიხილოს და შეიტანოს სათანადო ცვლილებები „საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, სალაროს მეურნეობის გაძლოლის შესახებ“ ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებულ დებულებაში; 3) მოამზადოს წინადადებანი საბანკო დაწესებულებებისა და სახელმწიფო ორგანიზაციების სალაროდან ნაღდი თანხების გაცემის მოწესრიგების მექანიზმის შესახებ განკარგულების მე-10 ნაწილში კი წერია, რომ „ცენტრალურმა და ადგილობრივმა მმართველობის ორგანოებმა განახორციელონ გადამჭრელი ღონისძიებები საქართველოს ტერიტორიაზე ეროვნული ვალუტის – ლარის ერთადერთი საგადამხდელო საშუალებად დამკვიდრებისა და მისი მოქმედების არეალის გაფართოების მიზნით“. ამ განკარგულების სხვა ნაწილებშიც, ასევე ასახვას პოულობს ფულად-საკრედიტო სისტემის სრულყოფის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები.

სადღეისოდ, სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებად მიჩნეულია ფინანსებისა და კრედიტების მართვის სისტემების სრულყოფა-განვითარება, რაც, თავის მხრივ, ყველა მეწარმეს მისცემს იმის შესაძლებლობას, რომ აწარმოონ საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისი ღონის პროდუქცია.

ჩვენს მიერ განსახილველი 27-ე თავი (დანაშაული ფულად-საკრედიტო სისტემაში) მოიცავს ექვს დამოუკიდებელ დანაშაულის შემადგენლობას, სახელდობრ ესენია: კრედიტის უკანონო მიღება (მუხლი 208-ე); ძვირფასი ლითონის სინჯის აღმნიშვნელი სახელმწიფო დამლის დამზადების ან გამოყენების წესის დარღვევა (მუხლი 209-ე); ყალბი საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათის დამზადება ან გასაღება (მუხლი 210-ე); ჩეკის ან საკრედიტო ბარათის ბოროტად გამოყენება (მუხლი 211-ე); ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდის დამზადება ან გასაღება (მუხლი 212-ე); ფასიანი ქაღალდების ბაზრის წესის დარღვევა (მუხლი 213).

დასახელებულ დანაშაულთა გვარეობითი ობიექტია ის ურთიერთობები, რომელიც აწესრიგებს (არეგულირებს) ფულად-საკრედიტო სისტემის სწორად წარმართვასა და საქმიანობას, ე. ი. ობიექტია-ბანკებისა და სხვა საკრედიტო ორგანიზაციების საკრედიტო საქმიანობა.

27-ე თავში მოცემულ დანაშაულთა ობიექტური მხარე აქტიური მოქმედებით ხასიათდება.



მატერიალურ და ფორმალურ შემადგენლობათა თანაფარდობა ერთმანეთის ტოლია. 208-ე, 211-ე, 213-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა შედეგიანია ანუ მატერიალური, ხოლო 209-ე, 210-ე და 212-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული ფორმალურია.

27-ე თავში მოცემულ დანაშაულთა სუბიექტური მხარე კლინდება ბრალის განზრახ ფორმაში.

დანაშაულის სუბიექტად გვევლინება როგორც სპეციალური, ასევე კერძო პირი.

## §2. კრედიტის უკანონოდ მიღება (სსკ 208-ე მუხლი)

ეს მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი დანაშაულად მიიჩნევს ბანკისათვის ან სხვა კრედიტორისათვის სამეურნეო ან ფინანსური მდგომარეობის შესახებ ყალბი ცნობის მიწოდებას კრედიტის მიღების ან მისი ოდენობის გაზრდის ანდა შეღავათიანი კრედიტის მიღების მიზნით, აგრეთვე მიზნობრივი კრედიტის არადანიშნულებისამებრ გამოყენებას, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, — რაც ისჯება ჯარიმით ან ტუსალობით ვადით ორიდან ოთხ თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ექვს წლამდე.

მეორე ნაწილი დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევს სახელმწიფო მიზნობრივი კრედიტის უკანონოდ მიღებას ან მისი არადანიშნულებისამებრ გამოყენებას, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, — რაც ისჯება ჯარიმით ან ტუსალობით ვადით სამიდან ექვს თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან რვა წლამდე.

განსახილველი ნორმა, რომელსაც ძველი სისხლის სამართლის კოდექსი არ ითვალისწინებდა, მიზნად ისახავს ქვეყნის საფინანსო სისტემისა და ეკონომიკურ ბრუნვაში ცალკეულ მონაწილეთა კანონიერი ინტერესების დაცვას. სხვანაირად თუ ვიტყვით, ეს მუხლი ახალია, უმთავრესად, დასაცავი ობიექტის რაკურსით, ესე იგი დასაცავ ობიექტად გვევლინება როგორც ფინანსური სისტემის, ასევე ეკონომიკური ბრუნვის ცალკეულ მონაწილეთა კანონიერი ინტერესები. ამავე დროს განსახილველი 208-ე მუხლი შეიცავს საკრედიტო თაღლითობის

რამოდენიმე სპეციალურ შემადგენლობას. ამ მუხლის გამოყენების სფეროა ბანკებისა და სხვა კრედიტორების საქმიანობა, რაც დაკავშირებულია სხვადასხვა სახის კრედიტის ბრუნვასთან, ე. ი. პრაქტიკულად მთელი ეკონომიკური ბრუნვა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სწორი იქნება თუ ვიტყვი, რომ კრედიტის უკანონოდ მიღების უშუალო ობიექტია ის საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომელიც არეგულირებს ბანკებისა და სხვა საკრედიტო ორგანიზაციების საკრედიტო საქმიანობას. ფაქტურით ობიექტი კი შეიძლება იყოს საკრედიტო საქმიანობის ნებისმიერი სუბიექტის ინტერესები. რაც შეეხება დანაშაულის საგანს ასეთად გვევლინება კრედიტი.

„კრედიტი“ ლათინური სიტყვისგანაა წარმომდგარი (creditum – ვალი) და აღნიშნავს საქონლის ან ფულის მიცემას სესხად. იგი წარმოადგენს სასესხო კაპიტალის მოძრაობის ფორმას. სესხს ფულადი ფორმით ან საქონლის სახით დაბრუნების და სასყიდლიანობის (პროცენტის გადახდის) პირობით. ვადების მიხედვით კრედიტი შეიძლება იყოს მოკლევადიანი (1 წლამდე), საშუალოვადიანი (2-7 წელი) და გრძელვადიანი. კრედიტის ფორმებია: 1. კომერციული კრედიტი (მისი აუცილებლობა გამოწვეულია იმით, რომ წარმოების და კაპიტალის ბრუნვის დროს პერიოდები არ ემთხვევა ერთმანეთს. ამ შემთხვევაში საქონლის კრედიტში გაყიდვა ხელს უწყობს წარმოების პროცესის უწყვეტობას, კაპიტალის ბრუნვის აჩქარებას და ძირების ზრდას. კომერციული კრედიტი ჩვეულებრივ მოკლევადიანია); 2. სახელმწიფო კრედიტი (გაიცემა სახელმწიფოს მიერ, შეიძლება იყოს საშინაო და სახელმწიფოთაშორისო); 3. საბანკო კრედიტი (ეძლევათ მეწარმეებს, საწარმოებს ფულადი სესხის სახით); 4. სამომხმარებლო კრედიტი (ეძლევა მოსახლეობას პირადი მოხმარების ნივთების განვადებით შეძენისათვის. რიგ ქვეყნებში კრედიტი მოქალაქეებს ბინის ან სახლის ყიდვისათვისაც ეძლევათ); 5. შეღავათიანი კრედიტები (ეძლევათ ძირითადად განვითარებად ქვეყნებს საბაზროზე ნაკლები განაკვეთებით, ხშირად მიღებულზე უფრო ხანგრძლივი ვადით). 6. სარეკლავრო კრედიტი (ეს არის საკრედიტო ხაზი რომლითაც სახსრები შეიძლება აღებულ იქნას სესხად ნებისმიერ მომენტში გარკვეული ლიმიტის ფარგლებში დამატებითი მოლაპარაკების გარეშე. ეს ხელსაყრელი ფორმაა ორივე მხარისთვის, რადგან იძლევა დროის და სახსრების ეკონომიას. ამასთანავე

კრედიტორი გარკვეულ რისკს იღებს თავზე, რადგან საბაზრო კონიუნქტურის უეცარი ცვლილების შემთხვევაში მან მაინც უნდა შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები და გასცეს კრედიტი); 7. „მარადმწვანე“ კრედიტი (რეგულარულად განახლებადი სარეკლამო საკრედიტო ხაზი მისი პერიოდული სრული დაფარვის მოთხოვნის გარეშე, და ფიქსირებული საერთო ვადით, რის შედეგადაც იგი შეიძლება განახლდეს); 8. საბროკერო კრედიტი (ესაა სესხი, რომელსაც ბროკერები იღებენ ბანკებში ან სხვა ბროკერებისაგან, საბროკერო ფირმებისაგან, სხვადასხვა მიზნით, მათ შორის კლიენტის დავალებით ფასიანი ქაღალდების შესაძენად, აგრეთვე საინვესტიციო და სხვა საქმიანობისათვის); 9. საბუფერო კრედიტი (საერთაშორისო სავალუტო ფონდის კრედიტი, რომელიც ეძლევა ე. წ. სანედლეულე საქონლის საბუფერო მარაგის დასაფინანსებლად მსოფლიო ბაზარზე ფასების სტაბილიზაციის მიზნით); 10. კრედიტი „ბექ თუ ბექ“ (კრედიტი, რომელშიც სათავო კომპანიები გამოდიან ერთმანეთის კრედიტორებად და ერთდროულად სესხის მიღებებად, ხოლო შემდგომ აკრედიტებენ თავიანთ შვილობილ<sup>1</sup> კომპანიებს შესაბამის ქვეყნებში. ხშირად გამოიყენება განვითარებად ქვეყნებში დაბლოკირებული ფულადი სახსრების გასანთავისუფლებლად); 11. სათამასუქო კრედიტი (კრედიტი, რომელიც მიიღება თამასუქის მფლობელის მიერ თამასუქის ვადადღე ჩათვლის (გაყიდვის) გზით); 12. სადილერო კრედიტი (ერთდღიანი კრედიტი, რომელიც დილერს<sup>2</sup> ეძლევა

---

<sup>1</sup> შვილობილი კომპანია – კომპანია არის შვილობილი სხვა კომპანიების მიმართ, თუ ეს უკანასკნელი ფლობს მისი სააქციო კაპიტალის ნომინალური ღირებულების ნახევარზე მეტს ან მასში აქვს განსაზღვრული რაოდენობის აქციები და აკონტროლებს საბჭოსა და დირექტორთა შემადგენლობას.

<sup>2</sup> დილერი – ესაა პირი, რომელიც ღებს გარიგებას საკუთარი სახელით და გამოდის მარწმუნებლის როლში. სხვანაირად, დილერები – ესენია იურიდიული ან ფიზიკური პირები, რომლებიც აწარმოებენ აქციების ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებს საკუთარი სახსრებით; დილერებად გვევლინებიან ასევე საფონდო ბირჟის წევრებიდან ბანკები, რომლებიც ეწევიან ფასიანი ქაღალდების, ვალუტის, ძვირფასი მეტალების ყიდვა-გაყიდვას. დილერებს შეუძლიათ შეთანხმების დადება როგორც ერთმანეთს შორის, აგრეთვე ბროკერებთან და უშუალოდ კლიენტებთან. მათი შემოსავლის წყაროა გამყიდველებისა და მყიდველების საქონლის კურსებს შორის სხვაობა, აგრეთვე ვალუტისა და ფასიანი ქაღალდების კურსის ცვლილებები დროის განმავლობაში.

გირაოთი); 13. საინვესტიციო კრედიტი (კრედიტი, რომელიც გაიცემა კონკრეტული საწარმოს მშენებლობისათვის); 14. საიპოთეკო კრედიტი (გრძელვადიანი სესხები, რომლებიც გაიცემა უძრავი ქონების, მიწის, აგრეთვე საცხოვრებელი და სამრეწველო დანიშნულების შენობის დაგირავების გარანტიით); 15. მწარმოებლური კრედიტი (კრედიტი, რომლის ხარჯზე შეიძინება მოწყობილობა, აგრეთვე საქონელი, რომელიც იძლევა მოგებას მისი ექსპლოატაციისას. ამ მოგებიდან შემდგომში იფარება დავალიანება); 16. განპირობებული კრედიტი (კრედიტი, უმეტესად უცხოური ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი ვალუტის სახით, რომლის გაცემას თან ახლავს კრედიტორის მოთხოვნები კრედიტის მიმღების ეკონომიკური პოლიტიკის გარკვეული კურსის შესახებ, აგრეთვე კრედიტორის მიერ რეკომენდირებული ღონისძიებების შესრულების მოთხოვნა ეკონომიკური რეფორმების სფეროში); 17. სამთავრობო კრედიტი (კრედიტი, რომელსაც გასცემენ სამთავრობო საკრედიტო დაწესებულებები. სამთავრობო კრედიტი უფრო შეღავათიანია ვიდრე კერძო. შეიძლება იყოს უპროცენტო რამოდენიმე ათწლეულის ვადით. შეიძლება იყოს სუბსიდიების (საჩუქრის) სახით. უფრო ხშირად არის მიზნობრივი — გარკვეული საქონლის შესაძენად, კონკრეტული ობიექტის ასაშენებლად და სხვა. საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციების კრედიტები გაიცემა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ, ევროპული საინვესტიციო ბანკის, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის და ევროპული თანამეგობრობის სხვა საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტების მიერ); 18. საბანკო კონსორციუმის კრედიტი (მოკლე ან გრძელვადიანი კრედიტი, რომელსაც ერთ კლიენტს აძლევს რამოდენიმე ბანკი. ბანკების სახსრების მოზიდვის ამგვარი ფორმისას კონსორციუმის ყველა წევრი უზრუნველყოფს კრედიტის გარკვეულ პროცენტს. კრედიტის სტრუქტურირებას უზრუნველყოფს ბანკი, რომელიც კისრულობს სათავო ბანკის ფუნქციებს. იგი აწარმოებს მოლაპარაკებას კლიენტთან და კოორდინაციას უწევს ბანკების ურთიერთობას); 19. პერსონალური კრედიტი (გაიცემა ფიზიკურ პირზე ბანკის ან სხვა საკრედიტო ორგანიზაციის მიერ. ასეთ კრედიტს წინ უძღვის სესხის მიმღების ფინანსური მდგომარეობის დეტალური შესწავლა); 20. პარტნიორული კრედიტი (მისი მიზანია დახმარების გაწევა სტაბილურად მომუშავე საწარმო-ორგანიზაციების მიმართ დროებითი მატერიალური

სიძნელეების დასაძლევად, რაიმე გაუთვალისწინებელი მოკლევადიანი ხარჯების დასაფარავად. პარტნიორული კრედიტი გაიცემა ბანკის მიერ, როგორც წესი, ნდობის საფუძველზე და არ გულისხმობს ფინანსური სიძნელეების მიზეზების გამოკვლევას. გამოყოფილი სესხი ფორმდება მოკლევადიანი ვალდებულებებით. ჩვეულებრივ არ აღემატება 90 დღეს)<sup>1</sup>.

208-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის (კრედიტის უკანონოდ მიღება) ობიექტური მხარე შეიცავს მოქმედებებს და გამოიხატება: ა) ბანკისათვის ან სხვა კრედიტორისათვის სამეურნეო ან ფინანსური მდგომარეობის შესახებ ყალბი ცნობის მიწოდებაში; ბ) მიზნობრივი კრედიტის არადანიშნულებისამებრ გამოყენებაში (რამაც მნიშვნელოვანი ზიანი უნდა გამოიწვიოს).

ბანკისათვის ან სხვა კრედიტორისათვის სამეურნეო ან ფინანსური მდგომარეობის შესახებ ყალბი ცნობის მიწოდება გულისხმობს მათთვის არანამდვილი მონაცემების წარდგენას. ეს ისეთი მონაცემებია, რომლებიც მოქმედი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებისა და არსებული პრაქტიკის თანახმად საფუძველად ედება დაკრედიტებაზე გადაწყვეტილების მიღებას, თანაც ეს მონაცემები აქტიურად ზემოქმედებს კრედიტორის ნებაზე. კერძოდ, ეს არის მონაცემები ძირითადი საშუალებებისა და მთლიანად საკუთრების, ქონებრივი უფლებებისა და ვალდებულებების, ბალანსის, მოგებისა და ზარალის, პროდუქციაზე ან მომსახურებაზე შეკვეთების არსებობის შესახებ, კრედიტის დაფარვის გარანტიების შესახებ და სხვა. როგორც ვხედავთ მონაცემების სიყალბე მდგომარეობს იმაში, რომ ბანკში ან სხვა საკრედიტო ორგანიზაციაში წარდგენილ ოფიციალურ დოკუმენტებში შეგნებულად არ არის შეტანილი სწორი ინფორმაცია ანდა ასახულია არასრული ფაქტობრივი ხასიათის ცნობები, რომლებიც ამახინჯებს ინფორმაციის შინაარსს. მაშასადამე, ამ დანაშაულის ჩადენის ხერხია ოფიციალური დოკუმენტის გამოყენება, რომელიც ყალბ მონაცემებს შეიცავს. ამრიგად, კრედიტორისათვის შეგნებულად ცრუ ცნობების მიწოდება – ესაა მათი (ყალბი ცნობების) გადაცემა იმ

<sup>1</sup> ჩვენს მიერ დასახელებულ და ასევე სხვა სახის კრედიტების დახასიათებაზე იხილეთ: „სამოქალაქო კოდექსში უცხო სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონი“. მე-2 შეესებული გამოცემა. იდეის ავტორი და პასუხისმგებელი გამოცემაზე თემურ გოგასაძე, ხოლო ავტორ-შემდგენელი ვლადიმერ გოცირიძე გაზეთი „ადეოკატ-მეოხი. სპეციალური გამოშვება. 1999 წ., გვ. 63-64.

პირთა განკარგულებაში. რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებას კრედიტის გამოყოფის თაობაზე (ცხადია, სათანადო ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების საფუძველზე).

განსახილველი მუხლის დისპოზიციაში მოხსენიებულ ბანკთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ „ბანკი“ – ესაა საკრედიტო ორგანიზაცია, რომელიც ახდენს ფიზიკური და იურიდიული პირების ფულადი სახსრების თავმოყრას, კრედიტების გაცემას, ფულად ანგარიშსწორებას. საბანკო ანგარიშების გახსნას და სხვა კანონით გათვალისწინებულ ფინანსურ ოპერაციებს. საქართველოს ეროვნული ბანკის ორგანული კანონით (მიღებულია 1995 წლის 23 ივნისს, ძალაში შევიდა ამავე წლის 1 ივლისიდან) „ბანკი“ განმარტებულია როგორც ნებისმიერი იურიდიული პირი, რომელიც აწარმოებს მოქალაქეებისაგან და დაწესებულებებისაგან ფულადი ანაბრების, სხვა დასაბრუნებელი სახსრების მიღებას და გასცემს კრედიტებს.

კრედიტორთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ „კრედიტორი“ – ესაა საკრედიტო ურთიერთობის ერთ-ერთი მონაწილე და გამოდის როგორც სუბიექტი, რომელიც იძლევა სესხს. ყველაზე გავრცელებული გაგებით ესაა სესხის მიმცემი, კრედიტის მიმწოდებელი (ორგანიზაცია, საწარმო ან ცალკეული პირი). სამოქალაქო სამართალში კრედიტორი არის ვალდებულების მხარე, რომელიც უფლებამოსილია მოსთხოვოს მეორე მხარეს – მოვალეს გარკვეული მოქმედების შესრულება ან გარკვეული მოქმედებისაგან თავის შეკავება. ამრიგად, სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში კრედიტორად გვევლინება საკრედიტო-საფინანსო დაწესებულება (ბანკი, ფონდები, ასოციაციები), სხვა დაწესებულებები და იურიდიული პირები, აგრეთვე ფიზიკური პირები.

მიზნობრივი კრედიტის არადანიშნულებისამებრ გამოყენებასთან დაკავშირებით შევნიშნავთ, რომ ამ შემთხვევაში კრედიტის გამოყენებას ადგილი აქვს არაპირდაპირი დანიშნულებით, მაშინ როცა მისი გამოყენება წინასწარ დათქმული მიზნის მისაღწევად უნდა წარიმართოს. კრედიტის მიზნობრივი დანიშნულება განსაზღვრულია ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებითა და კრედიტორის ნების გამოძღვავებით. მიზნობრივი კრედიტის დანაშაულებრივ გამოყენებასთან საქმე გვაქვს იმ შემთხვევაში, როდესაც პირმა მიიღო კრედიტი და განზრახ დაარღვია ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესები მის დანიშნულებისამებრ გამოყენებასთან დაკავშირებით (ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები კი განსაზღვრავს კრედიტის მიღების მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს; იმ პირთა

კატეგორიას, რომელიც მის მიღებას მოითხოვს; კრედიტის მიცემით მოსალოდნელ დადებით ეფექტსა და ა. შ.).

„თაღლითობისაგან განსხვავებით, — აღნიშნულია რუსულ კომენტარებში, — მოტყუება, რომლის შესახებაც საუბარია განსახილველ მუხლში (იგულისხმება რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 176-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს კრედიტის უკანონოდ მიღებას — ზ. წ.), ეხება კრედიტორისათვის არა ყველა მნიშვნელოვან გარემოებას, არამედ მხოლოდ იმ პირის სამეურნეო ან საფინანსო მდგომარეობას, რომელიც ითხოვს კრედიტს“<sup>1</sup>.

შელავათიან კრედიტთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ დაკრედიტების შეღავათიანი პირობები განისაზღვრება თვით კრედიტორის ან, ცალკეულ შემთხვევაში, ნორმატიული აქტებით. მოცემული ნიშნის შერაცხვისათვის აუცილებელია დადგინდეს, რომ მოვალემ დაკრედიტების შეღავათიანი პირობები მიიღო სწორედ კრედიტორის შეცდომაში შეყვანის შედეგად.

208-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა მატერიალურია. იგი მოიცავს მოქმედებას (ყალბი ცნობის მიწოდებას), საზოგადოებრივად საშიშ შედეგს (მნიშვნელოვანი ზიანის გამოწვევას) და მიზეზობრივ კავშირს აღნიშნულ მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. მნიშვნელოვან ზიანთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ იგი შეფასებითი კატეგორიაა და მისი დადგენა სასამართლოს კომპეტენციაში შედის. განსახილველი მუხლის ფორმულირების ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ მასში კანონმდებელი არ აზუსტებს თუ ვის უნდა მიადგეს ზიანი: მოქალაქეებს, იურიდიულ პირებს, კრედიტორის ორგანიზაციას თუ კრედიტის მიმღებ ორგანიზაციას. ეს ერთობ სერიოზული პრობლემაა, რადგან სხვადასხვა სუბიექტებისათვის ეს თანხები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან.

208-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტური მხარე გამოხატულია ბრალის ორმაგი ფორმით: მოქმედების მიმართ გვაქვს პირდაპირი განზრახვა, ხოლო შედეგის მიმართ განზრახვა ან გაუფრთხილებლობა. „დანაშაულის კვალიფიკაციისას, როგორც კრედიტის უკანონოდ მიღება, — აღნიშნულია რუსულ სახელმძღვანელოში, — საჭიროა დადგინდეს ბრალდებულის მხრიდან დატაცების მიზნის არარსებობა. როგორც წესი, ყალბი

<sup>1</sup> см. Комментарий к Уголовному кодексу Российской Федерации. Под ред. еи Н. Ф. Кузнецовой. М., 1998, с. 419.

ცნობის მიწოდებისას (კრედიტის მიღების ან მისი ოდენობის გაზრდის ანდა შელაკაოიანი კრედიტის მიღებასთან დაკავშირებით) ბრალდებულს არ გააჩნია იმის მიზანი, რომ უნაცვალგებოდ ამოიღოს ქონება კრედიტორისაგან. პირიქით, მისი განზრახვა მოიცავს იმას, რომ შემდგომში დაუბრუნოს იგი კრედიტორს. თუ მოტყუების გზით კრედიტის მიღება მიზნად ისახავს იმას, რომ მიღებული კრედიტი გადააქციოს თავის ან სხვა პირთა სარგებლობაში, მაშინ ასეთი ქმედება ქმნის თაღლითობის შემადგენლობას<sup>1</sup>.

ამ დანაშაულის სუბიექტი სპეციალურია. ასეთად გვევლინება ინდივიდუალური მეწარმე ან ორგანიზაციის ხელმძღვანელი, რომელმაც კრედიტი უკანონოდ მიიღო.

208-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური მხარე ვლინდება სახელმწიფო მიზნობრივი კრედიტის უკანონო მიღებაში, ასევე მის არადანიშნულებისამებრ გამოყენებაში (რამაც, ცხადია, მნიშვნელოვანი ზიანი უნდა გამოიწვიოს). პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობისაგან, განსხვავებით, ამ ნაწილში ხაზი გაესმის „სახელმწიფო მიზნობრივი კრედიტის“ უკანონოდ მიღებასა და არადანიშნულებისამებრ გამოყენებას, მაშინ როცა პირველ ნაწილში ხაზგასმულია „მიზნობრივი კრედიტის“ არადანიშნულებისამებრ გამოყენებაზე. როგორც ვხედავთ მე-2 ნაწილში შეცვლილია დანაშაულის საგანი და დომინირებს „სახელმწიფო მიზნობრივი კრედიტი“. ეს უკანასკნელი კრედიტის განსაკუთრებული სახეა და იგი გაიცემა კანონით დადგენილი წესით. სახელმწიფო მიზნობრივი კრედიტის ცნებაში უნდა ვიგულისხმოთ სესხები ფულად ან ნატურალურ ფორმაში, რაც გაცემულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კონკრეტული მიზნობრივი პროგრამების განსახორციელებლად (მაგალითად, საცხოვრებელი ფართის ასაშენებლად, სტიქიური უბედურებით გამოწვეული შედეგების სალიკვიდაციოდ და ა. შ.).

„სახელმწიფო მიზნობრივი კრედიტის მიღების უკანონობა კანონში ახსნილი არ არის, – აღნიშნავს მზია ლეკვეიშვილი და გოჩა მამულაშვილი, – ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ კრედიტის უკანონოდ მიღებას ადგილი ექნება იმ შემთხვევაში, როცა კრედიტის მიმღები განზრახ დაარღვევს შესაბამისი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებით დადგენილ წესებს, რომლებიც განსაზღვრავს მოცემული კრედიტის მიღების მატერიალურ-სამართლებრივ საფუძვლებს. აქ

<sup>1</sup> იხ. Уголовное право России. Особенная часть. Учебник под редакцией профессора А. И. Рагога. 3-е издание. М., 1998, с. 184.



ნაგულისხმევია ამ მუხლის პირველ ნაწილში მითითებული კრედიტის უკანონოდ მიღების გარემოებებიც. სახელმწიფო მიზნობრივი კრედიტის არადანიშნულებისამებრ გამოყენება წარმოადგენს მოქმედებას მიღებული საშუალებების განსაკარგავად იმ პირობების საწინააღმდეგოდ, რომელიც ჩამოყალიბებულია გადაწყვეტილებაში სახელმწიფო მიზნობრივი კრედიტის მიცემის შესახებ, ანდა ამ საშუალებების შუალედურად გამოყენებას მოგების მისაღებად“<sup>1</sup>.

მოცემული დანაშაულის შემადგენლობაც **მატერიალურია**. 208-ე მუხლის 1-ლი ნაწილისაგან განსხვავებით მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედების საზოგადოებრივად საშიში ხერხების განხორციელება ხასიათდება როგორც უკანონო, ე. ი. რაც დაკავშირებულია სწორედ კანონის დარღვევასთან. კრედიტის არადანიშნულებისამებრ (ე. ი. პირდაპირი დანიშნულების საწინააღმდეგოდ) გამოყენება გულისხმობს, მის გამოყენებას არა იმ მიზნით, რაც გათვალისწინებული იყო მისი გაცემის დროს და რაც დაამტკიცეს მხარეებმა, არამედ სხვა მიზნით, მისი დანიშნულების საწინააღმდეგოდ, გამოყენებას. კანონმდებელი მე-2 ნაწილში სავსებით მართებულად არ მიუთითებს მნიშვნელოვანი ზიანის ოდენობის თანხაზე, რაც სასამართლოს პრეროგატივაა, მაგრამ არ მითითება იმ პირებზე, რომელთაც შეიძლება მიადგეს მნიშვნელოვანი ზიანი კანონის ნაკლად უნდა ჩავთვალოთ. კარგი იქნება თუ სამომავლოდ 208-ე მუხლის მე-2 ნაწილში ხაზგასმული იქნება მნიშვნელოვანი ზიანზე, რაც შეიძლება მიადგეს მოქალაქეებს, ორგანიზაციებს ან სახელმწიფოს. საკითხის ასეთნაირ გადაწყვეტას ვხვდებით რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში (მუხლი 176-ე), რაც სავსებით სწორად უნდა მივიჩნიოთ.

208-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტური მხარე ქმედების მიმართ ხასიათდება პირდაპირი განზრახვით, ხოლო შედეგის მიმართ ბრალი შეიძლება იყოს განზრახი ან გაუფრთხილებელი. რაც შეეხება მოტივსა და მიზანს, იგი ანგარებაში ვლინდება.

დანაშაულის სუბიექტია შერაცხადი ფიზიკური პირი, რომელსაც უფლება აქვს განკარგოს მიღებული სახელმწიფო კრედიტი; ასეთი შეიძლება იყოს როგორც კომერციული, ისე არაკომერციული ორგანიზაციის წარმომადგენელი.

<sup>1</sup> იხ. პასუხისმგებლობა ეკონომიკური დანაშაულისათვის (კომენტარი). თბ., 1999, გვ. 129.

### §3. ძვირფასი ლითონის სინჯის აღმნიშვნელი სახელმწიფო დამლის დამზადების ან გამოყენების წესის დარღვევა (სსკ 209-ე მუხლი)

ეს მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის ძალით დანაშაულადაა მიჩნეული ძვირფასი ლითონის სინჯის აღმნიშვნელი სახელმწიფო დამლის უკანონო დამზადება, გამოყენება ან გასაღება ანდა სახელმწიფო დამლის გაყალბება ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით. – რაც ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე.

მეორე ნაწილი დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევს იგივე ქმედებას, ჩადენილს: ა) ჯგუფურად; ბ) არაერთგზის, – რაც ისჯება ჯარიმით ან ტუსალობით ვადით ხუთ თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

გასაანალიზებელი დანაშაულის უშუალო ობიექტია ის საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლითაც რეგულირებულია ძვირფასი ლითონის სინჯის აღმნიშვნელი სახელმწიფო დამლის დამზადებისა და გამოყენების წესი. რაც შეეხება დანაშაულის საგანს ასეთად უნდა მივიჩნიოთ ძვირფასი ლითონის<sup>1</sup> სინჯის აღმნიშვნელი სახელმწიფო დამლა<sup>2</sup>. სინჯი ორი მნიშვნელობით იხმარება: პირველი

---

<sup>1</sup> ძვირფასი ლითონები – ესაა ნებისმიერი სახის ოქრო, ვერცხლი, პლატინა და პალადიუმი ნებისმიერ მდგომარეობაში (ნედლეული, შენადნობები, ნახევარფაბრიკატები, ლაბორატორიული ჭურჭელი და ინსტრუმენტები, ქიმიური ნაერთები, ჯართი და ნარჩენები).

<sup>2</sup> სახელმწიფო დამლა – კონკრეტული ლითონის და სინჯის აღმნიშვნელი დადგენილი კონფიგურაციის დამლა, რომელიც დამზადებულია სპეციალური დაკვეთით ტექნიკური პირობების დაცვით და რომელსაც იყენებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სასინჯო ზედამხედველობის ინსპექცია ძვირფასი ლითონების ნაწარმის სინჯით მონიშვნისას. ცნობილია ასევე ძირითადი დამლა (ესაა დამოუკიდებელი მნიშვნელობის დამლა, რომლითაც დასტურდება ძვირფასი ლითონების ნაწარმის 1998 წლის 17 სექტემბრის კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობა), დამატებითი დამლა (ესაა დამლა, რომელსაც დამოუკიდებელი მნიშვნელობა არა აქვს, დადამლვის ტექნოლოგიის შესაბამისად გამოიყენება მხოლოდ ძირითად დამლასთან ერთად და ნაწარმზე დამატებით ინფორმაციას იძლევა) და სახელობითი დამლა (ესაა დამლა, რომლის გამოყენების უფლება აქვს შესაბამისი ლიცენზიის მქონე პირს).

როგორც დამდა, რომელიც დასმულია ოქროს, ვერცხლის და პლატინის ნაწარმზე. იგი მინიშნებს ნაწარმის მწარმოებელზე, დალის დამსმელზე, ლითონის ხარისხზე და დასმის თარიღზე; მეორე როგორც ლითონის სისუფთავის ან მასში შემავალი მინარე-ვების განმსაზღვრელი ქიმიური ანალიზი.

209-ე მუხლი სისხლისსამართლებრივი წესით იცავს „ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების სახელმწიფო კონტროლის, ანალიზისა და დადამღვის შესახებ“ კანონის მოთხოვნებს (ეს კანონი მიღებულ იქნა 1998 წლის 17 სექტემბერს). ამ კანონით დაწესებულია ერთიანი სახელმწიფო სასინჯი კონტროლი ძვირფას ლითონებთან, ძვირფას ქვებთან და მათი გამოყენებით დამზადებულ ნაწარმთან დაკავშირებულ საქმიანობაზე, არეგულირებს ამ საქმიანობით დაკავებულ პირთა უფლება-მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას; მისი მიზანია ძვირფას ლითონებსა და ძვირფას ქვებთან დაკავშირებული საქმიანობის სამართლებრივი რეგულირება და მწარმოებლის, რეალიზატორისა და მომხმარებლის ინტერესების დაცვა.

ყოველი ძვირფასი ლითონისა და მისგან დამზადებული ნაწარმის სინჯისათვის საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ადგენს სინჯის აღმნიშვნელი ძირითადი და დამატებითი სახელმწიფო დამღების სურათს, კონტურს, სასინჯი ზედამხედველობის ინსპექციისა და მისი რეგიონული სამსახურების შიფრებსა და საკონტროლო ნიშნებს. სინჯის აღმნიშვნელი სახელმწიფო დამღის გამოყენების უფლება აქვს მხოლოდ სასინჯი ზედამხედველობის ინსპექციას.

ძვირფასი ლითონების შენადნობების ხარისხი, რომლისგანაც დამზადებულია ნაწარმი, განისაზღვრება სინჯით, რომელიც გამოხატავს ძვირფასი ლითონის წონითი ერთეულის რაოდენობას შენადნობის ათასეულ წონით ერთეულში. საქართველოში საიუველირო და საყოფაცხოვრებო ნაკეთობებისათვის დგინდება შემდეგი სინჯები: პლატინა – 950, 999; ოქრო – 375, 585, 750, 958, 999; ვერცხლი – 830, 875, 925, 960, 999; პლადიუმი<sup>1</sup> – 500, 850, 999. სინჯები ასევე დგინდება ოქროსა და ვერცხლის ვარაყისათვის (იუგლისხმება ფურცლოვანი ოქრო და ვერცხლი) და სტომატოლოგიური ძვირფასი ლითონებისათვის. საქართველოს მონეტებისათვის სინჯი დგინდება

<sup>1</sup> პლადიუმი – ესაა ქიმიური ელემენტი, მოვერცხლისფრო ლითონი პლატინის ჯგუფისა; იყენებენ ტექნიკაში, მედიცინაში და სხვ.

საქართველოს ეროვნული ბანკისა და ფინანსთა სამინისტროს ერობლივი გადაწყვეტილებით. პლატინის, ოქროს, ვერცხლისა და პლადიუმის სინჯების რემედიუმი (დასაშვები ქვედა ზღვარი) დგინდება სტანდარტებით.

1998 წლის 17 სექტემბრის კანონის თანახმად **სავალდებულო სასინჯ კონტროლს ექვემდებარება:** ა) საქართველოს ტერიტორიაზე დამზადებული ნაწარმი, რომელიც განკუთვნილია გასაყიდი ან შესრულებულია დაკვეთით; ბ) საქართველოში გასაყიდად შემოტანილი უცხოური ნაწარმი; გ) 1950 წლამდე დამზადებული ნაწარმი, თუ იგი ვაჭრობის ან ყიდვა-გაყიდვის საგანია; დ) შეკეთებული და რესტავირებული ნაწარმი. **სავალდებულო სასინჯ კონტროლს არ ექვემდებარება:** ა) საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტად გამავალი ნაწარმი; ბ) მინანქრით ან სხვა ინერტული მასით მთლიანად დაფარული, აგრეთვე შეღებილი ნაწარმი; გ) ნაწარმი, რომელშიც ძვირფასი ლითონის მასას მასში გამოყენებულ დანარჩენ მასალასთან შედარებით მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს; დ) ნაწარმი, რომლის მასაც ძალიან მცირეა და ოქროს, პლატინის და პლადიუმის ნაწარმისათვის არ აღემატება 0,2 გრამს, ვერცხლის ნაწარმისათვის კი - 0,3 გრამს; ე) მზა სტომატოლოგიური ნაწარმი (კბილის პროთეზი, გვირგვინი, ხიდი); ვ) საქართველოს სახელმწიფო მუზეუმებში დაცული მხატვრული ან კულტურულ-ისტორიული ღირებულების ნაწარმი; ზ) საკრედიტო დაწესებულებების და ლომბარდის მიერ გარანტად (გირაოში) მიღებული და შენახული ნაწარმი, რომელიც ექვემდებარება დამგირავებლისათვის დაბრუნებას. სხვანაირად თუ ვიტყვით, საქართველოს ტერიტორიაზე ძვირფასი ლითონებისაგან დამზადებული ყველა საიუველირო და საყოფაცხოვრებო ნაკეთობა, რომელიც გასაყიდად არის განკუთვნილი ან შეკვეთით არის დამზადებული, ასევე თუ ნაკეთობა საზღვარგარეთ არის გასატანი ან შემოდის საზღვარგარეთიდან გასაყიდად უნდა შეესაბამებოდეს ძვირფასი ლითონის სინჯის აღმნიშვნელ სახელმწიფო დამღებს და დადამღული უნდა იყოს სახელმწიფო დამღით.

საქართველოს ტერიტორიაზე სახელმწიფო სასინჯ კონტროლს ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო სასინჯი ზედამხედველობის ინსპექციის მეშვეობით, რომელიც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფია. მის სტრუქტურასა და სამტატო ოდენობა განსაზღვრავს საქართველოს

ფინანსთა მინისტრი. სასინჯი ზედამხედველობის ინსპექციის ფუნქციებია: ა) ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების გამოყენებით დამზადებული ნაწარმის გასინჯვა. ძვირფასი ლითონების შემცველობის ანალიზი, ძვირფასი ქვების მახასიათებლების განსაზღვრა და საქართველოში მოქმედი სინჯების დამადასტურებელი სახელმწიფო დამლით მისი დადამლვა; ბ) სასინჯი რეაქტივებისა და ქვების დამზადება იმ ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის, რომლებიც სათანადო ლიცენზიის საფუძველზე ეწევიან ძვირფას ლითონებთან, ძვირფას ქვებთან ან ნაწარმთან დაკავშირებულ საქმიანობას; გ) ლაბორატორიულ პირობებში ძვირფასი ლითონების დნობა და აფინაჟი<sup>1</sup> ანალიზის მიზნით და სხვა. ინსპექცია უფლებამოსილია შესამოწმებლად და საანალიზოდ ამოიღოს ძვირფასი ლითონები, ძვირფასი ქვები და ნაწარმი, თუ: ა) არ გაუკლიათ სასინჯი კონტროლი და არა აქვთ საქართველოში მოქმედი სინჯის აღმნიშვნელი სახელმწიფო დამლის ანაბეჭდი; ბ) აქვთ საქართველოში მოქმედი სინჯის აღმნიშვნელი სახელმწიფო დამლის ანაბეჭდი, მაგრამ იგი ეჭვს იწვევს გაურკვეველი რელიეფის გამო, რაც გამოწვეულია ნაკეთობის დაზიანებით, ანაბეჭდის წაშლით ან სხვა მიზეზით; გ) მირჩილული აქვთ სინჯის აღმნიშვნელი დამლა ან მათი დადამლვა დადგენილი წესის დარღვევით მოხდა; დ) მირჩილვის ადგილები ამოვსებულია ზედმეტი რაოდენობის სარჩილით ან არაძვირფასი ლითონით, რაც იწვევს სინჯის დაწვეას დადგენილზე დაბლა; ე) მათი მახასიათებლები – რაობა, წონა, ხარისხი, ფერი და სიწმინდე ეჭვს იწვევს. სასინჯი ზედამხედველობის ინსპექცია არ ადგენს ძვირფასი ლითონების შემცველობას და არ ამოწმებს ძვირფას ქვებს, თუ მას ამ ოპერაციების ჩასატარებლად არა აქვს სახელმწიფო სტანდარტებით გათვალისწინებული ტექნიკური საშუალებები. ინსპექცია პასუხისმგებელია: ა) მის მიერ შესრულებული სამუშაოს უტყუარობაზე; ბ) მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე კანონმდებლობით დადგენილი წესით; გ) მეწარმე სუბიექტების, სახელმწიფო მნიშვნელობის სამეწარმეო ან კომერციული საქმიანობის კონფიდენციალურობის დაცვაზე.

ძვირფას ლითონებთან, ძვირფას ქვებთან და ნაწარმთან დაკავშირებულ საქმიანობაზე (ასეთად ითვლება: ყიდვა-გაყიდვა, დამუშავება,

<sup>1</sup> აფინაჟი – ესაა ტექნოლოგიური პროცესი, რომლის შედეგადაც მიიღება რაფინირებული (ქიმიურად სუფთა) ძვირფასი ლითონი.

ვაპოყენება. გადამუშავება. აფინაჟი და ა. შ.) ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებისა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვის მიზნით ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე ლიცენზიას გასცემს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. თითოეული სახის საქმიანობაზე ლიცენზია გაიცემა ცალკე. პირები, რომლებიც დაკავებულნი არიან ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების გამოყენებით ნაწარმის დამზადებით, შეკეთებით ან რესტავრაციით. ლიცენზიის მიღების შემდეგ: ა) სასინჯი ზედამხედველობის ინსპექციაში იღებენ სახელობითი დამლის ნიშანს, რომლით სარგებლობის უფლებასაც კარგავენ საქმიანობის შეწყვეტის-თანავე; ბ) ყოველწლიურად ატარებენ რეგისტრაციაში სახელობითი დამლის ანაბეჭდის ტეიფრს სასინჯი ზედამხედველობის ინსპექციაში; გ) სახელობითი დამლით დამლავენ როგორც გასაყიდად განკუთვნილ, ისე სახელმწიფო ან კერძო დაკვეთით დამზადებულ ნაწარმს; დ) სრულად წარმოადგენენ სასინჯ კონტროლზე მათ მიერ დამზადებულ ნაწარმს, რომელიც მზად უნდა იყოს იმ მდგომარეობაში, რომ მისი სინჯის აღმნიშვნელი სახელმწიფო დამლით დადამღვის შემდეგ საწარმოო პროცესში გამორიცხული იყო დამლის ანაბეჭდის დაზიანება, შეცვლა ან მოშორება; ე) ამზადებენ ნაწარმს საქართველოში მოქმედი სტანდარტებით ან ტექნიკური პირობებით განსაზღვრული შენადნობებით; სათანადო ნებართვის შემთხვევაში, ნაწარმის დასამზადებლად არასტანდარტული შენადნობების გამოყენებისას, აცხადებენ გამოყენებულ ლითონთა სახეობებისა და შენადნობებში მათი პროცენტული შემცველობის შესახებ; ვ) ნაწარმის დამზადებისას უზრუნველყოფენ მათზე სინჯის აღმნიშვნელი სახელმწიფო დამლის ანაბეჭდის დასმის ადგილებს; ზ) ნაწარმის რჩილვისას იყენებენ მხოლოდ იგივე ლითონის და იგივე სინჯის საქართველოში მოქმედი სტანდარტით დადგენილ სარჩილს.

ნაწარმის ვაჭრობით, მისი ყიდვა-გაყიდვითა და გამოყენებით დაკავებული პირები: ა) ოპერაციებს აწარმოებენ მხოლოდ იმ ნაწარმით (მათ შორის, უცხო ქვეყნიდან შემოტანილი), რომელიც დადამლულია საქართველოში მოქმედი სინჯის აღმნიშვნელი სახელმწიფო დამლით; ბ) სავაჭრო ორგანიზაციაში, ლომბარდში ან საკრედიტო დაწესებულებაში ფიზიკური პირის კუთვნილი ნაწარმის მიღებისას, რომელსაც არა აქვს სინჯის აღმნიშვნელი სახელმწიფო დამლა, ფიზიკური პირის თანხმობით ნაწარმს წარადგენენ სასინჯ კონტროლზე.

ძვირფასი ლითონებისაგან დამზადებულ ნაკეთობათა დადამღვისა და მასთან დაკავშირებულ საბუქართა წარმოების წესი, ასევე სინჯის საკონტროლო ანალიზის მეთოდები და სხვა რეგლამენტირებულია როგორც ჩვენს მიერ უკვე დასახელებული 1998 წლის 17 სექტემბრის კანონით (იგულისხმება „ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების სახელმწიფო კონტროლის, ანალიზისა და დადამღვის შესახებ“), ასევე სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებით. სახელდობრ. სასინჯი ზედამხედველობის ინსპექცია, თავისი დებულების გარდა, ხელმძღვანელობს ისეთი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, როგორცაა: „ძვირფასი ლითონების ნაკეთობათა დადამღვის წესები“, „სინჯის აღმნიშვნელი ყალბი დამღების ან მისი ანაბეჭდის გამოვლინებისა და რეაგირების წესები“, „ძვირფასი ლითონებისა და მათი გამოყენებით დამზადებული ნაწარმის სასინჯი კონტროლის განხორციელების წესი“ და სხვ.

209-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება ძვირფასი ლითონის სინჯის აღმნიშვნელი სახელმწიფო დამღის უკანონო დამზადებაში. გამოყენებას ან გასაღებაში, ასევე სახელმწიფო დამღის გაყალბებაში (ცხადია ეს უნდა ხდებოდეს ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით).

„სახელმწიფო დამღის უკანონო დამზადება“ – ესაა კანონით დადგენილი წესის საწინააღმდეგო მოქმედება, მიმართული სასინჯი დამღის ან დამლა-ელექტროდის დამოუკიდებლად დასამზადებლად ან უვარგის დამღის შესაკეთებელი საქმიანობა, რაც ვარგის გახდის დამღას ან დამლა-ელექტროდს. სხვანაირად თუ ვიტყვით, დამღის დამზადებაში უნდა გავიგოთ მოქმედება, რაც მიმართულია სახელმწიფო დამღის ნიშნის შესაქმნელად.

„სახელმწიფო დამღის უკანონო გამოყენება“ – ნიშნავს უკანონოდ დამზადებული სინჯის ნიშნის დასმას პლატინის, ოქროს, ვერცხლისა და პალადიუმის ნაწარმზე, რათა სარწმუნოდ მიიჩნიონ ნაწარმში ძვირფასი ლითონის შემცველობითი პროცენტის აღნიშვნა.

„სახელმწიფო დამღის უკანონო გასაღება“ – ნიშნავს მისი გასხვისების ყოველგვარ ხერხს – გაყიდვას, გაცვლას, ჩუქებასა და სხვა მსგავს მოქმედებებს.

„სახელმწიფო დამღის გაყალბება“ – წარმოადგენს მოქმედებას, რომელიც მიმართულია ნამდვილი სახელმწიფოს დამღის ფალსიფიკირებისათვის.

განსახილველი დანაშაული თავისი კონსტრუქციის მიხედვით ფორმალურია. იგი დამთავრებულად ითვლება ნებისმიერი იმ მოქმედების ჩადენის მომენტიდან, რაც გასაანალიზებელი დანაშაულის ობიექტურ მხარეს შეადგენს.

209-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტური მხარე ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. პირს გაცნობიერებული აქვს, რომ არღვევს ძვირფასი ლითონის სინჯის აღმნიშვნელი სახელმწიფო დამლის დამზადებისა და გამოყენების წესს და სურს ასეთი მოქმედების ჩადენა. დანაშაულის სუბიექტური მხარის აუცილებელ ნიშნად გვევლინება ანგარება ან სხვა პირადი მოტივი. ანგარება შეიძლება მდგომარეობდეს გასამრჯელოს მიღების სურვილში სახელმწიფო დამლის უნებართვოდ დამზადებისათვის ან მისი გაყალბებისათვის ან ძვირფასი ლითონების უკანონო დადამღვისათვის. პირადი მოტივი შეიძლება იყოს საკუთარი პრესტიჟის ამაღლება, პროფესიული ამოცანების გადაწყვეტა და სხვა. ბრალდებულის მოქმედებაში ანგარების ან სხვა პირადი მოტივის არარსებობა ან დაუდასტურებლობა ნიშნავს მოცემული დანაშაულის შემადგენლობის არარსებობას.

დანაშაულის სუბიექტია ყოველი შერაცხადი ფიზიკური პირი 14 წლის ასაკიდან. რუსულ სახელმძღვანელოში ხაზი გაესმის იმასაც, რომ სახელმწიფო დამლის არასანქციონირებული დამზადების შემთხვევაში ამ დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ ის პირი, რომელსაც აქვს უფლება აწარმოოს ძვირფასი ლითონის სინჯის აღმნიშვნელი სახელმწიფო დამლა<sup>1</sup>.

დამამძიმებელ გარემოებათა განხილვას არ ვახდენთ, რადგან მათ შესახებ (იგულისხმება იგივე ქმედება, ჩადენილი: ა) ჯგუფურად; ბ) არაერთგზის) უკვე არაერთხელ გვქონდა საუბარი.

---

<sup>1</sup> იხ. Уголовное право. Особенная часть. Учебник. Под редакцией профессора В. Н. Петрашева. М., 1999, с. 258.



#### §4. ყალბი საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათის დამზადება ან გასაღება (სსკ 210-ე მუხლია)

ამ მუხლის პირველი ნაწილით დანაშაულადაა მიჩნეული ყალბი საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათის, სხვა საგადასახადო დოკუმენტის ან ქონებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელი ისეთი დოკუმენტის დამზადება გასაღების მიზნით ან გასაღება, რომელიც არ არის ფასიანი ქაღალდი, — რაც ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.

მეორე ნაწილი დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევს იგივე ქმედებას, ჩადენილს: ა) ჯგუფურად; ბ) არაერთგზის, — რაც ისჯება ჯარიმით ან ტუსალობით ვადით სამიდან ექვს თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან შვიდ წლამდე.

ამ მუხლის მიზანია — ფიზიკურ და იურიდიულ პირთა — ანგარიშსწორების ურთიერთობათა მონაწილეების ქონებრივი ინტერესებისა და აგრეთვე ეკონომიკურად მიზანშეწონილი უნაღლო ანგარიშსწორების განხორციელების საერთო წესის დაცვა. ყალბი საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათების ან სხვა საგადასახადო დოკუმენტების გამოყენება, უპირველეს ყოვლისა. ზიანს აყენებს ნამდვილი საანგარიშსწორებო დოკუმენტების მფლობელებს და, მეორეც, ძირს უთხრის საკრედიტო სისტემაზე დამყარებულ საქონელბრუნვას.

განსახილველი დანაშაულის უშუალო ობიექტია ის საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც არეგულირებენ საგადასახადო დოკუმენტების ბრუნვაში გაშვებასა და გამოყენებას. რაც შეეხება დანაშაულის საგანს, ასეთად გვევლინება საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათი, სხვა საგადასახადო დოკუმენტი, აგრეთვე ქონებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელი ისეთი დოკუმენტი, რომელიც არ არის ფასიანი ქაღალდი.

„საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათები“ წარმოადგენენ სახელობით საგადასახადო დოკუმენტებს, რომლებიც გაიცემა იმ მოქალაქეებზე, რომელთაც ანგარიში აქვთ ბანკში და რაც მათ შესაძლებლობას აძლევს გადაიხადონ საქონლისა და მომსახურების თანხა საკუთარი კრედიტიდან ბანკის მეშვეობით. საკრედიტო ბარათი, როგორც წესი, წარმოადგენს პლასტიკურ ბარათს, რომელზეც

მითითებულია მფლობელის სახელი და გვარი, მისთვის მინიჭებული ნომერი და შეიცავს ხელმოწერის ნიმუშსა და მოქმედების ვადას.

„სხვა საგადასახადო დოკუმენტები“ (მოცემული მუხლის ფარგლებში) – ესაა დოკუმენტები, რომლებიც არაა ფასიანი ქაღალდები, მაგრამ შეიცავს მფლობელის მისამართით მოვალეობას ან დავალებას გადაიხადოს გარკვეული თანხა ფულადი გამოანგარიშებით (მაგალითად, ავიზო-შეტყობინება, გაგზავნილი ბანკის მიერ კლიენტისადმი მის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვასთან დაკავშირებით).

„ქონებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტები – ამათ მიეკუთვნება: საკუთრების უფლების მოწმობა, ავტომანქანის ტექნიკური პასპორტი, სატრანსპორტო ზედნაღები და სხვ.

210-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება ყალბი საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათის დამზადებაში, ასევე მათ გასაღებაში.

ყალბი საკრედიტო ბარათისა და სხვა დოკუმენტის დამზადების ცნება მოიცავს მათ როგორც ნაწილობრივ, ასევე მთლიანად გაყალბებას. გაყალბების ხერხები ერთობ სხვადასხვაგვარია: ბარათის მფლობელის ხელმოწერის შეცვლა, ბარათის მაგნიტურ სისტემაში ინფორმაციული ცვლილების შეტანა და სხვა. ყალბი იქნება ასევე ყველა საგადასახადო დოკუმენტი დამოწმებული ყალბი ბეჭდითა და ხელმოწერით.

ყალბი საკრედიტო ბარათისა და სხვა დოკუმენტის გასაღება მდგომარეობს როგორც მათ უშუალო გამოყენებაში ნებისმიერ საანგარიშსწორებო ოპერაციაში, ასევე მათ გადაცემაში ნებისმიერ პირისათვის სასყიდლით ან უსასყიდლოდ. სხვანაირად თუ ვიტყვით, გასაღება – ესაა საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათის, ასევე ქონებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტისა და სხვა საგადასახადო დოკუმენტის ბრუნვაში გაშვება ჩუქებით, გაყიდვითა და ა. შ.

განსახილველი დანაშაული ფორმალური შემადგენლობისაა და იგი დამთავრებულად ითვლება ყალბი საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათისა და სხვა დოკუმენტის (რაც დასახელებულია დისპოზიციაში) თუნდაც ერთი ეგზემპლარის დამზადების ან გასაღების მომენტიდან.

სუბიექტური მხრივ 210-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ხასიათდება პირდაპირი განზრახვითა და სპეციალური მიზნის

არსებობით. ბრალდებულს გაცნობიერებული აქვს, რომ ამზადებს ყალბ საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათს. სხვა საგადასახადო დოკუმენტს. ასევე ქონებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტს (რომლებიც ფასიან ქაღალდს არ შეადგენენ) და სურს მათი დამზადება გასაღების მიზნით, ანდა შეგნებული აქვს, რომ ასაღებს ყალბ საგადასახადო დოკუმენტებს და სურს მათი გასაღება. განსახილველ დანაშაულში მოტივთა სპექტრი შეიძლება სხვადასხვა იყოს, მაგრამ მეტწილად მაინც დომინირებს ანგარება ან სხვა პირადი მოტივი. მოტივები ამ დანაშაულის კვალიფიკაციაზე გავლენას ვერ ახდენენ, მაგრამ მათ სასამართლო ითვალისწინებს სასჯელთა ინდივიდუალიზაციის დროს.

210-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტია ყოველი შერაცხადი ფიზიკური პირი 14 წლის ასაკიდან.

დამამძიმებელ გარემოებათა ინტერპრეტაციას არ ვახდენთ, რადგან მათ შესახებ სხვა მუხლების იურიდიული ანალიზისას გვქონდა საუბარი.

## §5. ჩეკის ან საკრედიტო ბარათის ბოროტად გამოყენება (სსკ 211-ე მუხლი)

ამ მუხლით დანაშაულადაა მიჩნეული ჩეკის ან საკრედიტო ბარათის ბოროტად გამოყენება, რამაც გამწვანებული მნიშვნელოვნად დააზიანა, – რაც ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

გასაანალიზებელი დანაშაულის უშუალო ობიექტია ის საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლითაც რეგულირდება ჩეკისა და საკრედიტო ბარათის გამოყენების წესი. სხვანაირად თუ ვიტყვით, ობიექტია საკრედიტო ურთიერთობები. რაც შეეხება დანაშაულის საგანს, 211-ე მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე, ასეთად გვეკლინება მხოლოდ ჩეკი ან საკრედიტო ბარათი.

საქართველოს კანონი „ჩეკის შესახებ“, რომელიც 1995 წლის

---

<sup>1</sup> ეს კანონი აწესრიგებს ჩეკის გაცემის, მოქმედების, ინდოსირების, თავდებობის, გადახდისა და აქედან გამომდინარე შედეგების, აგრეთვე მასთან დაკავშირებული პრეტენზიების წარდგენის წესს.

19 აპრილსაა მიღებული. ჩეკს განმარტავს როგორც დადგენილი ფორმის ფასიან ქალაქს. რომელიც შეიცავს ჩეკის გამცემის წერილობით დაეალებას საბანკო დაწესებულებებისადმი გაანაღდოს ჩეკში აღნიშნული თანხა. „ჩეკი, – აღნიშნავს პროფ. რომან შენგელია, – ინგლისური სიტყვაა და წარმოადგენს ფასიანი ქალაქის სახეობას, დადგენილი ფორმის ფულად დოკუმენტს, რომელიც შეიცავს ჩეკის გამცემის განკარგულებას, რათა გადამხდელმა ჩეკის წარმდგენს გადაუხადოს ჩეკში მითითებული თანხა“<sup>1</sup>. ჩეკი შეიცავს: ა) დოკუმენტის სათაურში სიტყვას „ჩეკი“; ბ) უპირობო დათქმას მითითებული თანხის გადახდის შესახებ; გ) გადამხდელის დასახელებას; დ) განაღდების ადგილს; ე) ჩეკის გამოწერის ადგილსა და თარიღს; ვ) ჩეკის გამომწერის ხელმოწერას. ჩეკს, რომელსაც არ გააჩნია ჩამოთვლილი რეკვიზიტები, ჩეკის ძალა არა აქვს. ჩეკი შეიძლება გამოწერილ იქნას მხოლოდ იმ საბანკო დაწესებულებაზე, რომელშიც ინახება ჩეკის გამოწერის სახსრები, რაც მას უფლებას აძლევს საერთო წესით განკარგოს ეს სახსრები ჩეკის საშუალებით. დოკუმენტი, გამოწერილი არასაბანკო დაწესებულებაზე, თუნდაც მას ჰქონდეს ჩეკის სახელწოდება, ჩეკად არ ჩაითვლება. ჩეკი არ საჭიროებს თანხმობას განაღდების შესახებ (აქცეპტს). ჩანაწერს ჩეკზე აქცეპტის შესახებ არავითარი ძალა არა აქვს. ჩეკზე ნებისმიერი წარწერა პროცენტის გადახდის შესახებ ბათილად ითვლება. თუ ჩეკში თანხა აღნიშნულია სიტყვიერად და რიცხვით, მათ შორის განსხვავებისას ძალაშია სიტყვიერად აღნიშნული თანხა. თუ ჩეკში თანხა აღნიშნულია რამდენჯერმე, მათ შორის განსხვავებისას ძალაშია სიტყვიერად აღნიშნული უმცირესი თანხა. ჩეკის გამცემი პასუხისმგებელია ჩეკის განაღდებისათვის. ყოველგვარი პირობა, რომლითაც ჩეკის გამცემი იხსნის პასუხისმგებლობას ბათილია. კონკრეტულ პირზე გამოწერილი ჩეკი მითითებით – „განკარგულებით“ ან უამისოდ, შეიძლება გადაეცეს ინდოსამენტის<sup>2</sup> მეშვეობით. კონკრეტულ პირზე გასანაღდებლად

<sup>1</sup> იხ. რომან შენგელიას სტატია ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში. თბ., 1987, ტომი 11-ე, გვ. 93.

<sup>2</sup> „ინდოსამენტი“ – გერმანული სიტყვაა და ნიშნავს ფასიანი ქალაქის სხვა პირისათვის გადაცემის დამადასტურებელ წარწერას მის მეორე გვერდზე. სხვანაირად, ესაა ჩეკზე წარწერა გადაცემის შესახებ. ტერმინი „ინდოსამენტი“ – კი ნიშნავს პირს, რომელიც ფასიან ქალაქს ადებს, უკეთებს ინდოსამენტს, ე. ი. ესაა პირი, რომელმაც წააწერა ჩეკზე, რაც შეეხება ინდოსატს – ესაა პირი, რომელთანაც გადადის ფასიანი ქალაქი ინდოსამენტით, ე. ი. ინდოსატია პირი, რომელმაც მიიღო ჩეკი ინდოსამენტით.

გამოწერილი ჩეკი მითითებით „განკარგულების გარეშე“. ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი დამოწმებით შეიძლება გადაეცეს მხოლოდ ჩვეულებრივი ცესიის<sup>1</sup> ფორმით. ინდოსამენტი შეიძლება შესრულდეს ჩეკის გამცემის ან ჩეკით ვალდებული სხვა პირის სასარგებლოდაც. ამ პირებს, თავის მხრივ, შეუძლიათ ჩეკის შემდგომი ინდოსირება. ჩეკის განაღდება ხდება წარდგენისთანავე, ნებისმიერი დათქმა (წარწერა), რომელიც ამას ეწინააღმდეგება, ბათილია. ჩეკი, წარდგენილი გასანაღდებლად იმ დღემდე, რომელიც ჩეკში ნაჩვენებია როგორც გაცემის დღე, განაღდება წარდგენის დღეს. გაცემული ჩეკი ძალაში რჩება როგორც ჩეკის გამცემის სიკვდილის, ასევე მისი არაქმედუნარიანად აღიარების შემთხვევაში.

ჩეკის შესაძლო გამოყენების შეზღუდვის მიზნით ჩეკის გამცემს ან მფლობელს უფლება აქვს ჩეკი მონიშნოს (ნიშანი დაადოს) ორი პარალელური დიაგონალური ხაზით ჩეკის წინა პირზე. იმ შემთხვევაში, როცა ორ პარალელურ ხაზს შორის არ არის რაიმე ჩანაწერი ან სიტყვა „ბანკი“ კონკრეტული დასახელებით, ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი სიტყვები, ჩეკი ითვლება უბრალო განსხვავებულ ჩეკად. თუ პარალელურ ხაზებს შორის ჩაწერილია საბანკო დაწესებულების ზუსტი დასახელება, ჩეკი ითვლება სპეციალურ განსხვავებულ ჩეკად. უბრალო განსხვავებული ჩეკი შეიძლება გადაიქცეს სპეციალურ განსხვავებულ ჩეკად. სპეციალური განსხვავებული ჩეკი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გადაიქცეს უბრალო განსხვავებულ ჩეკად. პარალელური ხაზების ან საბანკო დაწესებულებების დასახელების გადახაზვა ბათილად ითვლება<sup>2</sup>.

211-ე მუხლის დისპოზიციაში აღნიშნულ საკრედიტო ბარათთან დაკავშირებით აღენიშნავთ, რომ საკრედიტო ბარათი – ესაა პლასტიკური ბარათი, რომელიც ბანკის კლიენტს საშუალებას აძლევს აწარმოოს უნაღდო საცალო ანგარიშსწორებები. საკრედიტო ბარათზე მითითებულია მფლობელის სახელი და გვარი, მისთვის მინიჭებული ნომერი და შეიცავს ხელმოწერის ნიმუშსა და მოქმედების ვადას. აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ჩეკსა და საკრედიტო ბარათს აქვს თავისი სპეციალური ფორმა, სადაც ჩაწერილია სათანადო

<sup>1</sup> ცესია – ესაა სხვა პირისათვის მოთხოვნის უფლების დათმობა.

<sup>2</sup> დაწერილობით ჩეკთან დაკავშირებულ საკითხებზე იხილეთ: საქართველოს კანონი „ჩეკის შესახებ“. საქონიძღებლო აქტების კრებული. თბ., 2000, გვ. 365-376.

რეკვიზიტები (წარმოება, ორგანიზაცია, შევსების თარიღი, მთავარი ბუღალტერი. წარმოების ხელმძღვანელი და ა. შ.), მას ავსებს მთავარი ბუღალტერი. ეს უკანასკნელი როგორც დირექტორის, ისე თავის ხელმოწერას ადასტურებს (ამოწმებს) საწარმოს ბეჭდით და ჩეკს წარადგენს ბანკში. ჩეკში დასახელებულია ის თანხა, რომლის მიღებასაც მოითხოვს ჩეკის ავტორი ხელზე თუ გადარიცხვის წესით. ბანკი, თავის მხრივ, ასრულებს ჩეკის მეპატრონის მოთხოვნას თანხის გაცემასთან დაკავშირებით.

განსახილველი დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება ჩეკისა და საკრედიტო ბარათის ბოროტად გამოყენებაში, რამაც გამწვანებული მნიშვნელოვნად უნდა დააზიანოს. ჩეკის ან საკრედიტო ბარათის ბოროტად გამოყენება, უპირველეს ყოვლისა, ასახვას ჰოულობს მათ კანონსაწინააღმდეგო (დანაშაულებრივ) მოხმარებასა და სარგებლობაში, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად ზიანდება თანხის გამწვანებული (გამცემი). აღსანიშნავია ისიც, რომ ჩეკი და საკრედიტო ბარათი მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტებია და მისი რეკვიზიტების სისწორე გამწვანებელმა ვიზუალურად ყოველთვის უნდა შეამოწმოს. თუ ამ დოკუმენტებისადმი მოპყრობის დადგენილ წესს გამწვანებული არ იცავს და ზერელედ ეკიდება მას, მაშინ მის მიერ გაცემული თანხა შეიძლება სხვაზე და თანაც მეტი ოდენობით გაცემული აღმოჩნდეს, რაც ცხადია მას არ ათავისუფლებს იმის მოვალეობისაგან, რომ ნამდვილ შესაკუთრეს გადაუხადოს ჩეკში აღნიშნული თანხის ოდენობა. მოცემული დანაშაულის ობიექტური მხარის შინაარსის გასარკვევად უნდა მივმართოთ როგორც „ჩეკის შესახებ“ საქართველოს კანონს, ასევე სხვა ნორმატიულ აქტებს, რომლებიც ჩეკისა და საკრედიტო ბარათის გამოყენების წესებს ადგენენ, ე. ი. 211-ე მუხლის დისპოზიცია ბლანკეტურია. დანაშაულის შემადგენლობა მატერიალურია (შედევანიანია), კანონში ცალსახად გაესმის ზაზი გამწვანებლისათვის მნიშვნელოვანი დაზიანების ფაქტს. თუ რა ჩაითვლება მნიშვნელოვან დაზიანებად ეს სასამართლოს პრეროგატივაა და მან უნდა დაადგინოს გაცემული თანხის ოდენობისა და საქმის სხვა კონკრეტულ გარემოებათა გათვალისწინების საფუძველზე. როგორც ვხედავთ, განსახილველი დანაშაულის ობიექტური მხარე, მატერიალურ შემადგენლობათა რაკურსით, მოიცავს: ა) მოქმედებას (ჩეკის ან საკრედიტო ბარათის ბოროტად გამოყენებას); ბ) საზოგადოებრივად საშიშ შედეგს (გამწვანებლისათვის მნიშვნელოვანი

დაზიანების მიყენების ფაქტს) და გ) მიზეზობრივ კავშირს ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის (ე. ი. ჩეკის ან საკრედიტო ბარათის ბოროტად გამოყენებასა და გამნაღდებლისათვის მნიშვნელოვანი დაზიანების ფაქტს შორის).

სუბიექტური მხრივ დანაშაული ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. ბრალდებულს გაცნობიერებული აქვს, არამართო ის რომ ბოროტად იყენებს ჩეკს ან საკრედიტო ბარათს, არამედ ისიც, რომ ამით აზიანებს (ზიანს აყენებს) გამნაღდებელს და სურს ყოველივე ეს. მოცემულ დანაშაულში მოტივთა სპექტრი სხვადასხვა, მათ კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ მათი გათვალისწინება მოხდება მოსამართლის მიერ სასჯელის შეფარდებისას. ჩეკის ან საკრედიტო ბარათის ბოროტად გამოყენებისას ბრალდებულის მიზანია მატერიალური გამორჩენის მიღება.

211-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტია ყოველი შერაცხადი ფიზიკური პირი 14 წლის ასაკიდან.

## §5. ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდის დამზადება ან გასაღება (სსკ 212-ე მუხლი)

ეს მუხლი ოთხი ნაწილისაგან შედგება და მას თან ერთვის შენიშვნა. პირველი ნაწილის ძალით დანაშაულადაა მიჩნეული ყალბი საბანკო ბილეთის, ლითონის მონეტის, ფასიანი ქაღალდის ან ვალუტის დამზადება, შექმნა, შენახვა გასაღების მიზნით ან გასაღება, – რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან შვიდ წლამდე.

მეორე ნაწილი დამამძიმებელ გარემოებად თვლის იგივე ქმედებას, ჩადენილს: ა) დიდი ოდენობით; ბ) ასეთი დანაშაულისათვის მსჯავრდებულის მიერ, – რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თორმეტ წლამდე.

მესამე ნაწილი განსაკუთრებით დამამძიმებელი გარემოების სახით ითვალისწინებს ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებას, ჩადენილს ორგანიზებული ჯგუფის მიერ, – რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თხუთმეტ წლამდე.

მეოთხე ნაწილში ხაზი გაესმის ყალბი საბანკო ბილეთის, ლითონის მონეტის, ფასიანი ქაღალდის ან ვალუტის დასამზადებლად ნებისმიერი სახის საბეჭდი ფორმის, მატრიცის, ქაღალდის, საღებავის და სხვა

საგნის ან ნივთიერების უკანონოდ დამზადებას, შექენას, შენახვას ან გადაზიდვას გასაღების მიზნით ან გასაღებას, – რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

ამ მუხლის შენიშვნის თანახმად დიდ ოდენობად ითვლება ყალბი საბანკო ბილეთი, ლითონის მონეტა, ფასიანი ქაღალდი ან ვალუტა, რომლის რაოდენობრივი მაჩვენებელი აღემატება ათი ათას ლარს.

განსახილველი მუხლის მიზანია დაიცვას გაყალბებისაგან ფული და ფასიანი ქაღალდები. ეს მუხლი სრულ შესაბამისობაშია 1929 წლის 20 აპრილს მიღებულ საერთაშორისო კონვენციასთან – „ყალბი ფულის დამზადებისათვის სისხლის სამართლის წესით მკაცრი ბრძოლის შესახებ“. კონვენციის შესაბამისად ყველა სახელმწიფოს მიერ, რომელმაც აღნიშნული კონვენციის რატიფიკაცია მოახდინა, დადგენილია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა იმ ფულადი ნიშნების გაყალბებისათვის, რომლებიც ამ ქვეყნებში მიმოქცევაშია.

მოცემული დანაშაულის ობიექტია საქართველოს ფულადი და საკრედიტო სისტემა. დანაშაულის საგნად გვევლინება საბანკო ბილეთი, ლითონის მონეტა, ფასიანი ქაღალდი ან ვალუტა.

საქართველოში ფულის ერთეულია „ლარი“. ლარი შედგება „100 თეთრისაგან“. ლარი არის ერთადერთი კანონიერი საგადამხდელო საშუალება საქართველოს ტერიტორიაზე. მიმოქცევაშია 1, 2, 5, 10, 20, 50, 100 და 500-ლარიანი ბანკნოტები (კუპიურები), ხოლო ლითონის მონეტები, 1, 2, 5, 10, 20, 50-იანი თეთრისა და ათი ლარიანი მონეტის სახით. ეროვნული ბანკი ადგენს და არეგულირებს ლარის გადაცვლის კურსს უცხოური ვალუტის მიმართ, თუ ეროვნული ბანკი არ გამოაცხადებს ლარის კურსს უცხოური ვალუტის მიმართ, მაშინ კურსი განისაზღვრება ბაზარზე თავისუფალი მოთხოვნისა და მიწოდების საფუძველზე. ლარი (მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფული, მიმდინარე, ვადიანი და საბანკო ანგარიში) უზრუნველყოფილია ოქროს მარაგით, უცხოეთის ქვეყნების სავალუტო კრედიტებითა და ეროვნული ბანკის სხვა აქტივებით. ეროვნულ ბანკს ექსკლუზიური უფლება აქვს განახორციელოს ბანკნოტების<sup>1</sup> და მონეტების, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე გადახდის კანონიერი საშუალების ემისია. საქართველოს ტერიტორიაზე გადახდის კანონიერ საშუ-

<sup>1</sup> ბანკნოტი (ბანკის ბილეთი) – ესაა ფულის ნიშანი, რომელიც ცენტრალური (საემისიო) ბანკების მიერაა მიმოქცევაში გამოშვებული და გარანტირებული. ბანკნოტის ძირითადი სახეა ქაღალდის ფული.



აღებად მიჩნეული ბანკტონებისა და მონეტების ნომინალი, ზომები, წონა, გაფორმება და სხვა მახასიათებლები განისაზღვრება ეროვნული ბანკის ნორმატიული დოკუმენტებით. ეროვნული ბანკი უზრუნველყოფს ბანკნოტების დაბეჭდვას და მონეტების მოჭრას, მიმოქცევაში გაშვებული ბანკნოტების საიმედო შენახვას, აგრეთვე საბეჭდი ფორმების, შტამპებისა და მიმოქცევიდან ამოღებული ბანკნოტებისა და მონეტების შენახვას და, აუცილებლობის შემთხვევაში, მათ განადგურებას. ეროვნული ბანკი მთავარი ექსპერტია ეროვნული ვალუტისა და სხვა საბანკო ბილეთების ნამდვილობის დადგენის საქმეში.

საქართველოს ეროვნული ბანკის ორგანულ კანონში (მიღებულია 1995 წლის 23 ივნისს, ხოლო ძალაში შევიდა ამავე წლის 1 ივლისიდან) ყალბი ფულის მოჭრასთან დაკავშირებით (მუხლი 46-ე) ხაზი გაესმის იმას, რომ ნებისმიერ პირს რომელიც: ა) გააყალბებს გადახდის კანონიერ საშუალებად გამოყენებულ ნებისმიერ ბანკნოტს ან მონეტას, უკანონოდ დაბეჭდავს ან სახეს შეუცვლის, მიუხედავად იმისა, საქართველოში ხდება ეს თუ საზღვარგარეთ, იგივე ქმედებას ჩაიდენს ნებისმიერ ვალუტაში დენომინირებული ჩეკის, ფასიანი ქაღალდის ან საგადასახადო ბარათის მიმართ; ბ) ფლობს, გადაზიდავს ან გამოუშვებს ასეთ ბანკნოტებს, მონეტებს, ჩეკებს, ფასიან ქაღალდებს ან საგადასახადო ბარათებს, იცის რა მათი გაყალბების, უკანონო ბეჭდვის, ფალსიფიკაციის ან ამოშლის შესახებ; გ) ამზადებს, ფლობს ან გადაზიდავს ნებისმიერი სახის საბეჭდო ფორმებს, მატრიცებს, ქაღალდს, საღებავს და სხვა საგნებს და ნივთიერებებს. იცის რა, რომ ისინი გამიზნულია ბანკნოტების, მონეტების, ჩეკების, ფასიანი ქაღალდების ან საგადასახადო ბარათების გაყალბების, უკანონო ბეჭდვის, ფალსიფიკაციის ან ამოშლისათვის – დაეკისრება სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა. აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილში, ასევე მითითებულია იმაზე, რომ ბანკნოტების, მონეტების, საქართველოს გადახდის კანონიერ საშუალებაზე ან სხვა ვალუტაში დენომინირებული<sup>1</sup> ჩეკების, ფასიანი ქაღალდების ან საგადასახადო ბარათების

<sup>1</sup> დენომინაცია (ლათ. denominatio – გადარქმევა, სახელის გამოცვლა) – ესაა ფულის ნიშნების ნომინალური ღირებულების გაზრდა ფულის ერთეულის სახელწოდების შეუცვლელად, რაც ხდება ძველი ფულის ნიშნების ახლით შეცვლით, განსაზღვრული შეფარდებით. დენომინაციის მიზანია ინფლაციის პირობებში ფულის მიმოქცევის მოწესრიგება, მსხვილი ფულის ნიშნების ბეჭდვასთან დაკავშირებული ტექნიკური სირთულეების მოხსნა და ანგარიშსწორების გამარტივება (იხ. ალექსანდრე შუმანაშვილი. იურიდიული ლექსიკონი. თბ., 2000, გვ. 89).

ნებისმიერი სახით დამზადებისათვის აუცილებელია ეროვნული ბანკის წინასწარი წერილობითი ნებართვა.)

212 მუხლის დანაშაულის საგნად ვინაიდან გვევლინება ფასიანი ქაღალდიც, ამდენად უპრიანი იქნება შევჩერდეთ მის ცნებაზე. საქართველოს კანონით „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ (მიღებულია 1999 წლის 24 დეკემბერს) ფასიანი ქაღალდი (ფასიანი ქაღალდები) – ესაა მიმოქცევადი ფინანსური ისტრუმენტები და უფლებები, რომელთა საჯარო შეთავაზებაც შესაძლებელია წილობრივი თუ სასესხო ფასიანი ქაღალდების სახით, ან რომლებიც შეიძლება გარდაიქმნას ასეთებად, ან რომლებიც არიან ასეთებზე ხელმოწერისა თუ შექმნის უფლების მატარებლები, საინვესტიციო ხელშეკრულებები და ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული სხვა ისტრუმენტები და უფლებები. უფრო გასაგებად თუ ვიტყვით, ფასიანი ქაღალდები – ესაა დადგენილი ფორმის (ნიმუშის) დოკუმენტები, რომლებიც გამოხატავენ გარკვეულ ქონებრივ უფლებებს. ფასიან ქაღალდებს განეკუთვნებიან: საგადამხდელო დოკუმენტები (ჩეკები, ჩეკის წიგნაკები, თამასუქები, აკრედიტივები და სხვ.); საფონდო ღირებულებები (აქციები, ობლიგაციები და ა. შ.); სხვა დოკუმენტები (შემნახველი სალაროს წიგნაკები, კონოსამენტები<sup>1</sup>, ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთები – რომელთაც ხვდათ მოგება, ლომბარდის გირის ბილეთები და სხვ.), რომლებიც შეიცავენ ქონებრივ უფლებებს. ფასიანი ქაღალდები იყოფიან შემდეგ სახეებად: ა) სახელობითი ფასიანი ქაღალდები (საგადამხდელო ჩეკი, ლომბარდის გირის ბილეთი), რომლებიც ქონებრივ უფლებას ანიჭებს მხოლოდ იმ პირს, რომელიც აღნიშნულია ფასიან ქაღალდებში; ბ) წარმომდგენის ფასიანი ქაღალდები (ობლიგაციები, მეანაბრის დოკუმენტი წარმომდგენზე), რომლებიც ქონებრივ უფლებას ანიჭებს ფასიანი ქაღალდების მფლობელებს; გ) ორდერის ფასიანი ქაღალდები, რომელთა ანაზღაურება შეუძლია მოითხოვოს როგორც მასში აღნიშნულმა პირველმა მფლობელმა, ასევე ყველა იმ პირმა

---

<sup>1</sup> კონოსამენტი – ესაა ტვირთის განმკარგავი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს საზღვაო გადაზიდვის ხელშეკრულებას და გადამზიდვის მიერ ტვირთის მიღებას ან დატვირთვას. მისი წარდგენისას გადამზიდავი ვაჟდებულია გასცეს ტვირთი. კონოსამენტში აღინიშნება ტვირთის საერთო მასასიათებლები, გარეგნული სახე, გამგზავნის დასახელება, მიმღების დასახელება და კანონით გათვალისწინებული სხვა რეკვიზიტები.

რომლებზედაც იგი მიუთითებს.

„ვალუტა“<sup>1</sup> როგორც განსახილველი დანაშაულის საგანი, ესაა: ქვეყნის ფულადი ერთეული და მისი ტიპი (ოქროს, ვერცხლის, ქალაღის); უცხო ქვეყნის ფულადი ნიშნები, რომლებიც გამოიყენება საერთაშორისო ანგარიშსწორებაში; ეროვნული სათვლელი ერთეულები და გადასახდელი საშუალებები. ამჟამად ქვეყნების უმრავლესობისათვის დამახასიათებელია ფულადი სისტემა, რომელიც ემყარება ქალაღის ფულს, ანუ ქალაღის ვალუტას. ქალაღის ფული ცვლის ოქროს ბრუნვის და გადახდის სფეროში. ოქრო კვლავ აგრძელებს ერთიანი ექვივალენტის როლის შესრულებას.

გამოყენების რეჟიმის მიხედვით ვალუტა იყოფა: 1. სრულად კონვერტირებად (ბრუნვად) ვალუტად, რომელიც თავისუფლად იცვლება სხვა უცხოურ ვალუტაზე (მაგ. აშშ-ის დოლარი, გერმანული მარკა, ფრანგული ფრანკი და ა. შ.); 2. ნაწილობრივ კონვერტირებად ვალუტად, რომლის ბრუნვა წარმოებს ცალკეულ ოპერაციებში ან პირთა შეზღუდული წრის მიერ; 3. არაკონვერტირებად ანუ ჩაკეტილ ვალუტად, რომელიც ფუნქციონირებს ერთი ქვეყნის ფარგლებში.

სრულად კონვერტირებადი ვალუტა არის ქვეყნებში, რომელთა კანონმდებლობაში პრაქტიკულად არ არსებობს სავალუტო შეზღუდვები. ეს ვალუტები იცვლება სხვა ნებისმიერ ვალუტაზე სპეციალური ნებართვის გარეშე. მათ მიეკუთვნება აშშ-ის დოლარი, კანაღის დოლარი, ევროკავშირის ქვეყნების ვალუტები, შვეიცარიის, იაპონიის, შვეციის და სხვა ვალუტები. ამგვარი ვალუტები (განსაკუთრებით აშშ-ის დოლარი) გამოიყენება სავალუტო რეზერვების შექმნისათვის.

ნაწილობრივ კონვერტირებადი ვალუტა არის ქვეყნებში, სადაც შემორჩენილია სავალუტო შეზღუდვები განსაზღვრული სავალუტო ოპერაციების შესრულებაზე, განსაკუთრებით რეზიდენტების<sup>2</sup> მიმართ.

არაკონვერტირებადი ვალუტა არის ქვეყნებში, რომლებშიც მოქმედებს მრავალი შეზღუდვა და აკრძალვა, როგორც რეზიდენტების

<sup>1</sup> „ვალუტა“ (იტალ. valuta) – ნიშნავს როგორც ამა თუ იმ ქვეყნის ფულის სისტემას, ფულის ერთეულს, რომელიც საფუძვლად უდევს ამ სისტემას, ასევე უცხო სახელმწიფოს ფულს.

<sup>2</sup> რეზიდენტი (ლათ. რეზიდენს – მუდმივად ყოფნა) – ესაა იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიმე ქვეყნის მოქალაქე, რომელიც მუდმივად ცხოვრობს სხვა სახელმწიფოში.

ისე არარეზიდენტების მიმართ. ეს აკრძალვები ვრცელდება ეროვნული და უცხოური ვალუტის ქვეყნიდან გატანასა და შემოტანაზე, ყიდვა-გაყიდვაზე, გაცვლაზე. გამოიყენება მრავალმაგი სავალუტო კურსები და სავალუტო რეგულირების სხვა საშუალებები.

ბოლო წლებში მრავალ ქვეყანაში იგრძნობა ტენდენცია სავალუტო კონტროლის თანდათანობითი სრული გაუქმებისა. დიდმა ბრიტანეთმა გააუქმა სავალუტო კონტროლის ყველა ფორმა 1979 წელს. მიუხედავად ამისა ინგლისის ბანკმა შეინარჩუნა 1932 წელს გახსნილი „სავალუტო კურსის გათანაბრების ანგარიში“. ინგლისის ბანკი ითვალისწინებს დიდი ბრიტანეთის ოფიციალურ ოქროს მარაგს და ვალუტის ყიდვის დროს იყენებს ამ ფონდს გირვანქა სტერლინგის კურსის სტაბილიზაციისათვის.

212-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება ყალბი<sup>1</sup> საბანკო ბილეთის, ლითონის მონეტის, ფასიანი ქაღალდის ან ვალუტის დამზადებაში, შექმნაში, შენახვაში, ასევე გასაღებაში.

საბანკო ბილეთის, ლითონის მონეტის, ფასიანი ქაღალდის ან ვალუტის გაყალბება წარმოადგენს ისეთ მოქმედებას, რომელიც მიმართულია დასახელებული საგნების ფალსიფიცირებისათვის.

ყალბი საბანკო ბილეთის, ლითონის მონეტის, ფასიანი ქაღალდის ან ვალუტის დამზადება გულისხმობს მათ როგორც ნაწილობრივ, ისე მთლიან გაყალბებას. იგი შეიძლება განხორციელდეს როგორც ხელით, ისე ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. ამასთანავე, დამზადებული საბანკო ბილეთი, ლითონის მონეტა, ფასიანი ქაღალდი ან ვალუტა გაყალბებულად ჩაითვლება თუ ისინი ფორმით, ზომით, ფერითა და სხვა რეკვიზიტებით არსებითად ჰგავს ორიგინალს, ე. ი. მიმოქცევაში მყოფ ფულს ან ფასიან ქაღალდს. იმ შემთხვევაში, როცა აშკარა შეუსაბამობაა გაყალბებულსა და ნამდვილ კუპონურებს შორის, რაც გამორიცხავს მათ ფულად ბრუნვაში მონაწილეობას და საქმის სხვა გარემოებები თუ მოწმობენ ბრალდებულის განზრახვის მიმართულებაზე, რომ მოატყუოს პირთა გარკვეული რიცხვი, ასეთი მოქმედება კვალიფიცირდება სს კოდექსის 180-ე მუხლით როგორც

---

<sup>1</sup> ყალბი – არაბული სიტყვაა და ნიშნავს არანამდვილს, ასევე ნამდვილს მიმსგავსებულს.

თაღლითობა. ყალბი ფულის ნაწილის გასაღება ქმნის დამთავრებული დანაშაულის შემადგენლობას<sup>1</sup>.

ყალბი საბანკო ბილეთის, ლითონის მონეტის, ფასიანი ქაღალდის ან ვალუტის შექმნა წარმოადგენს სასაყიდლიან ან უსასაყიდლო მოქმედებათა ჩადენას, რომელიც უზრუნველყოფს დასახელებული საგნების როგორც თავისი საკუთარის განკარგვის შესაძლებლობას. შექმნა შეიძლება განხორციელდეს შესყიდვით, ჩუქებით, სხვა ქონებაზე გადაცვლით და ა. შ. როგორც ვხედავთ ყალბი საბანკო ბილეთის, ლითონის მონეტის, ფასიანი ქაღალდის ან ვალუტის შექმნა მოიცავს მის ფაქტობრივ დაუფლებას ან მასზე უფლების მოპოვებას. უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ქონების შექმნა შეიძლება როგორც ანაზღაურების მიღებით, ისე მის გარეშეც.

ყალბი საბანკო ბილეთის, ლითონის მონეტის, ფასიანი ქაღალდის ან ვალუტის შენახვა ნიშნავს აღნიშნული საგნების ფლობას მათი ადგილსამყოფელის მიუხედავად. ისინი შეიძლება შენახული იყოს სახლში, სარდაფში, სამალავში და ა. შ.

ყალბი საბანკო ბილეთის, ლითონის მონეტის, ფასიანი ქაღალდის ან ვალუტის გასაღება გულისხმობს ანაზღაურების მიღებით ან მის გარეშე ყველანაირი საშუალებით დასახელებული საგნების სხვა პირისათვის გადაცემას. სახელდობრ, ეს შეიძლება გამოიხატოს ვალის გადახდაში, ვალუტის გადაცემაში, რაიმეს ყიდვაში, ფულის დახურდავებაში, სესხად გაცემაში, ჩუქებასა და ა. შ.

212-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა ფორმალურია. იგი დამთავრებულად ითვლება ყალბი საბანკო ბილეთის, ლითონის მონეტის, ფასიანი ქაღალდის ან ვალუტის დამზადების ან გასაღების მომენტიდან.

სუბიექტური მხრივ ეს დანაშაული ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. ბრალდებულს გაცნობიერებული აქვს, რომ გასაღების მიზნით ამზადებს ყალბ ფულს ან ფასიან ქაღალდს. ასევე შეგნებული აქვს, რომ ამ სახის საგნებს (საბანკო ბილეთს, ლითონის მონეტას,

---

<sup>1</sup> ასეთივე აზრია გატარებული რუსულ სახელმძღვანელოში (იხ. Уголовное право. Особенная часть. Учебник. Под редакцией профессора В. Н. Петрашева. М., 1999, с. 254) და კომენტარებშიც (იხ. Комментарий к Уголовному кодексу РФ с постановочными материалами и судебной практикой. Под ред.-ей С. П. Никулина. М., 2000, с. 554).

ფასიან ქალაქს ან ვალუტას) ასაღებს, რაც ცხადია მისი სურვილის გამოვლინებაა. გასაღების მიზანი ამ დანაშაულის შემაღენლობის აუცილებელი ნიშანია.

ამ დანაშაულის სუბიექტია ყოველი შერაცხადი ფიზიკური პირი, რომელმაც მიაღწია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს (იგულისხმება 14 წელი).

მეორე ნაწილით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოებებიდან „დიდი ოდენობა“ სახეზეა მაშინ, როცა ყალბი საბანკო ბილეთის, ლითონის მონეტის, ფასიანი ქალაქის ან ვალუტის რაოდენობრივი მარვენებელი აღემატება ათი ათას ლარს (იხ. განსახილველი მუხლის შენიშვნა), ხოლო იგივე ქმედება, ჩადენილი „ასეთი დანაშაულისათვის მსჯავრდებულის მიერ“ გულისხმობს სპეციალურ რეციდივს.

მესამე ნაწილი განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევს 212-ე მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებას, ჩადენილს ორგანიზებული ჯგუფის მიერ. სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის მე-3 ნაწილის ძალით დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ იგი განახორციელა პირთა მყარმა ჯგუფმა, რომლებიც წინასწარ შეკავშირდნენ რამოდენიმე დანაშაულის ჩასადენად.

მეოთხე ნაწილი დამოუკიდებელ შემაღენლობად ითვალისწინებს ყალბი საბანკო ბილეთის, ლითონის მონეტის, ფასიანი ქალაქის ან ვალუტის დასამზადებელი ნებისმიერი სახის საბეჭდი ფორმის<sup>1</sup>, მატრიცის<sup>2</sup>, ქალაქის, საღებავის და სხვა საგნის ან ნივთიერების უკანონოდ დამზადებას, შექმნას, შენახვას ან გადაზიდვას გასაღების მიზნით ან გასაღებას. როგორც ვხედავთ, აქ დანაშაულის საგნად დომინირებს ყალბი საბანკო ბილეთის, ლითონის მონეტის, ფასიანი

---

<sup>1</sup> საბეჭდი ფორმა — ესაა დაკომპლექტებული სასტამბო ანაწყობი. ფირფიტა, სტერეოტიპი; ცილინდრი და ა. შ., რომელთა ზედაპირი მოიცავს საბეჭდ და სახარვეზო ელემენტებს.

<sup>2</sup> მატრიცა — გერმანული სიტყვაა და ნიშნავს: 1. ლითონის ჩაღრმავებულ ფორმას შრიფტის ჩამოსასხმელად, ე. ი. ესაა სასხმელი ფორმის ძელაკის სახის საცვლელი ელემენტი, რომელსაც აქვს ასოს ან ნიშნის ჩაღრმავებული ან ფოტოგრაფიული გამოსახულება; 2. მუყაოს ჩაღრმავებული ფორმა სტერეოტიპის ჩამოსასხმელად, ე. ი. ესაა საბეჭდი ფორმის, სტერეოტიპული პირების მისაღები. რელიეფური საბეჭდი ფორმიდან პლასტიკურ მასალაზე გადატანილი ანაბეჭდი.

ქალაქის ან ვალუტის დასამზადებელი ნებისმიერი სახის საბეჭდი ფორმა, მატრიცა, ქაღალდი, საღებავი, აგრეთვე სხვა საგანი ან ნივთიერება მათ დასამზადებლად.

„დანაშაულის საგანთან დაკავშირებით უნდა ითქვას, — აღნიშნავექ მზია ლევეიშვილი და გოჩა მამულაშვილი, — რომ კანონმდებელმა ისეთი საგნების დამზადების (მატრიცა, საბეჭდი ფორმა და სხვ. კრიმინალიზაცია მოახდინა, რომელიც პოლიგრაფიაში განვლილ საფეხურს წარმოადგენს და არაფერი თქვა ბეჭდვის ისეთ თანამედროვე საშუალებებზე, როგორცაა: ფერადი ბეჭდვის ქსეროქსები, კომპიუტერულ ლაზერული პრინტერებით. თუ სადავოდ არ გავხდით ასეთი შემადგენლობის საჭიროებას, მაშინ ზოგადი მინიშნება მაინც საჭიროა ბეჭდვის თანამედროვე საშუალებებზე.“<sup>1</sup> ცხადია, ასეთი შეხედულება სწორად უნდა მივიჩნიოთ.

მეოთხე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტურ მხარე გამოიხატება ამ ნაწილში დასახელებული საგნების უკანონო დამზადებაში, შექმნაში, შენახვაში, გადაზიდვასა ან გასაღებაში გასაღების მიზანი აქაც დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი ელემენტია.

## §7. ფასიანი ქაღალდების ბაზრის წესის დარღვევა (სსკ 213-ე მუხლი)

ამ მუხლის პირველი ნაწილის ძალით დანაშაულადაა მიჩნეული განზრახ სათანადო ნებართვის მიუღებლად ფასიანი ქაღალდის საჯარო შეთავაზება ემისიის პროსპექტის გარეშე ან შეჩერებული ემისიის პროსპექტით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, — რაც ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

მეორე ნაწილი დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევს ემისიის პროსპექტში არსებითი ფაქტის ან მოვლენის განზრახ გამოტოვებას. რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, — რაც ისჯება ჯარიმით ან

<sup>1</sup> იხ. პასუხისმგებლობა ეკონომიკური დანაშაულისათვის (კომენტარი). თბ., 1999, გვ. 138.

თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან ოთხ წლამდე.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის წესი რეგულირდება საქართველოს კანონით „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“, რომელიც მიღებულია 1999 წლის 24 დეკემბერს. ამ კანონის მიზანია საქართველოში ფასიანი ქაღალდების<sup>1</sup> ბაზრის განვითარება, ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ინვესტორთა<sup>2</sup> ინტერესების დაცვა, ემიტენტთა<sup>3</sup> მიერ ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზებისას მათი ინფორმაციის, აკრედიტებული ფასიანი ქაღალდებით საჯარო ვაჭრობის დიაოზის უზრუნველყოფა. ფასიანი ქაღალდებით საჯარო ვაჭრობაში სამართლიანი წესებისა და თავისუფალი კონკურენციის დამკვიდრება. სხვანაირად თუ ვიტყვით, ეს კანონი აწესრიგებს ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზებასა და მიმოქცევასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს

---

<sup>1</sup> ფასიანი ქაღალდი (ფასიანი ქაღალდები) – ესაა მიმოქცევადი ფინანსური ისტრუმენტები და უფლებები, რომელთა საჯარო შეთავაზებაც შესაძლებელია ნაწილობრივი თუ სასესხო ფასიანი ქაღალდების სახით, ან რომლებიც შეიძლება გარდაიქმნას ასეთებად. არ რომლებიც არიან ასეთებზე ხელმოწერისა თუ შეძენის უფლების მატარებლები, საინვესტიციო ხელშეკრულებები და ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული სხვა ისტრუმენტები და უფლებები. ფასიან ქაღალდებს მიეკუთვნება: საგადამხდელო დოკუმენტები (ჩეკები, ჩეკის წიგნაკები, თამასუქები, აკრედიტივები და სხვ.); საფონდო ღირებულებები (აქციები, ობლიგაციები და ა. შ.); სხვა დოკუმენტები (შემნახველი სალაროს წიგნაკები, კონოსამენტები, ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთები, რომლებსაც ხვდით მოგება. ლომბარდის გირაოს ბილეთები და სხვ.), რომლებიც შეიცავენ ქონებრივ უფლებებს.

<sup>2</sup> ინვესტორი – ესაა ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელმაც გააკეთა ინვესტიცია. ესე იგი, ინვესტორებია ის პირები, რომლებმაც მოახდინეს სხვადასხვა სახის ფასეულობის (როგორც ქონებრივის, ისე ინტელექტუალურის) დაბანდება სამეწარმეო ან სხვა სახის საქმიანობის ობიექტებში მოგების ან სოციალური ეფექტის მიღების მიზნით. თვით ინვესტიცია – ესაა საქართველოს კანონმდებლობით, ყველა სახის ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება. რომელიც დაბანდება და გამოიყენება შესაძლო მოგების მიღების მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ სამეწარმეო საქმიანობაში.

<sup>3</sup> ემიტენტი – ესაა საჯარო ან კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც უშვებს ფასიან ქაღალდებს.



ფასიანი ქაღალდების ბაზარზე საფონდო ბირჟების<sup>1</sup>, ცენტრალური დეპოზიტარის<sup>2</sup>, სხვა თვითრეგულირებადი ორგანიზაციების. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორების, საბროკერო კომპანიების. ბროკერობის საქმიანობის წესებსა და პასუხისმგებლობას. აგრეთვე დამატებით მოთხოვნებს იმ საწარმოთა საქმიანობის წესისა და პასუხისმგებლობის მიმართ, რომელთა ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზება და გაყიდვაც ხორციელდება.

განსახილველი დანაშაულის უშუალო ობიექტია ის საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც ფასიანი ქაღალდების ბაზრის წესს არეგულირებენ. მეორენაირად თუ ვიტყვით, 213-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის უშუალო ობიექტია როგორც ფულად-საკრედიტო სისტემა, ასევე ინვესტორთა ინტერესები (რომელთაც ფული ჩადეს ფასიან ქაღალდებში) და კანონით დადგენილი სამეწარმეო საქმიანობის წესი. რაც შეეხება დანაშაულის საგანს, ასეთად გვევლინება ფასიანი ქაღალდების ემისიის პროსპექტი. ეს უკანასკნელი უნდა გავიგოთ როგორც წერილობითი შეტყობინება ან შეტყობინება ელექტრონული თუ ბეჭდვითი საინფორმაციო საშუალებებით. რომლის მიზანია ფასიანი ქაღალდის გასაყიდად შეთავაზება.

---

<sup>1</sup> საფონდო ბირჟა (ფასიანი ქაღალდების ბაზარი) – ესაა ორგანიზებულად გაფორმებული და რეგულარულად მოქმედი ბაზარი, რომელიც ვაჭრობს ფასიანი ქაღალდებითა და სხვადასხვა სტანდარტული საქონლით. საფონდო ბირჟები უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ როლს ასრულებს. ის თავს უყრის და მრეწველობაში აბანდებს უდიდეს სახსრებს. საფონდო ბირჟაზე ხდება სააქციო საზოგადოებათა აქციებისა და ობლიგაციების ყიდვა-გაყიდვა მათი წინასწარ რეგისტრირებული კურსის მიხედვით. აქვე მყარდება ფასიანი ქაღალდების კურსი (ფასების დონე). კურსი ეცემა კრიზისებისა და არასასურველი კონიუნქტურის დროს და, პირიქით, მაღლა იწევს წარმოების გამოცოცხლებისა და აღმავლობის პერიოდში. ამრიგად, საფონდო ბირჟები აწარმოებენ ფასიანი ქაღალდების – აქციების, ობლიგაციების ყიდვა-გაყიდვას.

<sup>2</sup> ცენტრალური დეპოზიტარი (დეპოზიტარი) – ესაა პირი, რომელიც ნომინალური მფლობელის დავალებით უზრუნველყოფს ფასიანი ქაღალდების ცენტრალურ კლირინგსა (კლირინგი – მოთხოვნისა და ვალდებულების ურთიერთჩათვლაზე დაფუძნებული საშინაო და საერთაშორისო უნაღლო ანგარიშსწორების სისტემა საეაჭრო და სხვა ოპერაციებისათვის) და ანგარიშსწორებას ან ეწევა კომისიის წესდებით განსაზღვრულ სხვა მომსახურებას.

213-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება: ა) სათანადო ნებართვის მიუღებლად ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზებაში ემისიის პროსპექტის გარეშე ან ბ) შექრებული ემისიის პროსპექტით. ცხადია, აღნიშნულმა მოქმედებებმა მნიშვნელოვანი ზიანი უნდა გამოიწვიოს.

ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზება არის წინადადება, ემიტენტის სახელით ფასიანი ქაღალდების პირდაპირი ან არაპირდაპირი გაყიდვის შესახებ არანაკლებ 100 პირისათვის ან პირთა წინასწარ დაუზუსტებელი რაოდენობისათვის. ემიტენტს უფლება აქვს საბროკერო კომპანიასთან<sup>1</sup> დალოს ფასიანი ქაღალდების შეთავაზების ხელშეკრულება ფასიანი ქაღალდების განთავსების შესახებ, „თუ ემიტენტი ან მისი სახელით საბროკერო კომპანია არღვევს ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონის შესაბამის მოთხოვნებს, ან ემისიის პროსპექტში მათ მიერ წარდგენილი ინფორმაცია არსებითად არასწორი ან არასრულია (მაშინ საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია უფლებამოსილია შეაჩეროს დამტკიცებული პროსპექტების მოქმედება ან განსაზღვროს ვადა ამგვარი დარღვევების გამოსასწორებლად) თუ დარღვევები განსაზღვრულ ვადაში არ გამოსწორდა, მაშინ აღნიშნულ კომისიას შეუძლია დამტკიცებული პროსპექტის მოქმედების გაუქმება. თუ კომისია შეაჩერებს ან გააუქმებს ემისიის დამტკიცებული პროსპექტის მოქმედებას, მაშინ ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზება აკრძალულად ითვლება“ (იხ. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონის მე-7 მუხლი).) ამავე კანონის მე-4 მუხლის თანახმად საჯარო შეთავაზება ხორციელდება მხოლოდ ემიტენტის მიერ ამ კანონისა და კომისიის წესების მოთხოვნათა დაცვით მომზადებული და დამტკიცებული პროსპექტის გამოქვეყნებისთანავე ან შემდეგ.

---

<sup>1</sup> საბროკერო კომპანია — პირი (რომელიც არ არის ფასიანი ქაღალდების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით რეგულირებადი საინვესტიციო ფონდი), ჩაბმული ერთ ან რამოდენიმე საქმიანობაში, რომლებიც დაკავშირებულია ფასიანი ქაღალდების საჯარო ყიდვა-გაყიდვასთან. რაც შეეხება თვით „ბროკერს“ — ესაა ფიზიკური პირი, რომელიც დამქირავებელი საბროკერო კომპანიის სახელით ახორციელებს ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ გარიგებებს ან/და ეწევა ამასთან დაკავშირებულ სხვა მომსახურებას (იხ. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის მე-ნ და 26-ე პუნქტები).

ემიტენტი საჯარო შეთავაზებისათვის განკუთვნილი ფასიანი ქაღალდების შესახებ პროსპექტის დასამტკიცებლად მიმართავს კომისიას და წარადგენს შემდეგ დოკუმენტებს, რომლებიც ჩაითვლება საჯარო შეთავაზების განაცხადად: ა) განაცხადი კომისიის წესების მიერ განსაზღვრული ფორმის მიხედვით; ბ) წინასწარი პროექტის სამი ასლი, ხელმოწერილი ემიტენტის სამეთვალყურეო საბჭოს თამჯდომარისა და წევრთა უმრავლესობის, უფროსი აღმასრულებელი პირის მიერ; გ) ინფორმაციას ემიტენტის შესახებ; დ) ინფორმაციას ფასიანი ქაღალდების შესახებ; ე) გადაწყვეტილებათა ასლებს ფასიანი ქაღალდების გამოშვების შესახებ ემიტენტის სახელით; ვ) იმ ექსპერტთა დასკვნების ხელმოწერილ ასლებს, რომლებმაც მოამზადეს ან დაამოწმეს ემისიის პროსპექტში მოცემული ინფორმაცია და სხვ. შეთავაზების განაცხადის კომისიაში ჩაბარებიდან 30 დღის განმავლობაში კომისია იხილავს აღნიშნულ დოკუმენტებს. აქვე დავსძენთ წინასწარ, რომ ფასიანი ქაღალდების ემისიაზე ნებართვას გაცემს და ფასიანი ქაღალდების ემისიის პროსპექტს ამტკიცებს საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია.

საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნულ კომისიასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ იგი საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარს აწესრიგებს. კომისია არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია სხვა სახელმწიფო უწყებებისა და ორგანიზაციებისაგან და მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად. კომისიას სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება დაეკისროს მოკვლევის ორგანოს უფლებამოსილება. არავის არა აქვს უფლება მოახდინოს კომისიაზე რაიმე ზეგავლენა ან ჩაერიოს მის საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით. კომისია სარგებლობს საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოებით, აქვს საკუთარი ბეჭედი, საბანკო ანგარიში, ემბლემა და სატიტულო ფურცელი. მისი ადგილსამყოფელია ქ. თბილისი. კომისიის დაფინანსება ხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან დადგენილი წესით. კომისია შედგება 5 წევრისაგან, რომელთაც უნდა ჰქონდეთ საჯარო სამსახურში მუშაობის, იურიდიული ან სამეწარმეო საქმიანობის პრაქტიკული გამოცდილება, ანდა წარმოადგენდნენ ექსპერტებს ამ სფეროში. კომისიის ხუთივე წევრს, აგრეთვე

მათგან ერთ-ერთს კომისიის თავმჯდომარედ თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი და ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი. კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს კომისიის წევრთაგან ნიშნავს კომისიის თავმჯდომარე. კომისიის თავმჯდომარე და წევრები ინიშნებიან 5 წლის ვადით. კომისიის ფუნქციებია: ა) დაამტკიცოს ემისიის პროსპექტები ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზებისათვის და უზრუნველყოს ემიტენტთა მიერ მასში მოცემული პირობებისა და მოვალეობების შესრულება; ბ) წარადგინოს ოფიციალური განმარტებები და რეკომენდაციები საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზართან დაკავშირებულ საკითხებზე; რჩევა მისცეს და კონსულტაცია გაუწიოს საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტს, საქართველოს ეროვნულ ბანკს, სხვა სახელმწიფო ორგანოებსა და დაწესებულებებს საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის ყველა საკითხზე; წარადგინოს წინადადებები კანონმდებლობასა და მასში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებას; გ) გასცეს, შეცვალოს, შეაჩეროს ან გამოითხოვოს ლიცენზიები ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილეებისაგან<sup>1</sup>; დ) განახორციელოს მონიტორინგი, შემოწმებები, გამოკვლევები და ზედამხედველობა გაუწიოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილეების საქმიანობას; ე) დადგინილი წესით გამოიყენოს სანქციები ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის, გამოაქვეყნოს ინფორმაცია ასეთი დარღვევებისა და მათზე პასუხისმგებლობის შესახებ; ვ) რეკომენდაცია გაუწიოს ფასიანი ქაღალდების ბაზრისათვის საჭირო სააღრიცხვო სტანდარტებს, ასეთი სტანდარტების ჩამოყალიბებულ ინსტიტუტებთან კონსულტაციების მეშვეობით; ზ) მოაწიოს გამოცდები და საკვალიფიკაციო ტესტები ბროკერების (კოლნისა და კომპეტენტურობის შეფასების მიზნით); თ) ხელი შეუწყოს ინვესტო-

<sup>1</sup> ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილე — ესაა საფონდო ბირჟა, ცენტრალური დეპოზიტარი, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი (ესაა პირი, რომელიც აწარმოებს ემიტენტის ფასიანი ქაღალდების რეესტრს და ასრულებს სხვა ისეთ ფუნქციებს, რომლებიც განსაზღვრულია ხელშეკრულებაში ემიტენტსა და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორებს შორის), ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავალი (ესაა საბროკერო კომპანია, ბროკერი ან სხვა შუამავალი, რომლის საქმიანობასაც ზედამხედველობას უწევს კომისია დადგენილი წესის მიხედვით).

რების დასაცავად სპეციალური სადაზღვევო ფონდის შექმნა-განვითარებას, თუ ფასიანი ქაღალდის ბაზრის რეგულირებად მონაწილეს არ შეუძლია შეასრულოს თავისი ვალდებულებანი ინვესტორი კლიენტის დასაკმაყოფილებლად; ი) პერიოდულად გამოსცეს ბიულეტენი; კ) მონაწილეობა მიიღოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირების საერთაშორისო სტანდარტების განვითარებასა და მათ საქართველოს კანონმდებლობაში ჩართვაში და სსკ.

კომისია საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტსა და საზოგადოებრიობას წარუდგენს წლიურ ანგარიშს საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზარზე და სამეურნეო წელს<sup>1</sup> მომხდარი ძირითადი მოვლენების შესახებ. როგორც უკვე შევნიშნეთ კომისია ახდენს ემისიის პროსპექტის დამტკიცებას. კომისიის მიერ ემისიის პროსპექტის დამტკიცება ადასტურებს, რომ ემიტენტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია ფორმალურად შეესაბამება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონსა და მიღებულ წესებს, მაგრამ ეს არ ადასტურებს გაცხადებული ინფორმაციის სისწორეს და, ამასთანავე, იგი არ უნდა იქნეს განხილული როგორც კომისიის რეკომენდაცია. ყოველი წინასწარი, დამტკიცებული და საბოლოო პროსპექტის წინა გვერდზე მკაფიოდ უნდა ჩანდეს შემდეგი სიტყვები: „კომისიის მიერ პროსპექტის დამტკიცება შეეხება პროსპექტის ფორმას და იგი არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც დასკვნა მისი შინაარსის სისწორის ან აქ აღწერილი ინვესტიციების ღირებულების შესახებ“. ემისიის პროსპექტის დამტკიცების შემდეგ ფასიანი ქაღალდების ემისიას<sup>2</sup> კომისიამ უნდა მიანიჭოს ეროვნული საიდენტიფიკაციო ნომერი კომისიის წესებით დადგენილი პროცედურის მიხედვით.

213-ე მუხლთან დაკავშირებით ზაურ მჟავანაძე წერს: „კანონიდან ნათლად ჩანს, რომ ფასიანი ქაღალდის შეთავაზება სათანადო ნებართვის მიუღებლად დაუშვებელია. ვინ უნდა გასცეს ეს ნებართვა? ფასიანი ქაღალდის გამყიდველს ემიტენტი ჰქვია (ალბათ სურდა ეთქვა გამომშვებს – ზ. წ.). იგი ამზადებს ფასიანი ქაღალდების ჩამონათვალს სპეციალურ დოკუმენტში, რომელსაც ფასიანი ქაღალდების ემისიის (გამომშვების) პროსპექტი ეწოდება. ეს პროსპექტი

<sup>1</sup> სამეურნეო წელი – ესაა დროის პერიოდი ყოველი წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

<sup>2</sup> ფასიანი ქაღალდის ემისია (გამომშვება) – ესაა პროცედურა, რომლის საშუალებითაც ემიტენტი განათავსებს ფასიან ქაღალდებს.

იგივე წერილობითი შეტყობინებაა ფასიანი ქაღალდების გამოშვების ნებართვის თაობაზე. ემიტენტი ამ პროსპექტის დასამტკიცებლად მიმართავს ფინანსთა სამინისტროს სათანადო კომისიას და წარადგენს შემდეგ დოკუმენტებს: ა) განაცხადს განსაზღვრული ფორმის მიხედვით, ბ) წინასწარი პროსპექტის სამ ასლს, გ) ემიტენტის დემოგრაფიულ მონაცემებს, დ) კომერციული საქმიანობის დახასიათებას და სხვას. ნებართვის მიღების შემდეგ მას აქვს აქციის გაყიდვის საჯარო შეთავაზების უფლება. კომისიის ნებართვა იმიტომ არის საჭირო, რომ ემიტენტს დაედოს სათანადო გადასახადის ვალდებულება. ქმედების დანაშაულებრიობა მდგომარეობს იმაში, რომ ემიტენტი თავს არიდებს ამ დოკუმენტების აღრიცხვას და ამით გადასახადის გადახდას, ამიტომ ცდილობს, ემისიის პროსპექტის გარეშე ივაჭროს ფასიანი ქაღალდებით<sup>1</sup>.

განსახილველი მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული თავისი კონსტრუქციის მიხედვით მატერიალურია (შედეგანია), ესე იგი მოიცავს: ა) მოქმედებას (სათანადო ნებართვის მიუღებლად ფასიანი ქაღალდის საჯარო შეთავაზებას ემისიის პროსპექტის გარეშე ან შერყეული ემისიის პროსპექტით); ბ) შედეგს (მნიშვნელოვანი ზიანის გამოწვევას) და გ) მიზეზობრივ კავშირს მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. მნიშვნელოვანი ზიანის საკითხის გადაწყვეტა სასამართლოს კომპეტენციაა. სასამართლოების აბსოლუტური უმრავლესობა მნიშვნელოვანი ზიანის გამომწვევად მიიჩნევს ინვესტორთა ეკონომიკური მდგომარეობის არსებითად გაუარესებას.

213-ე მუხლის სუბიექტური მხარე ვლინდება პირდაპირ განზრახვაში. დანაშაულებრივი ქმედების მოტივები და მიზანი აუცილებელ დადგენას არ ექვემდებარება, ესე იგი კვალიფიკაციისათვის მათ მნიშვნელობა არა აქვთ.

დანაშაული სუბიექტი სპეციალურია, ე. ი. ესაა პირი, რომელიც ახორციელებს ფასიანი ქაღალდების ემისიას, ან რომელიც ამტკიცებს ემისიის პროსპექტებს ან მის შედეგებს. მათ რანგში გადის ემიტენტი (პირი, რომელიც უშვებს ფასიან ქაღალდებს), ბროკერი (პირი, რომელიც ახორციელებს ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ

<sup>1</sup> სისხლის სამართალი. კერძო ნაწილი. კომენტარები (ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა), ქუთაისი 2000, გვ. 251-252.

გარიგებებს ან ეწევა ამასთან დაკავშირებულ სხვა მომსახურებას), ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავალი, რომელიც აწარმოებს ფასიანი ქაღალდების გაყიდვას ემიტენტის დავალებით და სხვ.

213-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება ემისიის პროსპექტში არსებითი ფაქტის ან მოვლენის განზრახ გამოტოვებაში, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი უნდა გამოიწვიოს. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონის თანახმად არსებითი ფაქტი ან მოვლენა – ესაა ფაქტი ან მოვლენა, რომელსაც კეთილგონიერების ფარგლებში, მნიშვნელოვნად მიიჩნევს ინვესტორი ან პოტენციური ინვესტორი ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებათა მიღებასას. ემიტენტი (საჯარო ან კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც უშვებს ფასიან ქაღალდებს, და მათი მფლობელის წინაშე ვალდებულია განახორციელოს ამ ქაღალდებით მინიჭებული უფლებები), პასუხისმგებელია საჯარო შეთავაზებით გაყიდული ფასიანი ქაღალდების შემძენ პირთა წინაშე იმ ზარალისათვის, რაც მოპყვება დამტკიცებულ<sup>1</sup> ან საბოლოო პროსპექტში<sup>2</sup> არსებითი მოვლენის არაზუსტ გადმოცემას ან განუცხადებლობას.

ემიტენტი და ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავალი (საბროკერი კომპანია, ბროკერი ან სხვა შუამავალი) ვალდებულია მყიდველები უზრუნველყონ ემისიის პროსპექტის გაცნობის შესაძლებლობით, რომელიც შეიცავს გასაყიდად შეთავაზებული ფასიანი ქაღალდების აღწერასა და ინვესტორებისათვის მნიშვნელოვან სხვა ინფორმაციას. ემისიის პროსპექტში არსებითი ფაქტის ან მოვლენის განზრახ

---

<sup>1</sup> დამტკიცებული პროსპექტი – ესაა ემისიის პროსპექტი, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის მიერ.

<sup>2</sup> საბოლოო პროსპექტი – ესაა ემისიის პროსპექტი, რომელიც დამტკიცებულია კომისიის მიერ და შეიცავს შესთავაზებული ფასიანი ქაღალდების ზუსტ რაოდენობასა და ზუსტ ფასს. საბოლოო პროსპექტი მიეწოდება ინვესტორებს საჯაროდ შეთავაზებული ფასიანი ქაღალდების გაყიდვის დაწყებამდე ან დაწყებისთანავე. საქმე იმაშია, რომ ინვესტორმა დროულად უნდა გაარკვიოს რაში დებს ფულს, დივიდენდის მიღების რა პერსპექტივა უნდა და სხვ. (სრულყოფილი განმარტება საბოლოო პროსპექტზე მოცემულია ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონის მე-2 მუხლის მე-15 პუნქტში).

გამოტოვება (იგი შეიძლება შეეხებოდეს ემიტენტის ფინანსურ მდგომარეობას, მის დებიტორულ დავალიანებას და ა. შ.), მიზნად ისახავს ინვესტორთა მოზიდვასა და მოტყუებას. ინვესტორი, ასევე შეიძლება მოტყუებულ ან შეცდომაში იქნას შეყვანილი ყალბი რეკლამის გამოყენებით.

213-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური მხარის სავალდებულო ნიშანია მნიშვნელოვანი ზიანის გამოწვევა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სახეზე გვაქვს დანაშაულის მატერიალური შემაღვენლობა.

დანაშაულის სუბიექტური მხარე განზრახი ბრალით ხასიათდება, რის შესახებაც პირდაპირ მითითებულია განსახილველი მუხლის მე-2 ნაწილის დისპოზიციაში. თუ რა მოტივითა და მიზნით მოქმედებდა ბრალდებული ამას დანაშაულის კვალიფიკაციისათვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ ისინი სასამართლოს მიერ მხედველობაში იქნება მიღებული სასჯელის შეფარდებისას.

დანაშაულის სუბიექტი აქაც სპეციალურია. ამ დანაშაულის შესაძლო სუბიექტი შეიძლება იყოს: ემიტენტი; უფროსი აღმასრულებელი პირი; სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და ყველა წევრი, რომლებმაც ხელი მოაწერეს სოლიდარულად; ყოველი საბროკერო კომპანია და ბროკერი, რომლებიც მოქმედებენ ემიტენტის სახელით, ფასიანი ქაღალდების შეთავაზების ხელშეკრულების საფუძველზე; ყოველი აუდიტორი თუ სხვა ექსპერტი, რომელმაც განაცხადა თანხმობა მისი, როგორც ემისიის პროსპექტის ნაწილის ავტორის მოხსენებაზე, ემისიის პროსპექტში მის მიერ მომზადებულ ნაწილში არსებითი მოვლენის განზრახ გამოტოვების გამო (იხ. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონის“ მე-4 მუხლის მე-13 პუნქტი).



დანაშაული საზღვარის სპეციფიკის სფეროში

§1. საბაჟო ფისების დარღვევა (სსკ 214-ე მუხლი)

ეს მუხლი ექვსი ნაწილისაგან შედგება და თან ერთვის შენიშვნა. პირველი ნაწილის ძალით დანაშაულადაა მიჩნეული საქართველოს საბაჟო საზღვარზე დიდი ოდენობით მოძრავი ნივთის გადატანა ან გადმოტანა, ჩადენილი საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად, დოკუმენტის ან საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალების მოტყუებითი გამოყენებით, დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანით, – რაც ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

მეორე ნაწილი ითვალისწინებს იგივე ქმედებას, ჩადენილს განსაკუთრებით დიდი ოდენობით, – რაც ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით შეიქმნება წლამდე.

მესამე ნაწილში ხაზი გაესმის საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქართველოს ან უცხო ქვეყნის ხალხთა კუთვნილი მხატვრული, ისტორიული, არქეოლოგიური ღირებულების მქონე ნივთის, ხელოვნების ნიმუშის, ძეგრფასი ლითონისაგან დამზადებული საიუველირო ნაკეთობის ან ნაკეთობის ჯართის წესის დარღვევით გადატანა ან გადმოტანას, – რაც ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან შეიქმნება წლამდე.

მეოთხე ნაწილი დანაშაულად მიიჩნევს საქართველოს საბაჟო საზღვარზე შხამიანი, მომწამლავე, რადიაქტიური ან ფეთქებადი ნივთიერების, შეიარაღების, ასაფეთქებელი მოწყობილობის, ცეცხლსასროლი იარაღის, იმ მასალის ან მოწყობილობის, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მასობრივი განადგურების იარაღის შესაქმნელად, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ნედლეულის წესის დარღვევით გადატანას ან გადმოტანას, – რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე.

მეხუთე ნაწილში ხაზი გაესმის ამ მუხლის პირველი, მე-2 ან მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებას, ჩადენილს: ა) არაერთგზის; ბ) მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით; გ) საბაჟო კონტროლის განხორციელებლის მიმართ ძალადობით, – რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით

ვადით ხუთიდან თორმეტ წლამდე.

მეექვსე ნაწილი დანაშაულად მიიჩნევს ამ მუხლის პირველი, მე-2, მე-3 ან მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებას, ჩადენილს ორგანიზებული ვაკუუმის მიერ. — რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თხუთმეტ წლამდე.

რაც შეეხება შენიშვნას იგი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში წერია შემდეგი: ამ მუხლით დიდ ოდენობად ითვლება ნივთი, რომელზედაც საბაჟო გადასახდელის გადაუხდელი თანხა აჭარბებს რვაას ლარს, ხოლო განსაკუთრებით დიდ ოდენობად ითვლება ნივთი, რომელზედაც საბაჟო გადასახდელის გადაუხდელი თანხა აჭარბებს ხუთი ათას ლარს. მეორე ნაწილში კი ხაზგასმულია იმაზე, რომ საბაჟო წესის დარღვევისათვის სასჯელთან ერთად შეიძლება გამოყენებულ იქნეს სისხლისსამართლებრივი იძულებითი ღონისძიება დანაშაულის საგნის ან საშუალების ჩამორთმევის სახით.

საქართველოს ძველი სისხლის სამართლის კოდექსი (მხედველო-ბაში გვაქვს 1960 წელს მიღებული კოდექსი) განსახილველ დანაშაულს კონტრაბანდის სახელით მოიხსენიებდა<sup>1</sup>. მაგრამ მას შემდეგ რაც საგარეო ვაჭრობაზე გაუქმდა სახელმწიფო მონოპოლია და საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ლიბერალიზაცია მოხდა, ამ დანაშაულის სოციალური არსიც შეიცვალა და ახალმა კოდექსმა იგი საბაჟო წესების დარღვევის სახელწოდებით შემოიტანა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, რაც სავსებით სწორად უნდა მივიჩნიოთ. აქვე უნდა დავსძინოთ ისიც, რომ საქართველოში ამჟამად ერთიანი საბაჟო პოლიტიკა ხორციელდება, რაც ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. მისი მიზანია: საქართველოს ეკონომიკური სუვერენიტეტისა და ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვა, ეკონომიკის განვითარების სტიმულირება და შიდა ბაზრის დაცვა, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სტიმულირება, ასევე საშინაო და საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის სხვა ამოცანების განხორციელება. საბაჟო პოლიტიკის განხორციელება განეკუთვნება საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას.

<sup>1</sup> კონტრაბანდის იურიდიულ ანალიზზე შეგიძლიათ იხილოთ: ზაურ წულაია. საქართველოს სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილი. თბ., 1996 წელი, გვ. 110-119.

განსახილველი დანაშაულის უშუალო ობიექტია სახელმწიფოს ფინანსური ინტერესები. ფაქულტატურ უშუალო ობიექტად შეიძლება მოგვევლინოს საზოგადოებრივი უშიშროება (მაგალითად, იარაღის კონტრაბანდისას), მოსახლეობის ჯანმრთელობა (მაგალითად, მომწამლავი, შხამიანი, რადიაქტიური და სხვა ძლიერმოქმედ ნივთიერებათა კონტრაბანდის დროს) და სხვ. რაც შეეხება დანაშაულის საგანს ასეთად უნდა მივიჩნიოთ მხოლოდ ის, რაც პირდაპირაა მითითებული 214-ე მუხლის დისპოზიციაში. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის ძალით ასეთად უნდა მივიჩნიოთ მოძრავი ნივთი (თანაც დიდი ოდენობით); მეორე ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე საგნად გვევლინება ისევე მოძრავი ნივთი, მაგრამ განსაკუთრებით დიდი ოდენობით; მესამე ნაწილში ხაზი გაესმის ისეთ საგნებს, როგორიცაა: საქართველოს ან უცხო ქვეყნის ხალხთა კუთვნილი მხატვრული, ისტორიული, არქეოლოგიური ღირებულების მქონე ნივთი, ხელოვნების ნიმუში, ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული საიუველირო ნაკეთობა ან ნაკეთობის ჯართი; მეოთხე ნაწილის ძალით დანაშაულის საგნად გვევლინება შხამიანი, მომწამლავი, რადიაქტიური ან ფეთქებადი ნივთიერება, ასევე შეიარაღება (იგულისხმება შეიარაღების კონტრაბანდა ანუ საქართველოს საბაჟო საზღვარზე მისი გადატანა ან გადმოტანა); ასაფეთქებელი მოწყობილობა; ცეცხლსასროლი იარაღი; ისეთი მასალა ან მოწყობილობა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მასობრივი განადგურების იარაღის შესაქმნელად; დაბოლოს, სტრატეგიული მნიშვნელობის ნედლეული. განვიხილოთ თითოეული მათგანი: 1) „მოძრავი ნივთი“ დიდი ოდენობით – ესაა ისეთი ნივთი, რომელზედაც საბაჟო გადასახდელის გადაუხდელი თანხა აჭარბებს 8 ათას ლარს. აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ნივთი – ესაა საგანი, რომელიც არსებობს ბუნებრივად ან შექმნილია ადამიანის შრომით. ნივთი წარმოადგენს ქონებრივი ურთიერთობის ძირითად ობიექტს. სამოქალაქო სამართალში ფული და ფასიანი ქაღალდიც ნივთად ითვლება. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, „მოძრავი ქონებაა (ნივთია) ვისიმე საკუთრებად არსებული სარჩო-საბადებელი, ნივთეულობა, ფული, რომლის ადგილიდან დაძვრა თვისების დაუკარგავად შეიძლება“<sup>1</sup>; 2) „მოძრავი ნივთი“ განსაკუთ-

<sup>1</sup> იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VII, სვეტი 345, თბ., 1962.

რებით დიდი ოდენობით – ასეთად ითვლება ნივთი, რომელზედაც საბაჟო გადასახდელის გადაუხდელი თანხა აჭარბებს 5000 ლარს; 3) საქართველოს ან უცხო ქვეყნის ხალხთა კუთვნილი მხატვრული, ისტორიული და არქეოლოგიური ღირებულების მქონე ნივთი – ესაა განსაკუთრებული თვისებების მქონე საგნები, რომელთა შესახებაც საუბარია საქართველოს კანონში „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ (ეს კანონი მიღებულ იქნა 1999 წლის 25 ივნისს)<sup>1</sup>. ნივთის მხატვრული, ისტორიული და არქეოლოგიური ღირებულება განისაზღვრება (ფასდება) საექსპერტო დასკვნის საფუძველზე. „მხატვრული ღირებულების“ მქონე ნივთის ცნება, ბერნის კონვენციის თანახმად, მოიცავს ყველა ნაწარმოებს ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების დარგში (რომანი, ნოველა, ლექსი, დრამატული, ქორეოგრაფიული და სხვა ანალოგიური ნაწარმოებები. მუსიკალური ნაწარმოები ტექსტით და უტექსტოდ; კინემატოგრაფიული ნაწარმოები, ფერწერული, გრაფიკის, არქიტექტურული, ლითოგრაფიის<sup>2</sup> და სხვა ანალოგიური ნაწარმოები; ფოტოგრაფიული ნაწარმოები; გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოები; ილუსტრაციები, გეოგრაფიული რუკები, ესკიზები, გეგმები და სხვა ნაწარმოებები, რომლებიც მიეკუთვნებიან გეოგრაფიას, ტოპოგრაფიას, არქიტექტურას ან სხვა მეცნიერებებს; 4) „ისტორიული ღირებულების მქონე ნივთი“ – ესაა ისტორიული ხასიათის ღირებულებანი, რომლებიც გვაცნობენ ერის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საბრძოლო ეპოქას (ასეთს მიეკუთვნება გამოჩენილ სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეთა ფუნდამენტური შრომები, საკანონმდებლო აქტები და სხვ.); 5) „არქეოლოგიური ღირებულების მქონე ნივთი“ – ესაა ისეთი საგანი, რომელიც არქეოლოგიური გათხრების შედეგადაა მოპოვებული (აქ იგულისხმება სხვადასხვა სახის ჭურჭლები, სამკაულები და ა. შ.); 6) „ხელოვნების ნიმუში“, რაც მოხსენიებულია 214-ე მუხლის მე-3 ნაწილში, ფართო გაგებით ესაა მხატვრულ ქმნილებათა ისეთი სახეები, რომლებიც მიმართულია ადამიანის ესთეტიკური აღქმისაკენ და როგორცაა: ქანდაკება, ტაძარი,

<sup>1</sup> ვინაიდან ამ კანონის შესახებ უკვე საუბარი გვქონდა 183-ე მუხლის ანალიზისას, ამდენად აქ მის ხელშეკრულ ინტერპრეტაციაზე არ ვჩერდებით.

<sup>2</sup> ლითოგრაფია – ესაა ბეჭდვა სპეციალური ბრტყელი ქვის ან რკინის ზედაპირიდან, რომელზედაც წინასწარ ხატავენ.

პორტრეტი, ნატურმორტი<sup>1</sup>, სიმფონია და სხვ.; 7) ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული საიუველირო ნაკეთობა“ – ესაა სამკაულის, საკულტო და საყოფაცხოვრებო მხატვრული ნივთების, სამკერდე ნიშნებისა, ორდენებისა და მედლების და სხვათა დამზადება ფერადი, უპირატესად კეთილშობილი ლითონებისა (ოქრო, ვერცხლი, პლატინა) და მათი შენადნობებისაგან, რომლებთანაც ხშირად შეხამებულია ძვირფასი და სანახელავო ქვები, მარგალიტი, მარჯანი, სადაფი, ძვალი, ფერადი მინა და სხვ. საიუველირო ნაწარმის დამზადების ტექნოლოგიური პროცესი მოიცავს ლითონის ქიმიურ, თერმული და მექანიკური დამუშავებისა და შემკობის მრავალ ხერხს (დნობა, ლევირება, ჩამოსხმა, რეკრისტალიზაცია, დაძველება, წრობა, გლინვა, აღიდა, ჭედვა, თევვა, ამოკვეთა, რჩილვა, ამოჭმა, ხეხვა, გაპრიალეზა, მოსევალება, მოოქროება, მოვერცხლვა, მომინანქრება, გრენა, გრანულირება, ინკრუსტაცია და სხვ.), რომელთა საშუალებითაც ოქრომჭედელი მაქსიმალურად წარმოაჩენს ლითონისა და ფერადი თვლების ბუნებრივ სილამაზეს. რაც შეეხება ნაკეთობას – ესაა სამრეწველო ნიმუში, ნაწარმი, პროდუქცია, რომლის გამოშვებაც შეიძლება წარმოების მიერ, ხოლო რაოდენობის გამოანგარიშება ხდება ცალობით (ეგზემპლარებით); 8) „ნაკეთობის ჯართი“. ტრადიციული გაგებით ჯართი – ესაა ლითონის ნივთის უვარგისი და გადასაყრელი ნაწილები, ან სხვანაირად, ლითონის ნამტვრევები, ლითონის ძველი ნივთები. განსახილველ მუხლში მოხსენიებული ნაკეთობის ჯართი უნდა გავიგოთ ისეთნაირად, როცა ადგილი აქვს ამა თუ იმ ლითონის ან ლითონისაგან (სპილენძი, ალუმინი, ლევირებული ფოლადი, ბრინჯაო, ტიტანი, პობედიტი, თითბერი, კალა და ა. შ.) დამზადებულ ნაკეთობათა ჯართად ქცევას (მაგალითად, ალუმინის ბაკებისა და სპილენძის ქვაბების, ვაგონების, ელმავლებისა და სხვათა დაჭრა-დანაწევრება და დადგენილი წესის დარღვევით მათი საზღვარგარეთ გატანა)<sup>2</sup>; 9) „შხამიანი ნივთიერება“ – ესაა

<sup>1</sup> ნატურმორტი – ესაა სახვითი ხელოვნების ყანრი, რომელიც ასახავს ერთიან გარემოში ჯგუფურად ორგანიზებულ საგნებს (უსულოს ან ცოცხალი ბუნების ობიექტებს).

<sup>2</sup> ვფიქრობთ უპირანი იქნება თუ 214-ე მუხლის მე-3 ნაწილში სიტყვების „ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული საიუველირო ნაკეთობის“ შემდეგ ჩაემატება სიტყვები „ან სხვადასხვა ლითონის ან ლითონისაგან დამზადებული ნაკეთობის ჯართის დადგენილი წესის დარღვევით გადატანა ან გადმოტანა“.

ისეთი ნივთიერება, რომლის ადამიანის ორგანიზმში მცირე ოდენობით მოხვედრა, ან ცოცხალ ორგანიზმზე მისი ზემოქმედება იწვევს სიცოცხლისუნარიანობის მკვეთრ დარღვევას, ე. ი. მოწამვლას ან სიკვდილს. ასეთს მიეკუთვნება: კალიუმციანიდი, ციანიდმჟავა, დარიშხანი, სტრიქინინი, სხვადასხვა მოდიფიკაციის ვერცხლისწყალი და მათი შენაერთები. საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკა ამ კატეგორიის ნივთიერებებს მიაკუთვნებს აგრეთვე გათხევადებულ და გაზის სახის საბრძოლო მომწამვლელ ნივთიერებებს (იპრიტი, ფოსტენი, ბინარული შენაერთები და სხვ.). შხამიან ნივთიერებებს გააჩნია სამედიცინო (ფარმაკოლოგიური) თვისებები და იურიდიული ნიშნები. მედიცინის თვალსაზრისით შხამიანად ითვლება ისეთი ნივთიერებები, რომელთა უმნიშვნელო დოზით არასწორი მოხმარება იწვევს ადამიანის სიკვდილს ან მისი ჯანმრთელობისათვის მძიმე შედეგის დადგომას. იურიდიული თვალსაზრისით ეს ნივთიერებები არ მიეკუთვნება ნარკოტიკულსა და ფსიქოტროპულ საშუალებებს. 1988 წელს მიღებული გაეროს კონვენციის მიხედვით შხამიანი ნივთიერებები შეტანილია შხამიან ნივთიერებათა №2 სიაში. ეს სია მოიცავს შხამიან ნივთიერებათა 31 დასახელებას. მათ შორის ძმარმჟავას, ანგიდრიდს, დარიშხანიან ანგიდრიდს, გაწმენდილ ფუტკრის შხამს, ვერცხლისწყალს, სტრიქინინს, ფენოლს, კალიუმციანიდსა და სხვა. ეს სია ამომწურავი არაა და საკითხი ამა თუ იმ ნივთიერების შხამიანად მიჩნევისათვის საჭიროა გადაწყდეს ექსპერტიზის მიერ; 10) „მომწამლავი ნივთიერება“ – ესაა ტოქსიკური ქიმიური ნაერთი, რომელიც მოწამლვას იწვევს. მან შეიძლება ორგანიზმში შეაღწიოს სასუნთქი ორგანოებით, კანის საფრით, ლორწოვანი გარსითა და საჭმლის გადამმუშავებელი ტრაქტით. ამ ნივთიერებისათვის დამახასიათებელია გარკვეული ფიზიკური და ქიმიური თვისებების კომპლექსი. მისი შეღწევა ორგანიზმში იწვევს ფსიქიკურ მოქმედებათა დარღვევას. მომწამლავი ნივთიერება შეიძლება იყოს თხევად ან აირად მდგომარეობაში. განასხვავებენ არამდგრად, მდგრადსა და მომწამლავ-კვამლისებრ ნივთიერებას; 11) „რადიაქტიური ნივთიერება“ – ეს უნდა გავიგოთ როგორც ბუნებრივი ან ხელოვნური წარმოშობის ნაერთები, რომლებიც შეიცავენ განსაკუთრებული (ელექტრომაგნიტური ან კორპუსკული-

<sup>1</sup> „რადიაქტიური“ წარმოდგარია ლათინური სიტყვის რადიაციისაგან, რაც ნიშნავს რაიმე სხეულის მიერ ელექტრომაგნიტური ენერჯის გამოსხივებასა და მის გავრცელებას ცენტრიდან რადიუსების მიმართულებით. სხივისებურად.

არული) სხივების სახით ენერგიის გამომყოფ ელემენტებს, რომლებიც სპობს ცოცხალ ორგანიზმებს, მათ შორის ადამიანსაც. სხვანაირად თუ ვიტყვით, რადიაქტიური ნივთიერებები შეიცავენ ელემენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვა ელემენტებზე თვითნებური გადაქცევის უნარი, რასაც თან ახლავს ბირთვული გამოსხივება. ბუნებრივ რადიაქტიურ ელემენტებზე გვევლინება ტორიუმის, ურანისა და აქტინიის რიგები, რომელთა დაშლის პროცესში ხდება ალფა-, ბეტა-, გამა- სხივების გამოსხივება. რადიაქტიური ნივთიერებები შეიძლება იყოს გაზისებრი, თხევად ან მყარ მდგომარეობაში, ხოლო სუფთა სახით სპეციალურ დანადგარებში, ნაკეთობებში და ნარევში. სათანადო პარამეტრების მქონე რადიაქტიური ნივთიერებების (ე. ი. რადიაქტიური ნივთიერებები ბირთვულ მასალებში) გამოყენება შეიძლება მასობრივი განადგურების იარაღის შექმნისას. აქვე უნდა დავსძინოთ ისიც, რომ რადიაქტიური წყაროების საერთო დასახელებაში შედის ბირთვული მასალები, რადიაქტიური ნივთიერებები და რადიაქტიური ნარჩენები. ბირთვულად მიიჩნევა მასალები, რომლებიც შეიცავენ ან შეუძლიათ კვლავ აწარმოონ გაყოფილი (გახლეჩილი) ბირთვული ნივთიერებანი. რადიაქტიური ნარჩენები – ესაა ბირთვული მასალები და რადიაქტიური ნივთიერებები, რომელთა შემდგომი გამოყენება არ ივარაუდება. დასასრულს შევნიშნავთ იმასაც, რომ რადიაქტიური ნივთიერებების (მასალების) გონივრულ გამოყენებას დიდი სარგებლობა შეუძლია მოუტანოს კაცობრიობას, ხოლო მათ უხეირო, დაუდევარ და დანაშაულებრივ გამოყენებას თან ახლავს კოლოსალური საფრთხე; 12) „ფეთქებადი ნივთიერება“ – ესაა ისეთი ნივთიერება, რომელსაც აქვს ძლიერი დამანგრეველი მოქმედების უნარი და რომელიც გამოყენებულია სამხედრო, სამთომადნო, სხვადასხვა ობიექტების განადგურებისა და დაზიანების საქმეში (მათ შორის ცოცხალ სამიზნეთა მოსპობისათვის). ასეთ ნივთიერებებს მიეკუთვნება: ყველა სახის დენთი, დინამიტი, მგრავინაუი ვერცხლისწყალი, ტროტილი, პიროკლასინი, ამონალი, ტრინტროლოლოლი და სხვა. ფეთქების დროს გამოიყოფა სითბოს დიდი რაოდენობა და წარმოიქმნება აირადი ნივთიერებები. რეაქცია თუ აღიძრა ნივთიერების რომელიმე წერტილში (გახურებით, დარტყმით, სხვა ფეთქებადი ნივთიერებებით ან რომელიმე გარეშე მიზეზით) იგი ვრცელდება მთელ მასაში ფენიდან ფენაზე ენერგიის გადაცემის ხარჯზე სითბოსა და მასის გადამტანი (წვა) პროცესების მეშვეობით ან დარტყმით

ტალით (დეტონაცია). დეტონაციის სინქარემ შეიძლება გადააჭარბოს 9 კმ წაშში. ფეოქიბადი ნივთიერება შეიძლება იყოს მყარი ან თხევადი; 13) „შეიარაღება“ – ფართო გაგებით მოიცავს იმ საგნების ერთობლიობას, რაც სამხედრო შეიარაღებასთანაა დაკავშირებული. მას მიეკუთვნება: სამხედრო შეიარაღებისათვის განკუთვნილი იარაღები, ტანსაცმელი, რადიო-ტექნიკური, სატრანსპორტო, საბრძოლო საშუალებები და სხვა. სხვანაირად თუ ვიტყვით, შეიარაღება – ესაა ადამიანთა შესაიარაღებლად საჭირო საშუალებათა ერთობლიობა; 14) „ასაფეთქებელი მოწყობილობა“ – ესაა მანქანა-მექანიზმი, იარაღი, დანადგარი, ტექნიკური ხელსაწყო, მართვადი აპარატი და ა. შ.. რითაც უნდა ააფეთქონ ასაფეთქებელი მასალები; 15) „ცეცხლსასროლი იარაღი“. ცეცხლსასროლი იარაღის ცნება მოიცავს ისეთ საგნებს, რომლიდანაც დენთის გაზის ძალის გამოყენებით ხდება ტყვიის (ჭურვის) გასროლა. ასეთი საგნები მეტწილად ლუღიანია. ცეცხლსასროლ იარაღებს მიეკუთვნება: ტყვიამფრქვევი, ავტომატი, შაშხანა, კარაბინი, „ბუზუკი“, პისტოლეტი, ნაგანი, გადაჭრილი სანადირო თოფები, სპორტული კუთხვილიანი შაშხანები და პისტოლეტები. მოცემულ შემთხვევაში „ცეცხლსასროლი იარაღი“, როგორც საბაჟო წესის დარღვევის საგანი, გაგებულია ვიწრო მნიშვნელობით, რაც ნიშნავს ქარხნული ან კუსტარული წესით დამზადებულ სპეციალურ მოწყობილობას, რაც განკუთვნილია ცოცხალი ორგანიზმების დასაზიანებლად. ცეცხლსასროლ იარაღებს არ მიეკუთვნება სასტარტო, სამშენებლო და გაზის პისტოლეტები. კითხვაზე – არის თუ არა საბაჟო წესის დარღვევის საგანი დაუკომპლექტებელი ან სპეციალურად დაშლილი ცეცხლსასროლი იარაღი, რომელთაგან მომავალში შეიძლება აიწყოს იარაღის შესაბამისი სახე (ვთქვათ პისტოლეტი, ავტომატი და სხვ.) დადებითად უნდა ვუპასუხოთ; 16) „ის მასალა ან მოწყობილობა რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მასობრივი განადგურების იარაღის შესაქმნელად“. აქ მასალად იგულისხმება რადიაქტიური ნივთიერებები, რომლებიც შეიცავენ ელემენტებს. რადიაქტიური ელემენტია: ურანი, თორიუმი, ტექნეციუმი, რადონი, რადიუმი, პლუტონიუმი, ნობელიუმი, ნეპტუმი, მენდელეევიუმი, ფრანციუმი, ეინშტეინი, კიურიუმი, ბერკლიუმი, ამერციუმი და სხვა. რაც შეეხება მოწყობილობას, ასეთად უნდა მივიჩნიოთ მანქანა-დანადგარები, დანადგარები, ავტომატური და უწყვეტი ნაკადური ხაზები, ხელსაწ-



ყოები, იარაღები, ელექტროსქემები და ა. შ. მასობრივი განადგურების იარაღს განეკუთვნება ბირთვული, ქიმიური, ბაქტერიოლოგიური, სხივური, ინფრაბგერითი იარაღი და სხვა. „მასალები და მოწყობილობები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მასობრივი განადგურების იარაღის შესაქმნელად, – აღნიშნულია რუსულ სახელმძღვანელოში, – ესაა ნედლეული; ლაბორატორიული და სამრეწველო მოწყობილობა; ტექნოლოგიები, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნეს ყოველი სახის მასობრივი განადგურების იარაღის შესამუშავებლად, დასამზადებლად და გამოსაცდელად ან მისი მიტანის საშუალებები. მოცემული საგნები ჩართულია სხვადასხვა ჩამონათვალში და მათი ექსპორტი ხორციელდება განსაკუთრებული წესების შესაბამისად მოქმედი ნორმატიული აქტების საფუძველზე“<sup>1</sup>; 17) „სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ნედლეული“ – ესაა ნედლეული (სამრეწველო საქონელი, მასალა – მინერალები, ხე-ტყე, ხორბალი და სხვ.), რომელიც საჭიროა რაიმე პროდუქციის დასამზადებლად და რომელსაც ჯერ არ გაუვლია გადამუშავების ტექნოლოგიური ციკლი, რათა გახდეს რომელიმე პროდუქციის შემადგენელი ნაწილი, პირველადი პროდუქტი), მოწყობილობა (მანქანა-დანადგარები, ხელსაწყოები და ა. შ.), ნოუ-ჰაუ (წარმოადგენს ტექნიკური, ორგანიზაციული, კომერციული და სხვა სახის საიდუმლო ინფორმაციას, რომელსაც შეუძლია წარმოების ეფექტურობის ამაღლება, არ არის ცნობილი მესამე პირებისათვის და ამის გამო წარმოადგენს კომერციულ ფასეულობას. ნოუ-ჰაუ შეიძლება იყოს განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც საიდუმლოდ ინახება. მაგალითად, განაცხადი გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელზე ან სამრეწველო ნიმუშზე მათ გამოქვეყნებამდე), ტექნოლოგია (ესაა პროდუქციის დამზადების პროცესის სისტემური ცოდნა და გულისხმობს არა ნებისმიერ ცოდნას, არამედ ისეთს, რომელიც სისტემურია, ანუ ისეთად ორგანიზებული, რომ უზრუნველყოფს პრობლემის გადაჭრას და შესაძლებელია: ა) მისი გადაცემა ერთი ადამიანისაგან მეორისათვის. ცოდნა რაიმე სახით უნდა იყოს დაფიქსირებული ზეპირად ან წერილობით და იგი უნდა იყოს გახსნილი, ან ჰქონდეს გახსნის უნარი; ბ) გამოიყენება იმ პრობლემების

---

<sup>1</sup> Уголовное право. Особенная часть. Учебник для вузов. Ответственные редакторы: И. Я. Козаченко, З. А. Незнамова, Г. П. Новоселов. М.; Издательская группа Норма – Инфра. 1998. с. 314-315.

მოგვარებისათვის. რომლებიც წარმოიშობა ადამიანის საქმიანობის შედეგად მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში ან ვაჭრობაში. გამოგონება, სასარგებლო მოდელი და სამრეწველო ნიმუში წარმოადგენს ამა თუ იმ ტექნოლოგიას, აღწერილს და წარმოდგენილს განსაკუთრებული ფორმით ან სახით. ტექნოლოგიას, როგორც საქონელს გააჩნია ორიგინალი ხასიათი: ინდივიდუალური (მისი შექმნისას) და საზოგადოებრივი (მისი გამოყენებისას) და ა. შ., რომელთა ექსპორტი კონტროლს ექვემდებარება, იზღუდება ან იკრძალება, რათა ზიანი არ მიადგეს ამ საქონლის მფლობელის ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებასა და ეკონომიკას. „სტრატეგიული მნიშვნელობის სასაქონლო ნედლეული“, – აღნიშნულია რუსულ სახელმძღვანელოში, – ესაა საქონელი, რომელიც ჩამოთვლილია მთავრობის მიერ დამტკიცებულ სპეციალურ ჩამონათვალსა ან დანართში. მათ მიეკუთვნება: ველური ცხოველები, ველური მცენარეები, სპილოს ძვალი, რქა, ჩლიქი (სქელი რქოვანი წანაზარდი ზოგიერთი ძუძუმწოვარი ცხოველის ფეხის ბოლოზე), მარჯანი (მოწითალო ფერის ძვირფასი ქვა, პოულობენ ზღვაში), მცენარეული და ცხოველური წარმოშობის სამკურნალო ნედლეული, ხორბალი მაგარი და რბილი ხარისხის, სოიოსა და მხესუმზირის თესლი, ბუნებრივი გაზი, ელექტროენერგია, ნავთობის ნედლეული, გადაუმუშავებელი ნავთობი (გაზის კონდენსატის ჩათვლით), ნავთობის გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტები, ნავთობის გაზი და ნახშირწყალბადი (შეკუმშული), ფერადი ლითონის ნაგლინი<sup>1</sup>, თევზი, სხვადასხვაგვარი ხიზილალა<sup>2</sup>.

214-ე მუხლში მოხსენიებული დანაშაულის საგნები შეიძლება ორ ჯგუფად დაეყოთ: 1) თავისუფალ სამოქალაქო ბრუნვაში მყოფ საგნებად, რომელთა გადატანა ან გადმოტანა საბაჟო საზღვარზე დასჯადია, თუ ეს დიდი ოდენობით მოძრავ ნივთს ეხება და კანონში მითითებული არალეგალური ხერხებით ხდება; 2) საგნები, რომლებიც ამოღებულია თავისუფალი სამოქალაქო ბრუნვიდან და მათი გადაადგილება საბაჟო საზღვარზე აკრძალულია. ასეთ საგნებზე დადგენილია საბაჟო საზღვარზე გადატანისა და გადმოტანის სპეციალური წესები.

214-ე მუხლის ობიექტური მხარე გამოიხატება ამ მუხლში

<sup>1</sup> ნაგლინი – ესაა გლინვის შედეგად მიღებული ლითონი.

<sup>2</sup> იხ. დასახელებული რუსული სახელმძღვანელო, გვ. 315.

მოხსენიებული საგნების კონტრაბანდაში ანუ საბაჟო წესის დარღვევაში. განსახილველი მოხლის პირველი ნაწილის ობიექტური მხარე ელინდება საქართველოს საბაჟო საზღვარზე დიდი ოდენობით მოძრავი ნივთის გადატანას ან გადმოტანაში, რაც ცხადია ჩადენილი უნდა იყოს საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად, დოკუმენტების ან საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალების მოტყუებით გამოყენებით. ასევე დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანით. როგორც ვხედავთ ობიექტური მხარე მოიცავს: ა) მოქმედებას (კონტრაბანდის საგნის გადატანა ან გადმოტანას); ბ) დანაშაულის ჩადენის ადგილს (იგულისხმება საქართველოს საბაჟო საზღვარი); გ) ხერხს (რომლის მეშვეობითაც ხდება ნივთის გადატანა ან გადმოტანა საბაჟო საზღვარზე) და დ) გადაადგილებული ნივთების ოდენობას (დიდი ოდენობა).

საქართველოს საბაჟო კოდექსის (მიღებულია 1997 წლის 31 დეკემბერს) მიხედვით „საბაჟო საზღვარს“ შეადგენენ საქართველოს საბაჟო ტერიტორიის ფარგლები, აგრეთვე თავისუფალი საბაჟო ზონებისა და თავისუფალი საწყობების პერიმეტრები<sup>1</sup>.

„მოძრავი ნივთის გადატანა ან გადმოტანა საბაჟო კონტროლისაგან გვერდის ავლით“ შეიძლება მოხდეს საქართველოს საბაჟო ორგანოების მიერ განსაზღვრული ადგილების მიღმა ან არა იმ დროს, როცა საბაჟო გაფორმება წარმოებს, ხოლო ნივთების გადაადგილება საბაჟო კონტროლისაგან მალულად გულისხმობს სამალავებისა და სხვადასხვა საშუალებების გამოყენებას, რაც აძნელებს მათ აღმოჩენას.

„საბაჟო საზღვარზე მოძრავი ნივთის გადატანა ან გადმოტანა დოკუმენტის მოტყუებით გამოყენებით“ – გულისხმობს საბაჟო კონტროლისათვის ყალბი დოკუმენტის წარდგენას, დოკუმენტის წარდგენას გაყალბებული მონაცემებით, აგრეთვე უკანონოდ მიღებული, შევსებული ან დამოწმებული დოკუმენტის წარდგენას. სხვანაირად თუ ვიტყვით, დოკუმენტების მოტყუებით გამოყენება გამოიხატება საბაჟო კონტროლისათვის წინასწარი შეცნობით ყალბი ან არასწორი მონაცემებით შედგენილი დოკუმენტების წარდგენაში. საბაჟო დოკუმენტებს მიეკუთვნება საბუთები, რომლებიც დადგენილი წესით

---

<sup>1</sup> პერიმეტრი – ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ბრტყელი გეომეტრიული ფიგურის გვერდების სიგრძის ჯამს.

დადასტურებული და გაცემულია საბაჟო დაწესებულების უფლება-  
მოსილი თანამდებობის პირის მიერ (საბაჟო დეკლარაციები, ცნობები  
ვალუტის შესახებ, სხვადასხვა საწარმოთა, დაწესებულებათა და  
ორგანიზაციათა მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტები  
საზღვარგარეთ საქონლისა და სხვა ფასეულობათა გატანის თაობაზე  
(ნებართვები, საშვები, მოწმობები, სერტიფიკატები, ანგარიშები და  
სხვ.). საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკა „მოტყუებით  
გამოყენებად“ მიიჩნევს ასევე ისეთი დოკუმენტების გამოყენებას,  
რომელშიც შეცვლილია ტვირთის სახეობა, წონა, მოცულობა და  
სხვა. კანონმდებელი 214-ე მუხლში ხაზს უსვამს მხოლოდ  
„დოკუმენტის მოტყუებით“ გამოყენებას, მაგრამ არაფერს ამბობს  
ყალბი საბუთების დამზადებაზე როგორც დამოუკიდებელ შემადგენ-  
ლობაზე. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ყალბი დოკუმენტების დამზადება  
კონტრაბანდის ნიშნებს სცილდება. თუ პირი მოტყუებით იყენებს  
ყალბ დოკუმენტებს, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს იდეალურ ერთობ-  
ლიობასთან, ხოლო თუ კონტრაბანდისტმა თვითონ დაამზადა ყალბი  
დოკუმენტი, მაშინ საქმე გვექნება რეალურ ერთობლიობასთან.

„საბაჟო საზღვარზე მოძრავი ნივთის გადატანა ან გადმო-  
ტანა საბაჟო იდენტიფიკაციის<sup>1</sup> საშუალების მოტყუებითი  
გამოყენებით, – აღნიშნულია რუსულ კომენტარებში, – გულისხმობს  
პლომბის, ლუქის ბეჭედის, ციფრობრივ, ანბანურ, საიდენტიფიკაციო  
ნიშნების გაყალბებულად დადებას, დასმასა და აღნიშვნას, ასევე  
სინჯებისა და ნიმუშების, საქონლის, სატრანსპორტო საშუალებებისა  
და სხვათა არასწორ აღებასა და სხვათა აღწერას. საბაჟო  
იდენტიფიკაციის საშუალებანი შეიძლება შეიცვალოს ან განადგურდეს  
მხოლოდ საბაჟო ორგანოების მიერ, გარდა ისეთი შემთხვევებისა  
როცა ადგილი აქვს საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებათა  
განადგურების რეალურ მუქარას, მათ დაკარგვასა და გაფუჭებას“<sup>2</sup>.

მარტივად თუ ვიტყვით, საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალების  
მოტყუებითი გამოყენება – ესაა ყალბი (ფალსიფიცირებული)

<sup>1</sup> იდენტიფიკაცია (იდენტიფიცირება) – ესაა იგივეობის აღიარება. ობიექტის  
გაიგივება, გათანაბრება ამა თუ იმ დამახასიათებელი ნიშნების მიხედვით.

<sup>2</sup> იხ. Комментарий к Уголовному кодексу Российской Федерации.  
Особенная часть. Под общей редакцией Ю. И. Скуратова и В. М.  
Лебедева. М., 1996, с. 205.

საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალების გამოყენება (ფალსიფიცირებული პლომბები, ლუქის ბეჭდები, საიდენტიფიკაციო ნიშნები, ციფრობრივი, ანბანური ან სხვა აღნიშვნები და ა. შ.).

„საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალებების მოტყუებით გამოყენება იქნება, – აღნიშნავს მზია ლეკვეიშვილი და გოჩა მამულაშვილი, – ბეჭდის, შტამპის, ან მარკირების სხვა საშუალებების გაყალბებისას, მსგავსი ფალსიფიცირებული საიდენტიფიკაციო ნიშნების დასმა საბაჟო საზღვარზე გადასატან ნივთებზე<sup>1</sup>. ამავ საკითხზე ანალოგიურ აზრს გამოთქვამს ზაურ მჟავანაძე თავის კომენტარებში<sup>2</sup>.

„საბაჟო საზღვარზე დიდი ოდენობით მოძრავი ნივთის გადატანა ან გადმოტანა დეკლარაციაში<sup>3</sup> ყალბი მონაცემების შეტანით“ – ნიშნავს ერთ-ერთ ძირითად საბაჟო დოკუმენტში, სახელდობრ, საბაჟო დეკლარაციაში გადასატანი ნივთების შესახებ არასწორი მონაცემების შეტანას. საბაჟო დეკლარაცია, თავის მხრივ, ესაა განცხადება საბაჟო ორგანოების მიმართ საზღვარზე სხვადასხვა ღირებულებათა (ფულის, ნივთებისა და სხვ.) და საქონლის გატანაზე, რომელშიც მოყვანილია მათი დასახელება, რაოდენობა, ფასი, შეფუთვის სახე და ა. შ. „საბაჟო დეკლარაცია, – აღნიშნავს პროფ. ვახტანგ ქარუმიძე, – ინგლისურად ნიშნავს ტვირთის განმკარგულებლის განცხადებას, რომელსაც იგი წარადგენს ტვირთის იმპორტის ან ექსპორტის დროს. დეკლარაცია მოიცავს ისეთ ძირითად მონაცემებს როგორცაა: ტვირთის საბუთის ნომერი, რომლითაც ტვირთი მიღებულია საბაჟოში; ტრანსპორტის დასახელება, რომლითაც მოვიდა ტვირთი; საქონლის სატარიფო დასახელება საბაჟო ტარიფის სათანადო მუხლზე მითითებით; საქონლის ჯგუფის ფასი და ღირებულება; დეკლარაციაზე დართული სია (ანგარიში, ჩატვირთვის სპეციფიკაცია, სერთიფიკატი ხარისხზე და სხვ.). საბაჟო დეკლარაციას აქვს რამოდენიმე ფორმა იმისდა მიხედვით, იბეგრება საქონელი ბაჟით თუ არა. საბაჟო დეკლარაცია ეწოდება აგრეთვე დოკუმენტს, რომელსაც ფიზიკური

---

<sup>1</sup> მზია ლეკვეიშვილი, გოჩა მამულაშვილი. პასუხისმგებლობა ეკონომიკური დანაშაულისათვის (კომენტარები). თბ., 1999, გვ. 147.

<sup>2</sup> ზაურ მჟავანაძე. სისხლის სამართალი. კერძო ნაწილი. კომენტარი. ქსუ გამომცემლობა 2000, გვ. 255.

<sup>3</sup> დეკლარაცია – ესაა ოფიციალური დოკუმენტი (განცხადება, განმარტება), რომელსაც წარუდგენენ სახელმწიფო ორგანოებს მოქალაქეები, ორგანიზაციები.

პირი წარადგენს საბაჟოში ქვეყნის საზღვრის გადაკვეთისას<sup>1</sup>. საქართველოს საბაჟო კოდექსის<sup>2</sup> 95-ე მუხლის თანახმად საბაჟო დეკლარაციების სახეებია: ა) სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია; ბ) ფიზიკური პირის დეკლარაცია; გ) საფოსტო გზაწველების დეკლარაცია; დ) სპეციალური სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია. აქვე უნდა დავსძინოთ ისიც, რომ სახელმწიფო საზღვარზე გადასვლისას ხდება ხელბარგისა და ტვირთის შემოწმება. საბაჟო შემოწმებას აწარმოებენ საბაჟოს ოფიციალური თანამშრომლები სასაზღვრო ჯარების წარმომადგენლებთან ერთად. საბაჟო შემოწმების დაწყებამდე ყოველი 14 წელს მიღწეული პირი ვალდებულია შეავსოს საბაჟო დეკლარაცია. ოჯახზე, რომელიც კვეთს სახელმწიფო საზღვარს ივსება ერთი დეკლარაცია და მას ხელს აწერს ოჯახის ყველა სრულწლოვანი წევრი. დეკლარაციაში მითითებულ უნდა იყოს რამდენი ნაჭრისაგან შედგება ხელბარგი და ტვირთი, რა რაოდენობის ან თანხისაა მოძრავი ნივთი. ის ნივთები, რომლებიც დეკლარაციაში არ იქნება აღნიშნული, ანდა გადამალული იქნება საბაჟო კონტროლისაგან, ექვემდებარება ჩამორთმევას (ამ უკანასკნელ სიტყვას ხაზი გაესმის 214-ე მუხლის შენიშვნის მე-2 ნაწილში). საქართველოს საბაჟო კოდექსის 97-ე მუხლში კი ხაზგასმით წერია, რომ ფიზიკური პირი, რომელსაც აქვს დეკლარირების ქვემდებარე პირადი საგნები, ვალუტა და ფასიანი ქაღალდები, ვალდებულია შეავსოს და საბაჟო ორგანოს წარუდგინოს დეკლარაცია.

„მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით კონტრაბანდის ჩადენა“ — გულისხმობს დასახელებელ პირთა მონაწილეობით საბაჟო წესის დარღვევას. დასახელებულ პირთა სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მისაცემად საჭიროა, რომ ორი პირობა იყოს სახეზე: 1. მისი ჩამდენი — მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი უნდა იყოს და 2. მათ თავიანთი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით უნდა განახორციელონ საბაჟო საზღვარზე მოძრავი ნივთის გადატანა ან გადმოტანა. ამრიგად, მოხელეს ან მასთან გათანაბრებულ პირს უნდა მივაკუთვნოთ ის პირები, რომლებსაც სამსახურებრივი მდგომარეობა აძლევს არა მარტო იმის უფლებას, რომ გადაიტანონ ტვირთი საბაჟო შემოწმების გარეშე, არამედ იმის უფლებასაც, რომ

<sup>1</sup> იხ. ვახტანგ ქარუმიძე, საქართველოს საბაჟო სამართალი, თბ., 1998, გვ. 10.

<sup>2</sup> საქართველოს საბაჟო კოდექსი მიღებულ იქნა 1997 წლის 31 დეკემბერს.

განახორციელონ საბაჟო კონტროლი. ასეთს შეიძლება მივაკუთვნოთ საბაჟოს მუშაკები (ინსპექტორები, კონტროლიორები და სხვ.), სასაზღვრო ჯარების თანამდებობის პირები, დიპლომატიური წარმომადგენლობის თანამდებობის პირები და სხვა. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის<sup>1</sup> მე- მუხლის თანახმად მოხელე არის პირი, რომელიც ინიშნება ან აირჩევა სახაზინო დაწესებულების საშტატო (შტატით გათვალისწინებულ) თანამდებობაზე. მოხელეები იყოფიან სახელმწიფო მოხელეებად და ადგილობრივ თვითმმართველობის მოხელეებად<sup>2</sup>. რაც შეეხება მოხელესთან გათანაბრებულ პირს, ასეთი შეიძლება იყოს პირი, თუ იგი სპეციალური უფლებამოსილების საფუძველზე ახორციელებს ერთჯერად ან მოკლევადიან უფლებამოსილებას. მაგრამ ეს უნდა მოხდეს სამართლებრივ საფუძველზე. მხოლოდ მოხელის ფუნქციის ფაქტობრივი შესრულება, სათანადო იურიდიული გაფორმების გარეშე, გამოირიცხავს დამნაშავეის ქმედების სამოხელეო დანაშაულით კვალიფიკაციას<sup>2</sup>.

„საბაჟო კონტროლის განმხორციელებლის მიმართ ძალადობა“ – ეს უნდა გავიგოთ ისეთნაირად, როცა საბაჟო საზღვარზე კონტროლის განმხორციელებელი პირის მიმართ ადგილი აქვს ფიზიკურ ზემოქმედებას (მაგალითად, ცემას, ჯანმრთელობისათვის მსუბუქ ან საშუალო სიმძიმის ზიანის მიყენებას), რათა იძულებული გახადონ იგი ხელი არ შეუშალოს საბაჟო საზღვარზე საქონლისა და სხვა საგნების უკანონო გადატანას ან გადმოტანას. თუ ძალადობამ გამოიწვია საბაჟო კონტროლის განმხორციელებლის სიკვდილი ან ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, მაშინ ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს ჩვენს მიერ განსახილველი 214-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ პუნქტითა და ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შესაბამისი მუხლით. აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ საბაჟო კონტროლის განმხორციელებლის მიმართ ძალადობა უნდა გავიგოთ არა მარტო როგორც ფიზიკური ძალადობა, არამედ ფსიქიკურიც, მაგალითად, იარაღით დამუქრება ან

---

<sup>1</sup> საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ მიღებულია 1997 წლის 31 ოქტომბერს.

<sup>2</sup> მოხელისა და მასთან გათანაბრებული პირის ინტერპრეტაციაზე იხილეთ: მ. ლეკვეიშვილი, გ. მამულაშვილი. პასუხისმგებლობა სახელმწიფო დანაშაულისათვის (კოქენტარი). თბ., 2000, გვ. 100-116.

გიპნოზის გამოყენება. დანაშაული დამთავრებულად ითვლება საქონლისა და სხვა საგნების (ნივთების) საბაჟო საზღვარზე გადატანის ან გადმოტანის მომენტიდან, ე. ი. მას ფორმალური შემადგენლობა გააჩნია.

საბაჟო წესის დარღვევის (კონტრაბანდის) სხვა დამამძიმებელ გარემოებათა განხილვაზე, კერძოდ, არაერთგზის მისი ჩადენისა და ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილ კონტრაბანდის დახასიათებაზე არ ვჩერდებით. რადგან მათი არსის შესახებ არაერთხელ აღინიშნა სხვა მუხლების იურიდიული ანალიზისას.

214-ე მუხლის (საბაჟო წესის დარღვევა) სუბიექტური მხარე ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. პირს გაცნობიერებული აქვს, რომ უკანონოდ ახდენს საქართველოს საბაჟო საზღვარზე მოძრავი ნივთების გადატანას ან გადმოტანას და სურს ასეთი მოქმედების ჩადენა.

საბაჟო წესის დარღვევის (კონტრაბანდის) სუბიექტია ყოველი შერაცხადი ფიზიკური პირი 14 წლის ასაკიდან.

## **§2. საქართველოს ან უცხო ქვეყნის ხალხთა კუთვნილი მხატვრული, ისტორიული ან არქეოლოგიური ღირებულების მქონე ნივთის საქართველოში დაუბრუნებლობა (სსკ 215-ე მუხლი)**

ამ მუხლის თანახმად დანაშაულადაა მიჩნეული საზღვარგარეთ გატანილი საქართველოს ან უცხო ქვეყნის ხალხთა კუთვნილი მხატვრული, ისტორიული ან არქეოლოგიური ღირებულების მქონე ნივთის დადგენილ ვადაში საქართველოში დაუბრუნებლობა, – რაც ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

განსახილველი მუხლის მიზანია კულტურულ ფასეულობათა შემოტანისა და გატანის წესების სისხლისსამართლებრივი დაცვა და საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ კულტურულ ფასეულობათა დაკარგვისათვის ხელის შეშლა, დამოუკიდებლად მათი საკუთრების ფორმისა. ეს მუხლი ვრცელდება იმ ურთიერთობათა სფეროზე, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოსა და უცხო ქვეყნების



ხალხთა მხატვრული, ისტორიული და არქეოლოგიური ღირებულების მქონე ნივთის (ქონების) გადაადგილებასთან საქართველოს საბაჟო საზღვარზე, ასევე იმ ვალდებულებებზე, რაც დაკავშირებულია გატანილი საგნების დაბრუნებასთან.

215-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის უშუალო ობიექტია ის საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფოს აბსოლუტურ სუბიექტურ უფლებას საქართველოს ან უცხო ქვეყნის ხალხთა კუთვნილ მხატვრულ, ისტორიულ ან არქეოლოგიური ღირებულების მქონე ნივთების მფლობელობაზე. სარგებლობასა და განკარგვაზე. რაც შეეხება დანაშაულის საგანს ასეთად გვევლინება მხატვრული, ისტორიული ან არქეოლოგიური ღირებულების მქონე ნივთები. თუ რა არის მხატვრული, ისტორიული და არქეოლოგიური ღირებულების მქონე ნივთები მათ განხილვას არ ვახდენთ, რადგან მათზე უკვე, დაწვრილებითი საუბარი გქონდა 214-ე მუხლის (საბაჟო წესის დარღვევა) ანალიზისას.

მთელ რიგ სახელმწიფოებში კულტურულ ფასეულობათა შემოტანისა და გატანის წესები სპეციალური კანონებით არის რეგლამენტირებული. ამ კანონებით დადგენილია ასევე ის საგნები, რომლებიც კულტურულ ფასეულობას<sup>1</sup> წარმოადგენენ (მაგალითად, ხატები, სკულპტურული ნაწარმოებები, სურათები, უნიკალური და იშვიათი მუსიკალური ინსტრუმენტები, ძველი მონეტები, უძველესი წიგნები და სხვ.).

საქართველოში დღეისათვის მოქმედებს 1999 წლის 25 ივნისის კანონი „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“. ამ კანონის მიზანია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა<sup>2</sup> და ამ სფეროში წარმომობილი სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგება. რაც შეეხება მისი მოქმედების სფეროს, იგი ვრცელდება საქართველოს

<sup>1</sup> ფასეულობა – ესაა ნებისმიერი მატერიალური და არამატერიალური ობიექტი, რომლის მიმართ საზოგადოებას ან მის თითოეულ წევრს აქვს შეფასების პოზიცია და აკუთვნებს მას მნიშვნელოვან როლს თავის ცხოვრებაში.

<sup>2</sup> კულტურული მემკვიდრეობის დაცვა – ესაა სამართლებრივ, ინსტიტუციურ, სააღრიცხვო, სამეცნიერო, საპროექტო-საძიებო, ტექნოლოგიურ, პრაქტიკულ, მაკონტროლებელ, საინფორმაციო, საგანმანათლებლო და სხვა ღონისძიებათა სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენას, მოვლა-პატრონობასა და მომავალი თაობებისათვის გადაცემას.

მოელ ტერიტორიაზე არსებულ კულტურის უძრავ ძეგლებზე<sup>1</sup>, უძრავი ძეგლის გადაადგილებად ფრაგმენტებზე<sup>2</sup>, კულტურის მოძრავ ძეგლებზე<sup>3</sup>, აგრეთვე ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტსა და კულტურის უძრავი ძეგლების დამცავ ზონებზე<sup>4</sup>, მიუხედავად მათი საკუთრების ფორმისა.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ხორციელდება სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების, იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ კანონით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა ფარგლებში. კულტურული მემკვიდრეობის სახელმწიფო დაცვას ახორციელებენ საქართველოს კულტურის სამინისტრო, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია და საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტი საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ან/და სამინისტროს მიერ დელეგირებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში.

კულტურული მემკვიდრეობის სახელმწიფო დაცვის განხორციელების მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, იქმნება კულტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამეცნიერო-მეთოდური საბჭო. სამინისტრო კოორდინაციას უწევს და ხელმძღვანელობს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში განხორციელებულ საქმიანობას.

---

<sup>1</sup> კულტურის უძრავი ძეგლი – ესაა მატერიალური კულტურის ძეგლი ან მისი ნაწილი, რომელიც ისტორიულად, ფუნქციურად და კომპოზიციურად შერწყმულია გარემოსთან და რომლის გადაადგილება შეუძლებელია ან დაკავშირებულია რთულ საინჟინრო ღონისძიებებთან და გაუმართლებელია მეცნიერული, ეთიკური და სხვა თვალსაზრისით.

<sup>2</sup> კულტურის უძრავი ძეგლის გადაადგილებადი ფრაგმენტი – ესაა კულტურის უძრავი ძეგლის არსებითი შემდგენელი ნაწილი, რომელიც გამოცალკევებულია კულტურის უძრავი ძეგლისაგან და კანონით აღიარებულია ცალკე უფლების ობიექტად.

<sup>3</sup> კულტურის მოძრავი ძეგლი – ესაა მატერიალური კულტურის ძეგლი, რომლის გადაადგილება არ ცვლის მის იმ თვისებებს, რომელთა გამოც მას მიენიჭა მოძრავი ძეგლის სტატუსი, და, რომელიც არ წარმოადგენს კულტურის უძრავი ძეგლის განუყოფელ ნაწილს.

<sup>4</sup> კულტურის უძრავი ძეგლის დაცვის ზონა – ესაა უძრავი ძეგლის უშუალოდ გარემომცველი ტერიტორია, რომლის სტატუსი უზრუნველყოფს უძრავი ძეგლის დაცვას ფიზიკური ზეგავლენისაგან.

საქართველოს კულტურის სამინისტრო კანონმდებლობით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა ფარგლებში: ა) შეიმუშავებს და ახორციელებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო პოლიტიკას; ბ) კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში შეიმუშავებს და გამოსცემს ნორმატიულ და ინდივიდუალურ აქტებს; გ) ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და მისი მდგომარეობის სისტემურ შემოწმებას; დ) ადგენს და ასრულებს ძეგლთა სახელმწიფო რეესტრში შეტანისა და სახელმწიფო რეესტრიდან ამორიცხვის წესებს; ე) აკონტროლებს მოძრავი ძეგლისა და ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტის<sup>1</sup> საზღვარგარეთ გატანისა და საქართველოში შემოტანის პროცესს; ვ) საბჭოსთან შეთანხმებით ამტკიცებს დეპარტამენტის მიერ შემუშავებულ ძეგლებზე ჩასატარებელი სამუშაოების ყოველწლიურ გეგმას (სამინისტროს სხვა ფუნქციებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში განსაზღვრავს სამინისტროს დებულება).

საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი კანონმდებლობით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა ფარგლებში: ა) ავლენს და აღრიცხავს ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტებს (გარდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის კომპეტენციაში შემავალი მოძრავი ძეგლებისა), უზრუნველყოფს მათ ექსპერტიზასა და კლასიფიკაციას; ბ) უზრუნველყოფს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სააღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენასა და რეგისტრაციას; გ) შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან ერთად უზრუნველყოფს არქეოლოგიური ზონებისა<sup>2</sup> და უძრავი ძეგლების დამცავი ზონების დადგენა-დამტკიცებას; დ) ქმნის კულტურული მემკვიდრეობის ერთიან საინფორმაციო ბანკს; ე) ძეგლთა შეფასებასთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით გამოყოფს ექსპერტებს და ქმნის საექსპერტო კომისიებს;

---

<sup>1</sup> ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტი — ესაა ახლად აღმოჩენილი ან ადრე ცნობილი ობიექტი, რომელზედაც ვრცელდება ძეგლის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული ღონისძიებები.

<sup>2</sup> არქეოლოგიური ზონა — ესაა არქეოლოგიური დაზვერვის ან გათხრების შედეგად დასაბუთებულად განსაზღვრული ტერიტორია, რომელიც შეიცავს კულტურულ ფენას და რომლის ფარგლებშიც მოსალოდნელია ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტების აღმოჩენა.

ვ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიმუშავებს და აფინანსებს კულტურული მემკვიდრეობის<sup>1</sup> დაცვის მიზნობრივ სახელმწიფო პროგრამებს; ზ) კონტროლს უწევს უძრავი ძეგლისა და მისი დამცავი ზონების გათვალისწინებას მიწის კადასტრისა და ქალაქგეგმარებითი დოკუმენტაციის შედგენის დროს; თ) შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან ერთად აჩერებს ყველა სახის სამუშაოს, რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კულტურულ მემკვიდრეობას; ი) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართ აყენებს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საკითხს და სამართალდამცავ ორგანოებს წერილობით აცნობებს კანონის დარღვევის შესახებ; კ) მოძრავი ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტის გამოვლენისა და მოძრავი ძეგლის დაცვის მიზნით კონტროლს უწევს ანტიკვარული ნივთებით<sup>2</sup> ვაჭრობას; ლ) აწყობს ტენდერებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და კანონით დადგენილი სხვა შემოსავლებიდან ძეგლზე სამუშაოების ჩასატარებლად; მ) მონაწილეობს ძეგლზე ჩატარებული სამუშაოების მიმღებ კომისიაში, მიუხედავად ამ ძეგლის საკუთრების ფორმისა და სამუშაოს შემსრულებლისა; ნ) საომარი მოქმედებისა და საგანგებო მდგომარეობის დროს საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად ზრუნავს კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე; ო) ასრულებს საქართველოს კანონმდებლობითა და დეპარტამენტის დებულებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია კანონმდებლობით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა ფარგლებში უზრუნველყოფს მისდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებებში არსებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და გამოყენებას, აწარმოებს ძეგლთა გამოვლენას, შეგროვებას, მეცნიერულად შესწავლასა და პოპულარიზაციას. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული არქეოლოგიური კომისია გეგმავს, კოორდინაციასა და ზედამხედველობას უწევს არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარებას და სამინისტროსთან შეთანხმებით გასცემს ამგვარი სამუშაოების ჩატარების

<sup>1</sup> კულტურული მემკვიდრეობა — ესაა კულტურის ის ნაწილი, რომელმაც საზოგადოების განვითარების პროცესში დაიმკვიდრა, შეინარჩუნა და აღიდგინა ფასეულობის მნიშვნელობა და გადაეცემა თაობიდან თაობას.

<sup>2</sup> ანტიკვარული ნივთი — ესაა ასი და მეტი წლის წინათ შექმნილი კულტუროლოგიური თვალსაზრისით ღირებული საგანი.

ნებართვას (ღია ფურცელს). კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სხვა ფუნქციებს განსაზღვრავს შესაბამისი კანონმდებლობა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დებულება.

საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტი საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა ფარგლებში: ა) უზრუნველყოფს ეროვნულ საარქივო ფონდში არსებული კულტურული მემკვიდრეობის დოკუმენტაციის აღრიცხვასა და აღწერას და პასუხისმგებელია მათ სათანადო დაცვაზე; ბ) აღრიცხული და აღწერილი დოკუმენტების შესახებ ინფორმაციას გადასცემს „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ კანონის ძალით შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოს მათი სახელმწიფო რეესტრში<sup>1</sup> შესატანად; გ) სამინისტროსა და სხვა შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან ერთად იღებს გადაწყვეტილებას დაზიანებული დოკუმენტების კონსერვაციისა<sup>2</sup> და რესტავრაციის<sup>3</sup> შესახებ (კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის სხვა ფუნქციებს განსაზღვრავს შესაბამისი კანონმდებლობა და საქართველოს სახელმწიფო საარქივო დეპარტამენტის დებულება.

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს პრეზიდენტთან იქმნება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამეცნიერო-მეთოდური საბჭო. თავისი სტატუსით საბჭო არის სამთავრობო კომისია, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება 12 მაღალკვალიფიური სპეციალისტით. საბჭო იქმნება 5 წლის ვადით და მოქმედებს საქართველოს პრეზიდენტის მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად.

„კულტურულ ფასეულობათა საზღვარგარეთ გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტში, რომელიც უახლოეს დღეებში იქნება მიღებული, ხაზი გაესმის იმ ნივთების კატეგორიებს, რომლებზედაც გავრცელდება კანონის

---

<sup>1</sup> ძველთა სახელმწიფო რეესტრი – ესაა სახელმწიფოს მიერ წარმოებული ძველთა სარეგისტრაციო ნუსხა.

<sup>2</sup> კონსერვაცია – ესაა ძველის არსებული მდგომარეობის შენარჩუნების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების ერთობლიობა.

<sup>3</sup> რესტავრაცია – ესაა ძველის დაზიანებული ან დაკარგული ფრაგმენტების მეცნიერული მეთოდებით აღდგენა.

მოქმედება<sup>1</sup>. სახელდობრ. ესენია: ა) ფლორისა და ფაუნის, მინერალოგიის, ანატომიისა და იმ ნივთების იშვიათი კოლექციები და ნიმუშები, რომლებიც საინტერესოა პალეონტოლოგიისათვის<sup>2</sup>; ბ) ღირებულუბანი, რომლებიც დაკავშირებულია ისტორიასთან, მათ შორის მეცნიერებისა და ტექნიკის, ომებისა და საზოგადოების ისტორიასთან, აგრეთვე ეროვნულ მოღვაწეთა, მოაზროვნეთა, მეცნიერთა, ხელოვანთა და სპორტსმენტთა ცხოვრებასთან და დიდმნიშვნელოვან ეროვნულ ფაქტებთან; გ) არქეოლოგიური მონაპოვრები (მათ შორის ჩვეულებრივი და საიდუმლო) და არქეოლოგიური აღმოჩენები; დ) დანაწევრებული მხატვრული და ისტორიული ძეგლების და არქეოლოგიური ადგილების შემადგენელი ნაწილები; ე) 100 წელზე მეტი ხნის ძველებური ნივთები, როგორცაა წარწერები, ნაბეჭდი მონეტები და ბეჭდები; ვ) ეთნოგოლოგიური მასალები<sup>3</sup>; ზ) ნებისმიერი საშუალებითა და ნებისმიერი მასალით ერთიანად ხელით შესრულებული ტილოები, სურათები, ნახატები (ნახაზებისა და ხელით შემკული სამრეწველო ნაწარმის გარდა) და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები; თ) ქანდაკების ხელოვნების ორიგინალური ნაწარმოებები ნებისმიერი

---

<sup>1</sup> კანონის პროექტის მიხედვით კულტურული ფასეულობა – ესაა არქეოლოგიისათვის, ისტორიამდელი პერიოდისათვის, მეცნიერებისა და სპორტისათვის მნიშვნელოვანი სასულიერო თუ საერო ხასიათის ფასეულობა, რომელიც: ა) შექმნილია საქართველოს ტერიტორიაზე ქართველი ერის ან სხვა იმ ერების მიერ, რომლებიც ცხოვრობდნენ ან ცხოვრობენ საქართველოს ტერიტორიაზე; ბ) შექმნილია საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს მოქალაქეობის არმქონე იმ უცხოელი მოქალაქეების მიერ, რომლებიც ცხოვრობდნენ ან ცხოვრობენ საქართველოს ტერიტორიაზე; გ) აღმოჩენილია საქართველოს ტერიტორიაზე; დ) წარმოადგენენ საჩუქარს ან შეძენილია იმ უცხო სახელმწიფოთა შესაბამისი ორგანოების თანხმობით, სადაც შექმნილია ეს კულტურული ფასეულობანი; ე) შეძენილია საქართველოს არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და საბუნებისმეტყველო ექსპედიციების მიერ იმ უცხო სახელმწიფოთა შესაბამისი ორგანოების თანხმობით, სადაც შექმნილია ეს კულტურული ფასეულობანი.

<sup>2</sup> პალეონტოლოგია – ესაა მეცნიერება გადაშენებულ ცხოველთა და მცენარეთა შესახებ; სწავლობს მათ განამარხებული ნაშთების მიხედვით.

<sup>3</sup> ეთნოლოგია – ესაა ტერმინი, რომელსაც იყენებენ ეთნოგრაფიის ნაცვლად. ეს უკანასკნელი არის ისტორიული მეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს ხალხთა ყოფაცხოვრებას, მათ ნივთიერ და სულიერ კულტურას. სხვანაირად ესაა ხალხთმცოდნეობა (ამა თუ იმ ხალხის ან ტომის ყოფაცხოვრებისა და კულტურის თავისებურებათა ერთობლიობა).

მასალისაგან; ი) ორიგინალური გრაფიურები<sup>1</sup>, ესტამპები<sup>2</sup> და ლითოგრაფია<sup>3</sup>; კ) ორიგინალური მხატვრული შენარჩევი და მონტაჟი ნებისმიერი მასალისაგან; ლ) იშვიათი ხელნაწერები და ინკუნაბულები<sup>4</sup>, ძველი წიგნები, გუჯრები<sup>5</sup> და გამოცემები, რომლებიც განსაკუთრებულ ინტერესს (ისტორიულ, მხატვრულ, სამეცნიერო, ლიტერატურულ და სხვ.) იწვევს ცალ-ცალკე და კოლექციებად; მ) მიმოქცევიდან ამოღებული საფოსტო მარკები, საგადასახადო და ანალოგიური მარკები ცალ-ცალკე ან კოლექციებად; ნ) არქივები, მათ შორის ფონო, ფოტო და კინოარქივები; ო) 100 წელზე მეტი ხნის ავეჯი და ძველი მუსიკალური საკრავები. კანონის მოქმედება არ გავრცელდება თანამედროვე სუვენირული ხასიათის ნაკეთობებზე, აგრეთვე სერიული და მასიური წარმოების კულტურული დანიშნულების ნივთებზე.

პროექტის მე-5 მუხლში ხაზი გაესმის იმ კულტურულ ფასეულობებს, რომლებიც არ ექვემდებარებიან საქართველოდან გატანას. სახელდობრ, აკრძალულია საქართველოს ფარგლებს გარეთ იმ კულტურული ფასეულობების გატანა, რომლებსაც სახელმწიფოს მიერ მინიჭებული აქვს განსაკუთრებული სტატუსი. ასეთად კი მიჩნეულია: ა) გადაადგილებადი ნივთები, რომლებსაც გააჩნია განსაკუთრებული ეროვნული ან ადგილობრივი მნიშვნელობის ისტორიული, მხატვრული ან სხვა კულტურული ღირებულება და მიეკუთვნებიან საქართველოს ხალხების კულტურული მემკვიდრეობის განსაკუთრებულად ფასეულ ობიექტებს, მიუხედავად მათი შექმნის

---

<sup>1</sup> გრაფიურა — ესაა მხატვრული ნაწარმოები, რომელიც შექმნილია გრაფიურებით ლითონის, ხის, ქვის, მინის ან სხვა მაგარი მასალის გლუვ ზედაპირზე. გრაფიურა გრაფიკის სახეა.

<sup>2</sup> ესტამპი — ესაა დაზგური ბეჭდვითი გრაფიკის ნაწარმოები, ნახატის ანაბეჭდი ქაღალდზე. მისი ყველაზე გავრცელებული სახეობებია გრაფიურა და ლითოგრაფია.

<sup>3</sup> ლითოგრაფია — ესაა ბეჭდვა სპეციალური ბრტყელი ქვის ან რკინის ზედაპირიდან, რომელზედაც წინასწარ ხატავენ.

<sup>4</sup> ინკუნაბულები — ესაა პირველი ნაბეჭდი წიგნები (1501 წლამდე), გარეგნულად ხელნაწერების მსგავსი (შემონახულია 40.000-მდე ასეთი წიგნი).

<sup>5</sup> გუჯარი — ესაა სიგელის აღმნიშვნელი ტერმინი XVII საუკუნის საქართველოში. მოგვიანებით ჩამოყალიბდა ერთიანი ტერმინი — სიგელ-გურჯი.

დროისა; ბ) გადაადგილებადი ნივთები, რომლებიც სახელმწიფოს მიერ შეტანილია დაცვით სიებსა და რეესტრებში. ან გადაადგილებადი ნივთები, რომლებსაც ამ კანონის მოთხოვნათა საფუძველზე საქართველოს კულტურის სამინისტრო შეიტანს დაცვით სიებსა და რეესტრებში და რომელთაც იცავს სახელმწიფო; გ) კულტურული ფასეულობანი, რომლებიც მათი აღმოჩენის ან შექმნის დროიდან მუდმივად ინახება სახელმწიფო სამუზეუმო ფონდებში, არქივებში, ბიბლიოთეკებში. კულტურული ფასეულობის დაცვის სხვა სახელმწიფო დაწესებულებებში, აგრეთვე საკუთრების სხვა ფორმით არსებული ანალოგიურ დანიშნულების დაწესებულებებში; დ) სხვა უნიკალური კულტურული ფასეულობა, რომელიც პირდაპირ არაა მითითებული ამ კანონში.

იმ კულტურულ ფასეულობათა კონკრეტულ ნუსხას, რომელიც არ ექვემდებარება საქართველოდან გატანას, ცალკე სახელმწიფო რეესტრის სახით ადგენს და ამტკიცებს საქართველოს კულტურის სამინისტრო.

კანონის პროექტში განმარტებულია ისეთი ცნებები, როგორცაა:

1. კულტურულ ფასეულობათა საზღვარგარეთ გატანა (ნებისმიერი პირის მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრების გადაკვეთის გზით საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ კულტურულ ფასეულობათა გადაადგილება მათი უკან შემოტანის ვალდებულების გარეშე);
2. კულტურულ ფასეულობათა საზღვარგარეთ დროებითი გატანა (ნებისმიერი პირის მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრების გადაკვეთის გზით საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ კულტურულ ფასეულობათა გადაადგილება დადგენილ ვადებში მათი უკან შემოტანის ვალდებულებით);
3. კულტურულ ფასეულობათა საზღვარგარეთიდან შემოტანა (ნებისმიერი პირის მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრების გადაკვეთის გზით კულტურულ ფასეულობათა შემოტანა დადგენილ ვადებში მათი უკან გატანის ვალდებულებით).
- და 4. კულტურულ ფასეულობათა საზღვარგარეთიდან დროებით შემოტანა (ნებისმიერი პირის მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრების გადაკვეთის გზით კულტურულ ფასეულობათა შემოტანა დადგენილ ვადებში მათი უკან გატანის ვალდებულებით).

ამავე პროექტის მე-6 მუხლის თანახმად აკრძალულია იმ კულტურულ ფასეულობათა საქართველოში შემოტანა, რომლებზედაც უცხო სახელმწიფოთა შესაბამისი ორგანოების შეტყობინების საფუძველზე გამოცხადებულია ძებნა.



ზემოაღნიშნულიდან აშკარაა, რომ „კულტურულ ფასეულობათა საზღვარგარეთ გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ“ კანონის მიღების მიზანია დაიცვას საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კულტურული ფასეულობების ძარცვისაგან, უკანონო არქეოლოგიური გათხრებისა და კულტურული ფასეულობების საქართველოდან გატანისაგან, რაც შეიძლება წარმოადგენდეს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გაღარბების ერთ-ერთ მიზეზს. კანონი მოწოდებულია ხელი შეუწყოს საქართველოს და სხვა სახელმწიფოთა ხალხებს შორის კულტურული ურთიერთობების განმტკიცებას, ერთმანეთის კულტურულ ფასეულობათა გაცნობას, ერთმანეთის შესახებ ცოდნის, პატივისცემისა და ურთიერთგაგების გაღრმავებას. კანონი უზრუნველყოფს საქართველოსა და უცხო სახელმწიფოთა ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ საქართველოში დროებით შემოტანილ და საქართველოდან გატანილ კულტურულ ფასეულობათა დაცვასა და დაბრუნებას. ეს კანონი, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებთან, ერთად დაარეგულირებს ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებულ ეკონომიკური, ორგანიზაციული და სამართლებრივი ურთიერთობის საკითხებს.

215-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება საზღვარგარეთ გატანილი საქართველოს ან უცხო ქვეყნის ხალხთა კუთვნილი მხატვრული, ისტორიული ან არქეოლოგიური ღირებულების მქონე ნივთის დადგენილ ვადაში საქართველოში დაუბრუნებლობაში, ესე იგი ამ დანაშაულის ჩადენა ხდება უმოქმედობით. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ მაშინ, თუ დასახელებელი საგნების საქართველოში დაბრუნება სავალდებულოა მოქმედი კანონმდებლობით და ეს რეალურად შესაძლებელია. ეს დანაშაული დაშთავრებულად უნდა მივიჩნიოთ იმ მომენტიდან, როცა ნივთის (საგნების) დაბრუნების დადგენილი ვადა გავიდა. მოცემული დანაშაული თავისი კონსტრუქციის მიხედვით ფორმალურ დანაშაულთა ჯგუფს განეკუთვნება. როგორც ზემოთ შევნიშნეთ კულტურულ ფასეულობათა დაბრუნების ვადა დგინდება ამა თუ იმ პირისათვის მათი დროებითი გატანის უფლების მინიჭებისას უკან დაბრუნების ვალდებულებით, ხოლო კულტურულ ფასეულობათა დროებითი გატანა ხდება სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა და კულტურული

ფასეულობების გატანის უფლების მოწმობის საფუძველზე. კულტურულ ფასეულობათა დროებითი გატანის ნებართვაში ღვინდება მოცემული ნივთების (საგნების) დაბრუნების ვალდებულება. ეს უკანასკნელი შეიცავს დაბრუნების ვადას, მითითებას იმ პირზე ვინც მოვალეა დააბრუნოს შესაბამისი ნივთი (საგნები), დაბრუნების პირობებსა და გარანტიებს, ასევე სამართლებრივ საფუძველებს. კულტურულ ფასეულობათა დროებითი გატანა შეიძლება მოხდეს ხელშეკრულების საფუძველზე, გატანის მიზნისა და მათი უკან დაბრუნების ვადის მითითებით. კულტურულ ფასეულობათა გატანა ასევე შეიძლება განპირობებული იყოს გამოფენის ჩატარებით, გამოსაკვლევად ან რესტავრაციით.

უკანონოდ ითვლება კულტურულ ფასეულობათა საზღვარგარეთ გატანა, შემოტანა და მათზე საკუთრების უფლების გადაცემა, თუ დარღვეულია ამ კანონით (იგულისხმება „კულტურულ ფასეულობათა საზღვარგარეთ გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ“ კანონი), საქართველოს საბაჟო ან სხვა კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები, ასევე თუ იგი უცხო სახელმწიფოს მიერ ქვეყნის ნაწილობრივი ან სრული ოკუპაციის ან ქვეყნის ცალკეულ ტერიტორიების სახელმწიფო იურისდიქციის სხვა მიზეზით დაკარგვის პირდაპირი ან ირიბი შედეგია.

საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ნივთის მესაკუთრეს უფლება აქვს დასვას საკითხი საქართველოს შესაბამისი ორგანოების წინაშე იმის თაობაზე, რომ მას სახელმწიფო მხარდაჭერა აღმოუჩინონ იმ ნივთის დასაბრუნებლად, რომელიც წარმოადგენს მის საკუთრებას და იგი საქართველოდან უკანონოდ არის გატანილი საზღვარგარეთ და/ან უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე იმყოფება სხვის უკანონო მფლობელობაში. ამ კატეგორიის ნივთებზე კანონიერი მესაკუთრის უფლების აღდგენისათვის საჭირო მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელების გარანტი არის სახელმწიფო. როგორც ვხედავთ საზღვარგარეთიდან საქართველოში უკანონოდ შემოტანილი ან საქართველოს ტერიტორიაზე უკანონო მფლობელობაში არსებული კულტურული ფასეულობები ექვემდებარებიან მესაკუთრისათვის დაბრუნებას. დაბრუნება კი ხდება მომთხოვნი მხარის განცხადების საფუძველზე. ნივთების ამოღებისა და დაბრუნების შემთხვევაში, საქართველოს ტერიტორიაზე მათი გადაადგილების ხარჯებს გაიღებს

მომთხოვნი მხარე. საზღვარგარეთიდან უკანონოდ შემოტანილ კულტურულ ფასეულობათა მესაკუთრისათვის დაბრუნების გარანტი არის სახელმწიფო. საქართველოს ტერიტორიაზე უკანონოდ შემოტანილ კულტურულ ფასეულობათა ამოღებისა და მისი კანონიერი მფლობელობისათვის დაბრუნების შემთხვევაში მის კეთილსინდისიერ შემძენს, მომთხოვნი მხარის მიერ უნდა გადაეხადოს ამ კულტურული ფასეულობის კომპენსაცია, თუ მომთხოვნი მხარე არის საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოს მოქალაქე ან იურიდიული პირი ან სხვა ორგანო, იმ პირობით, თუ ამ საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულია ასეთი კომპენსაციების გადახდა. სხვა შემთხვევაში გადახდა მოხდება ნებაყოფლობით ან საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე.

215-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტური მხარე გულისხმობს პირდაპირ განზრახვას. ბრალდებულს გაცნობიერებული აქვს, რომ დადგენილ ვადაში არ აბრუნებს საზღვარგარეთ გატანილ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ხალხთა კუთვნილ მხატვრულ, ისტორიულ ან არქეოლოგიური ღირებულების მქონე ნივთს და სურს ასეთი უმოქმედობის გამოვლენა (ჩადენა). მოტივებს, თუ რა მიზნით მიმართავს აღნიშნული სახის ნივთების (საგნების) საქართველოში დაუბრუნებლობას, ამ დანაშაულის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს. მას მოსამართლე გაითვალისწინებს სასჯელის შეფარდებისას.

დანაშაულის სუბიექტია ყოველი შერაცხადი ფიზიკური პირი 14 წლის ასაკიდან, ესე იგი პირი, რომელსაც ევალებოდა დადგენილ ვადაში მხატვრული, ისტორიული ან არქეოლოგიური ღირებულების მქონე ნივთების (საგნების) დაბრუნება საქართველოსათვის.

### §3. საქართველოს ტერიტორიაზე მიმოქცევაში არსებული ეროვნული ვალუტის გამოყენების წესის დარღვევა (სსკ 216-ე მუხლი)

ამ მუხლის პირველი ნაწილის ძალით დანაშაულადაა მიჩნეული საქართველოს ტერიტორიაზე მიმოქცევაში არსებული ეროვნული ვალუტის გამოყენების წესის დარღვევა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, – რაც ისჯება ჯარიმით, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

მეორე ნაწილი დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევს იგივე ქმედებას, ჩადენილს: ა) ჯგუფურად; ბ) ასეთი დანაშაულისათვის მსჯავრდებულის მიერ, – რაც ისჯება ჯარიმით ან ტუსალობით ვადით სამ თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე. თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

ამ დანაშაულის უშუალო ობიექტია ის ურთიერთობები, რომელიც არეგულირებს საქართველოს ტერიტორიაზე ეროვნული ვალუტის გამოყენების წესს. სხვანაირად თუ ვიტყვით, ობიექტია ჩვენი ქვეყნის საფინანსო საქმიანობა და ფინანსური ინტერესები. ეროვნული ვალუტა – ესაა დამოუკიდებელი სუვერენული ქვეყნის ფულის ერთეული, რომლითაც ხდება უცხო ქვეყნებთან საერთაშორისო ანგარიშსწორება და ქვეყნის შიგნით საქონელბრუნვა. საქართველოში 1995 წლის 2 ოქტომბრიდან ერთადერთი საგადასახადო საშუალებაა „ლარი“. საქართველოს ეროვნული ბანკის ორგანულ კანონში (მიღებულია 1995 წლის 23 ივნისს, ძალაში შევიდა ამავე წლის 1 ივლისიდან) ხაზი გაესმის იმას, რომ „საქართველოს ფულის ერთეულია „ლარი“. ლარი შედგება „100 თეთრისაგან“. ლარი არის ერთადერთი კანონიერი საგადასხდელ საშუალება საქართველოს ტერიტორიაზე. ეროვნული ბანკი ადგენს და არეგულირებს ლარის გადაცვლის კურსს უცხოური ვალუტის მიმართ. თუ ეროვნული ბანკი არ გამოაცხადებს ლარის კურსს უცხოური ვალუტის მიმართ, მაშინ კურსი განისაზღვრება ბაზარზე თავისუფალი მოთხოვნისა და მიწოდების საფუძველზე. ლარი (მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფული, მიმდინარე, ვადიანი და საბანკო ანგარიში) უზრუნველყოფილია ოქროს მარაგით, უცხოეთის ქვეყნების სავალუტო კრედიტებითა და ეროვნული ბანკის სხვა აქტებით. ეროვნულ ბანკს ექსკლუზიური

უფლება აქვს განახორციელოს ბანკოტებისა და მონეტების, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე გადახდის კანონიერი საშუალებების ემისია. ეროვნული ბანკის მიერ გადახდის კანონიერი საშუალებების სახით გამოშვებულ ბანკოტებსა და მონეტებს, რომლებიც მიმოქცევიდან არ არის ამოღებული, შესასრულებლად იღებენ ნომინალური ღირებულებით ნებისმიერი სახელმწიფო თუ კერძო ვალის დასაფარავად საქართველოს ტერიტორიაზე. ეროვნული ბანკი უზრუნველყოფს ბანკოტების დაბეჭდვასა და მონეტების მოჭრას, მიმოქცევაში გაშვებული ბანკოტების საიმედო შენახვას. ეროვნული ბანკი მიმოქცევიდან იღებს და ანადგურებს შემდგომი გამოყენებისათვის უვარგის ფულის ნიშნებს და ცვლის მათ ახლით. ეროვნული ბანკი უშუალოდ აკონტროლებს ნაღდი ფულის მარაგს, ადგენს მისი ემისიის გეგმებს, ბანკოტებითა და მონეტებით უზრუნველყოფს საქართველოს ეკონომიკას.

როგორც ვხედავთ საქართველოს ტერიტორიაზე მიმოქცევაში ლარის ბანკოტები და ლითონის მონეტები. საქართველოს ტერიტორიაზე მიმოქცევაში არსებული ეროვნული ვალუტის გამოყენება იმას გულისხმობს, რომ საქართველოში საქონლის ყიდვა ან გაყიდვა უნდა მოხდეს მხოლოდ ლარისა და ლითონის მონეტების საშუალებით და არა სხვა ქვეყნის ფულზე.

განსახილველი დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება საქართველოს ტერიტორიაზე მიმოქცევაში არსებული ეროვნული ვალუტის გამოყენების წესის დარღვევაში, რამაც, ცხადია, მნიშვნელოვანი ზიანი უნდა გამოიწვიოს. საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკა ეროვნული ვალუტის გამოყენების წესის დარღვევად მიიჩნევს საქართველოს ტერიტორიაზე მატერიალური საგნების, ნივთების, საქონლისა და ა. შ., ყიდვას ან გაყიდვას უცხო ქვეყნის ფულზე (მაგალითად, სტერლინგზე, დოლარზე, ფრანკზე, მარკაზე, რუბლზე და სხვ.). ვინაიდან განსახილველი 216-ე მუხლის დისპოზიცია ბლანკეტურია, ამდენად ამ დანაშაულის ობიექტური მხარის შინაარსის გარკვევისათვის საჭიროა მივმართოთ იმ ნორმატიული ხასიათის აქტებს, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე მიმოქცევაში არსებული ეროვნული ვალუტის გამოყენების წესებს ადგენენ. ეროვნული ვალუტის გამოყენების წესის დარღვევამ მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია თუ არა ეს ფაქტის საკითხია და სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს საქმის კონკრეტულ გარემოებათა ყოველმხრივი

შესწავლისა და შეფასების საფუძველზე. მოცემული დანაშაულის შემადგენლობა მატერიალურია. იგი დამთავრებულად ითვლება მნიშვნელოვანი ზიანის გამოწვევის მომენტიდან.

სუბიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში. ბრალდებულს გაცნობიერებული აქვს ის, რომ არღვევს მიმოქცევაში არსებულ ეროვნული ვალუტის გამოყენების წესებს და სურს ასეთი ქმედების ჩადენა. მოტივსა და მიზანს დანაშაულის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს, მათ სასამართლო გაითვალისწინებს სასჯელის ინდივიდუალიზაციის დროს.

მოცემული დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს ყოველი შერაცხადი ფიზიკური პირი 14 წლის ასაკიდან.

216-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ დამამძიმებელი გარემოებიდან იგივე ქმედების ჩადენა ჯგუფურად უნდა გავიგოთ ისეთნაირად, როგორც ამის შესახებ წერია სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლში (ჯგუფური დანაშაული). ამ მუხლში წერია შემდეგი: 1. დანაშაული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში წინასწარ შეუთანხმებლად ერთობლივად მონაწილეობდა ორი ან მეტი ამსრულებელი; 2. დანაშაული ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებითაა ჩადენილი, თუ მასში მონაწილენი წინასწარ შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად; 3. დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ იგი განახორციელა პირთა მყარმა ჯგუფმა, რომლებიც წინასწარ შეკავშირდნენ რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად.

მეორე დამამძიმებელ გარემოებასთან დაკავშირებით (იგივე ქმედება, ჩადენილი: ასეთი დანაშაულისათვის მსჯავრდებულის მიერ) უნდა შევნიშნოთ რომ ამ შემთხვევაში სპეციალურ რეციდივთან გვაქვს საქმე და მას კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა ექნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წინა ნასამართლობა გაქარწყლებული ან მოხსნილი არ იქნება კანონით დადგენილი წესით.

#### §4. საზღვარგარეთიდან უცხოურ ვალუტაში თანხის დაუბრუნებლობა (სსკ 217-ე მუხლი)

ამ მუხლის მიხედვით დანაშაულადაა მიჩნეული საზღვარგარეთიდან უცხოურ ვალუტაში თანხის დაუბრუნებლობა, თუ საქართველოს კანონმდებლობით სავალდებულოა მისი გადმორიცხვა საქართველოს უფლებამოსილი ბანკის ანგარიშზე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, – რაც ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

მოცემული მუხლის მიზანია სავალუტო ოპერაციების შესრულების წესის სისხლისსამართლებრივი დაცვა, სავალუტო ბაზრის საქმიანობისა და სახელმწიფოს საფინანსო ინტერესების სტაბილურობის შენარჩუნება.

განსახილველი დანაშაულის უშუალო ობიექტია ის საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლითაც რეგულირებულია საზღვარგარეთიდან უცხოურ ვალუტაში თანხის დაბრუნების წესი. სხვანაირად თუ ვიტყვით, უშუალო ობიექტია საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სახელმწიფოებრივი რეგულირების სფეროში წარმოშობილი ურთიერთობები, რომლებზეც ანგარიშსწორება უცხოურ ვალუტაში ხდება. ძალზე მოკლედ თუ ვიტყვით განსახილველი დანაშაულის ობიექტია – საზოგადოებრივი ურთიერთობები სავალუტო რეგულირების სფეროში. რაც შეეხება დანაშაულის საგანს, ასეთად გვევლინება ფულადი სახსრები უცხოურ ვალუტაში. უცხოური ვალუტა – ესაა ფულადი ერთეული, რომელიც საფუძვლად უდევს სხვა სახელმწიფოთა ფულად სისტემას: აშშ დოლარი, დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი და ა. შ. ეს სახსრები განსახილველი დანაშაულის საგანი შეიძლება გახდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი საზღვარგარეთ იმყოფება და ექვემდებარება სავალდებულო გადმორიცხვას საქართველოს უფლებამოსილი ბანკის ანგარიშზე. უფლებამოსილ ბანკად უნდა მივიჩნიოთ, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს ეროვნული ბანკი (რომელიც არის საქართველოს ცენტრალური ბანკი, ბანკთა ბანკი, საქართველოს მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი, წარმოადგენს იურიდიულ პირს), ასევე სხვა ბანკები, რომლებიც იურიდიული პირები არიან და რომლებიც აწარმოებენ მოქალაქეებისა და დაწესებულებებისაგან ფულადი ანაბრების, სხვა დასაბრუნებელი სახსრების მიღებასა და კრედიტების გაცემას.

217-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება საზღვარგარეთიდან უცხოურ ვალუტაში თანხის დაუბრუნებლობაში, მაშინ როცა სავალდებულოა მათი გადმორიცხვა საქართველოს უფლებამოსილი ბანკის ანგარიშზე. როგორც ვხედავთ ამ დანაშაულის ობიექტური მხარე უმოქმედობაში ელინდება. უმოქმედობის კონკრეტული გამოვლინება შეიძლება იყოს: განკარგულების გაუცემლობა გადარიცხვის შესახებ, საბანკო დოკუმენტებზე განზრახ ხელის მოუწერლობა და ა. შ. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განსახილველი მუხლით დადგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული პირი ვალდებული იყო დაებრუნებინა თანხები საქართველოში და თუ მას ასეთი მოქმედების შესრულების შესაძლებლობა რეალურად ჰქონდა. განსახილველი დანაშაული თავისი კონსტრუქციის მიხედვით მატერიალურ დანაშაულთა ჯგუფს მიეკუთვნება. იგი დამთავრებულად ჩაითვლება თუ უფლებამოსილი ბანკის ანგარიშზე საზღვარგარეთიდან უცხოურ ვალუტაში თანხის დაუბრუნებლობამ მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. მნიშვნელოვან ზიანს, როგორც შეფასებით კატეგორიას, განსაზღვრავს საქმის განმხილველი სასამართლო მტკიცებულებათა შეგროვების, გაანალიზებისა და შეფასების საფუძველზე.

სუბიექტური მხრივ განსახილველი დანაშაული ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. ბრალდებულს გაცნობიერებული აქვს, რომ იგი ვალდებულია გადარიცხოს თანხა საქართველოს უფლებამოსილ ბანკში, მაგრამ ამას არ აკეთებს, რადგან სურს ასეთი უმოქმედობის ჩადენა. დანაშაულის მოტივსა და მიზანს დანაშაულის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს, თუმცა მას სასამართლო გათვალისწინებს სასჯელის შეფარდებისას.

საზღვარგარეთიდან უცხოურ ვალუტაში თანხის დაუბრუნებლობის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, რომლებიც ვალდებულნი არიან გადმორიცხონ სავალუტო თანხები საზღვარგარეთიდან ან გააკონტროლონ მათი ჩარიცხვა.



## §5. გადასახადისათვის თავის არიდება (სსკ 218-ე მუხლი)

ეს მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი დანაშაულად მიიჩნევს დიდი ოდენობით გადასახადისათვის თავის არიდებას, — რაც ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

მეორე ნაწილი დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევს იგივე ქმედებას, ჩაღვნილს: ა) არაერთგზის; ბ) განსაკუთრებით დიდი ოდენობით. — რაც ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ხუთ წლამდე.

განსახილველ მუხლს გააჩნია შენიშვნა სადაც ხაზი გაესმის იმას, რომ დიდ ოდენობად ითვლება გადაუხდელი თანხა ორი ათასიდან ათი ათას ლარამდე, ხოლო განსაკუთრებით დიდ ოდენობად — გადაუხდელი თანხა ათი ათასი ლარის ზევით.

განსახილველი დანაშაულის ობიექტია საგადასახადო რეგულირების სფეროში აღმოცენებული საზოგადოებრივი ურთიერთობები. სხვანაირად თუ ვიტყვით, ამ დანაშაულის უშუალო ობიექტია სახელმწიფოს საფინანსო ინტერესები. ჩვენს ქვეყანაში საგადასახადო ურთიერთობანი რეგულირებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსით, რომელიც მიღებულ იქნა 1997 წლის 13 ივნისს. ეს კოდექსი არეგულირებს საქართველოს საგადასახადო სისტემის ფორმირებისა და ფუნქციონირების ზოგად პრინციპებს, საგადასახადო სისტემაში შემავალი გადასახადების აკრეფასა და გადახდასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, გადასახადის გადამხდელებისა და საგადასახადო ორგანოების სამართლებრივ მდგომარეობას, საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობას, საგადასახადო ორგანოებისა და მათი თანამდებობის პირების არამართლზომიერ ქმედებათა გასაჩივრების წესსა და პირობებს. საბაჟო გადასახადისა და მოსაკრებლის გადახდა რეგულირება საბაჟო კანონმდებლობით.

საქართველოს საგადასახადო სისტემა მოიცავს გადასახადების (მათი დაწესების, შეცვლისა და გაუქმების) გადახდევინების პრინციპების, ფორმებისა და მეთოდების, საგადასახადო ორგანოებისა და საგადასახადო კონტროლის, აგრეთვე საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის სახეების ერთობლიობას. საგადასახადო კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად: 1. ფიზიკური და

იურიდიული პირი ვალდებულია გადაიხადოს ამ კოდექსით დაწესებული საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები, რომელთა მიხედვითაც ეს პირი გადასახადის გადამხდელია; 2. დაუშვებელია ამ კოდექსით გაუთვალისწინებელი გადასახადის გადახდის ვალდებულების ვინმესთვის დაკისრება; 3. ამ კოდექსის მიხედვით დარიცხული გადასახადი არის ვალი სახელმწიფოს წინაშე და ექვემდებარება ბიუჯეტში აუცილებელ გადახდას; 4. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს. აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შეუძლიათ შემოიღონ მხოლოდ ამ კოდექსით დაწესებული ადგილობრივი გადასახადები. მე-5 მუხლის თანახმად გადასახადი არის ამ კოდექსის მიხედვით ბიუჯეტებსა და სპეციალურ სახელმწიფო ფონდებში სავალდებულო შენატანი, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი, გადახდის აუცილებელი, არაეკვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე.

საქართველოში მოქმედებს საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები. საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადებს განეკუთვნება: ა) საშემოსავლო გადასახადი; ბ) მოგების გადასახადი; გ) დამატებული ღირებულების გადასახადი; დ) აქციზი; ე) ქონების გადასახადი; ვ) მიწის გადასახადი; ზ) ავტოსატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრეთა გადასახადი; თ) გადასახადი ქონების გადაცემისათვის; ი) სოციალური გადასახადი; კ) გადასახადი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის; ლ) გადასახადი მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის; მ) გადასახადი ავტოსატრანსპორტო საშუალებების საქართველოს ტერიტორიაზე შემოსავლისა და ზენორმატიული დატვირთვისათვის.

ადგილობრივ გადასახადებს განეკუთვნება: ა) გადასახადი სამეწარმეო საქმიანობისათვის; ბ) სათამაშო ბიზნესის გადასახადი; გ) საკურორტო გადასახადი; დ) სასტუმროს გადასახადი; ე) რეკლამის გადასახადი; ვ) გადასახადი ადგილობრივი სიმბოლიკის გამოყენებისათვის. გადასახადი გამოიანგარიშება ფულად გამოხატულებაში და გადაიხდება ლარებით. აკრძალულია ინდივიდუალური საგადასახადო შეღავათების დაწესება ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის.

რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსი გადასახადისათვის თავის არიდებას სამ მუხლში ითვალისწინებს (ცხადია,

დიფერენცირებული მიდგომათ), ესენია: 1. საბაჟო გადასახადისათვის თავის არიდება (მუხლი 194-ე); 2. მოქალაქის მიერ გადასახადისათვის თავის არიდება (მუხლი 198-ე) და 3. ორგანიზაციების მიერ გადასახადისათვის თავის არიდება (მუხლი 199-ე). რაც შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობას, იგი დიფერენცირებულ მიდგომას არ ახდენს გადასახადების სახეებისადმი და ერთიან პასუხისმგებლობას აწესებს; ესე იგი განსახილველი მუხლი მოიცავს რუსეთის კოდექსით გათვალისწინებულ დასახელებულ შემადგენლობებს. სხვანაირად თუ ვიტყვით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლი ფართო გაგებით მოიაზრება. რაც შეეხება ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებიც ვალდებულნი არიან გადაიხადონ გადასახადი, მათი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დადგება გადასახადისათვის თავის არიდების შემთხვევაში. ასე მაგალითად, ფიზიკური პირი პასუხს აგებს როგორც საშემოსავლო, ისე საბაჟო გადასახდელებისაგან თავის არიდების შემთხვევაში (საბაჟო გადასახდელები მოიცავს გადასახადებსა და მოსაკრებლებს. გადასახადის სახეებია: ბაჟი, დამატებითი ღირებულება, აქციზი. საბაჟო მოსაკრებლებია: მოსაკრებელი საბაჟო პროცედურებისათვის და ლიცენზიების გაცემისათვის). რაც შეეხება იურიდიულ პირებს, გადასახადით დასაბეგრი მათი ობიექტების წრე უფრო ფართოა. აქ შევა ქონება, მოგება, პროდუქციის დამატებითი ღირებულება, სამუშაო და მომსახურება, ასევე კანონით გათვალისწინებული სხვა ობიექტები.

„განსახილველი 218-ე მუხლი, – აღნიშნავს ზაურ მყავანაძე, – ახალია და იგი განკუთვნილია მოქალაქეებისა და ორგანიზაციების მიერ კუთვნილი გადასახადების გადახდის მოწესრიგებისაკენ. იგი ეხება ეკონომიკის ყველა სფეროს, სადაც კი შემოსავალი არსებობს და საიდანაც, კანონის შესაბამისად, წარმოიშობა ვალდებულება საშემოსავლო დეკლარაციის ჩამოყალიბებისა, ე. ი. განაცხადის გაკეთებისა, რომელიც ვეამცნობს თითოეული ფიზიკური და იურიდიული პირის შემოსავლების ოდენობას. დეკლარაცია შემოსავლების შესახებ არის დოკუმენტი თავისი სტრუქტურული ფორმითა და რეკვიზიტებით, რომელიც ივსება სათანადო გრაფებში და იძლევა სრულ წარმოდგენას ფიზიკური პირის ზუსტი შემოსავლებისა და მოგების მიღების თაობაზე. მას წარადგენს ფიზიკური პირი. კანონი ავალებს გადამხდელს წარადგინოს საგადასახადო ორგანოში შევსებული და ხელმოწერილი

ეს დოკუმენტი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ფიზიკური პირი შივ უითთებს ყველა წლიურ შემოსავალს, მათ წყაროებს და იმ თანხას, რომელიც მან უნდა გადაიხადოს ამ შემოსავლებზე. შემოსავლების ერთობლიობა გაიანგარიშება მოქმედი კანონმდებლობით და სხვა კანონქვემდებარე აქტებით. მასში შედის: ძირითადი სამსახურის შემოსავალი (გამომუშავეების ანაზღაურება, დამატებითი საათები, პრემია და ა. შ.), ასევე სხვა შემოსავალი, რომელიც მოიპოვა დამატებითი სამუშაოებიდან (ლექციები, კონსულტაციები, სამეწარმეო საქმიანობა და სხვ.)<sup>1</sup>.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 87-ე მუხლის თანახმად (დეკლარაციის წარდგენა), საშემოსავლო გადასახადისა და მოგების გადასახადის შესახებ დეკლარაციას და კანონმდებლობით გათვალისწინებულ ანგარიშგების ფორმებს, საგადასახადო ორგანოს საგადასახადო აღრიცხვის ადგილის მიხედვით, საანგარიშო წლის მომდევნო წლის პირველ აპრილამდე წარუდგენენ: ა) რეზიდენტი ფიზიკური პირები<sup>2</sup>, რომელთა შემოსავლებიც არ იბეგრება საქართველოში არსებული გადახდის წყაროს მიხედვით; ბ) რეზიდენტი ფიზიკური პირები, რომელთაც ფულადი სახსრები აქვთ უცხოეთის ბანკებში; გ) რეზიდენტი იურიდიული პირები; დ) არარეზიდენტი ფიზიკური ან იურიდიული პირები<sup>3</sup>, რომლებიც შემოსავლებს იღებენ საქართველოში არსებული წყაროებიდან და რომლებიც არ იბეგრებიან გადახდის წყაროს მიხედვით; ე) რეზიდენტი ფიზიკური პირები, რომელთა მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში გაწეული ხარჯი აღემატება 25 ათას ლარს.

გადასახადის გადამხდელი საქართველოში სამეწარმეო საქმიანობის შეწყვეტისას საგადასახადო ორგანოს 30 დღის ვადაში წარუდგენს დეკლარაციას ერთობლივი შემოსავლებისა და გამოქვითვების შესახებ. იურიდიული პირის ლიკვიდაციის შესახებ სალიკვიდაციო კომისია ან გადასახადის გადამხდელი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს

<sup>1</sup> იხ. ზაურ მჟავანაძე. სისხლის სამართალი. კერძო ნაწილი. კომენტარები. ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2000, გვ. 263-264.

<sup>2</sup> რეზიდენტი – ესაა ფიზიკური პირი – რეზიდენტი, საქართველოს საწარმო, საქართველოს ორგანიზაცია, აგრეთვე ინდივიდუალური საწარმო, რომლის მართვის ან საქმიანობის ადგილი საქართველოშია.

<sup>3</sup> არარეზიდენტი – ესაა პირი, რომელიც არ არის რეზიდენტი.

საგადასახადო ორგანოს. იურიდიული პირის ლიკვიდაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან 15 დღის ვადაში სალიკვიდაციო კომისია ვალდებულია წარადგინოს დეკლარაცია საგადასახადო ორგანოში. ფიზიკურ პირს, რომელიც არ არის ვალდებული წარადგინოს დეკლარაცია, შეუძლია წარადგინოს იგი გადასახადის გადაანგარიშებისა და ანაზღაურების მოთხოვნით.

ამრიგად, გადასახადის გადამხდელებს ევალებათ გადაიხადონ გადასახადები კანონით დადგენილ ვადებში და საგადასახადო განაკვეთების ოდენობით.

218-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება როგორც დიდი ოდენობით გადასახადისათვის თავის არიდებაში (ამ მუხლის პირველი ნაწილი), ასევე განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადის გადაუხდელობაში (იხ. ამ მუხლის მე-2 ნაწილი). გადასახადისათვის თავის არიდება შეიძლება გამოვლინდეს როგორც მოქმედებაში (საბაჟო დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანა, გადასატანი ტვირთის დამალვა, იურიდიული პირის საბუღალტრო დოკუმენტებში შემოსავლებისა და გასავლების შესახებ მონაცემების გაყალბება, გადასახადით დასაბეგრი ობიექტის დამალვა და სხვ.), ასევე უმოქმედობაში (მაგალითად, საგადასახადო ინსპექციაში შემოსავლების შესახებ დეკლარაციის დადგენილ დროში წარუდგენლობა). საგამომიებო და სასამართლო პრაქტიკის განზოგადებით დადგენილია ის ხერხები, რასაც იურიდიული პირები გადასახადისაგან თავის არიდების მიზნით იყენებენ. სახელდობრ, ზრდიან გასავლის ხარჯებს და ამცირებენ შემოსავლის ხარჯებს, ამცირებენ დასაბეგრ ობიექტზე საგადასახადო განაკვეთებს, ამცირებენ სხვაობას შესყიდულ ნედლეულსა და რეალიზებული პროდუქციის ფასებს შორის და სხვ.

218-ე მუხლის დისპოზიცია ვინაიდან ბლანკეტურია, ამდენად საბაჟო და სხვა სახის გადასახადის სახეების, გადასახადის გადამხდელებისა და გადასახადით დასაბეგრი ობიექტების დასადგენად უნდა მიემართოთ მოქმედ საბაჟო და საგადასახადო კოდექსებს, ასევე კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს: დებულებებს, წესდებებს, ბრძანებებს, ინსტრუქციებსა და ა. შ. მაგალითად, „საშემოსავლო გადასახადისა და მოგების გადასახადის გამომანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ“ ინსტრუქციის თაობაზე არსებობს საქართველოს საგადასახადო შემოსავლების მინისტრის 2000 წლის 29 მაისს №89 და №90 ბრძანება.

218-ე მუხლის პირველი ნაწილით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა რომ დადგეს, აუცილებელია გადაუხდელი თანხა მერყეობდეს ორი ათასიდან ათი ათას ლარამდე, ხოლო მე-2 ნაწილით პასუხისმგებლობისათვის გადაუხდელი თანხა უნდა სჭარბობდეს ათ თას ლარს (იხ. ამ მუხლის შენიშვნა). თავისი კონსტრუქციის მიხედვით ეს დანაშაული მატერიალურ შემადგენლობათა ჯგუფს განეკუთვნება. იგი დამთავრებულად ითვლება დიდი ოდენობით ან განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადისათვის თავის არიდების მომენტიდან. თანაც სასამართლომ უნდა დაადგინოს, თუ რომელი გადასახადის გადახდისაგან თავის არიდებასთან გვაქვს საქმე.

სუბიექტური მხრივ დანაშაული ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. ბრალდებულს გაცნობიერებული აქვს, რომ ერთ შემთხვევაში დიდი ოდენობით, ხოლო მეორე შემთხვევაში განსაკუთრებით დიდი ოდენობით არ იხდის გადასახად თანხას და სურს ასეთი ქმედების ჩადენა. მოტივთა სპექტრი, თუ რატომ არიდებს თავს გადასახადის გადახდას ბრალდებული, შეიძლება სხვადასხვა იყოს, რასაც დანაშაულის კვალიფიკაციისათვის მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ მას მოსამართლე გაითვალისწინებს სასჯელის შეფარდების დროს.

დანაშაულის სუბიექტია გადასახადის გადამხდელი პირი. ასეთი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე, მოქალაქეობის არმქონე პირი, უცხოელი, ინდივიდუალური მეწარმე, ღირექტორი, მთავარი ბუღალტერი და ა. შ. სხვანაირად თუ ვიტყვით, 218-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის (გადასახადისათვის თავის არიდება) სუბიექტად გვევლინება გადასახადის გადახდის ვალდებულების მქონე როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი. თანამონაწილენი კი შეიძლება იყვნენ საგადასახადო ან საბაჟო სამსახურის მოხელეები, რომლებიც ეხმარებიან ბრალდებულს გადასახადისათვის თავის არიდებაში.

## §6. მომხმარებლის მოტყუება (სსკ 219-ე მუხლი)

ამ მუხლის პირველი ნაწილის ძალით დანაშაულადაა მიჩნეული მომხმარებლის<sup>1</sup> მოტყუება ზომაში, წონაში ან ანგარიშში, ანდა მისთვის მცდარი წარმოდგენის შექმნა საქონლის სამომხმარებლო თვისების ან ხარისხის შესახებ, აგრეთვე მისი სხვაგვარი მოტყუება მომსახურებისას, რამაც მომხმარებელი მნიშვნელოვნად დაზიანა, — რაც ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთიდან ორ წლამდე.

მეორე ნაწილი დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევს იგივე ქმედებას, ჩადენილს: ა) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ; ბ) დიდი ოდენობით; გ) ასეთი დანაშაულისათვის მსჯავრდებულის მიერ, — რაც ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

ამ მუხლს გააჩნია შენიშვნა სადაც წერია, რომ დიდ ოდენობად ითვლება მოტყუებით მიყენებული ზიანის ოდენობა, რომელიც აღემატება მომხმარებლის მიერ გადასახდელი ღირებულების 20 პროცენტს.

განსახილველი მუხლის მიზანია მომხმარებლის ინტერესების სისხლისსამართლებრივი დაცვა, ე. ი. მოქალაქისა, რომელსაც სურს შეიძინოს საქონელი პირადი მოხმარებისათვის, გაუწიონ მომსახურება და ა. შ. საქონლის ან მომსახურების სამომხმარებლო თვისებები ან ხარისხი განსაზღვრულია სტანდარტით, ნიმუშით, აღწერით, ვარგისიანობის დადგენით და წარმოადგენს საქონლის (მომსახურების) ნორმატიულად განსაზღვრულ დახასიათებას, რომელიც საჭიროების მიხედვით კონკრეტიზირებულია ხელშეკრულებაში<sup>2</sup>. საქონლის (მომსახურების) სამომხმარებლო თვისებებსა ან ხარისხში შედის ვარგისიანობის ვადა, საგარანტიო ვადა, დამამზადებლის ვალდებულება უზრუნველყოს საქონლის რემონტისა და ტექნიკური მომსახურების

<sup>1</sup> მომხმარებელი — ესაა პირადი საჭიროებისათვის საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) გამოყენებელი, შემხენი, შემკვეთი, ან ასეთი განზრახვის მქონე მოქალაქე.

<sup>2</sup> „ხელშეკრულება“ — ესაა ზეპირი ან წერილობითი შეთანხმება გამყიდველსა და მყიდველს შორის ხარისხზე, ფასზე, ვადებსა და სხვა პირობებზე, რომლითაც ხორციელდება ყიდვა-გაყიდვის აქტი, ხელშეკრულება შეიძლება გაფორმდეს ქვითრით, სასაქონლო ჩეკითა ან სხვა წერილობითი დოკუმენტით.

შესაძლებლობა, საქონლის (მომსახურების) უსაფრთხოება და სხვ.

საქართველოს კანონში „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“, რომელიც მიღებულია 1996 წლის 20 მარტს, საზი გაესმის იმას, რომ საქართველოს ყველა მომხმარებელს უფლება აქვს მოითხოვოს: ა) საქონლის, სამუშაოს, სავაჭრო და სხვა სახის მომსახურების სტანდარტთან<sup>1</sup> შესაბამისი სათანადო ხარისხი; ბ) პროდუქციის უსაფრთხოება; გ) სათანადო ინფორმაცია პროდუქციის რაოდენობაზე, ხარისხსა და ასორტიმენტზე; დ) არასათანადო ხარისხის მქონე და/ან მომხმარებლის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, აგრეთვე მისი ქონებისათვის საზიანო პროდუქციით მიყენებული ზარალის ანაზღაურება; ე) საკუთარი უფლების დაცვა სასამართლო და შესაბამისი რწმუნების მქონე სახელმწიფო ორგანოს მიერ; ვ) მომხმარებელთა კავშირებსა და საზოგადოებაში გაერთიანება.

პროდუქციის<sup>2</sup> ხარისხზე მომხმარებლის უფლებასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ გამყიდველი (დამამზადებელი<sup>3</sup>, შემსრულებელი<sup>4</sup>) ვალდებულია მიჰყიდოს მომხმარებელს სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნების, ხელშეკრულების პირობების, აგრეთვე პროდუქციის შესახებ გამყიდველის<sup>5</sup> (დამამზადებლის, შემსრულებლის) მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისი ხარისხის პროდუქცია. დამამზადებელი (შემსრულებელი) ვალდებულია უზრუნველყოს პროდუქციის დანიშნულებებისამებრ გამოყენების შესაძლებლობა მის მიერ დადგენილ ან მომსახურებასთან შეთანხმებულ ვადაში. იგი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს საქონლის შეკეთებისა და/ან ტექნიკური მომსახურების შესაძლებლობა მისი წარმოების მთელი ვადის განმავლობაში, ხოლო საქონლის წარმოებიდან მოხსნის

---

<sup>1</sup> „სტანდარტი“ – ესაა სტანდარტი, სანიტარული ნორმები და წესები, სამშენებლო ნორმები და წესები და სხვა დოკუმენტები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრავს (აღვწეს) პროდუქციის ხარისხისადმი სავალდებულო მოთხოვნებს.

<sup>2</sup> „პროდუქცია“ – ესაა საქონელი, მომსახურება, სამუშაო.

<sup>3</sup> „დამამზადებელი“ – ესაა რეალიზაციის ან გაცვლის მიზნით პროდუქციის მწარმოებელი საწარმო, ორგანიზაცია, დაწესებულება ან მოქალაქე – მეწარმე.

<sup>4</sup> „შემსრულებელი“ – ესაა სამუშაოთა შემსრულებელი ან მომსახურების გამწვევი საწარმო, ორგანიზაცია, დაწესებულება ან მოქალაქე – მეწარმე.

<sup>5</sup> „გამყიდველი“ – ესაა ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით პროდუქციის გამსაღებელი საწარმო, ორგანიზაცია, დაწესებულება ან მოქალაქე.



შემთხვევაში კანონში (იგულისხმება „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ კანონი) მითითებულ ვადებში. თუ დადგინილია, რომ მომხმარებლის მიერ პროდუქციის შენახვის, ტრანსპორტირების ან გამოყენების წესების დაცვის შემთხვევაში ისინი აყენებენ ან შეუძლიათ მიაყენონ ზიანი გარემოს, მომხმარებლის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და კუთვნილ ქონებას, დამამზადებელი (შემსრულებელი, გამყიდველი) ვალდებულია დაუყოვნებლივ შეაჩეროს მათი წარმოება (რეალიზება) მათი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრამდე, საჭიროების შემთხვევაში კი მიიღოს ზომები მათი ხმარებიდან ამოღებისა და მომხმარებლისაგან გამოთხოვისათვის. თუ დასახელებული მიზეზების აღმოფხვრა შეუძლებელია, დამამზადებელი (შემსრულებელი) ვალდებულია შეწყვიტოს აღნიშნული პროდუქციის წარმოება. დამამზადებლის მხრიდან აღნიშნული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში პროდუქცია ხმარებიდან ამოიღება პროდუქციის უსაფრთხოების მაკონტროლებელი სახელმწიფო მმართველობის ორგანოების განკარგულების საფუძველზე. პროდუქციის მომხმარებლისაგან გამოთხოვასთან დაკავშირებულ ზარალს სრული მოცულობით ანაზღაურებს დამამზადებელი (შემსრულებელი).

„მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ კანონში ხაზი გაესმის მომხმარებლის უფლებას ინფორმაციაზე, ინფორმაციას დამამზადებლის შესახებ, ინფორმაციას პროდუქციის შესახებ და სხვ. საქონლის გაყიდვისას ან მომსახურების გაწევისას გამყიდველი (დამამზადებელი) ვალდებულია მომხმარებლის მოთხოვნისამებრ მიაწოდოს ინფორმაცია რეალიზებად საქონელზე და მომსახურებაზე. ყალბი ინფორმაციის მოწოდებისათვის გამყიდველი (დამამზადებელი) პასუხს აგებს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. დამამზადებელი ვალდებულია მიაწოდოს მომხმარებელს ინფორმაცია თავისი საწარმოს ადგილმდებარეობის ან სრული დასახელების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია უნდა აისახოს საფირმო ნიშანში ან წარედგინოს მომხმარებელს სხვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი საშუალებით. დამამზადებელი (შემსრულებელი, გამყიდველი) ვალდებულია დროულად მიაწოდოს მომხმარებელს აუცილებელი და უტყუარი ინფორმაცია პროდუქციის შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს სწორი არჩევანის შესაძლებლობას. პროდუქციის შესახებ ინფორმაცია უნდა მოიცავდეს: ა) სტანდარტის დასახელებას, რომლის მოთხოვნებსაც უნდა შეესაბამებოდეს პროდუქცია; ბ) საქონ-

ლის ძირითადი სამომხმარებლო თვისებების ნუსხას, აგრეთვე საკვები პროდუქტების შემადგენლობას (მათი დამზადების პროცესში გამოყენებული კვების სხვა პროდუქტებისა და დანამატების ნუსხის ჩათვლით). წონას, მოცულობას, კალორიულობას, ჯანმრთელობისათვის მავნე ნივთიერებათა შემცველობას და შესაძლო უკუჩვენებებს ცალკეული სახეობის დაავადებათა დროს გამოყენებისას; გ) პროდუქციის ფასსა და შეძენის პირობებს; დ) დამამზადებლის (შემსრულებლის) საგარანტიო ვალდებულებებს; ე) საქონლის ეფექტიანი და უსაფრთხო გამოყენების წესებსა და პირობებს; ვ) საქონლის (სამუშაოთა შედეგების) ვარგისიანობის ვადებს და ცნობებს ამ ვადების ამოწურვის შემთხვევაში მომხმარებლის აუცილებელ ქმედებებზე. აგრეთვე მითითებული ღონისძიებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოსალოდნელ შედეგებზე; ზ) დამამზადებლის (შემსრულებლის, გამყიდველის) და მის მიერ მომხმარებელთა პრეტენზიის მისაღებად უფლებამოსილი საწარმოს, აგრეთვე შეკვეთებისა და ტექნიკური მომსახურების საწარმოთა მისამართებს; თ) სავალდებულო სერტიფიკაციას დაქვემდებარებულ პროდუქციასთან დაკავშირებით მომხმარებელს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია მათი სერტიფიცირების შესახებ; ი) იმ საქონელზე, რომელთა სამომხმარებლო თვისებები უარესდება დროთა განმავლობაში (კვების პროდუქტები, პარფიუმერიულ-კოსმეტიკური საქონელი, მედიკამენტები, საყოფაცხოვრებო ქიმიის ნაწარმი და სხვა საქონელი) უნდა მიეთითოს ვარგისიანობის ვადა; კ) სამუშაოთა (მომსახურების) შესახებ მომხმარებელს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია მათი შესრულების წესებზე.

ნაკლოვანების<sup>1</sup> მქონე პროდუქციის გაყიდვის შედეგებთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ მომხმარებელი, რომელმაც შეიძინა ნაკლოვანების მქონე საქონელი, უფლებამოსილია თავისი შეხედულებ-

---

<sup>1</sup> „ნაკლოვანება“ – ესაა საქონლის მახასიათებელთა ცალკეული შეუსაბამობანი სტანდარტის სავალდებულო მოთხოვნებთან, ხელშეკრულების პირობებთან, აგრეთვე დამამზადებლის (შემსრულებლის, გამყიდველის) მიერ საქონელზე წარმოდგენილ ინფორმაციასთან. რაც შეეხება „არსებით ნაკლოვანებას“ – ესაა ნაკლოვანება, რომელიც დაუშვებელს და შეუძლებელს ხდის პროდუქციის გამოყენებას მისი მიზნობრივი დანიშნულებით ან როდესაც შეუძლებელია მისი აღმოფხვრა ან რომლის აღმოფხვრას სჭირდება შრომისა და დროის დიდი დანახარჯები, ან რომელიც თავს იჩენს ნაკლოვანების აღმოჩენის შემდეგაც.

ბისამებრ მოითხოვოს გამყიდველისაგან: ა) საქონლის ნაკლოვანების აღმოფხვრა ან ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად გაწეული ხარჯების ანაზღაურება; ბ) შესასყიდი ფასების შესაბამისი შემცირება; გ) ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დარღვევა და ზარალის ანაზღაურება; დ) ანალოგიური მარკის (მოდელის, არტიკულის) საქონელზე გაცვლა; ე) იმავე სახის მარკის საქონლით შეცვლა ფასის გადაანგარიშებით. ეს უფლება არ ვრცელდება საცალო საკომისიო მაღაზიებზე. აღნიშნული „ა“ პუნქტით დადგენილი მოთხოვნების (საქონლის ნაკლოვანების აღმოფხვრა ან ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად გაწეული ხარჯების ანაზღაურება) წარდგენა ხდება მომხმარებლის არჩევანით – საქონლის შესყიდვის ან მომხმარებლის ადგილსამყოფელის მიხედვით, თუ გამყიდველის მიერ იქ შექმნილია სავაჭრო საწარმოები. რომლებიც ყოდიან მომხმარებლის მიერ შექმნილი საქონლის ანალოგიურ საქონელს. მომხმარებელს უფლება აქვს წარუდგინოს საქონლის დამამზადებელს ან მის მიერ ამ მიზნისათვის შექმნილ საწარმოებს მოთხოვნა დამამზადებლებთან ხელშეკრულების საფუძველზე ნაკლოვანებათა უსასყიდლოდ აღმოსაფხვრელად, ან მათი აღმოფხვრისათვის გაწეული ხარჯების ასანაზღაურებლად ან საქონლის შესაცვლელად. ამ მოთხოვნების წარდგენის ნაცვლად, მომხმარებელს უფლება აქვს დაუბრუნოს დამამზადებელს უხარისხო საქონელი და მოითხოვოს მასში გადახდილი თანხის დაბრუნება. მომხმარებლის მიერ უხარისხო საქონლის შექმნის შემთხვევაში გამყიდველი ვალდებულია შეცვალოს იგი სათანადო ხარისხის საქონლით ან დაუბრუნოს მყიდველს გადახდილი თანხა. მომხმარებლის პრეტენზიები განიხილება მომხმარებლის მიერ სასაქონლო (საკასო) ქვითრის, ხოლო საქონელზე, რომელზეც დადგენილია საგარანტიო ვადები, ტექნიკური პასპორტის ან მისი შემცვლელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში. გამყიდველი ვალდებულია გასცეს სასაქონლო ქვითარი ან ყიდვის ფაქტის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი. მომხმარებლის მიერ ტექნიკური პასპორტის ან მისი შემცვლელი დოკუმენტის დაკარგვის შემთხვევაში, მათი აღდგენა ხდება საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესით. გამყიდველი (დამამზადებელი) ვალდებულია მიიღოს მომხმარებლისაგან უხარისხო საქონელი და დააკმაყოფილოს მისი მოთხოვნები იმ შემთხვევაში, თუ ვერ დაამტკიცებს, რომ ნაკლოვანებები წარმოიშვა მომხმარებლის მიერ სარგებლობისა და შენახვის წესების დარღვევის,

მესამე პირთა ან დაუძლეველი ძალების მოქმედების შედეგად. მომხმარებელს აქვს საქონლის ხარისხის შემოწმებაში მონაწილეობის უფლება. მსხვილგაბარიტიანი საქონლისა და 5 კმ-ზე მეტი წონის საქონლის მიტანა შესაცვლელად, შესაკეთებლად, ჩამოსაფასებლად და მათი მომხმარებლისათვის დაბრუნება უსასყიდლოდ ხორციელდება გამყიდველის (დამამზადებლის) ხარჯებით. ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, აგრეთვე გამყიდველის (დამამზადებლის) არყოფნის შემთხვევაში მომხმარებელს შეუძლია მისი ადგილსამყოფელის მიხედვით საქონლის მიტანა და დაბრუნება. ამ შემთხვევაში გამყიდველი (დამამზადებელი) ვალდებულია აუნაზღაუროს მას საქონლის მიტანისა და დაბრუნებასთან დაკავშირებული ხარჯები.

ზემოაღნიშნულის გააზრებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ განსახილველი დანაშაულის უშუალო ობიექტია სამომხმარებლო ბაზარზე ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომელიც არეგულირებს ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობას ამ სფეროში და იცავს მომხმარებელთა უფლებებსა და ინტერესებს. დამატებითი უშუალო ობიექტია მომხმარებელთა მატერიალური ინტერესები. რაც შეეხება დანაშაულის საგანს, ასეთად გვევლინება საქონელი და მომსახურება.

219-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის (მომხმარებლის მოტყუება) ობიექტური მხარე ქმედების ჩადენასა და მომხმარებელთა მოტყუებაში გამოიხატება. კანონმდებელი დისპოზიციაში მიუთითებს მოტყუების ისეთ ხერხებს, როგორცაა: მომხმარებლის ზომაში, წონაში ან ანგარიშში მოტყუება, აგრეთვე მომხმარებლისათვის მცდარი წარმოდგენის შექმნა საქონლის სამომხმარებლო თვისებების ან ხარისხის შესახებ, ასევე მის სხვაგვარ მოტყუებას მომსახურებისას (რამაც, ცხადია, მომხმარებელი მნიშვნელოვნად უნდა დააზიანოს). დანაშაულის ჩადენის ადგილად უნდა მივიჩნიოთ ის სივრცე, ადგილი, შენობა და ა. შ., სადაც ხდება ვაჭრობისა და მომსახურების განხორციელება. მოტყუებითი ქმედების ჩადენის აუცილებელ პირობად გვევლინება მისი განხორციელება საქონლის გასაღების (რეალიზაციის) დროს, ესე იგი ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას ან მომსახურების გაწევისას.

„ზომასა და წონაში მოტყუება“ – წარმოადგენს საქონლის გადაცემას ისეთი მოცულობით, რომელიც არ შეესაბამება დადებულ ხელშეკრულებას, დადგენილ სტანდარტებს ან სხვა პირობებს,

რომლებიც განსაზღვრავენ მოცულობას, წონას და გადასაცემი საქონლის სხვა რაოდენობრივ პარამეტრებს. სხვანაირად თუ ვიტყვით, ზომასა და წონაში მოტყუებისას მომხმარებელი იღებს გადახდილთან შედარებით ნაკლები რაოდენობის საქონელს. ასეთს შეიძლება ადგილი ჰქონდეს როგორც უშუალოდ გაყიდვის პროცესში, ასევე პროდუქციის (საქონლის) წინასწარი დაფასოებისას. დანაშაულის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს თუ რა ხერხებით არის შეცვლილი საქონლის რაოდენობრივი და მოცულობითი პარამეტრები. ზომაზე საუბრისას მხედველობაში უნდა გვქონდეს ის გარემოება, რომ ზომა — ესაა რისამე სიდიდე საზომ ერთეულთან შედარებით. ამრიგად, მოტყუება ზომაში არის მყიდველისათვის (მომხმარებლისათვის) საქონლის მიცემა იმ ზომაზე ნაკლები, რაც უნდა მიეღო. ასეთია, მაგალითად, გამყიდველის მოქმედება, როდესაც იგი 10 პავონი მეტრი ქსოვილის ნაცვლად მყიდველს მისცემს ნაკლები ზომით, ან კიდევ როდესაც მყიდველს აკლებენ, ღვინოს, ბენზინს, რძეს, ლუდსა და ა. შ., ლიტრობაში. რაც შეეხება მოტყუებას წონაში — ესაა მომხმარებლისათვის საქონლის მიცემა დაკლებული წონით, ამისათვის დამნაშავეები იყენებენ გაყალბებულ საწონებს, სასწორებს და სხვ.

„ანგარიშში მოტყუება“ (საქონლის ან მომსახურების ფასის არასწორი გამოანგარიშება, მომხმარებლისათვის ხურდის დაუბრუნებლობა და ა. შ.) — წარმოადგენს გამყიდველის ან მომსახურების გამწვევი პირის მიერ გადახვევას წინასწარ შეთანხმებული ან გამოცხადებული ფასისაგან მომხმარებლის დაუკითხავად. ანგარიშში მოტყუება შეიძლება იყოს აგრეთვე ფასის შეგნებულად არასწორი მითითება, მაშინ როცა მისი ოდენობა განსაზღვრულია ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებით და ეს უკანასკნელი არ არის დადგენილი მომხმარებელთან შეთანხმებით.

„მომხმარებლისათვის მცდარი წარმოდგენის შექმნა საქონლის სამომხმარებლო თვისების ან ხარისხის შესახებ“ — ნიშნავს განზრახ დამახინჯებული (არასწორი) ინფორმაციის გადაცემას მომხმარებლის გადაწყვეტილებაზე ზემოქმედების მიზნით. დამახინჯებაა ინფორმაციის შეუსატყვისობა სარეალიზაციო საქონლის ან გაწეული მომსახურების რეალურ თვისებებსა და ხარისხთან. ობიექტურად ასეთი ინფორმაცია დამახინჯებულია უკვე მისი მიცემის მომენტში. როგორც უკვე შევნიშნეთ, გამყიდველი მოვალეა მომხმარებელს მიყიდოს ისეთი საქონელი, რომელიც შეესაბამება ხარისხზე

სტანდარტის, ხელშეკრულების, საქონლის (მომსახურების) შესახებ ინფორმაციის სავალდებულო მოთხოვნებს, ანდა საქონლის (მომსახურების) ხარისხის შესახებ ჩვეულებრივ წაყენებულ მოთხოვნებს. იმ შემთხვევაში, როცა იყიდება საქონელი ანდა ხდება მომსახურება და საქონლისა და მომსახურების ხარისხი არ შეესაბამება სავალდებულო მოთხოვნებს, ხოლო მომხმარებელი ამის შესახებ ინფორმირებული არაა და, პირიქით, თუ მას არწმუნებენ ამგვარი შესაბამისობის არსებობაზე, მაშინ ეს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას ნიშნავს.

„მომხმარებლის სხვაგვარი მოტყუება“ – ნიშნავს მის დეზორიენტაციას (შეცდომაში შეყვანას) არსებითი მნიშვნელობის მქონე ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებით. მაგალითად, დაბალი ხარისხის საქონლის გაყიდვა მაღალი ხარისხის საქონლის ფასში; საქონლის ან მომსახურების ფალსიფიცირება (გაყალბება); ჩვეულებრივი შეკვეთის გაფორმება როგორც სასწრაფო და სხვ. უკეთუ მომხმარებლის მოტყუება ბრალდებულის მიერ ჩადენილია საკუთრების დატაცების გამო შექმნილი დანაკლისის დასაფარავად, მაშინ მან პასუხი უნდა აგოს დანაშაულთა ერთობლიობით – დატაცებისა და მომხმარებელთა მოტყუებისათვის.

კანონის ტექსტიდან გამომდინარე, მომხმარებლის მოტყუება დამთავრებულ დანაშაულად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა მას მომხმარებლის მნიშვნელოვანი დაზიანება მოჰყვება. მოქმედებასა და მნიშვნელოვან ზიანს შორის უნდა დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი. ამრიგად, საკანონმდებლო კონსტრუქციის თანახმად მოცემული შემადგენლობა მატერიალურია. აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ მომხმარებლის მოტყუებაში დიდ ოდენობად ითვლება მოტყუებით მიყენებული ზიანის ოდენობა, რომელიც აღემატება მომხმარებლის მიერ გადახდილი ღირებულების 20%-ს.

219-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტური მხარე პირდაპირი განზრახვით ხასიათდება. პირს გაცნობიერებული აქვს, რომ ატყუებს მომხმარებელს, ითვალისწინებს ზიანის მიყენებასა (შედეგს) და სურს ასეთი შედეგის დადგომა. როგორც წესი, მომხმარებლის მოტყუებისას ბრალდებული ხელმძღვანელობს ანგარების მიზნით, მაგრამ ეს არაა სუბიექტური მხარის აუცილებელი (სავალდებულო) ნიშანი, ამის დასტურია ის, რომ კანონში მის შესახებ მითითებას ვერ ვხვდებით. ვინაიდან კანონში მოტივსა და მიზანზე მითითებას ვერ ვხვდებით, ამდენად მათ დანაშაულის

კვალიფიკაციაზე გავლენის მოხდენა არ შეუძლიათ, თუმცა მათ სასამართლო აუცილებლად გაითვალისწინებს სასჯელის ინდივიდუალური რეალიზაციის დროს.

განსახილველი დანაშაულის სუბიექტი სპეციალურია – იმ ორგანიზაციების მოსამსახურეები, რომლებიც საქონლის რეალიზაციას ან მოსახლეობის მომსახურებას ახორციელებენ, აგრეთვე ინდივიდუალური მეწარმე ვაჭრობის ან მომსახურების სფეროში ან ასეთ მეწარმესთან ხელშეკრულებით მომუშავე პირები – გამყიდველი, მძღოლ-ექსპედიტორი და სხვ. მომხმარებლის მოტყუება სხვა პირების მიერ დაკვალიფიცირდება როგორც თაღლითობა.

დამამძიმებელ გარემოებათა ინტერპრეტაციას არ ვახდენთ, რადგან მათ შესახებ არაერთხელ აღინიშნა სხვა მუხლების განხილვისას.

დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში  
სამსახურის ინტერესის წინააღმდეგ

§1. უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება  
(სსკ 220-ე მუხლი)

ამ მუხლის მიხედვით დანაშაულადაა მიჩნეული სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი ან სხვა სპეციალური უფლებამოსილების გამოყენება ამ ორგანიზაციის კანონიერი ინტერესების საწინააღმდეგოდ, თავისთვის ან სხვისთვის გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, – რაც ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან ტუსალობით ვადით ექვს თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

განსახილველი მუხლის თავისებურება ისაა, რომ აქ სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობით, წარმომადგენლობითსა ან სხვა სპეციალურ უფლებამოსილებას (მმართველობით ფუნქციებს) ასრულებს პირი, რომელიც აღჭურვილია ასეთი უფლებამოსილების განხორციელებით. სხვანაირად თუ ვიტყვიან, მმართველობითი ფუნქციების შემსრულებლად სამეწარმეო (კომერციულ) ან სხვა ორგანიზაციაში მიჩნეულია პირი, რომელიც მუდმივად, დროებით ან სპეციალური უფლებამოსილებით ასრულებს საორგანიზაციო-განკარგულებით ან ადმინისტრაციულ-სამეურნეო მოვალეობას კომერციულ ორგანიზაციაში, საკუთრების ფორმისაგან დამოუკიდებლად, და აგრეთვე არაკომერციულ ორგანიზაციაში, რომელიც არ არის სახელმწიფო ორგანო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, სახელმწიფო ან მუნიციპალური დაწესებულება. თუ ამ მუხლით გათვალისწინებულმა ქმედებამ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა მხოლოდ სამეწარმეო (კომერციული) ორგანიზაციის ინტერესებს, რომელიც არ არის არც სახელმწიფო და არც მუნიციპალური საწარმო, მაშინ სისხლისსამართლებრივი დევნა განხორციელდება ამ ორგანიზაციის განცხადებით ან მისი თანხმობით. ხოლო თუ ამ მუხლით გათვალისწინებულმა ქმედებამ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა სხვა ორგანიზაციების, აგრეთვე მოქალაქეთა, საზოგადოებისა და სახელ-



მწიფოს ინტერესებს. მაშინ სისხლისსამართლებრივი დევნა განხორციელდება საერთო საფუძველზე.

ამრიგად, 120-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა ახალია და ადგენს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას პირთა განსაკუთრებული წრის მიმართ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისათვის. ეს პირები ადრე არ გამოიჩნეოდნენ სპეციალური სუბიექტის სახით, არ იყვნენ თანამდებობის პირები და არ ეკავათ სახელმწიფო თანამდებობა.

იურიდიულ-ტექნიკურად 220-ე მუხლი შედგენილია (აგებულია) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება) მსგავსად და მისგან განსხვავდება ობიექტის მხრივ – დასაცავ ინტერესთა ხასიათითა და სუბიექტით. მოცემული მუხლის მიზანია არასახელმწიფო ორგანიზაციათა და მათ მოსამსახურეთა შორის საშინაო ურთიერთობათა და აგრეთვე აღნიშნული სახის ორგანიზაციების მოსამსახურეთა და სხვა პირებს შორის საგარეო ურთიერთობათა დადგენილი წესის სისხლისსამართლებრივი დაცვა. ამ მუხლის მოქმედების სფერო მოიცავს საშინაო და საგარეო მმართველობით ურთიერთობებს სამეწარმეო (კომერციულ) და სხვა ორგანიზაციებში, რომლებიც არ წარმოადგენს საჯარო სამართლის ობიექტს.

220-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის უშუალო ობიექტია სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციის როგორც ეკონომიკური (ქონებრივი), ისე სხვა მართლზომიერი ინტერესები. დამატებით უშუალო ობიექტად გვევლინება ასევე მოქალაქეთა, საზოგადოების ან სახელმწიფო ინტერესები.

მეწარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად (ეს კანონი მიღებულ იქნა 1994 წლის 28 ოქტომბერს და ამოქმედდა 1995 წლის 1 მარტიდან), საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებია: 1) ინდივიდუალური საწარმო; 2) სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს); 3) კომანდიტური საზოგადოება (კს); 4) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს); 5) სააქციო საზოგადოება (სს) ან კოოპერატივი. კერძო სამართლის არაკომერციულ<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> არაკომერციული იურიდიული პირი – ესაა ორგანიზაცია, რომლის ძირითადი საქმიანობა არ არის დაკავშირებული მატერიალურ სარგებელთან.

იურიდიულ პირებს მიეკუთვნება კავშირები<sup>1</sup> და ფონდები<sup>2</sup>. დასახელებულ საწარმოებში, საზოგადოებებში, კავშირებსა და ფონდებში მოსამსახურე პირები სახელმწიფო მოხელეები არ არიან, რადგანაც ისინი საჯარო სამსახურში არ იმყოფებიან. „მეწარმეთა შესახებ“ კანონში დასახელებული საწარმოები, საზოგადოებები და ორგანიზაციები კომერციულ და არა სახელმწიფო სტრუქტურას განასახიერებენ<sup>3</sup>. კომერციულ სტრუქტურაში შემავალ ინდივიდუალურ საწარმოსთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ ესაა საწარმო, რომელიც არ წარმოადგენს იურიდიულ პირს და რომლის ერთადერთი მონაწილე და მმართველი არის ერთი ფიზიკური პირი (საწარმოს მესაკუთრე). ინდივიდუალურ საწარმოსთან გათანაბრებულია ინდივიდუალური მეწარმე. ეს უკანასკნელი, როგორც ინდივიდუალური საწარმოს მფლობელი, არის ფიზიკური პირი, რომლის საქმიანობისათვის აუცილებელია სამეწარმეო წესით მოწყობილი ორგანიზაცია, მოწესრიგებული საკასო და საბუღალტრო საქმე. სამართლებრივ ურთიერთობებში იგი გამოდის თავისი სახელით; რაც შეეხება სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებას (სპს) – ესაა საზოგადოება,

---

<sup>1</sup> კავშირი (ასოციაცია) – ესაა არასამეწარმეო იურიდიული პირი, ე. ი. მის მიზანს არ შეადგენს სამეწარმეო საქმიანობა. სამეწარმეო საქმიანობა, რომელიც ატარებს დამხმარე ხასიათს და ემსახურება საერთო მიზანს, არ ცვლის კავშირის (ასოციაციის) სტატუსს. კავშირი (ასოციაცია) არის იურიდიული პირი, რომელშიც საერთო მიზანს ისახავს რამოდენიმე პირი და მისი არსებობა დამოკიდებულია მასში წევრთა შემადგენლობის ცვლილებაზე. კავშირის დასაფუძნებლად აუცილებელია ხუთი დამფუძნებელი წევრი მაინც. კავშირის რეგისტრაციას ახორციელებს სასამართლო.

<sup>2</sup> ფონდი – ესაა ისეთი არასამეწარმეო იურიდიული პირი, როდესაც ერთი ან რამოდენიმე დამფუძნებელი სპეციალურ ქონებას, საერთო-საზოგადო სასარგებლო მიზნის მისაღწევად, საკუთრებად გადასცემს ისეთ დამოუკიდებელ სუბიექტს, რომელსაც არ ჰყავს წევრები. ფონდისათვის გადაცემული ქონება წარმოადგენს ფონდის საკუთრებას. დამფუძნებლები პასუხს არ აგებენ ფონდის ვალდებულებებისათვის, ხოლო ფონდი არ არის პასუხისმგებელი დამფუძნებელთა ვალდებულებებისათვის. ფონდის ორგანიზაცია და სტრუქტურა წესრიგდება წესდებით, რომელიც რეგისტრირებული უნდა იყოს ოუსტიციის სამინისტროში.

<sup>3</sup> კომერციულ და სახელმწიფო საწარმოთა დახასიათებასა და ურთიერთგამიჯვნაზე შეგიძლიათ იხილოთ იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის, ქეთევან ქუჭრაშვილის სამეცნიერო სტატია – „სამეწარმეო სამართლის ცნების პრობლემა“. ჟურნალი „სამართალი“, 2000, №6-7, გვ. 62-65.

რომელშიც რამოდენიმე ფიზიკური პირი ერთობლივად ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა არაერთჯერად და დამოუკიდებელ მეწარმეობას და პარტნიორები საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგენებენ როგორც სოლიდარული მოვალეები – უშუალოდ, პირდაპირ, მთელ ვალდებულებებზე. შეუზღუდავად მთელი თავისი ქონებით. პარტნიორები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ფიზიკური პირები; კომანდიტური საზოგადოება (კს) – ესაა საზოგადოება, რომელშიც რამოდენიმე პირი ერთობლივად ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა არაერთჯერად და დამოუკიდებელ მეწარმეობას, თანაც თუ ერთი ან რამოდენიმე პარტნიორის პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორების წინაშე განსაზღვრული საგარანტიო თანხის გადახდით შემოიფარგლება (კომანდიტები), ხოლო სხვა პარტნიორების პასუხისმგებლობა შეზღუდული არ არის (პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორები – კომპლემენტარები). კომანდიტური საზოგადოების მიმართ გამოიყენება სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესაბამისი წესები. პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორები (კომპლემენტარები) შეიძლება იყვნენ მხოლოდ ფიზიკური პირები; შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს) – ესაა საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა კრედიტორის წინაშე შემოიფარგლება მთელი თავისი ქონებით. ასეთი საზოგადოების დაფუძნება შეუძლია ერთ პირსაც. საზოგადოების საწესდებო კაპიტალი უნდა შეადგენდეს სულ ცოტა 2.000 ლარს. შესატანის ოდენობა თითოეული პარტნიორისათვის შეიძლება განსხვავებულად განისაზღვროს, მაგრამ იგი ათზე უნაშთოდ უნდა იყოფოდეს; სააქციო საზოგადოება (სს) – ესაა საზოგადოება, რომელსაც აქვს აქციებად დაყოფილი საწესდებო კაპიტალი. საწესდებო კაპიტალის ნომინალური ღირებულება უნდა შეადგენდეს 15.000 ლარს, ხოლო ერთი აქციის ნომინალური ღირებულება – ერთ ლარს ან მის მრავალჯერადს. სააქციო საზოგადოებამ უნდა აწარმოოს საზოგადოების ყველა დოკუმენტის აღრიცხვა (საზოგადოების წიგნი), რომელშიც აისახება საზოგადოების წესდება, აღრიცხება რეგისტრაციისათვის აუცილებელი ყველა ინფორმაცია და ყოველი აქცია; კოოპერტივი – ესაა წევრთა შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული ან წევრთა მეურნეობის განვითარებისა და შემოსავლის გადიდების მიზნით შექმნილი საზოგადოება, რომლის ამოცანა წევრთა ინტერესების დაკმაყოფილება და იგი მიმართული არ არის უპირატესად მოგების მიღებაზე.

220-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური შხარე გამოიხატება სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი ან სხვა სპეციალური უფლებამოსილების გამოყენებაში ამ ორგანიზაციის კანონიერი ინტერესის საწინააღმდეგოდ, რაც შეიძლება გამოვლინდეს როგორც მოქმედებაში, ასევე უმოქმედობაში.

„უფლებამოსილების გამოყენება“ მდგომარეობს გადაწყვეტილებათა მიღებასა და მოქმედებათა ჩადენაში, რასაც საფუძვლად ედება პირის სამართლებრივი ან ფაქტობრივი შესაძლებლობების არსებობა. ეს შესაძლებლობები მას მინიჭებული აქვს მმართველობითი ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებით. სამართლებრივი შესაძლებლობები გაგებულია როგორც: ა) მოცემული სუბიექტის ამოცანები, დაკავშირებული ორგანიზაციის განვითარების სტრატეგიის განსაზღვრასთან; დაქვემდებარებულ ორგანოთა საქმიანობის წესის დადგენასთან, სტრუქტურულ ქვედანაყოფთა, ცალკეულ პირთა საქმიანობის მართლზომიერებისა და მიზანშეწონილობის შეფასებასთან და ა. შ.; ბ) ცალკეული უფლებები, დაკავშირებული უფლებამოსილებათა განხორციელებასთან, რომელთა რიცხვში შედის გარიგებათა დადება, შტატების დამტკიცება, ბრძანებებისა და მითითებების გამოცემა; გ) მოვალეობანი, რომელთაც შეუძლიათ სამართლებრივი შესაძლებლობების ან გაფართოება ან შემცირება; დ) უფლებამოსილებათა განხორციელების საერთო წესი, პროცედურები, პირობები და მისგან გამომდინარე უფლებები და მოვალეობანი (წერილობითი ფორმის დაცვის აუცილებლობის, შესაბამისი ნებართვების (ლიცენზიების) მიღებისა და მოქმედებათა რეგისტრაციის აუცილებლობის ჩათვლით); ე) სამართლებრივი კონტროლის სისტემა, რომელიც ვრცელდება აგრეთვე ფაქტობრივ შესაძლებლობებზეც, კერძოდ, დოკუმენტაციებისა და ანგარიშგების წარმართვის აუცილებლობაზე, ზემდგომ პირთა მიერ გადაწყვეტილებათა დამტკიცებაზე; ვ) იურიდიული პასუხისმგებლობა, რომელიც დება როგორც სახელმწიფოს, ასევე ორგანიზაციის წინაშე (იგულისხმება მატერიალური, დისციპლინური, ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი).

„ორგანიზაციის კანონიერ ინტერესად“ ითვლება სამეწარმეო (კომერციული) ან სხვა ორგანიზაციათა ლოკალური ინტერესები, რაც განსაზღვრულია ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებით, საქონლის ბრუნვის ადამ-წესებით, დამფუძნებელი დოკუმენტებით ან ისეთი

დოკუმენტებით. რომელიც არ ეწინააღმდეგება სამეწარმეო (კომერციულ) ან სხვა ორგანიზაციათა ლოკალურ ინტერესებს. ორგანიზაციის კანონიერ ინტერესში ყველაზე მნიშვნელოვანია ამ ორგანიზაციის საქმიანობის მიზანთა რეალიზაცია, მოგების მიღება, გადახდისუნარიანობის შენარჩუნება, სამუშაო ადგილებისა და საქმიანობის მოცულობის შენარჩუნება და გაფართოება. კანონიერ ინტერესში ასევე ღომინირებს განხორციელებულ ურთიერთობათა კანონიერება, სტაბილურობა და უსაფრთხოება. კანონიერ ინტერესებს მიეკუთვნება ასევე მოცემული ორგანიზაციის საქმიანობის წესის დაცვა მასთან ურთიერთობაში მყოფი სუბიექტების ჩათვლით. იგულისხმება გარიგებათა დადების პროცედურა, მომსახურების გაწევა, ანგარიშსწორების დისციპლინის დაცვა, სხვადასხვა პირობებისა და ფაქტორების დაცვა – რომლებიც განსაზღვრავენ მოცემული ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობას.

კომერციულ ან სხვა ორგანიზაციებს<sup>1</sup> კანონის ფარგლებში უფლება აქვთ დამოუკიდებლად განსაზღვრონ თავიანთი ინტერესების წრე. აუცილებლობის შემთხვევაში მიდიან დროებით ზარალზე (მაგალითად, ბაზარზე საქონლის (მომსახურების) გავრცელებისათვის), ახდენენ სახსრების ინვენსტირებას მუშაკთა ცხოვრების დონის ამაღლების, სამუშაო ადგილების შენარჩუნებისა და რეკლამირების გაფართოების მიზნით. ორგანიზაციის კანონიერი ინტერესების საწინააღმდეგოდ პირი იყენებს თავის უფლებამოსილებას, თუ იგი, სახელდობრ, კეთილსინდისიერად და გონივრულად არ ახორციელებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, ფარავს პირად დაინტერესებას ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ გარიგებებში, ინტერესთა კონფლიქტისას იჭერს სხვის მხარეს. პირი ყოველთვის გამოიყენებს თავის უფლებამოსილებას ორგანიზაციის ინტერესების საწინააღმდეგოდ, თუ განზრახ დაარღვევს სამართლებრივ წესრიგს და შექმნის საფუძველს იმისას, რომ ორგანიზაციის თანამდებობის პირები მიეცენ პასუხისგებაში ან შელახონ თავისი ორგანიზაციის საქმიანი რეპუტაცია.

ამრიგად, განსახილველი 220-ე მუხლის ობიექტური მხარე

---

<sup>1</sup> სხვა ორგანიზაციებს – მიეკუთვნება არაკომერციული ორგანიზაციები, რომლებიც არ არიან სახელმწიფო ორგანოები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, სახელმწიფო ან მუნიციპალური დაწესებულებანი. მათ შეიძლება მიეკუთვნოს საზოგადოებრივი ორგანიზაციები, საქველმოქმედო და სხვა ფონდები, რომლებიც მოქმედებენ კანონით გათვალისწინებული სხვა ფორმებით.

შეიცავს: ა) ქმედებას პირის მიერ თავისი ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი ან სხვა სპეციალური უფლებამოსილების გამოყენების სახით; ბ) ქმედების შეუსაბამობას ორგანიზაციის კანონიერი ინტერესებისადმი; გ) დანაშაულებრივ შედეგს მნიშვნელოვანი ზიანის სახით, რომელიც მიაღება მოქალაქეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს ან კანონით დაცულ სახელმწიფო ან საზოგადოების ინტერესებს და დ) მიზეზობრივ კავშირს ქმედებასა და ღამდგარ შედეგს შორის.

მოცემული დანაშაულის შემადგენლობა კონსტრუქციის მიხედვით მატერიალურია (ე. ი. შედეგიანია). იგი დამთავრებულად ითვლება უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შედეგად მნიშვნელოვანი ზიანის გამოწვევის მომენტიდან (ზიანი, ცხადია, ადგება ორგანიზაციის კანონიერ ინტერესებს).

220-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტური მხარე ხასიათდება პირდაპირი განზრახვითა და სპეციალური მიზნის არსებობით (თავისთვის ან სხვისთვის გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით – აღნიშნულია დისპოზიციაში – ზ. წ.). ამრიგად მიზნის არსებობა ამ დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი ელემენტია.

განსახილველი დანაშაულის (უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება) სუბიექტი სპეციალურია. სახელდობრ, ესაა კერძო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე პირი, რომელიც აღჭურვილია ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი ან სხვა სპეციალური უფლებამოსილებით. კანონი „მეწარმეთა შესახებ“ ხელმძღვანელობით უფლებამოსილ სუბიექტებს ზუსტად ჩამოთვლის. ისინი პასუხისმგებელნი არიან საწარმოს წინაშე და, ცხადია, ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შემთხვევაში მათვე ეკისრებათ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-9.1. მუხლის თანახმად საზოგადოების ხელმძღვანელობის უფლება აქვთ: სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში (სპს) – ყველა პარტნიორს; კომანდიტურ საზოგადოებაში (კს) – პერსონალურად პასუხისმგებელ პარტნიორებს (კომპლემენტარებს); შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, სააქციო საზოგადოებასა და კოოპერატივში – დირექტორებს. ხელმძღვანელობით საქმიანობად მიიჩნევა მოქმედება, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ემსახურება საზოგადოების მიზანს.

„რაც შეეხება წარმომადგენლობით უფლებამოსილებას, – აღნიშნავენ მზია ლეკვეიშვილი და გოჩა მამულაშვილი, – ესეც ხელმძღვანელობითი საქმიანობის სფეროა. კერძო სამართლის საზოგადოებების ხელმძღვანელები წარმომადგენენ საზოგადოებას მესამე პირებთან ურთიერთობაში, საზოგადოების სახელით დებენ გარიგებებს, საზოგადოება მესამე პირებთან ურთიერთობაში შეიძლება სხვა პირებითაც იყოს წარმოდგენილი. მაგალითად, პროკურისტი<sup>1</sup> ან სავაჭრო წარმომადგენელი. სხვა სპეციალური უფლებამოსილების განმხორციელებელი პირი შეიძლება იყოს იურიდიული მოქმედების განმხორციელებელი ნებისმიერი პირი, რომელსაც საზოგადოების მიერ მინიჭებული აქვს სპეციალური უფლებამოსილება (რწმუნებულება). კერძო სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტები არიან ფონდები და კავშირები. სამოქალაქო კოდექსის 36-ე მუხლის შესაბამისად, ფონდებსა და კავშირებში ხელმძღვანელობის უფლება მინიჭებული აქვთ გამგეობის წევრებსა და ცალკეულ შემთხვევებში – სპეციალურ წარმომადგენლებს. საზოგადოების წესდებით, განსაზღვრულია ერთი პირის მიერ საქმეების ერთპიროვნულად გაძღოლის უფლებამოსილება, ანდა ორი ან რამოდენიმე პირის ერთობლივი ხელმძღვანელობა რაც ამ უკანასკნელთა მოვალეობას შეადგენს“<sup>2</sup>.

## §2. კომერციული მოსყიდვა (სსკ 221-ე მუხლი)

ეს მუხლი ოთხი ნაწილისაგან შედგება და თან ერთვის შენიშვნა. პირველი ნაწილის ძალით: სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი ან სხვა სპეციალური უფლებამოსილების განმხორციელებლისათვის ფულის, ფასიანი ქაღალდის ან სხვა ქონების უკანონოდ გადაცემა ან ქონებრივი მომსახურების უკანონოდ გაწევა, რათა თავისი სამსახურებრივი

---

<sup>1</sup> პროკურისტი – ესაა სანდო პირი, რომელიც უფლებამოსილია განკარგოს სხვისი ქონება. იგი აწარმოებს ნებისმიერ ოპერაციებს მინდობილობის საფუძველზე (– ზ. წ.).

<sup>2</sup> იხ. პასუხისმგებლობა ეკონომიკური დანაშაულისათვის (კომენტარი). თბ., 1999, გვ. 163.

მდგომარეობა გამოიყენოს მომსყიდველის ინტერესებისათვის, — ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

მეორე ნაწილით გათვალისწინებულია იგივე ქმედება, ჩადენილი: ა) ჯგუფურად; ბ) არაერთგზის, — რაც ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ოთხ წლამდე ან ტუსალობით ვადით ორიდან ექვს თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

მესამე ნაწილის ძალით: სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი ან სხვა სპეციალური უფლებამოსილების განმხორციელებლის მიერ ფულის, ფასიანი ქაღალდის ან სხვა ქონების უკანონოდ მიღება ან ქონებრივი მომსახურებით უკანონოდ სარგებლობა, რათა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა გამოიყენოს მომსყიდველის ინტერესებისათვის, — ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

მეოთხე ნაწილში გათვალისწინებულია ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი: ა) ჯგუფურად; ბ) არაერთგზის; გ) გამოძალკით, — რაც ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე<sup>1</sup>.

შენიშვნის თანახმად: ის, ვინც ჩაიდენს ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებას, თავისუფლდება სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ მას გამოსძალეს ქონება

---

<sup>1</sup> ვფიქრობთ მე-4 ნაწილით გათვალისწინებული სანქცია უფრო მკაცრი უნდა იყოს, ვიდრე მესამე ნაწილით გათვალისწინებული. მე-3 და მე-4 ნაწილის სანქციები კი თითქმის ერთმანეთს ემთხვევა (გამონაკლისია თავისუფლების შეზღუდვა); უნდა გვახსოვდეს, რომ მე-4 ნაწილში დამამძიმებელ გარემოებებზეა საუბარი და ლოგიკურია სანქციაც განსხვავებული უნდა იყოს.



ან თუ მან ნებაყოფლობით განუცხადა ხელისუფლების ორგანოს ამის შესახებ.

განსახილველი მუხლის ანალოგიურ ნორმას შეიცავს რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის 204-ე მუხლი. ეს მუხლიც ახალია დანაშაულის სუბიექტისა და დასაცავ ფასეულობათა წრის გათვალისწინებით. ოურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით 221-ე მუხლი აგებულია იმ მუხლების ანალოგიურად რასაც ქრთამის აღება (338-ე) და ქრთამის მიცემა (339-ე) ჰქვია. ამავე დროს კანონმდებელი მიუთითებს არსებით განსხვავებაზე კომერციულ მოსყიდვასა და ქრთამს შორის. მათ შორის განსხვავება განისაზღვრება ერთ შემთხვევაში ქრთამის ამღების საქმიანობის სფეროში, სახელდობრ იმით, რომ იგი არის საჯარო სამართლის სუბიექტი, რომელიც გამოდის სახელმწიფოს სახელით, მაშინ როცა კომერციული მოსყიდვის<sup>1</sup> სუბიექტად გვევლინება სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობით, წარმომადგენლობითი ან სხვა სპეციალური უფლებამოსილება განმახორციელებელი პირი.

221-ე მუხლით გათვალისწინებული ნორმის მიზანია – კომერციულ და სხვა არასახელმწიფო ორგანიზაციათა საქმიანობის წესის სისხლისსამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფა, აგრეთვე იმ ინტერესებისა, რაც დაკავშირებულია ფიზიკური და იურიდიული პირების ასეთ საქმიანობასთან. სხვანაირად თუ ვიტყვით, მოცემული ნორმის მიზანი მდგომარეობს სამეწარმეო და კერძო სამართლის სხვა სუბიექტების საქმიანობის წესის სისხლისსამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფაში.

განსახილველი მუხლის გამოყენებამ უნდა მოიცვას მმართველობითი საქმიანობის სფერო კომერციულ და სხვა არასახელმწიფო ორგანიზაციებში, რომლებიც ახორციელებენ კანონით ნებადართულ ან აკრძალულ სხვადასხვა სახის საქმიანობას.

კომერციული მოსყიდვის უშუალო ობიექტია სამეწარმეო ან

---

<sup>1</sup> კომერციული მოსყიდვა ანუ როგორც მას ზოგჯერ უწოდებენ იურიდიულ ლიტერატურაში „კომერციული ქრთამი“ – ესაა სოციალურად სამიში მოვლენა, რომელიც ხელს უშლის საბაზრო ურთიერთობის ნორმალურ ფუნქციონირებას, ანგრევს ამ ურთიერთობის სუბიექტების თანასწორობას და აფერხებს მათი სამართლებრივი ვალდებულებების დაცვასა და განხორციელებას.

სხვა ორგანიზაციაში მმართველობითი აპარატის ნორმალური ფუნქციონირება, რაც შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობასა და დამფუძნებელ დოკუმენტებს. „კომერციულს“ მიეკუთვნება ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობის ძირითადი მიზანია მოგების მიღება და მისი განაწილება წევრებს (კომერციულ საქმიანობაში მონაწილეებს) შორის. „სხვა ორგანიზაციებს“ მიეკუთვნება არაკომერციული ორგანიზაციები, ე. ი. ისეთები, რომლებიც არ გვევლინებიან სახელმწიფო ორგანოებად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოდ, სახელმწიფო ან მუნიციპალურ დაწესებულებად. მათ შეიძლება მივაკუთვნოთ: საზოგადოებრივი ორგანიზაციები, საქველმოქმედო და სხვა ფონდები, აგრეთვე ორგანიზაციები, რომლებიც მოქმედებენ სხვა ფორმით და რაც გათვალისწინებულია კანონმდებლობით. რაც შეეხება დანაშაულის საგანს ასეთად გვევლინება ფული, ფასიანი ქაღალდები, სხვა ქონება, აგრევე ქონებრივი ხასიათის მომსახურება. ფული, 221-ე მუხლის აზრით, ესაა არა მარტო სამამულო, არამედ უცხოური ვალუტა, აგრეთვე საგადასახადო დოკუმენტები უცხოურ ვალუტაში. ფასიან ქაღალდებს მიეკუთვნება ნებისმიერი დოკუმენტები, რომლებიც ქონებრივი უფლების დამადასტურებელი და დადგენილი ფორმისა და რეკვიზიტების დაცვითაა გაფორმებული და რომლის წარდგენის საფუძველზე ხდება მასში აღნიშნული უფლების განხორციელება. ფასიანი ქაღალდია ობლიგაცია, თამასუქი, ჩეკი, აქცია და ა. შ. ფასიანი ქაღალდით დადასტურებული უფლება შეიძლება ეკუთვნოდეს წარმომდგენს, ფასიან ქაღალდში დასახელებულ ან სხვა უფლებამოსილ პირს. ქონება მოიცავს საგნებს, რომელთაც გააჩნიათ მატერიალური ღირებულება. ესენი შეიძლება იყოს როგორც მოძრავი, ასევე უძრავი ქონება. ამჟამად მოქმედებათა მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლებიც წარმოშობენ გასაანალიზებელი დანაშაულის ობიექტურ მხარეს, ვლინდება უძრავი ქონების შექმნაში (აგარაკი, ბინა, შენობა, საწარმო), თანაც ეს ხდება როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ. ქონებრივი ხასიათის მომსახურება – ესაა მომსახურება, რომელიც ჩვეულებრივ ექვემდებარება ფულად გადახდას (ანაზღაურებას). 221-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში ასეთი უფლება დაკისრებული აქვთ პირებს, რომლებიც ასრულებენ მმართველობით ფუნქციებს სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში. სწორედ ასეთი

პირები ახდენენ ქონებრივი მომსახურების უკანონოდ გაწევას სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი ან სხვა სპეციალური უფლებამოსილების განმხორციელებლისათვის. სახელდობრ, უფასოდ ურემონტებენ ბინებს, სახლებს, ავტომანქანებს; უშენებენ აგარაკებს და ფარეხებს; მათთვის იჯარით იღებენ შენობებს, ბინებს; ანგარიშებს უხსნიან როგორც საქართველოს, ასევე უცხოეთის ბანკებში და სხვა. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ როგორც მექრთამეობისას, ასევე კომერციული მოსყიდვისას არაქონებრივი ხასიათის მოქმედება არ შეიძლება იყოს დანაშაულის საგანი.

„204-ე მუხლის თავისებურება, – აღნიშნულია რუსულ სახელმძღვანელოში, – ისაა, რომ „კომერციული მოსყიდვის“ ცნებით მოცულია ორი დამოუკიდებელი დანაშაულის შემადგენლობა. დანაშაულის ობიექტისა და საგნის იგივეობისას ისინი განსხვავდებიან ობიექტური და სუბიექტური მხარეებისა და აგრეთვე დანაშაულის სუბიექტით. 204-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული (ამას შეესაბამება საქართველოს სს კოდექსის 221-ე მუხლის პირველი ნაწილი – ზ. წ.), ობიექტური მხრივ ხასიათდება რიგი ალტერნატიული მოქმედებებით – სახელდობრ, პირისათვის, რომელიც ასრულებს მმართველობით ფუნქციებს, ფულის, ფასიანი ქაღალდების, ან სხვა ქონების, უკანონოდ გადაცემაში ან ქონებრივი მომსახურების უკანონოდ გაწევაში. ერთიცა და მეორეც გულისხმობს საპასუხო მოქმედებას (უმოქმედობას) მიმცემის ინტერესებისათვის (თუმცა თვით ისინი არ შედიან დანაშაულის ობიექტური მხარის შემადგენლობაში)“<sup>1</sup>.

221-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი წარმომადგენლობითი ან სხვა სპეციალური უფლებამოსილების განმხორციელებლისათვის ფულის, ფასიანი ქაღალდის ან სხვა ქონების უკანონოდ გადაცემაში ან ქონებრივი მომსახურების უკანონოდ გაწევაში, რათა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა გამოიყენოს მომსყიდველის ინტერესებისათვის. ამრიგად,

---

<sup>1</sup> იხ. Уголовное право. Особенная часть. Учебник для вузов. Издательская группа Норма – Инфра. М., 1998, стр. 360.

221-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული კომერციული მოსყიდვა სახეზე იქნება იმ შემთხვევაში, როცა: ა) დანაშაულის საგნად გვეკლინება მატერიალური ფასეულობანი (ფული, ფასიანი ქაღალდები, სხვა ქონება) ან ქონებრივი ხასიათის მომსახურება; ბ) ფასეულობა ან მომსახურება გადაეცემა პირს, რომელიც ასრულებს მმართველობით ფუნქციებს კომერციულ ან სხვა ორგანიზაციაში; გ) მატერიალური ფასეულობა ან ქონებრივი ხასიათის მომსახურება გადაეცემა გარკვეული მოქმედებისათვის (უმოქმედობისათვის), კერძოდ მიმცემის სასარგებლოდ, რომელიც შეიძლება ჩაღწილ იქნეს მხოლოდ ამღების სამსახურებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით; დ) მიმცემისა და უკანონო გასამრჯელოს ამღების მოქმედებანი ურთიერთგანპირობებულია.

„იმ შემთხვევაში თუ ადგილი ჰქონდა პირის მოსყიდვის მცდელობას მისი თანხმობის გარეშე, რათა ხელოვნურად შექმნაში დანაშაულის ჩაღწის მტკიცებულება ან შანტაჟი მოეწყოთ მისთვის, ამ შემთხვევაში სახეზე იქმნება კომერციული მოსყიდვის პროვოკაცია, რაც ისჯება რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის 304-ე მუხლით (ეს მუხლი ითვალისწინებს ქრთამის პროვოკაციას ან კომერციულ მოსყიდვას – ზ. წ.)“.

თავისი კონსტრუქციის მიხედვით 221-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა ფორმალურია. იგი დამთავრებულად ითვლება უკანონო გასამრჯელოს თუნდაც ნაწილის გადაცემის მომენტიდან. სხვანაირად თუ ვიტყვით, ეს დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება მოსყიდვის საგნის გადაცემის ან ქონებრივი ხასიათის მომსახურების გაწევის მომენტიდან. დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის არაა საჭირო რათა მოსამსახურემ, რომელმაც მიიღო გასამრჯელო, ჩაიღწინოს საპასუხო მოქმედება (უმოქმედება) მიმცემის ინტერესებისათვის. იმ შემთხვევაში, თუ არ შედგა უკანონო გასამრჯელოს გადაცემა და ამის მიზეზები დამოკიდებული არ იყო ბრალდებულის ნებაზე, მაშინ სახეზე გვექნება კომერციული მოსყიდვის მცდელობა (19-ე და 221-ე მუხლის პირველი ნაწილი).

<sup>1</sup> იხ. ზემოთ დასახელებული რუსული სახელმძღვანელო, გვ. 360.

221-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტური მხარე ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. მომსყიდველს გაცნობიერებული აქვს, რომ უკანონოდ გადასცემს მატერიალურ ფასეულობას ან უწევს ქონებრივ მომსახურებას სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი ან სხვა სპეციალური უფლებამოსილების განმხორციელებელ პირს და სურს ასეთი მოქმედების ჩადენა. რაც შეეხება ამ დანაშაულის სუბიექტს – ასეთად გვევლინება ყოველი შერაცხადი ფიზიკური პირი 14 წლის ასაკიდან.

221-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი ან სხვა სპეციალური უფლებამოსილების განმხორციელებლის მიერ ფულის, ფასიანი ქაღალდის ან სხვა ქონების უკანონოდ მიღებაში ან ქონებრივი მომსახურებით უკანონოდ სარგებლობაში. ცხადია, უფლებამოსილების განმხორციელებელმა პირმა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა უნდა გამოიყენოს მომსყიდველის ინტერესებისათვის. სხვანაირად თუ ვიტყვი, ამ დანაშაულის ობიექტური მხარე მოიცავს: ა) მიმცემის ინტერესებისათვის, ე. ი. მის სასარგებლოდ უკანონო მოქმედებათა (უმოქმედებათა) ჩადენას, რაც გამოხატულებას პოულობს ქონების ან ქონებრივი ხასიათის მომსახურებათა მიღებაში; ბ) მოსალოდნელ მოქმედებათა კავშირს მოსყიდული პირის სამსახურებრივ მდგომარეობასთან. „მოსყიდვის საგანი, – აღნიშნულია რუსულ კომენტარებში, – შეიძლება იყოს (ამ მუხლის შინაარსიდან გამომდინარე) ნებისმიერი ქონება როგორც სამოქალაქო სამართლის ობიექტი, ე. ი. ნივთები ფულის, ფასიანი ქაღალდების, სხვა ქონების, მათ შორის ქონებრივი უფლებების ჩათვლით, ასევე სამუშაო და მომსახურება, რომლებიც ასევე გამოდიან სამოქალაქო სამართლის ობიექტებად. უკანონოდ მიღება ესაა მოსყიდვის საგნის მიღება ნივთებისა და ქონებრივი ხასიათის მომსახურების ჩათვლით, დამოუკიდებლად ასეთი მიღების ხერხისა და მომენტის მიუხედავად“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> იხ. Комментарий к Уголовному кодексу Российской Федерации. Особенная часть. Под редакцией Ю. И. Скуратова и В. М. Лебедева. М., 1996, с. 243.

221-ე მუხლს მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა ფორმალურ დანაშაულთა ჯგუფს განეკუთვნება. იგი დამთავრებულად ითვლება მოსყიდვის საგნის მიღების ან ქონებრივი ხასიათის მომსახურებით უკანონოდ სარგებლობის მოპენტიდან. რაც შეეხება მოსყიდვით განპირობებულ მოქმედებათა შესრულებას თუ შეუსრულებლობას, იგი დანაშაულის შემადგენლობის ფარგლებს გარეთ რჩება. მთავარია დადგინდეს, რომ გასამრჯელო თუ მომსახურება მიღებულია მომსყიდველის ინტერესებისათვის თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოსაყენებლად.

მოცემული დანაშაულის სუბიექტური მხარე პირდაპირ განზრახვაში ვლინდება. ბრალდებულს (სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი ან სხვა სპეციალური უფლებამოსილების განმახორციელებელს) გაცნობიერებული აქვს ქონების უკანონოდ მიღების ან ქონებრივი მომსახურებით უკანონოდ სარგებლობის ფაქტი და სურს ასეთი მოქმედების ჩადენა. გაცნობიერებული აქვს ისიც, რომ თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა უნდა გამოიყენოს მომსყიდველის ინტერესებისათვის.

221-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტი – სპეციალურია. სახელდობრ, ესაა პირი, რომელიც ასრულებს მმართველობით ფუნქციებს სამეწარმეო (კომერციულ) ან სხვა ორგანიზაციაში.

221-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ გარემოებათა დახასიათებაზე არ ვჩერდებით, რადგან მათ შესახებ არაერთხელ გვქონდა საუბარი სხვა მუხლების ინტერპრეტაციისას.

## ლიტერატურა

მზია ლეკვეიშვილი, გოჩა მამულაშვილი. პასუხისმგებლობა ეკონომიკური დანაშაულისათვის (კომენტარი). თბ., 1999; ნინო გვენეტაძე, გოჩა მამულაშვილი. პასუხისმგებლობა სამეწარმეო და სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის (სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით). თბ., 2000; ზაურ მჭავანაძე. სისხლის სამართალი. კერძო ნაწილი. კომენტარები. ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა (ქსუ) 2000; ზაურ წულაია. საქართველოს სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილი. პირველი ტომი. თბ., 1996; ზაურ წულაია. სოციალისტური საკუთრება წმინდაწმიდა და ხელშეუხებელია. თბ., 1986; Уголовное право. Особенная часть. Учебник. Под редакцией профессора В. Н. Петрашева. М., 1999; Комментарий к уголовному кодексу Российской Федерации (с постановочными материалами и судебной практикой). Под общей редакцией С. И. Никулина. М., 2000; Л. Д. Гаухман, С. В. Максимов. Преступления в сфере экономической деятельности. М., 1998; А. М. Яковлев. Социология экономической преступности. М., 1988; Курс советского уголовного права, том IV. М. 1970; Комментарий к Уголовному кодексу Российской Федерации. Особенная часть. Под общей редакцией Ю. И. Скуратова и В. М. Лебедева. М., 1996; Комментарий к Уголовному кодексу Российской Федерации. Под редакцией Н. Ф. Кузнецовой. М., 1998.

# შინაარსი

კარი მერვე  
ეკონომიკური დანაშაული  
თავი XXV  
დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ

§1. საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულის ზოგადი ცნება და სისტემა .....	3
§2. სხვისი ქონების (ნიეთის) დაუფლების (დატაცების) ცნება .....	23
§3. ქურდობა (სსკ 177-ე მუხლი) .....	36
§4. ძარცვა (სსკ 178-ე მუხლი) .....	56
§5. ყაჩაღობა (სსკ 179-ე მუხლი) .....	62
§6. თაღლითობა (სსკ 180-ე მუხლი) .....	70
§7. გამოძალვა (სსკ 181-ე მუხლი) .....	80
§8. მითვისება ან გაფლანგვა (სსკ 182-ე მუხლი) .....	88
§9. განსაკუთრებით ისტორიული, კულტურული, მეცნიერული ან ეროვნული ღირებულების ნიეთის ან ღოკუმენტის დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით (სსკ 183-ე მუხლი) ..	103
§10. ავტომობილის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მისაკუთრების მიზნის გარეშე (სსკ 184-ე მუხლი) .....	107
§11. ქონებრივი დაზიანება მოტყუებით .....	112
(სსკ 185-ე მუხლი) .....	112
§12. წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნიეთის შეძენა ან გასაღება (სსკ 186-ე მუხლი) .....	123
§13. ნიეთის დაზიანება ან განადგურება .....	127
(სსკ 187-ე მუხლი) .....	127
§14. ნიეთის დაზიანება ან განადგურება გაუფრთხილებლობით (სსკ 188-ე მუხლი) .....	133
§15. ინტელექტუალური საკუთრების ხელყოფა (სსკ 189-ე მუხლი) ...	135



დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის  
წინააღმდეგ

§1. სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის სფეროში ჩადენილ დანაშაულთა ზოგადი დახასიათება .....	146
§2. კანონიერი სამეწარმეო საქმიანობისათვის ხელის შეშლა (სსკ 190-ე მუხლი) .....	149
§3. მიწასთან დაკავშირებული გარიგების უკანონო რეგისტრაცია (სსკ 191-ე მუხლი) .....	156
§4. უკანონო სამეწარმეო საქმიანობა (სსკ 192-ე მუხლი) .....	161
§5. ცრუ მეწარმეობა (სსკ 193-ე მუხლი) .....	168
§6. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (სსკ 194-ე მუხლი) .....	170
§7. მონოპოლიური საქმიანობა და კონკურენციის შეზღუდვა (სსკ 195-ე მუხლი) .....	175
§8. სასაქონლო ნიშნის ან სხვა კომერციული აღნიშვნის მართლსაწინააღმდეგო გამოყენება (სსკ 196-ე მუხლი) .....	185
§9. ფალსიფიკაცია (სსკ 197-ე მუხლი) .....	194
§10. ადამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქციის დამზადება, შემოტანა ან რეალიზაცია (სსკ 198-ე მუხლი) .....	200
§11. ეკომარკით უკანონოდ სარგებლობა .....	213
(სსკ 199-ე მუხლი) .....	213
§12. მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვება, შენახვა, რეალიზაცია ან გადაზიდვა (სსკ მე-200 მუხლი) .....	217
§13. ყალბი რეკლამა (სსკ 201-ე მუხლი) .....	221
§14. კომერციული ან საბანკო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის უკანონოდ შეგროვება ან გავრცელება (სსკ 202-ე მუხლი) .....	228
§15. პროფესიულ სპორტული შეჯიბრის ანდა კომერციულ- სანახაობითი კონკურსის მონაწილის ან ორგანიზატორის მოსყიდვა (სსკ 203-ე მუხლი) .....	234

§16. საბულალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევა (სსკ 204-ე მუხლი) .....	239
§17. უკანონო ქმედება გაკოტრებისას (სსკ 205-ე მუხლი) .....	247
§18. საბულალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევა გაკოტრებისას (სსკ 206-ე მუხლი) .....	256
§19. განცხადების შეუტანლობა გაკოტრებისას (სსკ 207-ე მუხლი) .	259

### თავი XXVII

#### დანაშაული ფულად-საკრედიტო სისტემაში

§1. ფულად-საკრედიტო სისტემაში ჩადენილი დანაშაულის მოკლე მიმოხილვა .....	263
§2. კრედიტის უკანონოდ მიღება (სსკ 208-ე მუხლი) .....	265
§3. ძვირფასი ლითონის სინჯის აღმნიშვნელი სახელმწიფო დამლის დამზადების ან გამოყენების წესის დარღვევა (სსკ 209-ე მუხლი) .....	274
§4. ყალბი საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათის დამზადება ან გასაღება (სსკ 210-ე მუხლი) .....	281
§5. ჩეკის ან საკრედიტო ბარათის ბოროტად გამოყენება (სსკ 211-ე მუხლი) .....	283
§6. ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდის დამზადება ან გასაღება (სსკ 212-ე მუხლი) .....	287
§7. ფასიანი ქაღალდების ბაზრის წესის დარღვევა (სსკ 213-ე მუხლი) .....	295

### თავი XXVIII

#### დანაშაული საფინანსო საქმიანობის სფეროში

§1. საბაჟო წესების დარღვევა (სსკ 214-ე მუხლი) .....	305
§2. საქართველოს ან უცხო ქვეყნის ხალხთა კუთვნილი მხატვრული, ისტორიული ან არქეოლოგიური ღირებულების მქონე ნივთის საქართველოში დაუბრუნებლობა (სსკ 215-ე მუხლი) .....	320
§3. საქართველოს ტერიტორიაზე მიმოქცევაში არსებული ეროვნული ვალუტის გამოყენების წესის დარღვევა (სსკ 216-ე მუხლი) .....	332

§4. საზღვარგარეთიდან უცხოურ ვალუტაში თანხის დაუბრუნებლობა (სსკ 217-ე მუხლი) .....	335
§5. გადასახადისათვის თავის არიდება (სსკ 218-ე მუხლი) .....	337
§6. მომხმარებლის მოტყუება (სსკ 219-ე მუხლი) .....	343

## თავი XXIX

### დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესის წინააღმდეგ

§1. უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება .....	352
(სსკ 220-ე მუხლი) .....	352
§2. კომერციული მოსყიდვა (სსკ 221-ე მუხლი) .....	359

**Заур Цулая**  
Уголовное право.  
Особенная часть.  
Том II.  
(на грузинском языке)  
Тбилиси - 2001

**Zaur Tsulaia**  
Criminal Law.  
Special Part.  
Volume II  
(in Georgian)  
Tbilisi - 2001

**Zaur Tsulaia**  
Strafrecht  
Der besondere Teil  
(in georgischer Sprache)  
Zweite Band  
Tbilissi - 2001

სტამბა შპს გაზეთი „საქართველოს მაცნე“  
გრ. რობაქიძის 7ა  
2001